

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის
ინსტიტუტი

მ. ციკოლია

სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1973

ნაშრომში განხილულია სიტყვათა განლაგების ძირითადი საკითხები აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმასა და ფინიტური და ინფინიტური წყობის წინადადებაში; კერძოდ: სათანადო მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია სიტყვათა რიგის სინტაქსური და სტოქისტიკური ფუნქციები, მიზეზები, რომლებიც შეაპირობებენ სიტყვათა სხვადასხვაგვარ განლაგებას სხვადასხვა შემთხვევაში, აგრეთვე—თავისებურებანი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ერთგვარული კონსტრუქციის პრობლემისათვის აფხაზურსა და ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში.

რედაქტორი პროფ. ქ. ლომთათიძე

შესავალი

სიტყვათა რიგი სუსტადაა დამუშავებული იბერიულ-კავკასიურ ენებში. აფხაზურ ენაში კი მას სპეციალურად არავენ შეხებიდა.

საკითხის შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ, რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა აქ სიტყვათა რიგს განიხილავს წინადადების ე. წ. აქტუალური დაყოფის ფონზე, რომელიც არსებითად მიზნად ისახავს სიტყვათა რიგის აზრობრივი ფუნქციების ანალიზს. ამ თეორიას სათავე ე. წ. ფუნქციონალურ სტრუქტურალიზმში აქვს და წარმოადგენს ლოგიციზმისა (პირველ რიგში) და ფსიქოლოგიზმის მემკვიდრეობას ენათმეცნიერებაში, რაც მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმის პოზიციებზე დგომას მოასწავებს¹.

ძალზე იშვიათია ნაშრომი, სადაც ამა თუ იმ ენაში სიტყვათა რიგი გაანალიზებული იყოს როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი. ამ სახის გამოკვლევათა მეტ წილშიც სინათლე აკლია შესასწავლი ობიექტის რაობას: ჩვეულებრივ ადგილი აქვს სიტყვათა რიგის სინტაქსური, სტილისტიკური და აზრობრივი (1) ფუნქციების აღრევას². უნდა ვიფიქროთ. ყოველივე ამას, სხვა მომენტებთან ერთად, ერთგვარად ხელი შეუწყო თვით პრობლემის ბუნებამ: სიტყვათა რიგს, რომელსაც კავშირის დაჭერა უხდება გრამატიკის თითქმის ყველა დარგთან და აქვს გარკვეული შემხები წერტილები ენათმეცნიერების მომიჯნავე დისციპლინებთან (ლოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან), ახასია-

¹ შტრ.: „ფსიქოლინგვისტიკა, რომელიც პირველად ამ რამდენიმე წლის წინაა აღმოცენდა, ამჟამად მოიკვამს ძალზე ფართო წრეს საკითხებისას, რომელთა შესწავლის გარეშე შეუძლებელია გავერკვეთ ენის საზოგადოებრივი ფუნქციონირების რეალურ ბუნებაში. ფსიქოლოგისტური მიდგომა განსაკუთრებით პროდუქტიული აღმოჩნდა სინტაქსის არსში ჩასაწვდომად“ (О. Е. Ахманова, Г. Б. Михайлян, Современные синтаксические теории, М., 1963, გვ. 119).

² ხანაც განხილულია პრობლემის რომელიმე კერძო საკითხი, ვთქვათ, სუბიექტის ადგილი წინადადებაში, ან: ზმნის ადგილი წინადადებაში, ან კიდევ: სუბიექტისა და ზმნის ადგილი წინადადებაში და ა. შ.

თებს თვალსაჩინო შინაგანი სირთულეები³. ამ სირთულეებში წვდომას კი თავის მხრივ აძნელებს ის, რომ დღემდის სათანადოდ შესწავლილი არ არის აფხაზური ენის სინტაქსის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

ერთი სიტყვით, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდის შემუშავებული არ არის კვლევის მკაფიოდ მოხაზული, საყოველთაოდ აღიარებული მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც შეიძლებოდა სახელმძღვანელო გამხდარიყო ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში სიტყვათა რიგის სათანადო მეცნიერულ დონეზე გასაშუქებლად.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია მოველოდეთ სერიოზულ სიძნელებებსა და დაბრკოლებებს საკვლევი ობიექტის შესწავლისას. საკითხს კიდევ უფრო ართულებს აფხაზური ენის გრამატიკული წყობის, კერძოდ, მარტივი წინადადების, თავისებურება, რაც უპირველესად ზმნის ორ—ფინიტურ და ინფინიტურ—სახეობაზე დამყარებული კონსტრუქციის არსებობაში გამოიხატება. ამიტომ საჭირო გახდა წინასწარ დაზუსტებულიყო სიტყვათა რიგის შესწავლის არამარტო ამოსავალი მეთოდოლოგიური საფუძვლები, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს თანამედროვე ენათმეცნიერული კვლევის სპეციალური ხერხების (ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, გრამატიკულ უნივერსალიებზე დაფუძნებული სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი) არსში ღრმად შეღწევას, არამედ საკვლევი ენის გრამატიკული სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტული მეთოდებიც. სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელი აღმოჩნდა, ერთი მხრივ, ამოსავალი მეთოდოლოგიური, ბოლო, მეორე მხრივ, კერძო-მეთოდური პრინციპების დადგენა-შემუშავება და მხოლოდ ამის შემდეგ—ჩატარება საკვლევაძიებო მუშაობისა თემის გარშემო⁴.

ამან მოითხოვა, ერთი მხრივ, საფუძვლიანად გაცნობოდიტ როგორც იბერიულ-კავკასიურ, ასევე ინდოევროპულ, კერძოდ, რუსულ

³ ძირითადად ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სინტაქსის ისტორიულად არასდროს არ სწავლობდა ბელი.

⁴ „Если в любой конкретной грамматике существует раздел, посвященный порядку слов в предложении, то надо полагать, что в общей грамматике или в теории грамматики должна существовать некоторая общая теория порядка слов и что частные грамматики опираются на эту теорию, используя ее, а в случае необходимости, исходя из своего материала вносят нужные исправления в эту общую теорию или (в предельном случае) способствуют замене ее другой, более адекватной общей теорией“ (А. А. Хлодов и ч. К типологии порядка слов, ებრაელი: «Научные доклады высшей школы, Филологические науки», № 3 (35), М; გვ. 3).

სპეციალურ ლიტერატურას, გარკვეული წარმოდგენი გვექონოდა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის (resp. ენის ფილოსოფიისა და ენის ფსიქოლოგიის) სათანადო საკითხებზე, რამდენადაც სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, რომლის ჩატარება გარდუვალა აღმოჩნდა⁵, გულისხმობს ენასა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემაში ჩახედვასაც, ხოლო, მეორე მხრივ, დაგვეგროვებინა და გამოწვლილვით შეგვესწავლა აფხაზური (და ზოგი სხვა იბერიულ-კავკასიური) ენის ფაქტობრივი მასალა⁶.

ამ მუშაობის ჩატარებამ⁷ კი მიგვიყვანა დასკვნამდე:

ა) წინადადების აქტუალური დაყოფის თეორია, რომელიც ინდო-ევროპეისტიკაშია გაბატონებული, ვერ არკვევს სიტყვათა რიგის, როგორც ენათმეცნიერული ცოდნის, ვერც ერთ საკითხს, რადგანაც იგი, არ ითვალისწინებს რა კონკრეტულ ენათა თავისებურებებს, პრობლემის კვლევას იწყებს ენობრივი ფაქტის ფუნქციიდან ამოსვლით და განზე ტოვებს შესიტყვების სტრუქტურასა და ამ უკანასკნელის მიმართებას მით გადმოსაცემ შინაარსთან⁸.

ბ) აფხაზური ენის გრამატიკული წყობის თავისებურებათაგან ამოსვლა კი ადასტურებს საფუძვლიანობას იმისა, რომ სიტყვათა რი-

⁵ ამის შესახებ იხ. ჩვენს ნაშრომში: „სიტყვათა რიგი, როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“ (იბეჭდება).

⁶ ასეთ მასალად გამოყენებულია თანამედროვე აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ძეგლები, აფხაზური ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ასევე აბაზურა ენის დიალექტთა მონაცემებიც), მონათესავე ენათა ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები, ჩაწერილი და გამოქვეყნებული სხვადასხვა პირთა მიერ; იშვიათად მოშველიებულია ხელნაწერი (გამოუქვეყნებელი) ტექსტებით.

⁷ ნაშრომის ზოგი დებულება („აფხაზურ ენაში სიტყვათა რიგის შესწავლის ამოსავალი პრინციპებისათვის“, „სიტყვათა რიგი აფხაზური ენის ატრიბუტულ კომპლექსში“, „შესიტყვების საკითხისათვის აფხაზურ ენაში“, „პოეტიკური და ლინგვისტური სტილისტიკის ზოგიერთი საკითხისათვის“ და სხვ.) უკვე გამოქვეყნებულია. ზოგიც („სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში (გვერდი—პროსპექტი)“, „სიტყვათა რიგი აფხაზურ წინადადებაში“, „სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები“, „სიტყვათა რიგი ერგატული კონსტრუქციის სიბრტყეზე“ და სხვ.)—სხვადასხვა დროს მოქსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ენის განყოფილებას.

⁸ ამის შესახებ იხ. ჩვენს ნაშრომში: „სიტყვათა რიგი, როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“ (იბეჭდება).

გი სინტაქსისა და სტილისტიკის⁹ საგნად იქნეს მიჩნეული. კვლევა ამ საკითხისა, რამდენადაც იგი თავის საყრდენად გულისხმობს ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში შესიტყვების წევრთა შორის სინტაქსურ დამოკიდებულებასა და ამ უკანასკნელის მიმართებას გადმოსაცემ შინაარსთან, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით აღმოჩნდეს ნაყოფიერი. ეს გზა კი, თავის მხრივ, ძირითადად ეყრდნობა ენის საკითხთა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრინციპებს, გარკვეულ შემთხვევებში კი ითვალისწინებს, აგრეთვე, თანამედროვე ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობათა მიერ მოპოვებულ პოზიტიურ თეორიულ დებულებებსაც¹⁰.

გ) მიუცილებელია აფხაზურში სიტყვათა რიგი ცალ-ცალკე იქნეს განხილული ფინიტური და ინფინიტური კონსტრუქციების წინადადებებში. პირველი სახის წინადადებაში, სადაც ოდენ ფინიტური ზმნაა წარმოდგენილი, საკითხი შედარებით მარტივად წყდება— იგი არსებითად ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც რიგი სხვა ქიბერიულ-კავკასიური, კერძოდ, ქართველური, ენები, რომლებიც ზმნებს არ განარჩევენ ფინიტობა-ინფინიტობის მიხედვით; მეორეში კი, სადაც ორი სახის—ფინიტური და ინფინიტური— ზმნა მონაწილეობს, ვითარება გაცილებით უფრო რთულია. ამ სირთულემ წარმოშვა საჭიროება—თავისებურად მივდგომოდით ამ სახის წინადადებას: გამოგვეყო ორი პრედიკატული ცენტრი: ძირითადი, რომელსაც ქმნის ფინიტური ზმნა, და დამხმარე, რომლის ღერძს ინფინიტური ზმნა წარმოადგენს, და ჯერ განვვხილა სიტყვათა რიგი

⁹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში საბოლოოდ განსაზღვრული არ არის თვით ენათმეცნიერული სტილისტიკის შესასწავლი ობიექტის საზღვრები და ამოცანები; ამიტომ საჭირო გახდა წინასწარ შეგვემუშავებინა გარკვეული თვალსაზრისი ამ საკითხებზე და მხოლოდ ამის შემდეგ გვესწავლა სიტყვათა რიგის სტილისტიკურ ფუნქციაზე აფხაზურ ენაში.

¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერული კვლევის ესა თუ ის მეთოდი შეიძლება სხვადასხვაგვარი ღირებულებისა იყოს იმისდა მიხედვით, თუ რომელ კონკრეტულად აღებულ ენას, უფრო მეტად, ამ ენის რომელ კერძო საკითხს ვეხებით. მაგალითად, თუ ე. წ. დისტრიბუციის მეთოდი, რომელსაც თანამედროვე სტრუქტურალიზმი მიმართავს, შეიძლება ერთგვარად ნაყოფიერი აღმოჩნდეს, ვთქვათ, რუსული ენის ატრობუტული სინტაქსის შესწავლაში, ამასვე ვერ ვიტყვით მის მნიშვნელობაზე აფხაზური ენის ამავე ფაქტის კვალიფიკაციისათვის: რუსულში სხვადასხვაგვარია სრული და მოკლე განსაზღვრების პოზიცია (შდრ., ერთი მხრივ, мой хороший друг || мой друг хороший და მეორე მხრივ, мой друг хорош, მაგრამ ვერ ვიტყვით: „мой хорош друг“), აფხაზურში კი, სადაც საზღვრულ-მსაზღვრელის მტკიცე რიგი გვაქვს და არც განსაზღვრებაა გარჩეული სისრულე-სიმოკლის მიხედვით, ცხადაა, შემოსწავლული მეთოდი მოცემულ შემთხვევაში არაფრის მაქნისია.

ამ ცენტრებისდა მიხედვით, შემდეგ კი თვით ამ ცენტრთა სინტაქსური მიმართება ერთმანეთთან.

ნაშრომი, რომელშიც სტატიკური აღწერა¹¹ მთელ რიგ შემთხვევებში საკითხთა რეტროსპექტულ განხილვასაც ითვალისწინებს¹², მიზნად ისახავს:

ა) კონკრეტულ ენათა (უპირატესად აფხაზური ენის) ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე გარკვეული სინათლე შეიტანოს საერთოდ სიტყვათა რიგის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძველების დაზუსტება-დადგენაში;

ბ) ასეთი კვლევა-ძიების შედეგად მიღებული დასკვნების ფონზე გარკვეულ იქნეს სიტყვათა რიგის სინტაქსური და სტილისტიკური ფუნქციები და მათი შემაპირობებელი ფაქტორები აფხაზურში, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავიხედოთ ამ ენის რთულ მორფოლოგიურ-სინტაქსურ მექანიზმში, კერძოდ, მარტივი წინადადების ნიშან-თვისებებში;

გ) ამ სამუშაოთა ჩატარებისდა კვალთაზე. თვალი მივადევნოთ სხვა იბერიულ-კავკასიურ, კერძოდ, ქართველურ, ენებში არსებულ სათანადო ვითარებას სინქრონიულ და დიაქრონიულ პერიოდში და შესაძლებლობის ფარგლებში წარმოვადგინოთ თეორიული ხასიათის განხილვები.

მთელს გამოკვლევას გასდევს სურვილი—საკითხები გაშუქებულ იქნეს მეთოდოლოგიური იმანენტის პოზიციებიდან.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ქ. ლომთათიძე შეტად საყურადღებო შენიშვნების მოწოდებისათვის, რამაც გააადვილა ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადება.

¹¹ როგორც ცნობილია, თვით „სტატიკურ“ ანალიზს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ არსებულ ვითარებაში გარკვევის მხრივ, არამედ მოვლენის ისტორიის მართებულად გათვალისწინების თვალსაზრისითაც“ (არნ. ჩიქობავა, მეორე გრამატიკული კლასის („მდებარებითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. შობე, ტ. III, № 4, თბ., 1942, გვ. 376).

¹² „ისტორიის „ჩარევას“ გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ენის სისტემის აღწერითი ანალიზი“ (А. С. Чикобава, Проблема языка как предмета языкознания, М., 1959, გვ. 14)

ზმნის ფინიტური-ინფინიტური ფორმები და სიტყვათა რიგი

აფხაზურში გვაქვს ზმნის ფინიტური (განსაზღვრული, ჩახშული) და ინფინიტური (განუსაზღვრელი, ჩაუხშავი) ფორმები, და შესაბამისად (რადგანაც წინადადების დედაბოძს ზმნა წარმოადგენს)—წინადადების ფინიტური და ინფინიტური კონსტრუქციები. ზმნის ეს ორი სახეობა აფხაზური სინტაქსის თავისებურებათა საფუძველია. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში განაზღვრულია აფხაზური სინტაქსის თავისებური აღნაგობა¹.

ოღენ ფინიტური ზმნის შემცველი (resp. ფინიტური კონსტრუქციის) წინადადება აფხაზურში შედარებით იშვიათად გვხვდება. უფრო გავრცელებულია წინადადებები, რომლებშიც მონაწილეობს როგორც ფინიტური, ისე ინფინიტური ზმნები. ასეთ წინადადებებს პირობით ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებებს ვუწოდებთ.

ცნობილია, რომ აფხაზური ინფინიტური ზმნა მთელს წინადადებას წარმოადგენს: მასში შეიძლება მოცემული იყოს როგორც პირი და რიცხვი, ისე ადგილი, დრო, ვითარება და სხვ. „ინფინიტური ზმნა აფხაზურში სულ სხვა ნიშნით გამოდის (ვიდრე ინდოევროპულ ენებში—მ. ც.). ევროპულ ენებში ზმნა ინფინიტური შეიძლება იყოს პირისა და დროის მიხედვით. აფხაზურში კი ე. წ. ინფინიტური ფორმები შეიცავენ როგორც დროულობისა და პირიელობის ფორმატივებს; ისე ყველა იმ კატეგორიას და განრიგებას ზმნური ელემენტებისას, რაც დამახასიათებელია თხრობითი კილოსთვის ფინიტურს ფორმაში. მაგრამ მათ რაღაც აკლიათ, რაღაცის მიხედვით ისინი არ არიან განსაზღვრულნი. ეს მათი განუსაზღვრელი ბუნება გამოჩნდება წინადადებაში, სადაც რამდენიმე ასეთი ფორმა შეიძლება იყოს, მაგრამ საბოლოოდ წინადადების დასრულებისათვის მაინც ფინიტური სუფიქსით გაფორმებული ზმნა არის აუცილებელი. უამისოდ ჩვენ ვერ გავშორ-


¹ იბ. ქ. ლ. მ. თ. თ. ი. ქ. ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში, ენიმქს მოაბე, II, თბ., 1938, გვ. 223.

დებით დამოკიდებული წინადადების ფარგალს. ფინიტობა-ინფინიტობა მთელი წინადადების ფონზე იშლება“².


როგორც ვხედავთ, ფინიტობა-ინფინიტობა ქმნის აფხაზური წინადადების თავისებურ აღნაგობას, თავისებურ კონსტრუქციას. წინადადება, რომელშიც მონაწილეობს ზმნის ინფინიტური ფორმა, გაცილებით უფრო რთული აგებულებისაა, ვიდრე ოდენ ფინიტური ზმნის შემცველი წინადადება. აქედან კი ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიტყვათა რიგის შესწავლა ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელებებთან. მათ დასაძლევად აუცილებელია პირველ რიგში დავადგინოთ თვით ფინიტურ და ინფინიტურ კონსტრუქციათა სპეციფიკა, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები.

ფინიტური კონსტრუქციის აფხაზური წინადადება (ე. ი. წინადადება, რომელშიც ოდენ ფინიტური ზმნაა წარმოდგენილი) გარკვეული გაგებით რაიმე თვალსაჩინო თავისებურებას არ გვიჩვენებს რიგ სხვა (მაგალითად, ქართველურ, ინდოევროპულ) ენათა სათანადო მონაცემებთან შედარებით. ავიღოთ ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველი აფხაზური წინადადება: სჯზა ეცგ აყიანტი ასას დააგეტ და მას შევეუდაროთ მისი ქართული ეკვივალენტი: ჩემმა მეგობარმა გუშინ სოხუმიდან სტუმარი (ჩა)მოიყვანა.

აფხაზურში მოცემული მარტივი წინადადების მათარსებულ ლერძს წარმოადგენს ორპირიანი გარდამავალი ზმნა დააგეტ (ჩა)მოიყვანა); მის გარშემო იყრის თავს მთელი კონსტრუქციის დანარჩენი—მთავარი და მეორეხარისხოვანი—წევრები:



ასევეა ქართულშიც:



² ქ. ლ. მთათიძე, ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში, ენიშკის ვოაბლე, II₂ თბ., 1938, გვ. 224.

აფხაზურ წინადადებას აქვს თავისი ზმნა (და ა ა გ ე ა ტ „(ჩა)მოიყვანა“), სუბიექტი (ს ჯ გ ზ ა „ჩემმა მეგობარმა“), პირდაპირი ობიექტი (ა ს ა ს „სტუმარი“), დროის გარემოება (ე ც გ „გუშინ“) და ადგილის გარემოება (ა ყ ო ა ნ ტ ი „სოხუმიდან“).

ეგვევ სურათი. მეორდება ქართულშიც: ზმნაა ჩამოიყვანა, სუბიექტი — (ჩემმა) მეგობარმა, პირდაპირი ობიექტი — სტუმარი, დროის გარემოება — გუშინ და ადგილის გარემოება — სოხუმიდან.

როგორც მოცემული აფხაზური და ქართული წინადადებების სათანადო სქემები გვიჩვენებს, დამოკიდებულება წევრებს შორის შედარებით მარტივია იმ გაგებით, რომ ყველა წევრი ორსავე შემთხვევაში სინტაქსურად უკავშირდება ერთადერთ ზმნას. ეს სიმარტივე სწორედ ამ პრედიკატული ცენტრის (და ა ა გ ე ა ტ „(ჩა)მოიყვანა“) ერთადერთობითაა ნაკარნახევი.

სულ სხვა ვითარებაა აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში. ამ სახის კონსტრუქციაშიც, მართალია, ძირითადი ზმნა, რომელიც წინადადებას დასრულებულ სახეს აძლევს, ისევ ფინიტური ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ მის გვერდით ინფინიტური ზმნებიც ქმნიან დამატებით, დამხმარე პრედიკატულ ცენტრებს, რასაც, ცხადია, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს აფხაზური წინადადების მექანიზმის ანალიზისას.

ამგვარად, ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაშიც ძირითადი ზმნა ფინიტური ფორმითაა გადმოცემული. ფინიტური ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან მრავალპირიანი, გარდაუვალი ან გარდამავალი. იმისდა მიუხედავად, თუ როგორია ძირითადი ფინიტური ზმნა (ერთპირიანია თუ მრავალპირიანი, გარდაუვალია თუ გარდამავალი), ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში დამხმარე ზმნების ფუნქციით შეიძლება მონაწილეობდეს ერთპირიანი და მრავალპირიანი (გარდაუვალი და გარდამავალი) ინფინიტური ფორმები. ეს უკანასკნელები კი ქმნიან კონსტრუქციის თავისებურ აღნაგობას, პრინციპში განსხვავებულს იმ ენათა წინადადების კონსტრუქციისაგან, რომელთაც არ გააჩნიათ ზმნის აფხაზურისებური ინფინიტური ფორმა (მაგალითად, ქართველური ენები და ბევრი სხვა იბერიულ-კავკასიური ენა, ინდოევროპული ენები და სხვ.).

დამხმარე პრედიკატული ცენტრის (resp. ინფინიტური შესიტყვების) მთავარი ნიშნებელ ღერძს წარმოადგენს ინფინიტური ზმნა და აბსოლუტივი. დამხმარე პრედიკატული ცენტრი შედის წინადადების შემადგენლობაში და ასრულებს სუბიექტის, ობიექტის (პირდაპირის,

ირიბის), დროის, ადგილის, ვითარების, ძიხუზისა და მიზნის გარემოებათა როლს; დამხმარე პრედიკატულ ცენტრს შეიძლება ჰქონდეს თავისი სუბიექტი (სუბიექტები) და ობიექტი (ობიექტები), წევრ-გარემოებები და სხვ.³ მაგალითად: ა) ინფინიტური კონსტრუქცია ასრულებს სუბიექტის როლს: ა ბ რ ი ა ტ გ შ ი ა ა ხ ზ ფ ო ა ო უ პ ა ხ ა წ ა (ლ. 29) „ის, ვინც ამ ორმოს გადაახტება, მამაცია“; ბ) ინფინიტური კონსტრუქცია პირდაპირი ობიექტის როლში: ი მ წ ა დ გ რ გ გ ლ ა ზ ი ე ი ტ „ის, რაც წინ დაუდგეს, დალია (მან, მამაკ.)“; გ) ინფინიტური კონსტრუქცია ასრულებს ირიბი ობიექტის როლს: (ლეუარსა) ა კ ლ უ ბ ა ქ ო გ ი ნ ე ა ტ ა ზ ა გ ა ზ ე თ დ გ რ ზ ა ფ ზ ო ნ (ხ. 84) „მათ, ვინც კლუბში მივიდოდა, ლევარსი გაზეთს უკითხავდა“; დ) ინფინიტური კონსტრუქცია ასრულებს დროის გარემოების როლს: უ ა ნ ლ ჰ ო ზ უ ა ნ ე ა ლ ა კ , ა ბ ნ ა , ა ძ გ ა ქ ო გ , ა ძ ო გ დ ზ ბ ა ნ მ ა ც ი ა ზ ე ა ბ რ ა ი თ ა ა რ შ ი ტ ჰ ი ა ლ ჰ ი ა ნ გ ა ე ი მ ა ნ ლ კ რ კ ე (ლ. 52) „როცა დედაშენთან მიხვალ (შენ, მამაკ.), მანდ, წყაროსთან, ვილაცა ვნახე, მან ბეჭედა აქ (ამაში) ჩა-აგდო-თქო, დოქი გადაეცი“; ე) ინფინიტური კონსტრუქცია ასრულებს ადგილის გარემოების ფუნქციას: ლ უ კ მ ა ნ პ ა ქ გ მ დ ა ხ ო ა ლ ა კ , ი ხ ო შ ი ქ ი ა ა რ ა ი მ ა ნ (ლ. 71) „საცა არ უნდა წასულიყო ექიმი ლუკმანი, თავისი წამლები თან ჰქონდა“; ვ) ინფინიტური კონსტრუქცია ასრულებს ვითარების გარემოების როლს: უ გ ა ნ ა ხ ზ დ თ ე ნ ო ნ გ ქ ა ჭ ლ ა ი ხ გ ნ გ ყ ო გ ა გ ო დ ყ ა ლ ე ა ტ (ლ. 81). „იმის შემდეგ ცხოვრებას დამშვიდებით, უდარდელად (სიხარულით) ატარებდა“ და სხვ.

ამგვარად, ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში წარმოდგენილია ორი—სხვადასხვა ხვედრი წონის მქონე—პრედიკატული ცენტრი. ძირითად პრედიკატულ ცენტრს, როგორც აღინიშნა, ქმნის ფინიტური ზმნა, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ ოდენობას დასრულებული სახის წინადადების მისაღებად, დამხმარე პრედიკატულ ცენტრს კი—ინფინიტური ზმნა.

რა სინტაქსურ დამოკიდებულებაში იმყოფება ერთმანეთთან ეს ორი პრედიკატული ცენტრი?

³ საგულისხმოა, რომ ამ მხრივ საესებთ ასეთსავე ვითარებას აქვს ადგილი იდილურ ენაშიც (იხ. Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, გვ. 409)).

⁴ ქართულ თარგმანში ყველგან გვაქვს რთული დაკვემდებარებული წინადადებები, რომლებშიც წარმოდგენილია კვემდებარული, დამატებითი, გარემოებითი და ა. შ. დამოკიდებული წინადადებები. აფხაზურში კი ეს ასე არ არის: აქ საერთოდ არ გვაქვს გრამატიკულად გაფორმებული პიოტაქსი.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა მორფოლოგიური მონაცემების გათვალისწინება, ამ მონაცემთა სინტაქსური შესაძლებლობების დადგენა.

ცნობილია, რომ „აფხაზური ზმნა მაქსიმალურად დატვირთულია; სინტაქსური ურთიერთობა მთლიანად ზმნაშია მოქცეული, ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი მორფოლოგიურადაცაა მასში გამოხატული“⁵.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ავიღოთ:

ა) ერთპირიანი (გარდაუვალი) ფინიტური ზმნის შემცველი წინადადება: ჩხანჯ ადაჟუ ნეყიარა ღეყანჯ ღშაააჟუაზ, ჯკ აშაპაჟეგ დკაპაჟტ (ერთ დღეს დევი მოგზაურობდა რა (სამოგზაუროდ იყო რა), რომ მოდიოდა, ერთი მუხის ძირას წაიქცა). ამ წინადადებაში გვაქვს ერთი ძირითადი⁶ (ჯკ აშაპაჟეგ დკაპაჟტ) და ორი დამხმარე (ადაჟუ ნეყიარა ღეყანჯ; ადაჟუ ღშაააჟუაზ) პრედიკატული ცენტრი. ამ ცენტრებს შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობა გრამატიკულად შემდეგნაირადაა გამოხატული: როგორც ფინიტურ, ისე ინფინიტურ ზმნებში წარმოდგენილია სუბიექტის (ადაჟუ) ნიშანი: ადამიანთა კლას-კატეგორიის აფიქსი ღ (დკაპაჟტ; ღეყანჯ; ღშაააჟუაზ); ამგვარად, სუბიექტი ითანხმებს ზმნას კლასში (შღრ. აბგახიჟეგ ნეყიარა იყანჯ იშაააჟუაზ იკაპაჟტ „მელია სამოგზაუროდ იყო რა, რომ მოდიოდა, წაიქცა“); მოცემულია შეთანხმება რიცხვშიც (შღრ. მრ. რიცხვი: დარა... იყანჯ, დარა... იშაააჟუაზ, დარა... იკაპაჟტ). ზმნა კი ვერ ახდენს გავლენას სახელზე (აფხაზური სახელი ფორმალურად უცვლელია).

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ წარმოდგენილ წინადადებაში ყველა ცენტრს (ძირითადსა და დამხმარეს) ერთი საერთო სუბიექტი (ადაჟუ „დევი“) აქვს.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში მორფოლოგიურად შედარებით მარტივადაა გამოხატული, და მაინც წინადადების წევრებს შორის მტკიცე კავშირი შეიგრძნობა.

ბ) უფრო რთული ვითარება გვაქვს გარდამავალი (ორპირიანი, სამპირიანი) ფინიტური ზმნის შემცველ კონსტრუქციაში, მაგალითად, წინადადებაში: შასოჟ ააფესთა აანჯეი ღგშნჯ ღღწკაჟტ (ლ. 76) (შასოჟ ააფესთამ დევი მოკვლით (მოკლა რა) ძირს დაანარცხა)— გვაქვს ერთი

⁵ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 3.

⁶ ყოველ მარტივ წინადადებაში ძირითადი პრედიკატული ცენტრი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს.

ირითადი (შასოუ ააფუსთა ღუნკაჲეტ) და ერთიც—დამხმარე (აანგვი ღუნგ) პრედიკატული ცენტრი. ფინიტურ ზმნაში ამჟერად სუბიექტის ნიშანთან ერთად მორფოლოგიურად გამოხატულია პირდაპირი ობიექტის მაწარმოებელიც (ღუნკა-ჲ-ეტ), აბსოლუტივის ფორმაში კი (ღუნგ), რომელიც დამხმარე პრედიკატული ცენტრის მორგანიზებელია, — ოდენ პირდაპირი ობიექტის ნიშანი (სუბიექტის ნიშანი გარდამავალი ზმნის აბსოლუტივებში ჩვეულებრივ არ ჩანს⁷).

მოყვანილ შემთხვევაში სინტაქსურ ურთიერთობას სუბიექტ-ობიექტს შორის, კლას-კატეგორიის აფიქსთა გარდა, სიტყვათა რიგიც გამოხატავს: ის, რაც პირველ ადგილას დგას (შასოუ ააფუსთა)—სუბიექტია, მეორე ადგილი კი პირდაპირი ობიექტისაა. ერგატიული კონსტრუქცია, რომელსაც ამჟერად ორპირიანი გარდამავალი ზმნა ქმნის, გადმოცემულია მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებებით (კლას-კატეგორიის ნიშნები, სიტყვათა რიგი)⁸.

ამგვარად, ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში ერთმანეთს გადახლართულია ძირითადი და დამხმარე პრედიკატული ცენტრები. ამ ვითარებას საფუძვლად უდევს ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა მორფოლოგიურ-სინტაქსური ურთიერთობა.

ინფინიტურ ზმნას (resp. დამხმარე პრედიკატულ ცენტრს) თავის მხრივ შეიძლება ჰქონდეს თავისი სუბიექტი, ობიექტი (ობიექტები), წევრ-გარემოებები⁹. ამიტომ ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს

⁷ იხ. ქვემოთ.


⁸ აქ ჩვენ შედარებით მარტივ მაგალითებს მივმართეთ (საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია), მაგრამ აფხაზურში გვაქვს. შეუდარებელიც რთული აგებულების ზმნებიც, სადაც რამდენიმე აფიქსი იყრას ერთდროულად თავს.

⁹ მაგალითად, წინადადებაში: თათლასთან ჰარა დაჰიჭუზ, შიარა ცქა იშხუ-მღურტაზარ ყალაბ (გ. II, 193) („ის, რაც ჩვენ თათლასთანმა გვიყო, ვგ თქვენ შეიძლება კარგად არ იცოდეთ“)—გვაქვს ორი პრედიკატული ცენტრი: ძირითადი: შიარა ცქა იშხუ-მღურტაზარ ყალაბ და დამხმარე: თათლასთან ჰარა დაჰიჭუზ; თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სუბიექტი და ობიექტი (ობიექტები). ძირითადი ცენტრის სუბიექტია შიარა (თქვენ), პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილია ფაქულტატურად: ზუღ (ვე); დამხმარე პრედიკატული ცენტრის სუბიექტია თათლასთან (თათლასთან), პირდაპირი ობიექტის როლში გამოდის ინფინიტური ზმნა (ამ შემთხვევაში მას არ ახლავს სახელით გამოხატული პირდაპირი ობიექტი) დაჰიჭუზ (ის, რაც მან გვიყო), ირიბი ობიექტია ჰარა (ჩვენ). მაგრამ თუ მხედველობაში ვიჭონიებთ მთლიანად აღებულ წინადადებას, მივიღებთ ასეთ სურათს: სუბიექტია შიარა (თქვენ), ზმნა (შედგენილი): იშხუ-მღურტაზარ ყალაბ (ჩიქობება არ იცოდეთ), ხოლო პირდაპირი ობიექტია მთელი დამხმარე პრედიკატული ცენტრი: თათლასთან ჰარა დაჰიჭუზ (ის, რაც ჩვენ თათლასთანმა გვიყო).


ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში. ამ მხრივ ამ სახის აფხაზური წინადადებისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთპრედიკატულ-ცენტრიან ენათა (მაგ., ქართული ენის) მარტივი წინადადება, სადაც ყველა მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრი ერთი ზმნის გარშემო იყრის თავს¹⁰.

ნათქვამი უფრო ნათელი რომ იყოს, ავიღოთ ქართული ენის ასეთი, გარდამავალი (ორპირიანი) ზმნის შემცველი წინადადება: გუშინ პეტრემ მეზობლის ბაღში მაღალი ხიდან მწიფე ვაშლი ჩამოაგდო.

მოცემულ წინადადებაში ყველა წევრი სინტაქსურად—მართვა-შეთანხმებისა (კოორდინაციისა) და მირთვის საშუალებით—უკავშირდება (უშუალოდ ან რომელიმე სიტყვა-წევრის მეშვეობით) ძირითად ღერძს—ზმნას (ჩ ა მ ო ა გ დ ო):



მსგავსივე ვითარებაა აფხაზურ წინადადებაში, რომელშიც ოდენ ინფინიტური ზმნაა (resp. ერთი პრედიკატული ცენტრია) წარმოდგენილი, მაგალითად: ალხას ეც აყიანტი იხოფჷა აბრი ეფჷშ ადგრა ითეჷტ (ალხასმა გუშინ თავის სოხუმელ ნათლიას ამისთანა (ასეთი) ცნობა მისცა). მოცემულ წინადადებაშიც ყველა წევრი სინტაქსურად უკავშირდება (უშუალოდ ან არაუშუალოდ) ერთადერთ გარდამავალ (სამპირიან) იითეჷტ (მისცა) ზმნას. ეს სქემის სახით რომ გამოვხატოთ, გვექნება:



მაგრამ თუ ავიღებთ აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებას, დავინახავთ, რომ მისი სქემური გამოსახულება გაცილებით

¹⁰ რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ მიიღება შერწყმული სახის წინადადება, სადაც შეიძლება რამდენიმე ერთგვაროვანი შემასვენელი იყოს წარმოდგენილი.

უფრო რთულია. აქ უკვე იშლება სწორხაზოვნება — წინადადების წვერთა პირდაპირი კავშირი ერთადერთ ზმნასთან, რასაც ადგილი ჰქონდა ოდენ ფინიტური ზმნის შემცველ აფხაზურ წინადადებაში (აგრეთვე ქართულ წინადადებაში); წინადადების წვერები ერთმანეთს სინტაქსურად უკავშირდებიან ორი ცენტრის საშუალებით, ე. ი. ვლუბულობით, ასე ვთქვათ, „სართულებრივ“ სინტაქსურ დამოკიდებულებას. მაგალითად, ინჟინტური კონსტრუქციის წინადადება: დარა წუფხ აკოლხხარა აკანტორაჰჟ ინჟიღრგულტ ბუზშია ხკეს აჟთახჟუ ზეგრგლა უზლაცაჟო ატელუჟონ (ხ. 83) (მათ შარშან კოლმეურნეობის კანტორაში დადგეს ტელეფონი, რომლითაც რაგინდარა ენაზე შეგიძლია ილაპარაკო) — გვადლევს ასეთ სურათს:

ბუზშია ხკეს აჟთახჟუ
ზეგრგლა უზლაცაჟო
განსაზ ლერ ება


ატელუჟონ
პირღ. ჰ ობიექტ.

ბუზშია ხკეს აჟთახჟუ ზეგრგლა
უზლაცაჟო ატელუჟონ

↓ ↑ დამხმარე პრედიკატ. ცენტრი ↓ ↑
ძირითადი პრეღ. ცენტრი

დარა წუფხ აკოლხხარა აკანტორაჰჟ
ინჟიღრგულტ

- ფინიტური ↓ ზმნა



როგორ ხდება, რომ დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელსაც აქვს (ან შეიძლება ჰქონდეს) თავისი სუბიექტ-ობიექტი (ობიექტები)¹¹, მაინც სინტაქსურად უკავშირდება ძირითად პრედიკატულ

¹¹ ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათ, სუბიექტ-ობიექტები წინადადებაში წინადადებულ ერთმანეთს ემთხვევა.

ცენტრს? ნუთუ ამისათვის საკმარისია ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა ოდენ მორფოლოგიური მონაცემები?

ცხადია, მორფოლოგიური მომენტი თვალსაჩინო მნიშვნელობისაა ამ ცენტრთა სინტაქსური ურთიერთობისათვის, მაგრამ მთავარი მაინც სხვაგან უნდა ვეძიოთ.

დამხმარე პრედიკატულ ცენტრს ძირითად პრედიკატულ ცენტრთან ასე მტკიცედ ვერ დააკავშირებდა ოდენ მორფოლოგიური მონაცემები, რადგანაც აფხაზური ფორმალურად სიხელი ზმნასთან კავშირში ვერ ქმნის საურთიერთო სინტაქსურ დამოკიდებულებას (მართვა-შეთანხმებას¹²). საქმე ისაა, რომ, როგორც აღინიშნა, ინფინიტური ზმნა თავისი სუბიექტ-ობიექტით (ობიექტებით) თუ წევრ-გარემოებებით წარმოადგენს წინადადებას მინიატურაში, მაგრამ იგი მაინც არაა დასრულებული სახის წინადადება და იძულებული ხდება დაუკავშირდეს ფინიტურ ზმნას, ე. ი. ინფინიტური ზმნა-წინადადების დაუსრულებელი ხასიათის დასრულებულად შეცვლა, როგორც წესი, ფინიტური ზმნის წყალობით ხდება. ეს ნიშნავს: ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში იქმნება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, სინტაქსური ბეჭანიზმი, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა გრამატიკული წინისაა, ერთდენთთან აერთიანებს არა იმდენად ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა მორფოლოგიური მონაცემები, რამდენადაც—ამ ზმნათა განუსაზღვრელი (ჩაუხშავი) და განსაზღვრული (ჩახშული) ხასიათი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი ის „ნაკლს“ (განუსაზღვრელობა ინფინიტური ზმნისა) ლოგიკური აუცილებლობით ავსებს მეორის სრულყოფილება (განსაზღვრულობა ფინიტური ზმნისა). ეს კი, თავის მხრივ, გვაძლევს დასრულებული სახის წინადადებას.

¹² ინფინიტური შესიტყვების ამოღება თვალსაჩინო მორფოლოგიურ-სინტაქსურ ცვლევებს იწვევს აფხაზურის მონათესავე იდილურ ენაში, რაც შეპირობებულია სახელთა ბრუნვის კატეგორიის არსებობით ამ ენაში. აქ ინფინიტური შესიტყვების (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრის) ამოღებას მოჰყვება მარტოვე წინადადების სტრუქტურის შეცვლა: ერთი მხრივ, შეიძლება შეიცვალოს სუბიექტის ბრუნვა, მეორე მხრივ — ფინიტური ზმნის მორფოლოგიური სახე (იხ. Г. В. Рогова; З. И. Керашев, Грамматика адгейского языка, Краснодар, 1966, გვ. 34)

აფხაზურში კი წინადადიდან ინფინიტური შესიტყვების ამოღება რაიმე მორფოლოგიურ-სინტაქსურ ცვლევებს არ იწვევს (იცილება მხოლოდ წინადადების შინაობისობლივი მხარე) რაც საკმარისია უბრალოდ მინიატურაში შეპირობებული. მაგალითად, წინადადებად: „შასოტ ბეხჯე, ზხაგლაზ აინჯეი ღეშეშტ (შასოტმ შევრთავინა დევი მოლა) — ინფინიტური შესიტყვება (ბეხჯე ზხაგლაზ აინჯეი) რომ ამოვიღოთ, გვეჩვენებს: შასოტ ღეშეშტ „შასოტმ მოკლა (იგი, ად)“.

ამგვარიდ:


აფხაზურ ენაში გვაქვს წინადადებათა ორი ჯგუფი: 1. წინადადება, რომელშიც ოდენ ფინიტური (განსაზღვრული, ჩახშული) ზნაა პონაქილობს და 2. წინადადება, რომელშიც ფინიტურ ზნასთან ერთად წარმოდგენილია ინფინიტური (განუსაზღვრელი, ჩაუხშავი) ზნა ან ზნეები (ინფინიტური კონსტრუქციის წინადადება); პირველი სახის წინადადება, რაც სხვა ენათა (მაგალითად, ქართული ენის) წინადადებასთან შედარებით, ვარკვეული გაგებით, არსებითი ხასიათის თავისებურებას არ გვიჩვენებს: აფხაზურშიც, ისევე როგორც ქართულში, ამ შემთხვევაში გვაქვს ერთი პრედიკატული ცენტრი, რომელსაც ქნის ერთადერთი ზნა. მის გარშემო იყრის თავს წინადადების დანარჩენი წევრები. გაცილებით უფრო რთული ვითარებაა მეორე სახის წინადადებაში, სადაც ძირითადის გარდა გვაქვს ერთი ან რამდენიმე დანხმარე პრედიკატული ცენტრი. ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში რამდენიმე პრედიკატული ცენტრის არსებობა ქმნის იმ მნიშვნელოვან სტრუქტურულ (რეპ, სინტაქსურ) თავისებურებას (ძირითადი პრედიკატული ცენტრის დამოკიდებულება დანხმარე პრედიკატულ ცენტრთან თუ ცენტრებთან), რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სიტყვათა რიგის შესწავლა აფხაზურ წინადადებაში.

ჩვენ უკვე ბუნებრივად მივედით კითხვამდე: რა თავისებურებებს გვიჩვენებს სიტყვათა რიგის განხილვა: ა) ფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში და ბ) ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში?

ა) ფინიტური კონსტრუქცია:

ჩან რეკვაგ ლქეთაჟე აწიჟთარა ყალწეატ (საცოდავმა დედამისმა თავის სოფელში ქელები (ტირილი) გამართა).

ამ წინადადებაში წარმოდგენილია ერთი ფინიტური (ორპირიანი გარდამავალი) ზნა, ე. ი. წინადადებას აქვს ოდენ ერთი პრედიკატული ცენტრი, ამიტომ მასში ყველა წევრის ადგილი ერთადერთ ფინიტურ ზნასთან (იყალწეატ) მიზარებით განიხილება:



ბ) ინფინიტური კონსტრუქცია:

ხ-მურ ილასპიჟეტ ბაზრეყია ეცე აქალაქაჟი ისეჟიაზ (ის, რაც გუშინ ბაზრიყვამ ქალაქში მიტხრა, ხიმურს უუამბე)...

გვაქვს ორი ზმნა: ფინიტური (ილასპიეატ) და ინფინიტური (ისეაპიაზ), რომლებიც ქმნიან პრედაკატულ ცენტრებს: ძირითადს: ხმურ ილასპიეატ (ხიმურს ვუამბე) და დამხმარეს: ბაზრგყია ეცგ აქალ აქაჰა ისეაპიაზ (ის, რაც გუშინ ქალაქში ბაზრიყვამ მითხრა).


როგორ, რასთან მიმართებით უნდა გაირკვეს წინადადების წევრთა ადგილი მოცემულ შემთხვევაში? თუ ვიტყვით, რომ ფინიტურ ზმნასთან (ილასპიეატ) მიმართებითა, დავინახავთ, რომ ეს შეუძლებელია. მაგალითად, თუ საყრდენ პრინციპად ფინიტურ ზმნას მივიჩნევთ, სინტაქურად მას უნდა დაუკავშირდეს მთელი წინადადების ყველა დანარჩენი წევრი, მაგრამ მოყვანილ წინადადებაში შემავალი დამხმარე პრედაკატული ცენტრის ზოგი წევრი (ცალკე აღებული) საერთოდ არ შეიძლება დაუკავშირდეს ფინიტურ ზმნას არც სინტაქსურად, არც შინაარსობლივად. ასეთია, მაგალითად, ბაზრგყია; არ შეიძლება ვთქვათ: ბაზრგყია ილასპიეატ, რადგანაც ბაზრგყია მამაკაცს გულისხმობს (მამაკაცის სახელია), ამიტომ მას ზმნა უნდა შეუთანხმდეს კლასში: ბაზრგყია ალასპიეატ „ბაზრიყვას ვუთხარი (იგი, რაღაც)“¹³. დამხმარე პრედაკატული ცენტრის ზოგი წევრი კი ფინიტურ ზმნას შეიძლება დაუკავშიროთ სინტაქსურად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაირღვევა წინადადების შინაარსობლივი მხარე: ეცგ ილასპიეატ (გუშინ ვუთხარი (მას, ღედაკ.), აქალაქაჰა ილასპიეატ (ქალაქში ვუთხარი (მას, ღედაკ.). ფაქტიურად კი საანალიზო წინადადებაში წევრები: ეცგ (გუშინ) და აქალაქაჰა (ქალაქში) სინტაქსურად და შინაარსობლივად უკავშირდება არა ფინიტურ ზმნას (ილასპიეატ), არამედ ინფინიტურს (ისეაპიაზ): ეცგ აქალაქაჰა ისეაპიაზ; მასვე უკავშირდება, როგორც აღვნიშნეთ, ბაზრგყია-ც; გვაქვს: ბაზრგყია ეცგ აქალაქაჰა ისეაპიაზ (ის, რაც გუშინ ქალაქში ბაზრიყვამ მითხრა).

ამგვარად:

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წინადადების წევრის ადგილი იმის მიხედვით უნდა განვიხილოთ, თუ რომელ პრედიკატულ ცენტრს (ძირითადს თუ დამხმარეს) უკავშირდება იგი: გვაქვს, ერთი მხრივ, ძირითადი პრედიკატული ცენტრი: ხმურ ილასპიეატ (ხიმურს ვუამ-

¹³ თუ ამ წინადადებაში ბაზრგყია-ს ნაცულად გვექნება ღედაკაცთა ქვეკლასიო წარმომადგენელი, მაშინ, ცხადია, იგი გრამატიკულად შეიძლება დაუკავშიროთ ფინიტურ ზმნას. მაგრამ დაირღვევა წინადადების შინაარსობლივი მხარე, მაგალითად: ხმურ ილასპიეატ საიდა ეცგ აქალაქაჰა ისეაპიაზ (ის, რაც გუშინ საიდა ქალაქში მითხრა, ხიმურს ვუამბე). საიდა ილასპიეატ (საიდას ვუთხარი) გრამატიკულად სწორი ფორმაა, მაგრამ დარღვეულია შინაარსობლივი მხარე, რადგანაც საიდა მთქმელია და არა ის პირი, რომელსაც ეუბნებაან


ბე (იგი, რაღაც), და, მეორე მხრივ, დამხმარე პრედიკატული ცენტრი: ბაზრგყია ეცგ აქალაქაჰე ისეაჰიაზ (ის, რაც გუშინ ქალაქში ბაზრიყვამ მითხრა):



მაშასადამე: წინადადებაში, რომელშიც ოდენ ფინიტური ზმნა მოწილეობს, სიტყვათა ადგილის გასარკვევად საკმარისი აღმოჩნდა ერთადერთი საზომი—წინადადების წვერთა სწორბაზობრივი სინტაქსური მიმართება ფინიტურ ზმნასთან, ხოლო წინადადებაში, რომელშიც ფინიტურ ზმნასთან ერთად წარმოდგენილია ინფინიტურიც, აუცილებელი გახდა ორგვეარი საზომის გამოყენება: ერთი—ძირითადი პრედიკატული ცენტრისაივის და მეორე—დამხმარე პრედიკატული ცენტრისაივის. ამგვარი მიდგომის აუცილებლობას სიტყვათა რიგის შესწავლისადმი აფხაზური ინფინიტური წყობის წინადადებაში წარმოშობს თვით სპეციფიკა მოცემული კონსტრუქციისა. ეს სპეციფიკა: ჰერ ერთი, სიტყვათა რიგის საკითხს აფხაზურ წინადადებაში, მთელ რიგ სხვა (მათ შორის, იბერიულ-კავკასიურ) ენებთან შეპირისპირებით, აყენებს სულ სხვა სიბრტყეზე, და მეორე, აჩენს გარკვეულ სირთულეებს მისი მეცნიერული ანალიზის პროცესში.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ინფინიტური ზმნა თანმზლები სიტყვებითურთ (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრი) მთელს წინადადებაში ასრულებს სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას: იგი გამოდის სუბიექტის, ობიექტის (პირდაპირისა და ირიბის), გარემოების (დროის, ადგილის, ვითარების და სხვ.) როლში. სხვანაირად რომ ვთქვათ, დამხმარე პრედიკატული ცენტრი წინადადებაში ასრულებს ერთი რომელიმე წვერის მოვალეობას. ამიტომ როცა ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში სიტყვათა რიგის საკითხს ვსწავლობთ, ყოველი დამხმარე პრედიკატული ცენტრის ადგილი სხვა წვერებთან მიმართებით განხილული უნდა იქნეს, როგორც ერთი რომელიმე წვერის ადგილი მთელს წინადადებაში. მაგალითად, მოყვანილ წინადადებაში: ხმურ ილასჰიეატ ბაზრგყია ეცგ აქალაქაჰე ისეაჰიაზ (ის, რაც ბაზრიყვამ გუშინ ქალაქში მითხრა, ხიმურს ვუამბე)—სიტყვათა განლაგება საბოლოოდ ასეთ სურათს მოგვცემდა: პირველ ადგილასაა ირიბი ობიექტი (ხმურ), მეორე ადგილას ფინიტური (ძირითადი) ზმნა (ილასჰიეატ)

და მესამე ადგილას პირდაპირი ობიექტი¹⁴; რომელიც გამოხატულია დამხმარე პრედიატული ცენტრით (ბაზრუცია ეცვ აქალაქაჟე ისემაჟიაზ)¹⁵.



როგორც ვხედავთ, საბოლოოდ საკითხი აქაც ისევე წყდება, როგორც ოდენ ფინიტური ზმნის შემცველ (resp. ერთპრედიატულენჯრან) აუხაზურ წინადადებაში; ამის დადგენა კი თავის მხრივ შესაძლებელი გახდა ძირითად და დამხმარე პრედიატულ ცენტრთა ერთმანეთთან სინტაქსური მიმართების გათვალისწინების საფუძველზე.

აღინიშნა, რომ დასრულებული სახის აუხაზური წინადადების მისაღებად აუკლებელა ფინიტური ზმნა. ეს ასეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თათქას ყველა შემთხვევაში ინფინიტური ზმნა წინ უსწრებდეს ფინიტურს. აუხაზურში არკათ იშვიათაა შემთხვევები, როცა ფინიტურ ზმნას ინფინიტური მოსდევს. ამით, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ იზალუჟა ფინიტური ზმნის სინტაქსური ძალა—იყოს წინადადების დამხმარე პრედიატული (ჩამხმეელი). მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფინიტური ზმნის გადამწყვეტი სინტაქსური პოტენცია ძირითადად თავის ასახვა პოულობს ფორმალურ მხარეშიც, ე. ი. ინფინიტური კონსტრუქციას წინადადებაში ინფინიტურ ზმნას (resp. დამხმარე პრედიატულ ცენტრს) ფინიტური ზმნის (resp. ძირითადი პრედიატული ცენტრის) მიმართ ჩვეულებრივ პრეპოზიცია უქირავს, და ეს აუხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების ბუნებიდან გამომდინარე კანონზომიერებაა: განუსაზღვრელ ფორმას მოსდევს განახლებული (resp. განმსაზღვრელი) ფორმა (ლიაობას მოსდევს ხშვა).

¹⁴ სუბიექტი მოკემულია ფაქულტატურად: სარა (მე); სარა ხმურ ილასიემდ ბაზრუცია ეცვ აქალაქაჟე ისემაჟიაზ „მე ხმურს ვუამბე ის, რაც ბაზრუცია გუშინ ქალაქში მოხრა“.

¹⁵ აქ დაწვრილებით არ ვჩერდებით სიტყვათა რიგთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებებზე; ეს სათანადო ადგილას იქნება ნაჩვენები.

აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში გამოიყო ორი—ძირითადი და დამხმარე—პრედიკატული ცენტრი. ამ სახის წინადადების სინტაგმური დაყოფის თავისებურებანიც¹⁶ სწორედ ამ ცენტრების (გერმ. ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა) არსებობასთანაა დაკავშირებული.

ყოველი წინადადება ჩვეულებრივ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება. წინადადების უმცირესი სინტაქსური ერთეულია ორი წევრის კავშირი—სინტაგმა¹⁷. მაგალითად, ქართულ წინადადებაში: გუშინ თბილისმა გამარჯვების წლისთავი იხეიმა, რომელიც ხუთი სიტყვა-წევრისაგან შე-

¹⁶ ამას კი, როგორც სათანადო აღვილას დავრწმუნდებით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვათა რიგთან დაკავშირებული ზოგი საკითხის გასაშუქებლად.

¹⁷ მთელ რიგ ენათა ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე დადგენილია წესი, რომ მარტივ წინადადებაში იმდენი სინტაგმაა, რამდენიც სიტყვა-წევრია მასში ერთის გამოკლებით. ამგვარად, ჩვეთვის სინტაგმა ოდენ ბინარული მონაცემია. ქართული წინადადების წევრთა ასეთი სინტაგმური დაყოფა, როგორც ცნობილია, მოცემული აქვს ა. შანიძის თავის სახელმძღვანელოებში; იგივე საკითხი სპეციალურადაა განხილული ან. კიზირიას წერილში: „სინტაგმის საკითხისათვის“ (თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954, გვ. 205).

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში სინტაგმის (გერმ. წინადადების სინტაგმური დაყოფის) სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს. ფ. დე სოსიურის მიხედვით სინტაგმა შედგება ორი ან რამდენიმე თანამიმდევრული ერთეულისაგან (იხ. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1937, გვ. 121); ნ. ჩერემისინას აზრით სინტაგმას შეიძლება ქმნიდეს ორზე მეტი სიტყვის კავშირი, ისიც არამარტო სინტაქსური, არამედ, აგრეთვე—რიტმული, სემანტიკური (1) და სხვ. მაგალითად. წინადადებაში: твой честный взгляд у прям и необмыден,—ავტორისათვის სინტაგმაა: твой честн и взгляд, რომელსაც იგი რიტმულ ფიგურას უწოდებს (იხ. Н. В. Череминина, Условия синтагматического членения и синтаксические модели синтагм, კრებული: „Во рос. синтаксиса русского языка“, Уфа, 1968, გვ. 14—19); ამასვე ამბობენ თ. ახმანოვა და გ. მიქაელიანიც (იხ. О. Е. Ахманова, Т. Б. Микаэлян, Современные синтаксические теории, М., 1963, გვ. 65); ა. მელნიჩუკი ფარდობის ხაზს აელვებს წინადადების აქტუალურ და სინტაგმურ დაყოფას შორის (იხ. А. С. Мелничук, Порядок слов и синтагматическое членение предложений в славянских языках, Киев, 1953, გვ. 6); ა. გუკოს აზრით კი სინტაგმა წარმოადგენს რთულ სიტყვას (გერმ. „მორფემათა რთულ შესიტყვებას“), რომელიც რამდენიმე (ორი ან მეტი) მორფემისაგან შედგება (იხ. А. Н. Генко, Абазинский язык, М., 1955, გვ. 85); ვ. ვინოგრადოვის მიხედვით სინტაგმა, წარმოადგენს რა მეტყველებითი მთლიანობის შეკავშირებულ ელემენტს, გამოხატავს სინამდვილის (1) ნაწევრს (იხ. В. В. Виноградов, Понятие синтагмы в синтаксисе русского языка, წიგნი: „Вопросы современного русского языка“, М., 1950, გვ. 248).

დგება, გვაქვს ოთხი 'სინტაგმა: თბილისში იზეიმა, წლისთავი იზეიმა, გუშინ იზეიმა, გამარჯების წლისთავი.

ეს წინადადება კიდევ ერთი სიტყვა-წევრით რომ განვავრცოთ: გუშინ თბილისში გამარჯების დიდი წლისთავი იზეიმა, — გვექნება: თბილისში იზეიმა, გუშინ იზეიმა, წლისთავი იზეიმა, დიდი წლისთავი, გამარჯების წლისთავი.

ამგვარად, სინტაგმათა რიცხვი წევრთა რაოდენობასთან შედარებით ერთით ნაკლებია.

მსგავსივე ვითარება გვაქვს ოდენ ფინიტური ზმნის შემკველ (persp. ერთპრედიკატულცენტრიან) აფხაზურ წინადადებაშიც: აჭაჯაყ აგიგიაჰია ამცა ნთარწეატ (ხ^რ. 44) „ბუხარში გუგუნით (მოგუგუნედ) ცეცხლი დაანთეს“. ამ წინადადების ოთხი სიტყვა-წევრი იძლევა სამ სინტაგმას: აჭაჯაყ (ი)ნთარწეატ, ამცა ნთარწეატ, აგიგიაჰია (ი)ნთარწეატ. ერთი წევრით მისი გავრცობა: აჭაჯაყ აგიგიაჰია ამცა დღუ ნთარწეატ (ბუხარში მოგუგუნედ დიდი ცეცხლი დაანთეს)—სინტაგმათა რიცხვს აქაც ერთით გაზრდის: აჭაჯაყ ინთარწეატ, ამცა ნთარწეატ, ამცა დღუ, აგიგიაჰია ინთარწეატ.

რაც შეეხება აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების სინტაგმურ დაყოფას, აქ რაიმე საერთო კანონზომიერების დადგენა ქირს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ სახის წინადადებისადმი კონკრეტული მიდგომაა საჭირო. სინტაგმათა რაოდენობა აქ ხან ეკედლეება ფინიტური კონსტრუქციის წინადადების სათანადო მონაცემებს, ხანაც გვიჩვენებს გარკვეულ გადახვევებს ცნობილი წესიდან.

გამოიყოფა სამი ძირითადი შემთხვევა:

ა) სინტაგმათა რაოდენობა ერთით ნაკლებია წინადადებაში წარმოდგენილ წევრთა რაოდენობასთან შედარებით.

ბ) სინტაგმათა რაოდენობა ეტოლება სიტყვა-წევრთა რიცხვს;

გ) სინტაგმათა რაოდენობა ერთით მეტია წევრთა რიცხვთან შედარებით:

ა) სინტაგმათა რიცხვი ერთით ნაკლებია წინადადებაში წარმოდგენილ სიტყვა-წევრთა რაოდენობასთან შედარებით:

სარა ხ^რმურ ილასჰიეატ ბაზრჯყია ეცგ აქალაქაჰო ისეჰიაზ (ის, რაც გუშინ ქალაქში ბაზრიყვამ მითხრა, მე ხიმურს ვუამბე): სარა ილასჰიეატ, ხ^რმურ ილასჰიეატ, ბაზრჯყია ისეჰიაზ, ეცგ ისეჰიაზ, აქალაქაჰო ისეჰიაზ, ილასჰიეატ ისეჰიაზ (7:6);

ეცგ სარა აყიაბჟ ჰასჰიაზ, ჟარა იხოჟმწეატ (ამბავი, რომელიც გუშინ ვითხარი, არ დაიჯერე (შენ, მამაკ.): სარა (ა)ჰასჰიაზ, აყიაბჟ

უასპიაზ, ეცე ჟუასპიაზ, უარა იხოტმწეგტ, ჟუასპიაზ იხოტმწეგტ¹⁸
(6:5);

ჟარა დანცა, სარა ჟა სეყამგზტ (როცა იგი წავიდა, მე იქ არ ვიყავი): ჟარა დანცა, დანცა სეყამგზტ, სარა სეყამგზტ, ჟა სეყამგზტ (5:4);

ხრგფს მოსკვა დანააჟ, სარა აჟგნივერსიტეტ სთან (როცა ხრიფსი მოსკოვში ჩამოვიდა, მე უნივერსიტეტში ვსწავლობდი): ხრგფს დანააჟ, მოსკვა დანააჟ, აჟგნივერსიტეტ სთან, სარა სთან, დანააჟ სთან (6:5).

მოცემული შემთხვევები ერთი შეხედვით თითქოს არაფრით არ განსხვავდება აფხაზურივე ფინიტური კონსტრუქციისა და სხვა ენათა ერთპრედიკატულცენტრიანი წინადადების სინტაგმური დაყოფისაგან: აქაც სინტაგმათა რაოდენობა წინადადებაში წარმოდგენილ წევრთა რიცხვთან შედარებით ერთით ნაკლებია.

მაგრამ თუ სათანადო ფაქტებს კარგად დაუყვირდებით, დავინახავთ, რომ აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების სინტაგმური დაყოფა მნიშვნელოვან თავისებურებას გვიჩვენებს.

საქმე ისაა, რომ დამხმარე პრედიკატული ცენტრი (resp. ინფინიტური შესიტყვება) აფხაზურში გამოდის სხვა ენათა დამოკიდებული წინადადების როლში, ე. ი. იგი შემადგენელი ნაწილია კონსტრუქციისა, რომელიც სხვა ენათა რთული დაქვემდებარებული წინადადების ფუნქციას ასრულებს¹⁹.

ახლა ვნახოთ რას იძლევა სხვა ენათა რთული დაქვემდებარებულ წინადადების სინტაგმური დაყოფა. ავიღოთ, მაგალითად, ქართული წინადადება: დღეს ქუჩაში შევხვდი თბილისელ ამხანაგს, რომელიც გუშინ ჩამოსულიყო: დღეს შევხვდი, ქუჩაში შევხვდი, ამხანაგს შევხვდი. თბილისელ ამხანაგს, რომელიც ჩამოსულიყო, გუშინ ჩამოსულიყო.

¹⁸ ამავე წინადადებაში შეიძლება გამოგვეყო, აგრეთვე, სინტაგმა: აჟობჟ იხოტმწეგტ, მაგრამ ეს არ იქნებოდა გამართლებული, რადგანაც აჟობჟ (ამბაი), რომელიც დამხმარე პრედიკატული ცენტრის (ეცე სარა აჟობჟ უასპიაზ) პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს, ივლსისზება ზმნის იონინტურ (resp. „მიმლობურ“) ფორმაში: აჟ ასპიაზ (ის, რაც ვითხარი); ეს უკანასკნელი კი შემადგენელი ნაწილია სინტაგმისა: აჟ ასპიაზ იხოტმწეგტ, ამიტომ აჟობჟ იხოტმწეგტ — ის ცალკე სინტაგმად გამოყოფა ფაქტიურად მოასწავებდა განმეორებას იმ სინტაგმისა რომელსაც ჰმნის ინფინიტური და ფინიტური ზმნების სინტაქსური კავშირი (აჟ ასპიაზ იხოტმწეგტ „ის, რაც ვითხარი, არ დაიჯერე (შენ, მამაჟ.)“).

¹⁹ თავისი ფორმალური (resp. გრამატიკული) ნიშან-თვისებების მიხედვით ასეთი აფხაზური წინადადება მინც მარტივი წინადადებაა.

როგორც ვხედავთ, ქართული რთული დაქვემდებარებული წინადადების რვა სიტყვა-წევრმა მოგვცა ექვსი სინტაგმა, ე. ი. ორით ნაკლები, ვიდრე სიტყვა-წევრებია წინადადებაში წარმოდგენილი. აფხაზურში კი, როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაშიც სინტაგმათა რიცხვი ერთითაა (და არა ორით) ნაკლები წევრთა: რაოდენობასთან შედარებით. და ეს ასეც იყო მოსალოდნელი: კონსტრუქციის სპეციფიკურობა (ძირითად და დამხმარე პრედიკატულ ცენტრთა არსებობა) არ შეიძლებოდა ერთგვარად არ ასახულიყო მის სინტაგმურ დაყოფაშიც. ის ფაქტი, რომ სინტაგმათა რაოდენობა სხვა ენათა მსგავსივე სახის²⁰ წინადადებისაყან კანსხვევებთან იძლევა ერთით მეტ სინტაგმას, გვევლინება როგორც ზუსტი ანარეკლი კონსტრუქციის თავისებურებისა—ინფინიტურობისა²¹: ამ ზედმეტ სინტაგმას ქმნის ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა სინტაქსური დამოკიდებულება.

ბ) სინტაგმათა რაოდენობა პროპორციულია წევრთა რაოდენობისა:

ჯგჯა აჰისაქია აჯნე ინდილწნე ირლასნე აბრაზ აააეტ (ორი ქალი სახლიდან გამოვიდა რა, სწრაფად აქ მოვიდა): ჯგჯა აჰისაქია, აჰისაქია ინდილწნე, აჯნე ინდილწნე, აჰისაქია აააეტ, აბრაზ აააეტ, ირლასნე აააეტ, ინდილწნე აააეტ (7:7);

კ აგია არწიააჰია დრეკჰაჰიანე ჩეჰიწივლა დრეჟილანე რეჩაქია ირეჰიყაყა იკაენე რაბჯარ აარემხნე დარა ეჰიფაბ იჰაჰიანე ინადაფტეყეტ (ლ. 65) (კიაგუამ გამყივანად დასწყვიელა რა, „ცხენმკერდით“ დაეჯახა, მათი ცხენები ძირს გაშლართვით“ დაანარცხა, იარალი აჰყარა, მაგრად შებორკა რა, წინ გაირეკა): კ აგია ინადაფტეყეტ, არ-

²⁰ მხიდელობაშია რთული დაქვემდებარებული წინადადება.

²¹ აფხაზურში ჰიპოტაქსის უქონლობის ერთ-ერთ საბუთად, ვფიქრობთ, ისიც გამოდგება, რომ ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების სინტაგმური დაყოფა სრულიად სხვა სურათს გვიჩვენებს. ვიდრე სხვა ენათა (კერძოდ, ქართლის) რთული დაქვემდებარებული წინადადებისა. ჩატარება იმ ენობრივი „ოპარაციისა“, რაც ამ თვალსაზრისით შესაძლებელი ხდება აფხაზურში (ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა სინტაქსური დამოკიდებულების შედეგად მიღებული სინტაგმა), სრულიად შეუძლებელია ქართული ენის დაქვემდებარებული წინადადების მიმართ. მაგალითად, როგორც დავინახეთ, რვაწევრიანმა ქართულმა წინადადებამ (დღეს ქუჩაში შეგვლი თა.ლისელ აშხანაგს, რომელიც გუშინ ჩამოსულყო) მოგვცა ექვსი სინტაგმა. ამას იქით სინტაგმათა რაოდენობა არ მიდის; მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნები სინტაგმას არ ქმნიან: არ შეიძლება ვთქვათ: „შევგვლი ჩამოსულყო“, მაგრამ სავესებით ბუნებრივია აფხაზური „ილასჰიეტ ისეჰაიზ“ (ის, რაც მან (მამაკ.) მოხრა, მას (ღედაყ.) ვუამბე).

კვებით დავინახეთ, რომ აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების სინტაგმური დაყოფის თავისებურებანი კიდევ უფრო შორს მიდის.

წიამპია ღრქიპიპიანგ, კაგია ღრქიპიპიანგ, ჩიევიწიგლა ღრქილანგ, კაგია ღრქილანგ, რეჩიქია კაენგ, კაგია იკაენგ, კაგია ირქიქიყა იკაენგ, კაგია ექიფიან²² იქიპიპიანგ, რაბჯარ აარეშენგ, კაგია აარეშენგ; დარა ქიპიპიანგ, კაგია იქიპიპიანგ, იქიპიპიანგ ინაიათუგეცუ (14: 14);

ჰაჯ სმელ ითა, ღნააძაზ იკნგ ააგეიარა დანააგ, ითჰიეს მარაზნაკ დნემგაკია ჯარა ჳნგ აუნგ დნენგ მარა იმალა დნემტ (ლ. 104) (ჰაჯი სმელი თავისი აღმზრდელის სახლის მახლობლად რომ მივიდა, თავისი ცოლი პირდაპირ (იქ) არ მიიყვანა, რომელიღაც სახლში დატოვა რა, თვითონ მივიდა): ჰაჯ სმელ ითა დანააგ, ღნააძაზ იკნგ, იკნგ ააგეიარა. ააგეიარა დანააგ, ათჰიეს დნემგაკია, მარაზნაკ დნემგაკია, მარა²³ იმალა დნემტ, დნემგაკია დნემტ, დნენგ დნემტ, ჳნგ აუნგ დნენგ, ჯარა დნენგ, ჰაჯ სმელ ითა დნემტ, დანააგ დნემტ (13: 13).

გ) სინ ჳაგმათა რიცხვი სიტყვა-წვერთა რაოდენობასთან შედარებით ერთით მეტია:

ათაცააგაცია ათაცა ღრგმა აგიაქჰია აშია ჰიო აჰ იგეიარა ინგქიწგტ (ლ 280) (მაყრებს პატარძალი მიჰყავდათ რა, სიმღერით ბატონის ეზოდან გავიდნენ): ათაცააგაცია ნგქიწგტ, იგეიარა ინგქიწგტ, აჰ იგეიარა, ათაცააგაცია ღრგმა, ათაცა ღრგმა, ღრგმა ინგქიწგტ, ათაცააგაცია აშია ჰიო, აგიაქჰია აშია ჰიო, აშია ჰიო ინგქიწგტ (8: 9);

მარა აყია დანააგ, ამშოგნ ახგქი აჰიგ ახან დგტქია იშოგგლაზ იბეტ (როცა იგი (აღ.) სოხუმში ჩამოვიდა, დაინახა, რომ ზღვისპირად

²² ზოგი აბსოლუტური წინადადებაში მომდევნო აბსოლუტურის ამსახლად გვევლინება, ე. ი. სინტაქსურად უკავშირდება არა ზმნას (ფინიტურს თუ ინფინიტურს), როგორც ეს საერთოდაა გატარებული აფხაზურში, არამედ—ისევე აბსოლუტურს. ასეთი აბსოლუტური, ცალკე აღებული, რომელიმე წვერთან კავშირში არ ქმნის სინტაგმას. ორივე ერთად კი, უკავშირდება რა წინადადების რომელიმე წვერს, იძლევა სინტაგმას: კაგია ექიფიანგ იქიპიპიანგ; კაგია ირქიქიყა იკაენგ (მდრ.: „ნაწილაკები და თანდებულები (ქართულში—მ. ც.) წინადადების ცალკე წვერებად არ გამოიყოფიან, ამიტომ ისინი სინტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ... ცალკე ნაწილაკები ან თანდებულები არ შეიძლება დუკავშირდნენ სინტაგმურად სხვა დატარებულ წვერს, ისინი იმ სიტყვებთან ერთად, რომელთაც ერთვან, უკავშირდებიან სხვა სიტყვას და მთლიანად წარმოადგენენ სინტაგმის კომპონენტს. მაგალითად, „ყოველ ცისპარე დღეს ქიანჭველები გაემგზავრებოდნენ ხოლმე ბალისაყენ“... აქ ხოლმე ნაწილაკი ერთვის შემადგენელს („გაემგზავრებოდნენ“), ორივე ერთად სინტაგმის ქმნის ქვემდებარესთან ან ადგილის გარემოებასთან: „ქიანჭველები გავემგზავრებოდნენ ხოლმე; გავემგზავრებოდნენ ხოლმე ბალისაყენ“ (ა. კიზირია, სინტაგმის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954, გვ. 213).

²³ მარა აქ „ნაწილაკი“ როლს ასრულებს (მარა იმაღა „იგი თვითონ“—„თვითონ იგი“) და ამიტომ ზმნასთან (დნემტ) კავშირში ცალკე სინტაგმას არ ქმნის.

დიდი სახლები (სასახლეები) იდგა). მარა დანაჲ, აყია დანაჲ, მარა იბეჲტ, ახან(ქია) იბეჲტ, ახან ღჲქია, ახან(ქია) შიგლაზ, იშიგლაზ იბეჲტ, ახგქი აჲჲგ იშიგლაზ, ამშჲგ ახგქი აჲჲგ, დანაჲ იბეჲტ (9 : 10).

ამგვარად:

ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების სინტაგმური დაყოფისას სხვა მომენტებთან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმასაც, თუ რა შინაგანი თავისებურებებით ხასიათდება თვით ეს კონსტრუქცია. სწორედ ეს შინაგანი თავისებურებანი (ინფინიტურ ზმნათა რაოდენობა, ამ ზმნათა სხვადასხვაგვარობა გაფორმების მხრივ²⁴ და სხვ.) შეაპირობებენ სინტაგმთა რაოდენობის მერყევ ხასიათს ამ ტიპის წინადადებაში.

აფხაზური წინადადების სინტაგმური დაყოფა, როგორც დავინახეთ, მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რაც გამოწვეულია ზმნათა ორი სახეობის—ფინიტურისა და ინფინიტურის—არსებობით. ამ სიძნელეთა დაძლევა კი აუცილებელია, რადგანაც იგი გვშველის სინათლე შევიტანოთ აფხაზური წინადადების (resp. აფხაზური შესიტყვების) რთულ მექანიზმში.

²⁴ მაგალითად, სინტაგმათა რიცხვის მერყეობას ყველაზე უფრო ადგილი აქვს იმ ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში, სადაც დამხმარე პრედიკატულ ცენტრებს აბსოლუტივები ქმნის (მნიშვნელობა მარა აქვს იმას, რომ ასეთ წინადადებაში შეიძლება აყოს, აგრეთვე, დამხმარე პრედიკატული ცენტრები, რომლებსაც ნაცვალსახელოვან ან საგარემოებოაფიქსიანი ინფინიტური ზმნები ქმნის). აბსოლუტივი კი, როგორც ცნობილია, აფხაზურში ზმნებს ერთმანეთთან სინტაქსურად აკავშირებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ წინადადების სინტაგმური დაყოფისას ადგილი აქვს ერთი და მთავე აბსოლუტივის რამდენჯერმე განმეორებას, რაც სინტაგმათა რიცხვის ზრდას მოასწავებს.

თავი მორამ

სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები. სიტყვათა რიგი ერგატიული კონსტრუქციის სიბრტყეზე

სიტყვათა რიგი ასრულებს გარკვეულ სინტაქსურ როლს აფხაზური შესიტყვების ორგანიზაციაში.

აფხაზური სახელები არ იბრუნვის. ამიტომ აქ სიტყვათა დამოკიდებულების სახეები არაა ისე გაშუქვითილად წარმოდგენილი, როგორც, ვთქვათ, ქართულურ ენებშია. სახელთა უბრუნველობა მიზეზი იმისა, რომ სიტყვათა რიგს აფხაზური შესიტყვების ორგანიზაციაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ქართველურსა და, საერთოდ, იმ ენებში, სადაც სიტყვათა შორის სინტაქსურ დამოკიდებულებას აფიქსები უფრო მკვეთრად გამოხატავენ.

ყოველ შესიტყვებას თავისი განსაზღვრული სიტყვათა რიგი აქვს. ამ რიგის შეცვლა ან დარღვევა ჩვეულებრივ იწვევს უხერხულობას, ხანდახან კი — სრულ უაზრობას. განსაკუთრებით ეს ითქმის სიტყვათა განლაგებაზე აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში, სადაც სიტყვათა რიგი ხშირად ფიქსირებულია¹. ამიტომ ამ სახის აფხაზურ შესიტყვებაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული სიტყვათა რიგის როლი.

მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, აუცილებელია გავერკვეთ თვით შესიტყვების რაობაში საერთოდ, და, კერძოდ, იმ ნიშან-თვისებებში, რომელთაც ამ მხრივ აფხაზური ენის მონაცემები იძლევა.

შესიტყვების საკითხი, რომელიც სინტაქსის ცენტრალური პრობლემათაგანია, სხვადასხვაგვარად დგას სხვადასხვა ენაში. ყოველ ენას შესიტყვების თავისებური კანონები აქვს. არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს შესიტყვებისა და წინადადების ისეთი განსაზღვრება, რომელიც გამოსაღვი იქნებოდა ყველა ენისათვის. და ეს იმიტომ, რომ „წინადადება სინტაქსის ცნებაა, სინტაქსი კი შესიტყვებათა შესახებ მოძღვრებაა. ცხადია, წინადადების ბედი უშუალოდ არის დაკავშირებული შესიტყვების თვისება-თავისებურებებთან; შესიტყვება შეიძლება შედ-

¹ იხ. ქვემოთ.

გებოდეს როგორც ფორზიან, ისე უფორმო სიტყვათაგან. შესიტყვება შეიძლება შექმნას ან სიტყვათა დამოკიდებულებამ, ანდა სიტყვათა განრიგებამ, ან კიდევ ინტონაციამ. ერთსა და იმავე ენაში შეუძლებელია სამივე თანაბარ როლს თამაშობდეს²“.

ამგვარად, როცა ამა თუ იმ ენაში შესიტყვების საკითხს ვიკვლევთ, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ამ ენის თავისებურებას: როგორია იგი: აფიქსიანია თუ უაფიქსო, რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება მისი სახელი (ბრუნვიანია თუ უბრუნველი) და ზმნა (გარდამავალია თუ გარდაუვალი, მონოპერსონალურია თუ პოლიპერსონალური) და სხვ. თავისებურებანი ამ ნიშან-თვისებებში ქმნის თავისებურებებს შესიტყვებაში. ამათ გათვალისწინებას, ბუნებრივია, ხშირად სხვადასხვაგვარ დასკვნამდე მივყავართ სხვადასხვა ენის შესიტყვების კვალთვითვისას, მაგალითად, ირკვევა, რომ რუსულ ენაში მართვა-წესებულების ცენტრს ქვემდებარე წარმოადგენს, ქართულში კი შემასმენელი³. რუსული ენის მონოპერსონალური ზმნა ვერ ქმნის ქართული ენისათვის დამახასიათებელ საურთიერთო მართვას. ამიტომ რუსულ ენაში სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა მართვის, შეთანხმების ან მართვის სახით წარმოგვიდგება, ქართულში კი პოლიპერსონალური ზმნის წყალობით მართვის გვერდით (აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიანი წინადადება) გვაქვს კოორდინაცია (რელატიურ-გარდაუვალზმნიანი და რელატიურ-გარდამავალზმნიანი წინადადებები). კოორდინაცია, რომელიც რთულ სინტაქსურ ურთიერთობას წარმოადგენს, უცხოა რუსული ენისათვის⁴.

მაგრამ ამ თავისებურებათა გაზოგლენა დრდად არის იმაზე დამოკიდებული, თუ რა პრინციპი გვაქვს საყრდენად შესიტყვების, როგორც ორგანიზებული სინტაქსური ერთეულის, განსაზღვრისას⁵. ამ

² ა. რ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 125.

³ იქვე, გვ. 232.

⁴ ამ საკითხის შესახებ იხ. ა. რ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 210 და შემდგ.

⁵ ე. წ. ფუნქციონალური სტრუქტურალიზმის ავტორი გამოძახილია ა. სმირნიცის (А. И. Смирницкий, Синтаксис английского языка, М., 1957) თვალსაზრისი—წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების შესახებ. როგორც ო. ახმანოვა და გ. მიქაელიანი აღნიშნავენ, სმირნიცი გამოყოფს სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის სამ ტიპს: ა) ქვემდებარე-შემასმენელს შორის არსებულ პარადიკატული კავშირი; იგი აყალიბებს მთელ წინადადებას, როგორც შინაგანად დამოაჯრებულ მთლიანობას, ბ) ატრებუტული კავშირი, რის შედეგადაც სიტყვები ქმნიან წინადადებაში შემავალ ერთიან კომპ-

მხრივ სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი შესიტყვებასა და წინადადებას ერთმანეთს უპირისპირებენ; მათ მიაჩნიათ, რომ ის, რაც შესიტყვებას წარმოადგენს, არ შეიძლება წინადადება იყოს, და პირუტყვ; მეორენი კი თვლიან, რომ წინადადება და შესიტყვება ერთმანეთს არ უპირისპირდება, წინადადება ერთ-ერთი სახის შესიტყვებაა. ენება რა ა. პეშკოვსკის შეხედულებებს იმის შესახებ, რომ წინადადების გაგება შეიძლება გამომდინარეობდეს შესიტყვების გაგებიდან⁶, ვ. ვინოგრადოვი წერს, რომ შესიტყვება და წინადადება სხვადასხვა რიგის სემანტიკური და სტილისტიკური ცნებებია; ისინი აზროვნების სხვადასხვა ფორმებს წვესატყვისებიან. წინადადება შესიტყვების სახეობას სრულიადაც არ წარმოადგენსა⁷. ვინოგრადოვი პეშკოვსკის უსაყვედურებს, რომ იგი შესიტყვებასა და წინადადებას ერთმანეთში ურევსო⁸.

ასეთსავე აზრს ავითარებს ვინოგრადოვი უფრო გვიანდელ ნაშრომშიც. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ წესიერება და წინადადება თვისობრივად განსხვავებული სინტაქსური კატეგორიებიან⁹.

მართალია, ა. პეშკოვსკი თავის წიგნში¹⁰ არ იძლევა ნათელ განსაზღვრებას იმისა, თუ რას წარმოადგენს შესიტყვება, მის მსჯელობაში ადგილი აქვს წინააღმდეგობებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მკვლევარი მკაცრად არ მიჯნავს ერთმანეთისაგან წინადადებასა და შესიტყვებას. და ესაა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფასეული მის თვალსაზრისში.

შესიტყვებასა და წინადადებას ერთმანეთს უპირისპირებს ვ. სუხოტინიც. აკრიტიკებს რა ფორტუნატოვის შეხედულებას იმის შესახებ,

ლექსს, და ვ) კომპლექტური (ком левни и) კავშირი, რომელიც ატრიაბულ-საგან განსხვავებით, ავსებს და ავრცობს წინადადებას, აღებული როგორც ერთ მთლიანობას და არა მის ცალკეულ წევრებს; მას უპირავს შუალედური მდგომარეობა პრედუკტულ და ატრიაბულ სიტაქსურ კავშირთა შორის. ატრიაბულ კავშირსაგან განსხვავებით, რომელიც მუდამ იძლევა შესიტყვებას, სიტყვათა კომპლექტური კავშირი წინადადებაში წარმოადგენს განკარგობული და ჩართული სიტყვების ამ მიმართვის სახით (аб. О. С. Ахманова, Г. Б. Микаэлян, Современные синтаксические теории, М., 1963, გვ. 145—146).

⁶ ეს ნიშნავს: შესიტყვება მოიცავს წინადადებასაც.

⁷ В. В. Виноградов, Идеалистические основы синтаксической систем проф. А. М. Пешковского, ее эклектизм и внутренние противоречия, კრებული: „Во росы синтаксиса современного русского языка“, М., 1950, გვ. 38

⁸ იქვე გვ. 41.

⁹ В. В. Виноградов, Словосочетание как предмет синтаксиса, წიგნი: „Грамматика русского языка“, т. II, ч. I, М., 1954, გვ. 11.

¹⁰ А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1916.

რომ შესიტყვება შეიძლება მთელ წინადადებას უღრიდეს, ავტორი წერს: შესიტყვებაში გულისხმობენ წინადადებასაც და მის ნაწილებსაც, რასაც, ერთი მხრივ, მივყავართ შესიტყვების ცნების მეტისმეტ გაფართოებამდე, ხოლო, მეორე მხრივ, წინადადების საკითხის მეორე პლანზე გადაადგილებამდე¹¹.

ო. სიროტინინა კი კატეგორიულად აღნიშნავს: წინადადების მთავარი წევრები შესიტყვებას არ ქმნიანო¹².

შეხედულება, რომელიც წინადადებას ერთ-ერთი სახის შესიტყვებად მიიჩნევს, სწორი არ არისო, — აბობს ვ. იარცევა¹³.

როგორია საპირისპირო აზრი?

შესიტყვება — ესაა სინტაქსური დამოკიდებულება სიტყვათა შორის. ამ დამოკიდებულებას ქმნის მართვა, შეთანხმება, მართვა-შეთანხმება, მირთვა, სიტყვათა რიგი, კოორდინაცია (ქართულში). დამოკიდებულების ამ სახეთა ხვედრითი წონა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ენაში: ზოგი მეტადაა გავრცელებული, ზოგიც ნაკლებ, ანდა სულაც არაა წარმოდგენილი. სიტყვათა ურთიერთობა, რომელიც ერთ-ერთ, ან ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ამ სახეზეა დაფუძნებული, ხან ქმნის წინადადებას, ხანაც — ვერა, მაგრამ ორსავე შემთხვევაში მაინც საქმე გვაქვს შესიტყვებასთან. აუცილებელი არაა ყოველი შესიტყვება წინადადებას წარმოადგენდეს, მაგრამ ყოველი წინადადება კი ან შესიტყვებაა ანდა შეიცავს შესიტყვებას.

ამგვარად, შესიტყვება სიტყვათა ორგანიზებული შენაერთია; მას ქმნის სიტყვათა შორის დამოკიდებულება, წინადადება და შესიტყვება ერთმანეთს არ უპირისპირდება. შესიტყვება შეიძლება წარმოადგენდეს მთელს წინადადებას ან მის ნაწილს¹⁴ (არნ. ჩიქობავა, ფ. ფორტუნატოვი¹⁵, ა. კიზირია).

¹¹ В. П. Сухотин, Проблема словосочетания в современном русском языке, კრებული: „Вопросы синтаксиса современного русского языка“, М., 1950, გვ. 133.

¹² О. Б. Сиротинина, Порядок слов в русском языке, Автореф. докт. дисс., Саратов, 1966, გვ. 32.

¹³ В. Н. Ярцева, Предложение и словосочетание, კრებული: „Вопросы грамматического строя“, М., 1955, გვ. 439.

¹⁴ ქვემოთ, საკითხთა განხილვისას, ჩვენც შესიტყვების ამგვარ გაგებას ვეყრდნობით.

¹⁵ ფ. ფორტუნატოვი პირდაპირ აღნიშნავს: დამთავრებული შესიტყვება და სრული წინადადება ერთმანეთში სინთონიმებს წარმოადგენენო (იხ. Ф. Ф. Фортунатов, Избранные труды, I, М., 1956, გვ. 182). ფორტუნატოვისეულ ამ განსაზღვრებაში, ცხადია, მეტისმეტად გაფართოებულია შესიტყვების ცნება, და ამ მხრივ ის დაზუსტებას საჭიროებს.

მაგრამ ყოველგვარი დამოკიდებულება სიტყვათა შორის, სიტყვათა ყოველგვარი ორგანიზებული შენაერთი არ მიიჩნევა შესიტყვებად, რამდენადაც ეს უკანასკნელი გულისხმობს გაბატონებულსა და დამოკიდებულ კომპონენტებს. შესიტყვების ერთი კომპონენტი მუდამ გაბატონებულია, ძირითადია, მეორე—მასზე დამოკიდებული. ერთი სიტყვით, შესიტყვება გულისხმობს დაქვემდებარების მომენტს. ამიტომ შესიტყვებად არ მიიჩნევა თანასწორუფლებიან სიტყვათა ისეთი კავშირები, როგორიცაა: ანი აბი „ღელა და მამა“, ხაწეა ფჰიგსეა „კაცი და ქალი“ (ცოლ-ქმარი), ღვჯღჟა ეჰიანგჟა „მიწა და ცა“ და სხვ. ანდა კომპოზიტური წარმოებები: აკოლნხარა „კოლმეურნეობა“, ასოენხარა „საბჭოთა მეურნეობა“, არაჰსოვეტ „რაისაბჭო“, ძიქია (← აძე ეაქია) „წყალშავა“ (შავწყალა), აძეფშა (← აძე ფშა) „წყალკურთხევა“, ალზაწი (← ალ ზაწი) „თხმელა ერთადერთი“ (ადგილის სახელწოდება აფხაზეთში), აშეიფჯრა „წიგნწერა“ (მწერლობა), ამრაგლარა || || ამრაგლარათა „მზეაღმოსახლომი (ადგილი)“ (= აღმოსავლეთი), ამრათაშეარა || ამრათაშეარათა „მზეჩასავალი (ადგილი)“ (= დასავლეთი) და სხვ.

ყოველ შესიტყვებაში სულ მცირე ორი სიტყვაა წარმოდგენილი. ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან შეიძლება დაკავშირებული იყოს მართვით, შეთანხმებით, მართვა-შეთანხმებით, კოორდინაციის საშუალებით, შირთვით, ადგილმდებარეობით და სხვ. აფხაზურში, სახელთა უბრუნველობის გამო, შესიტყვებაში შემავალ კომპონენტთა სინტაქსური დამოკიდებულება გაცილებით მარტივია არამარტო ქართული ენის სათანადო ფაქტთან, არამედ რუსულისასთან შედარებითაც. აფხაზურ ენაში სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების სახეებია შეთანხმება, შირთვა და ადგილმდებარეობა (სიტყვათა რიგი). არა გვაქვს მართვა¹⁶ და, შირთვით, კოორდინაცია. ამ სახეებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ შეთანხმება, რომელსაც, ასე ვთქვათ, ორი მხარე აქვს: ა) სახელი თანხმებს ზმნას¹⁷ კლასში, აჩენს მასში სათანადო კლას-კატეგორიის ნიშანს, და ბ) სახელი თანხმებს სახელს ან ზმნას რიცხვში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ა) შეთანხმება ადამიანთა კლასში:

აჟაუგ ღ-ცოაღტ „კაცი მიდის“

¹⁶ სიტყვათა ურთიერთობის ეს ფორმა წარმოდგენილია ადგილურ და ქართველურ ენებში.

¹⁷ აფხაზური ზმნა უძლურია რაიმე სახის ცვლილება გამოიწვიოს სახელში.

ახიკვ ღ-გგლოტბ „ბავშვი დგას“

აქასთა იქიგ-ჲ- რგგ-

ლოჯტ „ხურო აშენებს (მას, რალაცას)“

აშიარგკავ ო-შგჯტ „მონადირემ მოკლა (იგი, რალაც)“

ამასვე აქვეს ადგილი სახელთა შორის კუთვნილებითი და ზოგი სხვა სახის დამოკიდებულების აღნიშვნისას:

აპოეტ	ო-შიყიჲ	„პოეტის წინი“
ჰაჯთ	ო-ლაკი	„ჰაითის ზღაპარი“
ასას	ო-ცარა	„სტუმრის წასვლა“
ახიკვ	ჲ-აფხ-ა	„ბავშვის წინ“
ავგზა	ო-ყნ	„ამხანაგთან“

აღამიანთა კლასში გამოიყოფა მამაკაცთა და დედაკაცთა ქვეკლასი.

მამაკაცთა ქვეკლასში შეთანხმება გვაქვს მაგალითებში: ჟარა უ-ცოჯტ „შენ (მამაკ.) მიღიხარ“, ჟარა იყო-ჟ-წოჯტ „შენ (მამაკ.) აკეთებ (მას, რალაცას)“, ჯარა იყა-ჲ- წოჯტ „იგი (მამაკ.) აკეთებს (მას, რალაცას)“, ჟარა უ-ჰიჲ „შენთან (მამაკ.)“, ავგზა ო-ჰიჲ „ამხანაგთან“... დედაკაცთა ქვეკლასში: ბარა ბ-ცოჯტ „შენ (დედაკ.) მიღიხარ“, ბარა იყა-ბ-წოჯტ „შენ (დედაკ.) აკეთებ (მას, რალაცას)“; ბარა ბ-ხიკვ „შენი (დედაკ.) ბავშვი“, ბარა ბ-ჰიჲ „შენთან (დედაკ.)“, აფჰიგზა ლ-პატ-რეთ „ქალიშვილის პორტრეტი“, ლარა ლ-აარა „მისი (დედაკ.) მოსვლა“, ლარა ლ-აფხ-ა „მისი (დედაკ.) წინ“ და ა. შ.

ბ) შეთანხმება ნივთთა კლასში:

- აწკს ალაჟგ ღ-ა-შგჯტ „ჩიტმა დევი მოკლა“;
- აბგახიკვ იყა-ნა-წიჯტ „მელიამ ჩაიღინა (იგი, რალაც)“;
- ამში ა-ფა „დათვის შვილი“ (დათვის ბელი);
- აცგიგ ა-ფხ-ა „კატის წინ“...

გ) შეთანხმება რიცხვში:

სახელი (არსებითი, ნაცვალსახელი), თუ იგი შესიტყვებაში სუბიექტის როლს ასრულებს, ითანხმებს ზმნას რიცხვში:

აჟაჯგ ღ-ცოჯტ (კაცი მიღის) — აჟაა (ი)ცოჯტ (კაცები მიღიან = ხალხი მიღის);

ჟარა უ-ცოჯტ (შენ (მამაკ.) მიღიხარ) — შიარა ში-ცოჯტ (თქვენ მიღიხართ);

აწაჯგ ღ-აფხ-ოჯტ (მოწაფე კითხულობს (მას რალაცას) — აწაჯცა (ა)აფხ-ოჯტ (მოწაფეები კითხულობენ (მას რალაცას);

ჟარა ჟ-აფხ-ოჯტ (შენ) (მამაკ.) კითხულო ბ (მას, რალაცას) — შიარა

ში-აფხროტ „თქვენ კითხულობთ (მას, რალაცას)“;

სარა ს-აფხროტ (მე ვკითხულობ (მას, რალაცას)—ჰარა ჰაფხროტ
(ჩვენ ვკითხულობთ (მას, რალაცას);

ახიგჰე იყა-ა-წოატი (ბავშვი აკეთებს (მას, რალაცას)—ახიგჰეია
იყა-რწოატი (ბავშვები აკეთებენ (მას, რალაცას);

ანხავჯ ი-გოატი (გლებს მიაქვს (იგი რალაცა)—ანხაცია ი-გოატი
(გლებებს მიაქვთ (იგი, რალაცა).)

შეთანხმება რიცხვში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ატრიბუტულ
სინტაგმაშიც:

აძლამ ფშაძა (გოგო ლამაზი)—აძლამცია ფშაძაცია/ქია (გოგოები
ლამაზები);

აქციენ ბზია (ბიჭი კარგი)—აქციენცია ბზიაცია/ქია (ბიჭები კარ-
გები)...

ცნობილია, რომ აფხაზურ ენაში თანდებულები ხშირად მტკი-
ცედ არაა შეზრდილი სახელს და შესიტყვებაში ცალკეცაა წარმო-
დგებილი. აფხაზური სახელი ჩვეულებრივ ითანხმებს თანდებულს
კლასსა და რიცხვში, მაგალითად: ღარა ი-ჰვჟ „მასთან (მამაკ.)“, შღრ.
ღარა რ-ჰვჟ „მათთან“ (ბაზრგყიარაა რჰვჟ აციენ (ხ. 61) „ბაზ-
რიყვანთსა იყო“; ხმურ ლჰვჟ „ხიმურთან, ხიმურისას“, შღრ. ხმურ-
რაა რჰვჟ ღააჟ ღყან (ხ. 45) „ხიმურაანთსა მოსული (მოსვლით,
მოსულად) იყო (იგი, ად.)“...

ასევე ჩვეულებრივია სახელის მიერ ზმნისართის რიცხვში შე-
თანხმების შემთხვევები: ღარა რ-ნავს აჟავჯ ღგღან „მათ შემღევ
კაცი იღვა“ (შღრ. ღარა ი-ნავს „მის (ად.) შემღევ“).

ღ) მირთვა:

აფხაზურ შესიტყვებაში დიდი ზვედრი წონა აქვს მირთვას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ უძველეს პერიოდში ენებში სი-
ტყვათა შორის დამოკიდებულების ამყამად არსებული სახეებიდან მხო-
ლოდ მირთვა უნდა გვექონოდა: შეთანხმება და მართვა მეორეული
ხასიათის მოვლენებია. ამას მხარს უჭერს ქართული ენის მონაცემთა
ისტორიული ანალიზიც. „მირთვაში ურთიერთობის უძველესი ფორმაა
შემონახული, ხოლო შეთანხმება და მართვა ჩამოყალიბდა ზმნისა და
სახელის გრამატიკული კატეგორიების საფუძველზე. მირთვა, როგორც
სინტაქსური დამოკიდებულების სახე, დაუპირისპირდა ორ დანარჩენს
მაშინ, როცა სინტაქსური ურთიერთობა დამყარდა ზმნისა და სათანა-
დო სახელს შორის¹⁸“.

¹⁸ ა. კობორია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში,
თბ., 1963, გვ. 57.

აფხაზურში შეიძლება მიერთოს: ზ მ ნ ა ს — ს ა ხ ე ლ ი (აფიქსიანი): ნაპულა აააფხიშშააატ „ხელით მოსინჯა, ხელა მოუფათურა“; (ააართა ზენძა დაზააფიანგ დეგლტ, ნაპულა აააფხიშშააატ (ხ. 80) „საწოლთან სულ ახლოს დადგა (იგი, ად.) ხელით მოსინჯა (იგი, რალაც)“; ზ მ ნ ა ს — უფორმო სიტყვა: ეცგ დააატ „გუშინ მოვიდა (იგი, ად.), აყთა დააატ „სოხუმში (ჩა)მოვიდა (იგი, ად.)“; აბრა დეგლოტპ „აქ დგას (იგი, ად.)“. სახელს (მიმლოზას) — უფორმო სიტყვა: ზენძა ინიქეჟტ¹⁹ „ძალზე პატარა; (ის, რაც ძალიან პატარაა)“; დაარა იბ-ზიოტჟ „ძალიან კარგი“; არსებით სახელს — ზედსართავი სახელი: აჟუჯ ბზია „კაცი კეთილი“; აფხიგზბა ფშმა „ქალიშვილი ლა-მაზი“...

საგულისხმოა, რომ მრავლობითი რიცხვი არსებით სახელში ასეთ შემთხვევებში შეიძლება ხან გამოხატული იყოს გრამატიკულად (აფა-ცთა ააპაბაცთა „ვაფიშვილები უფროსები“, ააშცთა ააწბცთა „ძმები უმცროსები“), ხანაც არა (აბგრკ შილაქია „ჭალარა მოხუცები“, აძბახხ ბააფსქია „ცუდი ამბები“, აწლა დჟქია „დიდი (მალალი) ხეები“) — ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზედსართავი სახელის მრავლობითობის _ცთა II -ქთა სუჟიქსები პოტენციალურად²⁰ იგულისხმება არსებით სა-ხელშიც.

არსებით სახელს მიერთვის, აგრეთვე, -ტოჟ სუფიქსიანი სახელები: ანტოგ კიმაან „ოქროს დოქი“, არაძენჯი ლემპარჯ „ვერცხლის საყურე“, ანტოჟ მადალიონ „ოქროს მედალიონი“ და სხვ.²¹

ზმნისართი აფხაზურში მიერთვის ზმნას, არსებით სახელს, ნაცვალსახელს, მასდარს, აბსოლუტივს და სხვ.

ა) ზმნას მიერთვის ვითარების ზმნისართი, მაგალითად: ტუგს დშეგყაზ ღრჯეგჯზ იწაგ ილილიანგ იწააატ (ლ 38) „ასე რომ იყო (იგი, ად.), კვლავ უფრო ძლიერად გაიყინა“; დჟქიშიიიტ აბას: ჟარა უფაცთა აქენშაააჟა ანრგზპალაკ, უკნგ ულაქია თურხააატ პია (ლ 34) „ასე დასწყევლა: როცა შენი შვილები დაიზრდებიან, დაგი-ჭირონ (და) შენთვის თვალებიც დაუთხრიათ“; ხმურ აკაკალა ილგიალაშიეატ ლეჟარსა იზგ პატგხი ილეჟაქიაანჯ (ხ. 126)

¹⁹ ამგვარ ფორმებს, მართლაც, ზმნური (ინფინიტური) გაგებაც აქვთ, მაგრამ ძინი სხვა ენათა ზედსართავი სახელს, მიმლოზის (განსაზღვრების) როლსაც ასრუ-ლებენ (იხ. ქვემოთ).

²⁰ თუმცა რეალურად ასეთი ფაქტები ნიეთთა კატეგორიის სახელში არ გვხვდება.

²¹ მართლაც, -ტოჟ კუთვნილებით (resp. პოსესიურ) დამოკიდებულებას გად-მოსცემს, მაგრამ ეს დამოკიდებულება უამაფიქსოდაცაა წარმოდგენილი, მაგალითად: არაძენ ლემპარჯ „ვერცხლის საყურე“...

„ხიმურს სათითაოდ გაახსენდა, რაც პატუხს მისთვის უთქვამს“; აჭგ რ-
300 დ ჯ ა წ ყ ე მ ტ მეზ (ხ. 10) „მეზი სწრაფად წამოხტა“; აბზი-
აჭგ-აცვგ აჭგ ლ ა ს ს გ-ლ ა ს ს გ პ ა ე ქ ი შ ი ა ლ ო ნ (ხ.39) „ქირსა
და ლხინში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს“.

ბ) ზმნას მიერთვის დროის ზნისართი: აღგ რ ჯ ა ჩ ი ნ გ შ ე კ ძ ა
აღგგაჟი იფა დიმიანგ დ დ ი გ ქ ი გ ლ ტ ი ხ გ ა ხ ჯ ა ხ ა ზ (ლ. 177) „მეორე
დღეს ბერიკაცი შევილიანად (შვილის თან ყოლით) გაემართა იმ მი-
მართულებით, საითკენაც თავი პქონდა მიქეუული (გზას ალაღბედზე,
საეგებოდ დაადგა)“; ზ ნ გ ჟ ი ა ნ გ გ ლ (ლ. 28) „ჯერ დაიცადე (= ცო-
ტა ხანს დაიცადე)“; წ ე ჟ ხ ი პ ა ტ ე ზ ა ფ შ ი ა ქ ა ა ე ყ ე მ ძ ა ი შ ი ა პ ა თ ა ხ გ ჟ ი პ ა-
ზ ხ ა რ ა ტ ი ე მ ა კ ა ნ ა გ ო ჯ ი პ ა მ ო ჟ ე ბ (ხ.85) „შარშან მიღებულ სიმინდი
ახალ მოსავლამდე სამჯოფად აქლაც ვეაქვს“; პ ა ჯ ნ ე ბ ა ნ ა ა ა ნ ხ ს ზ
შ ი ა რ თ ა ბ ე მ ა მ (ხ. 15) „ჩვენს სახლში მოსვლას შემდეგ (რაკი ჩვენსას
მოხველი), საშიშროება არ გელის (შენ, დედაკ.)“.

გ) ზმნას მიერთვის ადგილის ზნისართი: ა ხ ზ ფ ჩ ე ნ ე ნ ა ყ ი ნ კ ა-
რ ე ე ჟ ე მ ტ (ლ 71) „თავს (გა)უპობს რა, იქითკენ (გა)ისვრის“; სა-
პ ა ა ა ნ ა ი შ თ ო ჟ ე ბ (ლ. 28) „ჩემი ხმალი მანდ დევს“; ა პ ა ყ ა ჯ რ ა ჯ პ ი ე
რ გ ჩ ა მ ა ი რ გ ს ნ ე შ თ ა ხ ლ ა ი დ ი გ ქ ი ლ ე მ ტ (ხ. 9) „ცხენების ქენე-
ბით უკან გაბრუნდნენ“; კ ე ჯ ა ა რ ზ ა პ ა ლ კ ნ ე ჯ ა რ ა ჟ ა წ ი ყ ა ა ნ ა ჩ ა ლ-
ნი ყ ი ნ ა ი თ ე მ ტ (ხ. 25) „ეიქამ განცხადება დაწერა რა, იქვე უფ-
როსს გადასცა“.

ახლა, როცა ერთგვარი წარმოდგენა ევაქვს აფხაზური შესი-
ტყვეების შესახებ, შეგვიძლია დავუბრუნდეთ საკითხს: როგორია სი-
ტყვათა რიგის მნიშვნელობა აფხაზური შესიტყვეების სტრუქტურაში.

დავიწყოთ ატრიბუტული სინტაგმით.

სპეციალურ ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული, რომ
შესიტყვებაში სიტყვათა რიგი ასრულებს წმინდა გრამატიკულ ფუნქ-
ციებს²²; სიტყვათა ფორმებისა და დანხმარე სიტყვების გარდა შესი-
ტყვეების სტრუქტურაში ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვათა რიგის რო-
ლი²³; არც ერთ ენაში სიტყვათა რიგი შემთხვევითი არაა; წინადადე-
ბის წევრები განლაგებულია ერთმანეთთან მათი დამოკიდებულების

²² О. А. Л а п т е в а, Расположение единичного качественного прила-
гательного в составе атрибутивного словосочетания в русских текстах XI—
XVII вв., Автореф. канд. дисс., М., 1962, с. 5.

²³ Грамматика русского языка, т. II, ч. I, М., 1954, с. 37.

მიხედვით. მაგალითად, მართული სიტყვა ნორმალურად დგას იმ სიტყვის გვერდით²⁴, რომელსაც ის ეწეობა, მართული წევრი (გარემოება) თავსდება იმ წევრის მახლობლად, რომელსაც ის მიერთვის (შემასმენლას მახლობლად²⁵) და ა. შ. ამასთან ზაზგასმულია, რომ, რაც უფრო სუსტია გრამატიკული (resp. სინტაქსური) კავშირი შესიტყვებაში, მით უფრო მეტ როლს თამაშობს სიტყვათა რიგი მის ორგანიზაციაში²⁶.

საზღვრულ-მსაზღვრელი ერთმანეთს უკავშირდება მირთვისა და შეთანხმების (კლასსა და რიცხვში) საშუალებით. მირთვა უაფექსობას გულისხმობს; ამიტომ აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში შემავალი კომპონენტები იძულებული არიან წინადადებაში ჩვეულებრივ კონტაქტურად დალაგდნენ. ზედსართავი სახელი პოსტპოზიციურად მიერთვის არსებით სახელს, მაგალითად: აჭაჟ გ'ანგ'აშე „კაცი ცბიერი“, აჭაჟ ჰალალ „კაცი კეთილი“, გიყრა ბააფსკე „გასაჭირი რამ ცუდი“, აჭაჟ ყიფშე „კაცი ჰკვიანი“, აწხ ეაქიაწია „ღამე ბნელი“, ათაკიაეთ რეცკა „დედაბერი საცოდავი“ და სხვ.

მოყვანილ ატრიბუტულ სინტაგმებში წარმოდგენილია სიტყვათა მტკიცე რიგი. თუ სათანადო ქართულ შესიტყვებაში სიტყვათა განლაგების უმტკიფეულოდ შეცვლა შეიძლება²⁷ (კაცი ცბიერი, მაგრამ: ცბიერი კაცი; თევზი დიდი, მაგრამ: დიდი თევზი; ბერიკაცი საწყალი, მაგრამ: საწყალი ბერიკაცი), ამას ვერ ვიტყვით აფხაზური ენის სათანადო მონაცემების შესახებ. აქ თითქმის შეუძლებელია ასეთი ობერაციის ჩატარება; არ შეიძლება გ'ანგ'აშე ჰაჟ, რეცკა ათაკიაეთ, დეჟ აფსკე²⁸...

სურათი არ იცვლება არც მრავლობითში, სადაც ზოგჯერ შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეთანხმებას რიცხვში: აჰკიფხცია გ'ანგ'აშეჰია :

²⁴ მხედველობაშია ინდოევროპული ენები.

²⁵ E. И. Шендельс, Порядок слов в главном предложении в современном немецком языке, ქურნალი: „Иностранные языки в школе“, № 6, М., 1948, გვ. 20.

²⁶ O. Б. Спроткина, Порядок слов в русском языке, Саратов, 1965, გვ. 31.

²⁷ ქართულში სიტყვათა გადაადგილებას ხშირად ახლავს სტილისტიკურ-ემოციური ფერის შეცვლა (იხ. ქვემოთ).

²⁸ გამონაკლისების შესახებ იხ. ქვემოთ.

ყმაწვილები ცხიერებო), ათაკა ეცია რუკაქია (დედაბ რები საწყლები მაგრამ არ შეიძლება: განგაშეია აკიენცია...

როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგი გადამწყვეტი საშუალებაა სინტაქსური ურთიერთობის გამოსახატავად იმ ატრიბუტულ სინტაგმაში, რომელსაც ქმნის არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის კავშირი; სიტყვათა განლაგებაა, თუ შეიძლება ასეთი თქვას, ამ ურთიერთობის „შინაარსი“, მის „ფორმას“ კი მირთვა წარმოადგენს.²⁹

დაახლოებით ეგვევ ვითარება გვაქვს, როცა მირთულ (პრეპოზიციულ) მსაზღვრელად გამოყენებულია: ა) -ტი აფიქსიანი ზედსართავი (ნაარსებითალი ან ზმნისართული) სახელი: აბგრძენტი წკ „აბრეშუმის კაბა“, ახტიე კიდან „ოქროს დოქი“, არაძენტი წიცა „ვერცხლის ქიქა“, აღიტიე ჳნე „ფიცრის (ფიცრული) სახლი“, რაფხატიე აფხიგს „პირველი ცოლი“, აწყატიე აში „ქეედა კარი“³⁰; ბ) რაოდენობითი რიცხვითი სახელი: ჳ-კამბაშკ „ორი კამეჩი“, ჟია-საათკ „ათი საათი“, ბეჳ-შხაკ „შვიდი მთა“; გ) რიგითი რიცხვითი სახელი: აფშბატიე აეტაჟო „მეოთხე სართული“, ახიბატიე აკლას „მეხუთე კლასი“, აკტიე ანომერ „პირველი ნომერი“; ახიგშო რზე „მეხუთე დღისთვის“ დ) ჩვენებითი ნაცვალსახელი: არი აწკს „ეს ჩიტი“, ჟუა ატეხა „იმ ღამეს“, აბრი ალგვაჟი „ეს ბერიკაცი“, უბრი აბაა „ეგ ციხე-სიმაგრე“. ართ აშიყიქია „ეს(ენი) წიგნები“, ურთ აჟიბჟქია „ეგ(ენი) ამბები“; ე) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: ესგჟახა „ყოველდამ“ და სხვ.

აქვე უნდა შევხვთ ერთ მომენტსაც ამ ტიპის ატრიბუტულ სინტაგმაში.

ცნობილია, რომ იმ ენებში, რომელთაც კარგად განვითარებული ბრუნებისა და უღვლილების კატეგორიები აქვთ, მსაზღვრელ-საზღვრული წინადადებაში შეიძლება წარმოადგენილი იყოს როგორც კონტაქტურად, ასევე დისტანციურად. მსაზღვრელის დისტანციურობა წინადადებაში ასრულებს გარკვეულ სტილისტიკურ როლს. სიტყვათა

²⁹ როცა ვამბობთ: სიტყვათა განლაგების „ფორმას“ ატრიბუტულ სინტაგმაში მირთვა წარმოადგენსო, მოკემულ შემთხვევაში ამით მხოლოდ ხაზი ესმის სიტყვათა რიგის უპირველეს როლს მირთვასთან შედარებით. შეიძლება გვეთქვა: რამდენადაც მირთვა ამ შემთხვევაში რაიმე ფუნქციას არ ასრულებს, სიტყვათა რიგი ასეთ ატრიბუტულ სინტაგმაში სინტაქსური ურთიერთობის ერთადერთი საშუალებააო.

³⁰ იხ. აქვე, გვ. 36 (სქოლიო).

ნეიტრალური (resp. ნორმატიული—მ. ც.) რიგის დარღვევა, — აღნიშნავს ე. შენდელსი, — რომელიმე წინადადების სემანტიკური²¹ წონის გაზრდის მიზნით ხდება მაშინ, როცა, წინააღმდეგ ძირითადი სინტაქსური კავშირისა, რომელიმე წევრი სწყდება მეორეს, რომელსაც ის ეწყობოდა, მართავდა ან რომლითაც მართული იყო; ამ ხერხის ეფექტურობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ სინტაქსური კავშირის რა საშუალება დაირღვა²².

ქართულში ამ ხერხს ძირითადად სტილისტიკური დანიშნულება აქვს, ანდა ამას მიმართავენ, აგრეთვე, პოეტურ ნაწარმოებში მეტრისა თუ რიტმის დასაცავად. მსაზღვრელის საზღვრულისაგან გათიშვას ნშირად მოსდევს სათანადო გრამატიკული ცვლილება. „წინ დასმული ატრიბუტული მსაზღვრელი, თუ ის გათიშულია საზღვრულისაგან, ბრუნვიანი ხდება. ითქმის: „ქრელ კაბას“, „მწვანე ფოთოლს“, მაგრამ: ქრელს ჩაეიკომდი კაბასა (ბახტრ.), მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი“ (გოგოთ. და აფშ.)... წინ დასმული მართული მსაზღვრელი, თუ ის გათიშულია საზღვრულისაგან, მართულ-შეთანხმებული ხდება. ითქმის: „კელის ნებას არ გვაძლევს“, მაგრამ: „კელიას არ გვაძლევს ნებასა“... „სიყვარულისას დავსწნავ გვირგვინსა“...“

აფხაზურში საზღვრულ-მსაზღვრელის გათიშვა თითქმის წარმოუდგენელია: აჭაუგ ბზია დააატ (|| დააატ აჭაუგ ბზია) „ქეთილი კაცი მოვიდა“, მაგრამ ვერ ვიტყვი: აჭაუგ დააატ ბზია, ანდა: ბზია დააატ აჭაუგ (შღრ. კაცი მოვიდა ქეთილი, გოგო მოყვარდა ლამაზი...).

ამგვარად, აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში კონტაქტურობის უზრუნველყოფა ის აუცილებელი პირობაა, რომელიც შესიტყვებას, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, თავის უფლებებს ანიჭებს. შესიტყვების კონტაქტურობის (resp. შესიტყვების ორგანიზაციის) უზრუნველყოფაში კი, როგორც დავრწმუნდით, უპირველეს როლს სიტყვათა რიგი ასრულებს.

²¹ „სემანტიკური“ აქ ავტორს (ე. შენდელსს) ნახმარი აქვს „სტილისტიკურის“ მნიშვნელობით.

²² Е. И. Шендельс, Порядок слов в главном предложении в современном немецком языке, ჟურნალი: „Иностранные языки в школе“, № 1, М., 1948, გვ. 22.

²³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 93 (იხ. აგრეთვე: ლ. კვაჭიძე თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 178).

როგორია ვითარება სხვა ტიპის ატრიბუტულ სინტაგმებში?

განსაზღვრებად გამოყენებული სუბსტანტივეური სახელი აფხაზურში წარმოდგენილია პრეპოზიციულად; იგი ითანხმებს არსებით სახელს კლასსა და რიცხვში: ა) კლასში: აბზარბზან ა-ბეგ „ქვემეხის ხმა“, აკი-მან ა-ხე „ლოქის თავი“, ამში ა-ჭატი „დათვის საკვები“, აპ ი-ჩაბრა „ბატონის ცხვირსახოცი“, ხმურ ლ-ჭადა „ხიმურის ოთახი“, ადაჭე ი-ღემპა „ღვეის ყური“; ბ) რიცხვში: აბზარბზანქია რუბე (ქია) „ქვემეხების ხმა (ხმები)“, აკიმაანქია რუბე (ქია) „ლოქების თავი (თავეები)“, აპცია რჩაბრა (ქია) „ბატონების ცხვირსახოცი (ცხვირსახოცები)“, ადა-ჭეცია რღემპა (ქია) „ღვეების ყური (ყურები)“ და სხვ.

აქაც სიტყვათა რიგი მტკიცედაა განსაზღვრული. არ შეიძლება ვთქვათ ახე აკიმაან, აბეჯე აბზარბზან, იჩაბრა აპ, ლჭადე ხმურ (მდრ. ქართ. თავი ლოქის(ა), ხმა ქვემეხის(ა), ცხვირსახოცი ბატონის(ა), ოთახი ხიმურის(ა), არამედ უსათუოდ: აკიმაან ახე, აპ იჩაბრა, ხმურ ლჭადა...

ამგვარად, იმ ატრიბუტულ სინტაგმებში, სადაც ადგილი აქვს შეთანხმებას კლასსა და რიცხვში, მდგომარეობა უცვლელი რჩება: სიტყვათა რიგი აქაც სინტაქსური ურთიერთობის არა ერთადერთი, მაგრამ ძირითადი საშუალებაა; აქაც იგი ამ ურთიერთობის არსს, შინაარსს შეადგენს, ხოლო შეთანხმება კლასსა და რიცხვში კი, როგორც ამ შინაარსის გარეგანი, ფორმობლივი გამოხატულება, მეორეხარისხოვან (თუმცა აუცილებელ) როლს თამაშობს.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგი ატრიბუტულ სინტაგმაში ავლენს კანონზომიერებას, რომელიც გულისხმობს იმის აუცილებლობას, რომ: ა) ზოგი მსაზღვრელი პრეპოზიციულად იქნეს წარმოდგენილი, და ბ) ზოგი კი—პოსტპოზიციურად²⁴. პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი: სუბსტანტივეური მსაზღვრელი, ინფინიტური ზმნის ზოგიერთი ფორმა (ე. წ. მიმღებური ფორმა), ჩვენებითი, პირის, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ზოგიერთი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, რაოდენობითი რიცხვითი სახელები ოცამდე, რიგითი რიცხვითი სახელები; პოსტპოზიციითა უჭირავთ: ზედსართავ სახელებს, ზოგიერთ განსაზღვრებით ნაცვალსახელს²⁵.

²⁴ ის მცირე გამოწაკისები, როცა ერთ და იმავე ტიპის მსაზღვრელი ლაბილურ პოზიციას გვიჩვენებს (იხ. ქვემოთ), არაა პრინციპული ღირებულებისა.

²⁵ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თავში: „სიტყვათა რიგი ატრიბუტულ სინტაგმაში“.

ყოველგვარად ეს ნიშნავს: განსაზღვრების პრეპოზიცი-
პოსტპოზიციად არის ის აუცილებელი პირობა, რომე-
ლიც სათანადო შემთხვევებში უზრუნველყოფს აფხა-
ზური შესიტყვებას ორგანიზაციას.

* * *

აფხაზურში შესიტყვებას ქმნის, აგრეთვე: ა) წინადადების ძირი-
თადი წევრები — სუბიექტი და ზმნა: აჭაჯღ დცოაღტ „ქატი მიდის“,
ახიკქღ დღჯლოჟტ „ბავშვი დგას“, აჭასთა იქიჯარგჯლოაღტ „ხურო
აშენებს (მას, რალაცას)“... ბ) პირდაპირი ობიექტი და ზმნა:
აჯნღ გქიჯარგჯლოაღტ „სახლი ააშენა (მან, მამაკ.)“, აფხიკღ დაააგჯაღტ „ცოლი
მოიყვანა (მან, მამაკ.)“, აწია იქიჯაღტ „ვაშლი შეკამა (მან, მამაკ.)“ ... გ) ირი-
ბი ობიექტი და ზმნა: აბრი დაზხიკჯაღტ „ამაზე ჩაფიქრდა (იგი, ად.) (=ამას
ჩაუფიქრდა)“, აჯჯა იითიჯაღტ „ამხანაგს მისცა მან (მამაკ.) იგი (რალაც)“...
დ) დროის გარემოება და ზმნა: ეცღ დაააღტ „გუშინ მოვიდა (იგი, ად.)“,
წჯტხ იყააწიჯაღტ „შარშან გააკეთა (იგი, რალაც)“, ეწა დააზგოაღტ „დღეს
მოვიყვან (მას, ად.)“... ე) ადგილის გარემოება და ზმნა: უბრა დგჯ-
ლოჟტ „იქ დგას (იგი, ად.)“, აბრაზ მარგოაღტ „აქეთ მოაქეთ (იგი,
რალაც)“... ვ) ვითარების გარემოება და ზმნა: იბზიანჯ იყააწიჯაღტ
„ქარგად გააკეთა (იგი, რალაც)“, იგიბზიანჯ დჯყოჟტ „ქარგად (ჯან-
მრთელად) არის (იგი, ად.)“ და სხვ.²⁶

მოყვანილ მაგალითებში ზმნას ყველგან მეორე ადგილი უჭირავს
და ესაა ჩვეულებრივი, ზუნებრივი წყობა აფხაზური ენის ამ ტიპის
შესიტყვებათათვის. მაგრამ აქ, ზემოთ განხილული ატრიბუტული სინ-
ტაგმებისაგან განსხვავებით, შესიტყვების კომპონენტთა ადგილის შე-
ცვლას არ მივყავართ შესიტყვების დარღვევამდე, მაგალითად,
ა) ზმნა — სუბიექტი: იყააწიჯაღტ აჭასთა „ააშენა ხურომ (იგი, რა-
ლაცა)“, ზმნა — პირდაპირი ობიექტი: იქიჯარგჯლოაღტ აჯნღ „ააშენა
სახლი (მან, მამაკ.)“, გ) ზმნა — ირიბი ობიექტი: იითიჯაღტ აჯჯა „მისცა
ამხანაგს (იგი, რალაც)“, დ) ზმნა — ვითარების გარემოება: იყააწიჯაღტ
იბზიანჯ „გააკეთა ქარგად (იგი, რალაც)“ და სხვ.

პირველი წყების მაგალითები (აჭაჯღ დცოაღტ...) შესიტყვების პირ-
დაპირ რიგს გვიჩვენებს, მეორე წყებისა (დცოაღტ აჭაჯჯღ...) — ინვერ-
სიულს²⁷.

²⁶ ამ შესიტყვებებში გვაქვს ხან შეთანხმება (კლასსა და რიცხვში), ხანაც —
პირთვა.

²⁷ თვით „ინვერსიული“ წყობაც მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება ნორმა-
ტიულ ვითარებას გადამოკცემდეს, ე. ი. ინვერსიული ყოველთვის არ ნიშნავს
არაბუნებრივ რიგს (ამის შესახებ იხ. თავი: „სიტყვათა რიგი წინადადებაში“).

არის თუ არა მათ შორის რაიმე სახის განსხვავება? კლასში შეთანხმებას ორივე რიგი (პირდაპირიცა და ინვერსიულიც) ერთგვარად ბაღმოსცემს: აჭასთა იყა-ა-წეატ — იყა-ა-წეატ აჭასთა „ხურომ ააშენა (იგი, რალაც)“. რაც შეეხება რიცხვში შეთანხმებას (როცა ამას ადგილი აქვს), აქაც ერთგვარობა სუფევს: აჭასთაცთა იყა-ა-წეატ — იყა-ა-წეატ აჭასთაცთა „ააშენეს ხუროებმა“...

მაგრამ პირდაპირ და ინვერსიულ რიგებს შორის არსებული სხვაობა შეიძლება საგრძნობი ვახდეს, თუ სათანადო შესიტყვებებს ვინმართ კონტექსტში, ანდა მეორეხარისხოვანი წევრებით გართულებულ წინადადებაში. ეს სხვაობა სტილისტიკური ხასიათისა იქნება³⁸. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ, როგორც აღინიშნა, ინვერსიასთან მუდამ სტილისტიკური ნიუანსი იყოს დაკავშირებული, სტილისტიკური იერის შექმნა შესაძლებლობაა და არა — აუცილებლობა.

მაშასადამე, სიტყვათა რიგი არ არის ერთადერთი (resp. ვადამწყვეტი) სინტაქსური საშუალება მოცემულ შესიტყვებათა ორგანიზაციისათვის (სიტყვათა რიგის დარღვევა არ იწვევს სინტაქსური კანონების დარღვევას), მაგრამ ენა ინდიფერენტული მანც არაა ამ უკანასკნელის მიმართ: სიტყვათა ბუნებრივი, ნორმატიული რიგის ცვლის შედეგად წინადადებამ შეიძლება შეიძინოს გარკვეული სტილისტიკური (ექსპრესიულ-გამომხატველობითი) შეფერილობა³⁹.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით იმ შესიტყვებების შესახებ, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტია ადგილის ან დროის გარემოება. დროისა და ადგილის გარემოების ადგილი ყველაზე ლაბილურია წინადადებაში⁴⁰. შესაძლოა ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ გარემოებები აზრობრივად (resp. სტილისტიკურად), როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურ-

³⁸ ამ მხრივ საკლებით დამაჯერებელია ე. კროტევიჩის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სიტყვათა რიგის სტილისტიკური მნიშვნელობა წინადადებაში მკლავნდება. შესიტყვების შემადგენლობაში (ავტორის შესიტყვება თავისებურად ესმის — მ. ც.) — წერს ე. კროტევიჩი, — წევრთა ადგილის გარკვევა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხია; მით უმეტეს, რომ სიტყვათა რიგი შესიტყვებაში ოდენ გრამატიკულ როლს ასრულებს; სტილისტიკური მნიშვნელობა სიტყვათა რიგმა შეიძლება წინადადებაში შეიძინოს (იხ. E. B. Кротович, Слово сочетание как строительный материал предложения, Львов, 1936, გვ. 17—13).

³⁹ მართალია, მსგავსი მიზნით სიტყვათა რიგის ცვლას აფხაზურ ენაში არცთუ ისე ხშირად აქვს ადგილი პროზაულ მეტყველებაში (იგი ხშირია პოეზიაში), მაგრამ ეს უკვე საკითხის მეორე მხარეა და იგი არაფერს ცვლის აქ წარმოდგენილი დასკვნითი ხასიათის დებულებაში.

⁴⁰ შლრ.: „ზმისართები და საერთოდ საგარემოებო სიტყვები განლაგების საგრძნობი თავისუფლებით სარგებლობენ“ (Ф. И. Буслев, Историческая грамматика русского языка, М., 1959, გვ. 560).

რაშეცა აღნიშნული, ჩვეულებრივ უკავშირდებათ არა იმდენად წინადადების რომელიმე ერთ წევრს, არამედ მთელ შესიტყვებას, წინადადებას. ამ მხრივ საკვებით გასაზიარებელი ჩანს ბ. ფორჩხუას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „წინადადების შინაარსის დროში და სივრცეში დაზუსტებას ემსახურება ადგილის და დროის გარემოებები. ზმნა-შემასმენლის აგებულებაში ერთგვარად ასახულია ის შინაარსი, რომელსაც დროისა და ადგილის გარემოებები გადმოსცემს: დროის გარემოება აზუსტებს მოქმედების დროს, რომელიც წინადადებაში უკვე მოცემულია იმით, რომ ზმნა წარმოდგენილია ამა თუ იმ დროის ფორმით (სათანადო სუფიქსებით). ასევე, ადგილისა და დროის გარემოებებსა და შემასმენელს შორის არამხოლოდ შინაარსეული კავშირი არსებობს, არამედ სინტაქსური დამოკიდებულების მსგავსი ურთიერთობაც. იგი მირთვაზე უფრო მართვას, აფიქსებით გამოხატულ ურთიერთობას, წააგავს (თანდებულებიანი დროის ცარემოების შემთხვევაში — შეთანხმებასაც კი: განვედ ჩემგან, სახლში შევიდა...). ამ პირობებში ამ სიტყვების ურთიერთობის გამოსახატავად არაა სავალდებულო განსაკუთრებული სიახლოვე წინადადებაში“⁴¹.

ამასვე უსვამს ხაზს ა. გვოზღევიც, როცა აღნიშნავს: პირველი ადგილი წინადადებაში იმის მაჩვენებელია, რომ გარემოება მთლიანად წიხადადებას განეკუთვნებაო⁴².

ამიტომ აფხაზურშიც ადგილისა და დროის გარემოებათა ადგილი შეიძლება უმტიკვენულოდ (წინადადების სტილისტიკური იერის გადასხვაფერების გარეშე) შეიცვალოს როგორც შესიტყვების შიგნით. ასევე მთელს წინადადებაშიც⁴³: ეც დააბტ || დაბტ ეც „გუშინ მოვიდა (იგი, ად.)“, წჯხ ისაპაბტ || ისაპაბტ წჯხ „შარშან გავიგონე (იგი რალაქ)“, აყია დაარგებტ || დაარგებტ აყია „სოხუმში მოიყვანეს (იგი, ად.)“, აბრაზ ღხნჰიბტ || ღხნჰიბტ აბრაზ „აქეთ დაბრუნდა (იგი, ად.)“ და სხვ. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მარტივი გავრცობილი წინადადების მაგალითზე: შდრ.: ა) ეც აყიანტი სჯზა აღმასხ ხან დააბტ და ბ) აყიანტი სჯზა აღმასხან დააბტ ეც (გუშინ სოხუმიდან ჩემი ამხანაგი აღმასხანი (ჩა)მოვიდა).

⁴¹ ბ. ფორჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, ივე, XIII, 1962, გვ. 110—120.

⁴² А. Н. Гвоздев, Современный русский литературный язык, т. II, М., 1961, гв. 173.

⁴³ შეიძლება — ხაზს ვუსვამთ იმით, რომ ასეთ შემთხვევებში გამოირჩეული არ არის შესიტყვების სტილისტიკური გადასხვაფერებაც, მაგრამ ამ უკანასკნელს იწვევს არა წვერ-გარემოების ადგილის შეცვლა, არამედ ზმნის წინ წამოწევა.

ამგვარად:

სიტყვათა რიგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა აფხაზური ენის ატრიბუტული სინტაგმების ორგანიზაციაში; ამ დებულებას ასეთივე კატეგორიულობით ვერ გავავრცელებთ სხვა სახის აფხაზურ შესიტყვებებზე. ამგვარ დიფერენცირებულ მიდგომას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გვიკარნახებს ის ენობრივი ნიშან-თვისებები, რომლებითაც ესა თუ ის შესიტყვება. ამ შესიტყვებაში შემავალი კომპონენტები ხასიათდება⁴⁴. და მაინც სიტყვათა რიგის როლი მეტ-ნაკლებად ხელშესახებათითიქმის ყველა სახის შესიტყვების ორგანიზაციაში.

* * *

სინტაქსური კავშირის ფორმები თავიანთ როლს სხვადასხვაგვარად ინაწილებენ სხვადასხვა ენებში. ამასთან რომელიმე ცალკე აღებულ ენაშიაც მუდამ ერთ-ერთი მათგანია სიტყვათა სინტაქსური კავშირის წამყვანი, ძირითადი ფორმა, დანარჩენები კი დამხმარე როლს ასრულებენ. „რაც უფრო მდიდარია ენა აფიქსებიანი სიტყვებით, მით უფრო დიდია შეთანხმებისა და მართვის ხვედრი წონა შესიტყვებაში, რაც უფრო ღარიბია ენა აფიქსებიანი სიტყვებით, მით უფრო დიდია მართვის ხვედრი წონა შესიტყვებაში. უაფიქსო ენების შესიტყვებაში კი სიტყვათა დამოკიდებულება სხვა საშუალებით გადმოიცემა“⁴⁵.

პოლიპერსონალური ზმნის მქონე ქართულ ენაში, სადაც კარგად განვითარებული ბრუნებაც გვაქვს, სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა კოორდინაცია და მართვა, რაც შეეხება სიტყვათა რიგს, მართვას და ინტონაციას, მათ ქართულ შესიტყვებაში, რომლის ცენტრსაც ზმნა წარმოადგენს, მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება ეკისრება. დაახლოებით ასეთსავე როლს ასრულებენ ისინი ქართულ არაპრედიკატულ შესიტყვებაშიც.

⁴⁴ მართებულად წერს კ. კრუშელინიცაია: „Принцип твердого, как и принцип свободного порядка слов, могут быть господствующими в том или ином языке, но могут также сочетаться друг с другом, взаимодействовать, допускать различные отклонения“ (К. Г. Крушельницкая, О порядке слов в немецком языке, ჟურნალი: „Иностранная языки в школе“, № 1, 1957, გვ. 8); ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ გერმანულ ენაში მყარი სიტყვათა რიგის პრინციპი (1) და თავისუფალი სიტყვათა რიგის პრინციპი (1) ერთმანეთსაა გადაჯაჭვული (დასახელ. წერილი, გვ. 13).

⁴⁵ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 286.

რუსულ ენაში სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის მთავარი ფორმაა შეთანხმება: ამ ენაში შესიტყვების ცენტრს სახელი ქმნის.

სხვა ვითარებაა აფხაზურ ენაში. აქ გარკვეულ შემთხვევებში⁴⁶ შესიტყვების ორგანიზაციაში წამყვან როლს სიტყვათა რიგი ასრულებს⁴⁷. ამავე შემთხვევებში აფხაზურ ენაში წარმოდგენილი სინტაქსური დამოკიდებულების სხვა სახეები კი (შეთანხმება კლასსა და რიცხვში, მირთვა) სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის დამხმარე ფორმებად გვევლინება.

ყოველივე თქმულიდან ბუნებრივი უშუალოდით გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები აფხაზურ ენაში გაცილებით უფრო ხელშესახებია, ვიდრე ვთქვათ, ქართველურ ენებში; მაგრამ აფხაზურში სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები სუსტია უაფიქსო ენებთან შედარებით.

აფხაზურში სახელები ფორმაუცვლელი სახითაა წარმოდგენილი. და მაინც მთელ რიგ შემთხვევებში წინადადებაში (და არა ატრიბუტულ სინტაგმაში) წევრთა აღგლის გადანაცვლება⁴⁸ ჩვეულებრივ არ იწვევს მათი სინტაქსური ფუნქციის შეცვლას, რადგანაც მას (ამ ფუნქციას) ძირითადად განსაზღვრავს ზმნაში წარმოდგენილი სათანადო აფიქსები (აღამიანისა და ნივთის კლას-კატეგორიის ნიშნები)⁴⁹. მაგრამ მაინც არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა წევრთა სინტაქსური როლი წინადადებაში შეპირობებულა მათი აღგლით. სიტყვათა რიგი ასეთ შემთხვევაში მტკიცედ ფიქსირებულია და მისი შეცვლა გრამატიკული ნორმის დარღვევას იწვევს.

აფხაზურში სიტყვათა რიგი, გარდა მისი მნიშვნელობისა შესიტყვების ორგანიზაციაში, რომელსაც ეს-ესაა შევხებით, ასრულებს, აგრეთვე, შემდეგ სინტაქსურ ფუნქციებს:

1. სიტყვათა რიგის საშუალებით ხდება წინადადების წევრთა (სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის, სუბიექტისა და ირიბი ობიექტის) გარჩევა ერთმანეთისაგან გარკვეულ შემთხვევებში.

თუ წინადადებაში წარმოდგენილი სუბიექტი და პირდაპირი ან ირიბი ობიექტი ფორმაუცვლელი არსებითი სახელებია (ისინი ასეთებია

⁴⁶ არაპრედიკატულ შესიტყვებებში.

⁴⁷ ზოგიერთ ენაში (მაგალითად, ინგლისურში, ფრანგულში), სათანადო ფორმანტების გაცუთისა და დაკარგვის გამო, სიტყვათა რიგი იქცა სიტყვათა დაკავშირების ძირითად საშუალებად. ამგვარად, ამ ენებში სიტყვათა რიგის ფუნქციის ზრდა შეორეულ ნასათისაა.

⁴⁸ სხვა საკითხია, რამდენად ბუნებრივია აფხაზურისათვის ასეთი გადანაცვლება.

⁴⁹ ახ. ქვემოთ.

საერთოდ), მაშინ სუბიექტი პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, მომდევნო ადგილი (არა აუცილებლად კონტაქტურად) ობიექტს უჭირავს⁵⁰:

ა) სუბიექტიცა და ობიექტიც (პირდაპირი, ირიბი) არაადამიანთა კლასის წარმომადგენლებია:

აბგახიგჳ აწგს აკჯტ „მელიამ ჩიტი დაიჭირა“;

ასჯ ადგ⁷გლ ხნაჯეტ „თოვლმა მიწა დაფარა“;

აყიარჯლ დღჳ ახ⁷შცბა ხიგჳ ააციშეეტ (გ. II, 296) „დიდ ყვერულს პატარა ქორისა შეეშინდა“;

არჯაშო აძმჯას აალალოეტ „ნაკადული მდინარეს ერთვის“;

აფსგძ აძჯ ბზია ააბოეტ „თევზს წყალი უყვარს“;

აჟი ათია აჴოეტ „ძროხა თივას ჳამს“;

ალა აცგიგ ააშთალოეტ „ძალი კატას მისდევს“;

ამრა ამზა არლაშოეტ „მზე მთვარეს ანათებს“;

აფშა აბლ⁷ჯ აანაგოეტ „ქარს ფოთოლი მოაქვს“...

ბ) სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ადამიანთა კლასის წარმომადგენლებია:

აჴაჯ ალაჴ დგაშეტ „კაცმა ღევი მოკლა“;

აშოარგცაჯ ხარანტი იჯზა ბზია ალმასხან დგბეტ „მონადირემ შორიდან თაეისი კარგი ამხანაგი აღმასხანი დაინახა“;

ათაჴმალა ახ იჯჳჯ დააგეტ „ბერიკაცმა ბავშვი მოიყვანა“;

აშოყიჯჯ აფხ⁷აჯ აშოყიჯ იითეტ „მწერალმა მკითხველს წიგნი მისცა“;

ადგრაჴინჯ აშეგმთან ჴაჯ ახ იჯჳჯ დააშოტხენ... (ლ. 95) „მეორე დღეს, დილით, ჳაჯიმ ბავშვი იიყვანა რა... (თან წაიყვანა რა...)“.

გ) სუბიექტი და ირიბი ობიექტი ადამიანთა კლასს გამოხატავენ:

შახოჴ ააფგსთა ნაჯე აჴ უს აეჴიეტ (ლ. 77) „შასოჴ აათისთამ ბატონ ნავეის ასე უთხრა“;

ახგლაფშაჯ არი აჩოჴ აჴგს აჴჯს ფშააჯ იითეტ (გ. II, 265) „უფროსმა ამ ცხენას საქმე გამოძიებულს გადასცა“;

პეტრა ხ⁷რჯფს აეჴიეტ „პეტრემ ხრიფსს უთხრა (იგი, რალა)“;

⁵⁰ იხ. A. Dier, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928, გვ. 63.

ზრგფს ალმასხან ამიყო ბზია იზაადგეტ „ხრიფსმა ალმასხანს კარგი წიგნი მოუტანა“;

აძინთქარ ამაწუჟ იღგაწუეტ „ხელმწიფემ მოსამსახურეს დაავალა (იგი, რალა)“;

აფგხჯ ანხაჯ, ინაპე იმეხგეტ „მუშამ გლგხს ხელი ჩამოართვა“...

ამ მაგალითებში სუბიექტისა და ობიექტის (პირდაპირისა და ირიბის) ადგილი მტკიცედაა მინიშნებული. მათი ადგილის შეცვლა იწვევს სიტყვათა სინტაქსური ფუნქციის ცვლას: სუბიექტი ობიექტად იქცევა და პირუკუ: ობიექტი—სუბიექტად⁵¹: „მღრ.: ა) ნივთთა კლასში: აწგს აბგახბქჟ აკეტ „ჩიტმა მელია დაიჭირა“ და აბგახბქჟ ამში აანაგეტ „მელიამ დათვი მოიყვანა“; ადგჯლ ასე ხნაჯეტ „მიწამ თოვლი დაფარა“ და ასე ადგჯლ ხნაჯეტ „თოვლმა მიწა დაფარა“; აყიარულ ღჟუ ახშება ხბქჟ აციშეეტ „დიდ ყვერულს პატარა ქორისა შეეშინდა“ და ახშება ხბქჟ აყიარულ ღჟუ აციშეეტ „პატარა ქორს დიდი ყვერულისა შეეშინდა“; არჯაში აძემჯას ალალოეტ „ნაკადული მდინარეს ერთვის“ და აძემჯას არჯაში ალალოეტ „მდინარე ნაკადულს ერთვის“; აფსქძ აძგ ბზია ააბოეტ „თევზს წყალი უყვარს“ და აძგ აფსქძ ბზია ააბოეტ „წყალს თევზი უყვარს“; ალა აცგოგ ააშთალოეტ „ძალ-

⁵¹ თუმცა გრამატიკულ კლას-ნიშნებში თუ ავამოქმედებთ, სავსებით შესაძლებელია სიტყვათა რიგის (სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი) შეცვლას გარკვეულ შემთხვევებში არ მოჰყვეს გადმოსაცემი შინაარსის დარღვევა, ე. ი. არ გამოიწვევს რაიმე დაბრკოლებას სუბიექტისა და ობიექტის ერთმანეთისაგან გარჩევაში, მაგალითად: აბგახბქჟ აწგს აკეტ და აწგს აბგახბქჟ აკეტ ორივე ნიშნავს: „მელიამ ჩიტი დაიჭირა“, ოღონდ მეორე შემთხვევაში წინადადებაში იჭრება ერთგვარი სტილისტიკური ნიუანსი: აწგს აბგახბქჟ აკეტ-ში სიტყვა აბგახბქჟ (მელია) ერთგვარად ხაზგასმულია: სწორედ მელიამ დაიჭირა ჩიტი და არა, ვთქვათ, არწივმა, ქორმა და ა. შ.

მაგრამ თუ სუბიექტი-ირიბი ობიექტთან გვაქვს საქმე, აქ ასეთი კომბინაცია სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების (resp. გადმოსაცემი შინაარსის) დაურღვევლად ვერ ხერხდება, რადგანაც ზმნაში იმთავითვე აღინიშნება როგორც სუბიექტის, ისე ირიბი ობიექტის ნიშანი: ალა აცგოგ ააშთალოეტ „ძალი კატას მისღვეს“ და აცგოგ ალა ააშთალოეტ „კატა ძალს მისღვეს“. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში გვაქვს ზმნის ერთი და იგივე ფორმა (ააშთალოეტ). ამიტომ სუბიექტი-ობიექტის გარჩევა ოდენ სიტყვათა რიგის საშუალებით ხდება. მაგრამ თუ ადამიანთა კლასში სუბიექტი-ირიბი ობიექტი სხვადასხვა ქვეკლასის („სქესის“) გამოხატავს, აქაც შესაძლებელი ხდება ამ რიგის დარღვევა: არფს აძლაბ ღლ-ღშთალტ და აძლაბ არფს ღლ-ღშთალტ—ორივე შემთხვევაში ნიშნავს: „ბიჭი გოგოს გამოედევნა“ (ოღონდ აქაც ამოქმედდება სტილისტიკური ფაქტორი).

ლი კატას მისდევს“ და აცგივ ალა დაშთალომტ „კატა ძალს მის დევს“... ბ) ადამიანთა კლასში: აწაჲ ადამუგ ღგაშუემტ „კაცი დევს კლავს“ და ადამუგ აწაჲ ღგაშუემტ „დევთ კაცს კლავს“; აშთარკცაჲ ალმასხან ღგაშემტ „მონადირემ ალმასხანი დაინახა“ და ალმასხან აშთარკცაჲ ღგაშემტ „ალმასხანმა მონადირე დაინახა“; ათაჲმადა ახეჲ-კჲ დააგემტ „ბერიკაცმა ბავშვი მოიყვანა“ და ახეჲკჲ ათაჲმადა და-აგემტ „ბავშვმა ბერიკაცი მოიყვანა; ჰაჲგ ახეჲკჲ დააშთიხენ... „ჰაჲიმ ბავშვი აიყვანა რა“... და ახეჲკჲ ჰაჲგ დააშთიხენ... „ბავშვმა ჰაჲი აიყვანა რა...“ აჲ შასოჲ ჯეჲჲიემტ „ბატონმა შასოჲს უთხრა (იგი, რა-ლაჲ)“ და შასოჲ აჲ ჯეჲჲიემტ „შასოჲმ ბატონს უთხრა (იგი, რა-ლაჲ)“; ათაჲმადა ახეჲკჲ ღგახიმარჲან „ბერიკაცი ბავშვს ეთამაშებოდა“ და ახეჲკჲ ათაჲმადა ღგახიმარჲან „ბავშვი ბერიკაცს ეთამაშებოდა“; აჲჲენტჲარ ამაწუჲ იღგაწუემტ „ხელმწიფემ მოსამსახურეს - დაავალა (იგი, რალაჲ)“ და ამაწუჲ აჲჲენტჲარ იღგაწუემტ „მოსამსახურემ ხელმწი-ფეს დაავალა (იგი, რალაჲ)“⁵²...

მსგავსივე ვითარებაა აფხაზურის მონათესავე ადიღურ ენებშიც, სადაც სუბიექტ-ობიექტი, თუ ისინი განუსაზღვრელი სახელებითაა გამოხატული, გვიჩვენებს მტკიცე რიგს: პირველ ადგილას სუბიექტი დგას, მას მოსდევს პირდაპირი ობიექტი: ა) ყაბარდოულ-ჩერქეზულში: ჟამ ლ'აყაჲ შაჲჲ იჲჲკრყემ „ძროხის ფეხი ხბოს არ კლავს“⁵³, ბ) ადიღურში: ბიბჲ საიღჲ ეჲჲ „ბიბას საიღა მიჲყავს“. სუბიექტ-ობიექტის ადგილის შეცვლა ამ წინადადებაში იწვევს მათი სინტაქსური ფუნქციების ცვლას: სუბიექტი პირდაპირ ობიექტად იქცევა, პირდაპირი ობიექტი კი სუბიექტად: საიღჲ ბიბჲ ეჲჲ „საიღას ბიბა მიჲყავს“. გარკვეულს შემთხვევებში სიტყვათა რიგს მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, სუბიექტისა და ირიბი ობიექტის სინტაქსური ფუნქციის დასადგენად

⁵² ოლონდ თუ სუბიექტი და ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი) ადამიანთა ქვეკლასების („სქესებრს“) მიხედვით განსხვავდება, მაშინ აჲაჲ სიტყვათა რიგი თავის სინტაქსურ ფუნქციას კარგავს (ამოქმედდება სტილისტიკური ფაქტორი), მაგალითად: ერანი მხრივ, აჲ ღაბ ახეჲკჲ დააღ გემტ და, მეორე მხრივ, ახეჲკჲ აჲ ღაბ დააღ გემტ.—ორივე ნიშნავს: „გოგომ მოიყვანა ბავშვი“; ასევე: აჲჲოჲნ აფჲჲოჲს დააგემტ და აფჲჲოჲს აჲჲოჲს დააგემტ ნიშნავს: „ბიჲმა ცოლს მოიყვანა“.

როგორც ვხედავთ, მოყვანილ წინადადებებში სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ როლს სათანადო ქვეკლასების მაწარმოებლები განსაზღვრავს, თუმცა ენა მაინც რჩეობს ასეთ შემთხვევებშიც სუბიექტს პირველი ადგილი დაუთმოს. .

⁵³ Грамматика кабардино-черкесского литературного языка, М., 1957, გვ. 213.

ადილეთური ენის წინადადებაში: ფსიასამ თხგლ'ურ ჭალამ რითღ
„გოგომ წიგნი ბიქს მისცა“⁵⁴.

სიტყვათა რაგი გარკვეულ შემთხვევებში ფიქსირებულია ზოგ სხვა
იბერიულ-კავკასიურ ენაშიც⁵⁵.

ძველ ქართულში ადამიანთა საკუთარ სახელებთან გვაქვს ინდო-
ფინიტიური, ოდენფუძიანი კონსტრუქცია: სუბიექტი და პირდაპირი ობი-
ექტი ერთმანეთისაგან გარჩეულია მათი ადგილის მიხედვით წინადადე-
ბაში⁵⁶, მაგალითად: აბრაჰამ შვა ისააკ; ისააკ შვა იაკობ; იაკობ შვა
იუდა... ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისაგან; ფარეზ შვა
ესრომ; ესრომ შვა არამ... არამ შვა ამინადაბ; ამინადაბ შვა ნაასონ;
ნაასონ შვა სალმონ⁵⁷ (მდრ. ისააკ შვა აბრაჰამ; იაკობ შვა ისააკ;
ფარეზ შვა იუდა; ესრომ შვა ფარეზ; არამ შვა ესრომ; ამინადაბ შვა
არამ...).

ახალმა ქართულმა. არც სხვა ქართველურმა ენებმა, არ იცის
ინდოფინიტიური კონსტრუქცია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირ-
ველ და მეორე პირს, სადაც ჩვეულებრივ ახლაც ეს კონსტრუქცია
გვაქვს).

2. სიტყვათა რიგი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სინტაქსუ-
რი საშუალებაა იმ ატრიბუტული სინტაგმების გასაფორმებლად, რო-
მელთა კომპონენტებად წარმოადგენილია:

ა) არსებითი და ვითარებითი ზედსართავი სახელები. ასეთ ატ-
რიბუტულ სინტაგმაში, როგორც ვნახეთ, საზღვრულს პრეპოზიცია
უჭირავს, მსაზღვრელს კი პოსტპოზიცია (აბაჰჩა ხიეკჷ „ბალი პატარა“,
აჭაუჯ განგაშო „კაცი ცბიერი“, აფსუძ სსა „თევზი წვრილი“, ამა
ღუშ „ნაჯახი დიდი“...).

⁵⁴ А. М. К у м а х о в, Адыгейский язык, წიგნი: „Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки“, М., 1967, გვ. 162.

⁵⁵ ამის შესახებ იხ. И. О. Гецадзе, К вопросу об эргативной кон-
струкции в абхазском языке, Труды Абхазского института, т. XXXI, Сухуми,
1960, გვ. 214).

⁵⁶ ძველ ქართულში ვხვდებით მოთხრობითისა და სახელობითის ნაცვლად ფე-
ძის ხმარებას: არაა ჩამოყალიბებული არც სახელობითი და არც მოთხრობითი, ეს
ხლები ადამიანის სახელებში, მასთან—არცთუ იშვიათად. სუბიექტ-ობიექტის გარჩევის
მიზნით ასეთ შემთხვევებში დაწესებულია სიტყვათა მტკიცე რაგი: პირველი ადგილი
სუბიექტისაა, ობიექტი მომდევნოა (არნ. ჩიქო ბავა, მოთხრობითი ბრუნვის გუ-
ნუხისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, X, 1939, გვ. 172).

⁵⁷ ახალი აღთქუმა (წმიდად ოთხთავი), თბილისი, 1963, გვ. 15.

ბ) სუბსტანტივეური მსაზღვრელი და არსებითი სახელი (სუბსტანტივი). ასეთ შემთხვევებში პირველს პრეპოზიციის უქირავს, მეორეს პოსტპოზიციის (აბზარბზან აბჯ „ქვემხის ხმა“, ხმურ ღმუჯა „ხიმურის გზა“, პატეხი ითქმია „პატუხის ამბავი“, ახიჯე აბ „ბავშვის მამა“, აკიმაან ახე „ლოქის თავი“...).

გ) ჩვენებითი ნაცვალსახელი და არსებითი სახელი; პირველი პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, მეორე—პოსტპოზიციურად (არი აწეს „ეს ჩიტი“, ჭეა ატეხა „იმ ღამეს“, აბრი ალგაჟი „ეს ბერიკაცი“. უბრი აბაა „ეგ ციხე-სიმაგრე“, ართ აშეყიქა „ეს(ენი) წიგნები“, ჯრთ აჟიბჟქია „ეგ(ენი) ამბები“...);

დ) პირის ნაცვალსახელი და არსებითი სახელი (შესაბამისად: პრეპოზიციის-პოსტპოზიციის) (სარა სემხე „ჩემი ყანა“, ჭარა უმხე „შენი (მამაკ.) ყანა“, ბარა ბემხე „შენი (ღელაკ.) ყანა“, მარა იმხე „მისი (მამაკ.) ყანა“, ლარა ღემხე „მისი (ღელაკ.) ყანა“, შარა შამხე „ჩვენი ყანა“, შიარა შიემხე „თქვენი ყანა“, დარა რემხე „მათი ყანა“, ურთ რგეგრლარა „მათი სიხარული“...).

სიტყვათა რიგის შეცვლა გარღვევად იწვევს ამ სინტაგმებში შემავალ კომპონენტთა შორის არსებული სინტაქსური კავშირის მოშლას, რასაც სრული უაზრობა მოსდევს (შდრ.: ახაწა ლიღია „კაცი ძლიერი“ და (ა)ლიღია ხაწა; არი აწეს „ეს ჩიტი“ და აწეს არი; მარა იმხე „მისი (მამაკ.) ყანა“ და იმხე მარა...).

3. სიტყვათა რიგის საშუალებით ატრიბუტულ სინტაგმაში, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს რაოდენობითი რიცხვითი სახელი წარმოადგენს, გადმოიცემა „მიახლოებებითობის“ მნიშვნელობა: შდრ. ში-ქიბჟე „ასი ქვაბი“, ჯგჟმაქე „ორი თხა“, ხი-კლასსკ „ხუთი კლასი“, ყიბ-შჟე „ათი ღლე“, ში-შაპჟე „ასი ღეხი“, მაგრამ: ქიბა-შიკჟე „ქვაბი ასამღე (ასიოდე)“, შაპჟე შიკჟე „ღეხი ასამღე (ასიოდე)“, მუშაჟეჟა „ღლე ოცამღე (ოციოდე)“: აჟ დაალაგან ჭაა-შიჯჟჟჟე ჯგჟციას მიაშთიხენ, სარა ზჟჟე სგყაზ ახრა იჟჟე ულა სჟთ ჰია ღიჰიარაზჟე ღნეგტ (ლ. 204) „ბატონმა ასამღე კაცი ამხანაგებად აიყვანა რა (თან წაიყვანა რა), მივიდა მწყემსთან, ვისთანაც მე ვიყავი, რათა ეთხოვა: შენი ძალი მომეციო“⁸⁸.

პოსტპოზიციურად წარმოდგენილი ატეხაზური რაოდენობითი რიცხვითი სახელების დანიშნულებას „მიახლოებებითობის“ გამოხატევა რომ

⁸⁸ შდრ. რუს. двенадцать человек „თორმეტი კაცი“ და человек двенадцать „თორმეტიოდე კაცი“; в десять часов „ათ საათზე“ და часов в десять „დაახლოებით ათ საათზე“: Напрасно я сказал так определенно: в десять ча-

შეადგენს, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: თუ საჭირო გახდა— იგივე ფუნქცია პრეპოზიციულმა რიცხვითმა სახელმა შეასრულოს, — ასეთ შემთხვევებში მას (რიცხვით სახელს) -ყა (-მღე) თანდებული უნდა დაერთოს: ჯაჟიყაყა ფუთ, შღრ. ქართ. ოცამღე ფუთი (ოც ფუთამღე). პოსტპოზიციური წყობისას კი, როგორც ვნახეთ, თანდებული საჭირო აღარაა: ფუთ-ჯაჟაყა „ოცამღე (ოციოდღე) ფუთი“ (არ იტყვიან: ფუთ ჯაჟიყა...).

4. როგორც სათანადო ადგილას აღინიშნა, ინფინიტური კონსტრუქციის აფხაზური წინადადება შედგება დამხმარე და ძირითადი პრედიკატული ცენტრებისაგან. დამხმარე პრედიკატული ცენტრი ძირითადის მიმართ ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც წინადადების რომელიმე (მთავარი ან მეორეხარისხოვანი) წევრი ზმნის მიმართ. ამ ცენტრების რიგი კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების სტრუქტურა-აგებულების ფორმირებაში. პირველ ადგილას ჩვეულებრივ დამხმარე პრედიკატული ცენტრი ან ცენტრებია წარმოდგენილი, შემდგომ—ძირითადი პრედიკატული ცენტრი. პრედიკატულ ცენტრთა ასეთი რიგი კი თავის მხრივ შეპირობებულია ორი რიგის აფხაზურ ზმნათა—ინფინიტურისა და ფინიტურის—ენობრივი თავისებურებებით. ინფინიტური ზმნა განუსაზღვრელ, ჩაუხშველ ფორმას წარმოადგენს, ფინიტური კი განსაზღვრულს, ჩახშულს. ამიტომ ბუნებრივია, რომ წინადადება განუსაზღვრელი ფორმით (ან ფორმებით) იწყებოდეს და მას განსაზღვრული ზმნა ამთავრებდეს.

ამგვარად, აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციის წინადადების მოდელი ჩვეულებრივ ინფინიტობიდან ფინიტობისაკენ მიიმართება (ე. ი. იწყება ინფინიტური ფორმით და მთავრდება ფინიტურით)⁸⁹, მაგალითად: აგოარაითაგღლაზ აჯნგდანჯღაღა, ააბიშა ეაბაზე ღეშაბიშა იბეატ (ლ. 209) „ქართაში მყოფი კაცი სახლში რომ შევიდა, დაინახა: (იქ) იჯდა მისი უფროსი და“; ხარა დანგნაფშა, ჯნგ ღეშა აუნგ ღჯა ხიგჭკე შაჯაფაშ იბეატ (ლ.) „შორს რომ გაიხედა, დაინახა: დიდთ სახლიდან ცოტა კვამლი ამოდებოდა“; აპიჯნთქარ

сов. — подумал он. — Над бы было сказать часов в десять... Она догадалась «შეეცდი, რომ ასე გარკვეულად ვთქვა: ათ საათზე-მეტიქი.—გაიფიქრა მან,—უნდა მეთქვა: დაახლოებით ათ საათზე» (Грамматика русского языка, т. II, ч. I, М., 1954. გვ. 661).

⁸⁹ დაწერილებით ამის შესახებ—ქვემოთ.

ი ი ტ ე გ ე ი ა ზ ა ნ ე ჯ ბ ა . . . , ა მ ა მ თ ა დ ე ჟ ე ი თ ე მ ა ტ (ლ . 238) „ რ ო ც ა ხ ე ლ - მ წ ი ფ ე მ (ა მ ის) ნ ა მ ო ქ მ ე დ ა რ ი (ს ა ქ ე მ ე ბ ი) დ ა ი ნ ა ხ ა , დ ი დ ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი მ ის ც ა “ . . .

5. სიტყვათა რიგის მიხედვით ერთმანეთისაგან გაირჩევა აფხაზური ზმნის ზოგიერთი ინფინიტური წარმოების სინტაქსური ფუნქცია. მაგალითად, თუ ნაცვალსახელოვანთქისიანი ინფინიტური ზმნა წინ უძღვის სახელს, იგი ჩვეულებრივ განსაზღვრების როლს ასრულებს: იგვლახ ახიგჳკ „მდგომი ბავუი (ბავუი, რომელიც იღვა)“, ისეჳჳაზ აჟიბჳე „მის მიერ ჩემთვის ნათქვამი ამბავი (ამბავი, რომელიც მითხრა)“, იტიოჳ აჟი „მჯღომარეჳძროხა (=ძროხა, რომელიც წევს)“, იმთარწახან ახ ასტოლბაჳია „დაწყობილი ბოძები (ბოძები, რომლებიც დაეწყით)“, იყააჳა აჩადა „მოყროყინე ვირი (ვირი, რომელიც ყროყინებს)“ და სხვ.

მაგრამ თუკი ამ სახეობის ინფინიტური ფორმა არსებით სახელს მოსდევს, ასეთ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ აღარ გვევლინება განსაზღვრების როლში: ახიგჳკ იგვლახ ღვზბეჳტ „ბავუი რომ იღვა (რომელიც იღვა) დავინახე“⁸⁰, ანდა: ღვზბეჳტ ახიგჳკ იგვლახ „დავინახე ბავუი, რომელიც იღვა“; აძი იგაზაჳჳ დარა აბრა ასტოლბაჳია იმთარწახან „ვილაცას წაულია ბოძები, რომლებიც მათ აქ დაეწყით“; და-არა იციგან პატხე აჟიბჳე ისეჳჳაზ „ძალზე მძიმე იყო ამბავი, რომელიც პატხემა მითხრა“; ლეჳარსა იჟიიტ აჳჳ ჯარა იმწადღვრგვლახ „ლეჳარსიმ დალია ღვინო, რომელიც მას წინ დაუდგეს“ და სხვ.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მეორე რიგის ინფინიტურ ფორმებში (არსებითი სახელი+ინფინიტური ზმნა) თითქოს უფრო მეტია ზმნურობა, ვიდრე პირველისაში (ინფინიტური ზმნა+არსებითი სახელი).

6. სიტყვათა რიგი მთელ რიგ შემთხვევებში არეგულირებს სინტაქსურ დამოკიდებულებას მთავარ და მეორეხარისხოვან წევრთა შორის წინადადებაში. ეს გამოიხატება იმაში, რომ სიტყვათა (წევრთა) ნებისმიერი ცვლა წინადადებაში იწვევს სტილისტიკურ უხერხულობას, ხშირად კი მას სრულ უაზრობამდე მიყვავართ. მაგალითად, ავილოთ წინადადება: აანჯჳე მჳჳაჳარა დახ-ცოზ, იჳჳენგ-გ დიშთალანჳ დცეჳტ⁸¹ (ლ. 83) და შეეუცვალოთ წინერებს ადგილი პრედიკატული ცენტრების შიგნით: დახ-ცოზ მჳჳაჳარა აანჯჳე დცეჳტ დიშთალანჳ იჳჳენგ-გ. . . საესებით გასაგებია ის უხერხულობა, რომელსაც ასეთი „კომბინაციები“

⁸⁰ და არა: ბავუი მდგომარე დავინახე.

⁸¹ დევი შეშის მოსატანად (მოტანად) საცა მიდიოდა, მისი ვაჟიშვილიც მას გამოედევნა.

ქმნის. ამგვარად, იმისათვის, რათა წინადადება გვეკონდეს, აუცილებელია დაცულ იქნეს სიტყვათა (წევრთა) გარკვეული კანონზომიერი რიგი.

7. სიტყვათა რიგი აფხაზურში წარმოადგენს სიტყვაწარმოების ერთ-ერთ საშუალებას:

ა) ზმნისართებისა: ესემშა (ესგ + (ა)მშა) „ყოველდღე“, ესეშემთან (ესგ + შეგმთან) „ყოველ დღით“, ესეშბეონ (ესგ + შბეონ) „ყოველ შუადღე“, ესეშეჟისა (ესგ + შეჟისა) „ყოველ წელს, ყოველწლიურად“, ჟოჟეშა (ჟოჟე + შთა) „ახლა; ამის შემდეგ, აქედან მოკიდებული“, უბრინახეს (უბრი + ნახეს) „იმის შემდეგ“, ეზა + (რ) ნახეს) „დღის შემდეგ“:

ბ) კომპოზიტებისა: ათაბეჰაჲ (ათაბე + ჰაჲ) „მთხრობელი; ამბის მთქმელი“, ალაჰჰაჲ (ალაჰ + ჰაჲ) „ხუმარა (სახუმაროს მთქმელი)“, ამაწუჰჲ (ამაწ + ჰუჰ) „მოსამსახურე (სამსახურის მქმნელი)“, აჲგსზჰჲ (აჲგს + ჰჲ) „მშრომელი, მუშა (საქმის მქმნელი)“, აბგშაჲ (აბგშა + ჲ) „ენათმეცნიერი (ენის მცოდნე)“, აფგლაჲ (აფგა + გლაჲ) „წინამძღოლი (წინ მდგომი)“, ახანტაჲ (ახან + ტაჲ) „თავმჯდომარე (თავთან მჯდომი)“, ამაჰანგჲ (ამაჰა + ნგჲ) „მდივანი (საიდუმლოა გამტარებელი)“, აბგნჲ (აბგნა + ჲ) „ოროპინტრე (ტყის კაცი)“, ახგჲ (ახგნა + ჲ) „ცხენოსანი“ („ცხენკაცი“), აჲჲგს (აჲჲგს + გს) „კაციშვილი (კაცი + სული)“, ხაწარჲგს (ხაწა + (რ)გს) „ქაბუჯი, ყმაწვილი ვინმე („კაციბიჰი“, „კაციყმაწვილი“ ვინმე)“, ასასაჲ (ასას + ააჲ) „სასტუმრო (სტუმრის მოსასვლელი ადგილი)“, ამრაგლარა (ამრა + (ა)გლარა) „აღმოსავლეთი“, ამრათაშაჲ (ამრა + (ა)თაშაჲ) „დასავლეთი“, აჲჲარა (აჲჲა + (ა)არა) „ხალხი“, აჲგარა (აჲგარა + (ა)არა) „მეწიწე“, აჲგანჲ (აჲგან + (ა)გან) „მეღებელი (ღებვის მწყემსი)“...

8. სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქცია ნათელია ილიომატურ, ტრადიციულად განმტკიცებულ გამოთქმებში, ანდაზებში⁶² და სხვ.

⁶² საგულისხმოა, რომ დ. გულას მიერ შეკრებილ ანდაზებში (იხ. დ. ვულია, აფხა აფაფაჲეჲ აჲჲარაჲეჲ... რეზგა, აფა, 1939), რომელთა რაოდენობა ითასს უდრის, არ გვხვდება არც ერთ შემთხვევა ხალხური შემოქმედების ამ ქანრის ფინიტური ზნით დაწყებას: თუ ანდაზაში ოდენ ფანტურა ზნაა წარმოდგენილი, მას, როგორც წესი, ბოლოკიდური ადგილი უჭირავს, და თუ ორივე სახის ზნა გვაქვს — პირველი ადგილი ინფინიტურისა, მოჰქენო (ბოლოკიდური) ფინიტურისა. ხშირად ანდაზებს ოდენ ზნის ინფინიტურა (ბრძანებათის, კითხვითის, პირიბითი კოლს) ფორმებიც ვაღმოსცემენ.

სუბიექტ-ობიექტები ანდაზებში თავიანთ ადგილებს საერთო წესის მიხედვით ინაწილებენ (იხ. ქვემოთ).

აგალითად: ახაბე დაფხა ახაბე ჴაუჯ იზიომ (ჯანაშ. 406) „ფუთხი-
 ანზე აღრე ფუთხიანს ვერაჲინ იტყვის“, აფშარა კიტარდგნ, აგირა ხჯნ
 (ჯანაშ. 86) „გარედან კვერცხი იყო, შიგნით კი ოქრო იყო“; სენციახე-
 ისთოტბოტბ (ჯანაშ. 126) „ღმერთს ვფიცავარ“; ლაწან იტუმპიაზ ბწან
 იტუმპიომ (ჯანაშ. 170) „რასაც დასთესავ, იმას მოიმიკი“ (სიტყვასი-
 ტყვით: რაც თესვის დროს არ გითქვამს, იმას მკის დროს ვერ იტყვი);
 აჩოგ ზმამგზ არყიდღტიგ იქიგაწონ (ჯანაშ. 242) „ვისაც ცხენი არ ება-
 და, კვიცს იღებდა ვალად“; ალა ზმგზ იტგშა იპიგეტ (ჯანაშ. 262)
 „ვინც ძალლი მოკლა, იმან გაათრიოა“; ჴარა უმფსაადტ (ჯანაშ. 267)
 „შენმა მზემ“ (სიტყვასიტყვით: ნუმც მომკვდარხარ); აზჯა უღრალა-
 ადტ (ჯანაშ. 310) „ჭირი შეგეყაროს“; ზამხხა უთოტ აშოა ჰიალა
 (ჯანაშ. 335) „სადაც წახვიდე, იქაური ქული დაიხურეო“ (სიტყვასი-
 ტყვით: ვის ნავშიაც ხარ, მისი სიმღერა იმღერეო); ჩაჭაგჯ აყარა
 იღგრტეგტ (ჯანაშ. 343) „ცოტა რამ იცის, თავს გაიტანს“; საფხა რახხ
 ჴოტხეგტ (ბლაჟ.), სიტყვასიტყვით: „შენ ჩემზე აღრე საქონელი იმო-
 ვე“ (ასე ეუბნებიან მას, ვინც პირველად იტყვის იმას, რაც თანამო-
 საუბრეს უნდა ეთქვა); იხ აფშა თოტბ (ბლაჟ.), სიტყვასიტყვით: „მის
 (მამაკ.) თავში ქარია“ (= თავქარიანი, ფუქსავატი კაცია); იხღღა აწჯს
 თოტბ, სიტყვასიტყვით: „მის (მამაკ.) ქულში ჩიტია“ (= გულში ჩიტი
 უფროთხიალებს); აბზ აცია ახგხრა (ბლაჟ.), სიტყვა-სიტყვით: ენისთვის
 ტყავის გაძრობა (= ლაქლაქი, ლანძღვა, გინება), მგშაკ ახ მგშაკ აწჯ-
 ხა (ბლაჟ.) „აღრე თუ გვიან (ოდესმე)“, ნაპმეცარა აცარა (ბლაჟ.),
 სიტყვასიტყვით: „ცარიელი ხელით წასვლა“ (= უსაჩუქროდ, საჩუქ-
 რის წაუღებლად წასვლა); ფგწალა აძ ამეჲირა (ბლაჟ.), სიტყვასი-
 ტყვით: „ცხვირით წყლის არღლევა“ (= სირცხვილის არჰამა); ატრა
 ტეტიტე (ბლაჟ.) „კარგი მოსავალი მოგეწიოს“, ხძგ ალოტეგეტ (ბლაჟ.)
 „სახელ-ღიდებიტამც შეიმოსე“ (ამბობენ ვინმესთვის იარაღის გადაკე-
 მისას); იტგზშა სგხაადტ (ბლაჟ.) „შენი ტკივილი დამემართოს“; აჯმა
 ზციძგზ ამშაგჯ იციძტ (რეაზგ. 13) „ვისაც თხა დაეკარგა, მას დღეც
 დაეკარგა“; მგშაკ აპრა ზატგზ, შიჯკ რხ ხეასეგტ (რეაზგ. 13) „ვინც
 ერთი დღით ბატონობა მიიღო, ას კაცს თავი გაადღებინა“; მაზარა
 აპროტბ (რეაზგ. 13) „ქონება ბატონობაა“, აწაბგრგ უჰიარ, აფსგ
 დარგგლოგტ (რეაზგ. 13) „სიმართლეს იტყვი, მკვდარიც აღღგე-
 ბა“; ალაჲი აშგმ აკტეგტ (რეაზგ. 15) „ბებერ ქოფაკსაც შეუძ-
 ლია გოჭის დაჭერა“; აჯმა ზტიზ აჯმა აწხხაგჯ იმოტტ (რეაზგ. 22)
 „თხის პატრონს თხის კულიც არ ერგო“, ჲილარ ზქიგშიიოტა აწლა
 ჯოგტ (რეაზგ. 35) „ხალხმა თუ დასწყევლა, ხეც განმება“...

მოცემულ მაგალითებში (ზმნისართებში, კომპოზიტებში, იდიომა-
 ტურ გამოთქმებში, ანდაზებში) კომპონენტთა ან შესიტყვებათა აღ-

მილი, როგორც წესი, მტკიცედაა ფიქსირებული, რაც ნიშნავს: სიტყვათა რიგი ასრულებს მნიშვნელოვან სინტაქსურ ფუნქციას.

ამგვარად:

სიტყვათა რიგს აფხაზურ ენაში მთელი რიგი ფუნქციები აღმოაჩნდა; მთელ რიგ შემთხვევებში სიტყვათა რიგი წვერთა სინტაქსური დაკავშირების მთავარი, ძირითადი საშუალებაა და არა—დამხმარე, რაც შეპირობებულია აფხაზურ სახელთა უბრუნელობით. იქ, სადაც სიტყვათა რიგი სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი ფორმაა, დამხმარე როლს ასრულებს მირთვა, შეთანხმება კლასსა და რიცხვში და ზოგჯერ—სტილისტიკური ფაქტორიც, თუმცა სხვა შემთხვევებში სინტაქსური დამოკიდებულების ზოგიერთი დამხმარე ფორმა შეიძლება ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდეს (მაგალითად, დროის ან ადგილის გარემოება, ზმნას ოდენ მირთვის საშუალებით უკავშირდება და მათს ადგილს შესიტყვებაში არა აქვს არსებითი მნიშვნელობა: ეცგ აყიანტი სვგზა დააატ „გუშინ სოხუმიდან ჩემი ამხანაგი (ჩა)მოვიდა“, შდრ. სვგზა აყიანტი დააატ ეცგ „ჩემი ამხანაგი სოხუმიდან (ჩა)მოვიდა გუშინ“).

ყოველივე ეს, თქმა არ უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს აფხაზურ შესიტყვებაში სიტყვათა რიგი ყველა შემთხვევაში მტკიცედ ფიქსირებული იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვათა მტკიცე რიგის საკითხი პირველ რიგში დგება აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმებში (სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები ყველაზე მეტად აქაა ხელშესახები); რაც შეეხება ამ საკითხის განხილვას მთელი წინადადებათა ფონზე, აქ სურათი შესამჩნევად იცვლება. მართალია, წინადადებაში მონაწილე ატრიბუტული სინტაგმები ამჯერადაც (ე. ი. წინადადებაშიც) ინარჩუნებენ თავის სპეციფიკას (მტკიცედ განსაზღვრულ რიგს), მაგრამ ამასვე ასეთივე კატეგორიულობით ვერ ვიტყვით მათს (ატრიბუტულ სინტაგმათა) მიმართებაზე სხვა წევრებთან. სრულიად თავისებურია საკითხი სინტაქსური დამოკიდებულებისა იმ სიტყვათა (წვერთა) შორის, რომლებიც ატრიბუტულ სინტაგმებს არ ქმნიან (წინადადებათა მთავარი წევრები; მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები)⁶². ასეთ შემთხვევებში, როგორც ირკვევა, სიტყვათა რიგის ცვლა ისე მტკიცეა არაა, როგორც ატრიბუტულ სინტაგმებში, კომპოზიტებში, იდიომატურ გამოთქმებში და ა. შ.

⁶² იხ. ქვემოთ.

გ) ორპირიანი გარდამავალი ზმნა: $\begin{matrix} \text{ობ.} \\ | \\ \text{პირდ.} \\ | \\ \text{—} \end{matrix}$ $\begin{matrix} \text{ობ.} \\ | \\ \text{—} \\ | \\ \text{სუბ.} \end{matrix}$ $\text{—} \text{ყა} \text{—} \text{ს} \text{—} \text{წოატ}$ „ვაკეთებ მე მას (რაღაცას)“.

დ) სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა: $\begin{matrix} \text{ობ.} \\ | \\ \text{პ.} \\ | \\ \text{—} \end{matrix}$ $\begin{matrix} \text{ობ.} \\ | \\ \text{ობ.} \\ | \\ \text{—} \end{matrix}$ $\begin{matrix} \text{ობ.} \\ | \\ \text{—} \\ | \\ \text{სუბ.} \end{matrix}$ $\text{—} \text{ა} \text{—} \text{ტეგ} \text{—} \text{ს} \text{—} \text{თოატ}$ „გაძლევ მე შენ (მამაკ.) მას (რაღაცას)“...

ხანდახან ადგილი აქვს ამ წესებიდან გადახვევას, რასაც სათანადო ენობრივი (მორფოლოგიური) საფუძველი აქვს⁶⁶.

როგორც ცნობილია, ქართველურ (და ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ) ენებში გარდამავალი ზმნის სუბიექტი გარკვეულ დროებში წარმოდგენილია სპეციფიკურ ერგატიულ ბრუნვაში. აფხაზურში ქართველურ (და ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ) ენათა ერგატივს გადმოსცემს გარდამავალი ზმნის სათანადო აფიქსები, რომელთაც ზმნაში მიჩენილი აქვთ მტკიცედ განსაზღვრული ადგილი (როგორც ითქვა, გამონაკლისებს სათანადო ახსნა მოეპოვებათ). ამგვარად, ქართველური ენებისაგან⁶⁷ განსხვავებით, სადაც ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის შემცველი წინადადების კონსტრუქციაა, ე. ი. $\text{ქინტაქსური კონსტრუქციაა}$ (გუთნისდედამ მიწა მოხნა, კალატოზმა სახლი ააშენა, მონადირემ ირემი მოკლა), აფხაზურში იგი მორფოლოგიის ფარგლებს არ სცილდება. ენა ერგატიულ კონსტრუქციას მორფოლოგიური საშუალებებით ამქლავნებს.

მაგრამ აფხაზურში ხანდახან არის შემთხვევები, როცა ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები (სუბიექტ-ობიექტის მაწარმოებლები თავიანთი გარეგნული გამოხატულებით ხშირად ერთმანეთს ემთხვევიან), მათი ადგილმდებარეობა უძლურია წინადადებაში ერთმანეთისაგან გაარჩიოს სუბიექტი და ობიექტი. ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე

⁶⁶ იხ. ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენმკის შიგნით, XII, 1942.

⁶⁷ აგრეთვე—ადიღური ენისაგან.

აღნიშნა, ენა მიმართავს დამხმარე, დამატებითს საშუალებას—სიტყვათა ფიქსირებულ რიგს; სუბიექტს ჩვეულებრივ პირველი ადგილი უჭირავს, ობიექტს (პირდაპირს ან ირიბს) კი მეორე ადგილი იმ შემთხვევებში, თუ:

ა) გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში სუბიექტიცა და პირდაპირი ობიექტიც ადამიანთა კლასის (ამასთან, ერთი და იმავე ქვეკლასის) წარმომადგენლებია: აჭაჯგ ალაჟე ღგაშგატ „კაცმა მოკლა ღღევი“ (შდრ. ალაჟე აჭაჯგ ღგაშგატ „ღღევიმა მოკლა კაცი“);

ბ) სუბიექტიცა და ირიბი ობიექტიც ადამიანთა კლასს (ამასთან, ერთსა და იმავე ქვეკლასს) გამოხატავენ⁶⁶: ახგლაფშაჯგ არი აჩოჯ ატგს ატგს ფშააჯ იითეატ⁶⁷ „უფროსმა ამ ცხენის საქმე გამოძიებელს გადასცა“ (შდრ. ატგსფშააჯ არი აჩოჯ ატგს ახგლაფშაჯგ იითეატ „გამოძიებელმა ამ ცხენის საქმე უფროსს გადასცა“);

გ) სუბიექტიცა და პირდაპირი ობიექტიც არაადამიანთა კლასის წარმომადგენლებია: აბგახხგჭგ აწეს აკგატ „მელიამ ჩიტი დაიჭირა“ (შდრ. აწეს აბგახხგჭგ აკგატ „ჩიტმა მელია დაიჭირა“)...

მოყვანილ მაგალითებში სუბიექტ-ობიექტის ადგილი მტკიცედაა მიანიშნებული. აქ ისევ მოგვაგონდება ძველ ქართულ ძეგლებში ადამიანთა საკუთარ სახელებთან შემორჩენილი სათანადო ვითარება (ინდო-ფინიტიური კონსტრუქცია), სადაც სუბიექტ-ობიექტის ადგილს წინადადებაში სიტყვათა რიგი განსაზღვრავს: ძველი ქართულის ეს ჩვენება „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის ფასდაუღებელია: ერგატიული კონსტრუქციის მქონე არც ერთ ენას არ გააჩნია დოკუმენტაცია ხუთმეტი საუკუნის მანძილზე და ამ ძველ ძეგლებში შემონახული ასეთი არქაული ფაქტები“⁷⁰.

სიტყვათა რიგის სინტაქსურ როლს აფხაზურ წინადადებაში ჯერ კიდევ პ. უსლარმა მიაქცია ყურადღება. იგი წერდა, რომ არსებით სახელთა (resp. სუბიექტ-ობიექტის—მ. ც.) ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი საშუალება სიტყვათა რიგია⁷¹. მასვე აქვს აღნიშ-

⁶⁶ რაც შეეხება ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებას, აქ სუბიექტს ჩვეულებრივ პირველი ადგილი უჭირავს, ორივე ობიექტს კი მეორე (ზნაშიც მათი მწარმოებლები ისეთივე ლოკალიზაციისაა).

⁶⁷ სამპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში ირიბი ობიექტს ჩვეულებრივ მეორე (პირდაპირი ობიექტისწინა) ადგილი უკავია. მოყვანილ შემთხვევაში კი პირდაპირი ობიექტის შემდეგ (მესამე ადგილას) დგას.

⁷⁰ ი. ბ. ნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 4.

⁷¹ П. К. Услар, Абхазский язык, Тифлис, 1887, გვ. 80.

ნული, რომ სიტყვათა რიგი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში და სუბიექტ-ობიექტის აფიქსთა ადგილმდებარეობა ზმნაში ერთმანეთს არ ემთხვევიან⁷².

სიტყვათა რიგის გარკვეული სინტაქსური მნიშვნელობა აბაზურის (ტაპანთური დიალექტის) წინადადებაში აღნიშნული აქვს ა. გენკოს⁷³.

სიტყვათა რიგის როლზე სუბიექტ-ობიექტის სინტაქსური დამოკიდებულების გადმოსაცემად აფხაზურ წინადადებაში დაწვრილებით ჩერდება ი. გეწაძე⁷⁴.

აღნიშნული იყო, რომ სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ დამოკიდებულებას აფხაზურ წინადადებაში ძირითადად განსაზღვრავს ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები (მათი ადგილმდებარეობა). სიტყვათა რიგი აქ ირელევანტურია, დამხმარე საშუალებაა და მას გვერდში ვერ ამოვუყენებთ ისეთ რელევანტურ ფაქტორს, როგორცაა პირისა და კლას-კატეგორიის მაწარმოებლები აფხაზურ ზმნაში⁷⁵; აქი, ამ უკანასკნელთა გამოყენების წესი წარმოადგენს იმ მორფოლოგიურ საშუალებას, რო-

⁷² იქვე, გვ. 55—57.

⁷³ А. Н. Генко, Абазинский язык, М., 1955, гв. 191—193.

⁷⁴ И. О. Гецадзе, К вопросу об эргативной конструкции в абхазском языке, Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулна АН Грузинской ССР, XXXI, Сухуми, 1960.

⁷⁵ ეს რომ ასე არ იყოს, გაუგებარი იქნებოდა სიტყვათა რიგის ის საგრძნობლად თავისუფლება, რასაც ადგილი აქვს საშწერლობო აფხაზურ პოეტურ მეტყველებაში (იხ. ქვემოთ). ამის სასარგებლოდ მეტყველებს, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ არსებობს სუბიექტისა და ობიექტის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი (resp. სუბიექტ-ობიექტ სინტაქსური ურთიერთობის გამოხატველი) მესამე საშუალება—კონტექსტი, მაგალითად: აბაჯეძეა ხაჯაჲ აჲ ფას დყაჲწჷმტ (ლ. 249)... აფხაზურში სუბიექტ-ობიექტის (პირველ ადგილას სუბიექტი, მეორე ადგილას—ობიექტი) სინტაქსურ დამოკიდებულებას მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მითითებას ზმნაში აფიქსები ვერ იძლეოან, ვერ წყვეტს ვერც სიტყვათა რიგი. სიტყვათა რიგიდან გამომდინარე წესის მიხედვით (სუბიექტი პირველ ადგილას, ობიექტი—შემდგომ) ეს წინადადება ასე გადაითარგმნებოდა: „შავაკა ხაჯაჲმ ბატონს შვილად გაიხადა (იშვილა)“, სინაძღელიუმი ჟი მოცემულ ტექსტში იგი ნიშნავს: „შავაკა ხაჯაჲ ბატონს შვილად გაიხადა (იშვილა)“. ასევე, მაგალითში: უგოჲ იშვიდჷანგოჲ ჭიარა, ტი რიულ?—დ ი ზ წ ა ბ ტ ი უ ჯ ზ ა (ნინ. 16) „შენ როგორ ფიქრობ, ტარიულ?—შეკითხვა: ამხანაგი?—კონტექსტი განსაზღვრავს იმას: ამხანაგი შეეკითხა თუ ამხანაგს შეეკითხნა!

საგულისხმოა, რომ ქართულში (resp. ქართველურ ენებში) დღესაც არის შემთხვევები, როცა წინადადებაში პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი ერთსა და

მელიც განსაზღვრავს ერგატიული კონსტრუქციის არსებობას აფხაზურ ენაში.

აფხაზურ ზმნაში,—გვითხულობთ ქ. ლომთათიძის ერთ-ერთ ნაშრომში,—ერთმანეთისაგან განირჩევა ორი რიგის აფიქსები. მათი ერთმანეთისაგან გარჩევით, აგრეთვე, ზმნურ ფორმაში მათი თანამიმდევრობით განისაზღვრება სინტაქსური როლი სახელებისა, რომლებიც ზმნასთან არიან დაკავშირებული და არ იცვლებიან ბრუნვების მიხედვით⁷⁶.

გ. ალენი საფუძვლიანად მიმოიხილავს ზმნური აფიქსების როლს აბაზური შესიტყვების ორგანიზაციასა და სიტყვათა განლაგებაში და საყურადღებო დასკვნებს იძლევა⁷⁷.

მკვლევარი გამოყოფს აბაზურ ზმნათა ორ ძირითად—ენდოგენურ და ეგზოგენურ—კომპლექსს. იგი შენიშნავს, რომ განხილვის საგანია მხოლოდ ენდოგენური კომპლექსები⁷⁸.

ნაშრომში ერთმანეთისაგანაა განსხვავებული ზმნური ძირების ორი კლასი⁷⁹:

ა) I კლასის ძირს გამოხატავს დღშტდ (მოკლა მან (დედაკ.) იგი (ად.)) ტიპის ზმნები: აფჰიჲს აჟაწა დღშტდ⁸⁰ „ქალმა მოკლა მამა-

იმავე ბრუნვაშია წარმოდგენილი და მათა ერთმანეთისაგან გარჩევა მხოლოდ კონტექსტის (შინაარსის) საშუალებით ხერხდება, მაგალითად: ზურიას ხიმართლეს უმაღლედნენ (ჯაფარ. 37); გულჰოკლულუ სალაჰე ილიჰოხ ლმერთს ავედრებდა (გარეჲ. 75).

პირდაპირი ობიექტის ირიბისაგან გარჩევა უფრო ჭირს იმ შემთხვევებში, როცა ორივე ან ადაშიანთა, ანდა ნიეთთა (არაადაშიანთა) კლასს გამოხატავს, მაგალითად: პეტრეს პავლეს აძლევდნენ მძეულად; პატარა დათო კატას ძალს უმაღლავდა და სხვ.

⁷⁶ К. В. Ломтатидзе, Относительное местоимение в глагольных формах абхазского языка, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 4, თბილისი, 1942, გვ. 389,


⁷⁷ W. S. Allen, Structure and System in the Abaza Verbal Complex, Transactions of Philological Society, Hertford, 1956.

⁷⁸ იქვე, გვ. 133.


⁷⁹ იქვე, გვ. 154.

⁸⁰ პირველ ადგილას მდგომ სახელს ავტორი აღნიშნავს n_1 , მომდევნოს— n_2 -ით, ნაცვალსახელოვან აფიქსს, რომელსაც ზმნაში პირველი ადგილი უჭირავს,— p_1 -ით, მეორე ადგილას წარმოდგენილს— p_2 -ით.

კაცი“. შეთანხმების მოდელი მოყვანილ შემთხვევაში ასეთი სახისაა:




ანუ.




(ქალმა მამაკაცი მოკლა)

მოცემულ ფორმულაში,—აღნიშნავს ავტორი,— n_1 ეთანხმება p_2 -ს. n_2 — p_1 -ს; შეთანხმების ამ ტიპს შეიძლება „სარკისებური“ დავარქვათ⁸¹.

ბ) II კლასის უძირის იძლევა, მაგალითად, ზმნა დღეს (სცემა მან (აღ.) მას(ღელაკ.)): აჭაწა აფიჭს დღეს, „მამაკაცმა სცემა ქალს“—სათანადო მოდელია⁸² ასეთია: n_1 ეთანხმება p_1 -ს, n_2 — p_2 -ს:



ანუ,



ამ ტიპს ავტორი „ართურმისებურს“ უწოდებს⁸³.



ამგვარად,—შენიშნავს ალენი,—პირველი და მეორე კლასის ძირები ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ იმის მიხედვით, თუ როგორია შეთანხმების ფორმა—„სარკისებური“ თუ „ართურმისებური“⁸⁴.

სახესხვაობა p_3 აერთიანებს ორი ტიპის კომპლექსს:

ა) პირველი ტიპის კომპლექსი სამნაცვალსახელოვანია (resp. სამპირიანი გარდამავალია—მ. ც.). ასეთია, მაგალითად, პირველი კლასის

⁸¹ იქუე, გვ. გვ. 154—155.

კატეგორიული ზმნური ფორმები: ილ ს რ შ გ ლ^მ „მოვაკვლევინე“ მე მას (დედაკ.) იგი (რალაც)“, სადაც n_1 ეთანხმება p_3 -ს, n_2 — p_1 -ს, n_3 — p_2 -ს:





ბ) მეორე ტიპის კომპლექსშიც n_1 ეთანხმება p_3 -ს, n_2 — p_1 -ს, n_3 კი— p_2 -ს. იგი მოიცავს II კლასის კატეგორიულ ზმნურ ფუძეებს,


⁸⁴ იქვე, გვ. 156.

⁸⁵ ამ მაგალითში სახელები ზმნას ჩვენ შეუეწყვეთ.


⁸⁶ შდრ.: აბ... ახწია - ყაფშე იხტ-თაგინოცია ზაკ-ზაკ იღვარჯტ (ტაბ. 5). „ბატონმა სამივე წითელი ვაშლი თავის სამსავე ცოლს თითო-თითოდ აჭამა“:



მაგალითად, დასრტსლ „ვატემინე მე მას (დედაკ.), იგი (რაღაც)“⁸⁷:




ანუ:




ორივე ეს ტიპი „შერეული“ სახის შეთანხმებას გვიჩვენებს.

აღენს ამავე ჯგუფში შემოაქვს სამნაცვალსახელოვანი (resp. სამპირიანი გარდამავალი—მ. ც.) არაკაუზატიუური კომპლექსებიც, მაგალითად, ილჭათდ „მისცა მან (მამაკ.) მას (დედაკ.), იგი (რაღაც)“: ატანწა აღს აფჰიჭსთა ილჭათდ „მამაკაცმა ძაღლი ქალიშვილს მისცა“⁸⁸:



ანუ :



აქვე შეცდომითაა წარმოდგენილი შესიტყვება: ატანწა აფჰიჭსთა აღს-ლირშტდ⁸⁹ (მამაკაცმა ქალიშვილს ძაღლი მოაკვლევინა), რომელიც ავტორისეული ენდოგენური კომპლექსის მოთხოვნებს არ უპასუხებს;


⁸⁷ დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

⁸⁸ ამ მაგალითში სხელები ზმნას ჩვ.ნ შეევწყვეთ.


⁸⁹ დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

⁹⁰ აქვე.

იგი იძლევა „სარკისებურ“ შეთანხმებას, ნაცვლად მოსალოდნელი (მკვლევრის კონცეფციის მიხედვით!) „შერეულისა“:



ანუ:



მკვლევარი თავის ნაშრომში შეთანხმების ზოგ სხვა სახეობასაც ეხება, მაგრამ მათ არ გამოვუდგებით.

ამგვარად, ვ. ალენის ნაშრომის („აბაზური ენის ზმნური კომპლექსის სტრუქტურა და სისტემა“) სათანადო განხილვა გვარწმუნებს, რომ ეს ავტორი უაღრესად პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს აბაზურ ზმნაში წარმოდგენილ კლას-კატეგორიის აფიქსებს წინადადებაში სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის გამოსახატავად.

ცნობილია, რომ „შესიტყვება შეიძლება შედგებოდეს როგორც ფორმიან, ისე უფორმო სიტყვათაგან; შესიტყვება შეიძლება შექმნას ან სიტყვათა დამოკიდებულებამ, ან სიტყვათა განრიგებამ, ან კიდევ ინტონაციამ; ერთსა და იმავე ენაში შეუძლებელია სამივე თანაბარ როლს თამაშობდეს⁸¹. მაგრამ გამორიცხული არ არის სპორადული არსებობა ერთი ძირითადი საშუალების გარდა სხვა ს-

⁸¹ ვ. ალენისეული I კლასის კომპლექსები, რომელთაც სამპირიანი გარდაშევა ლ ზმნა (კუზატეური, არაკუზატეური) იძლევა, სტლიზებულ მეტყველების ნიშნე-შეხა. აფხაზურ-აბაზური ტექსტების სტატისტიკური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ შესიტყვებებში, რომლებსაც ამ სახის ზმნეზა ქმნის, ჩვეულებრივ გვაქვს „სარკისებური“ და არა „შერეულა“ სახის შეთანხმება. მაგალითად, „ტაპანთურ ტექსტებში“ (ქ. ლოთიანი, აფხაზური ენის ტაპანთურა დიალექტი) ათარა (მიცემა) ზმნასთან დადასტურდა „სარკისებური“ წყობის შვიდი შემთხვევა, „შერეულასა“ (resp. სტილოზებულისა) კი — მხოლოდ ორი.

⁸² სხვა საკითხია, რომ, მაგალითად, აფხაზური ენის სხვადასხვა გრამატიკულ განზომილებაში სიტყვათა რიგი ხან სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი საშუალებაა (ატრაუტულ სინტაგმაში), ხანაც — დამხმარე (სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულება წინადადებაში).

შუალეღბისაც... ძირითადი კი მხოლოდ ერთ-ერთი ამათვანი შეიძლება იყოს⁸³.

წინადაღბის ყოველი წევრი შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა წევრებთან არა ერთი რომელიმე საშუალეღბით, არამედ — რამდენიმე, და ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი ამ საშუალეღბათვანი იქნება წამყვანი, ძირითადი, სხვები კი დამატებითი, დამოკიდებული⁸⁴.

ი. მეშჩანინოვი აღნიშნავს: წევრთა მნიშვნელობას აფხაზურ წინადაღბაში განსაზღვრავს მათი აღვიღმღებარეობა; ქვემღებარე დვას პირველ აღვიღას, მეორე აღვიღი უჭირავს ირიბ დამატებას, მესამე — პირდაპირ დამატებას. მათი მაწარმღებლები კი ზმნაში გვიჩვენებს საპირისპირო რიგს... კავშირი სახელებსა და ზმნას შორის გამოხატულია წინადაღბის წევრთა რივისა და ზმნაში წარმოდგენილი მათი მაწარმღებლების საშუალეღბით... ზმნის გარდამავალი ფორმა მოითხოვს — პირდაპირი დამატება იღვეს მის წინ; ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ მოითხოვს ზმნაში სათანადო კლას-კატეგორიის ნიშნით აღნიშვნას. ჩნდება საურთიერთო კავშირი სახელებსა და ზმნას შორის. ამგვარად, იქნება ერგატიული კონსტრუქციის სქემა ბრუნვათა უქონლობის შემთხვევაშიც⁸⁵.

ი. მეშჩანინოვის ამ სიტყვებში შეიძლება სადავო იყოს სიტყვათა რივისათვის მეტისმეტად ვადაჭარბებული როლის მინიჭება, მისთვის საერთოდ მტკიცედ ფიქსირებული ხასიათის მიწერა. მაგრამ მართებულად შენიშნავს მკვლევარი, რომ საურთიერთო კავშირი სახელებსა და ზმნას შორის აფხაზურში ბრუნვათა უქონლობის შემთხვევაში ერგატიული კონსტრუქციის სქემას ქმნისო.

როგორც ეს ჯერ კიდევ პ. უსლარმა აღნიშნა, აფხაზურ გარდამავალ ზმნაში წარმოდგენილი კლას-კატეგორიის ნიშნების აღვიღმღებარეობა არ ემთხვევა სუბიექტ-ობიექტის (ობიექტების) რიგს გარდამავალი ზმნის შემცველ წინადაღბაში.

ობიექტიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადაღბაში სუბიექტი ჩვეულებრივ პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, მას მოსდევს პირდაპირი ობიექტი; საპირიანი (გარდამავალი) ზმნის შემცველ წინადა-

⁸³ ა. რ. ჩიკობავა, მარტივი წინადაღბის პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 125.

⁸⁴ Е. И. Шендельс, Порядок слов в главном предложении в современном немецком языке, ჟურნალი: „Иностранные языки в школе“, № 6, 1948, გვ. 20.

⁸⁵ И. И. Мещанинов, Эргативная конструкция в языках различных типов, Л., 1967, გვ. 66.

დებაში კი გვაქვს ასეთი რიგი: სუბიექტი—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი⁹⁶.

ი. გეწაძეს აქვს აღნიშნული, რომ სუბიექტისა და ობიექტის განლაგება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სინტაქსურ საშუალებას სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობათა გადმოსაცემად აფხაზურ წინადადებაში, სადაც მოქმედებს სუბიექტისა და ობიექტის (resp. ერგატიული და სახელობითი ბრუნვების) განთავსების ის პრინციპი, რაც დღემდე შემოგვრჩა ადრეულ ქართულ საკუთარი სახელეების ბრუნებაში და დოკუმენტურადაა დაცული ძველი ქართული ენის ძეგლებში⁹⁷.

თუ ტექსტებში წარმოდგენილი ვითარებდან გამოვალთ, აღმოჩნდება, რომ წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის განლაგების ნაწილად ქართველური ენები (მათ შორის, ძველი ქართულიც) პრინციპში იმავე სურათს იმეორებს, რასაც თანამედროვე აფხაზური ენის მონაცემები იძლევა. აქაც გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში სუბიექტს ჩვეულებრივ პირველი ადგილი უჭირავს, პირდაპირ ობიექტს—შემდგომი⁹⁸.

მართალია, აფხაზურში ჰარბობს თანამიმდევრობა: სუბიექტ-ობიექტი, მაგრამ არცთუ იშვიათია — ობიექტ-სუბიექტი, მაგალითად:

ა) გარდამავალი ზმნის შემცველი ფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში⁹⁹:

ობიექტ-სუბიექტი:

გირგიალ ჩაჩბა იფსჷ ანთაზ, აყიარგლქია იზნარგონ აფილარ (გ II, 289) „როცა გრიგოლ ჩაჩბა ცოცხალი იყო, ხალხს მისთვის ყვერულები მიჰყავდა“;

⁹⁶ პირისა და კლას-კატეგორიის ნიშანთა განლაგების შესახებ ზმნაში—იხ. ზემოთ.

⁹⁷ И. О. Гецадзе, К вопросу об эргативной конструкции в абхазском языке, Труды Абхазского института, т. XXXI, Сухуми, 1960, გვ. 215.

⁹⁸ საილუსტრაციო მაგალითები იმდენად უძველია, რომ, ფიქრობთ, მათი დამოწმება საჭირო არაა.

⁹⁹ რაც შეეხება ორპირიანი გარდაუვლი ზმნის შემცველ წინადადებას, როგორც აღნიშნული იყო, მასში სუბიექტ-ობიექტის ადგილმდებარეობა სავსებით ემთხვევა აფიქსთა განლაგების ზმნაში: პირველ ადგილასაა სუბიექტი (resp. სუბიექტის ნიშანი), მეორე ადგილას—ირიბი ობიექტი (resp. ირიბი ობიექტის ნიშანი):

	წ		წ
წ	წ	წ	წ

აღა აცგოჷ ა—ა—შთაღემტ მაღალი კატას გამოვლენა“;

სიღვრევეტ ურთ აბრაგ^აცია (გ. II, 45) „ჩემი ცხენი წაიყვანეს იმ ყაჩაღებმა“;

რკუიხ^აქია ვბა აბგაქია ირჟევეტ (გ. II, 51) „მათი ორი მეწველი ძროხა მგლებმა შექამეს“;

არი ამ იწგახვეტ (გ. II, 112) „ეს ბატონმა გამოარკვია (გამოიძია)“;

არი ეფთშე აჟაჟ ხარა დსგზღვრამ (გ. II, 296) „ასეთ კაცს მე არ ვიცნობ“;

აწაბჯრ გ იპიოვეტ გირგაფლ (გ. II, 299) „მართალს ამბობს გრიგოლი“;

აბას იევეტ ანხაცია აყვიანდარ გ^ანგ^აშე (გ. II, 304) „ასე მოატყუა გლეხები ცბიერმა ხუცესმა (ქყონდიდელმა)“;

აპაპ იპიაქია ცაგურია ბატა იჩახჟევეტ. (მ. II, 304) „მღვდლის ღორებს ბატა ცაგურია ასუქებს“;


კიასთა იპიაქია აბგაქია ირჟევეტ (გ. II, 304) „კოსტას ღორები მგლებმა შექამეს“;

არაშ აბგა ჯაჭაავეტ (ლ. 96) „რაში მგელმა შექამოს (მგელსაც შეუქამია)“;


ზეგ^აჯ ავიღლშაპ ჯაჭონ (ლ. 30) „ყველას გველეშაპი ჭამდა“...

საჭირა აქვე აღენიშნაო ერთი გარემოებაც.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ მაგალითებში სუბიექტ-ობიექტის შედრუნებულ (ობიექტი-სუბიექტი) წყობასთან გვაქვს საქმე, მათზე ერთგვარი მითითება რიგ შემთხვევებში ისევ ზმნაშია მოცემული. მაგალითად, გვაქვს:



არაშ აბგა ჯ-ა-ჭაავეტ (რაში მგელმა შექამოს);



ათაჰმალა ათაჰიეიშ დ — ლ — ახმარჩან „პერაჟა-ცო დედაბერს ეთამაშებოდა“ შდრ. გ. რდამეველა ზმნის შემსუყულ წინადადებაში: აქეთენ აჟძეს დ — აა — ჯ

სუბიექტ-ობიექტის რიგის დარღვევის შედეგად ობიექტსა და ზმნას შორის სუბიექტი მოექცა, ამან კი თავის მხრივ ზმნაში პირდაპირი ობიექტის ნიშანი (ა) გააჩინა (შდრ. პირდაპირი წყობისას: აბგა არაშ ა-აჰაჰტ „მგელმა რაში შეჭამოს“). ამგვარად, სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ურთიერთობას ამ შემთხვევაშიც პრინციპში ისევე ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები (მათი ადგილმდებარეობა) განსაზღვრავს.

ბ) ზოგი სახის ინფინიტურ კონსტრუქციაში (resp. ზოგი სახის დამხმარე პრედიკატულ ცენტრში) კი ობიექტ-სუბიექტის რიგი თითქმის ერთადერთი შესაძლებლობაა, მაგალითად: აბრი აფჰიგს ღგზგო აჰ იფა... (ლ. 244) „უფლისწული, ვისაც ეს ქალი მიჰყავს (ცოლად)“... აბრი ეფშე აჩგს ზგმჰაცგზ გიჯნღაფშაჰა... (ლ. 46) „ლამაზი გუნდა, ვისაც ასეთი საკმელი არ ეჭამა“ და სხვ.

ამ მხრივ საყურადღებო მონაცემებს იძლევა სათანადო მასალათა სტატისტიკური შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ი. პაპასჭირის „ხიმურის გზაში“ (გვ. 1—441) წესის დარღვევის (პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი) 329 შემთხვევა გვაქვს, „აფხაზურ ზღაპრებში“ („აფსტა ლაკიქა“) (გვ. 1—471)—132, დ. გულიას „კამპიკში“ (გვ. 1—259)—156, ქ. ლომთათიძის „აშხარულ ტექსტებში“ (გვ. 1—106)—92, „ტაპანთურ ტექსტებში“—110, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ (დ. გულიას თარგმანი) (გვ. 1—304)—312.¹⁰⁰

როგორც ვხედავთ, ეს ციფრები საკმაოდ დამაფიქრებელია. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ

— გვად „ბიკმა ცოლი მოიყვანა“, სადაც გვაქვს რიგი: სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი, ზმნაში კი აფჰქსთა ადგილმდებარეობა შებრუნებულა: პირდაპირი ობიექტის ნიშანი—სუბიექტის ნიშანი.

¹⁰⁰ დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ სათანადო, შემაჭერებელი ხასიათის სტატისტიკურ ტაბულებში, რომლებიც ამ ნაშრომს ერთვის. მათში გათვალისწინებულია კონსტრუქციებში წვერთა განლაგების ყველა ძირითადი შემთხვევა ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით. იმ მიზნით, რომ ერთგვარობა არ დარღვეულიყო, აღნუსხული არ არის შემთხვევები, როცა სუბიექტად, პირდაპირ ან ირიბ ობიექტად გამოყენებულია ინფინიტური ზმნის ფორმები (ე. წ. მიმდებარე ფორმები), აგრეთვე — კომპლექსები, რომელთაც ქმნის ე. წ. *verba sentiendi*-ს ტიპის ინვერსიულ გარდაუვალ ზმნებთან დაკავშირებული სახელები. ის მარტივი ორწევროვანი კომპლექსები, რომელთაც ერთპირიან (გარდაუვალ) ზმნათა და სახელთა სინტაქსური კავშირი იძლევა, წარმოდგენილია მხოლოდ ერთ ტაბულაში (დ. გულიას „კამპიკის“ მიხედვით), რამდენადაც კომ-

დამოკიდებულებას აფხაზურ ენაში ძირითადად განსაზღვრავს ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები.

ამის სასარგებლოდვე ლაპარაკობს კომბინაციათა (resp. წევრთა თანამიმდევრობის) ის ვარიაციული მრავალფეროვნებაც, რაც დასახელებულ ნაწარმოებთა სტატისტიკურმა შესწავლამ გვიჩვენა¹⁰¹.

თანამიმდევრობა: პირველ ადგილას სუბიექტი, შემდგომ—ობიექტი, როგორც ჩანს, იბერიულ-კავკასიური ენობრივი აზროვნების საერთო, ზოგადი გამოხატულებაა. ეს კი, უნდა ვიფიქროთ, შეპირობებული უნდა იყოს იმით, რომ იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ განვითარებაში უაფიქსობა წინ უსწრებდა აფიქსიანობას¹⁰². მაგალითად, ცნობილია, რომ ამ ენათა ზმნის უღვლილების განვითარების ისტორიული ხაზი მიიმართება კლასოვანი უღვლილებიდან კლასოვან-პიროვანი და, ბოლოს, პიროვანი უღვლილებისაკენ. ბრუნვათა ფორმების წარმოებაც ამ ენებში მეორეული მოვლენაა¹⁰³. როგორც ჩანს, გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშნის გაჩენის შედეგად (თავდაპირველად ოდენ ობიექტური უღვლილება გვექონდა¹⁰⁴), რაც დაკავშირებულია ერ-

ბნაცობის ვარიაციული მრავალფეროვნებისათვის თვალის მისადევნებლად მათ თითქმის არაერთარი მნიშვნელობა არა აქვთ; ხაზგასმულია ის მომენტები, როცა ადგილი აქვს სუბიექტ-პირდაპირი ობიექტის თანამიმდევრობის დარღვევას. რაც შეეხება წყობას, პირდაპირი ობიექტი - წ ნაცვალსახელოვანაფიქსიანი გარდამავალი ზმნა (ორპირიანი, სამპირიანი)—სუბიექტი,—ტაბულებში სპეციალურად გახაზული არ არის, რადგანაც ეს თანამიმდევრობა მოცემულ შემთხვევაში უგამონაკლისოა (resp. კანონზომიერა) და საერთო წესიდან გადახვევა მოჩვენებით ხასიათს ატარებს.

ინფინიტურ ზმნებში, რომლებიც სათანადო კომბინაციებს ქმნიან, ნაგულისხმევია (უნიფიცირებულა) -ან, -აშჲ, -(ა)ხ¹⁰⁵ საგარემოებოაფიქსებიანი წარმოებები, აგრეთვე—ზმნათა მოჩვენებითი, პირობითი, მიზან-პირობითი და ზოგი სხვა ინფინიტური ფორმა (ო და წ ნაცვალსახელოვანაფიქსებიანი, კითხვითი და ბრძანებითი ფორმები კი ცალკეა გათვალისწინებული).

¹⁰¹ იხ. შემაჯამებელი ხასიათის სტატისტიკური ტაბულები.

¹⁰² შეიძლება აფიქსიანი ენა უაფიქსოდ იქცეს (და ამის მაგალითებიც არაერთი გვაქვს), მაგრამ ეს საკითხის მეორე მხარეა (ენა, რომელმაც აფიქსები დაკარგა, თავდაპირველად უაფიქსო უნდა ყოფილიყო).

¹⁰³ А. С. Чикобава, Категория грамматических классов и генезис подлежащих окончаний в грузинском языке, საქ. სსრ მეცნ. აკად. შოაშბე, ტ. VII, № 1—2, 1946.

¹⁰⁴ აფხაზური გარდამავალი ზმნის გარკვეულ წარმოებებში უსუბიექტო (resp. სუბიექტის უნიშნო) ფორმა იშვიათად ფაქტია (იხ. ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იყ, II, თბ., 1948).

გატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებასთან აფხაზურში¹⁰⁵, ზნნაში კლას-კატეგორიის ნიშანთა ადგილმდებარეობა (პირველ ადგილას პირდაპირი ობიექტის ნიშანი, მეორე ადგილას — სუბიექტის ნიშანი) დაუპირისპირდა სუბიექტ-ობიექტის რიგს (პირველ ადგილას სუბიექტი, მეორე ადგილას — პირდაპირი ობიექტი) გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში. ამით მორფოლოგიურად გამოხატული ერგატიული კონსტრუქცია დაუპირისპირდა აფხაზური ენის ინდფენიტურ სინტაქსურ კონსტრუქციას; ყოველივე ამას, ბუნებრივია, ხელი უნდა შეეწყო აფხაზურ წინადადებაში სიტყვათა ფიქსირებული რიგის შერყევვისათვის¹⁰⁶.

ეს გზა უნდა გაეგლო ისტორიულად ქართველურ ენებსაც.

და მაინც აფხაზური ენის დღევანდელი ვითარება (ე. ი. ის შემთხვევები, როცა სიტყვათა შტკიცე რიგი სინტაქსური აუცილებლობითაა ნაკარნახევი) ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ძველი ქართული ენის ძეგლებში შემონახული სურათი (აბრაამ შვა ისააკ; ისააკ შვა აბრაამ). ეს ნიშნავს: აფხაზური ენა იმ წვლილის თვალსაზრისით, რომელიც მას შეაქვს ერგატიული კონსტრუქციის საკითხთა რკვევაში (ე. ი. ზემოდასახელებულ შემთხვევებში სუბიექტ-ობიექტის ფიქსირებული რიგის საშუალებით და არა — საერთოდ) გარკვეული გაგებით ერთ სიბრტყეზე დგას ძველ ქართულთან, ხოლო ერთი საფეხურით წინაა ქართველურ ენებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, თანამედროვე აფხაზურში წარმოდგენილი ვითარება, ე. ი. პირველი ადგილი სუბიექტისა და მეორე (შემდგომი) ადგილი პირდაპირი ობიექტისა, როცა ეს გრამატიკული აუცილებლობითაა შეპირობებული¹⁰⁷, უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვანია სათანადო საკითხთა გასაანალიზებლად დიაქრონიულ კრილში და არა სინქრონიულში¹⁰⁸, რამდენადაც აფხაზურსა და ქართ-

¹⁰⁵ „ერგატიული კონსტრუქციის ისტორიაში პირის კატეგორია ახალი საფეხურია ახალი თვისებებით აღჭურვილი და ერგატიული კონსტრუქციის შინაითვე სუბიექტის გაძლიერების მაუწყებელია“ (ნ. ან დღე უღაძე, კლასიკური და პიროვანი უღვლელების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968, გვ. 128).

¹⁰⁶ И. О. Гецадзе, К вопросу об эргативной конструкции в абхазском языке, Авторефер. канд. дисс., Л., 1962, гв. 21.

¹⁰⁷ როგორც ზემოთ სათანადო მაგალითის საშუალებით დავრწმუნდით, ეს გრამატიკული აუცილებლობაც არცთუ იშვიათად უგულებელყოფილია და მაშინ სუბიექტ-ობიექტის სინტაქსური დამოკიდებულების დასადგენად კონტექსტისა გეშველის.

¹⁰⁸ ცნობილია, რომ ამოდიოდა რა სუბიექტის ფსიქოლოგიური გავებიდან, პ. შუხართს ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის ერთ-ერთ კრიტერიუმად მოჰყავდა სუბიექტის ადგილი წინადადებაში.

აფასებს რა შუხართის ამ მოსაზრებას, არნ. ჩიქობავა მართებულად შენიშნავს, რომ წინადადებაში (მხედველობაშია აფიქსიან ენათა წინადადება—მ. ც.) სუბიექ-

ველურ ენებში ერგატიული კონსტრუქცია უკვე გაფორმებული - კონსტრუქციაა (ქართულში — სინტაქსურად, აფხაზურში — მორფოლოგიურად), და რეალურად (resp. ტექსტებში) არსებული ვითარების მხრივ მათ შორის განსახილველ საკითხში არსებითი ხასიათის სხვაობას ადგილი არა აქვს: ორივეგან ძირითადია რიგი: სუბიექტი პირველ ადგილას, პირდაპირი ობიექტი — შემდგომ. ეს ნიშნავს: თანამედროვე აფხაზურში გაბატონებული წყობა: სუბიექტი — ობიექტი — გვაქვს არა ამჟამად მოქმედი გრამატიკული კანონების შედეგად¹⁰⁰, არამედ სათანადო ენობრივ მოვლენათა განვითარების ისტორიული გზის (resp. ტრადიციის) კარნახით. ოღონდ ეს კია, რომ მოცემული ენობრივი ფაქტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აფხაზური სინქრონია“ დიაქრონიისათვის შეუღარებლოვ მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე „ქართველური ენების სინქრონია“.

თავის მხრივ, ენის ფაქტების ამგვარი შესწავლის მნიშვნელობა საეხებით ნათელია. სინქრონია დიაქრონიას ემსახურება¹¹⁰; დავას არ იწვევს „ისტორიის წამყვანი როლი ენის მეცნიერული შემეცნების საქმეში“.¹¹¹

განხილული საკითხები (სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები, სიტყვათა რიგი ერგატიული კონსტრუქციის სიბრტყეზე) საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ:

ტის ადგილი არ არის სამელო კრიტერიუმში არც წინადადების შედგენილობისა და არც ზნის ბუნების დასახასიათებლად (Ари. Чикобава, Несколько замечаний об эргативной конструкции, კრებული: Эргативная конструкция предложения, М., 1950, გვ. 12).

¹⁰⁰ მხედველობაშია სუბიექტ-ობიექტის რიგი საერთოდ და არა ცალკეულ შემთხვევებში.

¹¹⁰ როცა ვამბობთ: სინქრონია დიაქრონიას ემსახურებაო, ცხადია, ეს არ ნიშნავს სინქრონიასა და დიაქრონიას-შორის სადემარკაციო ხაზის ვაგლებას, მათს შვაცრ გამიჯნვას ყველა შემთხვევაში, რაც საერთოდ შეუძლებელია. ცნობილია, რომ „აღწერის დროს ყველა ცოცხალი ენის ისტორიულ დასტურდება ფაქტები, რომლებიც უეკველად დიაქრონიულ მიდგომას მოითხოვენ“ (თ. შარაძენიძე, რას გვაძლევს ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა ენის განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად, წიგნი: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II ტ., 1967, გვ. 25); „სწორედ იმიტომ, რომ სინქრონია მოიცავს დროის საკმაოდ გრძელ მონაკვეთს, იგი მოკლებული არაა მოძრაობას, ხასიათდება გარკვეული დინამიკით და დიაქრონიისაგან გამოყოფილი არაა გადაუღახავი უფსკრულით“ (Ю. С. Степанов, Основы языкознания, М., 1966, გვ. 226); „დიაქრონია არამარტო ლინგვიკურია, არამედ სტატიკურია, სინქრონია კი, პირიქით, არამარტო სტატიკურია, არამედ—დინამიკურიც“ (Общее языкознание, под ред. Б. А. Серебренникова, М., 1970, გვ. 204).

¹¹¹ Ари. Чикобава, К вопросу о путях развития современной лингвистики, ВЯ, № 4, 1966, გვ. 49.

მიუხედავად არაერთი, არსებითი ხასიათის აფხაზურ-ქართველური სინტაქსური იზოგლოსებისა, სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში, ქართველური ენების სათანადო მონაცემებთან შედარებით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს შელავნდება, პირველ რიგში, სიტყვათა რიგის ფიქსირებულ ხასიათში სათანადო შემთხვევებში, მისი სინტაქსური ფუნქციების მკვეთრად გახაზვაში და სხვ. ეს კი თავის მხრივ ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ამ ენათა (და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა) ისტორიული განვითარების იმ საფეხურს, როცა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იწყებს, ასე ვთქვათ, თავისთავის გამჟღავნებას გარდამავალი ზმნის თავისებურებებში, შემდგომში კი ავლენს ამ მხრივ ყველა შესაძლებლობას მორფოლოგიის ფარგლებში. განვითარების შემდგომი ხაზი აფხაზურისათვის აქვე წყდება;¹¹² მაგრამ იგი ფასდაუდებელია თვალის მისაღვენებლად იმ პროცესებისათვის, რომლებმაც ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ქართველურ (და ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ) ენებში მორფოლოგიის პრობლემიდან სინტაქსის პრობლემად აქცია.

¹¹² «ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა სინტაქსში იწყება, რამდენადაც ამ კონსტრუქციის შესწავლა გვაქვს მხედველობაში; ეს პრობლემა მორფოლოგიაში (ზმნაში) ჩნდება, რამდენადაც კონსტრუქციის წარმოქმნა იგულისხმება» (არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 118).

თავი მესამე

სიტყვათა რიგი ატრიბუტულ სინტაგმაში

ცნობილია, რომ აფხაზურში სახელები არ იბრუნვის. ეს გარემოება, ზოგი სხვა იბერიულ-კავკასიური ენისაგან (მაგალითად, ქართველური ენებისაგან) განსხვავებით, აფხაზურში ქმნის თავისებურ სურათს განსაზღვრებისა (მსაზღვრელისა) და საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში. დადგენილია, რომ ქართულ ენაში, სადაც კარგად განვითარებული ბრუნება გვაქვს, განსაზღვრებისა და საზღვრული სიტყვის სინტაქსური დამოკიდებულება აღინიშნება შეთანხმებით ბრუნვასა და რიცხვში (მაღალი ხე, მაღალმა ხემ, მაღალ(ს) ხეს... ხენი მაღალნი, ხეთა მაღალთა...), მართვით (ხის სახლი, სიტყვის ძალა...), მართვა-შეთანხმებითა (სახლი ხისაჲ, სახლმა ხისაჲ, სახლსა ხისას...) და მითვით (წინ-წყარო...).

აფხაზურში მსაზღვრელ-საზღვრულს (resp. საზღვრულ-მსაზღვრელს) შორის ეს ურთიერთობა ასე გამოკვეთილად არაა წარმოდგენილი¹. აფხაზურ შესიტყვებაში გრამატიკული კავშირის მკრთალობა (აქ გვაქვს ოდენ შეთანხმება—კლასსა და რიცხვში—და მითვა²) კომპენსირებულია სიტყვათა რიგის როლის ერთგვარი გაძლიერებით. კერძოდ, მართვის უქონლობა აიძულებს აფხაზური ენის განსაზღვრებასა და საზღვრულს კონტაქტურად დალაგდნენ წინადადებაში და ამით უზრუნველყონ მტკიცე „შინაგანი“ კავშირი. ამიტომაც, რომ აფხაზურ

¹ მსაზღვრელ-საზღვრულს დამოკიდებულება, ცხადია, ყველა ენაში არც შეიძლება იყოს ერთნაირი იმ თავისებურებების გამო, რომლებითაც შეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთი ენა მეორისაგან. მაგალითად, რუსულ ენაში იმის მიხედვით, გვაქვს თუ არა შეთანხმება სქესსა და რიცხვში, განსაზღვრებები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: შეთანხმებულ (согласованное) და შეუთანხმებულ (несогласованное) განსაზღვრებებად.

² იხ. ქვემოთ.

წინადადებაში თითქმის არ გვხვდება დისტანციური (resp. გათიშული) განსაზღვრებები.

ამგვარად, აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში სიტყვათა სინტაქსური დაკავშირების საშუალებებია სიტყვათა რიგი და შეთანხმება კლასსა და რიცხვში³.

აფხაზურშიც, ისევე როგორც რიგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში, განსაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილითაა იგი გადმოცემული, შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს საზღვარულს, ე. ი. გვაქვს პრეპოზიციული და პოსტპოზიციური წყობა⁴.

პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი: სუბსტანტივეური მსაზღვრელი, ინფინიტური ზმნის ზოგიერთი ფორმა (ე. წ. მიმღობური ფორმა), ჩვენებითი, პირის, განსაზღვრებითი⁵ და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, რიგითი რიცხვითი სახელები, რაოდენობითი რიცხვითი სახელები ოცამდე...

პოსტპოზიციურადაა წარმოდგენილი: ვითარებითი ზედსართავი სახელი, ზოგიერთი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი...

პოზიციის ლაბილურობაა (ხან პრეპოზიცია, ხანაც პოსტპოზიცია) დამახასიათებელი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისათვის ოცის შემდეგ და კრებითი რიცხვითი სახელებისათვის.

კომპოზიტებში მსაზღვრელი ხან წინ უსწრებს საზღვარულს, ხანაც მოსდევს მას იმისდა მიხედვით, თუ რითაა იგი გამოხატული—სუბსტანტივით თუ ატრიბუტული სახელით.

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ა

სუბსტანტივი განსაზღვრებად

აფხაზურში არსებითი სახელი, როცა ის მსაზღვრელადაა გამოყენებული, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს საზღვარულს, ე. ი. გვაქვს

³ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თავი: „სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქციები...“

⁴ იხ. ზ. ქუშბურძე, მსაზღვრელ-საზღვრელის ადგილისათვის ქართველურ ენებსა და აფხაზურში, წიგნი: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, 1956, გვ. 327; Л. П. Чкадуа, К вопросу о порядке и взаимосвязи членов атрибутивного комплекса в абхазском языке, Труды Сухумского госпедияститута им. Горького, XVI, Сухуми, 1963.

⁵ ზოგიერთ განსაზღვრებითს ნაცვალსახელს პოსტპოზიცია უკირავს: ატჯსქია ზ ე გ² „საქმეები ყველა“ (იხ. ქვემოთ).

პრეპოზიციული წყობა. მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთ დამოკიდებულებას აფხაზურში გ. როზენი გენეტიკურს უწოდებს. გენეტიკური დამოკიდებულება, — აღნიშნავს მკვლევარი — გამოიხატება სიტყვათა უბრალო რიგით. მაგალითად: ჟაბ იჩჲ „შენი მამის (მამაშენის) ცხენი“, აბნა ჩჲ „ირემი“, აფჲზჲბა ლლა „ქალიშვილის ძალი“. სხვა შემთხვევებში ბრუნვითი დამოკიდებულება სიტყვებს შორის შეიძლება. გადმოიცეს ზმნის დახმარებით. მაგალითად, ამბობენ: სარა საბ აჩჲ ისთაპ „მე ჩემს მამას (= მამაჩემს) ცხენს მივცემ“. კითხვაზე: ვის აძლევ შენ აბას? — შეიძლება მხოლოდ ვუპასუხოთ: საბ ისთაპ „მამაჩემს („ჩემს მამას“) მივცემ“.

სიტყვათა მსგავს ურთიერთობას აბაზურში ა. გენკო პოსესიურს ეძახის. ეს შესიტყვება (პოსესიური შესიტყვება — მ. ც), — წერს ავტორი, — შეეფარდება რუსული და სხვა ენების „ნათესაობითი“ ბრუნვის შესიტყვებას სახელთან... მისი ფორმალური ნიშნებია: მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, ხოლო საზღვრული ეთანხმება მსაზღვრელს პირში, რიცხვსა და სქესში: ტაპანთა რთაჟრჯხ „აბაზების ისტორია“ (история абазин), შღრ. ტაპანთა თაჟრჯხ „აბაზური ისტორია“ (абазинская история?).

განსაზღვრებლად გამოყენებული სუბსტანტივი აფხაზურ საზღვრულს უკავშირდება შეთანხმებით კლასსა და რიცხვში, მაგალითად: ა) კლასში: აბზარბზან ა-ბჲჲ „ქვემეხის ხმა“, არახი ა-ჟატი „საქონლის საკვები (საქმელი)“... აჟაჲჲ ი-ლამგს „ადამიანის სინდისი“, ზმურ ლ-გმჲ „ხიმურის გზა“ (შღრ. ქართ. ხის სახლი, ამხანაგის წერილი, მეგობრის რვეული, თოვლის პაპა და სხვ.); ბ) რიცხვში: ავგზცია რ-გში-ყოჲ (რგშიყიჲ) „მეგობრების წიგნი (წიგნები)“:

მ ე ზ ი ზ ე ნ ო ადგზლ ხტრა ჯაჲჲჲ (ხ. 70) „მეზის რგოლი ახოს ტეხლა“;

აბართ აეიჲჲ იიპო ჯარა იშჲჲტემ უზგმდგრძოჲ, ურთ პატგხი ჯაჲჲიჲჲ როჲჲ (ხ. 26) „ვერ ხედავ, ეს სიტყვები იმას (მამაკ.) არ ეკუთვნის, ისინი პატუხის სიტყვებია“;

ლეჲარსა პატგხი ი თ გ ძ შ ი ა ააცოგრიგეჲტ (ხ. 123) „ლევარსიმ პატუხის ამბავი წამოიწყა“;

მ ე ზ ი ფ შ ა ა რ ა ჯაშთალეჲტ (ხ. 215) „დაიწყეს მეზის ძებნა“;

ახიჲჲჲ ჯაბ იზხარა დწიჲჲან (ლ. 380) „ბავშვის მამამ დიდხანს (საკმაოდ) იტირა რა“...

* G. Rosen, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische, Berlin, 1846, გვ. 72.

? A. H. Генко, Абазинский язык, М., 1955, გვ. 186.

აპ იფჰა დაქიმჰაპათხეატ (ლ. 280) „ბატონის ქალიშვილი დათანხმდა“;

იხენჰიჰეატ აპ ი რ გ ჯ მ ა რ გ ჯ ხ ჯ მ დ ლ ჯ განუ (ლ. 268) „დაბრუნდნენ ბატონის ჯარიცა და თვითონაც (ბატონიც) სახელიანად“;

არი აჩჩია იზთადა აპ ი ჩ ა ბ რ ა პ (ლ. 269) „ამ გლახაკს ვინ მისცა ბატონის ცხვირსახოცი?“

ფერლჰე ა დ ა ჟ ე ი ლ ჯ მ ჰ ა ი თ ა შ ი ე ა ტ (ლ. 27) „ერთი ნაღვერდალი ღვეის ყურში ჩავარდა“;

გიენდა მარანჯ ა კ ი მ ა ა ნ ა ხ გ ლ არ ხ ა ნ გ ა დ ა შ მ ა ი ლ ჯ ქ ი ე ლ თ ი ე ა ტ (ლ. 52) „გუნდამ უცებ დოქი გადმოაპირქვეავა რა. იატაქზე (წყალი) დააქცია“.

მოყვანილ შემთხვევებში საზღვრულის გადაყვანა მრავლობით რიცხვში ვერ იწვევს ცვლილებას მსაზღვრელში: „აბზარბზან აბქეა ქვემეხის ხმები“, აკიმან ახქია „დოქის თავები“, არახი აფატიქია „საქონლის საკმელები“, აჯზა იშეყიქია „მეგობრის წიგნები“, პატუხი ითქშიაქია „პატუხის ამბები“, ხმურ ლემჯაქია „ხიმურის ვხები“ და სხვ. ამ მხრივ მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელი არ განსხვავდება ქართული ენის გენეტური მსაზღვრელისაგან (ოლონდ აფხაზურში უბრუნველობის გამო გვაქვს არა „გენეტივი“, არამედ ფორმალურად ცვლილი სახელი): ხის სახლი, ხის სახლმა, ხის სახლს... ხის სახლები, ხის სახლებმა, ხის სახლებს... მაგრამ მსაზღვრელის მრავლობითში გადაყვანას, როგორც დავინახეთ, აფხაზურში თან სდევს სათანადო ცვლილებები: საზღვრულში ჩნდება კუთვნილებითი ურთიერთობის გამომხატველი რ აფიქსი (მრავლობით რიცხვში): აბზარბზანქია რგბეჰ (|| რგბექია) „ქვემეხების ხმა“ (ქვემეხების ხმები), აკიმანქია რგბეჰ (|| აკიმანქია რხე) „დოქების თავები“ (დოქების თავი), ადაჰცია რჯნქია (|| ადაჰცია რჯნე) „ღვეების სახლი“, აპცია რჩაბრაქია (|| აპცია რჩაბრა) „ბატონების ცხვირსახოცი“ (ბატონების ცხვირსახოცი), აჯზცია რეშეყიქია (|| აჯზცია რეშეყე) „მეგობრების წიგნები“ (მეგობრების წიგნი) და სხვ.

საკეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აბაზური დიალექტებისათვის მეტად დამახასიათებელია ადამიანთა კლასის მრავლობითი რიცხვის წარმოება ორმაგი — ციაქია (resp. — ჩიაქია) სუფიქსის საშუალებით:

⁸ იხ. ქ. ლომთათიძე, ტაბანთური დიალექტი, თბილისი, 1944, გვ. 77; მისივე: აბზარულა დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954, გვ. 59.

აქიენცა /ჩიაქია „ყმაწვილები“, აფაცია/ჩიაქია „შენილები (ვათიშვილები)“, ააშცია/ჩიაქია „ძმები“ და სხვ⁹. ეს ფაქტი კიდევ უფრო ნათელი გახადა სათანადო მასალის სტატისტიკურმა შესწავლამ¹⁰.

იშვიათია შემთხვევები, როცა მოსალოდნელი პოსტპოზიციური წყობის ნაცვლად გვაქვს პრეპოზიციული წყობა, მაგალითად: ამაწუჯ ფჰიგზზა „მოსამსახურე (მსახური) ქალიშვილი“, აფშიმა ფჰიგს „მასპინძელი ქალი“, ხარლანაპგ (მისი) მარჯვენა ხელი“, აფსტა ხიშიე „აფხაზური (სოფლური) წამალი“¹¹, აფსტა ბგზშია „აფხაზური ენა“, აჟტრეს ჰინთჟარ „რუსი ხელმწიფე“, აქტრთჟა შიყიგჯ „ქართველი მწერალი“ და სხვ. ვფაქრობთ, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ასეთი განსაზღვრებები (ამაწუჯ „მოსამსახურე“, აფშიმა „მასპინძელი“, არლანა „მარჯვენა“, არმა „მარცხენა“) თავისი ბუნებით სუბსტანტივებს უახლოვდებიან¹², ეს უკანასკნელები კი, როგორც დავინახეთ, წინ უძღვიან საზღვრულ სახელებს (შდრ. ფგრჯანკ აჟატკა ნთეათიან იეთიტ (ნ⁰. 164) „ერთი ტოლჩა არაყი დაისხა (მან, მამაკ.) რა, დალია“): ამაწუჯ ფჰიგს დააჟტ (ლ. 404) „მოსამსახურე (მომსახურე) ქალი მოვიდა“;

ხაყიარფგს ხარლანაპგ აჟჰეგჯხჟტ (ლ. 43) „ხეაქვარფისმა მარჯვენა ხელი მოაგლიჯა“;

აფშიმა ფჰიგს... დგლდტრტ ლჰკიენ აჟარბაჟი აგაზ შიიაკიგზ (ლ. 57) „მასპინძელმა ქალმა იცნო თავისი ბიჭი, რომელიც ორბმა გაიტაცა“.

მსაზღვრელი საზღვრულში ყველგან აჩენს სათანადო ნიშანს, ე. ი. ითანხმებს საზღვრულს პირსა და კლასში: აჟაჯგ ილამჯს „ადამიანის ნაშუსი“, აქიმაან ა-ხგ „დოქის თავი“...

მსაზღვრელ-საზღვრულს შორის სინტაქსურ კავშირს, რომელიც იდენტურია ქართულში მართვით გამოხატულ სიტყვათა დამოკიდებულებისა (ხის სახლი), სწორედ ეს პირ-კლასის აფიქსები ამყარებენ (აჟაუჟ ილამჯს, აქიმაან ა-ხგ).

⁹ მსგავსი წარმოება, როგორც ცნობილია, იშვიათად გვხვდება აფხაზური ენის დიალექტებშიც.

¹⁰ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 1.

¹¹ აფსტა ხიშიე აგჯ ჟაუჯ ანუგხილო ვალოჟტ (ნ⁰. 86) „ხანდახან სოფლური წამლები ჰშველის ხოლმე ადამიანს“.

¹² ეს რომ ასეა, ჩანს იქედანაც, რომ ისინი დამოუკიდებლადაც გვხვდება: აფშიმა „მასპინძელი“, ამაწუჯ „მოსამსახურე (მომსახურე)“, აფსტა „აფხაზი“ და სხვ. (აფშიმა აუნგ ლჰკოჟტ „მასპინძელი შინ არის“, სარა ამაწუჯ ღტმამ იმე მოსამსახურე არ მყავს“ და სხვ.).

აღამიანთა კლასის შრავლობითი რიცხვის წარმოება

ტაბულა № 1

ნაწარმოები, ტექსტი	ს ი ხ შ ი რ ე			ს			შ			ც		
	ცალკული -ცია (resp. -ჩია) (აქვეყნდება/ჩია "უმაწვილები")	წვეულ -ციაქია (resp. -ჩიაქია) (აქვეყნდება "უმაწვილები")	-ქია (აღმიათა კლასისათვის) (ახვექქია "ბავშვები")	-ცია (resp. -ჩია) ატრიბუტული სინტაგმის ორივე წევრისათვის (აქცია ბეაიცია "ბატონები მდიღრები")	-ცია (resp. -ჩია) ატრიბუტული სინტაგმის პირველი წევრისათვის (საზღვრელისათვის), -ქია—მეორე წევრისათვის (მსაზღვრელისათვის) (ასაცია ბზაიქია "სტუმრები კარგები")	-ქია ატრიბუტული სინტაგმის ორივე წევრისათვის (აღ. კლასი) (აქსისახვექქია ხდარაქია "გოგონები ცელქები")	კრებითობის (resp. შრავლობითობის) რ ატრიბუტული სინტაგმის პირველი წევრისათვის, -ცია—მეორე წევრისათვის (არფარ ბზაიცია "უმაწვილები კარგები")	-ცია (resp. -ჩია) ატრიბუტული სინტაგმის პირველი წევრისათვის, ორმაგი—ციაქია (resp. —ჩიაქია) — მეორე წევრისათვის (აქცია კვექციაქია "ბატონები ახალგაზრდები")				
"აფქია ლაქციაი"	639	3	96	1	13	1	1	1	1			
"ხუერ ლეშა"	495	2	59	2	17	1	1	1	1			
"კამეკეკე"	473	1	103	2	6	1	1	1	4			
-ტაბონთარი ტექსტები	188	109	87	1	5	1	1	1	1			
"მზარული ტექსტები"	218	57	70	2	3	1	1	1	1			
"ВАНДИЛЕ ТЕКСТЫ"	65	—	16	—	—	1	1	1	1			
"ბევეური ტექსტები"	252	—	32	2	2	1	1	1	1			

• სათანადო მასალის სრული სახელწოდება იხ. აქვე, № 2 ტაბულაში.

თუ ამ სახის ატრიბუტული სინტაგმა თანდებულობანია, ეს უკანასკნელი (თანდებულო) ჩვეულებრივ დაერთვის მეორე კომპონენტს—საზღვრულს, რომელიც ითანხმებს თანდებულს კლასსა და რიცხვში: ჯკ აშაპაქიჯ „მუხის ძირას“, აპ იხანქია რახ „ბატონების სასახლეებისკენ“;

ჩახაჯ კაგია ნეყარა ღეყანგ დშაააჟახ: ხიჯკკ სგუსუ ააფთასკვპ ჰია დღღჩეჯეწუნ, ჯკჯ აშაპაქიჯ დლატიეფტ (ლ. 62) „ერთ დღეს კიაგუა მოგზაურობიდან რომ ბრუნდებოდა, ცოტას სულს მოვითქვამო,—გულში გაივლო რა, მუხის ძირას (მუხის ძირში) ჩამოჭდა“;

აპ იკარუთ აქიჯ სნქიღვრტიეფტ (ლ. 205) „ბატონის ლოგინზე დამსვენ“;

ჟუა წაშთახ ჟისაათყ რზგ ლეჟარსა აპარტია ეფზარახ იქიგნეხეფტ (ზ. 74) „ამის შემდეგ, ათი საათისათვის, ლევანი პარტიის კრებაზე (პარტიის კრებისაკენ) წავიდა“;

დცეფტ აღაჟგ ალჯგაჟი იქკიგნახახ (ლ. 73) „წავიდა დევი ბერიკატის ვაჟიშვილისკენ“;

არი აჩჩია აპ იხანქია რახ დდოქიგლტ (ლ.) „გაემართა ეს გლახაკი ბატონის სასახლეებისაკენ“.

მსგავსივე სურათი გვაქვს მაშინაც, როცა პრეპოზიციულ მსაზღვრელად გამოყენებულია: ა) რიგითი რიცხვითი სახელი და ზმნისართისაგან -ტი აფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელი: აწაყატეი აშოახ „ქვედა კარისკენ“, რაფხატეი აფჰიგსლახ „პირველი ცოლისკენ“, ეტეი ახბაშეი რყნ „გუშინდელ მეომრებთან“, ახფატეი აეტაჟი აჟი „მესამე სართულზე“, აჯბატეი იფჰალახ „იმის (შამაკ.) მეორე ქალიშვილისკენ“; ბ) არსებითი სახელისაგან იმავე -ტი აფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელი, რომელიც თავისი ფუნქციით ქართულა ენის გენეტური მსაზღვრელის შესატყვისია: აბგრძენტეი წკგ „აბრეშუმის კაბა“, ახტეი კიმაან „ოქროს ღოჭი“, არაძენტეი წიყა „ვერცხლის ჭიქა“, ალტი მქიგ „თხმელის შეშა“, აძენტეი ფშა „ზამთრის ქარი“, არაფონტი მილიცია „რაიონის მილიცია“, აღტიგ ჯნგ „ფიკრის (ფიკრული) სახლი“; გ) არსებითი სახელისაგან ინსტრუმენტალისის -გა აფიქსით ნაწარმოები ფორმა, რომელიც, აგრეთვე, ხანდახან სხვა ენათა ზედსართავი სახელის როლში გვევლინება: არხიგტგა აჟიბე „ჩამაფიქრებელი (თავსატეხი) ამბავი“;

აპ იფა აფასატეი იფჰიგს აპისახიქქია ილგცგზ უს რალჰიეფტ: შიცანგ ათაცა ღეჟიბა ჰია (ლ.) „უფლისწულის პირველმა ცოლმა უთხრა ქალიშვილებს, რომლებიც მას ახლდნენ: წადით და პატარძალი ინახულეთო“;

აპისახევეკია რქუზნარხან, ინეეტ აშთახტოი თფჰიქს ლქუჲ (ლ. 197) „ქალიშვილები გაემართნენ რა, მივიდნენ მის (მამაკ.) შუგლომ ცოლთან“;

უგჲ აამთაზე არაჲონტი მილიციი რნაჩალნიკ ღჲასნეღჲშაციოზ დნარგდგგლტ (ნ. 25) „ამ დროს რაიონის მილიციის უფროსი, რომელიც გზად (გავლით) იყო, მათ თავს წაადგა“;

კაპეკ ახუმშააძაკია ზეაფშეჲყამ ფშ-ქეჲკ ზმაზ აღიგტიგ ჶნე ორგგლეატ (ნ. 70) „აპიკიც არ გადაუხდიათ რა, საუკეთესო ოთხთვალე ფიცრული სახლი ააშენეს“;

ახტგ ზქიერთოთუ არაძქნტი ლგმქარგქქია ლჲათარაც იძბეატ (ნ. 107) „მან (მამაკ.) გადაწყვიტა: ზოქროვილი (მოვარაყებული) ვერცხლის საყურეები მისთვის (ღედაკ.) მიეცა“;

მახლეჲ ათაცა ახტიგ დჯრდჯ ახტიგ დჯრდჯა ახანე იქნეღჲშეგლაზ დჯრბეატ (ლ. 198) „საცა მივიდნენ, დანახეს: პატარძალს ოქროს თითისტარისათვის ოქროს კვირისთავი წამოეცვა რა, ასე ეჭირა (და) იღგა“;

ლფა ეჲჰაბე ახტიგ ქიმაან აზნა აძხ ააგჲარატიგ დყალეატ (ლ. 51) „მისი (ღედაკ.) უფროსი ბიჭი ისე გაიზარდა (ისეთი გახდა), რომ უქვე წყლით საესე ოქროს დოქის მოტანა შეეძლო“;

აჰ, იხტი იქილეჲ ზნეზ აბგრტქნტი ჩაბრა აათიხენ. იშა ზგუგზ ინაცეკეს ინაკეგრშანგ იქიეჲჰიეატ (ლ. 268) „ბატონმა აიღო რა თავისი აბრეშუმის ცხვირსახოცი, რომელზეც მისი გვარი და სახელი ეწერა, შემოახვია მას ნეკზე, ვინც მისი ჯავრი იყარა (ვინც მისი სისხლი აიღო)“;

არხიციგა აქიაბექქია ირფშეძანგ იზჰიოზ ხაჯარათ ჯაფხა დნაგგლან... (გ. II, 293) „ჩამაფიქრებელი (თავსატეხი) ამბების ლამაზად მთქმელი ხაჯარათი მის (მამაკ.) წინ იღგა რა“...

პრეპოზიციული განსაზღვრების როლს ასრულებს, აგრეთვე, მასდარის ფორმა თვეების ზოგ აფხაზურ სახელწოდებაში, მაგალითად: ციალიარა-შზა (|| ციალიან) „აპრილი“ (სიტყვასიტყვით: ზენის თვე), ლაწარა-შზა (|| ლაწან) „მაისი“ (სიტყვასიტყვით: თესვის თვე), აშაარა-შზა (|| რაშან) „ივნისი“ (სიტყვასიტყვით: თოხნის თვე), ციებზგრა-შზა (|| ციებზენ) „სექტემბერი“ (სიტყვასიტყვით: ხარების ბლავილის თვე), აბწარა-შზა „ოქტომბერი“ (სიტყვასიტყვით: მკის თვე), უთაარა-შზა (|| უთაან) „ნოემბერი“ (სიტყვასიტყვით: ყურძნის კრეფის თვე)¹³ და სხვ.

¹³ მაგალითები მომავლოდა ხ. ბლავბამ.

როგორც ცნობილია, აფხაზურში მიმღეობა არა გვაქვს და მის როლს ზენის სათანადო ინფინიტური წარმოებები ასრულებს. ეს ფორმები ზოგჯერ გამოყენებულია პრეპოზიციულ განსაზღვრებებად, მაგალითად: იშთარწახაზ ასტოლბაქია „ბოძები, რომლებიც ეწყო (=დაწყობილი ბოძები).“ იშწადგარგგლაზ აჯ „ღვინო, რომელიც წინ დაუღვეს (მას. აღ.) (=წინ დადგმული ღვინო)“, ისეჰჰიაზ აჟე-აბე „ამბავი, რომელიც მან (მამაკ.) მითხრა (=მის მიერ ჩემთვის) ნათქვამი ამბავი“, იგვლოჰ ახეჰჰე „ბავშვი, რომელიც დგას (=მდგომარე ბავშვი)“, იყააჰა აჩადა „ვირი, რომელიც ყრავყინებს (=მოყრავყინე ვირი)“, იჯუჰ აშიყყე „წიგნი, რომელიც დაწერილია (=დაწერილი წიგნი)“, უზლაციაჟეო ატელეჰონ „ტელეფონი, რითაც ლაპარაკობ (შენ, მამაკ.) (=სალაპარაკო ტელეფონი)“:

ნარჯნოჰ იშწადგარგგლაზ აჯ ახეჰში ათანგ იყარწეჰტ შაძალა (ლ. 40) „ნარჯნიოუს წინ დადგმულ ღვინოს საიდუმლოდ საწამლავი შეუჰიეს“;

პატგხე ისეჰიაზ აჟეაბე „პატუხის მიერ ჩემთვის ნათქვამი ამბავი“;

არაისპოლკომ აყნეტი ითგანგ ხარგაზ ანჯნერ იშმღჯარბაზ ეჟჟშე რკანტორა ხარკნე ამჟა ჩაფადჰე აყნძა აბნა ციაჰია კჟაძა ჟაახგრტენ იგვლგანე „შთარწახაზ ასტოლბაქია ხარსნგ ათელ რგბჰერ ლეჰტ (ხ. 83) „როგორც რაილმასკომიდან მოყვანილმა ინჟინერმა უჩვენა, კანტორიდან მოკიდებული დიდ, მოკირწყულულ შარაგზამდე ტყის ზოლი პირწმინდად აჩენეს რა, იქიდან მოტანილი (და) დაწყობილი ბოძები ჩასვეს რა, მავთული გაჭიმეს“;

აკოლხოზ აკანტორაჰეგჯ ინჰეიდღარგვლტ ბგჰშია ხკეს ჟჰთახჰე ზეგ რჯლა აკჟაჰა უზლაციაჟეოზ ატელეჰტონ (ხ. 83) „კოლმეურნეობის კანტორაში დადგეს სალაპარაკო ტელეფონი, რითაც რაგინდარა ენაზე ილაპარაკებდი“.

მსგავსი ფორმები მხოლოდ პირობითად, სხვა ენათა სათანადო ვითარებასთან შეპირისპირებით, შეიძლება მცენიწით განსაზღვრებებად და არა თვით აფხაზური ენის გრამატიკული მონაცემების ბუნებიდან ამოსვლით. აფხაზის „ენობრივ ცნობიერებაში“ ეს ფორმები მხოლოდ და მხოლოდ ზმნური ფორმებია, რაც ჩანს იქიდანაც, რომ ისინი პოსტპოზიციური წყობისას კარგავენ იმ მიმღეობურ გავებას, რასაც იძლეოდნენ ზემომოყვანილ მაგალითებში (პრეპოზიციული წყობისას), მაგალითად, ნარჯნოჰ იიჰიაზ დაარა ირციჟმღხეჰტ (ლ. 40) „ის,

რაც ნარჩხიოუმ თქვა, მათ მეტად ეუხერხულათ“; აჯნქია იგგლაზ
შაჯჯ ღგჯნამგზტ (ლ. 29) „სახლებში, რომლებიც იღვა, არავინ არ
ცხოვრობდა“.

ნაცვალსახელი განსაზღვრებად

ა) განსაზღვრებად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი მუ-
დამ წინ უძღვის საზღვრულს, ამ უკანასკნელს იგი უკავშირდება შირ-
თვით: არი აწჯს „ეს ჩიტი“, უგჯ აუგჯა „იმ ღამეს“, აბრი ალგ-
გაჟი „ეს ბერიკაცი“, არი აძღაბ „ეს გოგო“, აბრი აწიყი „ეს წიგ-
ნი“, ართ აწიყიქია „ეს(ენი) წიგნები“, ურთ აჟიბჟქია „მე(ენი)
ამბები“:

არი აწჯს იუჯკგზ ჟარა ჟეაფჟი იჩიო.ჟ აჯ აჟბ (ლ. 413) „ეს
ჩიტი, რომელიც შენ (მამაკ.) დაიჭირე, შენსავით საცოდავია (საცოდა-
ვი რამ არის)“;

აღაჟგ დააყიგნდყენდჯატ: აბრი ალგგაჟი დანჯღალაქ,
აძრჟიქ იქითიანჯ დიბჯღრაზ; არი აღაჟგ იყიგნდ-ყიგნდ ბჯ ლგგაჟი
ჯაპან, უგჯ აჟგჯა დმჯციამჯატ (ლ. 417) „დევმა ჩაიბურტყუნა: რო-
ცა ეს ბერიკაცი დაიძინებს, მღუღარე უნდა დავასხა და დავწვაო;
დევს ბურტყუხნი ბერიკაციმა გააგონა რა, იმ ღამეს ვერ დაიძინა“;

ირპიოჯტ: უბრი აბაა ნარჯხროჟ ჯნჯს იმან აღუნეა დანჯქიგზ
ამთაზჟ ჰია (ლ. 39) „ამბობენ: ეგ ციხე ნარჯხიოუს სახლად ჰქონდა,
როცა იგი ჰქეყნად ცხოვრობდაო“;

თუ ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის გამომხატველია, სა-
ზღვრულიც, როგორც წესი, მრავლობითში დაისმის: ართ აჟიამქია
ლხაშითომგზტ ხმურ (ხ. 160) „ხიმური ვერ ივიწყებდა ამ სიტყ-
ვებს“.

ბ) პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, აგრეთვე, განსაზღვრებად
გამოყენებული პირის ნაცვალსახელიც: სარა სგმჯ „ჩემი
ყანა“, ჟარა უმჯ „შენი (მამაკ.) ყანა“, ბარა ბგმჯ „შენი (დე-
დაკ.) ყანა“, ჟარა იმჯ „მისი (მამაკ.) ყანა“, ღარა ლგმჯ „მისი
(დედაკ.) ყანა“, ჰარა ჰამჯ „ჩვენი ყანა“, დარა რგმჯ „მათი
ყანა“:

ჟგჯ ჟარა უფჰიგს ლჯჟილა ააღკაარა დაარა აჟიადჯჟბ (ლ. 199)
„შენი (მამაკ.) ცოლის ხასიათის (ჯიშის) გაგება ძალზე ძნელია“.

აჯსთაა აპ იმაზარა ღღახიადჟჟუნ, უს იპიეატ: არი სარა სგმჩ
აქიხოჯტ (ლ. 158) „ემშაკმა ბატონის ქონება შეათვალიერა რა,
თქვა: ამას ჩემი ძალაც ვუოფაო (ე. ი. ამას მეც მოვუვლიო)“;

პარა ჰჰიენჰარა ზვიგლადა? (ლ. 74) „ვინ გაბედა ჩვენი შიგვრად“

გ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ესე მუდამ წინ უძღვის საზღვრულს და მასთან ერთად ქმნის კომპოზიტს: ესეჰახა „ყოველდამ“, ესეგშა „ყოველდღე“, ესეწებჰონ „ყოველ წელიწადს“, ესეშეგმთან „ყოველ დღით“, ესეგშებჰონ „ყოველ შუადღე“:

ადაჲე აბრა ესეჰახა დაალონ (ლ. 65) „დღევი ყოველდამ აქ მოდიოდა ხოლმე“;

სბაჰჩა ხეჰჰე ესეგშეა იკაჰჰოჰტ (ალაშე. 15) „ჩემი პატარა ბალი მუდამდღე ჰყვავის“;

ესეგშებჰონ ამშეგ ავაჰახეჰე აჰაა ირაციანგ ეგზალონ (ალაშე. 71) „ყოველ შუადღე ზღვის პირად ბევრი ხალხი იყრიდა თავს ხოლმე“.

დ) განსაზღვრელობითი ნაცვალსახელი აძიე-ც („ერთი ვინმე“, „ვილაცა“) მუდამ წინ უძღვის საზღვრულს: აძიე იბზი-არა ჰარა უზგ ბზიაროჰჰ „ვილაცის (=სხვისი) ბედნიერება შენთვისაც (შამაჰ.) ბედნიერებაა“.

რიცხვითი სახელი განსაზღვრებად

ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელები ოცამდე ქმნის პრეპოზიციულ¹⁵ წყობას¹⁶. სინტაქსური დამოკიდებულება მირთვითაა გამოხატული. სახელთან დაკავშირებული რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ წარმოგვიდგება ძირის სახით (-ბა || -გა ელემენტის გარეშე), მაგალითად: ჯ-კამბაშე „ორი კამერი“, ხ-წლაკჰ „სამი ხე“, უა-სა-ათჰ „ათა საათი“, ფშე-მჩაგჰე „ოთხი კვირა“. ბეჰ-შხაჰე „შვიდი მთა“,

¹⁵ ერთადერთი გამონაკლისია „ერთის“ გამომხატველი აჰგ, რომელიც პოსტპოზიციურად დაერთვის სახელებს და ანიჭებს მათ განუსაზღვრელობის მნიშვნელობას: უაარდიჰ „ერთი რომელიღაც სკამი“, ჩეჰაჰე „ერთი ვინმე ცხენოსანი“ და სხვ. (იხ. ქ. ლომთათიძე, ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში, ენოლოგის მოამბე, X, 1941, გვ. 197).

¹⁶ თუმცა აქაც შეიძლება იშვიათად შეგვხვდეს¹ პოსტპოზიციური წყობა: აყარ-დიჰა ხეა „სამი სკამი“ („სკამები სამი“), აჰნჰა ეთიფჰ „ოთხმეტი სახლი“ („სახლება ოთხმეტი“) და ა. შ., მაგრამ ასეთ შემთხვევებში რიცხვითი სახელი (resp. ატრიბუტული სინტაგმა) იძენს კრებითობის ერთგვარ ნიუანსს, თანაც საზღვრულს მრავლობითის -ქი ა მაწარმოებელი დაერთვის.

ხიანა „ხუთი ლამე“, ხიგ-მშო „ხუთი დღე“, ხ-ჩაგ „ხუთი ცხენი“, ხ-ჩაგ „სამი მწყერი“, ბეჟგ „შვიდი კაცი“¹⁷:

ხიანა-ხიგ-მშო ინგუჟონ იმტიაძე (ლ. 240) „ხუთი დღე-ლამე მოგზაურობდნენ შეუსვენებლივ (დაუჯდომლად)“;

უცანგ აბუ-შხაკ რნაჟს აბუ-დღე ღებუ: რქვ აბუ-ძმახე რაჟაკვ ითატოჟ აჰია ეაჟიაწოი დღუ ავოგა-ავიაწოიე აალრგხნგ ისზა-ავა ჰია ეაჰიეატ (ლ. 236) „უთხრა: წადი რა (შენ, მამაჟ.), შვიდი მთის იქით შვიდ დიდ მინდორზე (არსებული) შვიდი ჰაობიდან ერთ-ერთში მჯდომი შავი ტახის გულ-ღვიძლი ამოგლიჯე და მომიტანეო“;

სარგ² ბეჟგჟ ახშაარა სგმან, ახა ზეგ² სციაჟეატ (ლ.) „მეც შვიდი შვილი მყავდა, მაგრამ ყველა შემიჰამა (მან, რალაცამ)“;

მჩაგბეჟკ-კგ მჩაგ ბეჟყა რაყარა დნგყახანგ კგ რქვთა დრგლს-ხანგ ჰხანგ ბაშა ნხაჟ ლარკ დითაატ (დისასიტ) ცასჰია აჟუზში (ლ. 378) „ერთ-ორ კვირამდე იარა რა, ბევრი სოფელი გაიარა (და) ერთ ლამეს ერთ უბრალო, ღარიბ გლეხს თითქოს განგებ ესტუმრა“;

აჰკიენ აშურჰია იჰაგნეახან, ალგვაჟი ახგ²ჰიაზ ათუჟან დანნეჟ, ხ-ჩაგ² კჰიენ (ლ. 57) „ბიჰი სწრაფად გაემართა რა, ბერიკაცის მიერ მითითებულ ადგილას რომ მივიდა, (დაინახა): სამი ცხენი იდგა“;

უცანგ ხ-ჩაგ მშგია ირშიანგ იენგ რსზააჟგოზარ ჰია ეეჰიეატ (ლ. 58) „უთხრა: წადი, სამ მწყერს არ მოკლავ რა, შეაშინებ, დიჰერ (და) თუ შეძლებ მომიყვანო“;

ჟუჟ აშთახ² ეია-საათჟ რზგ ლეჟარსა აპარტია ეაზარახ² იჰე-ნეახეატ (ხ. 74) „იმის შემდეგ, ათი საათისათვის, ლეჟარსი პარტიის კრებაზე წავიდა“.

თუ რიცხვითი სახელი (ორიდან მოკიდებული) ადამიანთა კლასის აღმნიშვნელია, საზღვრული მას ეთანხმება მრავლობით რიცხვში, ამასთან მრავლობითობას აღმნიშვნელი აფექსით ფორმდება საზღვრული, მსაზღვრული (რიცხვითი სახელი) კი—არა, მაგალითად: ჯჯა არფარცია

¹⁷ საეულისზობა, რომ ძველ ქართულში შემორჩენილია შემთხვევები, როცა განსაზღვრებად გამოყენებული რიცხვითი სახლები უბრუნვისნიშნოდა წარმოდგენილი, მაგალითად: ათორმეტ წლითგან, ექუს ჟამითგან... ანდა რიცხვით სახელს არ ახლავს მრავლობითის ნ სუფიქსი: უკუეთუ აკლდენ ერგასისთა ხუთ მართალნი...

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, ამ შემთხვევებში ბრუნვისა და რიცხვის ნიშნითა მოკვეცასთან კი არ უნდა გვექონდეს საქმე, არამედ აღრიცხვით ვითარებასთან, როცა ბრუნვისა და რიცხვის ნიშნით ფორმებს წინ უსწრებდა უნიშნო ფორმები (იხ. ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 231—232).

„ორი ბიჭი (ბიჭება),“ ხვჯ ააშცია „სამი ძმა (ძმები)“, ჯგჯა აბეაიცა „ორა მდიდარი (მდიდრები)“ და სხვ.

ბ) აფხაზური რიგითი რიცხვითი სახელიც მუდამ წინ უსწრებს საზღვრულს: ახფატეი აბრიგადა „მესამე ბრიგადა“, აფშმატეი აეტაჟ „მეოთხე სართული“, აკტეი ანომერ „პირველი ნომერი“:

აბგრეიგ ათჰაეგზ აკტეი ანომერ იშინანტუ ედფშე, მანაპწალა-როჰუპ დოჰესგუჰ აჰეს შიჰა, ჰაბრიგადა მაგვუჰ—ააბზოჰ (ხ¹. 52) „ისე, როგორც პირველ ნომერში (განეთში), რომელიც ახლა გამოვუშვით, უნდა გამოვაქვეყნოთ: ყოველი ჩვენგანი როგორ მუშაობს, ან რა ნაკლოვანებები აქვს ჩვენს ბრიგადას“:

ჟიანა ასოკუაღლაბრაზჰ ჰზგუზნაზ ახფატეი აბრიგადა აწკეს პარა ჰაჟესგატ (ხ². 264) „ჩვენ გავუსწართ მესამე ბრიგადას, რომელიც ამას წინათ სოცსეკიბრებაში გამოვიწვეეთ“.

სხვაგვარად აწარმოებს რიგით რიცხვით სახელებს ტაპანთური და აშხარული დიალექტები¹⁸. აქაც რიგითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ წინ უძღვის საზღვრულს: ტაპ.: იჰიჯხუხ იფჰიგს „მისი (მა-მაკ.) მეორე ცოლი“¹⁹, აშხარ. იკბახაზ აფჰიგსგ² „მეორე ქალიც“²⁰ და სხვ.

პოსტპოზიციი ა

აფხაზურ ენაში ატრიბუტული სინტაგმებიდან ყველაზე გამოკვეთილადაა წარმოდგენილი არსებითისა და ზედსართავი სახელის²¹ ურთიერთობა. ვითარებითი ზედსართავი სახელის სინტაქსური კავშირი არსებით სახელთან ჩვეულებრივ გვაძლევს პოსტპოზიციურ წყობას²². ჭერ კიდევ გ. როზენი აღნიშნავდა, რომ აფხაზურ და

¹⁸ იხ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილსი, 1947, გვ. 107; მისივე: აშარული დიალექტა და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტა შორის, თბილსი, 1954, გვ. 82.

¹⁹ ტაპანთური დიალექტი, გვ. 109.

²⁰ აშხარული დიალექტი, გვ. 83.

²¹ მხედველობაში გვაქვს ვითარებითა ზედსართავი სახელი; მიმართებითი ზედსართავი სახელი აფხაზურს არ გააჩნია.

²² ადრეულში ატრიბუტულ სინტაგმა წარმოადგენს ერთ მთლიან მორფოლოგურ-სინტაქსურ ერთეულს ერთი ძირითადი მახულათ (იხ. Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, გვ. 374, 376; იგრეთვე: З. И. Керашева, Основные синтаксические функции финитных

ჩერქეზულ ენებში ადიექტივის თავისებურება ისაა, რომ იგი საზღვრულის შემდეგ დაისმისო, მაგალითად: აბააჲ „ძველი ციხე“, აძ აფჷ „წითელი მდინარე (წყალი)“²³.

არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი-ს (resp. საზღვრულ-მსაზღვრელის) ხვედრი წონა აფხაზურში ყველაზე დღია დანარჩენ ატრიბუტულ სინტაგმათა შორის.

აფხაზური ენის ეს ვითარება (ჯერ საზღვრული, შემდეგ—მსაზღვრელი) ძველ ქართული ენის სათანადო ფაქტებს გვაგონებს. ძველ ქართულშიც სათანადო შემთხვევებში განსაზღვრება პოსტპოზიციურად იყო წარმოდგენილი. მაგალითად: სასწაულ კეთილ, ზრახვაჲ საიდუმლოჲ, დედაკაცი ქურივი, ღვინოჲ ახალი, კაცმან მოხუცებულმან, ზღუასა მეწამულსა, ჭაბუკად შუენიერად, ნაყოფისა ჯერკულისა, ძილითა ჯშირითა; ჭელითა მტკიცითა, სულო არაწმიდაო; საქმენი კეთილნი, კაცთა მოვლინებულთა, ძმანო საყუარელნი²⁴ და სხვ.

თანამედროვე ქართულს ნორმათა მიხედვით მსაზღვრელს საზღვრული მოსდევს... თუ დღევანდელ ვითარებას ნორმად მივიჩნევთ,— აღნიშნავს ა. შანიძე,—მაშინ საზღვრულ-მსაზღვრელი ინვერსიული, შებრუნებული რიგი იქნება, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით ნორმა საზღვრულ-მსაზღვრელია, ინვერსია კი—მსაზღვრელ-საზღვრული²⁵.

ამჟამად სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც²⁶.

მართალია, აფხაზურში სახელები არ იბრუნვის, მაგრამ არსებით სახელსა და ზედსართავ სახელს შორის მაინც იგრძნობა მტკიცე შინაგანი სინტაქსური კავშირი. ეს ურთიერთობა ისე ძლიერია, რომ ხან-

и инфинитных глаголов в адыгских языках, Автореф. докт. дисс., Майкоп, 1969, гл. 36).

²³ „In Beziehung auf das Adiectivum theilt das Tscherkessische mit dem Abchasischen die Besonderheit vor den übrigen kaukasischen Sprachen, dass es dasselbe hinter das dadurch näher bestimmte Hauptwort setzt. Man sagt also აბა ვაჲ აბა ვაჲ alte Burg (was' alt), აძ აფჷ adz' - ap' s' i rothes wasser (Name eines Flusses bei Suchum—Kaleh)“ (G. Rosen, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische, Berlin, 1846, гл. 73).

²⁴ იბ. ა. კვიციანი, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 221—323.

²⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, კვ. 90.

²⁶ იბ. ქვემოთ.

დახან ჰირს კიდევ ასეთი სინტაგმების გამიჯვნა კომპოზიტებისაგან, მაგრამ ისინი კომპოზიტებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაინც არ წარმოადგენენ.

აფხაზური ატრიბუტული სინტაგმა (არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი) კომპოზიტი რომ არაა, ეს ჩანს იქიდანაც, რომ სათანადო განსაზღვრებები ვარკვეულს შემთხვევებში შეიძლება პრეპოზიციულად მოვაქციოთ, რაც მოგვეცემს ზმნის ინფინიტურ ფორმებს. მივიღებთ ასეთ სურათს: ავთაყრა ბაფს „გასაჰირი ცული“, მაგრამ: იბააფსჟუ ავთაყრა „ცული გასაჰირი (= დიდი გასაჰირი)“; ალგვაჟი რგცპა „ბერიკაცი საწყალი“, მაგრამ: ირგცპაჟუ ალგვაჟი „საწყალი ბერიკაცი (ბერიკაცი, რომელიც საწყალია)“, აფჰავზბა ფშჰა „გოგო ლამაზი“, მაგრამ: იფშჰაჟუ აფჰავზბა „ლამაზი გოგო (გოგო, რომელიც ლამაზია)“ და სხვ.

ამ სახის ატრიბუტულ სინტაგმაში სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულება ხორციელდება სიტყვათა რიგისა და მირთვის საშუალებით; ხანდახან გვაქვს, აგრეთვე, შეთანხმება რიცხვში. სათანადო მაგალითებია: შიართა დილაჟ „საშიშროება რამ ძლიერი“²⁸, აბაჰჩა ხეჟჟ „ბალი პატარა“, მჩხვბეჟ ნაყაჟ „ვეირა მთელი“, აჟაჟ განგამო „კაცი ცბიერი“, არფჟს შიათლაყაჟ „ბიჭი ჩაფსკენილი“, აჟაჟ ჰალალ „კაცი კეთილი“, აჟეაბჟ ჰეჟ „ამბავი ახალი“, აფსგდ დგჟუ „თეყზი დიდი“, აჟაჟ ეჟაჟ „ხალხი ურიცხვი“, ჟასა შტიაჟ „ცხვარი (ერთი) დასაკლავი“, ალგვაჟი რგცპა „ბერიკაცი საწყალი“, არაშ შიკიაჟი „რამი თუთი“, აჟაჟ ეჟაჟი „კაცი შავი (შაჟგვრემანი)“, ათაჰმალა ხიგჟჟ „ბერიკაცი პატარა“:

ძბაჟჟ იჟოჟ ინეჟტ აჟჟს ზმაჟ ჟაჟ ლარკგა ჟგჟა აბეჟაჟიჟ (ლ. 369) „მოსამართლესთან მივიდნენ საქმის მქონე ლარიბი კაცი და ორი მდიდარი (კაცი)“²⁹;

ალგჟჟა აჟარჰალგა შეჟემარჟუზ, ჟაჟ ყიჟშჟჟ დგჟასნგ დჟშეკოზ დრჟჟეშეჟტ (ლ. 391) „წისქვილის ქვა და ხალიჩა რომ დავობდნენ, გზად მიმავალი (გამვლელი) ჰკვიანი კაცი შემოხვდათ“;

აჰ, ალგვაჟი რგცპა დშითააზ ანგჟბა... (ლ. 393) „როცა ბატონმა გაიგო (დინახა), რომ მას საწყალი ბერიკაცი ესტუმრა“...

აჰკიგნ ნგყიჟაჟ აძლაბ ლაბ დიფშეაან... (ლ. 399) „მგზავრმა ბიჟმა გოგოს მამა მოძებნა რა“...

ალგვაჟი აჟხა დგჟუ აარლა ირჰაზონ (ლ. 414) „ბერიკაცი დიდ ნაჯახს ძლივს მიათრევდა“;

²⁸ თვალსაჩინოების მიზნით თაოგმანში ვიცავთ აფხაზურ კონსტრუქციას.

²⁹ ტექსტებში საზღვრულ-საზღვრელის თარგმანი თავისუფალია.

აუნგ ახივებულ მაწაქ-გსტა ეეჟივფშესაა ეეჟივტუზ აფშე-ციალო მაღ-ტიალანგ აციერპირა მაქივინ ატაა ეიპა (ხ. 24) „სახლის თავანამდე დახორავებულ სიმინდს შემოსხდომოდა აუარებელი ხალხი (და) არჩეულა“;

აეიბბე კივცკ შიასპიოატ შივზგდგრუჟიზარ (ხ. 25) „თუ მომისმენთ, ახალ ამბავს მოვიყვებით“;

იზლემშო-იზლემშო დიჭარც აფსაბარა მაზაკიანჯუგ: აფსგძ დგტ აფსგძ სსა კნგ მაჭოატ; ახშ—აწარაქია (ხ. 27) „ბუნების კანონია: უძლური ძლიერმა შექამოს, დიდი თევზი წვრილ თევზს იჭერს რა, ქამს, ქორი—ჩიტებს“;

აბართ როტპ იზახდტუ ჟასა ხივში ტივჯა-მაშა. ჟასა ხივში ტივჯა-ხიახია (ლ. 367) „ამათ ჰქვია (=ესენია) ასი ცხვარი სწორრქიანი, ასიც—რქამოლრეცილი“;

ამაპი ჩჩია ივივ თგრახნა აკარჟათ იხეჟივრშინჯ დეციან (ლ. 269) „გლახაკ სიძეს მკერდგადელილად თავი ლოვინშა ჩაერგო რა, ეძინა“.

თანდებულთან ატრიბუტულ სინტაგმაში თანდებულს მუდამ ბოლო ადგილი უჭირავს. არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყოდით: მოცემულ შემთხვევებში თანდებული განსაზღვრებას დაერთვისო. იგი დაერთვის არა განსაზღვრებას, არამედ—მთლიანად ატრიბუტულ სინტაგმას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თანდებულში გარკვეულს შემთხვევებში სათანადო აფიქსს აჩენს როგორც საზღვრული, ისე მსაზღვრელიც, მაგალითად: თუ საზღვრული აღამიანთა კლასის აღმნიშვნელია, ეს სათანადო აფიქსით გამოიხატება თანდებულშიც: დნეატ ალგგაეი-რგცპა იჭივ „მივიდა (იგი. აღ.) საწყალ ბერიკატან“. დღეჟი-ლეატ არფგს ბზიექია რახ „გაემართა (იგი, აღ.) კარგი ყმაწვილებისკენ“.

თანდებულის დართვა თითქოს კიდევ უფრო აძლიერებს საზღვრულ-მსაზღვრელის შინაგან სინტაქსურ მთლიანობას: ადგულ ხარაკ აუნგ „შორ ადგილას“ („ადგილ-შორში“), შიშგრა ბზია აქივ „კარგ ჩრდილში“ („ჩრდილ-კარგში“), აბზაზარა თგჩ ახ „მშვიდობიანი ცხოვრებისკენ“ („ცხოვრება მშვიდობიანისკენ“), ამშგე ლტუ აუნგ „დიდ ტბორში“ („ტბორ-დიდში“).³⁰

³⁰ თანდებული ყველა ჩამოთვლილ მაგალითში ორივე კომპონენტს ერთნაირად ეკუთვნის: შიშგრა ბზია აქივ („ჩრდილ-კარგში“) (შდრ. ქართ. მთაზე მაღალზე, მინდორთან ლამაზთან. ჰაში უძირიში)...

ხარა დანგნაფში, ჳნგ დგჳჳ აყნგ ჳჯა ხიგჳჳჳჳ შიჳჳჳჳჳჳ იბეგტ (ლ.) „შორს რომ გაიხედა, დანახა: დიდი სახლიდან მცირე კვამლი ამო-
ლიოდა“;

ჳარში დგზგოზ არფარცია ჳგშში რაყარა ინგყიანზ შიშგრა
ბზიაკ აჳჳგ ილჩეჳჳჳჳგტ რგფსგ რშარაზგ (ლ. 383) „ბიჳებმა, რომ-
ლებსაც ბუში მიჳყავდათ, ორიოდ დღე იარეს რა, დასასვენებლად ერთ
ჳარგ ჩრდილთან ცხენიდან ჩამოხდნენ“;

შგვი ჳზგ იღფფნაძალანგ ირედღჳ, ხაძგ-ფშეგა ჳმოჳ აბზაზი-
რა დგჳჳ ახ, აბზაზარა თგნჩ ახ ჳზგ ჳგდღღჳწეგტ (ხ. 134)
„მას (დედაჳ.) შიგუს იმედი ჳჳონდა რა, ყველაზე უჳეთესი, სახელოვანი,
დიდა (და) შშვიდობიანი ცხოვრების გზაზე გავიდა“.

ბოსტპოზიციური წყობის ატრიბუტული სინტაგმა ხშირად წარმო-
დგენილია გარდაჳცევათს ფორმაში და ჳმნის ერთ მთლიან ჳომპოზიტი-
სებურ წარმოებას. ამ შემთხვევაში გარდაჳცევათობის ხ სუფიჳსი დაერ-
თვის მსაზღვრელს, ე. ი. სინტაგმის მეორე წევერს, მაგრამ იგი პოტენ-
ციურად ორივეს—საზღვრულ-მსაზღვრელის—ჳუთენილებას წარმოად-
გენს²¹, მაგალითად: ხაწა დიდიას „ჳაცად ძლიერად (=ძლიერ ჳაცად)“,
ჳჳიგნა ბზიას „ბიჳად ჳარგად (=ჳარგ ბიჳად)“, გიგრაჳ დგჳჳ „ღარ-
დად დიდად (=დიდ ღარდად)“:

დგმზგჳჳია თაჳჳიგებლა აჳიგჳმა იშგტ ჳია ხაწა დიდიას დგრ-
ფნაჳგტ (ლ. 423) „გაუსროლელად, მუშტით მგელი მოჳლაო, ძლიერ
ჳაცად ჩათვალეს“;

ჳიგა გიგრაჳა დგჳჳს ბიშოჳჳ, სარა იზღვრჳჳგტ (ხ. 232)
„მგ დიდ ღარდად გაჳეს („შენ, დედაჳ.), ეს მე ვიცი“.

მსგავსსავე ვითარებასთან. გვაჳეს საჳმე, როცა განსაზღვრებას ინ-
სტრუმენტალისის ჳა აფიჳსი ერთვის: გიგღრა დგჳჳლა „იმედით
დიდით“ (დიდი იმედით), აფგნწა ხიგჳჳლა „ცხვირით პატარით“
(პატარა ცხვირით):

ლჳიგტ ჳარა ჳეგ ირეჳჳჳჳ გიგღრა დგჳჳლა (ხ. 124)
„თჳჳა მან (დედაჳ.) ყველაზე დიდი იმედით“;

ნას აწგს ატგგი-ტგგი ჳია აფგნწა ხიგჳჳლა ამახი ინაცჳლა-
სგტ (ხ. 267) „შემდგომ ჩიტი ნისჳარტის ჳაჳუნით (პატარა ცხვირით)
ტოტზე გამოძვრა“.

საგულისხმია, რომ ჳოგვიერთ ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრე-
ლის ადგილი მერყევა: იგი ხან მოსდევს საზღვრულს, ხანაც წინ უძღვის

²¹ შღრ. თანდებელიანი ატრიბუტული სინტაგმები.

მას³², მაგალითად: ყაფშე მათიალა (შღრ. ამათია ყაფშელა) „წითელი ტანსაცმლით“, შაკიაკია მათიალა (შღრ. ამათია შაკიაკიალა) „თეთრი ტანსაცმლით“:

აჟეხა წხაბეონ (sic) დაჩაძიე ყაფშე მათიალა დეჟლაპიანგ, ჩაგზე დაქიტიაანგ, ახე ეაფშე დეილააჟა დააჟან (ლ. 251) „შუალამით სხვა ვილაცა, მოსილი წითელ-ტანსაცმლით, წაბლა ცხენზე იჯდა რა, ტყვიასავით ტრიალ-ტრიალით მოდიოდა“;

აჟეხა წხაბეონ (sic) აძიე ეაქიაწია მათიალა დეჟლაპიოჟე, ჩაეაქიაქ დაქიტიაოჟე, დეილააჟა ახე ეაფშე დეშაააჟაზ იბეატ (ლ. 250) „შუალამით, ვილაცა შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, თეთრ ტაიჭზე ზის რა, დაინახა: ტყვიასავით მოდიოდა“;

რატიმირ შაკიაკია მათიალა იჩაეჟლაპიანგ, იჩაგხია დაქიტიაანგ ახეატია ამაციაზგ² იეეატ (ლ. 252) „რატიმირმა, თეთრი ტანსაცმელი ეცვა რა, თეთრ ცხენზე იჯდა რა, მესამე ბეჭედიც გაიტაცა“³³.

შღრ.:

ლეჟარსა აკლუბ აქიე იენეაჟაატ იეკფხ² ანბანქია ჩაეფშე აჟ-როჟხოჟროჟ ზეგ² კარანდაშ ყაფშელეჟ კარანდაშ ეწია-ლეჟ იჯნე იყაზ... ზეჟაპიარა აანძა ითეწგზ თქე გაზეთ ფშეძაქ (ზ. 84) „ლეეარსიმ კლუბში ჩამოაკიდა მთელ სიგრძე-სიგანეზე ფანქარ-წითლითა და ფანქარ-მწვანით, თითქოს ნაბეჭდი ასოებით დაწერილი ლამაზი კედლის გაზეთი, რომელიც ვადაზე აღრე გამოვიდა“.

აფხაზურში ხშირია შემთხვევები, როცა საზღვრულად წარმოდგენილია კომპოზიტიური წარმოების კომპლექსი, რომელიც, ცალკე აღებულთ, თვითონ შეიცავს მსაზღვრელ-საზღვრულს³⁴, მაგალითად: არმცა დჟუ „ლაშქრის ცეცხლი დიდი“ (= ლაშქრის დიდი ცეცხლი ნიამ-შიი არმეჩსკიი ოგონი): დახნეაზ, არმცა დჟუ ეაქიენ, აღაჟგ იჩააკიერშაანგ დეშთან, იხე იშაპქია რყნე ინაგანგ (ლ. 26) „საცა მივიდა (იგი, აღ.), (იქ) ენთო ჯარის დიდი ცეცხლი, დევი მოღრეკით (ჩახვეულად) იწეა რა, თავი ფეხებში ჩაერგო“; ამაძაჟია ბააფსქია „საიდუმლო-სიტყვა-ტუღები“ (= ავი ენა) და სხვ.

ხანაც რომელიმე ატრიბუტული განსაზღვრება შერწყმულია საზღვრულს სინტაქსურად და აზრობრივად, ამის შედეგად დაჩრდილულია

³² ამას ადგილი აქვს, აგრეთვე, იმ ატრიბუტულ სინტაგმებშიც, რომლებშიც ზოგი სახის რიცხვითი სახელი მონაწილეობს (იხ. ქვემოთ).

³³ დაწერილებით ამის შესახებ იხ. თავი: „თავისებურებანი სიტყვათა რეჟი აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით“.

³⁴ სუბსტანტიური მსაზღვრელი-არსებითი სახელი.

მისი ატრიბუტულობა და ორივე ერთად აღიქმება როგორც ერთი კომპონენტი (საზღვრული)³⁵. ამის გამოა, რომ საჭირო ხდება სათანადო შემთხვევებში ასეთ საზღვრულს, რომელაც წარმოშობით ატრიბუტულ სინტაგმას წარმოადგენს, კვლავ დაერთოს ახალი განსაზღვრება: ასტოლგაჟ ხიკჷგ „მაგიდამრგვალა“ პატარა“ (და არა: „მაგიდა მრგვალი, პატარა“); კიარაცეგა ბაათსგჷ „ცულღელა“ საშინელი“ (და არა: „ღელე ცული, საშინელი“):

მთაიშაზ კიარაცეგა ბაათსგჷ ინთარგალტ (ლ. 289) „პირდაპირ გზას გაუყენენ რა, მიადგენენ ცულღელას ავს“;

რხგმათთა ნავანგ ჟაჷა ასტოლგაჟ ხიკჷგ ინგქეგრწან... (გ. II, 175) „იმათი ოქროს ნიეთები მოიტანა (და) იქვე პატარა, მრგვალ მაგიდაზე დააწყო რა“...

საზღვრულს არცთუ იშვიათად მოსდევს რამდენიმე ერთგვაროვანი (ადიექტიური) განსაზღვრება, რომელთაც ერთი საერთო, ძირითადი მახვილი აერთიანებს. ერთი შეხედვით ისინი აკოსრა ციგა ბაათს, ასტოლგაჟ ხიკჷგ-ს ტიპის წარმოებებია, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარად აღიქმებიან: პირველ შემთხვევაში (კოსრა ციგა ბაათს) მახვილი საზღვრულს (აკოსრა) ეცემა, რაც იწვევს უახლოესი მსაზღვრელის (ციგა) მასთან შერწყმას, მეორე შემთხვევაში კი (მაგ. ლკასგ შაკაჷ-ხიკჷგ „მისი (ღელაჷ.) თავსაბურავი თეთრ-პატარა“) ამას ადგილი არა აქვს იმიტომ, რომ აქ მახვილი ეცემა არა საზღვრულს (სახელს), არამედ ორწევროვანი (resp. სამწევროვანი) განსაზღვრების ერთ-ერთ კომპონენტს: მუში ციგა-ბაათსგჷ „ღლე ცული-ავი (ავღარი)“, ჟაჷ ბუღჷტჷ „კატი მალალი-დიდი“, იკოჷმჷჷ კანჷ-ხიკჷგ „მისი (მამაკ.) ჩოხა-ახალუხი მოკლე-პატარა“, აბჷგ ღილია-ღჷტჷ „ხმა ძლიერი-დიდი“, ნგაჷ ყანჷ-ღჷტჷ „ხატი შრტყელ-დიდი“³⁶.

³⁵ შღრ.: „Особенностью адыгейского определения является употребление двойных определений с близкими значениями, определений-синонимов“ (Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, გვ. 376).

ატრიბუტული სინტაგმის გეომოზიტების ტენდენცია აფხაზურში ხშირად აღდენად ძლიერია, რომ ადგილი აქვს აღმანთა კლასის აღმნიშვნელ კუთვნილებითი ო, და აფიქსების გაუჩინარებასაც კი, მაგალითად: ა) ტოპონიმიკურ სახელებში: პაჷკოჷარა (—აჷჷჷ ო-კიარა) „მღვდლის ღელე“, ეჷრაჷბთგჷ (—ეჷრაჷბ ო-თგჷ) „ზურაბის საღვამი (ადგილი)“; ბ) ნათესაობითი დამოკიდებულების აღმნიშვნელ სინტაგმაში: სანშა (—სან ლ-აშა) „ბიძაჩემა (ღელის მხრივ)“, სჷჷჷშა ჟა (—სჷჷშა ლ-ჟა) „ჩემი დისწული“, სჷჷშა (—სჷჷშა ჟა) „ბიძაჩემა (მამის მხრივ)“ და სხვ.

³⁶ ამის შესახებ იხ. ოკრეთე თავი: „თავისებურებანი სიტყვათა რიგში აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით“.

სარა სუგზცია შიგჯგდ სარეა ღგრრა ჰახცაზ მგ ში ციგა-ბა-
აფსგკ ჰაქიშიან, ჰაფჯკ ჰთალტ (ლ. 32) „მე და ჩემს ამხანაგს, ს-
ქურდლად საცა წავედით, ავდარი შეგვხვდა რა, ერთ გამოქვამულში
შევედით“;

საეიარგალა... ტაჯ ა ტ-დგ ტკ მაკიენ (ლ. 425) „საეიარგიალა
მალალი, დიდი კაც. იყო“;

თორყან დაადღგლტ იკიემეი კბ ქო-ხიგქკ აპიენწირაქია ედ-
გარქუა (გ. II, 5) „თორყანი, თავისი პატარა, მოკლე ჩოხა-ახალუხის
ლილყებს იბნევედა რა (ლილების შებნევეით), მას (ად.) მიადგა“;

უბრი აამთაზღ დაატ ნგხაფააჯკ ნგხა ყა-ყა-დგ ტკ იხიდა
ახსშნგ (გ. II, 116) „ამ დროს მოვიდა მარჩიელი, რომელსაც ყელზე
ბრტყელი, დიდი ხატი კვიდა“;

აბრი აყარა აბჟღ დიდი-ა-დგ ტკ ბზია ილგმბოზარ ყალარენ
(გ. II, 19) „ეტყობოდა, ასეთი ძლიერი, დიდი, ხმა (=ხმამალა ლაპა-
რაკი) არ მოსწონდა (არ უყვარდა) მას (დედაკ.)“;

იპიეტ ლხაწა გაძა-არტკპა (ლ. 403) „თქვა მისმა ქმარმა
ბრიყვმა-საწყალმა“;

ტუძლი ჯტჟ-ფ შიძა-ხიგქქიაკ ამკიან დაათიგან ხშურ
ლახ ინეარხეტ (ხ. 248) „ტოპრაკიდან ამოიღო რა (მან, მამაკ.) ფენ-
საცმლები ყვითელ-ლამაზ-პატარები, ხიმურს გაუწოდა“.

ჩეულებრივა, აგრეთვე, ერთ საზღვრულთან პოსტპოზიციურად
წარმოდგენილი ჩამოთვლითი ხასიათის რამდენიმე მსაზღვრელი³²:
ალეეტენანტ კოსტინ—ჰკიგნა თიგკ, შაკიაკიაკ...—იგუნეახეტ (ხ.
259) „ლეიტენანტი კოსტინი—ბიჭი ხორცსავესე, ქერა—(იჭითყენ) გა-
ემართა“.

იშვითად აღიექტრეურა განსაზღვრება შეიძლება „გასუბსტანტივ-
დეს“, შემდეგ რომელიმე მსაზღვრელი დაერთოს და, ამგვარად, საზღვ-
რულის როლში მოგვევლინოს, მაგალითად: ლგფს თანაწღ დგზწმშოა
ხანთა დგ ტკ ლქიეკტშოა ლგიგ აბონ (ხ. 260) „გული უგრძობდა
(მას, დედაკ.): თითქოს (ისეთი) დიდი სიმძიმე აღევს ზედ, სანამ სული
უდგას, თავს ვერ დააღწევს (იმის „ქვემიდან“ ვერ გამოვა)“; აჭაჯგ
ზედფშო ტაპა იმბაც ფ შიძა სირკ ილაფშო იზაყიგმგო ინხანგ დანა-
ხიაფშოა ეაფშო..., ლხგ-ლჭგ დაქაფშოჩან ბლა ხაალა (ხ. 154) „ისე აღ-
ფრთოვანებით („ტკბილად“) უშეერდა (იგი, მამაკ.) მის (დედაკ.) სახეს,
(გეგონებოდა) თვალმოუშორებლად ისეთ საოცარ სილამაზეს უყურებსო,
რომლის მსგავსიც ადამიანის თვალს ვერ არ უნახავს“.

³² აფხაზურში საზღვრულს წინ არასდროს არ უძღვის რამდენიმე განსაზღვრება.

ხანდახან საზღვრული შეიძლება მსაზღვრელებს შორის მოექცეს. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა მსაზღვრელებად სხვადასხვა მეტყველების ნაწილებია გამოყენებული:

ა) რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი (საზღვრული) + ზედსართავი სახელი: ჯგჯა აჟაა ქაგკქაა პაელეატ (ხ^რ. 159) „შემოგვემატა ორი ახალგაზრდა კაცი“;

ბ) სუბსტანტიური განსაზღვრება + არსებითი სახელი (საზღვრული) + განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: აბნატო წასქია ზეგგ „ტყის წესები ყველა:“ დხეკქაეთეა დზშეკლაზ აბართ აბნატო წასქია ზეგგ ჯარა დრგლააძან, ხაღიგ ფსაბარას იფხაძონ (ხ^რ. 101) „ბაეშვობიდანვე მიჩვეული იყო (და) ტყის ყველა წესის მიხედვით აღზრდილი იყო რა, ბუნებას თავის საკუთრებად (კუთვნილებად) თვლდა“;

გ) ზმნის ინფინიტური (resp. მემლობური) ფორმა + არსებითი-სახელი (საზღვრული) + ზედსართავი სახელი: ეაღღჟ თფგ ბზიაკ „უქეთესი (რომელიც უქეთესია) ადგილი კარგი“: ახივლფაზგ სვზცია რზგ ეაღღჟ თფგ ბზიაკ ზბოზარ ჰია სახწგლალაზ, საახვწაიანაძა, ბგაღღჟგ შშიგჟგ სვზდგრამ, აკვ ააკვლსზაარგნ აბრა, ეამქეთეა იქიგ-რწიგატ სვზცია (ლ. 461) „სლამო ქაშს, ვინიცობაა, ჩემი ამხანაგებისთვის უკეთესი ადგილი ვიპოვო-მეთქი, საცა წავედი, დაბრუნებამდე (სანამ დავბრუნდებოდი), მგელი იყო თუ დათვი, რალაც მოსულა (გამომძერალა). ჩემს ამხანაგებს დაუგლჯით რა, დაუგლიათ“;

დ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი (საზღვრული) + ზედსართავი სახელი: ბაშაა³⁸ ნხაჯ ღარ „უბრალო გლეხი-ღარიბი“: მჩაგბეკ, ვგმჩაგბეკა რაყარა დნეყიანწანგ, კვრ ქგთა დრგლსწანგ, ჟხაგკ ბაშაა ნხაჯ ღარ ღითააატ (ღისასტ) ცასჰია აჟაზშია (ლ. 378) „ერთი-ორი კვირა იარა, ბევრი სოფელი გაიარა რა, ერთ ღამეს ღარიბ გლეხს (უბრალო გლეხს-ღარიბს) თითქოს განგებ ესტუმრა“.

აფხაზური ენის საზღვრულ-მსაზღვრელი რიცხვში შეთანხმების მხრივ ასეთ სურათს იძლევა:

ა) თუ ატრიბუტული სინტაგმა ნიეთა კლასის გამომხატველია, მრავლობითის ნიშანს ჩვეულებრივ ღებულობს ოდენ მსაზღვრელი და იგი პოტენციურად საზღვრულსაც ეკუთვნის, მაგალითად: არი ეაფშა ამშა ბააფსქია ყალოატ აფსნე შაქისგკ აწ ზნგ-ვგნ (ხ^რ. 30) „ამისთანა ცული ამინდი (ამინდ-ცულები) აფხაზეთში წელიწადში ერთ-ორჯერ იცის“;

³⁸ პრეპოზიციული ბაშაა სუბსტანტიურ ზედსართავ სახელებს განეკუთვნება.

ბ) თუ მრავლობითში წარმოდგენილი საზღვრული ადამიანთა კლასის გამომხატველია, მსაზღვრელი მას შეეთანხმება რიცხში: ლაპიშ-ცია ა ჰპა ბა ცია „მისი (დედაკ.) დები უფროსები“;

გ) თუ ადამიანთა კლასის აღმნიშვნელი საზღვრული კრებითობაზე მიუთითებს, მას განსაზღვრება მრავლობითში შეეწყობა: არ ფარ ლიდაქია „ყმაწვილები ძლიერები“, აპისა ხიგქქია „ქალები პატარები (=ქალიშვილები)“ და სხვ.

დ) საყურადღებოა, რომ, თუ საზღვრულს რამდენიმე ატრიბუტული (ვითარებითა) მსაზღვრელი მოსდევს, მრავლობითობის ნიშანს ოდენ ბოლო მსაზღვრელი მიიღებს: შაპე ე მქ ჰ ლა ლა დ ჰ ქ ი ა კ „ფესვ-გაფარჩხულ-დიდები“: უბრი ა ბნარა ა ანდა დ ჰ ქ ა ცი ე ხარამკია ა ხა-ა ჰ გი ა ნ ე ა ქ ი ა წარაჰ ე ჰ დ ე თ ა პ ა ნ ჯ-რასა შაპე ე მ ქ ჰ ლა ლა დ ჰ ქ ი ა კ (ხ. 12) „იქ, ტყეში ღობიდან არც ისე შორს, კენახში, დარგული იყო ორი თხილი—ფესვებ-გაფარჩხულ-დიდები“;

ე) თუ ატრიბუტული სინტაგმა თანდებულიანია, საზღვრული ითანხმებს თანდებულს კლასსა და რიცხვში³⁹.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელის როლში

პოსტპოზიციურადაა წარმოდგენილი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ზეგჯ (ყველა). იგი საზღვრულს მოითხოვს მრავლობით რიცხვში: აჟაა ზეგჯ „ხალხი (ადამიანები) ყველა“, აქკი ე ნ ც ი ა ზ ე გ ჯ „ბიჭები ყველა“, ა ჰ ჯ ს ქ ი ა ზ ე გ ჯ „საქმეები ყველა“ და სხვ.

კომპოზიტები

ცნობილია, რომ ბევრი კომპოზიტი წარმოშობით მსაზღვრელ-სა-ზღვრულია (resp. საზღვრულ-მსაზღვრელია)⁴⁰. მაგალითად, ასეთებია კომპოზიტება ქართულ ენაში: ვაჟ-კაცი, ვაჟ-ბატონი, გლეხი-კაცი (|| გლეხკაცი), ფურ-კამეჩი, მამა-კაცი, დედა-კაცი⁴¹.

საგულისხმოა, რომ აფხაზურში ამ გზით კომპოზიტების შექმნა თითქოს ჩვენს თვალწინ ხდება, რასაც, უნდა ვიფიქროთ, ხელს უწყობს

³⁹ იხ. ზემოთ.

⁴⁰ იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ე ლ ი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 47, თბ., 1952, გვ. 59.

⁴¹ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 154—155.

აფხაზურ სახელთა უბრუნველობაც. აფხაზურ ენაში სიტყვათა დამოკიდებულებაში, ასე ვთქვათ, სუსტია სინტაქსური (resp. ფორმოზოლიგი) კონტროლი, რასაც ენა სიტყვათა შორის აზრობრივი კავშირის ერთგვარი გაძლიერებით ანაზღაურებს. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ აფხაზურისათვის უცხოა დისტანციური განსაზღვრება, რაც ასე ფეხმოკიდებულია, მაგალითად, ქართულში (ძველ ქართულში, ახალ ქართულში). მსაზღვრელ-საზღვრულის კონტაქტური დამოკიდებულება აფხაზურში საუკეთესო პირობაა კომპოზიტურ წარმოებათა გასაფორმებლად თუ ჩამოსაყალიბებლად. ეს პროცესი, როგორც ვნახეთ, დღეს განსაკუთრებით შეიმჩნევა იმ აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმებში, რომელთა კომპონენტებია არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი (შდრ. კიარა ციგა „ღლე ავი“ და კიარაციგა ბაათსგა „ცუღლეა ავი“).

და მინც ამ სახის წარმოებებზე, ჯერ კიდევ არ წარმოგვიდგებიან საბოლოოდ ჩამოყალიბებულ კომპოზიტებზე ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. ისინი უფრო გარდამავალ საფეხურს უჩვენებენ ორსიტყვიან შესიტყვებასა და კომპოზიტს შორის, ისევე როგორც ეს გვაქვს, მაგალითად, ზანური ენის ჭანურ დიალექტში: ჯუმა ჩქიმი, მუმა ჩქიმი, ნანა ჩქიმი (ძმა ჩემი, მამაჩემი, დედაჩემი) და სხვ. ჭანურის ამ კომპლექსებს მხოლოდ რიცხვში დაბოლოება მხოლოდ ბოლო წევრს მოუღის⁴², მთელი გამოთქმა ერთ სიტყვასავით იბრუნვის: ჯუმა-ჩქიმი, ჯუმა ჩქიმიქ, ჯუმა ჩქიმის, ჯუმა ჩქიმიში... მრავლობითშიაც ბრუნვის ნიშნები მხოლოდ ბოლოს არის, მაგრამ პირველი წევრი იცვლება, მრავლობით რიცხვში გადადის: ჯუმალეფე ჩქიმიქ, ჯუმალეფე ჩქიმის, ჯუმალეფე ჩქიმიში... (ძმები ჩემი, ძმებმა ჩემმა, ძმებს(ა) ჩემს(ა), ძმების ჩემის...)⁴³.

ცნობილია, რომ ისტორიულად ბევრი კომპოზიტისათვის ამოსავალია სხვადასხვა ტიპის ორსიტყვიანი შესიტყვება. ქართულ ენაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, — აღნიშნავს გ. კლიმოვი, — რომ composita determinativa-ს ტიპის წარმოებებში განსაზღვრება და მიმღეობა ჩვეულებრივ მოსდევნენ არსებით სახელებს, მაგალითად: გულკეთილი (გულ- + კეთილი), სულმოკლე (სულ- + მოკლე), ფეხშიშველ (ფეხ- + შიშველი); ანალოგიურ მასალასვე გვაძლევს საქართველოს ტოპონიმოკაც, რომელიც უძველესი ხანის სურათს ასახავს, მაგალითად:

⁴² შდრ. მრავლობითის -ცია || -ქია სუფიქსის დართვა აფხაზურში ატრიბუტულ სინტაგმის ოღუნ მეორე კომპონენტისათვის: აქციგნ ბზაქია „ბიჭ(ვბი) კარგვა“ (იხ. ზემოთ).

⁴³ ა. რ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 71.

დაბადებელი (დაბა + ძველი), გორმალალი (გორ + მალალი). წყალწითელა (წყალ + წითელა), ტაბახმელა (ტაბა + ხმელა), მთაწმინდა (მთა + წმინდა), ნინოწმინდა (ნინო + წმინდა)⁴⁴ და სხვ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ზედსართავი სახელებისა და მიმღობების პოსტპოზიციური გამოყენება ძველ სალიტერატურო ქართულში, — შენიშნავს გ. კლიმოვი, — ძველი ქართველური კომპოზიტებისა და ტოპონიმიკური სახელწოდებების შესაბამის წყობასთან ერთად, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ყოველივე ეს წარმოდგენს ამ ენათა განვითარების შინაგანი კანონების ერთ-ერთ გამოხატულებას და ამავდროულად გვაგონებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფში არსებულ ვითარებას⁴⁵ (მღრ. აფხაზ.: ა) ჩვეულებრივ წარმოებებში: ა ძ რ შ ა ზ „წყალმღულარე (=წყალი აღუღებული)“, ე ი ა ხ ა ა „სიტყვა ტკილი“. ა ყ ი ზ დ მ გ ე „ლობიო უხარშავი“; ბ) ტოპონიმიკურ სახელწოდებებში: ა ძ გ ფ შ ა (← აძგ ფშა(რა)) „წყალკურთხევა“, ა ბ ლ რ ა დ გ უ „ნახანძრალი (ადგილი)“, ძ ი ქ ი ა (← აძგ ეაქია) „წყალშავა“ (= შავწყალა), ა ლ ზ ა წ ი⁴⁶ (← ალ + ზაწი) „თხმელა ერთადერთი“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ, გარდა ძალზე გავრცელებული წარმოებებისა, რომლებიც ან უკვე ჩამოყალიბებული კომპოზიტების სახით გვევლინება (აყიგდმგე, აძგფშა, აძრშაჟ...), ანდა გვიჩვენებს გარდამავალ საფეხურს ორსიტყვიან სინტაგმასა და კომპოზიტს შორის (ამშეციგა, ახაწა ლილია, აკიარა ბააფს...), აფხაზურში გვაქვს, აგრეთვე, ერთი რიგის სავსებით გაფორმებული კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი სუბსტანტივური განსაზღვრებაა. ასეთი განსაზღვრება ჩვეულებრივ სხვა ენათა (მაგალითად, რუსული ენის) მამართებითი ზედსართავი სახელის ბადალია: ა შ ი ა რ ა ხ ბ ა ზ „ნადირძვალი“ (=ნადირის ძვალი), ა ხ გ ს ბ ე ჯ „სროლა ხმა“ (=სროლის ხმა), ე გ ხ ი თ ა კ „ხორცნაჭერი“ (=ხორცის ნაჭერი), ა ფ ს ა ა ტ ი ბ ა ზ „ფრინველძვალი“ (=ფრინველის ძვალი)⁴⁷, ბ გ ს თ ა ხ გ ე „ლომნამცეცა“ (=ლომის ნამცეცე), ა კ ა მ ბ ა შ ხ შ ა ზ

⁴⁴ Г. А. Климов, К вопросу о порядке членов атрибутивного комплекса в картвельских языках, კრებული: „Вопросы изучения иберийско-кавказских языков“, М., 1961, გვ. 262—263; იხ. აგრეთვე: ე. ე. ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, იკე, VI, თბ., 1954, გვ. 225.

⁴⁵ გ. კლიმოვის დასაბ. წერილი, გვ. 268.

⁴⁶ ნაკადულებისა და დასახლებული ადგილების სახელწოდებებია აფხაზეთში (მაგალითები მომარაღა გ. შ ა კ ი რ ბ ა ი მ).

⁴⁷ ზნე აციეფშაა ფჰიბა უს ააღიტ: შ ი ა რ ა ხ ბ ა ზ გ ე ფ ს ა ა ტ ი ბ ა ზ გ ე მ ა ც ა რ ა ლ ა ა ზ ნ გ ზ ხ გ ე ა ტ წ ა რ ა ბ ა (sic) უყობ, ააზგეაჟწანდაზ ჰიაი (ლ. 468) „ერთხელ აკეთეშას (ნადირთა ღმერთს—მ. ც.) ცოლმა უთხრა: ოდენ ნადირისა და ფრინველის ძვლით ძაღვის სახლი აგვიშენო, ნეტამე აგვიშენებდო!“

კამერძე (=კამეჩას რძე), აშოციკრა „წიგნწერა“ (=წიგნის წერა, მწერლობა), ამრაგვლარა || ამრაგვლართა „მზეალმობლობა“ || „მზეალმოსახლობი (ადგილი)“ (=ალმოსაველთი), ამრათაშოარა || ამრათაშოართა „მზეჩასვლა“ || „მზისჩასასვლელო: (ადგილი)“ (=დასაველთი), აფსტკეჟა⁴⁸ „თევზსაქერა (ადგილი)“ (=სათევზაო ადგილი), აბ. გარდინგ⁴⁹ „მგელმინდორა“ (=მგლის მინდორი), ჩაგრდოგ⁵⁰ „ცხენსაჭირითო მინდორი“, ალძხ⁵¹ „თხმელაწყარო“ (=თხმელა.ს წყარო) და სხვ. (შდრ. რუს. дичья кость, птичья кость, книжное писание, волчье поле, ольховый родник...).

განხილული ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ აფხაზურ კომპოზიტებში (როგორც ჩვეულებრივს წარმოებებში, ისე ტოპონიმიკურ სახელწოდებებშიც) განსაზღვრებად გამოყენებულია: ა) ზედსართავი სახელები და ბ) არსებითი სახელები; პირველნი პოსტპოზიციურად გამოიყენებან, მეორენი კი—პრეპოზიციულად.

* *

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ აფხაზურში სიტყვათა (resp. საზღვრულ-მსაზღვრელის) დამოკიდებულებაში სშირად სუსტია სინტაქსური კონტროლი, რასაც ენა სიტყვათა შორის „მინაგანი“ კავშირის ერთგვარი გამოიყრებით ანაზღაურებს. ამ „მინაგანი“, გრამატიკულად გაუფორმებელი, ფაქტორის როლი განსაკუთრებით ხელშესახებია კომპოზიტთა ჩამოყალიბების საქმეში. მოვიგონოთ: სანშა (← სან + ლაშა) „ჩემი ბიძა“ (დედ:ს მხრივ), საპიშაფა (← საპიშა + ლ-ფა) „ჩემი დისწული“ და სხვ.

როგორც აღნიშნული იყო, აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმებში კომპონენტთა შორის სინტაქსური დამოკიდებულების სახეებია სიტყვათა რიგი (ძირითადი სახე), მირთვა და შეთანხმება (კლასსა და რიცხვში). რაც შეეხება არასინტაქსურ ფაქტორს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ იგი დაქვემდებარებული ხასიათისაა, ასრულებს მეორეხარისხოვან როლს, მოქმედებს მხოლოდ გარკვეულ, იშვიათ შემთხვევებში (სანშა, საბშა, საპიშაფა). ის, როგორც არასინტაქსური საშუალება, არ შეიძლება იყოს დომინანტი-ფაქტორი მსაზღვრელ-საზღვრულის

⁴⁸ აბ. X. C. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тб., 1964, გვ. 265—266.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

(resp. საზღვრულ-მსაზღვრელის) ურთიერთობის, და, საერთოდ, აფხაზური შესიტყვების ორგანიზაციის საქმეში.

ლაბილური კოზიციია

როგორც დავრწმუნდეთ, ზემოთ განხილული შემთხვევები განსაზღვრების ფიქსირებულ პოზიციაზე მიუთითებენ. იმისდა მიხედვით, თუ მეტყველების რა ნაწილია მსაზღვრელად გამოყენებული, იგი პრეპოზიციულად ან პოსტპოზიციურად წარმოგვიდგება. გაანალიზებულ მასალაში, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ ცალკეულ შემთხვევებს⁶², ადგილი არა აქვს ერთი და იგივე მეტყველების ნაწილის როგორც პრეპოზიციულ, ისე პოსტპოზიციურ მსაზღვრელად გამოყენებას.

ამ მხრივ საგულისხმო ჩანს აფხაზური რაოდენობითი რიცხვითი სახელები ოცის შემდეგ (ხანდახან ოცამდეც) და კრებითი რიცხვითი სახელები. გვევლინებიან რა განსაზღვრების როლში, მათთვის დამახასიათებელია პოზიციის ერთგვარი ლაბილურობა: ერთი და იგივე რიცხვითი სახელი (რაოდენობითი, კრებითი) საზღვრულს ხან წინ უსწრებს, ხანაც—მოსდევს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე შემთხვევაში (პოსტპოზიციისას) ერთგვარად იცვლება შესიტყვების შინაარსი⁶³; იგი გადმოსცემს მიახლოებითობას⁶⁴.

⁶² ასეთია, მაგალითად, ყაფშეშმათილა (წითელი ტანსაცმელი) და ამათილა ყაფშეშლა (ტანსაცმელ-წითლი)... მსაზღვრელ-საზღვრული ყაფშეშმათილა, მართალია, ინვერსიული ფორმაა, მაგრამ მას არაერთი სტილისტიკური ფუნქციის შესრულება არ ეკისრება. ეს შესაძლებლობა ამ მაგალითში საერთოდ გამორიცხულია იმიტომ, რომ განსაზღვრების ინვერსია აფხაზურის ბუნებიდან არ გამომდინარეობს. ბუნებრივია, სიტყვათა ინვერსიული რიგი აფხაზურში სხვა შემთხვევებში ასრულებს გარკვეულ სტილისტიკურ ფუნქციასაც (იხ. ქვემოთ), მაგრამ ატრიბუტულ სინტაგმაში ეს არ შეიძლება.

⁶³ ნაწილობრივ: ფორმაც.

⁶⁴ შტრ.: „Числительные ставятся позади своего существительного, когда означают приблизительный счет“ (Ф. И. Буслаев, Историческая грамматика русского языка, М., 1959, გვ. 560).

რუსულისა და აფხაზურის ეს კონკრეტული ენობრივი ფაქტი იმთავითავე საგულისხმოა, რომ იგი მიუთითებს არამონათესავე ენებში ამა თუ იმ საერთო კატეგორიის ჩასახებისა და განვითარების შესაძლებლობაზე და ამდენად ჩვენს უკრძალვას ამახვილებს სხვადასხვა ტიპის ენათა შეპირისპირებითი შესწავლის მნიშვნელობაზე (ამის შესახებ იხ. А. С. Чикобава, Сопоставительное изучение языков как метод исследования и как метод обучения, ურნალი: „Русский язык в национальном школе“, № 6, 1957).

ჩვეულებრივ კი მიახლოებითობა აფხაზურში — ყა (— აყარა „ოღნი“) სუფიქსის საშუალებით გადმოიცემა. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელად გამოყენებულ რიცხვით

რადღენობითი რიცხვითა სახელი ოცის შემდეგ, რომელიც წარმოღვნილია პრეპოზიციულად ან პოსტპოზიციურად, გამოყენებულია განსაზღვრებად: ჯნჯაჲთა ყიარდი „ორმოცი სკამი“ || აყიარდიჲთა ჯნჯაჲთა „სკამებო ორმოცამდე“; ში-ჟასაკ „ასი ცხვარი“ || ჟასა შიკჲ „ცხვარი ასამდე“, ხნჯაჲთიჲთიხი ჯნჯ „სამოცდათხუთმეტი სახლი“ || აჯნჲთა ხნჯაჲთიჲთიხი „სახლები სამოცდათხუთმეტამდე“:

სასრჯჲთა გიგრშეშეაგას იმოჲ უბრი აჲჲ: ჟასა შიკჲ ყიყიანგ ში-ჲთაბჲ ირთაჲინგ, ხნჯ ააჲრაჲინგ იქიგარგელჲან, სარა საგიოთასნგ იჲჲ ითასთიონ (ლ. 27) „სასრიყვას გულის მოსალბობად (გულის დასაშმეიდებლად) ეს ჰქონდა: დახოცავდა რა ცხვარს ასამდე (ასიოდე ცხვარს), ჩახარშავდა ას ქვაბში. ზედ დაჰკიდებდა, მე ფეხს გკრავდი და, მის პირში ჩავასხამდი ხოლმე“.

ადაჲჲ ში-ჟასაკ შნგ, ში-ჲთაბჲ ინთაჲინგ ხნჯ იქიგარგელჲ (ლ. 27) „ღვემა ასო ცხვარი დახოცა რა, ას ქვაბში ჩახარშა (და) ზედ დაღდა“;

აჲშე ადა ეგ ზემგოზ აჲიგ ჟიხ აჲ იმაჰსიჲან, ფუთჯაჲთა ააჲმთარ ფუხხია ჰამამგზტ (ხ. 183) „ვილაციხგან, რომელსაც სიმინდის გარდა სხვა არაფერი უნდოდა, მეწველი ძროხა ვიყიდეთ რა, საშველი არ გვექნდა — ოცამდე (ოციოდე) ფუთი სიმინდი არ მიგვეცა“;

ჩიგ შიკჲ ირჲეიტაინგ, ჩიგ შიკჲ რეჯაჲინგ იშეცოზ ქიგჩჲი ილეახაგელჲ (ლ. 60) „ასიოდე ცხენზე ამხედრდნენ რა, ასიოდეც მათ გვერდში ამოუყენეს (და) ამ დროს მათ ქურჩუქი თავს წაადგა“.

პოზიციის ლაბილურობაა დამახასიათებელი კრებითი რიცხვითი სახელისთვისაც; იგი ხან პრეპოზიციულ, ხანაც პოსტპოზიციურ განსაზღვრებადაა გამოყენებული: ახჯჲ აამგსთციოა „სამივე აზნაურა“, აჲშციოა აშოჯკგჯ „ძმანი ასნივე“:

ართ ახჯჲ აამგსთციოა ჯარა ააატინ რეჩაჲთა აკიადგრჲთა აარგჲეინგნგ ამცა აგიგიაჰია ეჲქიწანგ აახატიჲეტ (ლ. 65) „ამათ, სამივე აზნაურმა, თავიანთ ცხენებს უნავიგრები მოხსნეს რა, გიზგიზა ცეცხლი გააჩაღეს (და) გარს შემოუსხდნენ“;

აჲშციოა აშოჯკგჯჲ ააეციჲთინ, სასრჯჲთა დთადგრხარც აჲქიგრკჲტ (ლ.) „ასმივე ძმამ მოილაპარაკა რა, გადაწყვიტა სასრიყვას დაღუბა“;

ახელს პრეპოზიციო უქირავს: ხნჯაჲთაყა ყიარდი „სამოცამდე სკამი“, ჯაჲთაყა ფუთ „ოცამდე ფუთი“ და სხვ. (ამის შესახებ იხ. Т. П. Шакрыл, Числительные в абхазском языке, Труды Сухумского пединститута им. Горького, т. XII, 1959, стр. 112—113).

აპ არჩარა დგუ დაჭუნ იმაჰიციოა რგხკკ რზ, ახა რჩადივ დმააცვზტ (ლ. 252) „ბატონი დიდ ქორწილს ამზადებდა სამივე სი, ძისთვის, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ჯერ არ მოსულიყო“⁵⁵.

ასეთია აფხაზური ენის ატრიბუტულ სინტაგმაში რიცხვითი სახელის (რაოდენობითი, კრებითი, რიგითი) პოზიცია⁵⁶.

* * *

ატრიბუტულ სინტაგმაში, სიტყვათა რიგის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აფხაზურში განსაზღვრების (სუბსტანტივეური, ადიექტივეური) ადგილი ძირითადად ფიქსირებულია: ა) პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი: სუბსტანტივეური მსაზღვრელი (ატრიბუტულ სინტაგმაში და კომპოზიტებში), ზმნისართი, ზმნის ზოგიერთი ინფინიტური ფორმა (ე. წ. მიმღეობური ფორმები), ნაცვალსახელები (ჩვენებითი, პირის განსაზღვრებითი (ზოგიერთი), განუსაზღვრელობითი), რაოდენობითი რიცხვითი სახელი ოცამდე, რიგითი რიცხვითი სახელები, ბ) პოსტპოზიციოა უჭირავს ზედსართავ სახელს (ატრიბუტულ სინტაგმაში და კომპოზიტებში), განსაზღვრებით ნაცვალსახელს (ზოგაერთს) და გ) ლაბილური პოზიციოა — რაოდენობით რიცხვით სახელებს ოცის შემდეგ, კრებით რიცხვით სახელებს. ამ ნორმებიდან გადახვევას ადგილი აქვს ძალზე იშვიათად და იგი ინდივიდუალური ენობრივი ფაქტის მიჯნას არ სცილდება (შდრ. კარანდაშ ყაფშგლა „ფანქრით წითლით“ და ყაფშგ კარანდაშლა „წითელი ფანქრით“).

დღეს ქართველური ენებიდან:

ქართულში განსაზღვრება პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი⁵⁷, ასეთებია: გენეტური მსაზღვრელი. ზედსართავი სახელი;

⁵⁵ ადამიანის სახელისა და გვარისაგან შემდგარ აფხაზურ სინტაგმაში ფიქსირებული არაა კომპონენტების ადგილი: ა) პირველ ადგილასაა გვარი, რომელსაც წამოცილებული აქვს -ბა || -ფა („ძე“, „შვილი“) აფიქსი: შგნქი ჭასილ „შინქება ეასილი“ გიგნ ხარჯფს „გუნბა ხრისი“, ძაფშ გარგ „ძიაფშ-იფა გიორგი“, აბლაეი სოლომან „ბლაეა სოლომონი;“ ბ) საკუთარ სახელს მოსდევს გვარი (ამ შემთხვევაში -ბა || -ფა აფიქსი შენარჩუნებულია): არუთან კიანბა, თამშგვი ბგანბა, გიგდისა ინლიფა...

⁵⁶ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 2.

⁵⁷ საყურადღებოა, რომ, როგორც ა. მარტიროსოვმა დაადგინა, XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში მსაზღვრელი (კერძოდ, ზედსართავი სახელი) უფრო პრეპოზიციულად დგას (იხ. ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იყე, IV, თბ., 1953, გვ. 267).

ნაცვალსახელები (ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი), რაცხვითი სახელები (რაოდენობითი, რიგითი, კრებითი). მაგრამ სათანადო შემთხვევებში (სტილისტიკური თუ მხატვრული (პოეტიკური) საჭიროების მიხედვით ქართული განსაზღვრება შეიძლება წარმოავადგეს პოსტპოზიციურადაც, ე. ი. ამ მხრივ იგი საკმაოდ ლაბილურია: ერთსა და იმავე მსაზღვრელს შეიძლება ხან პრეპოზიციის ეჭაროს, ხანაც — პოსტპოზიციის⁵⁸, რაც არ შეიძლება ითქვას აფხაზური ენის განსაზღვრების შესახებ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ რიცხვით სახელს, და აქაც ეს მოვლენა ხშირად შეპირობებულია გარკვეული გრამატკული აუცილებლობით);

ზანურის მკერული დიალექტიც ზუსტად ქართულს მისდევს. მსაზღვრელი აქაც ჩვეულებრივ უსწრებს საზღვრულს. ხალხურ პოეტურ მეტყველებაში და კომპოზიტურ და ზოგ სხვა წარმოებებში (საჭიროებისდა მიხედვით) აქაც შეინიშნება მსაზღვრელის პოზიციის ლაბილურობა;

არ იცვლება ვითარება არც ჭანურ დიალექტში; თუ მხედველობაში არ მავიღებთ კუთვნილებით ნაცვალსახელებს, რომელთაც მიღრეკილება აქვთ დაიჭირონ საზღვრულის მომდევნო ადგილი;

სვანურიც ძირითადად იმეორებს დანარჩენი ქართველური ენების მონაცემებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ განსაზღვრებას აქ პრეპოზიციულობის მეტი მიღრეკილება აქვს და საზღვრულის მომდევნოდ იგი იშვიათად-ღა წარმოჩნდება. თვით კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც კი, რომლებიც დანარჩენ ქართველურ ენებში უფრო პოსტპოზიციურ წყობას უჩვენებენ, სვანურ პროზაულ მეტყველებაში წესისამებრ წინ უძღვან საზღვრულს (მიშგვა დი „ჩემი დედა“, მიშგვა მუ „ჩემი მამა“, მიჩა გეზალ „მისი (თავისი) შეილი“)⁵⁹. ამ მხრივ სიზუსტე აკლბა პ. უსლარის ვარაუდს იმის შესახებ, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები სვანურში შეიძლება დასმულ იქნენ როგორც არსებითი სახელის წინ, ისე მის შემდეგაც⁶⁰.

⁵⁸ შდრ.: „საკითხი, თუ რატომ განსხვავდება ძველ ქართულში მართული მსაზღვრელის ადგილი ჩვეულებრივ შესიტყვებასა (სახლი ხ ი ს ა ე — მ. ც.) და კომპოზიტში (ე რ ი ს კ ა ც ი — მ. ც.), სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. აღნიშნული მოვლენა ამჟერად ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მიუთითებს — ენაში. იმთავითვე უნდა ყოლილყო მსაზღვრელისა და საზღვრულის ორივე შესაძლებელი თანამიმდევრობის შესხვევები“ (ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, წიგნი: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, თბ., 1961, გვ. 98).

⁵⁹ უნდა ვიუიქროთ, რომ სვანურა უფრო ძველი ვითარების დამცველია, რაც შესაძლოა მასი, როგორც ერთ-ერთი ქართველური ენის, თავისებური ისტორიული ვითარების გზითაა შეპირობებული.

⁶⁰ იხ. П. К. У с л а р, Абхазский язык, Тифлис, 1887, გვ. 110—111.

რაც შეეხება ძველი ქართული ენის სათანადო მონაცემებს, სპეციალურ ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ისტორიული თვალსაზრისით ნორმას წარმოადგენს საზღვრულ-მსაზღვრელი (მთანი მაღალნი), დღევანდელი ვითარება კი (მსაზღვრელ-საზღვრული; მაღალი მთა) ამ ნორმის ინვერსიაა⁶¹.

საგულისხმოა, რომ ც. კალაძემ, ვ. კახაძემ შეისწავლეს ძველი ქართული ენის რიგი ტექსტები და დაადგინეს, რომ ორიგინალურ ძეგლებში ატრიბუტულ სინტაგმაში ზედსართავი სახელი უფრო პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, ვიდრე პოსტპოზიციურად, ნათარგმნ ძეგლებში კი პოსტპოზიციუა სჭარბობს პრეპოზიციას⁶². „მსაზღვრელისა და საზღვრულის წყობის ადრინდელი ვითარება შემონახულია ორიგინალურ ძეგლებში⁶³, სადაც მსაზღვრელი უპირატესად წინ უძღვის საზღვრულს, ამიტომ ასეთი წყობის პრიმატობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება დამაჯერებელია“⁶⁴.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში თანდათან თანაბრდება მსაზღვრელის პრეპოზიციისა და პოსტპოზიციის ხვედრი წონა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ წინამდებელი მსაზღვრელიც დასტურდება და მომდევნოც, პრეპოზიციული წყობაც გვაქვს და პოსტპოზიციურიც⁶⁵.

ამგვარად, ქართველური ენები როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ასპექტში ძირითადად მსაზღვრელის (მიუხედავად იმისა, თუ

⁶¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 90.

⁶² იხ. ვ. კახაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა ოთხთავში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებ., VI, თბ., 1953; ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, წიგნი: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, თბ., 1961.

⁶³ უნდა ვთქვათ, რომ თვით ეს ადრინდელი ვითარება არ გამოირიცხავს გამოკვლევებს, ე. ო. მსაზღვრელის პოსტპოზიციას. ამაზე შეტყვევებს, მაგალითად, რიგი უძველესი ტოპონიმოგური სახელწოდებები, რომლებშიც მსაზღვრულს (კერძოდ, ზედსართავ სახელს) პოსტპოზიციუა უპირავს.

⁶⁴ ა. კიხიძე, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 216.

ა. შანიძე, განიხილავს რა ვიორგი მთაწმიდლის ენას, ერთგან შენიშნავს: თუ მსაზღვრულად ატრიბუტია, სჭარბობს მისი წინ დაყენების შემთხვევები, და თუ მართლ სახელია, მაშინ უმეტესად საზღვრულს მოსდევსო (იხ. ა. შანიძე, ვიორგი მთაწმიდლის ენა (იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით), თბ., 1946, გვ. 79.

⁶⁵ არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპარატივისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში, იყვ, XV, თბ., 1966, გვ. 20.

რა მეტყველებების ნაწილითაა იგი გადმოცემული) პრეპოზიციას უჭერს მხარს. აფხაზური ატრიბუტული სინტაგმის განხილვამაც დაგვარწმუნა, რომ განსაზღვრებად გამოყენებულ მეტყველებების ნაწილთა დიდი უმრავლესობა აგრეთვე პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი⁶⁶. მთავარ გამოწვევის ქმნის ვითარებითი ზედსართავი სახელის გამოყენება პოსტპოზიციურ განსაზღვრებად.

გასარკვევი დაგვრჩა ორი საკითხი.

ა) რა იწვევს აფხაზურში ამ გამონაკლისს (ე. ი. ზედსართავი სახელის პოსტპოზიციურად გამოყენებას) და ბ) რით ავსნათ განსაზღვრების პოზიციის ერთგვარი ლაბილურობა ძველი და თანამედროვე ქართული ენის (უფრო ნაკლებად—დანარჩენი ქართველური ენების) ატრიბუტულ სინტაგმაში?

როგორც ვნახეთ. ქართველური ენების მთელი რიგი ენობრივი ფაქტები ისტორიულად მიუთითებენ მსაზღვრელის პოსტპოზიციურად გამოყენების შესაძლებლობაზე თვით ორიგინალურ მასალაშიც (მაგ., ტაპონიმიკურ სახელწოდებებში)⁶⁷. მაგრამ თუ გამოვრიცხავთ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში არსებულ ვითარებას, უნდა ვთქვათ, რომ მსაზღვრელის პოსტპოზიციად ვერ გაცვილდა თავისი განვითარების ჩანასახურ მდგომარეობას, და იგი შემოგვრჩა როგორც შესაძლებლობა, გამომდინარე ამ ენათა შინაგანი განვითარების კანონზომიერებიდან. ეს ნიშნავს: ქრონოლოგიურად მსაზღვრელის (კერძოდ, ზედსართავი სახელის) პოსტპოზიციად ისევე ძველი ჩანს ქართველური ენებისათვის, როგორც პრეპოზიციად, ხვედრითი წონის მიხედვით კი პრეპოზიციას (ყო-

⁶⁶ აღსანიშნავია, რომ თ. ლაბტევას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ძველ რუსულში განსაზღვრების პოსტპოზიციის გაბატონებული ხასიათი სხვა ენათა გავლენით არის გამოწვეული; შემდგომში ეს ვითარება შეიცვალა და თუ წინათ პოსტპოზიციად ქარბობდა, ამჟამად გვაქვს პრეპოზიციად და პოსტპოზიციად (იხ. О. А. Лаптева, О некоторых изменениях порядка слов в древнерусском языке, ჟურნალი: „Научные доклады высшей школы, Филологические науки, № 3, М., 1959, გვ. 55); იგივე ავტორი სხვა ნაშრომში წერს: მეარი შესიტყვებები, რომლებიც შედგება არსებითი სახელისაგან და ზედსართავიდან — великий, многий, малый — ფართოდ იხმარება ძველ რუსულ ენაში და გვაძლევს წვერთა განლაგების ორივე სახეობას; არცერთ ამ სახეობათაგან XI—XII საუკუნეების ძეგლებში არ შეიძლება უპირატესობა მიეცეს ან მიჩნეულ იქნეს უფრო ნიშნდობლივად (იხ. О. А. Лаптева, Расположение компонентов употребяемого словосочетания как элемент его структуры, ВЯ, № 3, 1959, გვ. 77).

⁶⁷ შდრ.: ქართული ენაში „იმთავითვე უნდა ყოფილიყო მსაზღვრელისა და საზღვრელის ორივე შესაძლებელი თანამიმდევრობის შემთხვევებიც (ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, წიგნი: „ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, თბ., 1961, გვ. 98).

აღგვათი რუკა „ბერიკაცი სა-
წყალი“

აკვიგნ ნეყიავ „ბიქი მოგზაური“

აქავ ჰალალ „კაცი კეთილი“

აქაად ყაყა „ქალღლი ბრტყე-
ლი“

აქავ ყიგში „კაცი ჭკვიანი“

აქავ განგანში „კაცი ცბიერი“

იართა ღიღია „საშიშროება ძლი-
ერი“

ტიგვა ხიახია „რქა მოღრეცილი“

ამაჰი ჩჩია „სიძე გლახაკი“

არაშ შიკიაკია „რაში თეთრი“

აფა ზაწიგ „ვაჟიშვილი ერთადერ-
თი“

აქგს ციგა „საქმე ცუდი“

აქავ ელაგა „კაცი შერეკილი
(შეშლილი)“

ამათ ჰიანა „გველი მხოხავი“

ირგცაჟ აღგვათი „საწყალი (ის,
რომელიც საწყალია) ბერიკაცი“

ინგუჭო აქვიგნ „მოგზაური (ის,
რომელიც მოგზაურობს) ბიქი“

იჰალალჟ აქავ „კეთილი (ის, რო-
მელიც კეთილია) კაცი“

იყაყოჟ აქაად „ბრტყელი (ის,
რომელიც ბრტყელია) ქალღლი“

იყიგშიგჟ აქავ „ჭკვიანი (ის, რო-
მელიც ჭკვიანია) კაცი“

იგანგანშიგჟ აქავ „ცბიერი (ის,
რომელიც ცბიერია) კაცი“

იღიღიოჟ აშიართა „ძლიერი (ის,
რომელიც ძლიერია) საშიშროება“

ინიახიოჟ ატიგვა „მოღრეცილი
(ის, რომელიც მოღრეცილია)
რქა“

ინჩიოჟ ამაჰი „გლახაკი (ის, რო-
მელიც გლახაკია) სიძე“

ინშიკიაკიოჟ არაშ „თეთრი (ის,
რომელიც თეთრია) რაში“

ინაწიგჟ აფა „ერთადერთი (ის,
რომელიც ერთადერთია) ვაჟიშვი-
ლი“

იციგოჟ აქგს „ცუდი (ის, რომე-
ლიც ცუდია) საქმე“

ეელაგოჟ აქავ „შერეკილი (ის,
რომელიც შერეკილია) კაცი“

შარდა ე ე ლ ა გ ა ზ ა ჟ ა ვ გ ბ ზ ა -
მგყი-მღგრს ღრგფნაძოგტ (გ.
I,21) „ძალზე შერეკილ კაცს
სულელად თვლიან“

იჰიანო ამათ „მხოხავი (ის, რო-
მელიც მიხოხავს, მხოხავია) გვე-
ლი“ (ქაჟიგ მგიაციალა იჰიანო
ამათ დაჩააკალა იყან (გ. I,

37) „გველი, რომელიც ახლა მუცლით მიხონავს, სხვანაირი იყო“

აუტეს ჩივავქია „საქმე(ები) კარგები“

იჩივავქიოჲ აუტესქია „კარგი (ის, რომლებიც კარგია) საქმეები“ (შიგვლ, დადრაა..., იჩივავქიოჲ აუტესქია ჰტივლა ძაზ-შიგრხიაი (გ. I. 30) „წამოდექით, მეგობრებო, კარგი საქმეები მოუშზადეთ ჩვენს ქვეყანას!“

აჯგა ყაფშ „საწერი (საწერ-კალამი, ფანქარი...) წითელი

იყაფშგჲ აჯგა „წითელი (ის, რომელიც წითელია) საწერა (საწერ-კალამი, ფანქარი...)“: აწვხიტოანტიი აბლგც აჰვ იყაფშგჲ ჯგგალა იზნუ ძანგნ (ზ. 372) „ბოლოფურცელზე წითელი საწერით (საწერ-კალამით-ფანქრით...) ეწერა“.

როგორც ვხედავთ. აფხაზურს იმთავითვე ჰქონდა შესაძლებლობა — საჭიროების შემთხვევაში საზღვრულისათვის წარემძღვარებინა ზმნის სათანადო ინფინიტური ფორმები (resp. განსაზღვრებები) და ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, ენის წინაშე არც მდგარა აუცილებლობა ზედსართავ სახელთა საზღვრულის წინ დასმისა. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყოა ზედსართავი სახელის ფართოდ გამოყენებას საზღვრულას შემდეგ, ე. ი. პოსტპოზიციური წყობის შემდგომ განვითარებას. ამიტომ: ა) რადგანაც ქართულს (resp. ქართველურ ენებს) ასეთი შესაძლებლობა (ზმნის ფორმათა განსაზღვრებად გამოყენება) არ გააჩნდა⁶⁶, ბუნებრივია — ენას გეზი აეღო მსაზღვრელის პოზიციის და-

⁶⁶ რაც შეეხება ქართველური ენების მიმდევობას (ა შე ნ ე ბ უ ლ ი სახლი, დ ა ნ - გ რ ე უ ლ ი ხიდი, მ ო კ ლ უ ლ ი ირემი, ე ვ ი ლ ი რ ი თენთი, „მოკლული დათვი“. კ ო ფ ი ლ ი ჩხომი „დაქერილი თუეზი“...), რომელიც თავისი ფუნქციით აფხაზურ მიმდევობურ ფორმებს უახლოვდება, იგი, როგორც ენობრივი კატეგორია, სულ სხვა სობრტყეზე დგას, ვიდრე ზედსართავი სახელი (პირველი ნაზმნარი სახელი, მეორე — არა!) და ამდენად იმ უკანასკნელის მაგივრობას ყოველთვის ვერ გასწევს, სხვანაირად რომ ეთქვათ, აფხაზური ზედსართავი სახელი ყოველთვის შეიძლება „მიმდევობად“ მოიქცეს, ქართველური კი — არა (შდრ. აფხაზ. აჭაჯ ლარ || ილარგჯ აჭაჯ და ქართ. კაცი ლარიბი || ?). ამიტომ ქართველურ ენებში მიმდევობის გამოყენება განსაზღვრებად არათერს ამბობს ზემოთ წამოყენებული დებულების საწინააღმდეგოდ.

ბილურობისა (ენამ გამოიყენა ერთი და იგივე ფორმა პრეპოზიცი-
შიც და პოსტპოზიციშიც); ბ) ცხადია, აფხაზურ ატრიბუტულ სინ-
ტაგმაში წევრთა რიგის შედარებით სტაბილურობისა და ქართულში—
შედარებით ლაბილურობის შეპირობებაში განსაკუთრებული როლი
უნდა ეთამაშა, შესაბამისად, პირველში — სახელთა უბრუნველობას
(resp. უფორმობას) და მეორეში — ბრუნვათა კარგად განვითარებას; და
გ) ქართულში განსაზღვრების პოზიციის ლაბილურობას, ეჭვი არაა,
ხელი შეუწყო, აგრეთვე, მთარგმნელობითმა საქმიანობამაც (resp.
სხვა ენათა გავლენამ), რასაც უძველესი დროიდანვე მიმართავდნენ
ქართული კულტურის მესვეურნი.

აფხაზურ და ქართულ ატრიბუტულ სინტაგმებში არსე-
ბული ვითარება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ორგანულ კავშირშია
სიტყვათა განლაგების იმ თავისებურებებთან, რომლებიც ამ ენათა
წინადადებაშია წარმოდგენილი.

და მინც ქართველურ ენებში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა
არაა თავისუფალი. ამ ენებში განსაზღვრების ერთგვარად
ლაბილური (resp. მოძრავი) პოზიცია შესაძლებლობაა
და არა კანონზომიერება.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საკუთრივ ქართულში ეს ლა-
ბილურობა თითქოს უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე დანარჩენ ქართვე-
ლურ ენებში, ამის მიზეზი ქართული სალიტერატურო ენის (კერძოდ,
მის სტილისტიკურ-ექსპრესიულ საშუალებათა) ფორმირებაში უნდა
ვეძიოთ: ბუნებრივია, რომ ქართული ენის განვითარება სალიტერატუ-
რო ენის ჩამოყალიბების დღიდან გარკვეული ვაგებით სულ სხვა გზით
წარიმართა, ვიდრე დანარჩენი ქართველური ენებისა⁷⁰

⁷⁰ „სალიტერატურო ენის არსებობა ზეგავლენას ახდენს თვით სალაპარაკო ენა-
ზედაც, რის გამოც უმწერლობა ენის განვითარებას გარკვეული თავისებურებები ახა-
სიათებს ლიტერატურის მქონე სალაპარაკო ენის განვითარებასთან შედარებით“ (თ. შა-
რაძენიძე, რას გვაძლევს ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა ენის
განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად, წიგნი: „თანამედროვე ზოგადი და მ-
თემატური ენათმეცნიერების საკითხები“, , თბ., 1967, გვ. 29).

თავი მეთხუთხე

სიტყვათა რიგი წინადადებაში

ფინიტური კონსტრუქციის წინადადება

სიტყვათა რიგი მარტივ გაუვრცობელ თხრობით წინადადებაში

აფხაზური ენის მორფოლოგიური თავისებურებები, კერძოდ, აფხაზური ზმნის რთული შედგენილობა, უშუალო ასახვას პოულობს ამ ენის სინტაქსში, მისი წინადადების წყობაში. აფხაზურში ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი ან გარდაუვალი, ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და ოთხპირიანიც კი. ამგვარად, აფხაზურშიც, ისევე როგორც ადიღურ და ქართულურ ენებში, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნების მიხედვით ზმნათა კლასიფიკაცია იძლევა სამ ჯგუფს: აბსოლუტურ-გარდაუვალს, რელატიურ-გარდაუვალსა და რელატიურ-გარდამავალს. ზმნათა ამ სამ ტიპს აფხაზურში შეეფერება წინადადებათა სამი ტიპი: აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიანი, რელატიურ-გარდაუვალზმნიანი და რელატიურ-გარდამავალზმნიანი¹. ამისდა მიხედვით წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთ ფინიტურ ზმნასთან ოდენ სუბიექტი, ან სუბიექტი და ირიბი ობიექტი, სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, სუბიექტი და ორივე სახის ობიექტი (პირდაპირი, ირიბი), სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და რამდენიმე ირიბი ობიექტი, აგრეთვე, გარემოებები (დროის, ადგილის, ვითარების, მიზეზის, მიზნის...).

აფხაზური ენის მარტივი გაუვრცობელი წინადადება, რომელშიც მარტო ერთპირიანი (გარდაუვალი) ფინიტური ზმნა მონაწილეობს, არ გვიჩვენებს რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს. სიტყვათა რიგის საკითხიც ამ სახის წინადადებაში შედარებით მარტივად წყდება². ამას-

¹ შლრ. ა. რ. ჩიქოვაძე, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 232.

² წინადადების წევრთა ადგილის დადგენისას აქ და ქვემოთაც ამოსავალ პრინციპად ძირითადად ვიღებთ ზმნის ადგილს წინადადებაში, რადგანაც, როგორც ცნობი-

თან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზური ენის სინტაქსურ არცნალში მსგავს წინადადებათა ხეედრითი წონა შედარებით უმნიშვნელოა.

აფხაზურ მარტივ გაუფრცობელ წინადადებას ქმნის ორი მთავარი წევრის—სუბიექტისა და ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნის—სინტაქსური ურთიერთობა. სათანადო მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ კარბობს სუბიექტის პრეპოზიცია (ზმნასთან მიმართებით) მიუხედავად იმისა, თუ რა მკტყველების ნაწილითაა იგი წარმოდგენილი: არსებითი სახელით თუ ნაცვალსახელით:

ა) პრეპოზიციული სუბიექტი არსებითი სახელია (საკუთარი, საზოადლო):

ალაას დგჩმაზაზეატ (გ. II, 239) „ალიასი ავად გახდა“;

ალხას დფტსგატ (გ. II, 188) „ალხასი მოკვდა“;

ივანი ლეჟანი ხგნჰიგატ (გ. II, 192) „ივანე და ლევანი დაბრუნდნენ“;

მჰჯარათ დააცაჟიან... (გ. II, 174) „მჰჯარათმა საუბარი წამოიწყო“...

ნაპარბეა ჩაჩბა დააატ (გ. II, 135). „ნაპარბეი ჩაჩბა მოვიდა“;

აამთა ცცაკატ (გ. II, 90) „ღრო აჩქარდა“;

შაჰქისგკ წგატ (ლ. 429) „წელიწადი გავიდა“...

ბ) პრეპოზიციული სუბიექტი ნაცვალსახელია (პირის, ჩვენებითი, განუსაზღვრელობითი):

სარა სნგყიაუგჰჰ (ლ. 110) „მე მოგზაური ვარ“;

ღა, იბერიულ-კავკასიურ ენებში, მათ შორის, აფხაზურშიც, ზმნა არის ის ღერძი, რომლის გარშემო თავს იყრის მთელი წინადადების მექანიზმი, ამ მექანიზმის ყველა თავისებურება. აქი, აფხაზური ენის ზმნა, რომელშიც მოქცეულია მთელი წინადადების ელემენტები, ამ შრივ მკაფიოდ უპირისპირდება წინადადების ყველა დანარჩენ წევრს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინდოევროპული ენების ზოგიერთი მკვლევარიც ზმნას წინადადების ღერძად მიიჩნევს. პრელიატი წინადადების ცენტრია, — წერს გ. ბოოსტი, — მისი საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს ყველა დანარჩენი ელემენტი, რომლებიც წინადადებას ქმნიან, მის წევრებს შეადგენენ (K. Boost, Neue Untersuchungen zum Wesen und zur Struktur des deutschen Satzes, Akademie-Verlag, Berlin, 1956, გვ. 37). ამასვე ამბობს ა. ღირიც: იმას რაც ჩვენს გარშემო ხდება, ჩვენ გადმოკცმთ წინადადებათა საშუალებით, რომლის ბირთვსაც მუდამ ზმნა წარმოადგენსო (A. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928, გვ. 62).

რაც შეეხება თვით ზმნის ადგილს, ცხადია, ამას თავისთავად გაარკვევს წინადადების დანარჩენ წევრთა შესწავლა ამ თვალსაზრისით.

ტარა უხიმარაჟეტი (ხ. 172) „შენ. (მამაკ.) ხუმრობ, თამაზობ-
არი ღნაწალილიან (ლ. 39) „ეს ძლიერი კაცი იყო“;

უგა მარაოტუბ (ლ. 146) „ეგ ადვილია“;

ართ ჯაწყეტი (ლ. 65) „ესენი წამოხტენ“;

აძიგჯ ჰეგრემთეტი (ხ. 71) „ხმა არავინ არ ამოიღო“...

საგულისხმოა, რომ დ. გულიას „კამაჭიჭი“ (გვ. 1—259) სათა-
ნალო ფაქტთა სტატისტიკური შესწავლის შედეგად დადასტურდა წყო-
ბა: სუბიექტი — ერთპირიანი (გარდაუვალი) ფინიტური ზმნა—89
შემთხვევა.

„ათხაზურ ზღაპრებში“³, დ. გულიას თხზულებათა მეორე ტომ-
სა⁴ და ი. პაპასქირის „ხიმურის გზაში“⁵ ერთპირიან ზმნასთან არც
ერთი შემთხვევა არ შეგვხვდებოდა სუბიექტად გამოყენებულ ნაცვალ-
სახელთა პოსტპოზიციისა. ვფიქრობთ, ამაში გარკვეულ როლს თამა-
შობს თვით ნაცვალსახელთა სემანტიკური ბუნება — მათი ერთგვარად
„განუსაზღვრელი“ ხასიათი (აკი, ნაცვალსახელი „განუსაზღვრელად“
ეწევა რომელიმე არსებითი სახელის მაგივრობას). ამიტომ ის, რაც
განუსაზღვრელია (ამ შემთხვევაში: ნაცვალსახელი), ბუნებრივია წინ
უსწრებდეს თავის „განმსაზღვრელს“, ე. ი. ზმნას: უგა ხშეჟუბ „ეგ
რძეა“.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ მსგავსსავე სურათს იძ-
ლევა სხვა იბერიულ-კავკასიურ (და არამართო იბერიულ-კავკასიურ!)
ენათა მასალაც.

უფრო ნაკლები გავრცელებულობისაა პოსტპოზიციური სუბიექტი
საკვლევე ტიპის წინადადებაში. ასეთ შემთხვევათა უმრავლესობა, ეჭვი
არაა, შეპირობებულია ენობრივი მასალით გადმოცემული შინაარსის
რომელიმე მომენტის გახაზვის საჭიროებით, ე. ი. სტილისტიკური
(ექსპრესიულ-გამომხატველობითი) აუცილებლობით. სუბიექტის პოსტ-
პოზიცია ასეთ შემთხვევებში ფაქტიურად გამოწვეულია ზმნის წინ
წამოწევის (resp. ზმნის გახაზვის) საჭიროებით და ამიტომ აქ არსები-
თად ზმნის პრეპოზიციისაზე უნდა ვილაპარაკოთ. ამას ჩვეულებრივ ად-
გილი აქვს იქ, სადაც იწყება ახალი ტექსტი ანდა რომელიმე აბზაცი

³ „ათხა ლაქიქია“, აყია, 1940.

⁴ დ. გულია, იჯგმაქია, აჯბატი ატომ, აყია, 1952 (ამ ტომში შესულია ავტო-
რის პროზაული ნაწარმოებები).

⁵ ი. პაპასქირ, ხმურ ლგმჯა, აყია, 1949.

(resp, კონტექსტი*) ტექსტის შიგნით⁷, მაგალითად:

დუჟან აპაკ (ლ. 107) „იყო (ცხოვრობდა) ერთი ბატონი“;

იწვან ჯგუფისა (ლ. 335) „გავიდა ორი წელი“;

აააატ ახიგლბეჩიხარა (ბ. 339) „მოვიდა (დადგა) სალამო ხანი“;

დუაგულტ ყარამან (ბ. 318) „წამოდგა ყარამანი“

დგაგრდ ეატ აპიუნთქარ (ლ. 337) „გაიხარა ხელმწიფემ“;

ილიკილიეატ ახიგჰქია (ლ. 159). „წავიდნენ (გაემართნენ) ბავშვები“;

ინგლაფსეატ აბექია (ბ. 210) „აირია (ერთმანეთში) ხმები“;

ინხონ ხუეაშცია (ლ. 250) „ცხოვრობდა სამი ძმა“;

იყაღეატ ახიგლბეჩიხარა (ბ. 228) „დადგა (შეიქმნა) სალამო ხანი“...⁸

ზმნა პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი ე. წ. ავტორისეულ წინადადებაშიც, რომელიც სხვათა სიტყვას (პირდაპირ მეტყველებას) მოსდევს: ურთ იშოპაქო ზეგჯ საპაჟეატ, ახა შიარა აბას შიააზგრპიგზ დეშაასაშოპაქარა, შილინანგს—დწაატ ლეჟარსა (ბ. 72) „ის რასაც თქვენ ამბობთ, ყველაფერი მესმის, მაგრამ იქნებ ისიც მითხრათ— ასე ვინ მოგაბრუნათ (= ასე ვინ შეგაცვლევინათ აზრი)? — ჰკითხა (იკითხა) ლევარსიმ“; ჩიგრბ შიაშოგას იმაზი—დწაატ ალაჟგ (ლ. 27) „თავის გასაგრილებელ საშუალებად რა ჰქონდა (მას, ად.)? — კვლავ ჰკითხა (იკითხა) დევმა“⁹.

სიტყვათა რიგი მარტივ გავრცობილ თხრობით წინადადებაში

ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნის შემცველ წინადადებაში სუბიექტისა და ზმნის გარდა შეიძლება წარმოდგენილი იყოს, აგრეთვე, გარემოებებიც (დროის, ადგილის, ვითარების...). ასეთი სახის წინადადება უკვე მარტივი გავრცობილი წინადადებაა.

საკვლევ წინადადებაში სიტყვათა განლაგება შემდგენიარად წარმოვიდგება:

⁸ „სიტყვათა განლაგება ერთგვარად ფართო კონტექსტზედაცაა დამოკიდებული“ (ბ. ფოჩუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, აყე, XIII, 1962, გვ. 111).

⁷ რაც შეეხება იმას, თუ მაინცდამაინც რატომ იწყებს ზმნა მთელ რიგ შემთხვევებში ახალ ტექსტს (resp კონტექსტს), ეს საკითხი სინტაქსის ინტერესების მიღმაა და მას არ გამოვლდებით.

⁸ დ. გულიას „კამაჰიჰში“ გვაქვს სულ ასეთი 18 შემთხვევა.

⁹ დაწვრილებით — იხ. ქვემოთ.

დროის გარემოების ადგილი არაა ფიქსირებული¹⁰. თუ ზმნას ამოსავალ (resp. მისამართ) ლერქად ვიგულებთ, დროის გარემოებას ხან პრეპოზიცია, ხანაც ინტერპოზიცია ან პოსტპოზიცია უჭირავს; პრეპოზიციაცა და პოსტპოზიციაც შეიძლება იყოს კონტაქტური ან დისტანციური. დისტანცია შეიძლება იყოს ახლობელი ან შორეული. ახლობელია დისტანცია, როცა მას დროის გარემოებასა და ზმნას შორის ერთი (რომელიმე) წევრის მოქცევა ქმნის (სენტია აძგნრა ციგახოატ (გ. II, 307) „წელს ცუდი ზამთარი იქნება“), შორეულია დისტანცია, როცა ის შედეგია დროის გარემოებასა და ზმნას შორის ორი ან მეტი წევრის მოქცევისა (ზნგ დგიორ აძგბქატი ი აყია დააატ (გ. II. 311) „ერთხელ დგური აძვიბტიდან სოხუმში ჩამოვიდა“):

ა) პრეპოზიციულ-კონტაქტურა დროის გარემოება:

შმათ აზნგკაზგ დშიეატ (გ. II, 291) „შმათი პირველად შეშინდა“;

ჟგა შიგქისგკ აიგმხეატ (გ. II, 294) „ეგ ერთ წელს კი არ მომხდარა“;

ჟგა აქიგტი აკიენ (გ. II, 311) „ეგ ძველად იყო“;

ლეჟან ჟახა დააშატ (გ. II, 121) „ლევანი ამაღამ მოვა“;

ზშურ აშეგმთან, შააანძა, დგგგლან ..(ზ 360) „ხიმური დღით, უთენია, ადგა რა“...

ბ) პრეპოზიციულ-დისტანციური დროის გარემოება: ახლობელი დისტანცია:

ვატაციი ზნაზგ ხიგქკ დააქაახეატ (გ. II, 300) „ვატაცი ერთ ხანს ცოტა გაჩუმდა“;

ტამშ აქეთან ხიგლფაზგკ აქყიანდარ დნეატ (გ. II, 302) „სოფელ ტამიშში ერთ საღამოს ხუცესი მივიდა“;

აპიგნთქარ იხაან პერკაზე თუწტ (გ. II, 294) „ხელმწიფის დროს ერთი ბრძანება გამოვიდა“;

აჩანგ ხილაანძა უბრი აშხარახ დგფ შაჟიან (გ. II, 266) „იმ დღეს, დაღამებამდე, იმ მთებისკენ იუღრებოდა (იგი, ად.)“;

აწხგბქონ აპიიართა ყარწან... (გ. II, 293) „შუალამისას ბატონის საწოლი გაშალეს (გააკეთეს) რა“...

¹⁰ შტრ.: „ვითარებისა და მიზნის გარემოებები, როგორც წესი, დგანან შემასმენლის წინ.., სხვა გარემოებებს კი წინადადებაში არა აქვთ განსაზღვრული ადგილი: ისინი შეიძლება იდგნენ ყოველ ადგილას“ (Грамматика кабардино-черкесского литературного языка, М., 1957, გვ. 214).

უბრი აამთაზ ასტრაქენიკ დგნჩაგეილეატ (გ. II, 46)
„ამ დროს ბოქაული ამხედრდა (ცხენზე შეჯდა)“;

სგნტოა ამენრა ციგანხოატ (გ. II, 307) „წელს ზამთარი
ცული იქნება“;

აჩანგ აშშა ბზიან (ხ. 156) „იმ დღეს კარგი ამინდი იყო“.
შორეული დისტანცია:

შაარფაზძაკ ალჰას თორყანრაა რქვჲ დააატ (გ. II, 5)
„დღალდრიან ალიასი თორყანანთსა მოვიდა“;

ზნგ ლძაა აქყიანდარ დნეატ (გ. II, 301) „ერთხელ ლძა-
აში ხუცესი მივიდა“;

ზნგ აბეგუაა რქვჲ აღგჩრა ბააფსგლა იწგსგნ... (გ. II, 302)
„ერთხელ აბეუელებთან ქურდობამ ფეხი ძლიერ მოიკიდა...“;

ზნგ დგოგრ აძვბუატი აყია დააატ (გ. II, 311) „ერთხელ
დგური აძვიბიდან სოხუმში მოვიდა“;

ჩანაკ აანგეი კჳოგნ აბ მქააგარა დცეატ (ლ. 83) „ერთხელ
ახლგაზრდა დევის მამა შეშის მოსატანად წავიდა“;

ხიგლფაზგკ ალჰას ატესურახტი ავზგ დააან... (გ. II, 179)
„ერთ საღამოს ალიასი სამუშაოდან შინ მოვიდა რა“...

გ) პოსტპოზიციურ-კონტაქტური დროის გარემოება:
აბნა ჴუღუაძა ყგვი ბეგკ ქარანტი ილჳჴამგზტ არი აჩანგ
(ხ. 136) „გატრუნულ ტყეში ჩამი-ჩუმე არსაიდან არ ისმოდა ამ
დღეს“;

დგყან აქიგტი ხაწალიდაკ (ლ. 39) „იყო (=ცხოვრობდა) ძვე-
ლად კაცი ძლიერი“;

აბსაქია ვაზონ ესკმშაა (გ. II, 14) „ქალები იკრიბებოდნენ
ყოველდღე“;

კამგვი დაარა ილახ ეაქიგნ აჩანგ (ხ. 190) „კამუგი ძალ-
ზე მოწყენილი იყო იმ დღეს“;

იწაბგრგწყანგ ასდგჴ აქუატ ჴგა აძგნრა (გ. II, 307)
„მართლაც დიდი თოვლი მოვიდა იმ ზამთარში“...

დ) პოსტპოზიციურ-დისტანციური დროის გარემოება:
ახლობელი დისტანცია:

დააფშაგატ მაკტინა შგჴემთანკ (ხ. 260) „გაიღვიძა
მაკტინამ ერთ დილას“;

იწგატ ჳაჳიჳეაა შშგ აბრი ყალეაქთეა (ხ. 335) „გავიდა
ოცდათვრამეტი დღე მას შემდეგ, რაც ეს მოხდა“.

საყურადღებოა, რომ, როგორც მოყვანილი მისალა გვარწმუნებს,
დროის გარემოება წინადადებაში ჩვეულებრივ აბსოლუტურ პრეპოზი-

ციაშია წარმოდგენილი. ეს კი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ დროში „მოქმედების“ პროცესი მთელ წინადადებას ეკუთვნის და არა მის რომელიმე წევრს ან წევრებს; ამას კი თითქოს გახაზავს დროის გარემოების დგომა აბსოლუტურ პრეპოზიციით.

აღსანიშნავია, რომ დ. გულიას „კამაქიქში“ (გვ. 1—259) მარტივი გავრცობილი წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციით დროის გარემოება 326-ჯერ დადასტურდა, წინადადების ინტეპოზიციით (სუბიექტის შემდეგ)—22-ჯერ, ხოლო წინადადების აბსოლუტურ პოსტპოზიციით კი 10-ჯერ¹¹.

ადგილის გარემოება ზმნასთან მიმართებით შეიძლება იყოს. აგრეთვე, პრეპოზიციულ ან პოსტპოზიციურ დამოკიდებულებაში. ეს პოზიციები კონტაქტურიცაა და დისტანციურიც (ახლობელიან შორეული):

ა) პრეპოზიციულ-კონტაქტური ადგილის გარემოება: ხზურ აშეგმთან არააონ აჭატი ა ქალაქ დნალალტ (ხ. 294) „ხიმური დილით რაიონის ქალაქში (= ცენტრში) შევიდა“;

აააღაშიშხან ეფეშე ამთაზგ აალსა ლგჰიპიაბეჟე აცუთა ახგა-ა წგხიე ა ინალაჯგატ (ხ. 319) „საღამო ჯგს იალსას კივილი სოფელში კილით-კიდემდე გაისმა“;

ლამშაწი აძკგ ბჯა დგნხონ (გ. II, 317) „ლამშაწვი აძვიბჟაში ცხოვრობდა“;

ადიგღბა ჟიოხი მინუთ აქალაქ ასტანციაკჟგ აააგღტ (ხ. 331) „მატარებელი თხუთმეტი წუთით ქალაქის სადგურში გაჩერდა“;

ხზურ შგგი აფხაგგ ჟესურა აჯნგ დდიგლწგატ (ხ. 351) „ხიმური შიგუზე უფრო ადრე გავიდა სახლიდან სამუშაოდ (=სამუშაოზე წასასვლელად)“;

ათურქიცია აბნა-აბრა აშიშიგრა იწატიან (გ. II, 311) „თურქები აქა-იქ ჩრდილში ისხდნენ“;

კამაქგქ ლგჯნგყა დააატ (გ. II, 196) „კამაქიქი თავის სახლში მოვიდა“...

ბ) პრეპოზიციულ-დისტანციური ადგილის გარემოება: ახლობელი დისტანცია:

¹¹ სტატისტიკური მონაცემების დადგენისას აქ და ქვემოთ გათვალისწინებულია მხოლოდ ის შემთხვევები, როცა დროისა და ვითარების გარემოებებზე ზმნისარსებობა გამოყენებული.

უბრი აქვთან ოსმან ჰაა აჰიგ დგნხო ნ (გ. II, 305) „იმ სო-
ფელში ვინმე ოსმანი ცხოვრობდა“;

ამრათა შიარახ აბაშრა ათვშშია ლილიახაქეატ (ხ. 246)
„დასაყლეთში ომის ამბავი (= ომი) გაძლიერდა“ ...

შორეული დისტანცია:

ზნგ აბეჟეჟაა რკიგ აღგჩრა ბააფსგლა იწვსგნ... (გ. II, 302)
„ერთხელ აბეჟელბში ქურდოზამ ფეხა ძალზე მოიკიდა“ ...

გ) პოსტპოზიციურ-კონტაქტური ადგილის გარემოება: დგყან
ქვთაკ აქიგ პაპგ განჯაშაკ (გ. II, 306) „ცხოვრობდა ერთ სოფელ-
ში ერთი ცბიერი მღვდელი“.

დ) პოსტპოზიციურ-დისტანციური ადგილის გარემოება: ახლობე-
ლი დისტანცია:

ი დიგქილეატ მკედგე ჰარინხგე ალჯასრაა რახ (გ. II, 10)
„გაემართნენ მოკოდა და ჰარინანი ალიასისკენ“.

ღ. გულას „კაპაქქში“ წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციის
დადასტურდა ადგილის გარემოების 80 შემთხვევა, წინადადების ინტერ-
პოზიციის (სუბიექტის შემდეგ) — 13, ხოლო წინადადების აბსოლუტურ
პოსტპოზიციის — 3.

ვითარების გარემოება ჩვეულებრივ რაიმე ნიშნის მიხედვით ახა-
სიათებს ზნით გამოხატულ მოქმედებას. იგი, „წინადადების სხვა წევ-
რებისაგან განსხვავებით, შინაარსეულად არაა თავისთავადი, იგი მხო-
ლოდ სხვა სიტყვის — შემასმენლის — როგორობას აღნიშნავს და ცალკე
აღებული არაუერს გამოხატავს“¹². ამიტომ, რომ ვითარების გარემოე-
ბა, როგორც წესი, უშუალოდ ემეზობლება ზმნას პრეპოზიციულად
(უფრო ხშირად), ან პოსტპოზიციურად (იშვიათად)¹³.

ამგვარად, ვითარების გარემოების ადგილს წინადადებაში გან-
საზღვრავს სემანტიკური ფაქტორი (სიტყვის მნიშვნელობა):

ა) პრეპოზიციული ვითარების გარემოება:

უჯ სიირშია იყალეატ (გ. II, 94) „ეგ საკვირველებად (სა-
კვირველებასავით) მოხდა“;

¹² ბ. ფოჩხუა, სიტყვათვანლაგებისათვის ქართულში, იკვ, XIII, 1962, 33-120.

¹³ აქედან თავისთავად გამოვლანარეობს, რომ ვითარების გარემოებასა და ზმნას შორის ჩვეულებრივ არ შეიძლება მოექცეს რომელიმე წევრი. ეს წესი შეიძლება დაარ-
ღდეს მხოლოდ სტილისტიკური აუცილებლობის გამო, ისიც უფრო პოსტპოზიციუ-
რად (რადგან ანვერსოულა) წყობისას: იცაქეატ ამთა მცხიგ ჩქარობს დრო ძალიანა
(შდრ. ამთა მცხიგ იცაქეატ, ანდა: ამთა ცაქეატ მცხიგ).

თავიგნა აბღააჰია დჯაწყან... (გ. II, 10) „თავუნა სწრაფად წამოხტა რა...“

აქაფშარაჰიჟ აჟაა რა ციანგ იტიან (გ. II, 314) „ლამისსათეგში ხალხი მრავლად ისხდა“;

„ალაშეზრბავა“ ახძი- აფშეჟე ესააჟრა აზპარა ჟაჰეზენ (ხ. 82) „სინათლის“ სახელი მულამ იზრდებოდა“;

არი აჩინგ ამრა უბას ითა შიჟეტ (ხ. 44) „ამ დღეს მზე ასე ჩავიდა“;

ამცა აგვიგაჰია ეჟეჰიგენ (გ. II, 314) „ცეცხლი გუგუნით ენთო“; აბგახიჰეჟე აშეჟრჰია იჯაგვლან... (ლ. 279) „ტურა სწრაფად წამოღდა რა...“

ჟამეგვი დაარა ილახ ეჟეჰიგენ აჩინგ (ხ. 190) „ჟამეგვი იმ დღეს ძალიან მოწყენილი იყო“;

აღგჩრა ბააფსგლა იწგსგენ (გ. II, 302) „ქურდობამ ფეხი ძალზე მოიკიდა“...

ბ) პოსტპოზიციური ვითარების გარემოება:

ამთა ცცაჰეჟეტ მგცხიჟ (გ. II, 89) „ღრო ჩქარობს ძალიან“.

სუბიექტის ადგილი საკვლევ წინადადებაში რაიმე ჯანსაყურებულ თავისებურებით არ ხასიათდება. თუ სათანადო მასალას გულდასმით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქაც, ისევე როგორც მარტივ გაუფრკობელ წინადადეგებში, სუბიექტის პრეპოზიციის ქარბობს, ოღონდ იგი ზმნისაგან ხშირად შეიძლება გათიშული იყოს ერთი ან რამდენიმე გარემოებით, ამასთანავე, თუ წინადადებაში რამდენიმე გარემოებაა (ერთგვაროვანი¹⁴ თუ სხვადასხვა სახისა), მაშინ სუბიექტი ერთ-ერთი მათგანის (ღროის ან ადგილის გარემოების) შეზღვევ დგას: ჩანაკ. აშეჟმთან, გიგლა ფჰიგსკ ალჟასრაა რჰეჟ დააინ... (გ. II, 119) „ერთ დღეს, დილით, მეზობლის ქალი ალიასანთსა მოვიდა რა“...; „აქაფშა-

¹⁴ როცა წინადადებაში რამდენიმე ერთგვაროვანი გარემოებაა წარმოდგენილი (რამდენიმე ღროის გარემოება, რამდენიმე ადგილის გარემოება), მაშინ მათ ადგილს თვითთული მათგანის სემანტიკური ნიუანსი გვსაზღვრავს: ის, რაც ღროის, სიერ-ცის უფრო დიდ მონაკვეთს“ გულისხმობს, წინა პლანზეა წამოწეული, მომდევნო გარემოება კი ერთგვარად ხსნის, აკონკრეტებს წინ მდგომს. მაგალითად: ჩანაკ. შეგვმთან, გიგლა ფჰიგსკ ალჟასრაა რჰეჟ დააინ... (გ... II, §119) „ერთ დღეს, დილით, მეზობლის ქალი ალიასანთსა მოვიდა რა“... ჩანაკ, ხეგლბეჟხაკ, მაცტინა აკოლხოზ აჰესურა აფეჟი დააინ... (ხ. 164) „ერთ დღეს, საღამო ჟამს, მაცტინა კოლმეჯრენობიდან (სამეშაოდან) მოვიდა რა...“ აჟია, ადი დგჰე აჰეჟ, ათერბეცია აბნა-აბრა აშიშგრა იწატან (გ. II, 311) „სოხუმში, დიდ მინდორზე, თურქები აჰა-იქ ჩრდილში ისხდნენ“.

რამაც აქაა რაციანგ იტიან (გ. II, 314) „ლამისსათვე ში ხალხი ბლთმად
ისხდა“. სუბიექტის პოსტპოზიციაც კი მხოლოდ იმ შემთხვევებში გვაქვს,
როცა წინადადებას სტილასტიკური აუცილებლობის გამო ზმნა იწყებს.
საგულახსმობა, რომ ასეთ დროს სუბიექტი, ჩვეულებრივ, კონტაქტუ-
რად მოსდევს ზმნას: იღიგქილეატ მკკდი ჰარიხანი ალმასრაა
რახ (გ. II, 10) „წავიდნენ მოკოლი და ჰარიხანი ალისაანთსა“; იღიგ-
ქილეატ არ ხეთა ფხაყა (ხ. 303) „გაემართა ჯარის ნაწილი წინ“;
დაათფშაგატ მაკტინა შგვმთანყ (ხ. 260) „გამოიღვიძა მაკტინამ
ერთ დალას“...

სუბიექტს პოსტპოზიციაც უქირავს მაშინაც, როცა მას სხვათა სი-
ტყუა აღწამყნულა „ჰაა“ (←აჰაარა) ნაწილაკი ახლავს, მაგალითად:
ტამშ აღაქანქა რქუ დგზაჰააჰან თანუშთ ჰია აძიგ (გ. II, 297)
„ტაჰაშის დუქნებში ვაჭრობდა ვანმე ვახუშტი“; უბრი ამთაზ დცფ-
რ წგატ ხიშთაჯგ ლუქმან ჰაქგმ ჰია (ლ. 70) „ამ დროს გა-
მოჩნდა ვინმე ლუქმან-აქიმი“.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმობა, რომ სუბიექტსა და ზმნას
რესულში მიდრეკილება აქვთ გრამატიკულად ერთმანეთს დაუკავ-
შირდნენ, ერთმანეთის გვერდით დადგენ¹⁵. მაგრამ აფხაზური ენის
ზემოგანხილული კონკრეტული შემთხვევები (პოსტპოზიციურ კონტაქ-
ტური სუბიექტი) მხოლოდ გამონაკლისებია და სტილისტიკური
ფაქტორათაა შეპირობებული. აფხაზური გავრცობილი წინადადებისა-
თვის ნიშანდობლივად მიინცდამიანც საპირისპირო ვითარება —
სუბიექტ-ზმნის დისტანციურობა უნდა მივიჩნიოთ: ხმურ აშგმ-
თან არაფონ აქატი აქალაქ დნალალტ (ხ. 294) „ხიმური დილით რაი-
ონის ცენტრში შევიდა“.

* * *

სუბიექტის წინადადებისა (სიტყვათა განლაგების თვალსაზრისით),
როპელშაც თარარაანი გარაუფალი ზმნა მონაწილეობს, მნიშვნელოფ-
ნად განსხვავებულია ერთპირიანი ზმნის შემცველი წინადადებისაგან,
რადგანაც აქ ახალ წევრად გვევლინება ირიბი ობიექტი, რომელიც
ჩვეულებრივ სუბიექტის შემდეგ დგას.

ამ სახის წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის რიგი (პირველ აღ-

¹⁵ იხ. Р. П. Андропова, Порядок слов в простом предложении, канд. дисс., Херсон, 1958, გვ. 7.

გილას სუბიექტი, მეორე ადგილას — ირიბი ობიექტი) ჩვეულებრივ ემთხვევა პირის ნიშანთა ადგილმდებარეობას ზმნაში, მაგალითად:

ღ
წ
წ

ზნგ ზაფსნგ ამ მამსგ რ¹⁷ დ-გ-მ-თან (გ. II, 289) „ერთხელ აფხა-ზეთის მთავარი მამსირს სტუმრად ჰყავდა“;

ტირტუ ტუხგკ ხოათ ღგმთან (გ. II, 311) „ტირტუ ერთ დღეს ხვათს ჰყავდა სტუმრად“;

აზნგ აშობჩა ამტონ დაადღგლან... (გ. II, 295) „შეკარე ანტონს მიაღდა რა...“

აბრი ამთაზგ ჰაზართ აჩგმაზაზ დნალხაგლან (გ. II, 31) „ამ დროს ჰაჯართი ავადმყოფს თავს ადგა“;

აარა იქკიგნ ხიგქგ დმახიმარტან აკრაამთაგ (ლ. 249) „იგი თავის პატარა ბიჭს ეთამაშებოდა კარგა ხანს“;

ამ დრაზწააბტ აქოლარ (ლ. 275) „მთავარი შეეკითხა ხალხს“;

ანაჩაღნოგ ავგჯაგჯ დნარგხიაფშეგნ... (გ. II, 299) „უფროსმა ორივეს შეხედა რა...“

ხაოთარფგხ ნარჯხოტუ დეგხსგნ... (ლ. 44) „ხვათვართისმა ნარჯხიოუს ესროლა რა“;

ტატაანა აღოტყია დრაპიშახეატ (ლ. 334) „ტატაანა დევების და გახდა (დევების დად იქცა)“;

კამაქგქ თათლასთან დგმცეგატ (გ. II, 212) „კამაქიტი თათლასთან გაჰყვა (ცოლად)“;

ლეთარსა დამეგ დნეგზეგშეგატ (ხ. 31) „ლევარსიმ დამეის შეხედა“;

ლეთარსა არი ამთაზგ დიზგძგრუტან ტრაქ (ხ. 39) „ლევარსი ამ დროს ფრაქს უსმენდა“;

ზეგჯ უბრი ინაქიშაპათხან, იმაქარ-ჩაქარტა: აბრი ატეს აწგ-ხილა მა ზეგჯ ჰაქიფნწიაროტუ, მა აკვ ჰალპარშააროტუ ჰია ჴინგქიწუგატ (გ. II, 212) „ყველა მას დაეთანხმა რა, ან ამის გამო უნდა გავწყდეთ, ანდა რამე უნდა შევიძლოთო, მუქართ დამშალენ“;

ზნგ ლან... ლგფჰა დღგზწააბტ (გ. II, 224) „ერთხელ დედამ თავის ქალიშვილს ჰკითხა“;

შგვი ლგლახ დნავიგძეატ (ხ. 155) „შეგუმ მის (დედაკ.) შუბლს აკოცა“;

¹⁷ სუბიექტი შავი კორპუსითაა გადმოცემული, ირიბი ობიექტი — გაშლილი.

ხანგრძლივად ათაკიანი დღეზწააგტ (ლ. 29) „სასრიყვამ დედაბერს ჰკითხა“;

ააბაბე დრგზწეატ ითაკიანი (ლ. 318) „უფროსმა დაუძახა თავის მაყრებს“...

მაგრამ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის რიგი ირლევვა და, მაშასადამე, იგი აღარ შეესაბამება პირის ნიშანთა ადგილმდებარეობას ზმნაში. სუბიექტ-ობიექტის დადგენა ასეთ დროს პირისა და რიცხვის (კლას-კატეგორიის) ნიშანთა და კონტექსტის საშუალებით ხერხდება:

მაკტინა ზემკარახ ცაცუ დღეზღვლან (ბ. 157) „მაკტინას ერთ მხარეს ცაცუ ედგა“;

აბას, გეგრულა, იზგ დაზწააჟან ბაზრკყია (ბ. 55) „ასე, დარღიანალ, თავისთავს ეკითხებოდა ბაზრიყვა“;

აბრი ზეგჯ აქიშააპათხეატ (გ. II, 111) „ამას ყველა დაეთანხმა“; აქყიანდარ იკალთ დნაგეგძგატ აბაპ (გ. II, 302) „ხუცესის კალთას აკოცა მღვდელმა“.

სათანადო მასალის სტატისტიკური მონაცემები¹⁸ იხილეთ № 3 ტაბულაში.

ზმნისაგან ირიბ ობიექტს ჩვეულებრივ თიშავს ვითარების გარემოება: აშხჩა ამტონ აშეგრჰია დააადგვლან... „მეკარე ანტონს სწრაფად მიადგა რა“...

დროის გარემოება, როგორც წესი, წინ უძღვის ირიბ ობიექტს დისტანციურად (უფრო ხშირად) ან კონტაქტურად (იშვიათად); მაგალითად: ზნგ აფსნგ აპ მამსგრ დგათან (გ. II, 289) „ერთხელ აფხაზეთის მთავარი მამსირს სტუმრად ჰყავდა“; აბრი აამთაზგ ჰაჯარათ აჩგმაზაჯ დნალხაგვლან (გ. II, 31) „ამ დროს ხაჯარათი ავადმყოფს თავს ადგა“.


ადგილის გარემოება კი შეიძლება ირიბ ობიექტთან იყოს როგორც პრეპოზიციულ, ისე პოსტპოზიციურ დამოკიდებულებაში.

¹⁸ ამ თვალსაზრისით შესწავლილ იქნა ი. პაპასქირის რომანი „ხშურ ღმკა“ (გვ. 1—441), აყია, 1949; „აფსტა ლაკიქია“ (გვ. 1—471), აყია, 1940; დ. გულას „აკამაქიქი“ (გვ. 1—259) (წიგნი: დ. გულია, ივგმთაქია, აჯბატი ატომ, აყია, 1952); „ტაპანთური ტექსტები“ (გვ. 1—144) (წიგნი: ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი, 1944); „აშხარული ტექსტები“ (გვ. 1—106) (წიგნი: ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954); შ. რუსთაველის „აბჯასცია ზეიტგ“ (გვ. 1—304).

№ №	წვერთა თანამიმდევრობა კონსტრუქციის	კომბინატების საშორე					
		ასენშენი 1-საფენიანი	ასენშენი 2-საფენიანი	ასენშენი 3-საფენიანი	ასენშენი 4-საფენიანი	ასენშენი 5-საფენიანი	ასენშენი 6-საფენიანი
1	სუბიექტი—ირიბი ობიექტი—ორპირიანი გარდაუვ. ფინიტ. ზმნა . . .	186	77	88	97	39	54
2	სუბიექტი—ორპირიანი გარდაუვ. ფი- ნიტ. ზმნა—ირიბი ობიექტი . . .	16	7	4	9	3	15
3	ირიბი ობიექტი—სუბიექტი—ორპირიანი გარდაუვ. ფინიტ. ზმნა . . .	41	4	27	13	6	14
4	ირიბი ობიექტი—ორპირიანი გარდაუვ. ფინიტ. ზმნა—სუბიექტი	33	2	9	5	2	10
5	ორპირიანი გარდაუვ. ფინიტ. ზმნა—სუ- ბიექტი—ირიბი ობიექტი	5	1	—	—	4	3
6	ორპირიანი გარდაუვ. ფინიტ. ზმნა— ირიბი ობიექტი—სუბიექტი	—	—	—	—	—	6

ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში პირველ რიგში ყურადღებას იქცევს სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ამ სახის წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის რიგი არ ემთხვევა ზმნაში წარმოდგენილ კლას-კატეგორიის აჟიქსთა ადგილმდებარეობას: წინადადებაში ჩვეულებრივ პირველ ადგილას დგას სუბიექტი. შემდგომი ადგილი (არა აუცილებლად კონტაქტურად) უჭირავს პირდაპირ ობიექტს, ზმნაში კი მათი აღმნიშვნელი მწარმოებლები საპირისპირო განლაგებას გვიჩვენებს: პირდაპირი ობიექტის ნიშანი — სუბიექტის ნიშანი:



ბგმკეგრასა ფჰიჲს დ-ა-ა-ა — გეგტ (ლ. 280) „ხიმკურასამ ცოლი მოიყვანა“.

სამწევრიან წინადადებაში, სადაც ერთ ზმნასთან ოდენ სუბიექტი და პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი, სუბიექტსაც და ობიექტსაც ზმნასთან მიმართებით ჩვეულებრივ პრეპოზიციის უჭირავთ; გვაქვს: სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ზმნა:

აჟყიანდარ აჟაზ იპოგტ (გ. II, 301) „ხუცესი (ჰყონდიდელი) ქადაგებას ამბობს (=ხუცესი ქადაგებს)“;

შოჟკგ აკაპჟა რეიჟან (გ. II, 311) „ზოგიერთები ყავას სვამდნენ“;

აზანდაჯ იხ ჲ ლაჲრყიგტ (გ. II, 118) „პატიმარმა თავი დახარა“;

კამაჰჰჰ თათლასთან დგლშჰტ (გ. II, 255) „კამაჰიჰმა თათლასთან მოკლა“;

აღაჰ აწ იცა ააშთიხგნ... (გ. II, 131) „აღიასმა ჰიჰა აილო რა...“

აან რეცაჰგ აწ იჰარა ყალწეგტ (ლ. 58) „საცოდავმა დედამისმა ქეღეხი (ტირილი) გამართა“;

ბატა ალოჟ რაშგთ იფჰა დააგეგტ (გ. II, 308) „ბატამ ალოჟ რაშითის ასული მოიყვანა (ცოლად)“...

თუ წინადადებაში სუბიექტ-ობიექტი ზმნას მოსდევს, მათი თანამიმდევრობა უცვლელი რჩება, მაგალითად: იდგრგვლეგტ კოლხაა უბრი აჰილაჰ (გ. II, 151) „ააშენეს კოლხებმა ეს ქალაქი“.

სუბიექტ-ობიექტის თანამიმდევრობა ჩვეულებრივ არ იცვლება არც მაშინ, როცა წინადადებაში დროის გარემოება შემოდის, რადგანაც, როგორც ვიცით, ეს უკანასკნელი უფრო წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციას იჭერს: ადგრაჟიხნგ აჰიგნთჰარ ჩარა დგჷ იჷგნ... (ლ. 218) „მეორე დღეს ხელმწიფემ დიდი ქორწილი გამართა რა“... ზნე აძიგ წეაჟ ქეჷცჷ გჷგახზნ (გ. II, 305) „ერთხელ ვილაცამ ახალი ჰა ამოთხარა რა...“ ადგრახიხნგ აჰ იჷჰა ეაწბ ლმა ცი აზ კვდგაწეატ (ლ. 252) „მესამე დღეს ბატონმა თავისი უმცროსი ქალიშვილის ბეჷედლი ჩამოჰკიდა“...

არც ადგილის გარემოება ახდენს სუბიექტ-ობიექტის კონტაქტურობაზე გავლენას: ჷგე აბერ ტატჷანა აშეჰოლ დთეაწეატ (ლ. 328) „იმ ბერმა ტატიანა სკოლაში შეიყვანა“; აშიარაცაჷცია რეჷაჰგ აჰკიგნ იჷნჷჷა დგეგეატ (ლ. 221) „მონადირეთა უფროსმა ბიჭი თავის სახლში წაიყვანა“.

მაგრამ თუ წინადადებაში ორივე სახის (დროისა და ადგილის) გარემოებაა წარმოდგენილი, მაშინ შესაძლებელია ადგილის გარემოებამ ერთმანეთისაგან გათიშოს სუბიექტ-ობიექტი, მაგალითად: ზნე ესჷაჷ ათირაჰეჷ ეა ხაკ აახიან... (გ. II, 317) „ერთხელ ესჷაჷმა სამჷქედლოში ნაჯახი იყიდა რა...“

და თუ წინადადებაში ვითარების გარემოება შემოდის, ამ შემთხვევაშიც სუბიექტ-ობიექტის პრეპოზიციულობა ჩვეულებრივ ხელუხლებელი რჩება; ვითარების გარემოება აჰაც, ისევე როგორც ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნების შემცველ წინადადებებში, ჩვეულებრივ ზმნას ეკედლება პრეპოზიციულად: არი აჷგს აჰ დაარა დარხიეცგატ (ლ. 240) „ამ საქმემ ბატონი ძალზე ჩააფიქრა“; აჰ არი ჷამა ში ა იბეატ (ლ. 190) „ბატონმა ეს საოცრებად მიიჩნია (=ეს ბატონს გაუკვირდა)“; ნაგი იჷნჷ ამცა აგ იგ იაჰი ა ინეჷჷიგაწან... (გ. II, 316) „ნაგუმ თავის სახლში ცეცხლი გუგუნით (მოგიზგიზედ) დაანთო რა“...

თუ ერთმანეთის გვერდით ორი ვითარების გარემოებაა წარმოდგენილი, მაშინ ადგილებს წინადადებაში იმის მიხედვით ინაწილებენ, თუ რა მეტყველების ნაწილებითაა ისინი გადმოცემული. კერძოდ, სუბსტანტიურ ვითარების გარემოება, როგორც წესი, უსწრებს ზმნისართულ ვითარების გარემოებას. მაშასადამე, აჰაც სემანტიკური ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს: ათარჷმან აჰიარა ანძ აფსუშაილა იბ ჷ ი ანგ იჰიეატ (გ. II, 116) „თარჷმანმა ღელის სახელწოდება აფხაზურად კარგად თჷვა“.

მაგრამ არცთუ იშვიათად შესაძლოა ვითარების გარემოება სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის მოექცეს და ამრიგად დაარღვიოს მა-

თი კონტაქტურობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, პირდაპირი ობიექტი იკავებს ვითარების გარემოების, ასე ვთქვათ, „ტრადიციულად განმტკიცებულ“ ადგილს ზმნის წინ:

აჭაჯეჟია ხაჯა აბლ'აჰია ამცა ემქიგაწეგეტ (ლ. 241) „შაგვაცა ხაჯაჟამ სწრაფად ცეცხლი დაანთო“;

აქყიანდარ ნჰჰიარალა აქი ა აბრუეგეტ (გ. II, 304) „ხუცესს (ქყონდიდელს) ლოცვით წვიმა მოჰყავს“;

ტატანაგ'გ აშეგრჰია აში აალგრტგეტ (ლ. 330) „ტატინამაც სწრაფად კარი გააღო“;

ჴგ ლასგ-ლასგ იხგ ისალონ (გ. II, 293,) „იგი მალი-მალ თავს იპარსავდა“.

ამ მაგალითებში ჩვენს ყურადღებას იქცევს პირდაპირი ობიექტის მისწრაფება — უშუალოდ დაუახლოვდეს ზმნას (უარეს შემთხვევაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მას ზმნისაგან მხოლოდ ვითარების გარემოება თიშავს).

რატომ ხდება ასე?

„ერგატიული კონსტრუქცია, — წერს არნ. ჩიქობავა, — ჴმნის „სამწევროვან სინტაგმას ... მის სინტაქსურ დომინანტს წარმოადგენს გარდამავალი ჴმნა: იგი განსაზღვრავს როგორც რეალური ობიექტის ბრუნვას, ასევე სუბიექტისას. ამ მხრივ სუბიექტი და ობიექტი სინტაქსურად პრინციპში თანაბარ უფლებიანი“²¹.

ცნობილია, რომ იბერიულ-კავკასიური, კერძოდ, ქართველური ენების გარდამავალ ჴმნაში თავდაპირველად გქონდა ოდენ ობიექტური უღვლილება, „გარდამავალი ჴმნა კლასიკური უღვლილების პირობებში... ოულვლებოდა ობიექტის მიხედვით, ჴმნაში ობიექტის კლასი აღინიშნებოდა, სუბიექტი ჴმნაში არ ჩანდა“²².

„რეალური ობიექტის უპირატესობას რეალური სუბიექტის წინაშე განსაზღვრავს სპეციფიკური მორფოლოგიური პროცესი გარდამავალი ჴმნის უღვლილებაში... გარდამავალი ჴმნის უღვლილება ობიექტის აღნიშვნით იწყება: ეს ასახავს ძველისძველ ვითარებას. შემდეგ თანდათანობით ყურადღება ექცევა სუბიექტსაც, ჩნდება სუბიექტური ფორმები.

²¹ არნ. ჩიქობავა, Проблема эргативной конструкции предложения в языках различных типов (Тезисы докладов), Л., 1964, გვ. 10.

²² არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასიკატეგორია და ჴმნის უღვლილება: ჴოგი საკითხი ძველ ქართულში, იყი, V, 1953, გვ. 59.

ობიექტური უღვლილება გარდამავალ ზმნებში ისევე ძველია, როგორც სუბიექტური უღვლილება გარდაუვალებში. გარდამავალი ზმნა ჯერ ობიექტის კლასებს აღნიშნავდა (ობიექტურ-კლასოვანი უღვლილება), შემდეგ კი — ობიექტის კლასების გარდა — სუბიექტის პირს: კლასოვანი-პიროვანი უღვლილება ობიექტურ-სუბიექტურია²³.

აქვე უნდა მოვიგონოთ ის გარემოებაც, რომ აფხაზური ენის გარდამავალი ზმნის აბსოლუტივებში დღესაც ჩვეულებრივ გამოხატულია ობიექტი, მაგრამ არ ჩანს სუბიექტის ნიშანი.

აღსანიშნავია, ავრეთვე. რომ ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, მაგალითად, ხუნძურში, ერთი პირის (კლასის) მქონე გარდამავალი ზმნის პირი დღესაც ობიექტის პირია და არა სუბიექტისა²⁴.

აქედან გამომდინარე საესებით გასაგებია, რომ იმ პერიოდში, როცა ენაში ოდენ ობიექტური უღვლილება გვექონდა, პირდაპირი ობიექტი გარდამავალი ზმნის მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებათა ცენტრში ყოფილიყო მოქცეული, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ზმნასთან თვისებრივ (resp. ვრამატიკულ) სიახლოვესთან ერთად ფიზიკურადაც (ადგილის მიხედვითაც) აღმოჩენილიყო ახლოს.

თანამედროვე ქართულშიც გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის წონა საესებით ნათელია როგორც მორფოლოგიაში, ისე სინტაქსშიც.

ასე წარმოგვიდგება საკითხი თავის დიქციონარულსა და სინქრონიულ ქრილში. ეს კი, ვფიქრობთ, გასაგებს ხდის იმ მიდრეკილებას ობიექტისას — იყოს წინადადებაში ზმნის უშუალო სიახლოვეში²⁵, რასაც ამჟამადაც აქვს ადგილი აფხაზურსა და ქართულში და რიგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში²⁶.

ამგვარად, გარდამავალი (ფინიტური) ზმნის შემცველ აფხაზურ წინადადებაში გვაქვს იგივე ვითარება, რაც ქართულშია წარმოდგენილი: ობიექტი კონტაქტურად ან მინიმალური დისტანციით ამყარებს სინტაქსურ კავშირს ზმნასთან.

²³ არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, თბ., 1961, გვ. 127.

²⁴ იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმგის მოამბე, XII, თბ., 1942.

²⁵ შემთხვევითი არაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში წინადადების ამ წევრს ხშირად უახლოვებს ობიექტს ეძახიან.

²⁶ შლრ. ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იყე, XIII, თბილისი, 1962, გვ. 121.

აქამდე საუბარი პირდაპირი ობიექტის პრეპოზიციას ეხებოდა.

საგულისხმოა, რომ იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როცა პირდაპირი ობიექტი პოსტპოზიციურადაა წარმოდგენილი, იგი ცდილობს ისევ კონტაქტურ ურთიერთობაში იყოს წინამავალ ზმნასთან, მაგალითად: ჟაჟეჟია ხაჯაჯა ხარაზნაკალა ირხიეგტ აჭატო (ლ. 241) „შავკაცა ხაჯამ უცებ მოამზალა საქმელი“.

ჩვენ შევეხეთ სუბიექტ-ობიექტის რიგს ორპირიანი გარდა-მავალი ზმნის შემცველ წინადადებაში. აღმოჩნდა, რომ სუბი-ექტს ჩვეულებრივ მოსდევს (კონტაქტურად ან დისტანციურად) პირდაპირი ობიექტი. ესაა ნორმა, მაგრამ იგი ყოველთვის მტი-ცედ არაა გატარებული. ხშირად ეს წყობა დარღვეულია და გვაქვს შებრუნებული რიგი: ჯერ პირდაპირი ობიექტი, შემდეგ — სუბიექტი. ჰარბობს მათი კონტაქტური განლაგება წინადადება-ში, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს: სუბიექტ-ობიექტის ბუნებ-რივი (resp. ტრადიციული) რიგის დარღვევისას ისედაც ძნელდება მათი, როგორც გაუფორმებელი სახელების, ერთმანეთისაგან გარჩევა. კონტაქტურობა, როგორც ჩანს, ერთგვარად ხელს უწყობს ამ უხერხუ-ლობის შენელებას.

ამგვარად, გვაქვს:

ა) პრეპოზიციულ-კონტაქტური ობიექტ-სუბიექტი:

ართ ხაჯაჯა იბონ (ლ. 244) „ამათ ხაჯაჯა ხედავდა“;

აძღაბ ხარა ღეზგოგტ (ლ. 318) „გოგოს მე წავიყვან“;

ახიგქქიო აღგაჟიო ათაკიჟიო ირააძიეტ (ლ. 325) „ბავშვება ბერიკაცმა და დედაბერმა აღზარდეს“;

ტატხანა ბერკ დააძონ (ლ. 328) „ტატიანას ბერი ზრდიდა“;

არი დაშცია ზგმძღეს იყარწან... (ლ. 233) „ეს მისმა (მამაკ.)

ძმებმა სამარცხვინოდ (=სამარცხვინო საქმედ) გაიხადეს რა (ამ საქმისა შერცხვათ რა)...“

აკამბაშ აზრა ხარზენ... (ლ. 182) „კამეჩი მზემ გაახურა რა...“

არი აჭ გიოთეხას იშოთახგეტ (ლ. 239) „ეს ბატონმა დარდალ გაიხადა“;

არი აგიაში აღაჟცია რეხჯკგ... ირზარტჟამგტ (ლ. 234) „ამ ქიშკარს სამივე დევი ვერ აღებდა“;

რეჟინჯქია ჯბა აზგაქია ირჭეგტ (გ. II, 51) „მათი ორივე მეწ-ველი ძროხა მგლებმა შეჭამეს“;

არი აშ იწეგხგეტ (გ. II, 112) „ეს ბატონმა ამოხსნა (გამთარ-კვია)“;

აუთჯექია ხაჯაჯა ახ ფას ღყაფუეტ (ლ. 249) „შ-გკაცა ხაჯა-
ჯა ბატონმა შვილად გაიხადა (=იშვილა)“;

ა ძ ლ ა ბ გ ო ჯ ა რ ა ღ გ გ ე ე ტ (ლ. 80) „გოგოც მან წაიყვანა“;

ა რ ა შ ა ბ გ ა მ ა ჭ ა ა ბ ტ (ლ. 96) „რაში მგელმა შეკამოს“;

ზ ე გ ო გ ა გ ი ღ ლ შ ა ბ მ ა ჭ ო ნ (ლ. 30) „ყველას გველუშაში ქამლა“...

ბ) პრეპოზიციულ-დისტანციური ობიექტ-სუბიექტი: ახლობელი
დისტანცია²⁷:

ს ჩ ხ გ რ გ ე ე ტ უ რ თ ა ბ რ ა გ ო ც ი ა (გ. II, 45) „ჩემი ცხენი წაიყვანეს
იმ ყარაღებმა“;

ტ ა ტ ჰ ა ნ ა ღ დ ა ა ძ ე ბ ტ ა ბ ე რ (ლ. 338) „ტატინა აღზარდა ბერმა“;

ე მ ჰ რ ა ა კ ო გ ო ჯ ო ძ ო რ გ ე ე ტ ა ჰ ი მ ა ჰ ი ც ი ა ბ ზ ი ა ქ ი ა ჯ გ ა (ლ. 268) „სა-
ხელი უფრო წაილა (=თავი ისახელა) ბატონის ორმა კარგმა სიძემ“;

ა ყ ი ა რ გ ლ ქ ი ა ი ზ ნ ა რ გ ო ნ ა უ ი ლ ა რ (გ. II, 289) „ხალხს ყვერუ-
ლები მიჰყავდა (მისთვის, აღ.)“;

ა წ ა ბ გ რ გ ი ზ ი ო ა ტ გ ი რ გ ი ა ღ ლ (გ. II, 299) „მართალს ამბობს გრი-
გოლი...“

გ) იშვიათად გვაქვს პოსტპოზიციურ-კონტაქტური ობიექტ-სუბი-
ექტიც: აბას იყეეტ ან ხ ა ც ი ა ა ჰ ყ ი ა ნ ჯ ა რ გ ო ნ გ ო შ ი (გ. II, 304) „ასე
შოატყუა გლეხები ცბიერმა ხუცესმა“.

როგორც ვხედავთ, შებრუნებული რიგი: ობიექტ-სუბიექტი —
არცთუ უჩვეულოა აფხაზურისათვის. მას საკმაო გავრცელება აქვს.

მაგრამ თითქოს მოსალოდნელი კი იყო ენას სახელთა უბრუნვე-
ლობის გამო გაცილებით უფრო შეეზღუდა ეს პროცესი, მაგრამ, ვფიქ-
რობთ, ეს არ მოხდა იმიტომ, რომ:

ა) სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ურთიერთობას აფხაზურ წინა-
დადებაში, როგორც ეს სათანადო ადგილას იყო გარკვეული, პირველ
რიგში ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები განსაზღვრავს, და

ბ) ამ მიზანს ემსახურება, აგრეთვე, კონტექსტი.

ეს — სინქრონიულად.

დიაქრონიულად თუ მივუდგებით, მისთვის ხელი უნდა შეეწყო
გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშნის გაჩენას და ამდენად ზმნის

²⁷ საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივ გვაქვს ახლობელი დისტანცია (შორული
დისტანციის ფაქტები ძალზე იშვიათია). შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ჩვეულებრივ
დისტანციის გამოწვევია ზმნა; ეს უკანასკნელი, თავისი შინაგანი ბუნების გამო,
მდენად არ თიშავს ობიექტ-სუბიექტს, რამდენადაც აკავშირებს მათ სინტაქ-
სურად.


<p>ქართული საბჭოთაო სოციალისტური რესპუბლიკის სტატისტიკის კომიტეტი</p>		<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>					
		<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>	<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>	<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>	<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>	<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>	<p>საბჭოთა თანამშრომლობის კონსტრუქციები</p>
1	პირდაპირი ობიექტი—არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა	885	760	520	822	570	615
2	სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი—არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა	519	285	202	315	195	200
3	პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი—არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა	141	78	79	67	53	114
4	პირდაპირი ობიექტი—არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა — სუბიექტი	77	14	12	12	14	70
5	არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა—პირდაპირი ობიექტი	49	26	18	37	15	99
6	სუბიექტი—არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა — პირდაპირი ობიექტი	35	26	28	14	8	84
7	არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა—სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი	8	2	5	—	—	27
8	არაპირიანი გარდას. ფინტ. ზმნა — პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი	2	—	3	2	—	11

სინტაქსური პოტენციის ზრდას (ამან თავის მხრივ ამის პროპორციულად გაზარდა სიტყვათა რიგის სტილისტიკურ-გამომხატველობითა ფუნქცია)²⁸.

ამ მხრივ საგულაახმო სურათს იძლევა სათანადო მასალების სტატისტიკური ანალიზი²⁹.


* * *

სამპირიანი (გარდამავალი) ზმნის შემცველ წინადადებაში გარკვეული ცვლილება შემოაქვს ირიბ ობიექტს. აქაც სიტყვათა რიგი არ ემთხვევა ზმნაში წარმოდგენილ აფიქსთა ადგილმდებარეობას, წინადადებაში ჩვეულებრივ გვაქვს რიგი: სუბიექტი — ირიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — ზმნა; ზმნაში კი პირველ ადგილას დგას პირდაპირი ობიექტის ნიშანი, მეორე ადგილას — ირიბი ობიექტის და მესამე ადგილას — სუბიექტისა:



აძიგნთქარ ათაჰმდა ადგრა (ი) — ი — ი — თეჲტ³⁰ (ლ. 346), ხელმწიფემ ბერიკაცს ცნობა მისცა“; აბერ ლაშა ადგრა| იითეჲტ (ლ. 328) „ბერმა მის (დედაკ.) ძმას ცნობა მისცა“; აბგახიჲკჳ ზგმკეჲრასა აპრა დღჳ ინათეჲტ (ლ. 278) „ტურამ ხიმყურასას დიდი სამფლობელო მისცა“.

აქ მოცემული ვითარება ფორმულის სახით რომ გამოვხატოთ. გვექნება:



²⁸ იხ. ქვემოთ.


²⁹ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 4.

³⁰ ტექსტებში საერთოდ იშვიათია მაგალითები, როცა წინადადებაში სამივე წევრია (სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი) წარმოდგენილი; ჩვეულებრივ გამოტოვებულია ერთ-ერთი მათგანი, არცთუ იშვიათად — ორი წევრიც კი, რაც აფხაზური ზმნის თავისებურებითაა შეპირობებული.


ამაზე ყურადღებას ამახვილებენ: ა) აბაზურში — ა. გენკო (იხ. А. Н. Генко, Абазинский язык, М., 1955, გვ. 193), ბ) აღიდღურში — ზ. კერაშევა (იხ. З. И. Керашева, Основные синтаксические функции финитных и инфинитных глаголов в адыгских языках, Майкоп, 1968, გვ. 13).

ე. ი. გვაჭქეს, ვ. ალენის ტერმინი რომ ვინმართ, „სარკისებური“ შეთანხმება²¹. მაგრამ საგულისხმოა, რომ ამგვარ ზმნათაგან პოტენცი-ლისისა და უნებურობის კატეგორიების წარმოებისას ეს მოდელი ირ-ღვევა და ვლებულობთ ე. წ. „შერეული“ სახის შეთანხმებას²², რაც იმითაა გამოწვეული, რომ პოტენცილისისა და უნებურობის კატეგო-რიების წარმოებისას აფხაზურ-აბაზურ სამპირიან გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშანი მესამე ადგილიდან მეორეზე გადმოინაცვლებს²³, მაგალითად: სარა ჭარა აშიყიგ სგზუთომ „მე შენ (მამაქ.) წიგნს ვერ მოგცემ“, სარა ჭარა ათიბეჟ ჰიგც სგზუაჰიომ „მე შენ (მამაქ.) ახალ ამბავს ვერ გეტყვი“, სარა ჭარა აშიყიგ სამხაჟეთეიტ „მე შენ (მამაქ.) წიგნი უნებურად (უნებლიედ) მოგეცო“, სარა ჭარა ათიბეჟ ჰიგც სამხაჟიჟეიტ²⁴ „მე შენ (მამაქ.) ახალი ამბავი უნებურად (უნებლიედ) გითხარი“:

ა) პოტენცილისის ფორმახთან.



ბ) უნებურობის ფორმახთან.



²¹ იხ. ზემოთ.

²² კაუზატივისა და ქვევის კატეგორიებს ამ მხრივ საერთო წესში არაერთი არაერთი ცვლილება არ შეაქვთ.

²³ იხ. ქ. ლომთათიძე, პოტენცილისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, საჭ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 3, გვ. 251—253.

²⁴ იმის გამო, რომ ტექსტებში არ დადასტურდა სამწვეროვანი კომბინაციები, ინფორმაცია ჩვეულებრივ ვიზუალურად გამოვლინდა ათარა და იპიარა ზმნების პოტენცილისისა და უნებურობის ფორმებისათვის შეეწყო სათანადო კომპონენტები; მან სუბიექტ-ობიექტთა აქ წარმოდგენილი თანამიმდევრობა დავეიმოწმა.

²⁵ რაც შეეხება ორპირიან გარდაუვალ და გარდამავალ ზმნების პოტენცილისის (re:p. უნებურობის) ფორმებს, აქ ჩვეულებრივი, ჩვენთვის უკვე ცნობილი, ვთ-

როგორც ვხედავთ, ორსავე შემთხვევაში (ჩვეულებრივ წარმოებებსა, ერთის მხრივ, და, პოტენციალისისა და უნებურობის ფორმებთან, მეორე მხრივ) წინადადებაში სუბიექტ-ობიექტთა თანამიმდევრობა ერთნაირია (სუბიექტი—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი), პირის ნიშანთა კი—სხვადასხვაგვარი (პირველ შემთხვევაში: პირდაპირი ობიექტის ნიშანი—ირიბი ობიექტის ნიშანი—სუბიექტის ნიშანი; მეორეში: პირდაპირი ობიექტის ნიშანი—სუბიექტის ნიშანი—ირიბი ობიექტის ნიშანი).

პირდაპირი ობიექტი კონსტრუქციად, რომელშიც სამპირიანი გარდამავალი ზმნა მონაწილეობს, ისევე როგორც ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში, ზმნასთან სიახლოვეს რჩეობს კონტაქტურად ან მინიმალური დისტანციით.

სხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს ირიბი ობიექტი. საკვლევი ტიპის წინადადებაში მისი ადგილი მეტად მოძრავია. უფრო ხშირად კი იგი პრეპოზიციულ-დისტანციურ მიმართებაშია ზმნასთან (ზმნისაგან მას თიშავს სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ვითარების გარემოება, ანდა რამდენიმე ამათვანი ერთდროულად):

ა) ირიბი ობიექტი ზმნისაგან გათიშულია ორი წევრით (სუბიექტითა და პირდაპირი ობიექტით) ერთდროულად: იმაჰი ადაჟგჯ დაარა პატჟჟ იქიფჟჟეჟტ (ლ. 210) „თავის სიძეს დევმაც დიდი პატივი დასდო“ (პატივი სცა); ა და ჟჟცა არი რჟბლა ფნაწიჟეჟტ (ლ. 230) „ღვეებს ამან წელი მოსწყვიტა (=საგონებელში ჩააგდო)“;

ბ) ირიბ ობიექტსა და ზმნას შორის მოქცეულია პირდაპირი ობიექტი: აჰიფნთჟარ ათაჰჰი ადა ადგრა იითჟეჟტ (ლ. 346) „ხელმწიფემ ბერიკაცს ცნობა მისცა“; გ) ირიბ ობიექტს ზმნისაგან თიშავს ვითარების გარემოება: აფნჟჟი აძლაბ უს ლეჰჰიჟეჟტ (ლ. 91) „ღვემა გოგოს ასე უთხრა“; აჰი ფჟა ითა აცაა უს ნარეჰჰიჟეჟტ (ლ. 246) „უფლისწულმა თავის ცოლ-შვილს ასე უთხრა“; ჩანაჟ ართ აფჰბაცაა რაშა აჰჰაბჟ უს მარჰიჟეჟტ (ლ. 283) „ერთხელ ამ უმცროსებმა თავიანთ უფროს ძმას ასე უთხრეს“; დ) ირიბი ობიექტი შეიძლება იდგეს ზმნის შემდეგ: აჟილარ ადგრა ირთჟეჟტ ბაგდაჟჟი (ლ. 328) „ხალხმა ცნო-

რება შენარჩუნებული: ა) გარდაუვალ ზმნასთან: წინადადებაშიცა და ზმნაშიც გვაქვს თანამიმდევრობა: სუბიექტი — ირიბი ობიექტი, მაგალითად: სარა ჟარა სგზ-ჟგ-შთალომ „მე შენ (მამაკ.) ვერ გამოგედევნები“, შდრ. სარა ჟარა სგ-ჟგ-შთალომ „მე შენ (მამაკ.) არ გამოგედევნები“, ბ) გარდამავალი ზმნის ფუძისად მიღებულ გარდაუვალ ზმნასთან: წინადადებაში: ირიბი ობიექტი—სუბიექტი, ზმნაში: სუბიექტის ნიშანი—ირიბი ობიექტის ნიშანი: პარა არი... დ-ჰაზ-თამგრხეჟტ (ლ. 189) „ჩვენ ეს (აღ.) ვერ დავლუპეთ“ (შდრ. პარა არი დთაპარხეჟტ „ჩვენ ეს (აღ.) დავლუპეთ“.

ბა მისცა ბავდაყვს“; ამაშცა შარდაკ ჰათერ იქიგრწომგზტ რაშა (ლ. 256) „ძმები მიანცდაშინც პატიეს არ სცემდნენ თავიანთ ძმას“.

თუ წინადადებას ზმნა იწყებს, შემდგომი ადგილები ჩვეულებრივ ასე ნაწილდება: სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი—ირიბი ობიექტი: იღვარწახგეტ აპ აშაბგსთა ზში იმაწუცთა (ლ. 274) „შეანახვინა ბატონმა ირმის რძე თავის მსახურთ“.

საყურადღებოა, რომ ირიბი ობიექტი ხანდახან შეიძლება იღვეს დროის გარემოების წინაც, რომლისთვისაც, როგორც ვიცით, დამახასიათებელია მთელი წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციის (ან აბსოლუტურ პოსტპოზიციის) დგომა, მაგალითად: დალაა რხოაჯა აშგეჟისან ზეგზ, თძე ცფხზაძა, ყაბგე-ყაბგე ირთარ აგოგნ (გ. II, 305) „დალელთა მოლასთვის იმ წელს ყველას, ყოველ ოჯახს, თითო გოგრა უნდა მიეცა“.

რა იწვევს ირიბი ობიექტის პოზიციის შედარებით ლაბილურ ხასიათს?

თავიანთი მორფოლოგიურ-სინტაქსური როლით პირდაპირი და ირიბი ობიექტი პრინციპში ერთმანეთს უპირისპირდებიან. ამ დაპირისპირებამ კი, უნდა ვიფიქროთ, თავის მხრივ შეაპირობა მათი ერთგვარი დაპირისპირებულობა წინადადებაში ადგილის მხრივაც. ამ მოსახრებებს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ აფხაზურ წინადადებაში, სადაც ირიბ ობიექტს „მეტოქე“ არა ჰყავს, ამ უკანასკნელის ადგილი გაცილებით უფრო სტაბილურია, და იგი ზმნასთანაც ადგილის მხრივ მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, მაგალითად: ღარა იჭკოგნ ხიგჟღ დახხიმარჟან (ლ. 249) „იგი თავის პატარა ბიჭს ეთამაშებოდა“; ტატჰანა აღოჟცთა დრაჰიშანგეტ (ლ. 334) „ტატინა დევებს დად გადაეჭცა“; ჯალამათ ასტოლ დაახგწენ... (ზ. 20) „ჯალამათი მაგიდას მოსცილდა რა...“ ანჩალნიც აჯგჯაგგ დნარჯხათაფშენ... (გ. II, 299) „უფროსმა ორივეს შეხედა რა...“ ხიაჟიარჟეს ნარჯხოჟ დეჯახსენ... (ლ. 44) „ხვაჟვარდისმა ნარჯხიოუს ესროლა რა...“ ჟგჰ ხვეშცთა აღოჟცთა დრაჰიშან (ლ. 335) „იგი სამ ძმა დღეს დობდა (=სამი ძმა-დევის და იყო)“; კამაჟიჟი თათლასთან ღგატეგეტ (გ. II, 212) „კამაჟიჟი თათლასთანს გაჰყვა ცოლად“; აპ დრაზწააგტ აჟილარ (ლ. 275) „ბატონი შეეკითხა ხალხს“ და სხვ.

ამგვარად, სამპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში წარმოდგენილი სიტყვათა რიგი სქემის სახით რომ გამოვხატოთ, მივიღებთ:

ა) თუ წინადადება ოთხწევრიანია:

(სუბიექტი (I) + ირიბი ობიექტი (II) + პირდაპირი ობიექტი (III) + ზმნა (IV): (აშენთჟარ ათაჰმადა აღგრა იითეგტ (ლ. 346) „ხელმწიფე

ბერიკაცს ცნობა მისცა“) || ირიბი ობიექტი (I) + სუბიექტი (II) + პირდაპირი ობიექტი (III) + ზმნა (IV) (იმაპი ადაუგგ... პატგუ... იქიგაწუგტ, ახა ალგქსა ღზგშთაზ, არი ადაუგგ... იზგმღრტ (ლ. 210) „თავის სიქს ღვემაც დიდი პატივი დასდო, მაგრამ ალექსის რა უნდოდა, ეს ღვემაც ვერ გაიგო“);

ბ) თუ წინადადება გართულებულია საგარემოებო სიტყვებით:

ღროის გარემოება (I) + სუბიექტი (II) + ირიბი ობიექტი (III) + პირდაპირი ობიექტი (IV) + ზმნა (V) (აპიგნთქარ ღაზრანხეგტ; ეზგაგეტ ჟუააქილარ, ირგლეაპიგეტ ათაპმადა ეგაპიაზ, ახა ღარბანზაალაკ აძიგ იზგმგიალ გეტ. აღგრუაჩინგ, აშგეგმთან, აპიგნთქარ ათაპმადა აღგრრა იითგეტ აძიგ... იზგაზგმგიალ გზ (ლ. 346) „ხელმწიფე დათანხმდა; შეაგროვა თავისი ხალხი, გამოუცხადა, რაც ბერიკაცმა უთხრა, მაგრამ ვერაქინ გაბედა. მეორე ღღეს, დილით, ხელმწიფემ ბერიკაცს ცნობა მისცა, რომ ვერაქინ გაბედა“;

გ) თუ წინადადებას ზმნა იწყებს:

ზმნა (I) + სუბიექტი (II) + პირდაპირი ობიექტი (III) + ირიბი ობიექტი (IV) (იღგარწიანგეტ აპ „აშაბგსთა ზში“ იმაწუცია. ნას აპ გიგელგხნა დააღტან ღგრუგგ... უს ღაზწააგტ: ჟარა აღუნეა აპიგ უზგციშიაზზე... გიგელგხნა უს იპიგეტ: სარა აღუნეა აპიგ სგზგციშიო აკგ ჯუაქამ..., სარა სგზგციშიო აბზ ბააფსოჟპ ჰია ეგაპიგეტ (ლ. 274) „შეანახვინა ბატონმა ირმის რქე მსახურთ. შემღგე ბატონმა გულთმისანი მოიხმორა, კვლავ ასე შეეკოთხა: შენ (მამაკ.) ამქვეყნად რისი გეშინია? გულთმისანმა ასე თქვა: მე ამქვეყნად არაფრის მეშინია; რისიც მეშინია, ეს—მწარე (ცული) ენააო“).

ჩვეულებრივი წყობის (სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი)-ღარღვევის შემთხვევებს, ცხადია, აქაც აქვს აღგილი.

შეგვიძლია თვალი მიგადეგნოთ სათანადო სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ზემოთქმულის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს³⁶.

სათანადო მასალის საშუალებით ღავრწმუნღით, რომ ფინიტური კონსტრუქციის თხრობით არასტილიზებულ წინადადებაში სუბიექტს ძირითადად პირველი აღგილი უქირავს³⁷; ესაა ნორმატიული ვითარება.

³⁶ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 5.

³⁷ „ძირითადად“ იმიტომ ვამბობთ, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის არამართო აფხაზურში და მის მონათესავე ენებში (იხ. ზემოთ), არამედ მთელ რაგ სხვა ენებშიც.

წვერთა თანამიმდევრობა კონსტრუქტაში

ტაბულა 5
კონსტრუქციის სიბრტე

	3	4	5	6	7	8
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						

სს სს

1	2	3	4	5	6	7	8
16	ირ. თბ.—პირდ. თბ.—სუბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა . . .	3	1	—	1	—	1
17	პირდ. თბ.—სუბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა	3	6	10	7	3	16
18	პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ.	5	—	3	2	7	11
19	სუბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ. . .	8	6	6	1	3	22
20	თრ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ.	7	6	5	1	1	17
21	პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—თრ. თბ.	3	2	4	3	2	16
22	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—თრ. თბ.—პირდ. თბ. . .	1	—	—	—	—	5
23	სუბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—თრ. თბ.	4	4	—	—	6	—
24	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ.—პირდ. თბ.—თრ. თბ.	—	1	—	3	—	—
25	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ.	16	—	6	5	6	—
26	თრ. თბ.—პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ. . .	7	1	—	—	1	—
27	სუბ.—პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—თრ. თბ.	5	4	7	6	—	—
28	თრ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ.	—	—	—	—	—	—
29	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა — სუბ.—პირდამ. თბ. — . . .	—	—	—	—	—	—
30	სუბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ.—თრ. თბ.	—	—	—	—	—	—
31	პირდ. თბ.—სუბ. სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—თრ. თბ.	—	—	—	—	—	—
32	პირდ. თბ.—თრ. თბ.—სუბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა	—	—	—	—	—	—
33	პირდ. თბ.—თრ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ.—პირდ. თბ.	—	—	—	—	—	—
34	თრ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ.—პირდ. თბ. . .	—	—	—	—	—	—
35	თრ. თბ.—სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ.—სუბ.	—	—	—	—	—	—
36	სამშ.თრ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—თრ. თბ.—სუბ.—პირდ. თბ. . .	—	—	—	—	—	—
37	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—სუბ.—თრ. თბ.—პირდ. თბ.	—	—	—	—	—	—
38	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა — სუბ.—პირდ. თბ.—თრ. თბ.	—	—	—	—	—	—
39	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ.—სუბ. . .	—	—	—	—	—	—
40	სამშ. გარდამ. ფინიტ. ზმნა—პირდ. თბ.—თრ. თბ. . .	—	—	—	—	—	—

პოულობს ენათმეცნიერების კავშირი ლოგიკასთან, და ჩვენს ყურადღებას ამახვილებს ექსტრალინგვისტური მონაცემების გათვალისწინების აუცილებლობაზე ენათმეცნიერული კვლევის გარკვეულ ასპექტში.

რაც შეეხება თვით ზმნის—აფხაზური წინადადების ძირითადი ლერძის — ადგილს, მას შეიძლება შევხებოდით ზემოთ წარმოდგენილ წინადადებათა ცალკეულ სახეებისა და მიხედვით, მაგრამ ასე შეგნებულად არ მოვიქცეთ იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ არის: ყველა ფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში ზმნას მიდრეკილება აქვს—ბოლოკიდური ადგილი დაიჭიროს⁴⁰, თუმცა იშვიათი არაა ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც⁴¹.

* * *

განსაკუთრებულად დგას აფხაზურ წინადადებაში მიზეზისა და მიზნის გარემოებათა ადგილის საკითხი.

მიზეზის გარემოება, რომელსაც ჩვეულებრივ აყნგტი, აწჯხაილა (გამო), აზგ (-თვის) თანდებულაანი სახელები (არსებითი, ნაცვალსახელი) თანმხლები სიტყვებითურთ გადმოსცემს, ზმნასთან (ფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში) ძირითადად პრეპოზიციულ (კონტაქტურ ან დისტანციურ) მიმართებაშია. დანარჩენი წევრების (სუბიექტის, ობიექტების, სხვა გარემოებების) მიმართ კი მას ლაბილური პოზიცია უჭირავს: შეიძლება წინ უძღოდეს ან მოსდევდეს მათ: ეაჰარაკ აბრი აძგხ აზგ მაცარა იღგრგლეჯტ კოლხაა უბრი აქალაქ (გ. II, 151) „უფრო ამ წყაროს გამო ააშენეს კოლხებმა ეს ქალაქი“; უბრი აყნგტი... ჰშეჰიოჯტ (გ. II, 172) „ამიტომ (ამის გამო) გთხოვთ“; შეჰისჯჱ ხარჩ-

⁴⁰ ამის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი გვაქვს ქვემოთ.

⁴¹ რაც შეეხება იმას, თუ რატომ ენიჭება უპარატესობა მოცემულ შემთხვევაში სუბიექტის პირველი ადგილისათვის ლოგიკურ და არა გრამატიკულ ფაქტორს, ეს ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხთა სფეროს განვეუთვნება და მას აქ არ გამოვეუდგებით. ზოგად წარმოდგენას კი ამ საკითხზე მოგვცემს რ. ბუდაგოვის შემდეგი სიტყვები: „აღმაიანის შემეცნებითი აზრი (познающая мысль), — წერს ავტორი, — უპირველესად ყოვლისა მიმართულია საგნისადმი, რომელაც გამოხატულია ტერმინით S (მსჯელობის სუბიექტი), მსჯელობის პრედიკატი კი (P) გადმოსცემს საგნის განსაზღვრულ თვისებებს. ამ ფორმულას საფუძვლად უდევს მატერიალისტური რწმენა, რომლის მიხედვითაც ჩვენი შემეცნება საგნობრივ ხასიათს ატარებს“ (P. A. Будагов, К критике релятивистических теорий слова, წიგნი: „Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике“, М., 1961, გვ. 8).

ლაა რეჟის აწეხილა... სარგჯ სერგეატ (გ. II, 174) „ერთ წელს ხარხილავების საქმის გამო მეც წამიყვანეს“.

უფრო ხშირად კი მიზეზის გარემოებას ზ ნაცვალსახელოვანი ან საგარემოებო -(ა)ზ აფიქსით ნაწარმოები ინფინიტური ზმნა გადმოსცემს, მაგალითად: ა) უბერთ ასასცია-აბრაგცია ჰაუნგ დახააზგა აჩო ახ-ა-ჰციფერგაზგა რუჰიან აუბ ბაბ ინაპგ ჰაჰიანგ დზერგაზ (გ. II, 49) „ეგ ყაჩაღები ჩვენს სახლში მოვიდნენ (და) ცხენი რომ წავგართვეს, ამიტომა მამაშენიც ხელშეკრული (ხელი შეუკრეს რა) წამიყვანეს“; უბრი ახოუბ ზეგ შიაფხა აჟაჰიარა სზალაგა (გ. II, 207) „ამიტომა, რომ თქვენზე (ყველა თქვენზე) აღრე დავიწყე სიტყვის თქმა“; ბ) ჰარა არახი ხერხიავას იშაჰამოუ ედფშე უბას ხერხიავას დახრგმოუ აზგ უბართ ახგლადშაცია ირალოუ აძი აოტუბ (გ. II, 122) „ჩვენ საქონელი ჩვენდა საშველად (=თავის სარჩენად) რომ გვყავს, ასე თავისდა საშველად იმათაც რომ ჰყავთ, ამიტომ მტრობს (იგი, ად.) უფროსებს“.

რაც შეეხება მიზნის გარემოებას, მას აფხაზურში ჩვეულებრივ ზმნათა გარკვეული ინფინიტური წარმოება, კერძოდ, პირობითი კილოს ფორმა, გადმოსცემს, იშვიათად—მასდარიც.

წინადადებაში მიზნის გარემოება ინტერპოზიციასა და აბსოლუტურ პოსტპოზიციას რჩეობს⁴²:

ა) მიზნის გარემოებას გადმოსცემს ზმნის პირობითი კილოს ფორმა: აფშიმა სააშთოგატ უვიზიტტი კარტორჰა სგჟთარაზგ (გ. II, 296) „მასპინძელმა გამომავაზენა, რომ შენი სავიზიტო ბარათი მომცე“; სასრგყია დდეჟილოგატ აგიგლშაბ იშრაიც (ლ. 30) „სასრიყვა მიდის გველშაბის მოსაკლავად“; აჩოცია დიჟჰიგრწეგატ ეგჯრთ დაშცია რგფშააარაზგ (ლ. 52) „ცხენოსნები გავაზენეს დანარჩენ ძმათა მოსაძებნად“; ნგწტი აჰ დგაფხეგატ არატი აჰ დაბაშრაზგ (ლ. 253) „გადამელმა ბატონმა გადმოღმელი ბატონი გამოიწვია საომრად“; კარში დგზგოზ არფაცია ჯემშე რაყარა ინგყიანანგ შგბუნე წიშგრა ბზიაც აჰიგ ილჩაჟიწეგატ რგფსგრაშარაზგ (ლ. 383) „ყმაწვილები, რომელთაც ბუში მიჰყავდათ, ორი დღის მგზავრობის შემდეგ, შუადღისას, ერთ კარგ ჩრდილთან (ცხენიდან) ჩამოხდნენ დასასვენებლად“...

ბ) მიზნის გარემოება მასდარითაა გადმოცემული: აბლაჰაჰია აყიყა დცეგატ პატრეთ თგხრა (გ. II, 296) „სწრაფად სოხუმში წავიდა სურათის გადასაღებად“; შგქისგ ზნგ კავაზტი ანამესტნიკ იპომოშნიკ

⁴² ამ თვალსაზრისით ი. პაპასკირის „თემარის“ (ი. პაპასკერ, თემარ, აყია, 1939; გვ.1—311) სტატისტიკურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მიზნის გარემოებად გამოყენებული ზმნის მიზან-პირობითი კილოს ფორმა წინადადების ინტერპოზიციას გვხვდება 77-ჯერ, აბსოლუტურ პოსტპოზიციას კი—63-ჯერ.

ვატაციი დნეატ ვაგრა პრინც ოლდენბურგსკი იჰეგ სასრა (გ. II, 300) „ერთხელ კავკასიის ნაცვლის თანამემწე ვატაცი პრინც ოლდენბურგსკისთან მივიდა სტუმრად ვაგრაში“.

20	სუბ. — ირ. ობ. — პირდ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	2	1	—	—	—	—
21	ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა — პირდ. ობ.	2	—	—	—	—	—
22	ირ. ობ. — სუბ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	1	—	—	—	—	—
23	პირდ. ობ. — სუბ. — ირ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	1	—	—	—	—	—
24	ირ. ობ. — სუბ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა — პირდ. ობ.	1	—	—	—	—	—
25	პირდ. ობ. — სუბ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	1	—	—	—	—	—
26	პირდ. ობ. — ირ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა — სუბ.	1	—	—	—	—	—
27	პირდ. ობ. — ირ. ობ. — სუბ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	1	—	—	—	—	—
28	პირდ. ობ. — ირ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	1	1	—	—	—	—
29	პირდ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა — ირ. ობ.	—	—	—	—	—	—
30	სუბ. — ირ. ობ. — პირდ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	—	—	—	—	—	—
31	სუბ. — სამხ. გარდამ. ინფინიტ. ზმნა — პირდ. ობ.	—	—	—	—	—	2
32	პირდ. ობ. — სუბ. — ირ. ობ. — სამხ. გარდამ. ინფინიტ. ზმნა	—	—	—	—	—	1
33	ირ. ობ. — სამხ. გარდამ. ინფინიტ. ზმნა — სუბ. — პირდ. ობ.	—	—	—	—	—	2
34	სამხ. ინფინიტ. გარდამ. ზმნა — პირდ. ობ.	—	—	—	—	—	1
35	პირდ. ობ. — სამხ. გარდამ. ინფინიტ. ზმნა — სუბ.	—	—	—	—	—	1
36	სუბ. — ირ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა	—	—	—	—	—	1
37	სუბ. — ირ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა — პირდ. ობ.	—	—	—	—	—	1
38	პირდ. ობ. — ი ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამხ. გარდამ. ზმნა — სუბ.	—	—	—	1	—	—

მარჯვ ღვინე | ღრგშთალტ (ლ. 136) „ისიც (აღ.) სირბილით გამოედენა მათ“;

აჭარბათი ფერნე | იცეატ (ლ. 151) „არწივი ფრენით წაეიდა“;

ხუნდგვი ღვჩმაზავაყენე | ახიეშითიერთა აზნე აქიე ღვშთოქტ (თ. 56) „ხინდივეი გაჭირვებული (მძიმე) ავადმყოფია რა (მძიმე ავადმყოფად) საავადმყოფოში წვეს“;

თორყან დააცკანე | აზნე დააან... (გ. II, 7) „თორყანი აჩქარებით შინ მოვიდა რა“...“

ამხსაქია აზნე ინდიგლწნე ინალფგლან... (გ. II, 23) „ქალები სახლიდან გავიდნენ რა, შეხედნენ (მას, დედაკ.)“;

ფშემშე-ხიემშე რულა აჩგმაზავ ლშოთრა ტიო | ეაჰა დედალწო დალაგეატ (გ. II, 34) „ოთხ-ხუთ დღეში ავადმყოფს სიცხემ უკლო რა, გამოკეთება დაიწყო“.

ვითარება არ იცვლება, თუ ერთპირიანი ზმნის აბსოლუტივს ისევე აბსოლუტივი მოსდევს. მნიშვნელობა არა აქვს იმას—მონოპერსონალური ზმნისაა მომდევნო აბსოლუტივი თუ პოლიპერსონალურისა, გარდაუვალისა თუ ვარდამელოსა, მაგალითად: ყაზგრხან დნაპერყიქვ-შაპერყიქვა ღვგლანე | დხიეცქან აკრაამთა (გ. II, 21,) „ყაზირხანი ხელ-ფეხის ცახცახით იღვა რა, ფიქრობდა კარგა ხანს“; ჯარა ღვქვა დნეანე | ღრგხიაფშოქეატ (გ. II, 41) „იგი (დედაკ.) სირბილით მივიდა რა, უყურებს (მათ)“.

თუ აბსოლუტივს ი ნაცვალსახელოვანაფიქსიანი ინფინიტური ზმნა მოსდევს, სუბიექტი ამ უკანასკნელის შემდეგ გადაინაცვლებს და, მაშასადამე, დამხმარე პრედიკატული ცენტრის საზღვარიც იქითკენ გადაიწევს:

ესმა ლბარაზე აქაზანე იტიაზ ამხსაქია | აადციაყიან... (გ. II, 16) „ქალები, რომლებიც ესმას სანახავად „შეგროვილად“ ისხდნენ, ალაპარაკდნენ რა...“

ამარდაქიე იყააჭა იგგლაზ აჩადა | კაჰაატ „ვირი, რომელიც ფერდობზე ყროყინით იღვა (ყროყინებდა რა, იღვა), წაიქცა“...

მოცემულ შემთხვევაში სუბიექტის გადაადგილება ინფინიტური ზმნის შემდეგ გამოწვეულია იმ ენობრივი ფაქტორით, რაც ამ სახის ზმნისთვისაა დამახასიათებელი.

სუბიექტის პრეპოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცულია იმ შემთხვევაში, როცა აბსოლუტივს საგარემოებოაფიქსიანი ინფინიტური ზმნა მოსდევს:

აჯნეშე დდიგლწნე | დანცა, ჰაჯე სმელ იფა დააღვბან, ზავჯ (sic)

მალიხეც (ლ. 203) „ეშმაკი გარეთ გავიდა რა, როცა წავიდა, მან (დედაკ.) ჰაჭი სმელი მოიხმო რა, ყველაფერი უთხრა“;

ბარ, გგდ დააანჯ | დაბტოჟ (გ. II, 31—32) „აგერ, მოსულა რა, საღ ზის ვილი“;

აღაჟგ იღვრიტ: ივნჯ აჟაა რჩაჟწიანხგ | იშაგყაზ (ლ. 161) „ღევი მიხვდა: მის სახლში ხალხი დამალული (რომ) იყო“;

არ აგიაჟჟა ეხანჯ | იშინეაჟაზ, აჟპიგზბეა აჟკიგენგა ირზააგჟო მანალაგა, აჟპიგზბა უს ლპიხეც (ლ. 141) „ჩარმა გუგუნით გაიწია რა, რომ მოდიოდა, როცა გოგოსა და ბიქს დაუახლოვდა, გოგომ ასე თქვა“.

ბ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნის აბსოლუტივის შემცველ კონსტრუქციაში, იმისდა მიუხედავად, აბსოლუტივის ფინიტური ზმნა მოსდევს თუ ინფინიტური, სუბიექტსა და ირიბ. ობიექტს პრეპოზიცია უქირავთ: სუბიექტი—ირიბი ობიექტი—აბსოლუტივი, მაგალითად: ათაჟჟადა... ეგ გ აცო დეახსნგ | იშინ... (ლ. 147) „ბერიკაცმა მეორე ხარს ესროლა რა, მოკლა“... ლარა | დარა | დგრფგრწგ | დცეც (ლ. 152) „იგი (დედაკ.) მათ! გასცილდა რა, წავიდა“; ესმა... ლხიგჟგ დგლზგფშაჟა დალაგონ⁷⁵ (გ. II, 15) „ესმა... თავის ბავშვს უყურებდა ხოლმე (ყურებას უწყებდა)“; ალბღჯც აწლა იქააშთან | იშააჟაზ სხგ იქიშააზააბ (თ. 26) „თხმელის ფოთოლი ხეს მოსწყდა რა (ხეს მოწყვეტით), თავზე დამეცა (თურმე თავზე დამცემია)“.

სუბიექტ-ირიბი ობიექტის შებრუნებული რიგის (ირიბი ობიექტ-სუბიექტი) მაგალითია: მგრზაყან შოჟგგ იცნგ | აჟგსპიართა დაესგნ, ალმას იჩაგ იწფრააჟა დაქიტთან ანგშინგთრაჟაა შაგყაზ დნეაჟან

⁷⁵ აფხაზურში ალაგარა (დაწყება), აყაზაარა (ყოფნა, არსებობა), აყალარა (გახდობა) ზმნებთან აბსოლუტივი წარმოგვიდგება რა რთული ზმნის შემადგენელ ნაწილად, ქმნის ერთ განუყოფელ სინტაქსურ ერთეულს და ამიტომ ასეთ შემთხვევაში ოგი დამატებით მოქმედებას ვერ გვიჩვენებს. ამიტომ, რომ, როცა აბსოლუტივი დასახელებულ ზმნებს ახლავს, იგი პრედიკატულ ცენტრს ქმნის მხოლოდ და მხოლოდ მათთან ერთად, მათთან სინტაქსურ კავშირში და არა ცალკე, როგორც ეს სხვა შემთხვევებში გვაქვს. ამასთანავე დაკავშირებული, აგრეთვე, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული, სუბიექტის ნიშნის წარმოჩენაც დასახელებულ ზმნებთან სინტაქსურ ურთიერთობაში მყოფი გარდამავალი ზმნის აბსოლუტივებში, მაგალითად: იზგქინაგოზგ იზგქინაგოზგ აშეყე აანგ რწო მალაგეც (გ. II, 145) „ლირ-სულსა და უღირსსაც წიგნში შერბან დაუწყეს“; აპოლიციაცა ნარსგნ დეამგრხხა დგრკენ დგ რგო დაანლაგა, ზგნაჟ აპიპარა დალაგეც (გ. II, 115) „პოლიციამ აშეპოქეთი“ რომ დანპირა (დაქვრა რომ დაუწყით), მთლად ვყირილი მორათო“ (ამის შესახებ იხ. III. K. Аристава, Деепричастие в абхазском языке, Сухуми, 1960, გვ. 36—38).

(თ. 22) „მურზაყანს ვილაკეები ახლდა რა, სოფლის საბჭოს გაუარა (და) ცხენზე ამპარტაგენად ჯდომით (უკვე) სასაფლაოს მიმართულებით მიდიოდა“⁷⁶.

გ) გარდამავალი ზმნების აბსოლუტივებში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ წარმოდგენილი არ არის სუბიექტის ნიშანი⁷⁷, რაც შეაპირობებს სიტყვათა რიგის შედარებითს სიმტკიცეს კონსტრუქციებში, რომლებსაც ისინი ქმნიან⁷⁸. სიტყვათა რიგის შედარებითი მყარობა კი (აბსოლუტივების შემცველ კონსტრუქციებში) თავის მხრივ ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ზემოთ წარმოდგენილ დებულებას იმის შესახებ, რომ სუბიექტ-ობიექტის (ობიექტების) სინტაქსურ ურთიერთობას აფხაზურ წინადადებაში ძირითადად განსაზღვრავს ზმნაში მოცემული აფიქსები, მათი ადგილმდებარეობა და არა სიტყვათა რიგი. და ამიტომ ერატიული კონსტრუქციის თვალსაზრისითაც პრინციპში⁷⁹ მნიშვნელობა აქვს არა იმას, რაც ამ მხრივ ამჟამად გვაქვს აფხაზურ ენაში, არამედ იმას, რაც გვექონდა ისტორიულ წარსულში, ე. ი მაშინ, როცა გარდამავალ ზმნაში ჯერ კიდევ არ იყო ვაჩენილი სუბიექტის ნიშანი.

კონსტრუქციაში, რომელსაც ქმნის ორპირიანი გარდამავალი ზმნის აბსოლუტივი, სუბიექტი და ობიექტი ჩვეულებრივ პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი. გვაქვს: სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი —აბსოლუტივი:

ააწზჷ ჟაჷგრაგჷ იჷჷა იბგჷა იმშიგჷ ააშთგზნგ | ეგჷ აშაღაღჷ
დჷჷჷტ (ლ. 125) „უმცროსმა ჟაჷურმაჷ აიყვანა რა თავისი ჟურღლეული, მელია და დათვი, სხვა გზით წავიდა“;

მაზლოჷ ააჷჷა ააშთგზნგ... (ლ. 129) „მაზლოუმ თავისი ხმალი აიღო რა...“

ჟარა არშენ აანკლანგ | უხიპახითჷაშია ყაწანგ ჟაჷჷგგლ | (ლ. 141) „შენ (მამაკ.) არშინი აიღე რა, ისე დადექი, თითქოს ვაჭრობდე“;

⁷⁶ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 9.

⁷⁷ ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, აკვ, II, თბილისი, 1948.

⁷⁸ И. О. Гецадзе, К вопросу об эргативной конструкции в абхазском языке, გვ. 225.

⁷⁹ საერთოდ კი, როგორც ეს სათანადო ადგილას ხაზგასმით იყო აღნიშნული, ერატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის ულარესად ფასეულია თანამედროვე აფხაზური ენის ის მონაცემები, რომლებშიც სიტყვათა რიგის ფიქსირებული ხასიათი სინტაქსური აუცილებლობითაა შეპირობებული.

ტაბულა № 9

		კომპონენტების სიხშირე			
№	წევრთა თანამიმდევრობა კონსტრუქციის	ასანქონი „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“	2	1	—
1	სტრ. — ირ., თბ.—ირს. გარდაუვ. ზმინის აბსოლუტივი	„გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“	5	1	—
2	ირ., თბ.—სტრ.—ირს. გარდაუვ. ზმინის აბსოლუტივი	„გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“	7	—	2
3	ირ., თბ.—ირს. გარდაუვ. ზმინის აბსო- ლუტივი	„გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“	11	7	—
		„გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“	14	—	—
		„გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“ „გაბრიელის“	25	3	—

უკუგვცია ა მ მ ი ა რ ა ხ რ ა ც ი ა ნ ე ი მ ნ ე | ი რ ე მ ა ნ ე მ ა ა მ ზ ა რ , ჭ ა ტ ი გ გ ო გ
გ ე ყ ა მ , რ ე ზ ნ ა ე ო გ ღ ჭ შ ა მ ა დ ე შ თ ო ლ ო ბ (ლ . 86) „ მ ი ს მ ა (ა დ .) ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ მ ა ნ ა -
დ ი რ ი მ რ ა ე ლ ა დ დ ა ხ ო ც ე ს რ ა , მ ა თ ი თ ა ნ ქ ო ნ ი თ რ ო მ მ ო ვ ე ი დ ნ ე ნ , ს ა ქ მ ე ლ ი ც
ა ლ ა რ ა რ ი ს , მ ა თ ი ა მ ხ ა ნ ა გ ი ც შ ე ბ ო ჭ ი ლ ი ა რ ა , წ ე ე ს “ ;

ღ ლ ა რ ა უ რ თ ა კ ა კ ა ლ ა ი ც ნ ე | ... , ი შ ე გ ე ა ბ ა ზ ო გ ო ზ ე გ ო რ მ ა პ ე მ ა ქ ი ა ლ -
პ ი ე მ ტ (გ . II , 21) „ მ ა ნ (დ ე დ ა კ .) ი ს ი ნ ი თ ი თ ო - თ ი თ ო ლ დ ა ი ქ ი რ ა რ ა , ა თ ი ე ვ ს
ფ ე ხ ე ბ ი შ ე უ ბ ო რ ა კ ა “ ;

მ გ რ ზ ა ყ ა ნ ... ი ტ ა პ ა ნ ჩ ა თ ე ნ ე | ა რ ა ა შ ა პ ა ქ ე ზ ი რ ა ნ ა ე ე მ კ ე ნ ა ა ფ შ ი -
რ ა დ ა ლ ა გ ე მ ტ (თ . 22) „ მ უ რ ზ ა ყ ა ნ მ ა თ ა ე ი ს ი დ ა მ ბ ა ჩ ა ი ძ რ ო რ ა , კ ა კ ლ ს
ხ ი ს ო ძ ი რ ს მ ო ვ ე ფ ა რ ა (დ ა) ლ ო ლ ი ნ ი დ ა ი წ ე ყ ო “ ;

ზ ნ ე ა მ ი ხ ა ა ე ე ი ა ბ ე ქ ე ი ა პ ი ო | ე ს მ ა ი შ ო ლ ე დ ტ ი ა ლ ა ზ რ ხ ე ა ა დ ღ რ -
კ ლ ა ნ ა ხ ი ე თ - ხ ი ე თ რ ა მ ა ლ ა გ ე მ ტ (გ . II , 14) „ ე რ თ ხ ე ლ ქ ა ლ ე ბ მ ა , ა მ ბ ე ბ ს
თ ქ მ ი თ ე ს მ ა ს გ ე ვ რ დ ი თ რ ო მ უ ს ნ დ ნ ე ნ , თ ა ვ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს მ ი ა დ ღ ს რ ა , ჩ უ რ -
ჩ უ ლ ი დ ა ი წ ე ყ ო “ ;

რ ა ჭ ი დ ა კ ა მ ა ქ ე ჭ ქ ხ ი ე ჭ ე დ ა ა გ ა რ ხ ნ ე ... (გ . II , 15) „ რ ა ფ ი დ ა მ პ ა -
ტ ა რ ა კ ა მ ა ქ ი ქ ი ა ე ვ ნ ი დ ა ნ ა მ ო ი ყ ე ვ ა ნ ა რ ა ... “

ს უ ბ ი ე ქ ტ მ ა ხ ა ნ დ ა ხ ა ნ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ძ ი რ ი თ ა დ პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ც ე ნ ტ რ შ ი
გ ა დ ა ი ნ ა ც ლ ო ს ⁸⁰ ; ა ს ე თ შ ე მ თ ხ ე ვ ე ვ ა შ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი მ თ ე ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ს (დ ა -
მ ხ მ ა რ ე დ ა ძ ი რ ი თ ა დ ი პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ე ბ ს) კ უ რ უ ნ ი ლ ე ბ ა გ ა ხ ღ ე ბ ა ,
მ ა გ ა ლ ი თ ა დ : თ ე მ გ რ მ ა ხ ო ი ხ ე ნ ა რ ხ ა ნ ე | დ ა ა ფ შ ე მ გ რ ჩ ი ე მ ტ მ ე კ ჭ მ (თ . 58)
„ თ ე მ ი რ ი ს კ ე ნ თ ა ვ ი მ ი ა ბ რ უ ნ ა რ ა , მ ი კ ი ქ მ ა გ ა ი ლ ი მ ა “ (შ დ რ . : მ ე კ ჭ მ თ ე მ გ რ
მ ა ხ ო ი ხ ე ნ ა რ ხ ა ნ ე დ ა ა ფ შ ე მ გ რ ჩ ი ე მ ტ „ მ ი კ ი ქ მ ა თ ე მ ი რ ი ს კ ე ნ თ ა ვ ი მ ი ა ბ -
რ უ ნ ა რ ა , გ ა ი ლ ი მ ა “) .

ა მ ა ს გ ე ვ ე რ ვ ი ტ ყ ვ ი თ პ ი რ დ ა პ ი რ ი ო ბ ი ე ქ ტ ს შ ე ს ა ხ ე ბ , რ ა მ დ ე ნ დ ა ც
ი გ ი მ ო ც ე მ უ ლ ი ნ შ ი ნ ი ტ უ რ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ე ი ა შ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა წ ა რ მ ო ა დ ღ ე ნ დ ე ს
ო ღ ე ნ ე რ თ - ე რ თ ი პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ს კ უ თ ვ ი ნ ი ლ ე ბ ა ს .

ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ა , რ ო მ დ ა მ ხ მ ა რ ე პ რ ე დ ი კ ა ტ უ ლ ც ე ნ ტ რ ს ხ ა ნ დ ა ხ ა ნ ო რ ი ,
გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ო ბ ა - გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ს მ ი ხ ე ღ ვ ი თ ე რ თ მ ა ნ ე თ ს ა გ ა ნ გ ა ნ ს ხ ვ ა გ ე ბ უ -
ლ ი , ა მ ს ო ლ უ ტ ი ვ ი ს ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი ქ მ ნ ს , მ ა გ ა ლ ი თ ა დ : კ ა გ ო ა ...

⁸⁰ ეს სრულიადი არ ეწინააღმდეგება თუბის აბსოლუტივის შემცველ პრედი-
კატულ ცენტრში სუბიექტ-ობიექტის შედარებით მტკიცე რიგის შესახებ. ცხადია, რო-
ცა ამ უკანასკნელს ვუსვამთ ხაზს, მხედველობაშია სიტყვათა რიგის შედარებით სტაბი-
ლური ხასიათი თვით დამხმარე პრედიკატული ცენტრის შიგნით. მოცემულ შემთხვევა-
ში კი საუბარია სუბიექტის გადანაცვლებაზე დამხმარე პრედიკატული ცენტრიდან
ძირითად პრედიკატულ ცენტრში და არა თვით დამხმარე პრედიკატული ცენტრ-
ის შიგნით.

არწიანობა დრეკიპიანე |, ჩეკიწივლა დრეკილანე |, ზეგ რეჩეა
ირეკიყაყა იკაქნე |, რაბჯარ აარეგნე |, დარა ექიფახ იქეპიანე
ანე | ინაფეგეტ (ლ. 65) „კიაგუმ მათ დასკივილა რა, „ცხენ-
მეგრით“ დაქახა რა, ყველას ცხენები მიწაზე ! განრთხმით (გაბრტყე-
ლებით) დასკა რა, იარალი აპყარა რა, ისინი „მაგრად მოქერით“ შე-
კრა (და) წინ გაირეკა“.

ამ წინადადებაში ყურადღებას იქცევს ორი პრედიკატული ცენტ-
რი (ზეგ რეჩეა ირეკიყაყა იკაქნე და დარა ექიფახ იქეპიანე), რომელთაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ქმნის ორი
აბსოლუტივის სინტაქსური (resp. კომპოზიტური) კავშირი. მათში პრე-
პოზიციული აბსოლუტივი (ირეკიყაყა; ექიფახ) ჩვეულებრივ წარ-
მოდგენილია ფუძის სახით და აკონკრეტებს და აზუსტებს მომდევნო
აბსოლუტივის შინაარსს; სუბიექტ-ობიექტი კი წარმოდგენილია იმის
მიხედვით, თუ როგორია „ჩამშველი“ (მეორე) აბსოლუტივი გარდამავ-
ლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით: კაგია დარა ექიფახ იქეპიანე
(კიაგუმ ისინი „მაგრად მოქერით“ შეკრა რა), კაგია რეჩეა ირე-
კიყაყა იკაქნე⁸¹ (კიაგუმ მათი ცხენები მიწაზე განრთხმით (გაბრტყე-
ლებით) დასკა რა...). ორივე შემთხვევაში „ჩამქეტი“ (resp. ძირითადი)
აბსოლუტივი ორპირიანი გარდამავალი ზმნისაა და ამიტომ კონსტრუქ-
ციებში წარმოდგენილია სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი: პირველში:
კაგია (სუბ.) და დარა (პირდ. ობ.), მეორეში—კაგია (სუბ.) და რეჩეა
(პირდ. ობ.).

თუ აბსოლუტივის წინაცვალსახელოვანაფიქსიანი ინფინიტური ზმნა
მოსდევს, სუბიექტი აქაც, გასაგები მიზეზების გამო, მის შემდეგ გა-
დანინაცვლებს; დამხმარე პრედიკატული ცენტრის სადემარკაციო ხაზიც
იქვე უნდა გავაულოთ, მაგალითად: აღჯრახანე ასლან კნე ჯააზგაზ აანჯე
კიოენ | დაანგვლტ (ლ. 86) „მესამე დღეს გაჩერდა ახალგაზრდა დევი,
რომელმაც ლომი დაჭერით (დაიჭირა რა) მოიყვანა“.

ხოლო როცა აბსოლუტივის საგარემოებოაფიქსიანი ინფინიტური ზმნა
მოსდევს, დაუკულია საერთო ვითარება: სუბიექტსა და პირდაპირ ობი-
ექტს, როგორც წესი, პრეპოზიცია უჭირავთ: ამმათ... აგიაში აარტ-
ნე | დანთალოზ, სემბეტ (თ. 27) „ამმათმა ჭიშკარი გაალო რა, რომ შე-
მოდლოდა, (ეს) არ დამინახავს“; ლბებტ წინა ლეხციგ გრშოო დაზ-

⁸¹ ამიტომ მოცემული პრედიკატული ცენტრების სინტაქსური დაყოფა ასეთი
იქნება: ა) პირველი ცენტრისა: კაგია ექიფახ იქეპიანე; დარა ექიფახ იქეპიანე,
ბ) მეორე ცენტრისა: კაგია ირეკიყაყა იკაქნე; რეჩეა ირეკიყაყა იკაქნე.

თქმა არ უნდა, ასეთი დაყოფა (გარეგნულად — სამწვეროვანი) არაფერს ლა-
პარაკობს თვით „სინტაგმა“ ცნებასა და საერთოდ წინადადების სინტაქსური დაყოფის
ამ პრინციპების წინააღმდეგ, რომლებიც ზემოთ გვაქვს გატარებული.

გგლავ (თ. 34) „თქვა ზინამ, საცა ის თავისი თმის წნეთ (თავის თმას წნავდა რა) იღვა“.

აქაც შესაძლებელია მთელი წინადადებისათვის საერთო სუბიექტი ძირითად პრედიკატულ ცენტრში გადაადგილდეს: აგიაში აარტნგ | აჰმათ ამძგრხა დანთალოზ სგმბეჯტ „ჭიშკარი გაალო რა, აჰმათი ეზოში რომ შემოდოდა, (ეს) არ დამინახავს“ (შდრ.: აჰმათ... აგიაში აარტნგ | დანთალოზ სგმბეჯტ (თ. 27) „აჰმათმა ჭიშკარი გაალო რა, რომ შემოდოდა, (ეს) არ დამინახავს“)⁸².

დ) სამპირიანი (გარდამავალი) ზმნის აბსოლუტივის შემცველ დამხმარე პრედიკატულ ცენტრს ართულებს ირიბი ობიექტის შემოყვანა. აქაც სუბიექტ-ობიექტები საერთო წესის მიხედვით ლაგდებიან: სუბიექტი—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი: შაზლოჟ აჟახჟამაჟეჟ ასკამ იგგლავ ინგ ნეჟიწანგ | დგციეჯტ (ლ. 129) „მაზლოუმ, ეკლესიაში სკამი რომ იღვა, იმას თავი მიაღო რა, დაიძინა“; სარა | ამარ თაქ სხგ ინაწაწანგ | სეჟიეჯტ: სფსგ სშაპ ჰია, სეციაპ ჰია (თ. 26) „მე მუთაქას თავი მივადე რა (მუთაქას თავის მიღებით), წამოეწეჟი: დავისვენებ, დავიძინებ-მეთქი“.

აქ უფრო ხშირია სუბიექტის გადანაცვლების შემთხვევები ძირითად პრედიკატულ ცენტრში, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილი „განტვირთვის“ ტენდენციითაა შეპირობებული: აჟეჟა ჰათგ რეჟიწო, | აფ შიმაცეჟა ჰათგ რეჟიწო | დააცეჟიეჯტ თემგრ (თ. 56) „მის (ად.) სიტყვას პატივის დადებით (მის სიტყვას პატივი დასდო რა), მასპინძლებს პატივის დადებით (მასპინძლებს პატივი დასდო რა) ალაპარაკდა თემირი“. შდრ.: თემგრ აჟეჟა ჰათგ რეჟიწო, აფ შიმაცეჟა ჰათგ რეჟიწო დააცეჟიეჯტ „თემირმა მის (ად.) სიტყვას პატივი დასდო რა, მასპინძლებს პატივი დასდო რა, ალაპარაკდა (ლაპარაკი დაიწყო)“.

დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელსაც აბსოლუტივი ქმნის, ცხადია, შეიძლება გართულებული იყოს გარემოებებითაც. ისინი მოცემულ კონსტრუქციაში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ლაგდებიან საერთო წესის მიხედვით⁸³.

რაც შეეხება თვით აბსოლუტივის ადგილს კონსტრუქციაში, იგი ჩვეულებრივ დგას ფინიტური ან ინფინიტური ზმნის წინ (კონტაქტურად ან დისტანციურად)⁸⁴, ამასთან, თუ მას უშუალოდ მოსდევს ფინიტური ზმნა, იგი გვევლინება დამხმარე პრედიკატული ცენტრის ჩამკეტად.

⁸² იხ. სტატისტიკური ტაბულა № 10.

⁸³ იხ. სიტყვათა რიგი ინფინიტური ზმნის შემცველ დამხმარე პრედიკატულ ცენტრებში.

⁸⁴ ცხადია, წინადადებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთმანეთის გვერდით რამდენიმე აბსოლუტივი, მაგრამ ყველა ისინი საბოლოოდ აკონკრეტებენ და აზუსტებენ ფინიტური ან ინფინიტური ზმნით გამოხატულ მოქმედებას, მაგალითად: იგგლავა

		ქოშბინაკუების სიხშირე					
წვერთა თანამდევრობა კონსტრუქციები		სანაპირა ფენი	სანაპირა ფენი	სანაპირა ფენი	სანაპირა ფენი	სანაპირა ფენი	სანაპირა ფენი
1	პირღ. თბ.—ორბ. გარღამ. ზმნის აბსო- ლუტივი	787	525	212	122	126	142
2	სუბ.—პირღ. თბ. — ორბ. გარღამ. ზმნის აბსოლუტივი	248	157	55	21	34	12
3	პირღ. თბ.—სუბ.—ორბ. გარღამ. ზმნის აბსოლუტივი	11	9	17	7	3	2
4	ორბ. გარღამ. ზმნის აბსოლუტივი—პირღ. თბ.	—	—	—	—	—	3
5	ორბ. გარღამ. ზმნის აბსოლუტივი—პირღ. თბ.—სუბ.	—	—	—	—	—	1

აბსოლუტივი არცთუ იშვიათად წარმოდგენილია წინადადების ბოლოკიდურ წვეკრადაც მიუხედავად იმისა, გარდაუვალი ზმნისაა იგი თუ გარდამავლისა⁸⁵.

კადგრ... აჟათახ აჟეჟ აცოარდალოჟ დეჟიჟან: ადგრაა ზემათხ აჟაა... ირასპიაშია ჰია დხ იგ ეტა (თ. 49) „კადირი ოთახში ტახტზე იწვა, ფიქრობდა რა იმაზე, თუ რა ეთქვა ხალხისათვის, ვისაც ცნობა მისცა (ვისაც აცნობა—იგი, რაღაც)“;

იბეჟ ნარგლაჟრგეჟტ კადგრ დგოაანგ (თ. 51) „თქვა („ხმა ჩააგდო“) კადირმა გულმოსულად“;

დაცოაიეიჟტ თემგრ აჯნგ აჯნუწყა დლაფშეააფშეაჟა (თ. 56) „ალაპარაკდა თემირი სახლის შიგნით მიხედვ-მოხედვით“;

მაჰმეთ დნეჟჟაფშეგეჟტ დფგშეიჩჩო (თ. 61) „მაჰმეთს შეხელა (მან, ად.) ლიმილით“⁸⁶.

რაც შეეხება ინფინიტური და ფინიტური ზმნების ადგილს წინადადებაში, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფინიტურ ზმნას აფხაზურ მარტივ წინადადებაში ბოლოკიდური ადგილი უჭირავს⁸⁷.

აშორახ რაციანგ იშნგ ირგმანგ მააზარ, ჭატიგეგ გყამ, რუზაგეგ დეჟაპია დგშოტჟ (ლ. 86) „მისმა (მამაკ.) ამხანაგებმა ნადირი მრავლად დახოცეს რა, მათი თან ქონით რომ მოვიდნენ, საქმელიც აღარ არის, მათი ამხანაგიც შებოროტდა რა, წყეს“.

⁸⁵ ი. პაპასჭირის „თემირში“ (ი. პაპასჭერ, თემგრ, აყთა, 1939: გვ. 1—311) მარტივი წინადადების პრეპოზიციასა და ინტერპოზიციასში დადასტურდა ყველა სახის აბსოლუტივის ხმარების 2.568 შემთხვევა, აბსოლუტურ პოსტპოზიციასში კი — 649.

⁸⁶ იხ. სტატისტიკურა ტახულა № 11.

⁸⁷ ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იყვ. XIII, 1962, გვ. 118—119.

ქართულ მარტივ წინადადებაში ზმნის ბოლოკიდურობასკენ მისწრაფებას ხაზს უსვამს არნ. ჩიქობავა (იხ. Арн. Чикобава, О лингвистических чертах картвельских языков, Известия АН СССР, ЛЯ, т. VII, 1948, вып. I, გვ. 26). ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამდა უფრო ადრე ს. გორგაძე: ისალ ქართულში შემასმენელი ბოლოში დაისმისო,—აღნიშნავდა იგი (იხ. ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა, თბ. 1915, გვ. 20). ა. კიზირია კი მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ შემასმენლის ადგილისათვის ქართულ წინადადებაში მნიშვნელობა აქვს მწერლის სტილს, მწერლის ენის თავისებურებას, იმას, თუ რომელ ეანრს განეკუთვნება ნაწარმოები და ა. შ. მას მოჰყავს სტატისტიკური ცნობები ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნების“, ვ. ბარნოვის „მსხვერპლისა“ და ილ. ჭავჭავაძის „სახარობელას“ მიხედვით, და გამოაქვს შემდეგი დასკვნა: ვაჟა-ფშაველასა და ილ. ჭავჭავაძის დასახელებულ ნაწარმოებებში თხრობით წინადადებაში შემასმენლის ბოლოკიდურობა ქარბობს, ვ. ბარნოვის დასახელებული ნაწარმოების სტილიზებულ ბეტყველებაში კი შემასმენელს უმეტესად შუა ადგილი უჭირავსო (იხ. ა. კიზირია, შემასმენლის ადგილი წინადა-

წილი	წილის მფლობელის სახელი	წილის მფლობელის სახელი					
		საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი	საქონლის მფლობელი
1	პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	42	62	43	16	10	9
2	ორ. თბ.—პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	34	23	7	5	1	3
3	სუბ.—პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	12	8	9	—	3	—
4	პირდ. თბ.—ორ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	12	6	—	2	1	2
5	სუბ.—ორ. თბ.—პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	10	8	8	5	1	—
6	ორ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	—	—	—	4	—	—
7	ორ. თბ.—სუბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	—	—	—	4	—	—
8	სუბ.—პირდ. თბ.—ორ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	3	1	—	—	—	—
9	სუბ.—ორ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	1	—	2	—	—	—
10	პირდ. თბ.—ორ. თბ.—სუბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	—	—	—	—	—	—
11	ორ. თბ.—სუბ.—პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	—	—	—	—	—	—
12	ორ. თბ.—პირდ. თბ.—სუბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი	—	—	—	—	—	—
13	პირდ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი — ორ. თბ.	—	—	—	—	—	—
14	ორ. თბ.—სამშ. გარდამ. ზმნის აბსოლუტუი—პირდ. თბ.	—	—	—	—	—	2

წილის მფლობელის სახელი

წილი

ინფინიტური და ფინიტური ზმნები აფხაზურში ერთმანეთს უპირისპირედებიან თავიანთი განუსაზღვრელობა-განსაზღვრელობის მიხედვით და სწორედ ეს მომენტი შეაპრობებს მათს ადგილსაც წინადადებაში. ბუნებრივია: ის, რაც განუსაზღვრელია, პრეპოზიციულად იყოს წარმოდგენილი, ხოლო ის, რაც განსაზღვრულია (resp. განსაზღვრელია)— პოსტპოზიციურად⁸⁸.

აქვე უნდა ითქვას, რომ ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა აფხაზურ სახელთა უბრუნველობის გამო წინადადებაში ფიქსირებულია სუბიექტობიექტის ადგილი, მთავარია სახელთა (სუბიექტ-ობიექტის) ადგილი და არა ზმნისა: აშაარგცაჲ აჰკიჲნ ღღბეჲტ „მონადირემ ბიჭი დაინახა“, აშაარგცაჲ ღღბეჲტ აჰკიჲნ „მონადირემ დაინახა ბიჭი“, ღღბეჲტ აშაარგცაჲ აჰკიჲნ „დაინახა მონადირემ ბიჭი.“ (ამათგან პირველი ვარიანტი უფრო ბუნებრივია, დანარჩენები კი—ნაკლებ ბუნებრივი, მაგრამ ფაქ-

დებაში, კრებელი: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, III, თბილისი, 1950, გვ. 41—42); ქართულ წინადადებაში შემასმენლის ადგილის შესახებ მსჯელობისას სხვადასხვა შესაძლებლობებსა და მათ შემპირობებელ მიზეზებზე ყურადღებას ამახვილებს ლ. კვაკაიე (იხ. ლ. კვაკაიძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 215—225).

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ასეთი ვითარება (ზმნის ბოლოკიდურობა) გაბატონებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგრამ ბუნებრივია, რომ ეს სრულიადი არ წარმოადგენს ზოგად ენობრივ მოვლენას, დამახასიათებელს ყველა ენისათვის. მაგალითად, რუსული ენისათვის ნიშანდობლივადია მიჩნეული ზმნის ადგილი ობიექტის (პირდაპირი, ირიბი, უბრალო) წინ: „Сочетания я беру книгу, он говорит о пожаре, он заболел лихорадкой кажутся нам при равных условиях интонации и ритма более обычными, чем сочетания я книгу беру, он о пожаре говорит, он лихорадкой заболел (А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956, გვ. 420). კელტური ენებისათვის კი ჩვეულებრივ დამახასიათებელია ზმნის დგომა წინადადების თავში (იხ. Общее языкознание (под ред. Б. А. Серебряникова), М., 1970, გვ. 65).

⁸⁸ შტრ.: ა) ზ ნაცვალსახელოვანფიქსიანი ინფინიტური ზმნა, როგორც ვიციით, განუსაზღვრელად გადმოსცემს სუბიექტსა და ობიექტს, ე. ი. განუსაზღვრელად შეიცავს სათანადო შემთხვევებში „სუბიექტურ შინაარსს“ და „ობიექტურ შინაარსს“; კონკრეტული სახელთა გამოხატული (resp. განსაზღვრული) სახელთა კი ყოველთვის მის შემდგომ დგას (არ ი ზპიაზ აღხას...); ბ) თუ აფხაზურში რამდენიმე ზმნა გვაქვს ბრძანებითას შინაარსით, ბრძანებათას ფორმა მოუღდის ოდენ ბოლოკიდურ ზმნას, სხვებში კი წარმოდგენილი იქნებაან -ნგ-თა ნაწარმოები აბსოლუტურად ფორმათ, ე. ი. ამ კომპონენტთა ადგილს ფაქტიურად განუსაზღვრელობა-განსაზღვრელობა შეაპრობებს, მაგალითად: ირლანდ იწანგ ჭ ააი „ჩქარა (იგი, რაღაც) სწავლათ მოდი!“; უქიწატოგ-გიათანგ უშაგ ე ა წ გ ხი „საბანი ვასინჯეთ შენი (მამაკ.) ფეხა გამართე“ (იხ. ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდააკვალა ზმნის უსუბიექტო ფორმები, ივე, 1948, II, გვ. 12).

ტიურად არსებული), შდრ.: აქციენ აშოარჯკაჲ დგაბეატ „ბიქმა მონადირე დაინახა“, აქციენ დგაბეატ აშოარჯკაჲ „ბიქმა დაინახა მონადირე“, დგაბეატ აქციენ აშოარჯკაჲ „დაინახა ბიქმა მონადირე“⁸⁰.

შეგვიძლია აქვე გავიხსენოთ ფრანგული, გერმანული, ინგლისური და ზოგი სხვა ენის დღევანდელი ვითარებაც. ამ ენებშიც, როგორც ცნობილია, სახელები არ იბრუნვის (resp. სახელი უპირისპირდება ზმნას ფორმოზღვი), მაგრამ ამიტომ ზმნა წინადადების ბოლოში როდია მოქცეული; იგი დგას იქ, სადაც სუბიექტია (ჩვეულებრივ მოსდევს სუბიექტს), მაგალითად, ფრანგულში: Paul aime Jean „პაულეს უყვარს ივანე“, Jean aime Paul „ივანეს უყვარს პაულე“; გერმანულში: Paul liebt Peter „პაულეს უყვარს პეტრე“, Peter liebt Paul „პეტრეს უყვარს პაულე“⁸¹; ინგლისურში: Peter saw John „პეტრემ დაინახა ჯონი“, John saw Peter „ჯონმა დაინახა პეტრე“⁸².

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ძველ ინგლისურში (ე. ი. მაშინ, როცა მას ბრუნება ჰქონდა—მ. ც.) ზმნა ჩვეულებრივ წინადადების ბოლოში იდგა, იშვიათად—პირუეუც, ახლა კი (ბრუნების მოშლის შემდეგ) ზმნამ თანდათან გადმოინაცვლა წინადადების შუაგულისაკენ: როგორც ითქვა, დგას იქ, სადაც სუბიექტია⁸².

მსგავსავე ვითარებაზე მიუთითებს ა. მეიე საერთოსლავურში⁸³.

ზემოთქმულის მიხედვით საესებით ნათელი ხდება ის შემაპირობებელი ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს ფინიტური ზმნის ბოლო-

⁸⁰ მაგრამ თუ ზმ.აშო სუბიექტ-ობიექტისათვის განსხვავებული აფექსები გვაქვს, როგორც ეს სათანადო ადგილსაც აღინიშნა, იხსნება სუბიექტ-ობიექტის მტკიცე რიგის აუცილებლობა: რან ჩინაჲ ყიბინა აძგ ახგჲი დგჲიტანგ დშოგჲიძიოზ, ნგრცი ახრა იგვლავ დგაბეატ „ერთ დღეს იმათი დედა მდანარე ყუბანის ნაპირას პირს რომ იბანდა, (ეს) გაღმა მღვდელმა მწყემსმა დაინახა“; სპურ დვკლრგშოშააჲა დნალქშაფშფგდჲ პატგხი (ხ. 87) „პატუხმა დავკარეებთ (ჩაცეობთ) ვახედა (შეხედა) ხიმურს“.

ამ წინადადებიდან სუბიექტი—ობიექტი—ზმნა რომ გამოვალკეოთ, შევიღებთ ასეთ თანამიმდევრობას: რან (პარლ. ობიექტი)—ახრა (სუბ.)—დგაბეატ (ზმნა): „მათი დედა მწყემსმა დაინახა“ (შდრ. რან ახრა დვლბეატ „მათმა დედამ მწყემსი დაინახა“); სპურ (ირიბი ობიექტი)—დნალქშაფშფგდჲ (ზმნა)—პატგხი (სუბ.)—ხპურს შეხედა პატუხმა“ (შდრ. სპურ პატგხი დვგჲაფშფგდჲ „ხიმურმა პატუხს შეხედა“).

⁸¹ იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 255.

⁸² იხ. А. И. Смирницкий, Синтаксис английского языка, М., 1957, გვ. 61.

⁸³ იხ. Т. А. Снегирева, Порядок слов как средство связи между частями сложноподчиненного предложения, Филологический сборник хабаровского пединститута, вып. I, 1959.

⁸⁴ А. Мейе, Общеславянский язык, М., 1951, гв. 385—386.

კიდურობა აფხაზურ წინადადებაში⁸⁴. ამიტომ, რომ ამ ენის წინადადებაში (და არა—რომელიმე პრედიკატულ ცენტრში) „თეორიულად“ სადაც არ უნდა დაისვას ფინიტური ზმნა, ეს პრინციპში არავითარ არეგ-დარეგას არ შეიტანს სუბიექტ-ობიექტის (თუ სხვა წევრების) ერთ-მანეთისაგან გარჩევის საქმეში⁸⁵.

ამგვარად: **ო რ ი — ი ნ ფ ი ნ ი ტ უ რ ი და ფ ი ნ ი ტ უ რ ი — რ ი გ ი ს ზ მ ნ ა თ ა** არსებობაა ფინიტურ (განსაზღვრულ) ზმნას აფხაზური წინადადების ბოლოსაკენ რომ უბიძგებს⁸⁶.

ჩვენი მსჯელობა ბოლომდე თანმიმდევრული არ იქნება, თუ ყურადღების გარეშე დავტოვებთ ერთ გარემოებას. სახელდობრ, ფაქტია, რომ ოდენ ფინიტური ზმნის შემცველ აფხაზურ წინადადებაშიც, სადაც არა გვაქვს დაპირისპირებულიობა განუსაზღვრელობა-განსაზღვრელობის მიხედვით, ზმნას ჩვეულებრივ ბოლოკიდური ადგილი უჭირავს.

როგორ შევეუთავსოთ ზემოთქმული ამ ფაქტს?

ეჭვი არაა, რომ ამაში არამარტო აფხაზური ენის, არამედ საერთოდ იბერო-კავკასიური ენების (კერძოდ, მათი მორფოლოგია-სინტაქსის) ისტორიული განვითარების გარკვეული ანარქიული ჩანს (ბრუნების კატეგორიის უქონლობა ისტორიულად (და ამჟამადაც ზოგ ენაში), გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშნის უქონლობა განვითარების გარკვეულ საფეხურზე და სხვ.)⁸⁷. ეს უნდა ვიფიქროთ ძირითად ფაქტორად. გარდა ამისა, ზმნის

⁸⁴ ი. პაპასკარის „თეზარას“ სტატისტიკური შესწავლას შედეგად აღმოჩნდა, რომ ფინიტური ზმნა მარტოვე წინადადების ბოლოკიდურად გვხვდება 4.787-ჯერ, მაშინ, როდესაც ამ სახის ზმნა წინადადების პრეპოზიციასა და ინტერპოზიციასში წარმოდგენილია მხოლოდ 368-ჯერ (აქ არ შემოდის ფინიტური ზმნები, რომლებიც ჩვეულებრივ იწყებენ ე. წ. ავტორისეულ წინადადებას).

⁸⁵ ამავე ეჭვი ვიტყვი ინიფინიტური ზმნას შესახებ.

⁸⁶ საგულისხმოა, რომ, როგორც ფ. ერთელიშვილს აქვს დადგენილი, ძველ ქართულში დამოკიდებულ წინადადებას წევრ-კავშირებად და კავშირებად გამოყენებულ კათხეთ ნაცვალასებლებსა და ზმნისართებს კათხეთართის პარალელურად შექმლთ განუსაზღვრელობითი ნაცვალასებლების როლაც შეესრულებინათ (იხ. ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადებას ისტორიისათვის ქართულში, თბილისი, 1963, გვ. 210); ეს კი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს დამოკიდებულა წინადადების ადგილთან, რაჟღენდაც მას (დამოკიდებულ წინადადებას), როგორც სპეციალასტები აღნიშნავენ, ძველ ქართულში (და ზოგ სხვა ენაშიც) უმთავრესად პრეპოზიცი ეჭარა (იხ. ქვემოთ). აფხაზური დაშმაბრე პრედიკატული ცენტრია კი, რომელსაც ჩვეულებრივ მთელს კონსტრუქციასში პრეპოზიცი უჭირავს, როგორც ვაით, სხვა ენათა დამოკიდებულ წინადადების როლს ასრულებს. ამგვარად, შდრ.: ა) ძველ ქართულში: განუსაზღვრელობითი ნაცვალასებლები და დამოკიდებული წინადადების პრეპოზიცი, ბ) აფხაზურში: განუსაზღვრელობითი ინფინიტურა ზმნის შემცველი დაშმაბრე პრედიკატული ცენტრის (resp. დამოკიდებული წინადადების) პრეპოზიცი.

⁸⁷ აქვე გასათვალისწინებელია აზროვნებას ლოგიკურ კანონთა მოქმედება.

ბოლოკიდურობისათვის თვით აფხაზურში (მოცემულ კონსტრუქციამში) ხელი უნდა შეეწყო ამ ენის მისწრაფებას წინადადებათა „კონსტრუქციული ნიველირებისაკენ“ (არაფერია უცნაური იმაში, რომ ასეთი მიდრეკილება აფხაზური ენის შინაგანი სინტაქსური კანონზომიერებიდან მომდინარეობდეს). აქი, ცნობილი მიზეზების გამო⁹⁸ ასეთი ვითარებაა (ძიროთაღა ზმნის ბოლოკიდურობა) გაბატონებული ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში. ეს კი სავსებით გასაგები იქნება, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ოდენ ფინიტური ზმნის შემცველი წინადადებები აფხაზურში ძალზე რწვიათია და ამიტომ მათი საერთო ორბიტაში მოქცევა (თუნდაც შემოხსენებული ისტორიული ფაქტორიც რომ გამოვრიცხოთ) დიდ დაბრკოლებებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. როგორც ვიცით, „ენობრივ ფორმათა მრავალგვარობის ერთგვარობამდი დაყვანაში ანალოგიის როლი განსაკუთრებულია“⁹⁹. უ. ვანდრიესი აღნიშნავდა: ანალოგია არსებითად საფუძვლად უდევსო მთელ მორფოლოგიას¹⁰⁰.

რაც შეეხება ქართველურ ენებს, აქ ამჟამად მოხსნილია ზმნათა დაბირისპირებულობა განუსაზღვრელობა-განსაზღვრელობის მიხედვით და არცაა აუცილებლობა ზმნის ბოლოკიდურად დამისა, და მაინც, როგორც ითქვა, ქართველურ ენებში ზმნას აქვს მისწრაფება—დადგეს წინადადების აბსოლუტურ პოსტპოზიციამში¹⁰¹, რაც აგრეთვე შეპირიობებუელია იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ისტორიული განვითარების გზით¹⁰².

შევაჯამოთ წარმოდგენილი შეხედულებები.

პრინციპი რომელიც ავიღეთ—განგვეხილა სიტყვათა რიგი დამხმარე პრედიკატულ ცენტრში ინფინიტური ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით,—ვფიქრობთ, გამართლებული ჩანს: ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობასა და პირიანობასთან (პირთა რაოდენობასთან), გარდა

⁹⁸ ზმნის განუსაზღვრელი (ინფინიტური) და განსაზღვრული (ფინიტური) ფორმებს არსებობას გამო.

⁹⁹ ა. რ. ჩიქობავა, -ყუ ნაწლავი ფერეიდნულში და მისი მნაშენელობა გრამატკა-ლოგიის თვალსაზრისით, წაგნი, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებას წელიწდეული, I-II, თბ., 1923—1924, გვ. 43.

¹⁰⁰ Ж. Вандриес, Язык; 1937, გვ. 153 (ცხადა, უ. ვანდრიესის ამ სიტყვებში გადაქარბებულადაა შეფასებულა ენობრივი ანალოგიის მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ეს არაა მთავარი).

¹⁰¹ ქართულ მარტივ წინადადებაში ზმნის ბოლოკიდურობისაკენ მისწრაფებას ხაზს უსვამენ ცნობილა ქართველი სპეციალისტები (იხ. ზემოთ).

¹⁰² გამორიცხულა არაა გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე ქართველურ ენებსაც კქონოდათ განუსაზღვრელობა-განსაზღვრელობის როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსურად გამოხატული კატეგორია.

იმისა, რომ დაკავშირებულია წევრთა რაოდენობის ზრდა წინადადებაში, რაც თავის მხრივ აპირობებს კონსტრუქციის ძირითადი მოდელის ფორმირებას, უშუალო კავშირში აღმოჩნდა შესასწავლი საკითხის მთელი რიგი სხვა არსებითი მხარეებიც (მაგალითად, სუბიექტის, პირდაპირი ობიექტის, ირიბი ობიექტის ადგილი დამხმარე პრედიკატულ ცენტრში და, საერთოდ, წინადადებაში). კონსტრუქციები, რომლებსაც ქმნიან გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, ამჟღავნებენ მთელ რიგ საერთო ნიშნებს წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის (ობიექტების) განლაგების თვალსაზრისით. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ სუბიექტის ადგილი ერთი და იგივეა • ნაცვალსახელოვანაფიქსიანი გარდაუვალი (ერთპირიანი, ორპირიანი) და % ნაცვალსახელოვანაფიქსიანი გარდამავალი (ორპირიანი, სამპირიანი) ზმნების შემცველ კონსტრუქციებში: სუბიექტი, როგორც წესი, დგას ინფინიტური ზმნის შემდეგ კონტაქტურად. ამავე პოზიციას გვიჩვენებს ირიბი ობიექტიც % ნაცვალსახელოვანაფიქსიანი (სამპირიანი) ზმნის შემცველ პრედიკატულ ცენტრშიც.

პირდაპირი ობიექტი ორპირიანი და სამპირიანი გარდამავალი ზმნების შემცველ კონსტრუქციებში, ნაცვალსახელოვან აფიქსთა სახეობისდა მიუხედავად, უმთავრესად პრეპოზიციულადაა (კონტაქტურად ან მინიმალური დისტანციით) წარმოდგენილი¹⁰³.

რაც შეეხება საგარემოებოაფიქსიან ზმნათა შემცველ კონსტრუქციებს, მათთან, ასე ვთქვათ, ნრველირებულია სუბიექტ-ობიექტის (ობიექტების) პოზიცია: ყველა შემთხვევაში ისინი ზმნის მიმართ პრეპოზიციულ დამოკიდებულებას გვიჩვენებენ (სუბიექტი—ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ პრედიკატულ ცენტრში, სუბიექტი და ირიბი ობიექტი—ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ ცენტრში, სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი—ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში, სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი—სამპირიანი (გარდამავალი) ზმნის შემცველ დამხმარე პრედიკატულ ცენტრში).¹⁰⁴

ზემოთქმულის სქემური გამოსახულება:¹⁰⁵

¹⁰³ არაფერს ვამბობთ წევრ-გარემოებათა შესახებ, რომლებიც ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობისადმი ერთგვარად ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენენ.

¹⁰⁴ ეს დასკვნება არ ვრცელდება დამხმარე პრედიკატულ ცენტრზე, რომელსაც აბსოლუტური ქმნის. იგი რიგ შემთხვევებში თავისებურად გამოიყურება (ახასიათებს სუბიექტ-ობიექტის შედარებით უფრო ფუქსირებული რიგი, არ გაუბრბის სუბიექტის გადაადგილებას დამხმარე პრედიკატული ცენტრიდან ძირითად პრედიკატულ ცენტრში და სხვ.).

¹⁰⁵ იხ. აქვე, გვ. 182.

სუბიექტ-ობიექტთა რიგი ინფინიტურ კონსტრუქციაში*

პოზიცია	წინადადების წევრები	კონსტრუქცია	წინადადების წევრები	კონსტრუქცია
პოტენციური	სუბიექტი	<ul style="list-style-type: none"> ნაცვალსახელოვანფიქსიანი გარდაუვალი (ერაპირიანი, ორპირიანი) და ზ ნაცვალსახელოვანფიქსიანი გარდაუვალი (ორპირიანი, სამპირიანი) ზმნების შემცველი კონსტრუქციები 	<p>აქტიური ფიქსი</p>	<ul style="list-style-type: none"> ნაცვალსახელოვანფიქსიანი სამპირიანი (გარდაუვალი) ზმნის შემცველი კონსტრუქცია
პოტენციური	პოტენციური	<ul style="list-style-type: none"> და ზ ნაცვალსახელოვანფიქსიანი ორპირიანი და სამპირიანი გარდაუვალი ზმნების შემცველი კონსტრუქციები 	<p>პოტენციური</p>	<ul style="list-style-type: none"> (-ან, (-ა)ხ-, (-ა)შ) სავარგობოფიქსიანი კონსტრუქციები ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნის შემცველი კონსტრუქცია ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველი კონსტრუქცია ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველი კონსტრუქცია სამპირიანი (გარდაუვალი) ზმნის შემცველი კონსტრუქცია

როგორც ვხედავთ, დამხმარე პრედიკატულ ცენტრში (resp. ინფინიტურ კონსტრუქციაში) სუბიექტ-ობიექტთა ადგილი ხშირად სტაბილურია, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, გამოწვეულია იმით, რომ **o** და **z** მიმართებითი აფიქსები ზმნაში არ განარჩევენ არც კლასს, არც პირსა და არც რიცხვს (ე. ი. განუსაზღვრელად გამოხატავენ სუბიექტ-ობიექტებს ზმნაში) და ამიტომ, ბუნებრივია, სათანადო შემთხვევებში სუბიექტ-ობიექტებს მიდრეკილება აქვთ „განსაზღვრონ“ თავიანთი სინტაქსური ფუნქციები, რაც კონსტრუქციაში მათი ადგილის ფიქსირებაში გამოიხატა (მაგალითად, გარდამავალი **z** აფიქსიანი ზმნის შემცველ დამხმარე პრედიკატულ ცენტრში ფაქტიურად გვაქვს ერთადერთი წყობა: პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი: აქოა აზგაზ შინაჯჯ (გ. II, 249) („მინაც, ვინც სიტყვა მოიტანა“). ამ შემთხვევებში ეს ფაქტი, ასე ვთქვათ, კონსტიტუტიურია. ამ მხრივ ეს კონსტრუქცია შესამჩნევად განსხვავდება ძირითადი პრედიკატული ცენტრისაგან (resp. ფინიტური კონსტრუქციის წინადადებისაგან). საერთო ნიშნებს გვიჩვენებენ მხოლოდ, ერთი მხრივ, ძირითადი პრედიკატული ცენტრი და, მეორე მხრივ, საგარემოებო -ან, -(ა)ზ, -(ა)შ აფიქსებიანი დამხმარე პრედიკატული ცენტრი. ორივე შემთხვევაში ძირითადი წყობაა: სუბიექტ-ობიექტი¹⁰⁶, არაძირითადი: ობიექტ-სუბიექტი.

ამგვარად, თეზისი იმის შესახებ, რომ აფხაზურ ენაში სიტყვათა რიგის განხილვისას აუცილებელია დიფერენცირებულა მიდგომა ფინიტური და ინფინიტური კონსტრუქციებისადმი, რაც სათანადო ადგილას იყო ხაზგასმული, საესებით გამართლდა. საკითხის მხოლოდ ასეთ შესწავლას შეუძლია სწორ მეცნიერულ ნიადაგზე დაგვაყენოს და ნათლად წარმოგვიდგინოს ყველა ის თავისებურება, რაც პრობლემის შინაგან სირთულეებთანაა დაკავშირებული.

მაშასადამე:

აღმოჩნდა, რომ წინადადებაში სიტყვათა განლაგებაზე გავლენას ახდენენ მთელი რიგი მორფოლოგიური¹⁰⁷ და სინტაქსური ფაქტორები, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ:

ა) აფხაზური ზმნის ფინიტობა-ინფინიტობის კატეგორიებთანაა დაკავშირებული ის საკვანძო საკითხები, რომლებიც აფხაზურ წინადადებაში სიტყვათა განლაგების ძირითად თავისებურებებს ქმნიან, წარ-

¹⁰⁶ მხედველობაში გვაქვს გარდამავალი ზმნის შემცველი კონსტრუქცია.

¹⁰⁷ თქმა არ უნდა, ყველა მორფოლოგიურ კატეგორიას არ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს და არცა აქვს სიტყვათა განლაგებისათვის წინადადებაში. ასეთება, მაგალითად, ზმნის დრო, პირი (resp. კლასი.), რიცხვი, ასპექტი და სხვ.

მოგვიდგენენ ამ თავისებურებათა მრავალფეროვან განშტოებებს. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ფინიტობა-ინფინიტობაა ის წყარო, სადაც პირველ-სათავეს იღებს სიტყვათა რიგის პრობლემასთან დაკავშირებული ყველა კონკრეტული ენობრივი ფაქტი თავის სინქრონიულსა და დიაქრონიულ კრილში.

ბ) ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობას უკავშირდება პირდაპირი და ირიბი ობიექტების შემოყვანა წინადადებაში, რომლებიც, როგორც დავინახეთ, სხვადასხვაგვარად ინაწილებენ ადგილებს სათანადო კონსტრუქციებში. თავისებურებებს გვიჩვენებენ ამ მხრივ თვით ირიბი ობიექტებიც იმისდა მიხედვით—ოპირიანი გარდაუვალი ზმნისაა იგი თუ სამპირიანი გარდამავლისა.

გარდამავალი ზმნის აბსოლუტივში სუბიექტის ნიშნის უქონლობითაა შეპირობებული სუბიექტ-ობიექტის შედარებით მტკიცე რიგი სათანადო კონსტრუქციაში.

გ) ზმნის პირიანობას (resp. პირთა რაოდენობას), რომლის სინტაქსური ვალენტოვნობა სავსებით ნათელია აფხაზურ წინადადებაში, უკავშირდება წვერთა რიცხვის ზრდა ამა თუ იმ კონსტრუქციაში. ახალი წვერის შემოყვანას კი, როგორც ვნახეთ, შეიძლება მოჰყვეს ზოგა ცვლილება სიტყვათა განლაგებაში პრედიკატულ ცენტრში. ასე, მაგალითად, ირიბი ობიექტი სამპირიანი (გარდამავალი) ზმნის შემცველ ორივე სახის კონსტრუქციაში მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის გათიშვას ერთმანეთისაგან, ე. ი. არღვევს მათს კონტაქტურობას: ა) ფინიტურ კონსტრუქციაში: აბგახიჟჟგ ხჯმკიჯრასა აპრა დჟჟ ინათეატ (ლ. 278) „ტურამ ხიმჟურასას დიდი სამფლობელო მისცა“; ბ) ინფინიტურ კონსტრუქციაში: აპაქემ აჩემაზაჯ არი იშოლეჰიაზ ეფჟჟ |, ეჰჰა დეჟლზო დალაგეატ „ისე, როგორც ავადმყოფს ექიმი ეუბნებოდა, (ავადმყოფმა) გამოკეთება დაიწყო“.

გარდა ამისა, კონსტრუქციის ირიბი ობიექტით გართულებამ შესაძლოა გამოიწვიოს რომელიმე გარემოების (უფრო დროის ან ადგილის) ადგილის შეცვლა, რაც დაკავშირებული ჩანს იმასთან, რომ ენა ცდილობს ერიდოს რამდენიმე არსებითი სახელის (სუბიექტ-ობიექტების) თავმოყრას. ამიტომ დროის გარემოება, რომელსაც ჩვეულებრივ მიდრეკილება აქვს — იღვეს წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციასში, იშვიათად კი — პოსტპოზიციასშიც, ხანდახან ირიბ ობიექტსა და სუბიექტს შორის ექცევა: დალაა რხიაჯა აშოგქისან ზეგჯ, თძჯ ცფხზაძა, ყაბგკ-ყაბგკ ირთარ აეჟენ (გ. II, 305) „დალეღთა მოლასთვის იმ წელს ყველას, ყოველ ოჯახს, თითო გოგრა უნდა მიეცა“.

პირიანობის კატეგორიასთანაა, აგრეთვე, დაკავშირებული • ნაცვალ-სახელოვანფიქსიანი ორპირიანი და სამპირიანი ზმნების შემცველი ინფინიტური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი ე. წ. „ცენტრის განტვირთვის“ ტენდენცია¹⁰⁸.

ღ) ზემოთქმულადან ისიც გამომდინარეობს, რომ სიტყვათა რიგისათვის მნიშვნელობა აქვს ზმნის ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: კაუზატივი, პოტენციალისი, ქცევა და სხვ., რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში შეაპირობებენ ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობას და ამის შესაბამისად ზრდიან ან ამცირებენ პირთა რაოდენობას ზმნაში (resp. წვერთა რაოდენობას კონსტრუქციაში).

ე) ორივე სახის კონსტრუქციაში სიტყვათა განლაგების თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების ნაწილთა სახეობებს, მათს მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნიშან-თვისებებს. მაგალითად, დადასტურდა, რომ პირდაპირი ობიექტი რჩეობს ახლოს იდგეს (კონტაქტურად ან მინიმალური დისტანციით) ზმნასთან, ამასვე ცდილობს ვითარების გარემოებაც. დროის გარემოებას კი, პირიქით, მიდრეკილება აქვს — იდგეს წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციის¹⁰⁹ და ა. შ.

ვ) მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა სინტაქსური საშუალებებით (მირთვა, შეთანხმება კლასსა და რიცხვში) უკავშირდებიან ერთმანეთს წინადადების წვერები, და ყველა ერთად კი ცენტრალურ ლერქს — ზმნას. აღმოჩნდა, რომ ზოგი წვერი, რომელიც ოდენ მირთვის საშუალებით უკავშირდება ზმნას, მეტ პოზიციურ ელასტიურობას ამქადაგებს წინადადებაში. ასეთებია, მაგალითად, დროისა და ადგილის გარემოებები.¹¹⁰

ზ) სიტყვათა განლაგების საქმეში სათანადო როლს თამაშობს წინადადების მოდლობაც (თხრობითი წინადადება, კითხვითი წინადადება, ბრძანებითი წინადადება¹¹¹).

თ) განსაკუთრებული ღირებულებისაა, აგრეთვე, სტილისტიკური მომენტები¹¹².

აქვე ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებული ფაქტორები წინადადებაში მოქმედებენ არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მოწყვეტით, არამედ მეტწილ შემთხვევებში —

¹⁰⁸ იხ. ზემოთ.

¹⁰⁹ სათანადო კონსტრუქციებში არსებული ვითარების შემაპირობებელი ფაქტორების შესახებ — იხ. ზემოთ.

¹¹⁰ დროისა და ადგილის გარემოებათა ამ ელასტიურობას ამ მიზეზთან ერთად, როგორც სათანადო ადგილას დაუნახეთ, სხვა ფაქტორებიც შეაპირობებს.

¹¹¹ იხ. ქვემოთ.

¹¹² იხ. თავი: „სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია“.

ერაობლივად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ასე, მაგალითად, პირდაპირი ობიექტის მიდრეკილება—იღვეს ზმნასთან ახლოს—შეპირობებულია არამარტო სინტაქსური მომენტებით (შეთანხმება კლასსა და რიცხვში), არამედ ზოგი მორფოლოგიური ფაქტორითაც.

ვითარების გაუმჯობესის ზმნასთან პოზიციური სიახლოვის მიზეზად კი სათანადო ადგილას სინტაქსურთან (მიზთვა) ერთად გარკვეული სემანტიკური ფაქტორიც დავასახელებთ.

დროის გარემოების პოზიციის შედარებითი ელასტიურობა გამოწვეული ჩანს როგორც სემანტიკური, ისე სინტაქსური¹¹³ ფაქტორითაც და სხვ.

დამხმარე და ძირითადი პრედიკატული ცენტრების სინტაქსური მიმართება ერთმანეთთან

როგორც სათანადო ადგილას აღინიშნა, აფხაზურში იშვიათად გვხვდება წინადადება, რომელიც ოდენ ფინიტურ ზმნას შეიცავს. ამიტომ აფხაზურ წინადადებას ჩვეულებრივ ინფინიტური და ფინიტური კონსტრუქციების (resp. დამხმარე და ძირითადი პრედიკატული ცენტრების) ერთიანობა ქმნის.

ზემოთ შევეცადეთ დაწვრილებით განგვეხილა სიტყვათა განლაგების საკითხები ცალკეულ პრედიკატულ ცენტრებში, გაგვეანალიზებინათ თვითეულ კონსტრუქციასთან დაკავშირებული თავისებურებანი, ჩამოგვეყალიბებინათ ის საერთო და განსხვავებული ნიშან-თვისებები, რომელთაც სიტყვათა რიგის ამგვარი შესწავლა იძლევა.

მაგრამ აფხაზური წინადადება თავისი ინფინიტური და ფინიტური ცენტრებით ერთ მინც ერთი განუყოფელი მთლიანობაა და მასში სიტყვათა განლაგების საკითხი ბოლოს და ბოლოს განხილულ უნდა იქნეს ამ ერთი მთლიანობის საერთო ფონზე, მასზე დაყრდნობით. და ის, რაც ზემოთ გაკეთდა, ძირითადად ამ მთავარ მიზანს უნდა მოემსახუროს.

აფხაზურ წინადადებაში ერთ ძირითად პრედიკატულ ცენტრთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე დამხმარე პრედიკატული ცენტრი. დამხმარე პრედიკატულ ცენტრსა (ცენტრებსა) და ძირითად პრედიკატულ ცენტრს შორის სინტაქსური დამოკიდებულება ჩვეულებრივ ისეთივეა, როგორიც — წევრ-სიტყვათა შორის ცალკეუ-

¹¹³ დროის გარემოება ზმნასთან დაკავშირებულია შირთვის საშუალებით; წინადადების გართულება მეორეხარისხოვანი წევრებით ხანდახან აიძულებს მას გადაადგილდეს.

ლი პრედიკატული ცენტრების შიგნით: თვითიველი დამხმარე პრედიკატული ცენტრი ასრულებს რომელიმე წევრის (სუბიექტის, ობიექტის, გარემოების) როლს¹¹⁴, ძირითადი პრედიკატული ცენტრია¹¹⁵ კი, რომელსაც ფინიტური ზმნა ქმნის, ხმავს მთელს კონსტრუქციას. დამხმარე პრედიკატული ცენტრი ჩვეულებრივ პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი, ძირითადი კი პოსტპოზიციულად¹¹⁶. აქ გვაქვს დაახლოებით ისეთივე მიმართება დამხმარე პრედიკატული ცენტრისა ძირითადთან, როგორც სხვა ენათა (ვთქვათ, ქართული ენის) დამოკიდებული წინადადებისა მთავართან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

აღსანიშნავია, რომ ა. პოტებნია ისტორიულად დამოკიდებულ წინადადების პრეპოზიციას ვარაუდობდა¹¹⁷.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს თანამედროვე აფხაზური ენა (დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელიც თავისი მნიშვნელობით სხვა ენათა დამოკიდებულ წინადადებას უდრის, აქ ჩვეულებრივ პრეპოზიციულადაა მოცემული). რიგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში კი, მათ შორის, ქართველურშიც, ამჟამად თანაბარი გავრცელებულობისაა როგორც პრეპოზიციული, ასევე პოსტპოზიციური დამოკიდებული წინადადება, მაგრამ საგულისხმოა შემდეგი გარემოება: ეხება რა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ადგილს ძველი ქართული ენის რთულ ქვეწყობილ

114 შდრ.: „დამოკიდებული წინადადება არის იგივე წევრი მარტივ წინადადებასა, ოღონდ გავრცობილად, გაშლილად, წინადადების სახით წარმოდგენილი. თუ მარტივი წინადადების ქვეშედადარე გაშლილად, წინადადებად წარმოდგა, მაშინ ის ქვეშედადარე და მოკლებული წინადადება ექნება, თუ დამატება გაშალა — დამატებათა დამოკიდებული წინადადება მოიღება, თუ განსაზღვრება გაშალა — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გამოვა და ა. შ.“ (ვ. თოფჩიანი, რთულ ქვეწყობილ წინადადების მარტივი წინადადებით შენაცვლებისათვის ქართულში, წიგნი: ქართული ენისა და ლატვიანური სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X—XI, თბ., 1960, გვ. 13).

115 ძირითადი პრედიკატული ცენტრი ხანდახან შეიძლება შექმნას ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა სინტაქსურმა კავშირშიც (რესპ. რთულმა ზმნამ), მაგალითად: სასრგყია თიტგზ, სასრგყია თიხაზ ჰია აქ ოგნ აქ თიხაზეს რყახ (ლ. 35) აის, ჭრაც სასრრრრრ ვაკეთათ, ის, რაც სასრრრრრ თქვა, (ეს) იყო ამბად (ჰეს ქონდათ ამბად)“.

116 როგორც აღნიშნული იყო, პრედიკატულა ცენტრების ასეთი განლაგება არ არის ერთადერთი კანონზომიერება. მარტივ წინადადებას არცთუ იშვიათად შეიძლება ძირითადი პრედიკატული ცენტრი იწებდეს და დამხმარე პრედიკატული ცენტრი ან ცენტრები ამთავრებდეს. და ორივე შემთხვევაში დასრულებული სახის წინადადებას მისაღებად მარცხ ძირითადი პრედიკატული ცენტრი (ფინიტური კონსტრუქცია) თამაშობს გადაწყვეტ როლს.

117 იხ. А. А. Потення, Из записок по русской грамматике. III. М., 1963, гл. 267.

წინადადებაში. ა. კიზირია წერს: „ქრონოლოგიურად ინტერპოზიციად ყველაზე ახალია. აღრინდელი პრეპოზიციული წყობის გვერდით ზეითარდება პოსტპოზიციური წყობა, შემდეგ კი ფეხს იკიდებს ინტერპოზიციად, რომელიც უფრო მწიგნობრული წარმოშობისაა“¹¹⁸. ავტორი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ პრეპოზიციას რჩეობს ქვემდებარული, დამატებითი, პირითი, ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები¹¹⁹. ამ ფაქტზე მოუთითებს შ. ძიძიგურიც. „ძველ სალიტერატურო ქართულში, — წერს იგი, — სუბიექტ-ობიექტური დამოკიდებული წინადადებები, როგორც წესი, წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას“¹²⁰.

აუხაზური ენის მასალა ასეთ სურათს იძლევა:

ა) დამხმარე პრედიკატული ცენტრი სუბიექტის როლში

სუბიექტის როლში წარმოდგენილი დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელსაც **o ან ზ** აფიქსიანი ინფინიტური ზმნა ქმნის¹²¹, ჩვეულებრივ წინ უძღვის ძირითად პრედიკატულ ცენტრს:

ასლან კნგ აააზგაზ | სარა სოჰპ (ლ. 85) „ის, ვინც ლომი დაიჭირა (დაჭერით) მოიყვანა, მე ვარ“;

აბრი ატგშაა ააბგფო | აოჰპ ახაწა (ლ. 29), „ის ვინც ამ ორმოს გადაახტება, მამაცი ისაა“;

იტეაქიაზ | ნგწგაბარყეატ (გ. II, 134) „ისინი, ვინც ისხდნენ (მსხლმინი), წამოხტნენ“;

აეაზაზ | ფგტრაკ უს აეაეაეონ აბარწაქოგ (გ. II. 165) „ისინი, ვინც შეიკრიბნენ (შეკრებილნი), ცოტა ხანს ასე საუბრობდნენ აივანზე“;

ამშაფ აჩანგ ნაპარბეა ააპთნგ აეაზაზ თაჰადი ამგსთეა/აჰგზა ზეგ ჰყაა ააანგატ (გ. II, 149) „აღდგომა-დღეს ნაპარბეის სამთავროში შეგროვილი თავადი და აზნაური იმ ღამეს იქვე დარჩნენ“.

ბ) დამხმარე პრედიკატული ცენტრი პირდაპირი ობიექტის როლში

პირდაპირ ობიექტად გამოყენებული დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელსაც **o** აფიქსით ნაწარმოები ინფინიტური ზმნა ქმნის, წინ უძღვის სახელით გამოხატულ სუბიექტს. ამგვარად, გვაქვს: პირდა-

¹¹⁸ ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969, გვ. 81.

¹¹⁹ იბ. იქვე, გვ. გვ. 36, 45, 126, 143.

¹²⁰ შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969, გვ. 458.

¹²¹ უოველ ცალკეულ შემთხვევაში ინფინიტური ზმნა (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრი) შეაძლება წარმოდგენილი იყოს თანშეღები სიტყვებითურთ ან მათ გარეშე.

პირი ობიექტი—სუბიექტი—ზმნა (resp. პირდაპირ ობიექტად გამოყენებული დამხმარე პრედიკატული ცენტრი—სუბიექტი—ზმნა):

აძგ ჯაანაგაზ | აფშაა დავეტ (გ. II, 291) „ის რაც წყალმა მოატანა (წყლის მიერ მოტანილი რამ), ქარმა წაიღო“;

აპგ რკაზ ჯანგზ | ჯაგი იზღუჭუმგზტ (გ. II, 292) „ის, რაც ბრძანებაში ეწერა (ბრძანებაში „წერებულ“), ჯაგუმ არ იცოდა“;

იყალაზ თორყანგ იღგრჭაზაროჭპ (გ. II, 221) „ის, რაც მოხდა, თორყანმაც უნდა იცოდეს“;

ჭაყა იგღლაზგჯ | ... გირგიალ ჯაფაქია ჯაადგრბიგტ (გ. II, 299) „ისინიც, ვინც იქ იდგნენ (იქ მდგომნიც), გრიგოლის სიტყვებმა ჩააფიქრა“;

იყალაზ | ჰარგჯ იპაზღრჭამ (გ. II, 192) „ის, რაც მოხდა (მომხდარი), ჩვენც არ ვიცით“¹²².

მოცემულ წინადადებებში, როგორც ვხედავთ, გვაქვს წყობა: პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი. პირველ შემთხვევაში კი, როცა სუბიექტად გამოყენებულ დამხმარე პრედიკატულ ცენტრს განეიხილავდით, საპირას-პირო ვითარებას ჰქონდა ადგილი: სუბიექტს მოსდევდა სახელით გამოხატული პირდაპირი ობიექტი. მაგრამ საესებით ნათელია, რომ ეს დაპირისპირებულობა (ერთ შემთხვევაში: სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი, მეორე შემთხვევაში: პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი) გამოწვეულია აფხაზური წინადადების იმ თავისებურებებით, რომელთაც ზმნის ინფინიტობა-ფინიტობა ქმნის: არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში დაცული არ არის წვერთა სინტაქსური შეპირისპირების ერთი პრინციპი; ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა ენობრივი მონაცემები: პირველ შემთხვევაში სუბიექტად გამოყენებული დამხმარე პრედიკატული ცენტრი შეპირისპირებულია არა ძირითად პრედიკატულ ცენტრთან, არამედ სახელით გამოხატულ პირდაპირ ობიექტთან (აძლაგარა ზშაციხგფ იქიგრგგლანგ ინგყუთოზ | აქიბაქუ ბზია იპიგეტ „მან, ვისაც წისქვილი ფეხის ფრჩხილზე ეყენა (და) ისე მოგზაურობდა (ფეხის ფრჩხილზე წისქვილის დაყენებით მოსიარულემ), კარგი ამბავი თქვა“), მეორე შემთხვევაში კი პირდაპირ ობიექტად გამოყენებული დამხმარე პრედიკატული ცენტრი უპირისპირდება კონკრეტული

¹²² ხანდახან გვაქვს შებრუნებული რიგიც: სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი, მაგალითად: არი ახიჯა ჰაქიგზხრა აძიგ | დააგვეტ (ლ. 84) „ამ მოლამ ჩვენი დამლუპველი ვინმე მოიყვანა“; აღაბ იიპიაც | ეთეაქიგეტ (გ. II, 9) „აღიასმა კვლავ გაიმორა ის, რაც უკვე თქვა“; შგრზაყან აბრი იყალაზ | ანგ:ბა... იჩავგზგმშტ აქიგზარ, ჭაპა აქგჯ იგმგვიტ (გ. II, 237) „როცა მურზაყანმა დაინახა ის, რაც მოხდა, თავი ვერ მოაკლა თუ არა, არაფერი დააკლდა“; ათაცა ლხაწა ილახჯ : ეაქიგშოა | ანგლბა, დაზწააგტ (ლ. 357) „როცა პატარძალმა დაინახა, რომ მისი ქმარი მოწყენილია, შეეკოხა“ (მას, მამაკ.)“.

სახელით გამოხატულ სუბიექტს (აძგ ააანაგაზ | აფშაა ააგეატ „ის, რაც წყალმა მოიტანა (წყლის მიერ მოტანილი რამ), ქარმა წაილო)“. სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ თავს იჩენს ის თავისებურება, რომელიც დამახასიათებელია დამხმარე და ძირითადი პრედიკატული ცენტრებისაგან შემდგარი მთელი აფხაზური წინადადებისათვის. ამ თავისებურებას ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ცალკეული პრედიკატული ცენტრების შიგნით. ეს ნიშნავს: ცალკე აღებული პრედიკატული ცენტრი თავისი ბუნებით „მონოსინტაქსური“, ხოლო მთელი აფხაზური წინადადება კი (რომელიც დამხმარე და ძირითადი პრედიკატული ცენტრებისაგან შედგება) — „პოლისინტაქსური“ ხასიათისაა.

წესიდან გადახვევის (სუბიექტ-ობიექტის შებრუნებული რიგის) შემთხვევები კი გვაქვს როგორც ცალკეული პრედიკატული ცენტრების შიგნით, ასევე მთელს წინადადებაშიც; ამ უკანასკნელში შეიძლება შებრუნებულ რიგს გვიჩვენებდნენ: ა) პრედიკატული ცენტრები და ბ) წინადადების წევრად გამოყენებული დამხმარე პრედიკატული ცენტრი და სახელით (აჩსებითი სახელით, ნაცვალსახელით) გადმოცემული წინადადების წევრი.

რაც შეეხება თეზისს იმის შესახებ, რომ პროექციის ხაზი მთელს აფხაზურ წინადადებაში ჩვეულებრივ მიიმართება ლიაობიდან (resp. ინფინიტობიდან) ხშვისაკენ (resp. ფინიტობისაკენ), აქაც სავსებით გამართლებულია შემომოყვანილი მასალითაც: ა) დამხმარე პრედიკატული ცენტრის სუბიექტის როლში: რგშთახყა ააანახაზ ზეგ^გ/ აძლაბ ლნგჰაარა ააჰეჟნ (გ. II, 68) „ისინი, ვინც მათ შემდეგ დარჩნენ (მათ შემდეგ დარჩენილნი—ყველა), გოგოს ლოცავდნენ“, ბ) დამხმარე პრედიკატული ცენტრი პირდაპირი ობიექტის როლში: აძგ ააანაგაზ | აფშაა ააგეატ (გ. II, 291) „ის, რაც წყალმა მოიტანა (წყლის მიერ მოტანილი რამ), ქარმა წაილო“.

გ) დამხმარე პრედიკატული ცენტრი ირიბი ობიექტის როლში

ირიბი ობიექტის როლში გამოყენებული დამხმარე პრედიკატული ცენტრის მარჯვანიზებელია ი ნაცვალსახელოვანაფიქსიანი ინფინიტური ზმნა, მაგალითად: აფშეშა ალაას... აბრი ეფფშე აჟია რეჰჰეატ | აჩარა აჰეგ აააჰ (გ. II, 41) „მასპინძელმა აღიასმა ასეთი სიტყვა უთხრა იმათ, ვინც ქორწილში მოვიდა (ქორწილში მოსულთ)“.

დ) დამხმარე პრედიკატული ცენტრი
განსაზღვრების როლში

დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელიც განსაზღვრების როლს ასრულებს, ორგანიზებულია მიმართებითი **o ან ზ** აფიქსით ნაწარმოები ინფინიტური ზმნის (ე. წ. მიმლეობური ფორმის) საშუალებით:

ხიაჟიარფსგ² | ნარჯხოჟ ეჟფჟშე იხაწალიღიაზ | ჟაჟენ (ლ. 40) „ხეაჟეარფისიცი ნარჯხიოუსაჟით ძლიერი კაცი იყო“;

აფსნგ ღენსონ ხაწალიღიაქ|— შიარა ზქიჟმგზ, ჟაჟ ღგზხიართა-
მგზნაფჟა კაგია ჰია აძიგ (ლ. 62) „აფხაზეთში ცხოვრობდა ერთი ძლიერი კაცი — უშიშარი, უსაშველო ვინმე ნაფჟა კიაჟუა“.

ე) დამხმარე პრედიკატული ცენტრი დროის
გარემოებად

წვერ-გარემოებები წინადადებაში ხშირად გამოხატულია დამხმარე პრედიკატული ცენტრებით, რომელთა ზმნა საგარემოებო -ან, -(ა)ზ, -(ა)შა აფიქსებითაა ნაწარმოები.

საინტერესოა, რომ აფხაზური საგარემოებო აფიქსები, ქართული ენის სათანადო მონაცემებისაგან განსხვავებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებას გამოხატავენ¹²³.

კონსტრუქციას, რომელიც დროის გარემოებას გამოხატავს, აწარმოებენ საგარემოებო -ან, -(ა)შა აფიქსებიანი ინფინიტური ზმნები, მაგალითად:

ჟეგ ღაჟია დანაალგა|, სასრუჟია დღიჟილოჟტ აგიღლშაბ იშ-
რაიგ (ლ. 30) „მან (ღედაქ.), როცა თავისი სიტყვა დაამთავრა, სასრუჟია მიღის გველუშაპის მოსაქლავად“;

ახჟეა იშაააჟაზნარჯხოჟ ჟარღა ნაციკგს ხეჟალა ღნაგითა-
სენ, ინაციკგსგ² ხნაწიჟტ, ახა ჟარგ² ირბრუჟტ (ლ. 55) „ისარი რომ მოემართებოდა, ნარჯხიოუმ ნეკი გამოჰკრა რა (დაუხვედრა), ისარმა ნეკი მოაძრო, მაგრამ ისიც (ისარიც) აიცდინა (მან, ად.)“.

¹²³ შდრ.: „რომ“ კავშირი ქართულში მთავარ წინადადებასთან აკავშირებს განსაზღვრებით, დამატებით, დროის, მიზეზის, მიზნის, ვითარების გარემოებებით დამოკიდებულ და სხვა სახის წინადადებებს. „რომ“ კავშირმა საშუალო ქართულშივე ფართო გავრცელება ჰპოვა. მისი საშუალებით თათქმის ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მთავარ წინადადებას (ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადება-ისტორიისათვის ქართულში, I, თბ., 1963, გვ. 153).

3) დამხმარე პრედიკატული ცენტრი ადგილის გარემოებად

ადგილის გარემოებად გამოყენებული პრედიკატული ცენტრის მორგანიზებულია საგარემოებო -(ა)ხ¹²⁴ აფიქსიანი ინფინიტური ზმნა:

სარა სკგზცია შიგგკგჯ სარეა ღგჩრა ჰახცოხ|, მგშოცგა ბაფსკჟ ჰაქიშთან ჰაფგჟ ჰთალტ (ლ. 32) „მე და ჩემი ასი ამხანაგი სალაშქროდ საცა წავედით, (იქ) ავღარი შეგვხვდა რა, ერთ გამოქვაბულში შევედით“;

აფსნგ ჰახაააზ|, არი აჟაბჟ ზეგგ ირაჰახან (ლ. 61) „აფხაზეთში საცა მოვიდნენ, ეს ამბავი უკვე ყველას გაეგონა“.

ზ) დამხმარე პრედიკატული ცენტრი ვითარების გარემოებად

აფხაზურში ვითარების გარემოებად ჩვეულებრივ წარმოდგენილია დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელსაც ქმნის აბსოლუტივი—ცალკე ან თანმხლები სიტყვებითურთ. აბსოლუტივი უკავშირდება ფინიტურ ან ინფინიტურ ზმნას და გვიჩვენებს დამატებითს, „ვეორეხარისხოვან“ მოქმედებას:

ამარღჟან დნაჰიატთან, ექიფჟ, ითათგნგჟიგა ეაწაწანგ ათათჟ დახოტ (საკ. 38) „ექუფი აივანზე ჯდომით (აივანზე ზის რა), ყალიონის გატენით (ყალიონი გატენა რა) თამბაქოს ეწევა“;

ააალჯრყანგ, ააჟია დალგაანძა დაყიგწნგ, იხგნალჯიკნგ/აბას დწააბტ, (საკ. 27) „ანაზდად სიტყვის დამთავრებამდე თავმინებებით (თავი დაანება რა), თავის მიბრუნებით (თავი მიაბრუნა რა), ასე იკითხა“.

იშვიათად ვითარების გარემოებად გვაქვს დამხმარე პრედიკატული ცენტრი, რომელსაც ვითარებისავე საგარემოებო -(ა)შა აფიქსიანი ინფინიტური ზმნა ქმნის:¹²⁴ ახიგჰიჯ დშიგკჟაზ | აჯნგ დნეაბტ (ლ. 52) „ბავშვი როგორც მიბოდა (ისე) შინ შევიდა (=ბავშვი სირბილით შინ შევიდა)“; აარა იშიგჰჰიაზ ეაფშე/ ამშოცგა ყალებტ (ლ. 35) „მისი თქმისამებრ (ისე, როგორც მან თქვა) გაავდრდა“.

თ) დამხმარე პრედიკატული ცენტრი მიზნის გარემოებად

ამ ინფინიტურ კონსტრუქციას ქმნიან პირობითი ან მიზანპირობითი კილოს ფორმები. წინადადებაში ასეთი პრედიკატული ცენტრი ხშირად აბსოლუტურ პოსტპოზიციას რჩეობს:

¹²⁴ როგორც ვნახეთ, -შა აფიქსიანი ზმნები ჩვეულებრივ აწარმოებენ კონსტრუქციას, რომელიც დროის გარემოებას გადმოსცემს.

აჩვენა დიქციონერი ეგვიპტის ეგვიპტის რეფორმების (ლ. 52) „ცხენოსნები გაგზავნეს დანარჩენი ძმების მოსაძებნად“;

სასრულებელი დიქციონერი ავსტრალიის იმპერიის (ლ. 30) „სასრულებელი მილის გველეშაპის მოსაქლავად“.

სპორადულად წარმოდგენილია პრეპოზიციული მიზნის გარემოება: ლეგია ლაბა ააღარაზ დეკრეტ (ლ. 168) „წავიდა (იგი, დედა.) თავისი რკინის ჯოხის მოსატანად“;

აქაა წვა ზემამ აპიფა იფეგლარაზ იდიქციონერი (ლ. 48) „ურიცხვი ხალხი გაგზავნა (მან, ად.) ბატონიშვილის შესახვედრად“.

მიზნის გარემოებას ხანდახან ვადმოსცემს მასდარი: აბლაპია აფია-დეკრეტ პატრეთ თეხრა (გ. II, 296) „სწრაფად სოხუმში წავიდა სურათის გადასაღებად“; შექისგე ზნეკავსტი ანამესტიკ იპომომინიკ ვატაცი დნეატ გავრა პრინც ოლდენბურგსკი იქვგ სასრა (გ. II, 300) „ერთხელ კავკასიის ნაცვლის თანაშემწე ვატაცი პრინც ოლდენბურგსკისთან მივიდა სტუმრად გავრაში“.

ი) დამხმარე პრედიკატული ცენტრი მიზეზის გარემოებად

კონსტრუქციას, რომელიც წინადადებაში გამოიყენება მიზეზის გარემოებად, ჩვეულებრივ საგარემოებო - (ა)ხ აფიქსიანი ინფინიტური ზმნა აწარმოებს. წინადადებაში ამ კონსტრუქციის ადგილი შედარებით ლაბილურია, მაგალათად: პარა არახი ხგრხიავას იშაპამოჟ ეფფეშ უბას ხგრხიავას ააჩრემოჟ აზგ უბართ ახელაფშეცია ირალოჟ აძი აოჟპ (გ. II, 122) „ჩვენ საქონელი სასიკეთოდ (ჩვენდა საშველად) რომ გვყავს, ასე თავისდა საშველად (სასიკეთოდ) იმათაც რომ ჰყავთ, ამიტომ მტრობს უფროსებს (იგი, ად.)“; ითაბჟპ ააჩრემოჟ კააზ (ლ. 61) „გმადლობ, რომ ეს (რაღაც) გაარკვიე“. (შენ, მამაკ.)“

* * *

როგორც საილუსტრაციო მასალა გვარწმუნებს, ყველა დამხმარე პრედიკატული ცენტრი უშუალო სინტაქსურ კავშირში იმყოფება ძირითად პრედიკატულ ცენტრთან (resp. ფინიტურ ზმნასთან), აზუსტებს და აკონკრეტებს რა მას. რაიმე ნიშნის მიხედვით. მთელს წინადადებას კი დასრულებულ სახეს ფინიტური ზმნა (resp. ძირითადი პრედიკატული ცენტრი) აძლევს.


აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, როცა აღნიშნავთ: ყოველი დამხმარე პრედიკატული ცენტრი სინტაქსურად ძირითად პრედიკატულ ცენტრს უკავშირდება, თქმა არ უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ

თვით დამხმარე პრედიკატული ცენტრები (თუ ასეთი ცენტრი წინადადებაში ერთზე მეტია) ერთმანეთს სინტაქსურად არ უკავშირდებოდნენ. ცხადია, წინადადებაში ამ ცენტრთა შორისაც არსებობს ასეთი ურთიერთობა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს თავს იყრის ძირითადი პრედიკატული ცენტრის (resp. ფინიტური ზმნის) გარშემო და სინტაქსური კავშირი ცენტრთა შორის უპირველესად ხორციელდება ძირითადი პრედიკატული ცენტრის საშუალებით, რამდენადაც იგი წარმოადგენს წინადადების მთელი მექანიზმის მარჯვლიერებელ ლერძს. მაგალითად, წინადადებაში: დარა წგფხ აკოლხნარა აკანტორაჰეჟ აარაზნაჟ ინგქიდგრგვლტ ბგზშია ხკეს აჟთახგჟ ზეგ რგლა უზლაცაიჟო ატელეჟონ (მათ შარშან კოლმეურნეობის კანტორაში სწრაფად დადგეს ტელეფონი, რომლითაც რაგინდარა ენაზე ილაპარაკებ) — გვაქვს: ა) ფინიტური ზმნა (ინგქიდგრგვლტ), რომელიც სუბიექტთან (დარა) და წვერ-გარემოებებთან (წგფხ; (აკოლხნარა) აკანტორაჰეჟ; აარაზნაჟ) ერთად ქმნის ძირითად პრედიკატულ ცენტრს (დარა წგფხ აკოლხნარა აკანტორაჰეჟ ინგქიდგრგვლტ) და ბ) პირდაპირი ობიექტი (ატელეჟონ), რომელიც განსაზღვრებასთან ერთად (ბგზშია ხკეს აჟთახგჟ ზეგ რგლა უზლაცაიჟო ატელეჟონ) ქმნის დამხმარე პრედიკატულ ცენტრს და, მთლიანად აღებული, გვევლინება პირდაპირი ობიექტის როლში¹²⁵.

მსგავსივე ვითარებაა მაშინაც, როცა წინადადებაში ერთ ძირითად პრედიკატულ ცენტრთან (resp. ერთ ფინიტურ ზმნასთან)¹²⁶ რამდენიმე დამხმარე პრედიკატული ცენტრია წარმოდგენილი. განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ამჯერად სინტაქსურად ჯერ ერთმანეთს უკავშირდებიან ინფინიტური კონსტრუქციები (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრები), შემდგომ კი აქედან ყველა სინტაქსური ისარი ძირითადი პრედიკატული ცენტრისაკენ მიიმართება. მაგალითად, წინადადებაში: კამაჰგჟ იშლგჟლოზ ედფშე ლაშცია-ლგჟაცია ზეგ ბანგ, რგიგ ყაწანგ, დნგქილანგ ლგზნგყა დცეჟტ უბასყანგ ჯამაჰიჰჰმა, როგორც წინათ შვრებოდა ხოლმე, თავისი ძმები და ნათესაეები მოინახულა რა, მით გული მოუოხა (მათ) რა, გზას გაუდგა (და) ახლაც შინ წავიდა) — ერთ ძირითად პრედიკატულ ცენტრთან, რომელსაც ქმნის ფინიტური ზმნა (დცეჟტ), სუბიექტთან (ჯამაჰიჰჰმა) და წვერ-გარემოებებთან (ლგზნგყა; უბასყანგ) ერთად გვაქვს დამხმარე კონსტრუქციები, რომელთაგანაც

¹²⁵ განხილულ წინადადებაში წვერთა და პრედიკატულ ცენტრთა შორის არსებული სინტაქსურ ურთიერთობათა სქემა იხ. აქვე, გვ. 195.

¹²⁶ მართვ წინადადებაში ძირითადი პრედიკატული ცენტრი მხოლოდ ერთია.



ღრთ-ღერთს საღარემოეღო - ზო აფიქსიანი ინფინიტური ზმნა აწარმოეღს (იშაღღეჟღოღ ეღფჷღ), ღანარჩენეღს კი - აბსოღლუტივეღი (ბანჟ; ღნჟეიღ-ღანჟ)¹²⁷.

* * *

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დამხმარე პრეღიკატული ცენტრი (ცენტრეღი) ჩვეუღებრივე წინ უსწრეღს ღირითად პრეღიკატულ ცენტრს. მაგრამ არცთუ ისე იშვიათია ისეთი შემთხვევეღი, როცა წინაღღებას ღირითადი პრეღიკატული ცენტრი იწყეღს ღა ამთავრეღს დამხმარე პრეღიკატული ცენტრი ან ცენტრეღი. განსაკუთრეღით ამას აღვიღი აჟეღს მაშინ, როცა დამხმარე პრეღიკატულ ცენტრს კონტეჟსტში ან წინაღღებაში გემოთჟმული აზრის (შინაარსის) დამაკონკრეტეღელ-ღამაზუსტეღ-

¹²⁷ სათანაღო სჟეღა იბ. აჟეღ. გვ. 196.

დნკეილანგ

ვითარ. გარ. ↑ (აბსოლუტივი)

რგიგ ყაწანგ

ვითარ. გარ. ↑ (აბსოლუტივი)

ლაშცია-ლგჟაცია ზეგზ ბანგ

ვითარ. გარ. ↑ (აბსოლუტივი)

იშოლგჟელოზ ეაფშე

ვითარ. გარ. ↑ (ინფინიტ. ზმნა)

იშოლგჟელოზ ეაფშე ლაშცია-ლგჟაცია ზეგზ ბანგ, რგიგ ყაწანგ, დნკეილანგ

↑ ↓ დამხმარე პრედიკატული ცენტრი ↑ ↓
↓ ↑ ძირითადი პრედიკატული ცენტრი ↓ ↑

კამპეკ ლგვზყა დცეატ უბასყანგგ

ფინიტური ↓ ზმნა

დცეატ

დროის გარ.

უბასყანგგ

ადგილის გარ.

ლგვზყა

ბელი მნიშვნელობა ენიჭება და ამით ხაზი ესმება: ა) მთელი კონტექსტის გარკვეულ ნაწილს, ანდა: წინადადებაში შემავალ ძირითად პრედიკატულ ცენტრს. ამგვარად, ინფინიტური ზმნის (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრის) ბოლოკიდურობა ერთგვარად შეპირობებული ჩანს სტილისტიკურ-გამომხატველობითი მომენტით.

და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ის თვალსაჩინო ხვედრი წონა, რომელიც ამ მოვლენისთვისაა (დამხმარე პრედიკატული ცენტრის ბოლოკიდურობისათვის) დამახასიათებელი, არ შეიძლება შეპირობებული იყოს ოდენ სტილისტიკური ფაქტორით. როგორც ჩანს, იგი პრინციპში ენის სინტაქსური ბუნებიდან გამომდინარეობს. ეს საგნებით გასაგებ

იქნება, თუ გავიხსენებთ „წესიდან გადახვევის“ იმ შემთხვევებს, რომელთაც ადგილი აქვს წვერთა განლაგებაში მთელს წინადადებაში თუ ცალკეული პრედიკატული ცენტრების შიგნით. სხვანაირად რომ ვთქვათ, პრედიკატულ ცენტრთა „ინვერსია“ პროპორციულია წვერთა ინვერსიისა წინადადებაში თუ ცალკეულ პრედიკატულ ცენტრებში. ამდენად ფაქტი სრულიად კანონზომიერი ჩანს¹²⁸. ოღონდ ეს კია, რომ ეს პროპორცია ყველა შესაძარებელ რგოლში, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ ინარჩუნებს ასეთსავე კატეგორიულობას. მგაღლითად, ზოგი სახის დამხმარე პრედიკატული ცენტრის შიგნით, როგორც ვიცით, სიტყვათა რიგი შედარებით სტაბილურია, ხოლო პრედიკატულ ცენტრთათვის მთელს წინადადებაში ამის ასეთი მკაცრი აუცილებლობა საერთოდ არ არსებობს.

დამხმარე პრედიკატული ცენტრები ამ შემთხვევაშიც გვევლინებიან სუბიექტ-ობიექტებისა და წვერ-გარემოებების როლში.

წინადადებას შეიძლება ამთავრებდეს ყველა სახის ინფინიტური ზმნა: **o** და **z** ნაკვალსახელოვან და საგარემოებო -ან, -(ა)ზ, -(ა)შ აფიქსიანი, აგრეთვე, აბსოლუტივები, პირობითი და მიზან-პირობითი კილოს ფორმები: ა) ბოლოკიდურ დამხმარე პრედიკატულ ცენტრს ქმნის **o** ნაკვალსახელოვანაფიქსიანი ინფინიტური ზმნა: სუბიექტის როლში¹²⁹: ეაჭარას ირემოჭუხე ურთ?—რპიეტ ჭა იტოაქიაზ (გ. II, 28) „რა ნათესაობა აქვთ მათ ერთმანეთში? — თქვეს (იკითხეს) მათ, ვინც იქ ისტდენ“; პირდაპირი ობიექტის როლში: ლარა ლზნგგ იშაანაგარა იყაზ ჩთ წკკ ლგზპაატ, ნას—ასაპგნ, აჯკა უპია ახიკქ-მკქქია ავგ აათათახაშაშა (გ. II, 20) „მან (დედაკ.) იყიდა მცხთვის (დედაკ.) შესაფერი ჩითის კაბა, აგრეთვე—საპონი, მარილი და სხვა წერილმანი—სახლში საჭირონი (რომლებიც ოჯახში საჭიროა ხოლმე)“; გაიხიას იყას-

¹²⁸ ზ. კერაშევის მსგავსი მოვლენა შემჩნეულა აქვს ადილურ ენაში (იხ. **З. И. Керашев**, Основные синтаксические функции финитных и инфинитных глаголов в адыгских языках, Автореф. докт. дисс., Майкоп, 1969, გვ. 9).

აფხაზურში წარმოდგენილი ვითარების ჩვენეულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით საგულისხმო ჩანს ყაბარდოული ენის მონაცემი, რომელზეც ზ. კერაშევავე მიუთითებს დასახელებულ ნაშრომში. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ყაბარდოულ ენაში ინფინიტურ კონსტრუქციას წინადადებაში ერთი გარკვეული ადგილი არა აქვსო მარინილი. „ინფინიტურ წარმოებათა გადაადგილება და მათი დასმა ფინიტური ზმნის შემდეგ, — წერს ავტორი, — არის ერთ-ერთი არსებითი ხაზითის სინტაქსური თავისებურება, რომელიც ერთმანეთსაგან განასხვავებს ადილურ და ყაბარდოულ ენებს“ (დასახელ. ნაშრომი, გვ. 39).

¹²⁹ მწვედევლობაშია ასეთი ცენტრი სუბიექტის როლში.

ბითი და მიზან-პირობითი კილოს ფორმები¹²⁰: მიზნის გარემოების როლში: აჩვენა დიქტიორწმეტ ეგვრთ დაშვთა რეფშეაარა-ზგ (ლ. 52) „სხენოსნები გაგზავნეს დანარჩენ ძმათა მოსაძებნად“; სასრეყთა დიქტილოატ აგვლშაპ იშრაუკ (ლ. 30) „სასრიყვა მიდის გველშაპის მოსაკლავად“.

განხილული მასალა ძირითადად აფხაზური წინადადების ბუნებრივ (ნორმატიულ) წყობას გამოხატავს. მართალია, ბევრი წონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ინფინიტური კონსტრუქციის (resp. ინფინიტური ზმნის) ბოლოკიდურობა შესამჩნევად ჩამოუვარდება ფინიტური კონსტრუქციისას (resp. ფინიტური ზმნისას), მაგრამ ეს პირველის ბუნებრივობას არ ბღალავს: სრულიადაც არაა უცნაური, რომ ნაკლებგავრცელებული ენობრივი მოვლენა სავსებით კანონზომიერა იყოს, გამომდინარეობდეს ენის შინაგანი განვითარების თავისებურებებიდან (ამის მაგალითები მრავლადაა კიდევ სხვადასხვა ტიპის ენაში¹²¹).

ამიტომ ლებულება იმის შესახებ, რომ აფხაზური წინადადების დამაკვირვინებლად ფინიტური ზმნა (resp. ძირითადი პრედიკატული ცენტრი) გამოდის, ისე არ უნდა ვაევიოთ, თითქოს აუცილებელია ინფინიტური ზმნა (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრი) მუდამ წინ უსწრებდეს ფინიტურს (resp. ძირითად პრედიკატულ ცენტრს), თითქოს ეს უკანასკნელი ადგილის მიხედვითაც მანცდამანც ჩამხშველის როლში გვევლინებოდეს. ფინიტური ზმნა წარმოადგენს აფხაზური წინადადების ძირითად ლერძს, რომელზეც „ასხმულია“ ყველა დანარჩენი წევრი (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრები), მაგრამ არც მისი და არც ინფინიტური ზმნის ადგილი წინადადებაში მტკიცედ არაა ფიქსირებული და ეს აფხაზური ენის სინტაქსის მთელს ფონზე სავსებით კანონზომიერ მონაცემად მოჩანს. წინადადება რომ გვქონდეს, აუცილებელია ფინიტური ზმნის მონაწილეობა, მაგრამ ასევე აუცილებელი არაა მას მუდამ მეორე (ჩამხშველი) ადგილი ექიროს¹²².

¹²⁰ ამ სახის პრედიკატულ ცენტრთათვის ეს პოზიცია სავსებით ბუნებრივი ჩანს.

¹²¹ სხვა საკითხია, რა მიზეზი (თუ მიზეზები) განსაზღვრავს ერთის უფრო მეტ, ხოლო მეორის — ნაკლებ გავრცელებულობას (სათანადო აქსნა-ობ ზემოთ).

¹²² აფხაზურში ანდაზებად ან სახელდებათი წინადადების ფუნქციით არცთუ იშვიათად გვხვდება ფრაზები, რომლებშიც ფინიტური ზმნა არ მონაწილეობს. ასეთ შემთხვევებში ზმნის ფინიტური ფორმა მოცემულია ფაქულტატურად, მაგალითად: ნარჯხოტ ნართაა რაპიშა დშეგვაზ (ლ. 39) („როგორ წაყავანა ნარჯხოტმ ნართების და“) = არი ნარჯხოტ ნართაა რაპიშა დშეგვაზ (ატოგ) ლაკატგჰ, ჟიბაკეტგჰ... (ეს ის ზღაპარია (ამბავია), რომელიც ვაღმოსცემს (გვიყვება), თუ როგორ წაყვანა ნარჯხოტმ ნართების და); მა ვიდგტ ჩიგდა შაპრაპა (ქ. ლო მთათ იძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბაექტო ფორმები, იყ. II, 1948, გვ. 3) („არ-შქონე გულ-დილა უტყენოდ ფეხ-გაწვილია“) = აკგ იმპ, ახა ვიდგტ, ჩიგდა შაპრაპა დეყოტ (უქონელია,

აფხაზურში გვაქვს სამი სახის კითხვითი წინადადება: ა) წინადადება, რომელშიც კითხვითი აფიქსებით გაფორმებული ზმნა მონაწილეობს, ბ) წინადადების კითხვითობას გადმოსცემს მასში მონაწილე კითხვითი სიტყვა და გ) კითხვითობა ინტონაციითაა გამოხატული. ამათგან ყველაზე უფრო გავრცელებულია პირველი სახეობა, ყველაზე ნაკლებ მესამე სახის წინადადებებს ვხვდებით.

აფხაზური ენის კითხვითი აფიქსები, რომლებიც ზმნის ინფინიტურ წარმოებებს ერთვის, ნაირნაირი სახისაა¹³³. ესენია: -მა, -ჟ (სცო-მა? „მივდივარ?“ სცო-ჟ? „მივდივარ?“), -ე¹³⁴ (სგზო-ე? „არ ვხედავ (მას, რალაცას)?“ -ზეჲ? (იყასწო-ზეჲ? „რას ვაკეთებ?“ -და (იყასწო-და? „ვინ აკეთებს (მას, რალაცას)?“).

საგარემოებო კითხვითი ფორმები კი დაფუძნებულია საგარემოებო წარმოებებზე¹³⁵, მაგალითად: დ -ან -ბა -აჟეჲ? „როდის მოვა (იგი, ად.)?“ დ-გ-მამა -ცოჲ? „როგორ წავა (იგი, ად.)?“ დ-ა-ბა-ცოჲ? (← დ-აყ-ბა-ცოჲ¹³⁶ ← დ-აყ-ბა-ცოჲ?...) „სად მიდის (იგი, ად.)?“

წინადადებაში კითხვით სიტყვებად გამოყენებულია: დ არ ბ ან „ვინ?“ („ვინ არის იგი?“), ჯ არ ბ ან „რა?“ („რა არის იგი“), დ გ ზ ჟ გ ს თ ა „ვინ?“ („ვინ არის იგი?“) და ზ ა კ ი გ ჯ ო ზ ა კ ი გ ზ ე ჲ ? „რა?“ (რა არის იგი?“).

მაგრამ გულდიდია, უცხენოდ ფეხგაწვდილია). ხანდახან ზმნა სულ არ ჩანს: ტაწიტში აკიტგ აწკეს აბატით აკიტლ (რე.ზგ. 16) „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სყობს“.

უზნო ანდაზება სხვა იბერულ-კავკასიურ ენებშიც, კერძოდ, ქართულშიც გვაქვს: ძუნწის ოქრო შემკვიდრესაო; თვეზი მარხვაში, ცხენი აღმართშიო; ჩემსას ვარაზელაო, შენსას არათელაო; სხვისი კირიო—ლობეს ჩხირიო; როგორიც ერიო, ისეთაც ბერიო და სხვ. (იხ. ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა წიგნი: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959, გვ. 223—224).

¹³³ იხ. ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942.

¹³⁴ აწარმოებს უფრო უარყოფით ფორმებს.

¹³⁵ იხ. ქ. ლომთათიძე, დასახელ. ნაშრომი, გვ. 974.

¹³⁶ „დ-ა-ბა-ცოჲ“ ფორმაში, როგორც ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, -ბა კითხვითი აფიქსი უნდა იყოს, ხოლო ადგილას გამოხატვა უნდა ეკისრებოდეს ა-ს (დ-ა-ბა-ცოჲ?).

ავტორის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ა უნდა წარმოადგენდეს აჟ, ყ ნაწილაკების ნაშთს (იხ. დასახელ. ნაშრომი, გვ. 974), საკვებათ სარწმუნო ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ყ-ს დასუსტებას სისტემატურ ხასიათს აფხაზური ენის დიალექტების ზოგ თქმაში (ყ—ღ—O). საგულისხმოა, რომ ამ ნიშნის (ყ-ს დასუსტების) მიხედვით აბჟურ დიალექტში გამოიყოფა, მაგალითად, ათარის თქმა (იხ. ჩვენნი: აფხაზური ენის აბჟური დიალექტი, თბ., 1969, გვ. 010).

აფხაზურ კითხვით ფორმათა მრავალფეროვნება (resp. კითხვითი ფორმების ნაირნაირი წარმოება) არ პოულობს ადეკვატურ გამოხატულებას წინადადებაში სიტყვათა ვანლაგების მხრივ: სიტყვათა რიგი ყველა სახის კითხვით წინადადებაში ერთ პრინციპზეა დაფუძნებული: სხვადასხვანაირად ნაწარმოები კითხვითი ფორმები ან მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას და ამ გავებით დაახლოებით გვიჩვენებს ისეთსავე სურათს, როგორსაც ფინიტური კონსტრუქციის წინადადება.

არა აქვს, აგოეთვე, მნიშვნელობა არც იმას, კითხვითი ფორმა დადებითა თუ უარყოფითი.

ერთპირობანი კითხვითი ზმნის შემცველ წინადადებაში იმისდა მიუხედავად—გაუვრცობელია იგი თუ გავრცობილი, სუბიექტი ჩვეულებრივ პრეპოზიციულადაა წარმოდგენილი:

ა) მარტივ გაუვრცობელ წინადადებაში:

კამაქგჷ დაბაყოჷ? (გ. II, 60) „კამაქიკი სადაა?“

არდიგნა... აჩანანაკლოზმა? (გ. II, 67) „შაშვი განა გაჩუმდებოდა?“

ხელმა დანბაახტეჷ? (გ. II, 23) „სელმა კვლავ როდის მოვა?“

ნაპარბეჷ დგზმალგმზი? (გ. II, 138) „აკი, ნაპარბეი ეშმაკი არ იყო?“

აგიგრჯენ ზაწარა ზმანოჷზეჷ? (გ. II, 78) „რას ნიშნავს გვირგვინის დადგმა?“

ვითარება არ იცვლება არც მაშინ, როცა სუბიექტი აბსტრაქტული სახისაა (resp. როცა სუბიექტს σ ან Σ ნაცვალსახელოვანი აფიქსით ნაწარმოები ინფინიტური კონსტრუქცია გადმოსცემს). პირველი ადგილი აქაც სუბიექტს (აბსტრაქტულს) უჭირავს, შემდგომი—კითხვით ზმნას, მაგალითად: აბრი ამ დგუქძა აცკა ზგზწო დაბატიიჷ? „ვინაა (სადაურია) ის, ვინც ამ მდინარეზე (წყალზე) ხიდს გასდებს?“

ბ) ერთპირობანი ზმნის შემცველი წინადადება შეიძლება გავრცობილ იქნეს წვერ-გარემოებებით. მათ აქაც ზმნის მიმართ ჩვეულებრივ პრეპოზიცია უჭირავთ: კონტაქტურ პრეპოზიციას რჩეობს ვითარების გარემოება, მას წინ უძღვის ადგილისა და დროის გაჩემოებები. ამგვარად, გვაქვს: სუბიექტი—დროის გაჩემოება—ადგილის გაჩემოება—ვითარების გარემოება—ზმნა: მშიაგი ეცგ არახ ღამამ? „მშვაგვი გუშინ აქ მოვიდა?“ ანდა: მშიაგი არახ ირლასნჯ დააჷამამ? „მშვაგვი აქ მალე მოვა?“

მაგრამ ბუნებრივია, რომ ტექსტებში თითქმის არ გვხვდება შემთხვევები, როცა კონსტრუქციაში ყველა სახის წვერ-გარემოებაა წარმოდგენილი:

სუბიექტი—ვითარების გარემოება—ზმნა:

ბაბა ირლასნჯ დააჷოჷ? (გ. II, 49) „ბაბა მალე მოვა?“

რკიაგგლაციაგ გ ბაშა იფშეზმა? (გ. II, 156) „მოწინააღმდეგენი ცუდილად იცდიდნენ“

აბრი დგუაქარდგუბა დზლაყალაზეა? (გ. II, 150) „ეს დიდ ვაქრად როგორ იქცა?“

ართ რემატარა როტმა? (გ. I, 116) „ესენი მარტონი არიან?“

სუბიექტი — დროის გარემოება — ზმნა:

ბარა ტყაყ ბზდტბალოზეა? (გ. II, 248) „შენ (დედაკ.) მანდ (რალაცის გვერდით) რატომ ზიხარ?“

მშაგე არა დგყოტმა? (გ. II, 38) „მშაგევი აქ არის?“

სუბიექტი — დროის გარემოება — ზმნა:

ბაბა ჯან ა დმაძეა? (გ. II, 51) „მამა წუხელ არ მოვიდა?“

სუბიექტი — ადგილის გარემოება — ზმნა:

კამაქგუ ტყუი ლგვზ დგყაძამი? (გ. II, 216) „კამაქიკი ახლა შინ არ არის?“

ხანდახან სუბიექტმა ან ზოგიერთმა წვერ-გარემოებამ შეიძლება ზმნის შემდეგ გადაინაცვლოს, მაგალითად: ა) სუბიექტი ზმნის შემდეგ (კონტაქტურად): ტყაწიე დაატამა ბაბა? (გ. II, 50) „ხვალ მოვა მამა?“ ბ) ადგილის გარემოება ზმნის შემდეგ: ტყაწიე დგმტარგზი ახგლაფშეჯ ჯან? (გ. II, 48) „აკი, ხვალ არ წავიდოდა (იგი, ად.) ზედამხედველთან?“

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წვერ-გარემოებებს კითხვით წინადადებაშიც, ისევე როგორც სხვა სახის ინფინიტურ კონსტრუქციებში (აგრეთვე ფინიტურშიც), ახასიათებთ გარკვეული პოზიციური ლაბილურობა (შეიძლება ითქვას: აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა სახის ინფინიტურ კონსტრუქციებში): ვითარების გარემოება შეიძლება წინ უსწრებდეს ადგილის გარემოებას (თგნჩ უბრა ბზგშთამგლოა? (გ. II, 65) „მანდ მშვიდად რატომ არ დგახარ (შენ, დედაკ.)?“ დროის გარემოება მოსდევს სუბიექტს (ალაასრაა რქიე კამაქგუ ჯახა დაატ დმაატ? (გ. II, 215) „ალიასთან კამაქიკა წუხელ მოვიდა — არ მოვიდა?“) და სხვ.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში ირიბი ობიექტი ჩვეულებრივ დგას სუბიექტის შემდეგ — კონტაქტურად (თუ წინადადება წვერ-გარემოებებით არაა გავრცობილი); ორივეს კი (სუბიექტსა და ირიბ ობიექტს) ზმნის მიმართ პრეპოზიცია უჭირავთ, მაგალითად: ბარა სარა ბგსგკემკოზეა? (გ. II, 219) „შენ (დედაკ.) მერატომ არ მომყევი (ცოლად)?“ „უბერთ ჰარა იპაუციაზმა? (გ. II, 48) „ეგენი ჩვენ გენათესავობდნენ?“¹²⁷

¹²⁷ შესაგესსავე ვითარებას გეიწენებს სამპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებას: [შიარა! ასყამთა ხ ი გ შ ი ც ა ე - ბ გ ლ - შ ი ც კ ჰ ი ა ე გ შ ი გ ზ შ თ ა მ ა ლ ა ხ ე ა ? (გ. II, 17) „თქვენ ამდენ ხანს იპაუთვის (დედაკ.) წამალს რატომ არ გამოეღვენეთ (=მისთვის წამლა რატომ არ მოიძიეთ)?“.

იშვიათი არაა სუბიექტ-ირიბი ობიექტის შებრუნებული რიგიც: იწაბვრავიყანგ ურთ ჟა აშაგძ რმგზნიშ? (გ. II, 151) „მართლაც მათ იქ ციება არ შეეყარათ?“¹²⁸

წევრ-გარემოებების ადგილის მხრივ მოცემულ კონსტრუქციაში, ერთბირიანი ზმნის შემცველ კითხვით წინადადებასთან შედარებით, რაიმე თავისებურება არ შეიმჩნევა.

ორბირიანი გარდაშავალი ზმნის შემცველი წინადადება უპირველესად საყურადღებოა სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით. ზმნის მიმართ მათ აქაც ჩვეულებრივ პრეპოზიცია უჭირავთ:

ა) სუბიექტი—ზმნა:

ას ცუკარგლა შიარგჯ დგშოფაჟიგოა? (გ. II, 177) „ასე ნაჩქარევად თქვენც როგორ წაიყვანთ (მას, ად.)?“

ას ჟაჯგ იპიომა? (გ. II, 177) „ასე კაცი იტყვის?“

ჟიარგჯ სგშოჟოტგოა? (გ. II, 219) „შენც (მამაკ.) როგორ წამიყვან?“

აბნა იტიოჟ აჰჰაჰაცია იყარწოზეა? (გ. II, 147) „მანდ მსხდომი უფროსები (უფროსები, რომლებიც მანდ სხედან) რას (გა)აკეთებენ?“

ბ) პირდაპირი ობიექტი—ზმნა:

ბაბა დბარგოა? (გ. II, 47) „მამა სად მიჰყავთ?“

ბაბა დზგრგაზეა? (გ. II, 49) „მამა რატომ წაიყვანეს?“

ლ უშან მახნა დგბბამა? (გ. II, 37) „ლუმანი დღეს დაინახე (შენ, დედაკ.)?“

შგზონ აჟილარ შიფეაზგზგარგზ? (გ. II, 32) „შუადლისას ხალხს როგორ შეეგაროვებდი?“

ს გცხა ზგტმგაზეა? (გ. II, 203) „ჩემი თათლი რატომ არ წაიღე (შენ, მამაკ.)?“

სჩაადა აბოტგოა?¹²⁹ (გ. II, 311) „ჩემი სახედარი სად მიგყავს (შენ, მამაკ.)?“

ს გწლაქია ზგტრგაზეა? (გ. II, 203) „ჩემი ხეები რატომ გაახმე (შენ, მამაკ.)?“

არი უბტოჟ? (ლ. 107) „ამას ხედავ (შენ, მამაკ.)?“

აჯაბაა ზგტბოზეა? (ლ. 273) „ჯაჟას რატომ ხედავ (რატომ ირჩები) (შენ, მამაკ.)?“

¹²⁸ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 12.

¹²⁹ შდრ. სჩადა აბაჟგო? (გ. II, 311) „სად მიგყავთ ჩემი სახედარი?“ (საგარე-მოგზო კითხვით ფორმას კითხვითობის ი ნაწილაკი არ ერთვის).

უმჯავჯ ზლასგრკ აჭაჭაზე? (ლ. 362) „შენს (მამაკ). გზას როგორ შევამოკლებ?“

თუ პირდაპირი ობიექტი თვით კითხვით ზმნაში იგულისხმება, ცხადია, ასეთ შემთხვევებში მას შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტი-ლა ახლდეს, მაგალითად: ჭარა ჯააჭაზე? (ლ. 369) „შენ (მამაკ.) რა მოიტანე?“ (შდრ. ჯააჭაზე? „რა მოიტანე (შენ, მამაკ.)?“); აბნა იტიოჭ აჯაბაცია იყარწოზე? (გ. II, 147) „უფროსები, რომლებიც მანდ სხედან, რას აკეთებენ?“ (შდრ. იყარწოზე? „რას აკეთებენ?“); და პირიქით: თუ ზმნის ფორმაში პოტენციურად სუბიექტია მოცემული, მას შეიძლება ოდენ პირდაპირი ობიექტი ახლდეს: აბრი ჯახა ღზრკჯრ-სჯანჯზე? (გ. II, 96) „ეს დღეს რამ გააქრისტიანა?“ (შდრ. ღზრკჯრ-სჯანჯზე „რამ გააქრისტიანა?“); შიააზგაზე შიარა? (გ. II, 38) „ვინ მოგიყვანათ თქვენ?“ (შდრ. შიააზგაზე? „ვინ მოგიყვანათ?“).

გ) როცა წინადადებაში სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისაა წარმოდგენილი, ჩვეულებრივია წყობა: სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი — ზმნა:

ჭარა უბრი ეაფშაქია უღგრჭამა? „შენ (მამაკ.) ამისთანები იტი?“

ან ბზია აბრი ეაფშა აქია ლჭამა? „ქარგმა დედამ ამისთანა სიტყვა თქვა?“

სარა ენანძატი სგუაჯგუა ზლასგფსახრი? (გ. II, 226) „მე დღევანდელ ჩემს ადამიანობას როგორ ვულალატებ (როგორ შევეცვლი)?“

აბრი აწლაჭიგსთაფი აბრი ეაფშა აჩაგ ჯალგახზე? (გ. II, 171) „ამ ბერიკაცმა ასეთი ცხენი სად აარჩია?“

მსგავსსავე ვითარებასთან (სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი) გვაქვს საქმე მაშინაც, როცა კონსტრუქციაში აბსტრაქტული პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი (ასეთ შემთხვევებში ტექსტებში სუბიექტი ჩვეულებრივ იშვიათად ჩანს).

აბსტრაქტული პირდაპირი ობიექტი შეიძლება გადმოცემული იყოს: ა) კონსტრუქციით, რომელსაც ინფინიტური ზმნა ქმნის და ბ) კონსტრუქციით, რომლის მთავარი ნიშნულად ფინიტური ზმნა გამოდის:

ა) აბსტრაქტულ პირდაპირ ობიექტად გვაქვს კონსტრუქცია, რომელსაც ინფინიტური ზმნა ქმნის:

უბრგგ აკგჯ ჯამაანამ უჭიარ, იხასწომა? (გ. II, 187) „მეც რაიმე ეშმაქური აჩ არისო რომ თქვა (შენ, მამაკ.), დავიჭერებ?“

აძვირ ხივჭკვ უხვ ნთაფგაყარ, შაფოუბოა? (გ. II, 203) „ვინ-მემ თავი ცოტათი რომ გაგიპოს (შენ, მამაკ.), როგორ ხედავ (=როგორ უყურებ ამ საქმეს)?“

ზაყა შხაც თაჟგრაზა უღვრტამა? (გ. II, 203) „იცი, რამდენი ფუტკარი დახოცე (შენ, მამაკ.)?“

ისპიაზ ელღტრგამა? (გ. II, 301) „რაც ვთქვი, გაიგე (შენ მამაკ.)?“
იყაშიწო ზაკიზხეა? (ლ. 398) „ის, რასაც აკეთებთ, რა არის?“

ირპიო ბმაპაჟეა? (გ. II, 137) „ის, რასაც ამბობენ, არ გესმის (შენ, დედაკ.)?“

აბსტრაქტული პირდაპირი ობიექტი შეიძლება ხანდახან მოსდევდეს კითხვით ზმნას, მაგალითად: იშიზგმღვრტეა აბრა ჰაფსნგ იშოგყოჟ? (გ. II, 166) „არ იცით, აქ, აფხაზეთში, როგორაა ხოლმე (=როგორაა ხოლმე წესად მიღებულში)?“ იშიზგზოა: ზაყაჟ ტაა აბრა იგგლოჟ? (გ. II, 71—72) „ვერ ხედავთ, რამდენი კაცი დგას აქ?“

ბ) აბსტრაქტულ პირდაპირ ობიექტად გამოყენებულია კონსტრუქცია, რომელსაც სათავეში უდგას ფინიტური ზმნა:

ტაწიაშთახ დააჟეატ უპაიმა? (გ. II, 126) „შენ (მამაკ.) თქვი, რომ ზეგ მოვა (იგი, ად.)?“

ტაწიაშთახაჟგხა დცოატ უპაიმა? (გ. II, 126) „შენ (მამაკ.) თქვი, რომ ზეგლამ წავა (იგი, ად.)?“

აპაპგა აღინ ჟგსგა ზგრკიადაშააზ დგჟგსუჟ დიდიანგ დყალაატ უპაიმა? (გ. II, 87) „შენ (მამაკ.) თქვი, რომ მღვდლისა და წეს-ჩვეულების აბუჩად ამგდებ ძლიერ პიროვნებად იქცესო (იგი, ად.)?“

აბსტრაქტული პირდაპირი ობიექტის როლში შეიძლება მოგვევლინოს კითხვითივე სიტყვა: იპახზეა უმბოა? (ლ. 399) „ვერ ხედავ (შენ, მამაკ.), რა მოგვივიდა?“

საქმაოდაა გავრცელებული სუბიექტ-ობიექტის შებრუნებული განლაგებაც, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მოცემულ კონსტრუქციაში არ არსებობს ისეთი მოაფლოვიურ-სინტაქსური პირობები, რომელთაც შეეძლებოდათ შეეზღუდათ „პირდაპირი“ რიგის (სუბიექტი—ობიექტი) რღვევის პროცესი.

სათანალო მაგალითებია:

ჟგა ჰარა იპამღვრტეა? (გ. II, 21) „გ ჩვენ არ ვიცით?“

აბრი ედჟშა ცცაკჟა ტაჟ იბახრომა? (გ. II, 168) „ასეთი აჩქარება ვინმეს (კაცს) უნახავს?“

ახარჯ ყაწარა ხარა იშეფაბოა? (გ. II, 81) „ხარჯის ქმნას (და-
ხარჯვას) შენ (დედაკ.) როგორ ხედავ (= როგორ უყურებ შენ ამ საქმეს)?“

ავიგვრგუნ ხაწარა ჟარა იშეფოა? (გ. II, 85) „გვირგვინის
დადგმას (შენ, მამაკ.) როგორ უყურებ?“

ზეგჯ ხარა იზლასპოა? (გ. II, 159) „ყველაფერს მე როგორ
ვიტყვი?“

იშვიათად სუბიექტი ან ობიექტი შეიძლება იდგეს ზმნის შემდეგაც,
რაც ჩვეულებრივ სტილისტიკური ფაქტორითაა შეპირობებული, მაგა-
ლითად: ა) პოსტპოზიციური სუბიექტი: იყაფწახტაზი აღაას? (გ. II, 74)
„რას გააკეთებდა (რას იქმნოდა) ალიასი?“ ბ) პოსტპოზიციური პირდაპირი
ობიექტი: ჟაჟიგ იბამა აწართუშა დეკვლარა? (გ. II, 112) „ახლა-
და ნახა (მან, ად.) ქრთამის მიღება?“ ჟაჟიგ იყიბამა აბრი ეფშე
აჟგს? (გ. II, 177) „ახლა-ლა ნახეთ ასეთი საქმე?“ ფშეგმა ბააფსუს
ჰშიფგზაძამა ჰარა? (გ. II, 169) „ცუდ მასპინძლად ჩავეთვალეთ ჩვენ?“
აბოჟუგა აპკრკაზ? (გ. II, 292) „სად წაიღე (შენ, მამაკ.) ბრძანება
(ბრძანების ქალაქი)?“ იზგამჟაზეა აბ იფსხიგ? (გ. II, 234) „რატომ
არ აკეთებს (იგი, ად.) თავისი მამის აღაას?“ და სხვ.¹⁴⁰

კითხვით კონსტრუქციაში ჩვეულებრივ შეიძლება მონაწილეობდეს
რომელიმე წევრ-გარემოება (დროის, ადგილის, ვითარების). ძალზე იშ-
ვიათია შემთხვევა, რომ რამდენიმე ასეთი წევრი ერთდროულად იყოს
წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ეს იმითაა გამოწვეული, რომ კითხვა მუდამ
ცდილობს დააზუსტოს წინა წინადადებაში ან საერთოდ კონტექსტში
გამოთქმული შინაარსი. იქვეა (წინა წინადადებაში თუ კონტექსტში)
წარმოდგენილი ის წევრ-გარემოებებიც, რომლებიც საჭიროა ძირითა-
დი აზრის გადმოსაცემად. ამიტომ მომდევნო კითხვით კონსტრუქციაში,
რომელიც მოწოდებულია დააზუსტოს და დააკონკრეტოს უკვე გა-
მოთქმული აზრი¹⁴¹, ბუნებრივია, არ არსებობდეს მათი განმეორების
აუცილებლობა; ამჯერად წარმოჩნდება მხოლოდ ის შემოკლებების
წევრი, რომელიც გამოტოვებულია კონტექსტში:

¹⁴⁰ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 13.

¹⁴¹ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს თვითონ კითხვით წინადადება აკონკრე-
ტებდეს და აზუსტებდეს წინადადებაში ან კონტექსტში გამოთქმულ აზრს. ჩვენ იმის
თქმა გვინდა, რომ კითხვითი წინადადება მხოლოდ ისახავს ასეთ მიზანს. შინაარსის
დაზუსტება-დაკონკრეტება კი მუდამ მოცემულია კითხვითი წინადადებისათვის გაცემულ
პასუხში, ე. ი. ისევ თხრობით წინადადებაში.

		კომუნალურების სისტემა					
		აონბინდოვო რ-ს მდებარე იონი-რინდო" რონბინდოვო რ-ს	აონბინდოვო რ-ს მდებარე იონი-რინდო" რონბინდოვო რ-ს	აონბინდოვო რ-ს მდებარე იონი-რინდო" რონბინდოვო რ-ს	აონბინდოვო რ-ს მდებარე იონი-რინდო" რონბინდოვო რ-ს	აონბინდოვო რ-ს მდებარე იონი-რინდო" რონბინდოვო რ-ს	აონბინდოვო რ-ს მდებარე იონი-რინდო" რონბინდოვო რ-ს
1	პირდ. რბ.—კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ	91	51	28	25	17	10
2	კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ—პონრდ. რბ.	20	4	7	3	1	13
3	სუბ.—პონრდ. რბ.—კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ	17	5	7	3	1	1
4	პონრდ. რბ.—სუბ.—კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ	11	1	9	2	1	6
5	პონრდ. რბ.—კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ—სუბ.	6	—	—	—	1	—
6	კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ—სუბ.—პონრდ. რბ.	4	—	1	—	—	4
7	კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ—პონრდ. რბ.—სუბ.	3	—	—	—	—	—
8	სუბ.—კონტყონო ფონრბის რონბ. გონრდომ. ზმონ—პონრდ. რბ.	1	—	—	—	—	—

წვერთო თონკომბდოვონო კონბინდოვონო

რ რ

ა) დროის გარემოება კითხვით წინადადებაში შეიძლება იღვეს როგორც პირდაპირი ობიექტის წინ, ისე მის შემდეგაც: შგბჟონ აქილარ შიფეზზგარგზ? (გ. II, 32) „შუალისას ხალხს როგორ შეეგროვებდი?“ აბართ ასასცია ჟახგკჰიგ ზრგაზუგ (გ. II, 48) „ამ სტუმრებმა ერთ ლამეს ჩვენი ცხენი რატომ წაიყვანეს?“ ლუმან აახა ღებამა? (გ. II, 37) „ლუმანი დღეს (დღეს-ლა) ნახე (შენ, დედაკ.)?“

ბ) ადგილის გარემოება უფრო პოსტპოზიციურად ეკედლება კითხვით ზმნას: სკკიგენ-მათაქია ჟახ- ისგმაძოგ? (გ. II, 64) „ჩემი ბიჭის ტანსაცმლებს იქით არ წავიღებ?“ აყიარანქია რეფფშე აბრაცა შიაზგაზუგ? (გ. II, 38) „ყორნებივით აქ რამ მოგიყვანათ?“

გ) ვითარების გარემოება ხან სუბიექტ-ობიექტის წინ დგას, ხანაც უშუალოდ ემეზობლება ზმნას, მაგალითად: ას ცცაქრგლა შიარგ ღშეფაქიგოგ? (გ. II, 177), „ასე საჩქაროდ თქვენც საღ მიგყავთ (იგი, ად.)?“ ას ჟაჯ იპიომა? (გ. II, 177) „ასე ვინმე იტყვის?“ ან შეიძლება გქონდეს: ჟაჯ ას აქიაბე იპიომა? „კაცი ასე ამბავს იტყვის?“ ანდა: ჟაჯ აქიაბე ას იპიომა? „კაცი ამბავს ასე იტყვის?“

პოზიციის ამგვარ ლაბილურობას მოცემულ კონსტრუქციაში გვიჩვენებს არამარტო ვითარების გარემოება, არამედ სხვა წვერი-გარემოებებიც. ეკვი არაა, ამაში მათ ხელს უწყობს ის, რომ კითხვითი წინადადება, როგორც უკვე აღინიშნა, გადატვირთული არაა მეორეხარისხოვანი წვერებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთადერთმა წვერ-გარემოებამ, რომელიც ჩვეულებრივად წარმოდგენილთ, „კონკურენტის“ უყოლობის გამო, მეტი თავისუფლება მოიპოვოს და წინადადებაში სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ადგილი აირჩიოს.

სამპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში გარკვეული თავისებურება შეაქვს ირიბ ობიექტს. აქაც ტექსტებში ჩვეულებრივ წარმოდგენილია ერთ-ერთი წვერი (სუბიექტი, ირიბი ობიექტი ან პირდაპირი ობიექტი), არაიშვიათად გვაქვს ერთდროულად ორი წვერიც (სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი; სუბიექტი—ირიბი ობიექტი), შედარებით ნაკლებ კი—სამივე წვერი (სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი—ირიბი ობიექტი). მათ ამჯერადაც ზმნის მიმართ ჩვეულებრივ პრეპოზიცია უქირავთ:

ა) სუბიექტი—ზმნა: აჰ აჟგაზი? (ლ. 396) „ბატონმა რა მოგცა (შენ, მამაკ.)?“ ჰარგ ღშეფაშიაპთოგ? (გ. II, 177) „ჩვენ როგორ მოგცემთ (მას, ად.)?“

ბ) პირდაპირი ობიექტი—ზმნა: ზაყანტი ჟგ ბაჰპიახ-ოჟუგ? (გ. II, 162) „რამდენჯერ გითხარით ეგ (შენ, დედაკ.)?“ ჟგ ბაჰთოდა? (გ. II, 74) „ვინ მოგცემს (მას, რალაცას)?“ აჰაქგმ დგლზააქიგარჟუგ?

(გ. II, 25) „რა იქნება (რა მოხდება), რომ მას (დედაკ.) ექიმი მოუყვანოთ?“ არი ამა ციაზ ბგზთადა? (ლ. 102) „ეს ბექელი ვინ მოგცა (შენ, დედაკ.)?“

გ) ირიბი ობიექტი—ზმნა: ბარა იბაზჰიდა? (გ. II, 216) „შენ (დედაკ.) ვინ გითხრა (იგი, რალაკ.)?“

თუ კონსტრუქციაში სუბიექტი და პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი, პირველი ადგილი ჩვეულებრივ სუბიექტს უჭირავს, შემდგომი კი—პირდაპირ ობიექტს:

მახიფჰა ანხაჯთფჰა დაჰზააგამა? (გ. II, 223) „ჩვენმა ნათლიამ გლახის ქალიშვილი მოგვიყვანა?“

ცაგარაკ ჰუჯ ლზჰ ძიგრ კგრ ბალჰიამა? (გ. II, 158) „ვინმემ მისი (დედაკ.) აუფი გითხრა (შენ, დედაკ.)?“

თუ წინადადებაში წარმოდგენილია პირდაპირი და ირიბი ობიექტები, ჩვეულებრივ გვაქვს რიგი: ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი—ზმნა, ე. ი. პირდაპირი ობიექტი აქაც ცდილობს—იყოს ზმნის უშუალო მეზობლობაში:

ურთ ზეგ ზაყა რზგრშუჰე? (გ. II, 234) „მათ, ყველას, რამდენი დაუკლეს (საკლავი)?“

კამაჰჰჰჰ ადგრრა ზლგშეგმთოზე? (გ. II, 239) „კამაჰიჰს ცნობას რატომ არ აძლევთ?“

აფჰიჯზბა ჰა ლზგრჰიამა? (გ. II, 168) „გოგოს პირობა ათქმევინე (=პირობა მიაცემინე) (შენ, დედაკ.)?“

ჰქგთაქია რგხძ იზგრწადა? (გ. II, 287) „ჩვენი სოფლების სახელები ვინ ასწავლა?“

ხშირია შებრუნებული (პირდაპირი ობიექტი—ირიბი ობიექტი) რიგიც, მაგალითად:

აძლაბ ამლა დაპარგომა? (გ. II, 71) „გოგოს შიმშილს მოვკვლევინებთ?“

ურგრგ ლარა ილაზჰიდა? (გ. II, 218) „ეგ მას (დედაკ.) ვინ უთხრა?“

აფსნგ ზეგჯ მარა ირთამა? (გ. II, 271) „მთელი აფხაზეთი მას (ად.) მისცეს?“

თუ კითხვით წინადადებაში სამივე წევრია წარმოდგენილი, ჩვეულებრივ გვაქვს წყობა: სუბიექტი—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი—ზმნა:

მახიფჰა ბზიახი ჰარა იბაათსუზ აძი დაჰზააგოზმა? (გ. II, 223) „ჩვენი კარგი ნათლია ჩვენ ცუდ ვინმეს მოგვიყვანდა?“

ბარა აქანჯა აწკგ აზგბძახტამა? (გ. II, 26) „შენ (დედაკ.) დედოფალას კაბას უკერავ?“

ორიბმა ობიექტმა ხანდახან შეიძლება სუბიექტის წინ გადაინაცვლოს, მაგალითად: ჟარა... ამ იფჰა დტჰეათომა? (ლ. 273) „შენ (მამაკ.) ბატონი თავის ქალიშვილს მოგცემს?“

არაიშვიათად ირიბი ობიექტი ზმნის შემდეგ გადაადგილდება ხოლმე, რაც ჩვეულებრივ გამოწვეულია ჩვენთვის ცნობილი ფაქტორით—კონსტრუქციის „განტვირთვის“ შინაგანი მოთხოვნილებით: ახნა აწოა ზგიდგლწადა აპ იფჰა ააწბგ? (ლ. 260) „დღეს ვაშლი ვინ ესროლა ბატონის უმცროს ქალიშვილს?“¹⁴²

რაც შეეხება წვერ-გარემოებათა ადგილს მოცემულ კითხვით წინადადებაში, შეიძლება გავიმეორათ იგივე, რაც ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ სათანადო კონსტრუქციასთან დაკავშირებით ითქვა¹⁴³.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კითხვითობა ზოგჯერ შეიძლება გამოხატულ იქნეს ინტონაციის საშუალებითაც. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ზმნა მიზან-პირობითი კილოს ფორმითაა წარმოდგენილი¹⁴⁴.

როგორც ვხედავთ, ყველა სახის კითხვით წინადადებაში ზმნას მიღრეკილება აქვს—იდგეს აბსოლუტურ პოსტპოზიციიაში, იშვიათად კი—აბსოლუტურ პრეპოზიციიაშიც. ამის მიზეზია ის, რომ მთელი წინადადების კითხვით შინაარსს ზმნა გამოხატავს (მასშივეა წარმოდგენილი კითხვითი აფიქსები), და თავისი ასეთი პოზიციით მას შესაძლებლობა ეძლევა მთელი წინადადების ყველა დანარჩენი წვერი თავის გაგლენაში („კითხვითობაში“) მოაქციოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზმნით გამოხატული მოქმედება (კითხვითობა) მთელს წინადადებას ეკუთვნის; ამ როლის შესრულებას კი, ცხადია, ყველაზე უკეთ და ყველაზე ადვილად წინადადების ის წვერი შეიძლება, რომელიც თავკიდურად ან ბოლოკიდურად დგას.¹⁴⁵

¹⁴² იხ. სტატისტიკური ტაბულა № 14.

¹⁴³ იხ. ზემოთ.

¹⁴⁴ საგულისხმოა, რომ კითხვითობის ინტონაციური გამოხატვის ერთ-ერთ შემთხვევად „ყაბარდოულ-ჩერქეზული ლატერატურულა ენის გრამატიკაში“ დასახელებულია წინადადება, რომელშიც მონაწილეობს ზმნა პირობით-კავშირებითი კილოს ფორმით: არ ყალწმ კიანთ? „Он пошел бы в город“ (იხ. Грамматика кабардино-черкесского литературного языка, М., 1957, გვ. 163).

¹⁴⁵ შდრ. სათანადო მსჯელობა, რომელიც დროის გარემოების ადგილთან დაკავშირებით გვაქვს მოცემული.

№	წვერთა თანამიმდევრობა კონსტრუქციისათვის	კონსტრუქციების სისწორე					
		აონბანდისფრე ჟ-„აზრდამ ჟინდ-ჟ“ ონჟონდ ჟინდ-ჟ“ ონჟონდ	აონბანდისფრე ჟინდ-ჟ“ ონჟონდ	აონბანდისფრე ჟინდ-ჟ“ ონჟონდ	აონბანდისფრე ჟინდ-ჟ“ ონჟონდ	აონბანდისფრე ჟინდ-ჟ“ ონჟონდ	აონბანდისფრე ჟინდ-ჟ“ ონჟონდ
1	ბონდ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა	23	6	11	4	9	4
2	ბონდ. ობ.—ბონ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა .	5	2	—	—	—	—
3	კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონ. ობ.—ბონდ. ობ.	4	—	—	—	—	—
4	სუბ.—ბონდ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა .	4	1	3	1	—	—
5	ბონ. ობ.—ბონდ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა .	4	2	—	—	—	—
6	კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონდ. ობ. . .	3	1	—	1	—	7
7	ბონდ. ობ.—სუბ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა .	2	—	—	—	—	—
8	კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონდ. ობ.—ბონ. ობ. .	—	—	—	—	—	3
9	კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონდ. ობ.—სუბ.	—	—	—	—	—	3
10	სუბ.—ბონდ. ობ.—ბონ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა .	1	—	—	—	—	—
11	ბონდ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონ. ობ.	1	—	—	—	—	—
12	ბონ. ობ.—სუბ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა .	—	—	—	—	—	—
13	ბონ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონდ. ობ. .	—	—	—	—	—	—
14	ბონდ. ობ.—კონსტრუქციონი ფორმის სანბ. გარდამ. ზმნა—ბონ. ობ. . .	—	—	—	—	—	—

ა ა

ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ აფხაზურ კითხვით სიტყვებსაც: დარბან („ვინ?“ „ვინაა იგი?“ = „ის, ვინც არის, ვინაა?“), დგზჟგსთა? („ვინ?“ = „ის, ვინც არის, ვინაა იგი?“), ძარბან? („რა?“ = „ის, რაც არის, რაა იგი?“) და ზაკიგაჟ? || ზაკიგზეაჟ? („რაა?“ = „ის რაც არის, რაა იგი?“) წინადადებაში აბსოლუტური პრეპოზიციის უფრო ხშირად ან აბსოლუტური პოსტპოზიციის (უფრო ნაკლებ) უპირატესობა. ოღონდ აქ ისიცაა ხაზგასასმელი, რომ მათი პოზიციის ჩვეულებრივ უფრო სტაბილურია. ამ მხრივ გამოირჩევა კითხვითი სიტყვები: დარბან? („ვინ?“), დგზჟგსთა? („ვინაა იგი?“) და ძარბან? („რა?“)¹⁴⁶, რომლებიც წინადადებაში მუდამ აბსოლუტურ პრეპოზიციის დგას¹⁴⁷. ეს იმით უნდა იყოს შეპირობებული, რომ დასახელებული კითხვითი სიტყვები ერთდროულად სუბიექტისა და ზმნის (resp. ზმნა-სუბიექტის) ან სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის (resp. სუბიექტ-ობიექტის) ფუნქციებს იკუთხვენ, რაც ნიშნავს: მათში თავს იყრის მთელი წინადადების ძირითადი კათხვითი შინაარსი, ამიტომ წინადადებაში ლოგიკური მახვილიც მათზე მოდის და მათი პოზიციაც (აბსოლუტური თავკიდურობა) სავსებით გასაგები ჩანს¹⁴⁸.

ამგვარად:

ა) კითხვითი სიტყვები: დარბან? დგზჟგსთა? ძარბან? წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციისაში:

დარბან ჟეა შიგიგლა ფჰიგს რაჰიდა? (გ. II, 76) „ვინაა ეგ თქვენი შეზობელი ქალი რაფიდა?“

დგზჟგსთა არაყა სთგძშია ზჰიო? (გ. II, 38) „ვინაა (ის), აქ ჩემს ამბავს რომ ამბობს?“

ძარბან ჟეა ძჟასჰიაზ? (გ. II, 79) „რა არის ეგ, რაც მე გითხარი?“

¹⁴⁶ რაც შეეხება ზაკიგზეა-ს („რა არის იგი?“), მას თათქოს მეტი პოზიციური ელასტიურობა ახასიათებს.

¹⁴⁷ მათ შეიძლება წინ უძღოდეს მხოლოდ ზოგიერთი ნაცვალსახელი.

¹⁴⁸ ასეა ეს სხვა ენებშიც: კითხვითი სიტყვა (და არა ზმნა) მუდამ წინადადების თავშია: ვინ მოვიდა? ვინ მოიტანა? რა წაიღეს? Кто пришёл? Кто сказал? Что ты думаешь об этом? და სხვ. ეს ფაქტი აღნიშნული აქვთ ადილუური ენის გრამატიკის ავტორებსაც: კითხვითი წინადადებები, — ვკითხულობთ აქ, — ხასიათდება თავისებური სიტყვითა რიგით; ამასთან კითხვითი სიტყვა ჩვეულებრივ, თუ ინვერსიას არა აქვს ადგილი, დგას პირველ ადგილას (Г. В. Погава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, გვ.354).

ბ) კითხვითი სიტყვა ზაკივზეა წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციისაში:

ზაკივზეა აუბატყალეჟა? (გ. II, 292) „რას ბოლავ (რა არის ის, რასაც ბოლავ (შენ, მამაკ.)?“

ზაკივზეა აუგპიო? (გ. II, 7) „რას ამბობ (შენ, მამაკ.)?“

ზაკივზეა გვხვდება აბსოლუტურ პოსტპოზიციისაშიც, მაგალითად: აუგპიან ზაკივზეა? (გ. II, 61) „რა არის ის, რაც თქვი (შენ, მამაკ.)?“; იმპიო ზაკივზეა? (გ. II, 14) „რა არის ის, რასაც ამბობთ?“

ამგვარად:

კითხვით წინადადებაში სუბიექტ-ობიექტისა და წევრ-გარემოებების განლაგება დაახლოვებით იძლევა ისეთსავე სურათს, როგორც ფინიტური კონსტრუქციის წინადადების სათანადო ანალიზმა გვიჩვენა. კითხვით ფორმათა ნაირნაირობა წარმოების მხრივ არ ქმნის მრავალფეროვნებას კონსტრუქციის (resp. სიტყვათა განლაგების) თვალსაზრისით; სხვანაირად რომ ვთქვათ, ზმნათა წარმოების ნაირნაირობა კითხვით წინადადებაში შეესაბამება ამავე წინადადების კონსტრუქციულ ერთფეროვნებას. ამ გაგებით კითხვით წინადადებასა და ფინიტური კონსტრუქციის წინადადებას შემხები წერტილები აქვთ. თავისებურებებიდან კი ხაზგასასმელია: ა) ზმნის (resp. კითხვითი სიტყვის) პოზიციის შედარებითი სტაბილურობა (აბსოლუტური პრეპოზიცია, აბსოლუტური პოსტპოზიცია), რაც შეპირობებულია ამ სახის წინადადების მოდალური ნიშან-თვისებებით, და ბ) წევრ-გარემოებათა ადგილის შედარებით მოძრავი (ლაბილური) ხასიათი, რასაც, აგრეთვე, გარკვეული ახსნა ეძებნება.¹⁴⁹

სიტყვათა რიგი ბრძანებით წინადადებაში

აფხაზური ზმნის ბრძანებითი ფორმა, რომელიც ბრძანებითი წინადადების დედაბოძს წარმოადგენს, ინფინიტურ წარმოებაზეა დაფუძნებული. გვაქვს დადებითი ბრძანებითი წინადადება და უარყოფითი ბრძანებითი წინადადება.

მოწფოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები: მხოლოებითი რიცხვის დადებით ბრძანებითში გარდამავალი ზმნები კარგავენ სუბიექტის ნიშანს (იყაწა! „გააკეთე!“), გარდაუვლები კი—არა (უ-ცა! „დაჯექი (შენ, მამაკ.)!“). უარყოფითი ბრძანებითის წარმოება კი ინდიფერენტულია გარდამავლობა-გარდაუვლობის კატეგორიის მიმართ: აქ სუბიექტის ნი-

¹⁴⁹ იხ. ზემოთ.

შანი მუდამ წარმოღვენილია (იყ ა-უ-მ წ ა ნ „არ (გა)აქეთო“; უ-მ გ გ-
ლ ა ნ „არ ადგე (შენ, მამაკ.)“¹⁸⁰.

მაგრამ ეს თავისებურებები (სუბიექტის ნიშნის ქონა-არქონა), რომელთაც ადგილი აქვს აფხაზური ზმნის ბრძანებითის წარმოებაში, არ პოულობს რაიმე სახის ასახვას სიტყვათა განლაგებაში სათანადო კონსტრუქციაში. ოღონდ თვით გარდამავლობა-გარდაუქვლობას, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას, აგრეთვე—ზმნის პირიანობას (პირთა რაოდენობას) აქაც იგივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სხვა შემთხვევებში. ამ თვალსაზრისით საკითხისადმი დიფერენცირებულ მიდგომას, ცხადია, ვერც აქ ავუქცევთ გვერდს.

ერთპირიანი ზმნის შემკველ კონსტრუქციაში სუბიექტს ზმნის მიმართ ჩვეულებრივ პრეპოზიცია უჭირავს (კონტაქტურად ან დისტანციურად)¹⁸¹. რაც შეეხება წვერ-გარემოებებს (დროის გარემოება, ადგილის გარემოება, ვითარების გარემოება), ისინი, როგორც წესი, სუბიექტსა და ზმნას შორის ექცევიან. მათი რაოდენობა კონსტრუქციაში მინიმალურია, რაც გამოწვეულია ამ სახის წინადადების ზემოთ უკვე ხსენებული მოდალური ბუნებით. სუბიექტი (როცა ის წარმოდგენილია) ცდილობს იღვეს მთელი წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციაში. სუბიექტის ეს მიდრეკილება საესებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლოგიკური მახვილი სწორედ მას ეცემა (resp. ბრძანება მას ეხება).

ა) სუბიექტი—ზმნა:

ჟ ა რ ა ჟ ა ა ც ი ა ჟ ი ა (გ. II, 170) „შენ (მამაკ.) ილაპარაკე!“

ა ძ ი ჯ უ ნ ე მ ხ ა ნ ი (გ. II, 286) „ნურვინ დარჩები!“

ბ) დროის გარემოება—ზმნა:

ჟ ა წ ი ზ, შ ე ჯ გ მ თ ა ნ, უ ც ა ი (გ. II, 182) „შენ (მამაკ.) ხვალ დილით წადი!“

ზ ნ გ შ ი ა ა ნ ჳ ა ს ი (გ. II, 9) „თქვენ ცოტა ხანს შეჩერდით (მოითმინეთ)!“

გ) სუბიექტი — ადგილის გარემოება—ზმნა:

ჟ ა რ ა ა რ ა ხ ჳ ჟ ა ა ი (ლ. 329) „შენ (მამაკ.) აქეთ მოდი!“

¹⁸⁰ ბრძანებითის წარმოება განხილული აქვს ქ. ლომთათიძეს ნაშრომში: „გარდამავლობის კატეგორია აფხაზურში“, ენიშის შოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 13 და შემდგ.; იხ. აგრეთვე მისივე: „აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები“, იქვე, II, 1948, გვ. 11—12.

¹⁸¹ ბრძანებით წინადადებაში სუბიექტი, გარდა იშვიათი შემთხვევებისა, გამოტოვებულია, რაც იმით უნდა აიხსნას, მხოლოდ რომ ბრძანება, რომელიც მუდამ ლაჭონური შინაარსის მატარებელია, მხოლოდ და მხოლოდ მეორე პირს ეხება (resp. მას არ უბიძგისპირდება პირველა და მესამე პირი) და ამდენად მოხსნილია აუცილებლობა მისი დაკონკრეტება-დაზუსტებისა, ე. ი. სახელით გამოხატული სუბიექტის წარმოდგენისა.

საგულისხმოა, რომ სუბიექტს ჩვეულებრივ პოსტპოზიციუ უქირავს იმ შემთხვევებში, როცა ბრძანებითი ფორმის ზმნას მოდლობის -იშ¹⁸² ნაწილაკი ერთვის. -იშ, როგორც ცნობილია, თხოვნა-მუდარას გამოხატავს, რაც ზმნას ერთგვარ ინტენსივობას ანიჭებს; იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური სახის „სტილისტიკურ მახვილს“ ქმნის¹⁸³, რაც შეაპირობებს კიდევ მის პრეპოზიციულობას, მაგალითად: ზცეფშ ბარა (გ. II, 119) „წაღი რა, შენ (ღედაკ.)!“

ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში ჩვეულებრივ გვაქვს რიგი: ირიბი ობიექტი—ზმნა:

სკფ შიმა შიიზწაა! (გ. II, 26—27) „თქვენ ჩემს მასპინძელს (= ჩემს ქმარს) ჰკითხეთ!“

აჟიჟან ჟახ¹გნჰალ! (ლ. 412) „შენ (მამაკ.)ცას მოებლაუქე!“¹⁸⁴ წვერ-გარემოებები ჩვეულებრივ თავსდებიან სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის: ჟარა ეხ¹ა აჟიჟან ჟახ¹გნჰალ! „შენ (მამაკ.) დღეს ცას მოებლაუქე!“ ან: ჟარა ირლასნგ აჟიჟან ჟახ¹გნჰალ! „შენ (მამაკ.) სწრაფად ცას მოებლაუქე!“ და ა. შ.

კონსტრუქციაში, რომელსაც ორპირიანი გარდამავალი ზმნა ქმნის, თავისებურება შეაქვს პირდაპირ ობიექტს:

ა) ტექსტებში ზმნას ხშირად ოდენ პირდაპირი ობიექტი ახლავს პრეპოზიციულად:

აკცი შგი (ლ. 147) „ხარი მოკალი (დაკალი)!“

სგმჟა რკ¹აჰი (ლ. 363) „ჩემი გზა შეამოკლე!“

ჰამჟანგჟა... იყაწაი (ლ. 354) „ჩვენი საგზალი მოამზადლე!“

უხიგფჰა დგრძი (გ. II, 265) „შენი ნათლია დაღუპე!“¹⁸⁵

იკგ ყაბგმწანი (გ. II, 241) „რამე არ გააკეთო (შენ, ღედაკ.)!“

აპიარქია რხიგ შიგმძანი (გ. II, 6) „ხბორების წილი (უღუფა) არ შექამოთ!“

¹⁸² მსგავსი მნიშვნელობის მატარებელი სუფიქსები გვხვდება ზოგ სხვა იბერულ-კავკასიურ ენაშიც (იხ. Грамматика кабардино-черкесского литературного языка, М., 1957, გვ. 166).

¹⁸³ შღრ.: „Побудительное предложение может иметь форму категорического приказа или форму совета“—(Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, გვ 356).

¹⁸⁴ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 15.

¹⁸⁵ გარდამავალი ზმნის დადებით ბრძანებითში (მხოლ. რ.), როგორც ითქვა, სუბიექტის ნიშანი წარმოდგენილი არაა. ამიტომ მხოლოდ კონტექსტის საშუალებით ხერხდება იმის გავება—მამრობითა სქესის წარმომადგენელს ეხება ბრძანება თუ მღელ-რობითისას.

სხიგჳ ი გ ო ნ ა ჰ ა ს გ ჳ ი ტ ჳ მ წ ა ნ ი (გ. II, 251) „ჩემი ბავშვის ცოდვა არ დამლო (შენ, მამაკ.)!“

პირდაპირი ობიექტის როლს ხშირად ინფინიტური ზმნა (მიმართუ-ბითი ი აფიქსიანი) ასრულებს, მაგალითად: სარა ა ჳ ა ს ჰ ი ო ხ ჳ მ დ ჳ ს ა ჳ მ ფ ხ ა ძ ა ნ (გ. II, 144) „ის, რასაც შენ (მამაკ.) გეუბნები, სირცხვი-ლად (სამარცხვინოდ) არ ჩათვალო!“ სნაჳს იქიტოჳტ შჳ (ლ. 146) „და-კალი („მოკალი“) ის, რომელიც ჩემს შემდეგ ზის!“

ორპირიანი გარდამავალი ზმნის ბრძანებით ფორმას შეიძლება ჰქონდეს აბსტრაქტული პირდაპირი ობიექტი. ამ უკანასკნელის მორგანი-ზებლად გვევლინება როგორც ფინიტური ზმნა, ასევე ინფინიტურიც, მაგა-ლითად: ინგლაჰა: ა მ ჰ გ ჳ ა ს რ ა ხ გ ჳ შ ო ჳ ა წ ო ჳ ა ბ რ ა , ს ა შ ო -თ ა ჳ ო გ , ე ა ზ ა ა ა ტ (გ. II, 148) 'გამოაცხადე: ვისაც ბურთის თამაში შეუძლია, ხვალ აჳ, ჩემს ეზოში, შეგროვდეს!“ ჰ თ ა ც ა ხ ო გ ჳ ჳ დ ა ხ გ -ყ ო ჳ ჳ ჳ შ ო გ რ ბ ა ! (გ. II, 175) (შდრ. ჰააცა დ-აჰშოგრბა „ჩვენი პატარძა-ლი გვიჩვენეთ!“) „გვიჩვენეთ, სადაა ჩვენი პატარძალი!“

ბ) ზმნას ახლავს ოდენ სუბიექტი: ჳ არ ა ი ჰ ა ი (გ. II, 33) „შენ (მა-მაკ.) თქვი!“

გ) თუ კონსტრუქციაში სუბიექტიცა და პირდაპირი ობიექტიცაა წარმოდგენილი, ძნელია უპირატესობა მიეცეს რომელიმე სახის (სუბიექ-ტი — ობიექტი; ობიექტი — სუბიექტი) წყობას:

სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი:

ზარა ა ბ არ თ ა ჳ -ყ ო ო რ გ ჳ ა მ ა წ უ რ თ ა ჳ ჳ ი შ თ ა წ ა ი (გ. II, 21) „შენ (დედაკ.) ეს ორი ყვერული სამზარეულოში დასხი!“

პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი:

არი ა ჳ ტ გ ს შ ი არ ა ა თ ფ გ ი ჳ ი შ ი წ ა ი (გ. II, 143) „ეს საქმე თქვენ თავის ადგილას დადევით (= ეს საქმე თქვენ მოაწესრიგეთ, მოაგვარეთ)!“

უ ბ რ ი შ ი არ ა გ ო გ რ ჳ ა ს ი ყ ა შ ო მ წ ა ნ ი (გ. II, 225) „ეგ თქვენ და-რად არ გაიხადოთ!“

თუ ბრძანებითი ფორმა მოდალურ - ი შ აფიქსიანია, მას აჳც პრეპოზიცია უჳირავს: ა ა ა გ ჳ ჳ ბ ე მ ა ა ნ ი (ლ. 101) „მოიტა რა შენი (დე-დაკ.) თუნგი!“

პირდაპირმა ობიექტმა შეიძლება ზმნის შემდეგ გადაინაცვლოს სტი-ლისტიკური ფაქტორის მოქმედების შედეგადაც: ს რ გ ც ჰ ა შ ი შ ა ს ა რ ა ი (ლ. 333) „შემიცოდეთ მე!“

დ) ყველაზე უფრო კი ისეთი წინადადებებია გავრცელებული, რომ-ლებშიც არ მონაწილეობს არც სუბიექტი და არც პირდაპირი ობიექტი. ამ შემთხვევაში ზმნას ახლავს ერთი ან რამდენიმე მეორეხარისხოვანი წევრი:

წ. წ.	წევრთა თანამიმდევრობა კონსტრუქციულად	კ რ შ ბ ი ნ ა უ ი ე ბ ი ს ს ა ხ შ ი რ ე					
		ასენბლეის ქვეყნის კონსტიტუციის ქვეყნის	ქვეყნის კონსტიტუციის ქვეყნის	ქვეყნის კონსტიტუციის ქვეყნის	ქვეყნის კონსტიტუციის ქვეყნის	ქვეყნის კონსტიტუციის ქვეყნის	ქვეყნის კონსტიტუციის ქვეყნის
1	პირლ. თბ.—ბრძანებითი ფორმის ორბ. გარდა. ზმნა	58	87	23	82	59	79
2	ბრძანებითი ფორმის ორბ. გარდა. ზმნა— პირლ. თბ.	7	7	4	1	3	34
3	პირლ. თბ.—სუბ.—ბრძანებითი ფორმის ორბ. გარდა. ზმნა	1	1	4	—	—	2
4	სუბ.—პირლ. თბ.—ბრძანებითი ფორმის ორბ. გარდა. ზმნა	—	3	4	—	—	1
5	პირლ. თბ. — ბრძანებითი ფორმის ორბ. გარდა. ზმნა—სუბ.	—	—	—	—	—	7
6	სუბ.— ბრძანებითი ფორმის ორბ. გარ- და. ზმნა—პირლ. თბ.	—	—	—	—	—	2
7	ბრძანებითი ფორმის ორბ. გარდა. ზმ- ნა—სუბ.—პირლ. თბ.	—	—	—	—	—	2

არაფ თვფვა ილუშითი (ლ. 193) „არაბის ქალიშვილს მიეცით (იგი, რალაღ)“

გ) თუ კონსტრუქციაში ორივე სახის ობიექტია წარმოდგენილი, პირველი ადგილი ჩვეულებრივ ირიბ ობიექტს უჭირავს, შემდგომი კი — პირდაპირს:¹⁵⁸ აჭაღ შიხგ ღშოგრაბა! (გ. II, 194) „ხალხს თავი აჩვენეთ!“ შიგჩაქაა ჭაჭიგწოყა აკიაღგ რგქიგშიწა! (ლ. 382) „თქვენს ცხენებს უნაგირი ახლავე დაადგით!“¹⁵⁹

წვერ-გარემობათა ადგილი მოცემულ კონსტრუქციაში საერთო წესს მისდევს (რამდენიმე წვერი-გარემობა ერთად თითქმის არასდროს არ გვხვდება).

რაც შეეხება თვით ზმნის ადგილს, იგი, როგორც მაგალითებითაც დავრწმუნდით, აბსოლუტურ პოსტპოზიციას რჩეობს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ლოკიკური მახვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, სუბიექტობიექტებს ეცემა და ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ წინადადებაში წინა ადგილებს სწორედ ისინი ინაწილებენ.

ამგვარად:

სათანადო მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფხაზური ენის ბრძანებითს წინადადებაში სიტყვათა განლაგება იზიარებს კითხვითი წინადადებისათვის დამახასიათებელ არაერთ ნიშან-თვისებას (კონსტრუქციის მარტივი ხასიათი, წვერ-გარემობათა სიმცირე, ზმნის ბოლოკიდურობა და სხვ.). ეს თავისებურებები აქაც, ისევე როგორც კითხვით წინადადებაში, ძირითადად შეპირობებულია კონსტრუქციის მოღალური ბუნებით.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემობასაც, რომ აფხაზური ენისათვის (და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენებისათვის) დამახასიათებელი ტენდენცია — ზმნის ბოლოკიდურობა — ძირითადად შენარჩუნებულია ე. წ. მოღალურ — კითხვითსა და ბრძანებით — წინადადებებშიც, და ეს საესებით კანონზომიერ მოვლენად გვესახება: ენა ყველგან მიჰყვება ერთ ძირითად პრინციპს, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესებითაა შეპირობებული.

¹⁵⁸ ეგვეე ვთარებაა ოთხპირიანი (გარდამავალი) ზმნის შემცველ კონსტრუქციაში: [ღარაი ჭგაგ უბას სგზაპი] (ლ. 448) „იმასაც ეგვეე ასე უთხარი (ჩემთვის უთხარი)“ ლეჭანიგგ იჭანიგგ სგსალამ სგზრგთ (გ. II, 214) „ლევანსა და ივანეს ჩემი სალაში გადაეცო (ჩემთვის გადაეცო)!“ და სხვ.

¹⁵⁹ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 17.

№	წევრთა თანამიმდევრობა კონსტიტუტკლში	კ თ მ ბ ბ ა ბ ე ვ ბ ბ ს ს ბ ბ ე ბ რ ე					
		ასინაშენი 1-სადაც რედაქციის მდივანი აქტიური აქტიური აქტიური აქტიური აქტიური	ასინაშენი 1-სადაც რედაქციის მდივანი აქტიური აქტიური აქტიური აქტიური აქტიური	ასინაშენი 1-სადაც რედაქციის მდივანი აქტიური აქტიური აქტიური აქტიური აქტიური	ასინაშენი 1-სადაც რედაქციის მდივანი აქტიური აქტიური აქტიური აქტიური აქტიური	ასინაშენი 1-სადაც რედაქციის მდივანი აქტიური აქტიური აქტიური აქტიური აქტიური	
1	პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	14	66	22	52	26	21
2	პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	3	10	5	3	3	—
3	ობ.—პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	3	1	5	4	4	14
4	ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—პირლ. ობ.	2	5	—	2	2	—
5	პირლ. ობ.—სუბ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	2	—	—	—	—	—
6	პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	1	—	2	—	—	7
7	პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	1	—	—	—	—	6
8	ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	1	—	—	—	—	5
9	პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	—	—	—	—	—	3
10	ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—პირლ. ობ.	—	—	—	—	—	3
11	პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—სუბ.	—	—	—	—	—	—
12	ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—პირლ. ობ.	—	—	—	—	—	—
13	ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	—	—	—	—	—	—
14	ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	—	—	—	—	—	—
15	ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	—	—	—	—	—	—
16	სუბ. პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	—	—	—	—	—	—
17	ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—ობ.	—	—	—	—	—	—
18	სუბ.—ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	—	—	—	—	—	—
19	ობ.—ობ.—პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა	—	—	—	—	—	—
20	ობ.—ობ.—პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—სუბ.	—	—	—	—	—	—
21	ობ.—პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—სუბ.	—	—	—	—	—	—
22	ობ.—ობ.—პირლ. ობ.—ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—პირლ. ობ.—სუბ.	—	—	—	—	—	—
23	ბრძანებითი ფორმის საშვ. გარდა. ზენა—სუბ.—პირლ. ობ.—ობ.	—	—	—	—	—	—

№

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება სიტყვათა რიგი ავტორისეულ მეტყველებაში, რომელიც სხვათა სიტყვას ახლავს.

სხვათა სიტყვა¹⁶⁰, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. პირდაპირია სხვათა სიტყვა, რომელსაც ვილაყა იმეორებს უცვლელად, მაგალითად: წელს დიდი ზამთარი იქნება, — თქვა სიმონმა || წელს დიდი ზამთარი იქნებაო, — თქვა სიმონმა; ირიბია სხვათა სიტყვა, როცა იგი განმეორებულია გარკვეული ცვლილებებით: სიმონმა თქვა, რომ იგი წელს თბილისში სასწავლებლად გაემგზავრება (შდრ. ეგვე წინადადება პირდაპირ ნათქვამად: წელს თბილისში სასწავლებლად გვემგზავრებიო, — თქვა სიმონმა).

ქართულში პირდაპირ ნათქვამს ხშირად ერთვის ნაწილაკები: -ო, -თქო, -მეთქი, რომლებიც თავიანთ როლებს პირებისდა მიხედვით იწოდებენ: -ო მესამე პირის ნათქვამს¹⁶¹ ერთვის, -მეთქი — პირველი პირისას, ხოლო -თქო კი მაშინ იხმარება, როცა პირველი პირის ნათქვამი მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს. სათანადო მაგალითებია შესაბამისად: ა) დღეს უნივერსიტეტში ვიქნებიო, — მითხრა ლიამ, ბ) ხომ გითხარი: დღეს უნივერსიტეტში ვიქნები-მეთქი, გ) ლიას გადაეცი: სოფელში მალე ჩამოვალ-თქო¹⁶².

ეს ნაწილაკები სხვათა სიტყვას შეიძლება ხან დაერთოს, ხანაც — არა¹⁶³.

¹⁶⁰ ტერმინში „სხვათა სიტყვა“ დამკვიდრებული ტრადიციისამებრ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ცალკეული სიტყვა, ასევე — მთელი შესიტყვებაც (resp. წინადადებაც).

¹⁶¹ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ მესამე პირის ნათქვამი და ზმნის მესამე პირის ფორმა; -ო შეიძლება დაერთოს ზმნას ყველა პირში, მაგალითად: ა) პირველი პირი: მერცხალმა თქვა: თბილ ქვეყანაში გა-ვფრინდებიო; ბ) მეორე პირი: დიდად დამაყვალბ, ამას თუ გააკეთებო, — სთხოვა პეტრემ პავლეს; გ) მესამე პირი: ჩემი მეგობარი ზღვის პირას აგარაკს აშენებსო, — მითხრა ნოდარმა.

¹⁶² საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ წინადადებათა შემადგენელი კომპონენტებს (პირველ წინადადებაში: „ხომ გითხარი“ და „დღეს უნივერსიტეტში ვიქნები-მეთქი“, მეორეში: „ლიას გადაეცი“ და „სოფელში მალე ჩამოვალ-თქო“) წარმოთქმა მთლიანად პირველ პირს ეკუთვნის, მაგრამ მათში მანაც გამოიყოფა ავტორისეული სიტყვები და „სხვისი“ ნათქვამი ჩვეულებრივი გაგებით. საჭმე ისაა, რომ სხვათა სიტყვად აღიქმება: ა) პირველ შემთხვევაში ის, რაც პირველმა პირმა თავისი ადრე ნათქვამ-ნაფიქრი თვითონვე გაიმეორა („დღეს უნივერსიტეტში ვიქნები-მეთქი“), ბ) მეორე შემთხვევაში კი ის, რაც მეორე პირმა მესამეს უნდა გაუმეოროს („სოფელში მალე ჩამოვალ-თქო“). დანარჩენი ნაწილები კი (შესაბამისად: „ხომ გითხარი“, „ლიას გადაეცი“) ავტორისეულ მეტყველებად უნდა მივიჩნიოთ.

¹⁶³ დაწვრილებით ამის შესახებ — ქვემოთ.

აფხაზურ ენაში სხვათა სიტყვას (პირდაპირს) დაერთვის ერთადერთი ჰია (←აჰიარა „თქმა“) ნაწილაკი¹⁶⁴, რომელმაც არ იცის გარჩევა სხვადასხვა პირთა ნათქვამის მიხედვით¹⁶⁵, ამდენად აფხაზურ „ჰია“-ში

¹⁶⁴ იხ. ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაბანთური დიალექტი, თბილისი, 1944, გვ. 197.

¹⁶⁵ „ირიბი კონსტრუქციის აღმოცენება, საერთოდ, ენებში,—მართებულად წერს შ. ძიძიგური, — შინაგანი განვითარების შედეგია და არა გარეშე გავლენების გზით მიღებული. თუ ენის ევოლუციის უძველეს საფეხურებზე პირდაპირი მეტყველების კონსტრუქცია შესაფერისი და ბუნებრივი იყო, შემდეგ და შემდეგ, ენობრივი ანსტრაფიკების პროცესებთან დაკავშირებით გაჩნდა აუცილებლობა აღამიანს სხვისი ნათქვამი მოტანა არა სიტყვისადაც, არამედ განყენებულად, ფაქტის ზოგად ფორმებში გადმოცემის გზით... არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად განვითარებული ენა, რომ ამგვარი სინტაქსური კონსტრუქციები არ გამოეშუშებინოს“ (შ. ძიძიგური, „ირიბი მეტყველების“ დასაცავად“. უფრ. „ცისკარი“, № 7, 1955, გვ. 96).

აფხაზურ ენაშიც (ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ენებში) ირიბი მეტყველების წარმოება ხაფუძლიანად განსხვავებულია პირდაპირისაგან, მაგალითად: ა) პირდაპირი მეტყველება: სენტა აწარაზ სკოატ ჰია,—ისეაჰიეტ აღმასხან, ბ) ირიბი მეტყველება: აღმასხან ისეაჰიეტ სენტა აწარაზ ღეშეცო || ...სენტა აწარაზ ღეშეცო ღეშეცო (შდრ. შესაბამისად ქართ.: ა) პირდაპირი მეტყველება: წელს სასწავლებლად მივმგზავრებო,—შათხრა აღმასხანმა, ბ) ირიბი მეტყველება: აღმასხანმა მითხრა, რომ იგი წელს სასწავლებლად გაემგზავრება).

ირიბი მეტყველების მაგალითები:

პატეხი ხშურ ილეჰიეტ: ლარა რემაარა რქეხტო დრემა ლეტ-
ირსარააყნე ანააჰ ატეხა იჯნე ეამდანგ ღეშეშთარკეზ, აკეხარამ-
კოი, ციგაჰპარელა ფშე-მგზ დეტძა ბახთალო იშეჯახეჯგაზ, იღერ-
ბალაზ შიი-ეოხი მეტრ აბათიტიცესაკიციმქია, იხაზე იწიახნე
იშეჯამაზ (ზ. 68) „პატეხმა ხიმურს უამბო (უთხრა): იმ ღამეს, როცა ის (ხიმური) რემარეობიდან ლევარსისას მოიყვანეს, მისი (პატეხის) სახლი განხრეყეს რა, თვითონ დააპტიმრეს; უდანაშაულოდ, ავი სიტყვის (=დასმენის) გამო დაუსრულებელი ოთხი თვე ციხეში გაატარა, ასთხუთმეტი მეტრი ფართალი, რომელიც მას უნახეს, გასაყლად კი არა, თავისთვის ჰქონდა შენახული“;

შეგი გიგე-ფსკალა ხშურ ბზია დშეჯაბოზ ლეაჰიეტ (ზ. 76) „შევი უთხრა მას (ღედაკ.), რომ იგი სულითა და გულით უყვარდა“;

ართ რეაფშე აეიჰია რეშთაზ მეზ დეაწყან, ხშურ დააგიდგეჰიპიალა ბზია დშეჯაბო, დშეჯლქეგნწოაჰა ლეაჰიარც იგიგ ინეწახხეგტ (ზ. 144) „ამ სიტყვების შემდეგ მეზი წამოხტა რა, მოუნდა: ხიმურს გადახევიდა (და) ეთქვა, რომ მას იგი ძალიან უყვარს“.

სხვა საკითხია, რომ პირდაპირი მეტყველება, ირიბთან შედარებით, უფრო გავრცელებულია. ასეა ეს ქართულშიც. ამის მიზეზი კი ამ ენათა სათანადო გრამატიკულ კატეგორიის ისტორიული განვითარების სიბრტყეზე უნდა ეძიოთ (იხ. ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 469; შ. ძიძიგური, „ირიბი მეტყველებას“ დასაცავად“, „ცისკარი“, № 7, 1965, გვ. 96).

ქართული -ო, -თქო (← თქვა), -მეთქი (← მე ვთქვი) ნაწილაკთა ფუნქციების უნიფიკაციაა მოცემული¹⁶⁶.

აფხაზურში, ისევე როგორც ქართულში, პირდაპირი ნათქვამის გადმოცემის ორი შესაძლებლობაა წარმოდგენილი:

ა) სხვათა სიტყვას დაერთვის „ჰია“ ნაწილაკი:

ნან, იყალაზე, ბზერჰიჰიოზე ჰია? — დღაზწააძტ ლგჰა (ლ. 397) „ღედი, რა მონდა, რატომ ყვირიო, — შეეკითხა (იგი, ად.) თავის ქალიშვილს“;

მაბაყოჰ სარა ძტდგსცალაზ აშოარახქია ზეგჯ ჰია? — დიზწააძტ ალატგ (ლ. 413) „სად არის ნადიო, რომელიც მე მოგიჩვენო (შენ, მამაყ.) — ჰკითხა დემა“;

ტარა ატარბაჟი აწგხია ამგრბაძაკია მაღტხგძტ, ახა ტგძქია აბაყოჰ ჰია? — დწააძტ აშხამაჯ (ლ. 436) „შენ ორბს კუდი შეუმჩნევლად (უჩუმრად) მოაძერე, მაგრამ შენი შარავალი სადღა არისო, — ჰკითხა აშხამაჩმა“;

ძტგზზე ჰია? — დიზწააძტ ალგქსა იფჰიგს (ლ. 209) „რა დამგმართაო? — ჰკითხა ალექსიმ თავის ცოლს“.

ბნეძგ ჰჩაჟილა თგგა, მაქიგფსანგ ილაჰწაჰა ჰია, — იბეჯ ნალგქიგმარგეძტ ითაჟიაჟი (ლ. 300) „მიდი რა (შენ, დედაყ.), ჩვენს ხორბალი (თესლო) გამოიტანე, (მიწას) ზედ წავაყაროთ რა, დავთესოთო, — უთხრა (მან, ად.) თავის დედაბერს“;

ბ) სხვათა სიტყვა წარმოდგენილია „ჰია“ ნაწილაკის გარეშე:

აძლაგარა ზშაცხგფ იქიგრგვლანგ იზერლაგოზჯ სჯჯა მოტბ, ახა ას ჰალშო მ, — რჰიეძტ იფგლაზ (ლ. 85) „წისქვილი

¹⁶⁶ ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმეორებს ქართული ენის ზოგი კილოს მონაცემები. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, იმერულ დიალექტში „მეთქი“-ს ნაცვლად „თქვა“ („თქო“) იხმარება: მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-თქვა და ამ კაცის შვილი-თქვა; სიტყვა მივეცი პატოსან, თქვენი შვილის მეთვალყურე ვიქნები-თქვა, მე ვუპატრონებ. თუ რამე გასაჭირი შეხვდა-თქვა; დაეპირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ მოველაპარაკებო-თქო (იხ. ლ. კვაქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 472). ისევე პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ინგილოურში ხშირად ვ (resp. ო) ნაწილაკია გამოყენებული: მე ვქ დანადგომ არა ვარ, გარაქ შაირში წაჭდე, იქ ულოცოვან, არ ნალოც ინსინზენი რაუმ ინსან იქნესავ „მე აქ დამდგომი არა ვარ, უნდა ქალაქში წავიდე, იქ ვისწავლო, უსწავლელი აღამანისაგან რა კაცი გამოვია-მეთქი“. მსგავსავე ვითარებას აქვს ადგილი ზევსურულსა და თუშურშიც (იხ. გ. კაჭარავა, სხვათა სიტყვის ნაწილაკები ქართულსა და ზანურში (მეგრულ-ქანურში), სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1950, გვ. 244).

¹⁶⁷ უფრო სწორი იქნებოდა „ჰია“ არ გამოგვეყო იმ სიტყვისაგან, რომელსაც ის დაერთვის. ჩვენ ამჟერად ძირითადად ვიცავთ აფხაზულ ორთოგრაფიაში დაცულ პრინციპს.

ფეხის ფრჩხილზე ეყენა რა (ფეხის ფრჩხილზე წისკვილის დაყენებით) ვინც ფქვავდა, ჩემი ამხანაგია, მაგრამ ასე ჩვენ არ შეგვიძლია, — თქვეს დამხედურებმა“;

ჟაკა ხრისთა ჰპიენჰანგ ჰააგეფტ, — რჰიეფტ აძლაბცია (ლ. 87) „ჟაკა ხრისთა შებორკილი მოვიყვანეთ, — თქვეს ქალიშვილებმა“.

მოცემულ მაგალითებში ორსავე (ა და ბ) შემთხვევაში ავტორისეული წინადადება მოსდევს სხვათა სიტყვას, მაგრამ ასევე ჩვეულებრივია — წინ უძლოდეს იგი ამ უკანასკნელს, ოღონდ სხვათა სიტყვას ასეთ დროს თითქმის მუდამ დაერთვის „ჰია“ ნაწილაკი:

სასრუთა მან ესგმშია აბას ლეფალონ: სან, სარა ისჯაააჰა დყალარჰტ ჰია? (ლ. 31) „სასრიყვა თავის დედას ყოველდღე ასე ეკითხებოდა: დედი, ჩემი მომრევი ვინმე იქნებაო?“

ხაიჟარფეს უს იბეჟ ირგეფტ ნარჯნოჰ მახ: უხაწაზარ ჰია აგჯლ, აჟირა აყნ სჯანგ, სხ ჩაფანგ საათეფტ ჰია (ლ. 43) „ხეივარფისმა მიამახა ნარჯნიოუს: შეჩერდი, თუ ვაჟაკი ხარ, სამქედლოში წავალ, თავს გავიჭედავ რა, მოვალო“...

ავტორისეული წინადადება შეიძლება ჩაერთოს სხვათა სიტყვაში, მაგალითად: ითაბუპ ჰია ჰაჰჰიოფტ ჰარა აბრი ზაჰაზ ზეგჯ, — რჰიეფტ ჰია იგჯლაზ აჟილარ, — ლარა აძლაბ სიირკ ლოჰტპ, ახა ჰარგჯ დაარაძა არფეს ბზიარა ნყიფტგეფტ, — რჰიეფტ (გ. II, 106) „მადლობას გეუბნებით (შენ, მამაკ.) ყველანი, ვინც ეს გავიგონეთ, — თქვა იქ მდგომმა ხალხმა, — ეგ მშვენიერი ქალიშვილია, მაგრამ შენც კაი ბიჭობა გამოიჩინე, — თქვეს“; არი ათძე ვაზეთ ანძჰტპ, ითჰაჟლარაცვ აპარტაჩეჟა იჰანდნაწეფტ, — იჰიეფტ ლეჰარსა, — ითჰაჟტა ჰალაგოფტ ესგმშა ჯნტი-ჯნტი (ხ. 52) „ამას კედლის ვაზეთი ჰქვია, მისი გამოცემა პარტიულმა უჭრედმა დაგვავალა, — თქვა ლევარსიმ, — გამოვცემთ (გამოცემას ვიწყებთ) ორ-ორჯერ ყოველთვიურად“.

თუ მოყვანილ მაგალითებს დავაკვირდებით, უპირველესად თვალში გვეცემა ორი რამ: ა) როცა ავტორისეული წინადადება მოსდევს სხვათა ნათქვამს, ანდა ჩაერთვის მასში, გვაქვს წყობა: ზმნა — სუბიექტი (აჰიგნთქარ მჰეფთააჰტ ჰიუზბა ხი-ეჰიჰაწია დჰტჰ აცცეში ეჰფშა იხჰტ, ილ-ლიოჰტ ჰია, — მან აჰიეფტ არაშ (ლ. 236) „ხელმწიფემ მოგცეს (შენ, მამაკ.) შეეტარიანი დიდი დანა, ფხიანი, ყოვლისმძლეო, — უთხრა რაშმა“; ითაბუპ ჰია ჰაჰჰიოფტ ჰარა აბრი ზაჰაზ ზეგჯ, — რჰიეფტ ჰია იგჯლაზ აჟილარ, — დაარა აძლაბ სიირკ ლოჰტპ... (გ. II, 106) „მადლობას გეუბნებით (შენ, მამაკ.) ყველანი, ვინც ეს გავიგონეთ, — თქვა იქ მდგომმა ხალხმა, — ეგ მშვენიერი ქალიშვილია“)... ბ) როცა ავტორისეული წინადადება სხვათა სიტყვას უსწრებს, წარმოდგენილია საპირისპირო ვითა-

რება: პირველ ადგილასაა სუბიექტი, მას მოსდევს ზმნა (სასრუც-
ყოა მან ესგმშაა ლეაჰჰოლონ: სან, სარა ისგააჰა ღყალარგტ
ჰია? (ლ. 31) „სასარიყვა თავის ღედას ყოველღღე ასე ეკითხებოდა: ღე-
ღი, ჩემი მომრევი ვინმე იქნებაო?“. ¹⁶⁸

ხანდახან ადგილი აქვს ამ წესის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებ-
საც, რაც გამოწვეულია სტილისტიკური ფაქტორის მოქმედებით.

რა უღვეს საფუძვლად სუბიექტ-ზმნის ამ ორ, საპირისპირო, რიგს?
ზემოგანხილული ვითარება შეუმჩნეველი არ დარჩენილა სპეციალურ
ლიტერატურაში, მაგრამ არა გვაქვს მისი დამაკმაყოფილებელი კვალიფი-
კაცია.

ა. ჩისტიაკოვა, მოჰყავს რა მაგალითები რუსული ენის სათანადო
მასალიდან, იზიარებს ლ. შჩერბას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ
ზმნის დასმა სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი სახელის წინ შეპირო-
ბებულია სათანადო ფრაზებში მეტი კომპაქტურობის მისაღწევად და
მათი (ფრაზების) ზმნურობის შესანელებლად. ¹⁶⁹

გარკვეულ სიმართლეს შეიცავს ამ მსჯელობის პირველი ნაწილი:
ზმნის დასმა სახელის წინ შეპირობებულია ფრაზის მეტი კომპაქტურო-
ბის მისაღწევადო, მაგრამ გაუგებარია როგორ „ანელებს“ ზმნის პრეპო-
ზიცია ფრაზის ზმნურობას („уменьшает глагольность фразы“), ანდა რის-
თვის სჭირდება წინადადებას ზმნურობის შენელება?... როგორც ცნო-
ბილია, ყოველი წინადადების პირველი დამახასიათებელი ნიშანია სწო-
რედ ეს ზმნურობა (resp. პრედიკატულობა) და ამიტომ სავეებით ბუნე-
ბრივია მისი მისწრაფებაც ამ ნიშან-თვისების შექენისაკენ (შდრ. სა-
ყოველთაოდ აღიარებული თეზისი: ზმნა წინადადების ღერძია!). სხვა
არა იყოს რა, ზმნურობის შენელება ლოგიკური აუცილებ-
ლობით ასუსტებს (და არა—აძლიერებს) ფრაზის კომ-
პაქტურობას!

ამ ფაქტის (მოცემულ პირობებში სუბიექტ-ზმნის ორი, საპირის-
პირო, რიგის არსებობის) კონსტატაციით იფარგლებიან გ. ნემეცი¹⁷⁰,
ვ. ორლოვა¹⁷¹ და სხვ.

¹⁶⁸ სუბიექტ-ზმნის ეს საპირისპირო, მაგრამ ორსავე შემთხვევაში შინც ნორმა-
ტიული რიგი, ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ღებულებას იმის შესახებ, რომ სიტყვათა
შებრუნებული რიგი ყოველთვის ინვერსიას არ მოასწავებს.

¹⁶⁹ იხ. А. Я. Чистякова, Место подлежащего и сказуемого в раз-
личных типах повествовательного предложения, канд. дисс. М., 1952, გვ. 53.

¹⁷⁰ იხ. Г. П. Немец, О порядке слов в конструкциях с прямой ре-
чью, Краснодар, 1966.

¹⁷¹ იხ. Г. В. Орлова, Порядок слов в русском языке, ჟურნალი:
„Русский язык в школе“, № 1, 1939.

ამვე საკითხს ეხებიან აგრეთვე „აღილეური ენის გრამატიკის“ ავტორები.¹⁷²

ფიქრობთ, სუბიექტ-ზმნის სხვადასხვაგვარი განლაგება მოცემულ შემთხვევებში შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას.


თუ სათანადო მაგალითებს გამოწვლილვით შევისწავლით, დავინახათ, რომ ორსავე შემთხვევაში ზმნა ავტორისეულ წინადადებასა და სხვათა სიტყვას შორისაა მოქცეული, და ეს ასეც იყო მოსალოდნელი: ზმნა არის ის ერთადერთი კომპონენტი, რომელსაც თავისი პრედიკატული ბუნების გამო ძალა შესწევს მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს მტკიცედ დაუკავშიროს ორი, თავისი ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავებული, ენობრივი ოლენობა, და ამიტომ არაფერია უცნაური იმაში, იგი ასეთ შემკურთხეულ ხიდად მოგვევლინებოდეს; ზმნა ორივეგან მთელი „ფრაზის“ (resp. სხვათა სიტყვა + ავტორისეული მეტყველება || ავტორისეული მეტყველება + სხვათა სიტყვა) ცენტრში დგას.¹⁷³ მისმა „ცენტრულმა“ ხასიათმა კი თავისთავად განსაზღვრა რიგი: პირველ შემთხვევაში: ზმნა—სუბიექტი, მეორე შემთხვევაში: სუბიექტი—ზმნა.

თქმულის სქემური გამოსახულებაა:

ა) ავტორისეული მეტყველება მოსდევს სხვათა სიტყვას:


აპიგნთქარ ძტგძთაძტ

ჰიგზბა ხიგ-ეჰქიაწია
დგტ აცცეში ეფფში
იხგტ, ილილიოტ ჰია



ბ) ავტორისეული მეტყველება წინ უსწრებს სხვათა სიტყვას:

ს ა ს რ გ ყ ი ა
ა ა ნ ე ს გ მ შ შ ა
ა ბ ა ს



¹⁷² იბ. Г. В. Рогова, Э. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, გვ. 395.

¹⁷³ დაახლოებით ასევეა ეს მაშინაც, როცა ავტორისეული წინადადება სხვათა სიტყვის შუაშა მოქცეულია.

¹⁷⁴ სხვა ვითარებაა მაშინ, როცა სხვათა სიტყვას ინფინიტური კონსტრუქცია (resp. დამხმარე პრედიკატული ცენტრი) მოსდევს. ასეთ შემთხვევაში სუბიექტ-ზმნის ადგილი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახისაა ინფინიტური ზმნა: ნაცვალსებლოვან თუ სავარემოებოაფქისიანი. მაგალითად: იყ ა ლ ა ზ ე ძ ჰ ი ა ? — აჩხტია ანუ აზნა... (ლ. 173) „რა მოხდაო? — ცხენოსნებმა რომ ჰკითხეს“ (არ შეიძლება: იყალაზეა ჰია? — ანუ აზნა აჩხტია...). ეს გამოწვეულია ინფინიტურ კონსტრუქციაში მოქმედი თავისებურებით (იხ. ზემოთ).

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სხვათა სიტყვას ნაწილაკი ხან შეიძლება დაერთოს, ხანაც—არა. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხაზგასმასთან: ავტორი (მთქმელი, დამწერი) ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ იგი სწორედ სხვის (ან თავისავე) ნათქვამ-ნაფიქრს იმეორებს, მეორე შემთხვევაში კი ეს აქცენტუაცია მოხსნილია, მაგრამ მკითხველი თუ მსმენელი სხვის სიტყვას ასეთად მიინც აღიქვამს ავტორისეული (resp. „ჩამრთველი“) წინადადების საშუალებით. ეს წინადადება შეიძლება ხანდახან წარმოდგენილი არ იყოს, მაგრამ იგულისხმებოდეს. სხვისი სიტყვის¹⁷⁶ განმეორებას კი ორსავე შემთხვევაში აქვს ადგილი (შდრ. პეტრე თბილისში გაემგზავრებაო, — თქვა პავლემ || პეტრე თბილისში გაემგზავრება, — თქვა პავლემ). სხვათა სიტყვა სწორედ იმიტომაც სხვათა სიტყვა, რომ იგი ერთხელ თუ მრავალჯერის ნათქვამ-ნაფიქრის (დაწერილის) განმეორებას გულისხმობს ყველა შემთხვევაში. ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა აფხაზური ანდაზები, რომელთაც, ქართულისაგან განსხვავებით, სხვათა სიტყვის ნაწილაკი საერთოდ არ დაერთვის¹⁷⁰. ეს ნიშნავს: გვაქვს სხვათა სიტყვის ორი სახის განმეორება: მითითებული (ნაწილაკდართული) და მიუთითებელი (ნაწილაკ-დაურთველი).

აფხაზური „ჰია“, ისევე როგორც ქართული -ო -მეთქი, -თქო ნაწილაკები, სხვათა სიტყვის ხაზგასმას (resp. სხვათა სიტყვაზე მითითებას) ემსახურება.

როგორც უკვე ითქვა, აფხაზურმა არ იცის ამ შემთხვევაში გარჩევა პირებისდა მიხედვით. ამიტომ „ჰია“ თავისი ფუნქციით სამივე ქართული ნაწილაკის უნიფიცირებული ეკვივალენტია. იგი ზუსტად იმავე მოვალეობას ასრულებს, რასაც ქართული -ო, -მეთქი -თქო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ესაა აფხაზური „ჰია“-ს ძირითადი დანიშნულება. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგი შედარებიდან, მაგალითად: ა) ქართ. აკი, გითხარი: მოვალ-მეთქი, აფხაზ. საათჷეატ ჰია ჭასჰიეატე; ბ) ქართ. პეტრეს ვადაეცი: აღმასხანი ხვალ მოვათქო, აფხაზ. აღმასხან ჭაწიგ დაათჷეატ ჰია, — პეტრა მაჰი გ) ქართ. აღმასხანი ხვალ მოსკოვიდან ჩამოვაო, — მითხრა ამხანაგმა, აფხაზ. ჭაწიგ აღმასხან მოსკევანტი დიათჷეატ ჰია, — სეაჰიეატ სუგზა და ა. შ.

შეგვიძლია დავასკვნათ:

ავტორისეულ წინადადებაში, რომელიც სხვათა სიტყვას ახლავს, იმისდა მიუხედავად: სხვისი ნათქვამი ჰია ნაწილაკდართულია თუ ამ

¹⁷⁶ სხვის სიტყვაში იგულისხმება თვით ავტორის (მთქმელის) ნათქვამ-ნაფიქრიც.
¹⁷⁶ ქართულშიც იშვიათად გვაქვს სხვათა სიტყვის ნაწილაკდაურთველი ანდაზები.

უკანასკნელის გარეშეა წარმოდგენილი, სუბიექტ-ზმნის ორი, საპირისპირო, რაგი გამოიყოფა: თუ ავტორისეული წინადადება უსწრებს სხვათა სიტყვას, გვაქვს რაგი: სუბიექტი—ზმნა, თუ მოსდევს (ანდა წინადადების შუაშია)—ზმნა—სუბიექტი¹⁷⁷; „პა“ ნაწილაკი კი, რომელიც არსებითად ასრულებს ერთადერთ ფუნქციას (ხაზს უსვამს სხვათა სიტყვას), არავითარ როლს არ თამაშობს როგორც სუბიექტ-ზმნის რიგის განსაზღვრაში, ასევე—ნაწარმოების კონტექსტში სხვათა სიტყვის შეყვანა-ჩართვის საქმეში. ამ უკანასკნელის ფუნქცია აკისრია ავტორისეულ წინადადებას¹⁷⁸ (რეალურად ან პოტენციალურად მოცემულს და არა—„პა“ ნაწილაკს ანდა ცალკეულ სიტყვებს).

აქ თქმულს მხარს უჭერს რიგ სხვა ენათა მონაცემებიც.



ასეთია სიტყვათა რიგის ძირითადი საკითხები აფხაზურ წინადადებაში.

თავისებურებათათვის, რომლებიც დამახასიათებელია სიტყვათა რიგისათვის სხვადასხვა კონსტრუქციის წინადადებაში, საყრდენ პუნქტს წარმოადგენს აფხაზური ენის ზმნა ფინიტური და ინფინიტური სახეობებითურთ. აფხაზური ზმნის მეტად რთული აგებულება (გარდაუვალობასა და გარდამავლობის კატეგორია, პოლიპერსონალიზმი, კლასოვანპიროვანი უღვლილება)¹⁷⁹, ფინიტურ და ინფინიტურ ფორმათა განსხვავებული მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშან-თვისებები ქმნის იმ სირთულეებსა და მრავალფეროვნებას, რაც ესოდენ ნიშანდობლივია სიტყვათა განლაგებისათვის წინადადებაში.

სიტყვათა რიგის შესწავლა, ავლენს რა აფხაზური მარტივი წინადადების ურთულესი მქანისთვის მთელ რიგ თავისებურებებს, გვიჩვენებს:

¹⁷⁷ რაც შეეხება პირდაპირი და ირიბი ობიექტების პოზიციას, აქაც ხშირად აღვილი აქვს ნორმატიული წესიდან გადახვევის შემთხვევებს (ამის შესახებ იხ. И. О. Гецадзе, К вопросу об эргативной конструкции в абхазском языке. Труды Абхазского института, XXXI, Сухуми, 1960, გვ. 219—220).

¹⁷⁸ ესა აქვს, ალბათ, მხედველობაში მ. მილიხს, როცა ამბობს: პირდაპირი სიტყვა რემარკას (resp. ავტორისეულ წინადადებას—მ. ც.) ექვემდებარებაო (იხ. М. К. Милых, Конструкции с прямым речью в современном русском языке, Автореф. докт. дисс., Л., 1962, გვ. 13).

¹⁷⁹ აფხაზური ზმნისათვის დამახასიათებელი პოლისემანტიზმი, აგრეთვე, პოლისინტაქსის ელემენტებია ინდოევროპულია სიტყვათა განლაგებისადმი წინადადებაში.

ა) სიტყვათა განლაგების თვალსაზრისით ერთმანეთს ვარკვეულად უპირისპირდებიან დამხმარე პრედიკატული ცენტრი და ძირითადი პრედიკატული ცენტრი (resp. ინფინიტური და ფინიტური კონსტრუქციები). პირველისათვის, მეორესთან შედარებით, დამახასიათებელია სიტყვათა რიგის შერტი სიმტკიცე, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს თვით ამ ცენტრთა შემქმნელი ზმნების ბუნებიდან — პირველის განუსაზღვრელი და მეორის განსაზღვრული ხასიათიდან.

და მაინც თვით დამხმარე პრედიკატული ცენტრის ყველა რგოლში (ე. ი. ყველა სახის დამხმარე პრედიკატულ ცენტრში) ერთნაირად არ დგას სიტყვათა რიგის სტაბილურობა-ლაბილურობის საკითხი: საესებით ბუნებრივია, რომ შედარებით მეტი სტაბილურობით ხასიათდება ის უბნები, სადაც ზმნა ვერ განარჩევს პირის, კლასისა და რიცხვის მორფოლოგიურ კატეგორიებს¹⁸⁹, და მეტი ლაბილურობით — ის უბნები, სადაც ამგვარ გარჩევას აქვს ადგილი. ისტორიულ ასპექტში ამ დებულების სისწორისათვის თვალის მიდევნების საშუალებას გვაძლევს აფხაზური ინფინიტური კონსტრუქციები, რომელთაც გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები — აბსოლუტივები — ქმნიან. ამ კონსტრუქციებში სიტყვათა (resp. სუბიექტ-ობიექტის) რიგის შედარებით მტკიცე ხასიათი ხაზს უსვამს აფხაზურ ზმნაში წარმოდგენილ აფიქსთა როლს სიტყვათა განლაგების სტაბილურობა-ლაბილურობისათვის და მიგვანიშნებს წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის ფიქსირებული რიგის შერყევის მეორეულ ხასიათზე, რაც ერგატოული კონსტრუქციის ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

ბ) სიტყვათა რიგის ერთგვარი სტაბილურობა, რომელიც ამჟამად შენარჩუნებულია თვით ფინიტურ კონსტრუქციაში, ძირითადად შეპირობებულია აფხაზური ენის ისტორიული განვითარების გზით (და არა ამჟამად მოქმედი გრამატიკული კანონების შედეგად), და სწორედ ამ ისტორიული ენობრივი პროცესის გამონაკრთომს წარმოადგენს ის ცალკეული შემთხვევები, როცა სტაბილურობა თანამედროვე აფხაზურში ნაკარნახევია გრამატიკული აუცილებლობით (შდრ. ძველი ქართლის ინდეფინიტური კონსტრუქცია ადამიანის საკუთარ სახელებთან).

¹⁸⁹ ამ მხრივ საყურადღებოა, რომ აფხაზური ენის მორფოლოგიაში ვატარებელი პრინციპი (ინფინიტური წარმოებების მიმართებითი ი აფიქსა შეესატყვისება ღ-ს რიგის აფიქსებს ფინიტურ ზმნაში და ვადმოსცემს გარდაუვალ ზმნათა სუბიექტსა და გარდამავალ ზმნათა პირდაპირ ობიექტს, ხოლო ზ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი კი შეესატყვისება ღ-ს რიგის აფიქსებს ფინიტურ ზმნაში და ვადმოსცემს გარდამავალ ზმნათა სუბიექტსა და გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ირბ ობიექტს) ერთგვარ ასახვას პოულობს სუბიექტ-ობიექტის (ობიექტების) განლაგებაში სათანადო დამხმარე პრედიკატულ ცენტრებში (იხ. აჭვე, გვ. 182).

გ) ის ვითარება, რაც წარმოდგენილია სიტყვათა განლაგების თვალსაზრისით ცალკეული პრედიკატული ცენტრების შიგნით, ძირითადად იშლება მთელი აფხაზური წინადადების ფონზე, რაც აისახება პრედიკატული ცენტრების თავისებურ სინტაქსურ ურთიერთობაში.

დ) თავისებურებანი, რომელთაც ადგილი აქვს კითხვითსა და ბრძანებითს წინადადებებში, ძირითადად შეპირობებულია სათანადო კონსტრუქციათა მოდალური ხასიათით. პრინციპში კი კითხვითი და ბრძანებითი კონსტრუქციებიც იმეორებენ აფხაზურ წინადადებაში სიტყვათა განლაგებისათვის საერთოდ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

თავი მესამე

სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია

სტილისტიკის რაობისათვის

ცნობილია, რომ სტილისტიკა, რომელიც მეცნიერულად ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის, ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მიჯნაზე მდებარე დისციპლინაა, რაც ქმნის გარკვეულ სიძნელებს საკვლევი ობიექტის მეთოდოლოგიური საფუძვლების გამომუშავების საქმეში. კერძოდ, დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი სტილისტიკის რაობისა თუ საგნის შესახებ. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი სტილისტიკის საზღვრების შესახებ ენათმეცნიერების დარგთა თუ სხვა მეცნიერებათა შორის. ამ დისციპლინის ბუნება, რთული ხასიათი იწვევს იმას, რომ ხშირად ადგილი აქვს სტილისტიკის საკითხთა აღრევას სინტაქსის, სემასიოლოგიისა და ლექსიკოლოგიის და, არცთუ იშვიათად — ლოგიკა-ფსიქოლოგიის საკითხებთან.

ბუნებრივია, რომ ამ რთულ ვითარებაში ძნელია დადგენილ იქნეს სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია ამა თუ იმ ენაში ისე, თუ არ გაირკვა წინასწარი პირობები: რა შეადგენს სტილისტიკის შესწავლის საგანს ენათმეცნიერული გაგებით? როგორია მისი ადგილი გრამატიკის (resp. ენათმეცნიერების) დარგთა შორის? და სხვ. ამიტომ, ვფიქრობთ, სავსებით მიზანშეწონილი იქნება, თუ წინამდებარე ნაშრომში ამ ძირითად კითხვებს მოკლედ მაინც გაეცემა პასუხი.

სტილისტიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ენათმეცნიერებისა და პოეტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს¹. ჩვენ ამჟამად გვინტერესებს სტილისტიკა ენათმეცნიერული გაგებით.

სიტყვების ურთიერთობას შესიტყვების აგებულების თვალსაზრისით განიხილავს სინტაქსი, ხოლო სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის თვალსაზრისით, გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით სტილის-

¹ იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 312.

ტიკის საქმეა; სხვანაირად რომ ვთქვათ, სტილისტიკა შეისწავლის სიტყვების მიმართებას მით (შესიტყვებით) გადმოსაცემ შინაარსთან. სტილისტიკა სწავლობს არა შინაარსს, აზრს შესიტყვებისა, არამედ ამ უკანასკნელის მიმართებას შესიტყვებაში მოცემულ აზრთან, შინაარსთან. ეს ნიშნავს: რამდენად შეეფერება გადმოსაცემ შინაარსს მეტყველებაში წარმოდგენილი სიტყვები, როგორ მიმართებაში იმყოფებიან ისინი ერთმანეთთან ამ შინაარსის თვალსაზრისით: ზუსტად უპასუხებენ სათანადო მოთხოვნებს თუ საჭიროებისამებრ ვერ ასრულებენ ამ როლს? „შესაძლებელია შესიტყვება სინტაქსურად სწორად იყოს აგებული, მაგრამ სტილისტიკურად გაუმართავი გამოდგეს, და პირიქით: შეიძლება სტილისტიკურად გამართული იყოს შესიტყვება, მაგრამ სინტაქსურ შეცდომებს შეიცავდეს; დასასრულ: შეიძლება სტილისტიკურადაც სწორი იყოს და სინტაქსურადაც, ანდა კიდევ: სტილისტიკურადაც უმართებულო იყოს და სინტაქსურადაც... „დავითმა შეურაცხყოფა გაუკეთა სიმონს“: სიტყვათა დაკავშირების წესი დაცულია, სინტაქსური მხარე უნაკლოა, სტილის თვალსაზრისით აუტანელია: „შეურაცხყოფა“ და „გაუკეთა“ მნიშვნელობის მიხედვით ქართულში ერთმანეთს სრულებით არ შეეფერება; შესიტყვებაში: „შეურაცხყოფა გაუკეთა“ სიტყვები ფორმით ერთმანეთს შეეფერება, მნიშვნელობით არა ქართულია „შეურაცხყოფა მიაყენა“... „დავითმა დაჰპირდა სიმონს დახმარება“, „დავითმა მოუყვა სიმონს ამბავი“ სტილისტიკურად გამართული შესიტყვებებია, მაგრამ სინტაქსურად ორივე უმართებულოა, — „დაჰპირდა“, „მოუყვა“ გარდაუვალი ზმნებია და ამიტომ სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას (და არა მოთხრობითში): „დავითი დაჰპირდა სიმონს დახმარებას“, „დავითი მოუყვა სიმონს ამბავს“².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ლინგვისტური სტილისტიკის საკითხთა შესწავლაში გულისხმობს შესიტყვების (თუ კონტექსტის) ოდენ ექსპრესიულ-გამომხატველობით მხარეს³. ზემოთ წარ-

² იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელ. ნაშრომი, გვ. 289.

³ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 289—290.

⁴ შდრ.: სტილისტიკა ენათმეცნიერული დისციპლინაა, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს ენის გამომხატველობით შესაძლებლობათა და საშუალებათა კვლევა მის ყველა სფეროში — ლექსიაში, სინტაქსში, მორფოლოგიაში, ფონეტიკაში (იხ. М. Н. Кожица, *Стилистика и некоторые ее категории*, Пермь, 1961, გვ. 4); ე. ვინოგრადოვის თქმით კი ენას აქვს ძირითადი (კომუნიკაციური) და დამატებითი (ექსპრესიული) ფუნქციები; ექსპრესიული ფუნქცია კომუნიკაციურს ზედ წაეფინება (იხ. В. В. Виноградов, *О языке художественной литературы*, М., 1959, გვ. 210—211).

მოდგენილი მსჯელობის მიხედვით კი ცხადი ხდება, რომ ამა თუ იმ შესიტყვების სტილისტიკური შესწავლა სცილდება ემოციურ (ექსპრესიულ-გამომხატველობით) ფაქტორთა ანალიზის ფარგლებს⁵; ის მოიცავს, აგრეთვე, შესიტყვების სიზუსტისა თუ უზუსტობის, სიცხადისა თუ ბუნდოვანების, გადმოსაცემ აზრთან მისი შესაფერისობა-შეუფერებლობის საკითხსაც, ე. ი. შესიტყვების მიმართებას გადმოსაცემ შინაარსთან ამ უკანასკნელის ზუსტად თუ არაზუსტად, მკაფიოდ თუ ბუნდოვნად გამოხატვის თვალსაზრისით. ესაა სტილისტიკური მინიმუმი⁶ საკითხი. ზემომოყვანილ მაგალითში— „დავითმა შეურაცხყოფა გაუკეთა სიმონს“ — სტილის უხეირობაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაშია არა ემოციური მხარე ამ წინადადებისა, არამედ შესიტყვების შეუფერებელი, დამახინჯებული მიმართება გადმოსაცემ შინაარსთან. ამ შემთხვევაში დაცული არ არის შესიტყვების სტილისტიკური მინიმუმი (შესიტყვების მიმართება გადმოსაცემ შინაარსთან შესაფერისობის თვალსაზრისით). მაგრამ, ვთქვათ, თანამოსაუბრემ კარგად არ იცის: დავითმა სიმონს მიაყენა შეურაცხყოფა თუ პეტრეს (ან კიდევ სხვა პირს) და ამიტომ დაგვეჭირდა სათანადო სინათლის შეტანა შესიტყვებით გადმოცემულ შინაარსში; ვამბობთ: სიმონს მიაყენა დავითმა შეურაცხყოფა (სიმონს და არა პეტრეს). აქ ლოგიკურმა მახვილმა⁷ შეურაცხყოფის ობიექტი (სიმონი) შესიტყვების თავში (აბსოლუტურ პრეპოზიციის) მოაქცია, ე. ი. მახვილმა შესარულა გარკვეული ექსპრესიულ-გამომხატველობითი როლი. ამგვარად, ლინგვისტურ სტილისტიკას ორი რამ ევალება: ა) შესიტყვების შესწავლა სტილისტიკური მინიმუმის (გადმოსაცემ შინაარსთან შესიტყვების შესაფერისობის) თვალსაზრისით⁸ და ბ) აფექტურობის (გარკვეულ ზღვრამდე⁹) თვალსაზრისით,

ეს უნდა გახდეს ამოსავალი პრინციპი ლინგვისტური სტილისტიკის საკითხთა რევეინასს.

დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მეცნიერულ ნაწარმოებთა ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება მხატვრულ (პოეტურ და პროზაულ) ქმნილებათა ენისაგან: პირველში, მეორესთან შედარებით, გაცილებით ნაკლებდგას ექსპრესიის საკითხი. კითხვა ისმის: როგორ მოიქცეს ლინგვის-

⁵ მართალია, იგი გარკვეული ვაგებით ამასაც გულისხმობს (იხ. ქვემოთ).

⁶ ტერმინი პირველად იხმარა არნ. ჩიქობავამ.

⁷ ლოგიკური მახვილი ენათმეცნიერული კვლევის ობიექტია (იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 162).

⁸ აქვე უმოდის ამა თუ იმ კონკრეტული ენის სტილისტიკურ შესაძლებლობათა შესწავლის საკითხიც.

⁹ იხ. ქვემოთ.

ტური სტილისტიკა: მან უნდა შეისწავლოს როგორც მეცნიერულ ნაწარმოებთა ენა, ასევე მხატვრულ ქმნილებათა ენაც, თუ ერთ-ერთი მათგანი?

ესაა ის ურთულესი კითხვა, რომლის ამომწურავი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი სპეციალურ ლიტერატურაში ჯერჯერობით არ ჩანს (მასზე პასუხის გაცემა კი აუცილებელია, თუ გვსურს, სტილისტიკას, როგორც მეცნიერული ცოდნის დარგს, თავისი ადგილი მივუჩინოთ გრამატიკის სხვა დარგებს შორის). რაც შეეხება არსებულ შეხედულებებს, ისინი მეტისმეტი სიკრულითა და შინაგანი წინააღმდეგობებით ხასიათდება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გაეხვას ხაზი ორ, ერთმანეთის საპირისპირო, თვალსაზრისს: პირველი უარყოფს სხვადასხვა სტილთა არსებობას, მეორე კი, პირიქით, ზედმიწევნით განახავს მას¹⁰.

ლინგვისტური სტილისტიკის საკითხთა შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლების დადგენას შეუძლებელს ხდის სტილთა ნიველირებაცა და დაქუცმაცებული ხასით წარმოდგენაც; პირველი (სტილთა ნიველირება) — იმით, რომ ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, არც დაისმის საკითხი სტილისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, შესახებ, რამდენადაც მეცნიერული და მხატვრული ნაწარმოებების „სტილები“ (ამ თვალსაზრისის მიხედვით) ძირითადად იმეორებენ რა საერთო-სახალხო ენის ნიშან-თვისებებს, თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან როგორც საერთო-სახალხო ენისაგან, ისე

¹⁰ ეს ორი თვალსაზრისთა გატარებული ისეთ ნაშრომებში, როგორცაა: В. В. Виноградов, *Стилистика, теория поэтической речи, поэтика*, М., 1963; Р. А. Будагов, *К вопросу о языковых стилях*, ВЯ, № 3, 1954; Ю. С. Сорокин, *К вопросу об основных понятиях стилистики*, ВЯ, № 2, 1954; Л. Л. Колосс, *О предмете стилистики*, ВЯ, № 3, 1953; И. Р. Гальперин, *Речевые стили и стилистические средства языка*, ВЯ, № 4, 1954; И. С. Ильинская, *О языковых и неязыковых стилистических средствах*, ВЯ, № 5, 1954; А. Н. Гвоздев, *Очерки по стилистике русского языка*, М., 1952; А. И. Ефимов, *Стилистика русского языка*, М., 1969; В. Д. Левин, *О некоторых вопросах стилистики*, ВЯ, № 5, 1954; Н. И. Ильминская, *Стилевое использование обособленных определений, имеющих значение предварительного сообщения*, *კრებული: „Язык и общество“*, Саратов, 1967; Б. А. Зильберг, *Сложные бессоюзные конструкции в различных стилях современного русского языка, „Язык и общество“*, Саратов, 1967; С. А. Бах, *Способы осложнения структуры сложноподчиненных предложений в разных стилях современного русского языка, კრებული: „Язык и общество“*, Саратов, 1967; М. Н. Кожина, *Стилистика и некоторые ее категории*, Пермь, 1961 და სვ.

ერთმანეთისაგანაც; მეორე (სტილთა დაქუცმაცებული სახით წარმოდგენა) კი—იმიტომ, რომ ყოველ შესიტყვებასა თუ კონტექსტში დამოუკიდებელი სტილის ძიება, თავისთავად ცხადია, იმთავითვე გამორიცხავს ყოველგვარი განზოგადების პერსპექტივას; განზოგადების შეუძლებლობა კი ადეკვატურია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების დადგენის უპერსპექტივობისა.

ჩვენ საკითხი ასე წარმოგვიდგება.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ლინგვისტურ სტილისტიკას ორი რამ ევალუება: ა) შესიტყვეების შესწავლა სტილისტიკური შინაშემის (გაღმოსაცემ შინაარსთან შესიტყვეების შესაფერისობის) თვალსაზრისით და ბ) აფექტურობის თვალსაზრისით. და ეს სათანადო ადგილას ენათმეცნიერული სტილისტიკის საკითხთა შესწავლის ამოსავალ პრინციპად მივიჩნიეთ.

რას ნიშნავს ეს კონკრეტულად?

პირველი თვალსაზრისის გატარება მოასწავებს: ა) ამა თუ იმ ენაში ბუნებრივად არსებულ ექსპრესიულ შესაძლებლობათა შესწავლას. ეს გულისხმობს, სახელდობრ, იმის გარკვევას, თუ რამდენად მარჯვეა ესა თუ ის ენა კონკრეტული და განყენებული აზროვნებისათვის, რა ახასიათებს მას — თავისუფალი თუ სავალდებულო სიტყვათა რიგი; პასიური კონსტრუქციები ემარჯვება თუ აქტიური, პარატაქსი (წინადადებათა შეწყობა) თუ ჰიპოტაქსი (მთავარისა და დამოკიდებული წინადადების გამოყენება), მარტივი წინადადება თუ რთული პერიოდები და სხვ.¹¹; ბ) მხატვრული, მეცნიერული, სასაუბრო და „საქმიანი“ ენის შესწავლას: ზუსტად გამოსახავს თუ არა იგი გაღმოსაცემ შინაარსს, რა ხერხებსა და საშუალებებს (წინადადებათა მარტივ და რთულ პერიოდებს, პასიურ თუ აქტიურ კონსტრუქციებს)¹² მიმართავს იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ პირობის დასაცავად, რითაა გამოწვეული ბუნდო-

¹¹ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 313—314.

¹² ენა შესიტყვეების თუ კონტექსტის სტილისტიკურ შეფერილობათა გაღმოსაცემად იყენებს როგორც სინტაქსის, სემასიოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ასევე მორფოლოგიისა და ფონეტიკის მონაცემებსაც. „ამ მხრივ სტილისტიკა ფონეტიკას მოგვაგონებს: თუ ფონეტიკა მასალის ბაზით მთელ ენას სწვდება, სტილისტიკასაც შეიძლება აინტერესებდეს ყოველი ენობრივი მოვლენა ექსპრესიული ფუნქციის თვალსაზრისით, ე. ო. როგორც გაღმოსაცემი საშუალება“ (არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968, გვ. 261); „Объём стилистики определяется тем, что она рассматривает целесообразность использования языковых явлений из всех областей языка“ (А. Н. Гвоздев, Очерки по стилистике русского языка. М., 1952, гв. 21).

ვანება თუ უზუსტობანი, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში, როგორია მათი თავიდან აცილების გზები, ამ მხრივ მოსალოდნელ სიმწელთა გადაღახვის საშუალებანი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესაა სტილისტიკური მინიმუმის გათვალისწინება. ამ აზრით „სტილისტიკა კი არ უპირისპირდება გრამატიკას, არამედ წარმოადგენს მის კანონზომიერ გაგრძელებას“¹³. ყოველივე ეს კი თავის მხრივ გულისხმობს არა ნაირნაირ სტილთა (პოეტური მეტყველების სტილი, პროზაული მეტყველების სტილი, ისტორიული მეცნიერების სტილი, კოსმოგრაფიის სტილი, მათემატიკურ მეცნიერებათა სტილი, ჩვეულებრივი საუბრის სტილი) გამოყოფას მხატვრული ლიტერატურის ქანრთა, მეცნიერებათა და მათი დარგების მიხედვით, არამედ — საერთო¹⁴, ყველასათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი სტილისტიკური ნიშნების დადგენას (სხეუნბული თვალსაზრისის მიხედვით) და ამდენად იმ ნიუანსების განაზუვასაც, რაც ამ საერთოს ფონზე წარმოჩნდება და რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ მეცნიერების თუ მისი დარგის, მხატვრული ლიტერატურის ამა თუ იმ ქანრის, სასაუბრო თუ „საქმიანი“ მეტყველების სპეციფიკასთან.

მეორე თვალსაზრისის გატარება კი ნიშნავს შესწავლას იმ ექსპრესიული საშუალებებისა, რომელთაც ენა სპეციალურად მიმართავს.

მაგრამ აქ დასაზუსტებელია ერთი საკითხი.

საერთოდ აფექტურ საშუალებებს (resp. აფექტურობას), ფართო გაგებით, მეტნაკლები ხვედრი წონა აქვს სხვადასხვა შემთხვევაში. მაგალითად, იგი გაცილებით უფრო ხელშეხასხები და მრავალსახოვანია მხატვრული ნაწარმოების ენაში, ვიდრე მეცნიერულისაში. ამიტომ აუცილებელია გაირკვეს ის საზღვრები, რომელთა შიგნითაც ლინგვისტურ სტილისტიკას ევალება შეისწავლოს მხატვრული (პოეტური, პროზაული) ნაწარმოების ენა. ვფიქრობთ, ენათმეცნიერულ სტილისტიკას მხატვრულ ნაწარმოებათა ენა უნდა აინტერესებდეს იმდენად, რამდენადაც სათანადო შესიტყვებებსა და კონტექსტებში ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობის¹⁵ მისაღებად ადგილი აქვს სტი-

¹³ А. И. Ефимов, *Стилистика русского языка*, М., 1969, стр. 24.

¹⁴ ამ საერთოს, ზოგადის მისაღებად კი, ცხადია, საჭიროა მხატვრული ლიტერატურის ქანრების თუ მეცნიერებებისა და მათი დარგების ენის სტილისტიკურ შეფერილობათა და ნიუანსთა (და არა სტილთა!) ცალ-ცალკე შესწავლა; უფრო მეტი: თვით ამა თუ იმ ქანრის თუ მეცნიერების დარგის შიგნით არსებულ თავისებურებათა გათვალისწინებაც (მაგალითად, მონოლოგური და დიალოგური მეტყველება მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში).

¹⁵ თვით იმ ექსპრესიულ-ემოციურ შეფერილობას კი, რომელსაც გვაძლევს ყველა სახის ნაწარმოებში თუ სასაუბრო და „საქმიან“ მეტყველებაში გადმოსაცემი ში-

ლისტიკური მინიმუმიდან გარკვეულ, ასე ვთქვათ, პირველადს გადახვევას¹⁶, რომელიც დაკავშირებულია: ა) ლოგიკურ მახვილთან (რის შედეგადაც ვლემულობით სიტყვათა თავისებურ განლაგებას წინადადებაში), ბ) ზოგი ფონეტიკური და, განსაკუთრებით, მორფოლოგიური¹⁷ ფაქტორის მოქმედების შედეგად მიღებულ თავისებურებებთან შესიტყვებასა და კონტექსტში, გ) ინტონაციასთან ზეპირ მეტყველებაში და სხვ.¹⁸ ეს ნიშნავს: ლინგვისტიკურმა სტილისტიკამ მხატვ-

ნაარსისადმი დამწერის თუ მთქმელის დამოკიდებულება (სუბიექტური სტილი), სინონიმების, ე. წ. „ემოციური“ სიტყვების, სახეების, ეპითეტების, მეტაფორების, პიპერბოლების გამოყენება, წინააღმდეგ ზოგიერთი სპეციალისტის თვალსაზრისით, პოეტური სტილისტიკა სწავლობს და არა — ენათმეცნიერული. მაგრამ თვით ამ კომპონენტების (ეპითეტი, მხატვრული სახე, ფრაზეოლოგიური ერთეული) შექმნა-ფორმირებას მუდამ ამა თუ იმ კონკრეტული ენის საშუალებათა გამოყენება უდევს საფუძვლად. ამიტომ, ცხადია, გარკვეული თვალსაზრისით (resp. გარკვეულ ზღვრამდე) ისინი ენათმეცნიერულმა სტილისტიკამაც უნდა იკვლიოს. მაშასადამე: ერთმანეთისაგან უნდა გაეარჩიოს ორი რამ: ა) თვით ექსპრესიულ-ემოციურ შეფერილობათა, როგორც უკვე მოცემული ფაქტის, კვლევა და ბ) შესწავლა იმ გზებისა და საშუალებებისა, რომელთა მომარჩევებითაც ეს შეფერილობანი მივიღოთ. პირველს პოეტური სტილისტიკა სწავლობს, მეორეს — პოეტურიცა (გარკვეული თვალსაზრისით) და ლინგვისტიკი (აგრეთვე გარკვეული თვალსაზრისით). ამგვარად, პოეტური სტილისტიკის საკვლევი ობიექტის მოცულობაა, როგორც წესი, მუდამ გაცილებით მეტია, ვიდრე — ლინგვისტიკური სტილისტიკისა.

¹⁶ აქ ბაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტილისტიკურ შეფერილობას არ ქმნის ყოველგვარი გადახვევა ენობრივი უზუსიდან; ამიტომ საკვებით სამართლიანაა რ. ბუდაგოვის კრიტიკული დამოკიდებულება იმ ავტორების მიმართ, რომლებიც ენობრივი ნორმიდან ყოველგვარ გადახვევას სტილისტიკურ შეფერილობად სახავენ (იხ. P. A. Будагов, Литературные языки и языковые стили, М., 1967, გვ. 126—127); გარკვეული გაგებით სწორია, აგრეთვე, ამავე ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ენის გამომხატველობით საშუალებათა შერჩევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ენობრივი ნორმიდან რაიმე სახის გადახვევის გარეშეც, მაგრამ დასახესტებელა დასაყენა, რომელიც ავტორს აქედან გამორაქვს: მაშასადამე, არ შეიძლება არ ვლინდეს უსაფუძვლოდ შეხედულებისა სტილისტიკაზე, როგორც „ლინციპლინაზე გადახვევათა შესახებო“ (დასახელ. ნაშრომი, გვ. 127).

ფაქტია, რომ სტილისტიკური შეფერილობა შეიძლება მივიღოთ ენობრივი უზუსიდან თუ სტილისტიკური მინიმუმიდან რაიმე სახის გადახვევის გარეშეც, მაგრამ მისი საფუძველი ასეთ შემთხვევაში პოეტური სტილისტიკაში უნდა ვეძიოთ და არა ენათმეცნიერულში.

¹⁷ მაგალითად, ცნობილია, რომ ძველ ქართულ პერმანსივის (ზოლმეობითის) ფორმა გამოიყენებოდა აწმყოს ნაცვლად. ასეთ შემთხვევაში მისი ფუნქციის დასადგენად (ზოლმეობითის გადმოსცემს იგი თუ აწმყოს) სტილისტიკური მომენტის გათვალისწინებაა საჭირო (იხ. არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 11 და შემდგ.).

¹⁸ თავისთავად იგულისხმება, ლინგვისტიკური სტილისტიკასვე ევალება, აგრეთვე, მხატვრული ნაწარმოების ენის შესწავლა სიზუსტე-უზუსტობის, გადმოსაცემ შინაარს-

რულ ნაწარმოებთა ენაც უნდა იკვლიოს, მაგრამ მან იგი უნდა იკვლიოს გარკვეულ ზღვრამდე; ამ ზღვარს იქით კი პოეტიკური სტილისტიკის ინტერესთა სფერო ძევს¹⁹. რაც შეეხება მეცნიერულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებთა, სასაუბრო და „საქმიან“ ენას, იგი, თავისი შედარებით „ნეიტრალურობის“ გამო, ენათმეცნიერული სტილისტიკის თვალსაზრისით იშვიათად საჭიროებს განსაკუთრებული საზღვრების მოხაზვას²⁰.

ამგვარად:

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ არ შეიძლება დავეუშვათ ყველა სახის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ერთი საერთო სტილი (resp. სტილთა ნიველირება), არც მრავალი სტილის არსებობის აღიარება გამართლებული, არამედ გვაქვს სტილი, ასე ვთქვათ, ორ თეორიულ განზომილებაში, რომელსაც სწავლობს როგორც ლინგვისტური, ისე პოეტური სტილისტიკა. პირველ განზომილებაში განიხილება მხატვრულ (პოეტურ, პროზაულ) ნაწარმოებთა სტილი, მეორეში შემოდის სტილი ყველა დანარჩენი „ენისა“: მეცნიერულის, პუბლიცისტურის, სასაუბროსი, „საქმიანისა“ და სხვ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი მათგან-

თან შესაფერისობა-შეუფერებლობის თვალსაზრისით, ე. ი. მის ამოცანას შეადგენს მხატვრული ნაწარმოების ენის სტილისტიკური მიზნების კვლევა.

¹⁹ ჩვენ პოეტიკური სტილისტიკის ინტერესებელ გვესმის მხატვრულ ნაწარმოებში გამოყენებული სათანადო კომპონენტების (ეპითეტის, მეტაფორის, ანაფორის, პიპერბოლის, ფრაზეოლოგიური ერთეულის) ექსპრესიულ-გამომხატველობითი ნიშან-თვისებებისა და ფუნქციების შესწავლა და არა ე. წ. „ლიტერატურული სტილის“ საკითხთა კვლევა, რომელიც გულისხმობს რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის თუ მწერლის შემოქმედების გარკვეულ დახასიათებას იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეტიკური სტილისტიკის საქმეა მხატვრული ლიტერატურის ენის სტილის და არა მწერლის შემოქმედების ხასიათისა თუ ლიტერატურულ მიმდინარეობათა თავისებურებების შესწავლა.

მხატვრული ლიტერატურის სტილი, — წერს ლ. კოლოსი, — არ შეიძლება ავიოთ მხატვრული ლიტერატურის ენის სტილში; პირველი — სტილისტიკის კვლევის სფეროს არსებითად არ განეკუთვნება, მეორე კი უშუალოდ მისი საქმეა (იხ. Л. Л. Колосс, О предмете стилистики, ВЯ. № 3, 1953, გვ. 98); ტერმინი „სტილისტიკა“ იმპრეზია ლიტერატურისმეოდნეობაშიც ისეთ შემთხვევებში, — აღნიშნავს მ. კოეინა, — როცა საუბარია მწერლის შემოქმედების ძირითად იდეურ-მხატვრულ თავისებურებათა შესახებ... აქ ტერმინს „სტილი“ — სხვა, ლიტერატურული შინაარსი აქვს. ამ აზრით სიტყვა „სტილი“ — არსებითად წარმოადგენს ომონიმს ლინგვისტური „სტილისა“; ჩვენი აზრით იგი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ როგორც ომონიმი (იხ. М. Н. Кожина, Стилистика и некоторые ее категории, Пермь, 1961, გვ. 4—5).

²⁰ ცხადია, ზოგი ისეთი რამ, რაც ლინგვისტური სტილისტიკის საგანს არ შეადგენს, შეიძლება შევხვდეთ მეცნიერულ, სასაუბრო და „საქმიან“ ენაშიც, მაგრამ ეს ჩვეულებრივ კერძო შემთხვევების იქით არ მიდის და ამიტომ იგი არაფერს ლაპარაკობს წარმოდგენილ დასკვნის წინააღმდეგ.

ნისათვის (ვთქვათ, პოეტური ან პროზაული მეტყველებისათვის, მეცნიერული თუ სასაუბრო „ენისათვის“ და ა. შ.), ცხადია, ნიშანდობლივია გარკვეული თავისებურებანი, მაგრამ ისინი კვალიფიცირებულ უნდა იქნეს სწორედ როგორც სტილური თავისებურებანი და არა როგორც დამოუკიდებელი სტილები.

მრავალფეროვნება ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ მაშინ, როცა საკითხი სტილის სფეროს ეხება (არნ. ჩიქობავა). ვფიქრობთ „სტილური მრავალფეროვნება“ იდენტურია „სტილური თავისებურებებისა“, რაც ეს-ესაა ვახსენეთ. საკითხი სტილური მრავალფეროვნებისა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი რომელიმე ერთეულის — ვთქვათ, პოეზიის, პროზის, რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის ან მისი დარგის — შიგნით. არ შეიძლება, მაგალითად, თანადროული ქართული პროზის სტილური თავისებურებანი (resp. სტილური მრავალფეროვნება) შევადაროთ თანადროულივე ქართული ლიტერატურისმცოდნეობის სტილურ თავისებურებებს და აქედან რაიმე სერიოზული მეცნიერული დასკვნები გამოვიტანოთ სტილისტიკის, კერძოდ, ლინგვისტური სტილისტიკის, საკითხებზე.

ლინგვისტური სტილისტიკა შეისწავლის ყველა სახის „ენას“; შეისწავლის მათ გარკვეული ინტერესების თვალსაზრისით. ესაა ძირითადად ენის მონაცემთა შესწავლა ობიექტური სტილის ფარგლებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენათმეცნიერულმა სტილისტიკამ უნდა იკვლიოს: ა) საკითხი სტილიტიკური მინიმუმისა და ბ) მისგან გარკვეული გადახვევისა ყველა შემთხვევაში²¹ (შხატერული და მეცნიერული ნაწარმოების ენაში, სასაუბრო თუ „საქმიან“ მეტყველებაში); ეს მინიმუმიცა და მისგან გადახვევაც გულისხმობს ანალიზს, ერთი მხრივ, „ნეიტრალური“ და, მეორე მხრივ ერთგვარად ექსპრესიული ენობრივი პლასტისა, რომელიც განთავისუფლებულია პოეტური სტილისტიკის ინტერესებისაგან,

ავიღოთ, მაგალითად, ცნობილი ადგილი ილ. ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?!”-დან: „ქარგი რამ იყო თავად თათქარბიდის სახლ-კარი!“²² ამ

²¹ ამიტომ ო. სიროტინიანს დებულება იმის შესახებ, რომ სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია თითქოს მხოლოდ და მხოლოდ („почти исключительно“) შხატერულ (და პუბლიცისტურ), განსაკუთრებით, პოეტურ მეტყველებაში შელავნდებოდეს, გამომდინარეობს ლინგვისტურია სტილისტიკის შესწავლის მცდარი მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან (იხ. О. Б. Сироткина, Порядок слов в русском языке, Саратов, 1965, გვ. 168).

²² მაგალითი დამოწმებული აქვს არნ. ჩიქობავას წიგნში: „ენათმეცნიერების შესავალი“, თბ., 1952, გვ. 313.

სახლ-კარის აღწერა მთლიან კონტექსტში გვიჩვენებს, რომ სიტყვა „კარგი“ სრულიად საპირისპირო მნიშვნელობითაა ნახმარი. იგი ნიშნავს: „მეტაც ცუდი“, „სავალალო რამ“: „მეტად ცუდი, სავალალო რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“...

ჭავჭავაძისეულ სიტყვებში („კარგი რამ იყო“) მოცემულია ავტორის დამოკიდებულება (სუბიექტური „სტილი“) გადმოსაცემ შინაარსთან; ამ დამოკიდებულებას წარმოაჩენს კონტექსტი და არა თვით სიტყვის მნიშვნელობა. მოცემულ კონტექსტში სიტყვა „კარგი“ საწინააღმდეგო შინაარსს ლებულობს. ეს ფაქტი პოეტიკურმა (და არა ლინგვისტურმა) სტილისტიკამ უნდა იკვლიოს.

მაგრამ რაღა დარჩა მოცემულსავე წინადადებაში ენათმეცნიერული სტილისტიკისათვის?

სათანადო ადგილას აღინიშნა, რომ ქართულ წინადადებაში ზმნას საერთოდ მიდრეკილება აქვს წინადადების ბოლოს იდგეს. ამის მიხედვით უნდა გვეკონოდა: „თავად თათქარიძის სახლ-კარი კარგი რამ იყო“; საანალიზო წინადადებაში კი ეს ასე არ არის.

ამის მიზეზი ისაა, რომ ავტორს სურდა ხაზი გაესვა თათქარიძის სახლ-კარის როგორობისათვის; ამ როგორობას კი უპირველესად სიტყვა „კარგი“ (ამ შემთხვევაში: შედგენილი ზმნის ნაწილი) გამოხატავს; მას (მეშველ ზმნასთან ერთად) ხვდება ლოგიკური მახვილი. ამიტომ წინადადების მახვილიანი კომპონენტი თავში მოექცა: „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“

მაშასადამე, საკითხი გადაწყვიტა „კარგი“-ს ხმარებამ კონტექსტში! უკონტექსტოდ „კარგი“ ასეთ მნიშვნელობას ვერ მიიღებდა.

სწორედ ამ საკითხის (და ზოგი სხვა რამისაც) რკვევაა მოცემულ შემთხვევაში ლინგვისტური სტილისტიკის საქმე. ილ. ჭავჭავაძეს რომ ეთქვა: „ცუდი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“ — ლინგვისტურ სტილისტიკას საკვლევი ობიექტი მაინც ექნებოდა (სიტყვა „ცუდის“ გადმოწევა ლოგიკური მახვილის გამო წინადადების თავში); იგი ექნებოდა მაშინაც კი (ოღონდ სხვა ასპექტში), ეს წინადადება სტილისტიკურ მინიმუმს რომ გადმოსცემდეს: „თავად თათქარიძის სახლ-კარი კარგი რამ იყო“ || „თავად თათქარიძის სახლ-კარი ცუდი რამ იყო“ და ა. შ.

სხვანაირად შეუძლებელიცაა. თუ ენათმეცნიერული სტილისტიკა ხელს მოჰკიდებს ამ უკანასკნელის შესწავლასაც და იმასაც შეეპოტინება, თუ რატომ იხმარა ავტორმა სიტყვა „კარგი“ „ცუდის“ მნიშვნელობით, ეს მოასწავებს ზღვარის მოშლას ლინგვისტურ და პოეტიკურ სტილისტიკას შორის. რაც შეეხება სიტყვის მნიშვნელობაში ჩაქსოვილ ემოციურ

იერს („გარდაიცვალა“, „მოკვდა“, „ჩაძაღლდა“; „მოდის“, „მოჩანჩალებს“, „მოუთრევა“...), იგი ლინგვისტიკურმა სტილისტიკამ უნდა შეისწავლოს, რაც მიუთითებს სემანტიკისა (სიტყვის მნიშვნელობა) და სტილისტიკის (სიტყვაში ჩაქსოვილი ემოციური იერი) მჭიდრო კავშირზე²³; ხოლო სიტყვათა — „გარდაიცვალა“, „მოკვდა“ „ჩაძაღლდა“ — გამოყენებასთან დაკავშირებული თავისებურებანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში²⁴ პოეტიკურმა სტილისტიკამ უნდა იძიოს; აკი, სტილში სუბიექტური მომენტი გარკვეული გაგებით ადექვატურია მხატვრული ნაწარმოებისათვის ნიშანდობლივი პოეტიკური კომპონენტებისა: სახისა, ეპითეტისა, მეტაფორისა და ა. შ. ორსავე შემთხვევაში ყურადღების ცენტრში დგას წმინდა ემოციური მომენტი. მართალია, ლოგიკური მახვილიცა და მის საფუძველზე ამა თუ იმ კომპონენტისათვის (სიტყვისათვის) წინადადებაში ადგილის შეცვლაც მიზნად ისახავს ექსპრესიის გაძლიერებას, მაგრამ ეს დაკავშირებულია სტილისტიკური მინიმუმიდან მხოლოდ გარკვეულ (პირველად) გადახვევასთან (resp. შესიტყვეების გარკვეულ ცვლილებასთან) და, ამდენად, ამის შედეგად მიღებული ემოციურ-გამომხატველობითი მომენტი ლინგვისტიკურმა სტილისტიკამ უნდა შეისწავლოს.

ამასთან არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარი თვალსაზრისის თანმიმდევრული გატარება გულისხმობს ენის სტილისტიკურ შესაძლებლობათა და საშუალებათა ისტორიული ცვლილების გათვალისწინებასაც, რაც დაკავშირებულია თვით ამა თუ იმ კონკრეტული ენის ისტორიული განვითარების გზებთან.

აქვე დგება ერთი პრაქტიკული საკითხიც.

ფაქტია, რომ ლინგვისტიკური სტილისტიკის საკითხები ენათმეცნიერებამ უნდა იკვლიოს.

ზემოთ ხაზგასმული იყო, რომ ენათმეცნიერულმა სტილისტიკამ უნდა შეისწავლოს რაგინდარა მცენიერების²⁵ ენა და სხვა სახის შეტყველება გარკვეული თვალსაზრისით. მაგრამ როგორ მოიქცეს ენათმეცნიერი ენობრივი სტილის შესწავლისას ისეთი მცენიერებებისა (ვთქვათ, ქიმიკა, ფიზიკა, გეოლოგია, ასტრონომია), რომელთა სპეციფიკაში იგი შეიძლება სათანადოდ ვერ ერკვეოდეს? აკი, როგორც აღნიშნული იყო, სტილისტიკის საკითხთა შესწავლა ამ სპეციფიკაში ერთგვარ ჩახედვასაც გულისხმობს!

²³ ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 223.

²⁴ ე. ი. დასახელებულ სიტყვათა ის თავისებურებანი, რომლებიც კონტექსტში მათს ხმარებასთანა დაკავშირებული.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ერთობლივი დაინტერესება და თანამშრომლობა ლინგვისტებისა და სხვა მეცნიერებათა (დარგთა) სპეციალისტებისა²⁵. ეს თვალსაზრისი არსებითად სწორად გვეჩვენება. ოღონდ, ვფიქრობთ, საჭიროა მასში ერთი, პრინციპული ხასიათის, კორექტივის შეტანა. მოყვანილი შეხედულების მიხედვით დასახელებულ შემთხვევაში ამა თუ იმ მეცნიერების (თუ მისი დარგის) ენის შესწავლისას თანაბარი უფლებით სარგებლობენ როგორც ენათმეცნიერები, ისე სათანადო დისციპლინათა წარმომადგენლებიც, მაგრამ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმაზე, რომ ამჭერადაც გადამწყვეტი სიტყვა ენათმეცნიერებმა უნდა თქვან²⁶. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერს, რომელიც ამა თუ იმ მეცნიერების ენას სწავლობს სტილისტიკური თვალსაზრისით, ევალუბა ასე თუ ისე ერკვეოდეს ამ დისციპლინის სამეტყველო სპეციფიკაში, ტერმინოლოგიაში და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, თუ ორი უღალად საკითხი ასე უნდა დაისვას. პრაქტიკულად მის განხორციელებას შესაძლოა არცთუ იშვიათად არაერთი დაბრკოლება გადაეღობოს წინ.

ენის თამისაგაზრდაანი, როგორც ძირითადი უმთავრესი ფაქტორი სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქციონისა

სათანადო აღვილას აღნიშნული იყო, რომ ყოველ კონკრეტულ ენას აქვს საკუთარი, სხვა ენათაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული, შესაძლებლობები გადმოსაცემ შინაარსში ექსპრესიის მისაღებად. იქვე ხაზგასმული იყო, რომ ეს გულისხმობს: რამდენად მარჯვეა ესა თუ ის ენა კონკრეტული და განყენებული აზროვნებისათვის; რაა მისთვის ნიშანდობლივი: თავისუფალი თუ სავალდებულო სიტყვათა რიგი, პასიური კონსტრუქციები თუ აქტიური, პარატაქსი თუ ჰიპოტაქსი, მარტივი წინადადება თუ რთული პერიოდები და სხვ. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს: ყოველ ენას აქვს, ასე ვთქვათ, შინაგანი რესურსები, რომლებსაც ძალა შესწევთ გადმოსაცემ შინაარსში მოგვეცენ: ა) ექსპრესიის მაქსიმუმი, ბ) ექსპრესიის მინიმუმი და გ) ექსპრესიის საშუალო — მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის მდებარე — კოეფიციენტი²⁷.

²⁵ იხ. Ю. С. Сорокин, К вопросу об основных понятиях стилистики, ВЯ, № 2, 1954, გვ. 82.

²⁶ ცხადია, ამ კონტექსტში არ შეიძლება იდგეს პოეტიკური სტილისტიკის კლასის საკითხები.

²⁷ მხედველობაშია ექსპრესია ენათმეცნიერული სტილისტიკის გაგებით.

რაზეა ეს დამოკიდებული? რა განსაზღვრავს ენის ექსპრესიულ-გამომხატველობით (resp. სტილისტიკურ) შესაძლებლობათა ამ სხვადასხვაგვარობას სხვადასხვა ენაში?

კ. ერდმანი აღნიშნავს, რომ ცნობილი გამოთქმები, რომლებიც ამა თუ იმ ენაში უცხო სიტყვათა თარგმანადაა მიჩნეული და თავმოყრილია ლექსიკონში, გადმოცემულია არა ადეკვატური, არამედ მონათესავე სიტყვებით²⁸.

ამასვე ამბობს ვ. ზვეგინცევიც. ენათმეცნიერებაში, — წერს იგი, — დამკვიდრდა ტრადიცია — სემასიოლოგიური მოვლენები²⁹, როგორც უნივერსალური, შესწავლილ იქნეს ცალკეულ ენათა თავისებურებების გაუთვალისწინებლად. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება სინამდვილეში არსებულ ვითარებას... ენები, როგორც ამას მათი შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არამარტო „გარეგანი“ მონაცემებით: ფონეტიკური სისტემებით, ინტონაციით და ა. შ. ყველაფერი ამ სხვაობებით რომ ამოიწურებოდეს, სრულიად უბრალო საქმე იქნებოდა ერთი ენიდან მეორე ენაზე აბსოლუტურად ადეკვატური თარგმანის მიღება. მაგრამ ენათა უფრო გულდასმითი შედარებითი განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ ამ „გარეგან“ სხვაობასთან მტკიცედაა გადაჯაჭვული ენათა „შინაგანი“ განსხვავებულობა, რომელიც აისახება როგორც გრამატიკულ წყობაში, ასევე — ლექსიკაშიც. და ის, რაც ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის საქმეს... აქცევს „მაღალ ხელოვნებად“, ძვეს არა „გარეგან“ სხვაობათა სიბრტყეზე, არამედ — „შინაგანისაზე“³⁰.

ერდმანისა და ზვეგინცევის ამ გამონათქვამებში ფაქტიურად ლაპარაკია იმ სტილისტიკურ შესაძლებლობებზე, რომლებიც გამომდინარეობს ყოველი კონკრეტული ენის გრამატიკული თავისებურებებიდან. ფაქტია, რომ, როგორც ამას ვ. ზვეგინცევი აღნიშნავს, მარტო „გარეგანი“ ნიშან-თვისებები არ ქმნიან სხვაობებს ენებს შორის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პრინციპში სწორედ ისინი³¹ განსაზღვრავენ იმ „ში-

²⁸ იხ. K. Erdmann, Die Bedeutung des Wortes, Leipzig, 1922, გვ. 133.

²⁹ აქ ვ. ზვეგინცევი საუბარი აქვს სემასიოლოგიის რაობაზე, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ავტორისეული დასმა საკითხისა და არა — თვით მსჯელობის საკითხი (სემასიოლოგია).

³⁰ იხ. В. А. Звегинцев, Семасиология, М., 1957, გვ. 87—88.

³¹ უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის მინც მთავარია სინტაქსისა და ლექსიკის (resp. სემასიოლოგიის) როლი. ამიტომ საკვებით გასაზიარებელი ჩანს ე. ვანდრიენის აზრი იმის შესახებ, რომ აფექტური ენა იყენებს ლექსიკასა და სინტაქსს, როგორც ძირითად რესურსებსო (იხ. Ж. Вандриенс, Язык, М., 1937, გვ. 137).

ნაგან“ სხვაობებს, რასაც ვლემულობთ ვადმოსაცემ შინაარსთან შესიტყვებათა მიმართების თვალსაზრისით სხვადასხვა ენებში. ეგვევ უღვეს საფუძვლად ერთი ენის მონაცემთა მეორე ენაზე ადევკატურად გადათარგმნის შეუძლებლობასაც. ამგვარად, ენათა შორის სხვაობას ქმნის არა მარტო ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური (resp. სემასიოლოგიური) თავისებურებანი, არამედ — აქედან გამომდინარე სტილისტიკური შესაძლებლობებიც. მაგალითად, ცნობილია, რომ ინდოევროპული ენები ისტორიულად ფორმანტთა სიუხვით ხასიათდებოდა; ამიტომ ბუნებრივია, რომ სიტყვათა რიგს მაშინ მეტი ექსპრესიულ-გამომხატველობითი (resp. სტილისტიკური) მნიშვნელობა ჰქონოდა (რამდენადაც მას სინტაქსის კანონები ნაკლებ ზღუდავდა). ამიტომ ამბობს ა. მეიე: წინათ დამოკიდებულება წინადადების სხვადასხვა ნაწილთა შორის (ინდოევროპულ ენებში — მ. ც.) გამოიხატებოდა ბრუნების (sic) ფორმებით და შეთანხმებით და არა სიტყვათა რიგით, როგორც ამას ადგილი აქვს (ამჟამად — მ. ც.) ევროპულ ენათა დიდ ნაწილში; სიტყვები ისე იყო განლაგებული, რომ ყურადღება მიქცეოდა წინადადების იმ ნაწილებს, რომლებიც ზმნის მიხედვით იყო მნიშვნელოვანი; მაშასადამე, სიტყვათა რიგს ჰქონდა ექსპრესიული და არა სინტაქსური მნიშვნელობა; იგი განეკუთვნებოდა რიტორიკის სფეროს და არა — გრამატიკისაო³².

ცხადია, აქ მეიე ცოტას აჭარბებს: გარკვეული სინტაქსური მნიშვნელობა სიტყვათა რიგს მუდამ აქვს აფიქსიან ენაშიც; ეს ფუნქცია სიტყვათა განლაგებას უნდა ჰქონოდა ისტორიულ ინდოევროპულ ენებშიც. აგრეთვე, საღაო ჩანს მკიეს დებულება სიტყვათა რიგის საკთხის რიტორიკისათვის (resp. პოეტიკისათვის) განკუთვნების თაობაზე. იგი, როგორც აღნიშნული იყო, ლინგვისტური სტილისტიკის შესწავლის ობიექტია, რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სტილისტიკური მინიმუმიდან პირველადს გადახვევასთან.

სტილისტიკური შესაძლებლობანი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს თვით ერთი და იმავე ენის შიგნითაც წერითს და ზეპირ მეტყველებაში, რაც, აგრეთვე, დამოკიდებულია ამ ენის გრამატიკული წყობის სპეციფიკაზე. მაგალითად, ე. ვანდრიესმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფრანგები ისე არასდროს არ ლაპარაკობენ, როგორც წერენ და იშვიათად წერენ ისე, როგორც ლაპარაკობენ³³. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი „განხეთქილება“ წერითსა და ზეპირ მეტყველებას შორის საერთოდ იშვიათი მოვლენაა.

³² იხ. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.—Л., 1938, გვ. 369.

³³ იხ. Ж. Вандриес, Язык, М., 1937, გვ. 141.

ზემოთქმულის მიხედვით მიზანშეწონილი იქნება დავასკვნათ, რომ ექსპრესიის მაქსიმუმს ვღებულობთ იმ ენებში, სადაც სიტყვათა შორის ურთიერთობის ერთადერთ³⁴ საშუალებად აფიქსებია გამოყენებული³⁵ (ქართული, რუსული...), ექსპრესიის მინიმუმს — იქ, სადაც ეს საშუალება არა გვაქვს (ჩინური...), ხოლო ექსპრესია საშუალო კოეფიციენტურია მაშინ, როცა ენაში შესიტყვების ორგანიზაცია უზრუნველყოფილია ფორმისა და ამორფულობის პირობებში, ე. ი. ფორმისა და ამორფულობის ურთიერთდახმარებით.

ამ უკანასკნელს განეკუთვნება საკვლევი ობიექტი — აფხაზური ენა³⁶.

³⁴ „ერთადერთი“ ვამბობთ პირობით; გამოწვევებში აქაც შეიძლება გვეჩვენოს.

³⁵ ამ გარემოებამ მისცა საბაზი ლ. ბულახოვსკის ეთქვა: რუსულ ენაში, ფლექსიურ ნიშნათა მდიდარი სისტემის ვითარებაში, სიტყვათა რიგს ვკუთვნის არა იმდენად საკუთრივ სინტაქსური როლი, რამდენადაც — სტილისტიკური (იხ. Л. А. Булаховский, *Куре русского литературного языка*, Харьков, 1936, გვ. 315).

³⁶ ექსპრესიულობა ლინგვისტური გაგებით არ უნდა აერიოდ საერთოდ ექსპრესიაში (resp. პოეტურაში). როცა ვამბობთ: აფხაზური ენის შესაძლებლობანი ლინგვისტური სტილისტიკის თვალსაზრისით საშუალო კოეფიციენტურიაო, თქმა არ უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ ენის საშუალებით გამოსაცემი აზრი, შინაარსი არ შეიძლება ამ დონეზე მალა იდგეს. არა! აფხაზური თავის ამ „დანაკლისს“ მხატვრულ თუ სხვა სახის ნაწარმოებებში, სასაუბრო და „საქმიან“ მეტყველებაში გარკვეულად ანაზღაურებს პოეტის საშუალებათა მამარჯვებით. სხვათა შორის, სწორედ ამიტომაც ასე ნიშანდობლივი ხატოვანება აფხაზური ხალხური შემოქმედებისათვის (მღრ.: ენათა შედარება მათი შეფასების (ე. ი. უკეთეს-უარესის თვალსაზრისით — მ. ც.) ხშირად ეთნოცენტრიზმის უხეშ ფორმას წარმოადგენს, და იგი ჩვეულებრივ აბსოლუტურად უნაყოფოა. საყვებით ბუნებრივია, რომ აფხაზის რომელიმე ენა შეუფერებელი იყოს ოლიმპიურ თამაშთა (World Series game) აღსაწერად, მაგრამ, უნდა ითქვას, ამ მიზნის მისაღწევად საეჭვოა თვით შექსპიანის დროის ინგლისური ენაც უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდეს“ (Г. Глисон, *Введение в дескриптивную лингвистику*, М., 1959, გვ. 184); „მთელ რიგ ენებში (სემიტურ ენებში, ბერძნულში, რუსულში), როგორც ცნობილია, არსებობდა ორობითი რიცხვი სახელებში. რიცხვის გრამატიკული საშუალებით ასეთი, შედარებით კონკრეტული, გამოხატვა მოიშალა და იგი შეუერთდა ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვს. ამით, რა თქმა უნდა, ენამ შიდალი რიცხვის გამოხატვის მერ განზოგადებას, მერ აბსტრაქტულობას, მთელ რიგ პრიმიტიულ ხალხთა ენებში რიცხვის გამოსახატავად ჯერ კიდევ არ არსებობს მრავლობითის კატეგორია სახელებში. არსებობს სამაგიეროდ ორობითი, სამობითი, ოთხობითი რიცხვიც კი. ტენდენცია ენათა განვითარების მიხედვით სრულიად ნათელია, მაგრამ გადაკატეგორიზება, თუ ვიტყვით, როგორც ამას უ. ვანდრიენსი ამბობს, რომ „ორობითი რიცხვის გამოყენება (ბერძნულ ენის) დიალექტებში პირდაპირ კავშირშია კულტურის დონესთან“ (ქ. ლომთათიძე, ენის განვითარების კანონზომიერების საკითხის შესახებ, ივე, III, თბ., 1952, გვ. 129—130); „აზროვნება ხალხებისა, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ერთიანია თავისი არსითა და წარმოშობით და კატორიობის საერთო საკუთრებას წარმოადგენს“ (Г. В. Колшанский, *Логика и структура языка*, М., 1965, გვ. 22).

ავილოთ, მაგალითად ორი, ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი წინადადება ქართულიდან და აფხაზურიდან: 1. როცა ჩემი ამხანაგი თბილისიდან ჩამოვიდა, შინ არ ვიყავი, 2. სარა სუგზა ქართვინტი დანააჲ, აუნგ სუგამგუტ, — და გავაანალიზოთ ამ თვალსაზრისით.

ქართული, როგორც ვიცით, აფიქსიანი ენაა: სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულება მასში ძირითადად აფიქსების საშუალებითაა გამოხატული, რაც შეაპირობებს წინადადების წვერთა შესაძლო პერმუტაციის მრავალფეროვნებას. აფხაზურში კი, რომელსაც ბრუნების კატეგორია არ გააჩნია, შესიტყვების ორგანიზაციაში სიტყვათა რიგი (resp. სიტყვათა ამორფულობა) გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სინტაქსური ფაქტორია, ვიდრე, ვთქვათ, იმავე ქართულ ენაში. ეს ნიშნავს: სიტყვათა რიგის სტილისტიკური მიზნით გამოყენების შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ქართულში. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს ზემომოყვანილ წინადადებებში შესაძლო კომბინაციების ჩატარება სიტყვათა განლაგების თვალსაზრისით:

ა) ქართულში შესაძლებელია წინადადების ნაწილებს ადგილები შეეუცვალოთ: შინ არ ვიყავი, როცა ჩემი ამხანაგი თბილისიდან ჩამოვიდა. აფხაზურისათვის კი ასეთი წყობა ბუნებრივი არაა: აუნგ სუგამგუტ სარა სუგზა ქართვინტი დანააჲ. სხვაობა შეპირობებულია იმით, რომ აფხაზური ენა ერთმანეთისაგან განარჩევს ორი სახის ზმნას: ინფინიტურს და ფინიტურს, შესაბამისად: წინადადების ინფინიტურ და ფინიტურ კონსტრუქციებს (მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორია). ქართულში კი ამას ადგილი არა აქვს;

ბ) ქართულში სუბიექტი (ან პირდაპირი ობიექტი) შეიძლება ზმნის შემდეგ მოექცეს: როცა თბილისიდან ჩამოვიდა ჩემი ამხანაგი, შინ არ ვიყავი. აფხაზური პროზაული მეტყველებისათვის არ შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ წყობა: ქართვინტი დანააჲ სარა სუგზა³⁷... იმიტომ, რომ, როგორც სათანადო ადგილას დაერწმუნდით, ინფინიტურ ზმნას, რომელსაც საგარემოებო აფიქსი აწარმოებს, სუბიექტი ჩვეულებრივ წინ უძღვის (კონტაქტურად ან დისტანციურად). აქაც ამას აფხაზური ზმნის ინფინიტობა (მორფოლოგიური კატეგორია) იწვევს.

გ) ქართულში ასევე შესაძლებელია სუბიექტის შემდეგ გადავსვით დამხმარე სიტყვა-კავშირი „როცა“: ჩემი ამხანაგი როცა თბილისიდან ჩამოვიდა... აფხაზურ წინადადებაში კი ამასვე ვერ გავაკეთებთ იმიტომ, რომ „როცა“-ს მნიშვნელობას ზმნაში ინფიქსად წარმოდგენილი სა-

³⁷ მსგავსი კონსტრუქცია იშვიათად გვხვდება პოეზიაში, მაგალითად: ასმათ მა-ნელა უბრი აშიოყ (რუსთ. 245) „ასმათმა რომ დანახა წერილი იგი“.

გარემობო -ან გამოხატავს და მას, ცხადია, !ზმნას ვერ დავაცილებთ. აქაც ქართულსა და აფხაზურს შორის არსებულ სხვაობას საფუძვლად უდევს თავისებურებანი ზმნის აგებულებაში (მორფოლოგიური კატეგორია!);

დ) ქართულში ადგილად ვუცვლით ადგილებს მსაზღვრელ-საზღვრულს (როცა თბილისიდან ჩამოვიდა ამ ხანა ა გი ჩ ე მ ი), აფხაზურში კი — ვერა, რადგანაც შესიტყვეების მისაღებად ამ შემთხვევაში გადაწყვეტია სიტყვათა მტკიცე რიგი (სინტაქსური კატეგორია!).

ახლა ავიღოთ ერთი და იმავე შინაარსის მომცველი მაგალითი ქართულიდან, აფხაზურიდან და რუსული ენიდან. არასტილიზებულ პროზაულ მეტყველებაში ჩვეულებრივ გვაქვს: ა) პეტრემ ქალაქი მოიტანა: პირველი ადგილი უჭირავს სუბიექტს, მეორე — პირდაპირ ობიექტს, მესამე, ბოლოკიდური ადგილი — ზმნას, ბ) ასევეა ეს აფხაზურშიც: პეტრა აქ აად ააფგეტ (სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ზმნა), მაგრამ: გ) რუსული ენისათვის ბუნებრივია წყობა: სუბიექტი — ზმნა — პირდაპირი ობიექტი: Петр принес бумагу²⁸.

ამიტომ, როცა ლოგიკური მახვილის შედეგად (resp. სტილისტიკური მიზნით) სიტყვათა გადაადგილებაზე ვლაპარაკობთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საკვლევი ენის ნიშან-თვისებები, პირველ რიგში, მისი მორფოლოგიური და სინტაქსურ-ლექსიკური თავისებურებანი.

ავიღოთ, მაგალითად, რუსული ენის კითხვითი წინადადება: Ты принесешь мне подарок? Подарок принесешь мне ты? — ხაზგასმულია წინადადების ბოლოკიდური წევრები: პირდაპირი ობიექტი და სუბიექტი. ქართულსა და აფხაზურში კი სხვა ვითარება გვაქვს: ხაზგასმული სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი აქ მუდამ ზმნისწინ დგას: ა) ქართ. შენ წახვალ მოსკოვში? შენ საჩუქარს მომიტან? ბ) აფხაზ. ჟ ა რ ა უ ც ო მ ა მოსკვა? ჟ ა რ ა ა ქ ა მ თ ა ს ზ ა ა ჟ გ ო მ ა ?

როგორც ვხედავთ, ხაზგასმულ წევრს ქართულსა და აფხაზურში, რუსულისაგან განსხვავებით, მუდამ კონტაქტურად მოსდევს ზმნა, რაც ამ ენათა თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ²⁹.

²⁸ „დადგენილია, რომ რუსულ ენაში გრამატიკულად შიიჩნევა სიტყვათა ისეთი რიგი, სადაც შემასმენელი მოსდევს ქვემდებარეს“ (А. В. Исаченко, О грамматическом порядке слов. ВЯ, № 6, 1966, გვ. 31).

²⁹ ეს ფაქტი ქართულის მიმართ აღნიშნული აქვს ა. ალხაზაშვილს. ქართულში ძნელია წარმოვიდგინოთ ლოგიკური ხაზგასმა წინადადების რომელიმე წევრისა უშუალოდ. — წერს იგი (იხ. А. А. Аляхазышвили, Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка, კრებული: „Фонетический сборник“, I, Тб., 1959, გვ. 383).

ასევე, სიტყვათათვის ხაზგასმა სხვადასხვაგვარი საშუალებებითაა „გამოხატული, ერთი მხრივ, აფხაზურსა და, ქართულში, და, მეორე მხრივ, რუსულში ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: ა) აფხაზ. სცეატ, სცა!

ძვ. ქართ. წავე(დ), წა⁴⁰ ბ) რუს. обяза¹тельно приду „აუცილებლად მოვალ.“

პირველ შემთხვევაში ხაზგასმას გადმოსცემს სიტყვის (უკეთ: სიტყვის შემადგენელი ნაწილის) განმეორება, მეორე შემთხვევაში კი— მახვილიანი ხმოვნის ტონალობა (გაგრძელება).

მაგრამ თუ ლოგიკური მახვილი ზმნას ხვდება, აფხაზურში, ქართულსა და რუსულში ერთნაირი სურათი გვაქვს: ა) აფხაზ. ისზაააჟგომა ჟარა აჰამთა? ბ) ქართ. მომიტან შენ საჩუქარს? გ) რუს. Принесешь ты мне подарок? (ასევეა თხრობით წინადადებაშიც: ა) აფხაზ. ისზაააჟგეატ აჰამთა, ბ) ქართ. მომიტანა საჩუქარი, გ) რუს. принес он мне подарок).

ყველა შემთხვევაში ლოგიკური მახვილის მისაღებად, როგორც ვხედავთ, აუცილებელია სტილისტიკური მინიმუმიდან გარკვეული გადახვევა. სწორედ ეს პირობა განსაზღვრავს სიტყვათა რიგის სტილისტიკურ ფუნქციას⁴¹.

სხვა შემთხვევებში შეიძლება სხვაგვარი (ზოგჯერ უფრო ხელშესახებიცა და უფრო რთულიც) დაპირისპირებებიც. გვექონდეს, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

ამგვარად, ქართულს, აფხაზურთან შედარებით, გაცილებით მეტი შინაგანი შესაძლებლობები აღმოაჩნდა შესიტყვებაში ექსპრესიის მისაღებად. ამ შესაძლებლობებს კი საფუძვლად ამ ენის გრამატიკული წყობის თავისებურებანი უდევს.

⁴⁰ შლრ.: „მოახსენა ყმაჰან: „მზეო, ვინ ვიშერი აწაწაჰმე, სხვა პასუხი რამცა გაადრე, ანუ რამცა შევიწაჰმე? მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწაჰმე, ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა, მე!“ (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1953, გვ. 33).

⁴¹ ამიტომ მკაფიოობას მოკლებულია ვ. ორლოვას მსჯელობა იმის შესახებ, რომ სიტყვის აზრობრივი (ლოგიკური—მ. ც.) დატვირთვა თითქოს შესაძინებელ მატულობდეს მაშინ, როცა წინადადების ესა თუ ის წევრი თავში ან ბოლოში დაისმისო (იხ. В. Г. Орлова, Порядок слов в русском языке, ჟურნალი: „Русский язык в школе, № 1, 1939, стр. 31—32); კიდევ უფრო გაუგებარია რ. ანდრონოვას მტკიცება: ლოგიკურად ხაზგასმულ წევრთათვის წინადადების ბოლო (конец предложения) ყველაზე უფრო ძლიერ პოზიციას წარმოადგენსო (იხ. Р. П. Андропова, Порядок слов в простом предложении (на материале памятников письменности XVII в.), канд. дисс., М., 1956, გვ. 38).

გაირკვა, რომ აფხაზური ენის გრამატიკული წყობის თავისებურებები ერთგვარად ზღუდავს სიტყვათა რიგის გამოყენებას სტილისტიკური მიზნით. მაგრამ სათანადო ადგილას ისიც აღინიშნა, რომ აფხაზური შესიტყვეების ორგანიზაციაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ზმნაში წარმოდგენილი პირისა და კლას-კატეგორიის აფიქსები. სწორედ ამ უკანასკნელთა გრამატიკული ვალენტურობაა საფუძველი იმისა, რომ საშუალება გვეძლევა ვილაპარაკოთ სიტყვათა რიგის გარკვეულ სტილისტიკურ ფუნქციაზე აფხაზურში.

ა. პეშკოვსკი მართებულად აღნიშნავდა, რომ სიტყვათა ყოველი გადანაცვლება მეტყველების ახალ შეფერილობას იძლევა⁴².

ასეა ეს აფხაზურ ენაშიც.

ამგვარად, შესიტყვეებაში სიტყვათა რიგის ცვლა გარკვეული ექსპრესიის მიღებას ემსახურება. ენა ამ საშუალებას მიმართავს როგორც წერიტს, ასევე ზეპირ მეტყველებაშიც, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლოგიკური მახვილი, რომელიც წინადადებაში სიტყვათა გადაადგილებას იწვევს, და ინტონაცია⁴³ ერთი და იგივე არ არის. ლოგიკური მახვილისას აუცილებელია სიტყვამ (თუ სიტყვებმა) იცვალოს ადგილი⁴⁴, მაგრამ ზეპირ მეტყველებაში ესა თუ ის სიტყვა შეიძლება გამოითქვას ძლიერი ინტონაციით (resp. ხმის აწევით) გადაადგილების გარეშეც: პეტრა აქაად ააგგეტ || პეტრა აქაად ააგგეტ || პეტრა აქაად ააგგეტ — შესაბამისად ნიშნავს: ა) პეტრემ მოიტანა ქალაქი (და არა პავლემ), ბ) ქალაქი მოიტანა (და არა წიგნი) და გ) მოიტანა (და არა წიგნი).

ამ შემთხვევაში ხაზგასმა შეპირობებულია ოდენ ინტონაციით; მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში.

⁴² იხ. А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956, გვ. 42.

⁴³ ტერმინს „ინტონაცია“ ვხმარობთ ეწრო გაგებით — მელოდიკის (ტონის აწვედაწვეის) მნიშვნელობით, ფართო გაგებით კი ინტონაცია მოიცავს მახვილს, მელოდიკას, პაუზას, ხმის ტემბრს და სხვ. (იხ. ს. ქლენტი, ქართული ენის რატმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბ., 1963, გვ. 77).

⁴⁴ შდრ.: „Логическое ударение при выделении какого-либо члена предложения сопровождается вынесением слова на необычное для него место“ (Е. М. Галкина-Федорук, Порядок слов в простом предложении, წიგნი: „Современный русский язык. Синтаксис“, М., 1958, გვ. 224).

მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აფხაზურ ენას შესაძლებლობა აქვს ფინიტურ და ინფინიტურ ზმნათა სათანადო ფორმების საშუალებით, ინტონაციის (ხმის აწევის) გამოუყენებლად, ზედმიწევნით გამოხატოს იგივე მოვლენა, მაგალითად: სარა სოჭბ აახა აშეკოლაჟე იყაზ „მე ვარ (და არა სხვა ვინმე) ის, ვინც დღეს სკოლაში იყო“ (ხაზგასმულია სუბიექტი—ს ა რ ა); სარა აახოტბ აშეკოლაჟე სანჯყაზ „მე (სწორედ) დღეს (და არა სხვა დროს) ვიყავი სკოლაში“ (ხაზგასმულია დროის გარემოება — ა ა ხ ა (ა ტ ბ)); სარა აახა აშეკოლაჟე აკიენ სახჯყაზ „მე დღეს (სწორედ) სკოლაში (და არა სხვაგან) ვიყავი“ (ხაზგასმულია ადგილის გარემოება — ა შ ე კ ო ლ ა ჯ ე გ)⁴⁵.

„თუ წინადადებაში: Я был у вас сегодня — ფრაზული მახვილი გარღვევალად ხვდება უკანასკნელ სიტყვას, — წერს ი. რასპობოვი, — ლოგიკური მახვილი შეიძლება ეკემოდეს რაგინდარა წევრს (სიტყვას): Я был у вас сегодня; Я был у вас сегодня; Я был у вас сегодня“⁴⁶.

ცოტა ქვემოთ ი. რასპობოვი აღნიშნავს, რომ ლოგიკური მახვილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩაკითხვის შემთხვევაშიც, და მოჰყავს ასეთი მაგალითები:

„— Как ты себя чувствуешь? — Спросил Проценко.

— Хорошо.

— Да, я не про батальон, а про тебя: как ты себя чувствуешь? Поправился?

Поправился, — сказал Сабуров“⁴⁷.

როგორც ხაზგასმული სიტყვა მიგვიჩვენებს, ავტორს მიაჩნია, რომ ლოგიკური მახვილი ტყ-ს ხვდება. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ტყ-ს ხაზგასმა ამ შემთხვევაში (წერითს მეტყველებაში) აღიქმება კონტექსტის საშუალებით; ჩამკითხველი იძლევა გარკვეულ ახსნა-განმარტებას: „Да, я не про батальон, а про тебя“... წინააღმდეგ შემთხვევაში ინტონაციის ფაქტი, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა მოცემული წინადადების ზეპირად წარმოთქმისას, შეუცნობელი დარჩებოდა: აკი, წერითს მეტყველებაში წინადადების წყობა ორივეგან ერთი და იგივეა: „Как ты себя чувствуешь“...

⁴⁵ იხ. Л. П. Чкадуа, Об одной структурной разновидности предложения, წიგნი: „Сборник материалов по абхазскому языку“, Тбилиси, 1970, გვ. 70.

⁴⁶ И. П. Распопов, Смысловые и стилистические функции логического ударения, ტურნალი: „Русский язык в школе“, № 4, 1957, გვ. 19.

⁴⁷ იხ. ი. რასპობოვის დასახელ. წერილი, გვ. 21.

მსგავსივე ხასიათისაა ს. გორგაძის მსჯელობაც. ავტორს მოჰყავს წინადადება: „გუშინ ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი მოიტეხა“, და აღნიშნავს: „... ვცადოთ შემდეგი: ესევე წინადადება რამდენჯერმე ისე შევცვალოთ, რომ შემასმენლის წინ რიგ-რიგად დანარჩენი ნაწილებიც მოხვდნენ, და თან ვუტკიროთ: მისი შინაარსი (წინადადების აზრი) როგორ ნიუანსებს მიიღებს. აი ეს ცვლილებანი: 1. ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი გუშინ მოიტეხა, 2. გუშინ ჩემმა მეგობარმა ფეხი ტყეში მოიტეხა, 3. გუშინ ტყეში ფეხი ჩემმა მეგობარმა მოიტეხა“⁴⁸.

სიტყვათა ამგვარ გადაადგილებას ავტორი ლოგიკური მახვილის მოქმედებით ხსნის. მაგრამ ლოგიკური მახვილი და მასთან დაკავშირებული სიტყვათა გადაადგილება წინადადებაში, როგორც ვიცით, მოასწავებს სტილისტიკური მინიმუმიდან გარკვეულ გადახვევას.

გვაქვს კი ეს?

რა თქმა უნდა, არა.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სტილისტიკური მინიმუმიდან გადახვევას, არამედ — თვით სინტაქსური ნორმიდან, ე. ი. დაცული არ არის წინადადების სტილისტიკური მინიმუმის მოთხოვნები (წერითი მეტყველების თვალსაზრისით, და აგრეთვე — ზეპირი მეტყველებისთვისაც უინტონაციოდ წარმოთქმისას)⁴⁹. სიტყვათა რიგის გამოყენება კი ექსპრესიის მისაღებად გარკვეულ კანონებს ემორჩილება; არ შეიძლება, მაგალითად, რაგინდარა წვერი, როგორც ამას ს. გორგაძე მიმართავს, ნებისმიერად დავსვათ ზმნის წინ⁵⁰ ამ უკანასკნელის (ზმნის) გადაადგილების გარეშე. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიტყვათა რიგის გამოყენება ექსპრესიის მისაღებად გულისხმობს მტკიცედ განსაზღვრულ „თავისუფლებას“ და არა — ნებისმიერობას. ეს ნიშნავს: თეორიული შესაძლებლობა ქართულში (და სხვა ენებშიც) არ ფარავს რეალურ მონაცემს. მართალია, ქართულს, როგორც კარგად განვითარებული ბრუნებისა და უღვლილების მქონე ენას, შეუძლია მიმართოს ამ უკანასკნელს

⁴⁸ ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა, თბ., 1915, გვ. 23—24.

⁴⁹ მსგავსი ვითარება კქონდა მხედველობაში ა. პოტებნიას, როცა აღნიშნავდა: „ჩვენს მეტყველებაში ტონი ძალზე დიდ როლს თამაშობს და არააშეიფად (მეტყველების— მ. ც.) აზრსაც ცვლის. სიტყვა ნამდვილად არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოითქმის; ის უნდა წარმოითქვას აუცილებლად გარკვეული ტონით... სიტყვა მხმე შეიძლება წარმოეთქვა კითხვის, სასიხარულო გაკვირვების, ძლიერი საყვედურისა და სხვაგვარი ტონით. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი რჩება მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსაზღვრად“ (А. А. Потення, Мысль и язык, Харьков, 1913, გვ. 74).

⁵⁰ ამის შესახებ იხ. თავში: „სიტყვათა რიგი წინადადებაში“.

(თუმცა არც ეს ნებისმიერობაა ზღვარდაღებული)⁵¹, მაგრამ შეუძლია— მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში⁵². და მაშინ საქმე გვექნება არა სატყვეათა რიგის შერჩევასთან სტილისტიკური (resp. ექსპრესიული) მიზნით, არამედ ინტენსიური ინტონაციის გამოყენებასთან ამავე დანიშნულებით⁵³. ზემოთ წარმოდგენილი წინადადების ს. გორგაძისეულ კომბინაციებშიც სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე; ე. ი. ის, რაც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ზეპირი მეტყველებისათვის, გასაღებელია წერითი მეტყველების ნიშან-თვისებად⁵⁴. აბა, ვცადოთ ს. გორგაძისეული წინადადებების წაკითხვა ხმის აწვევის გარეშე (ლოგიკურმა მახვილმა, როგორც ვიცით, ხმის აწვევის გარეშეც, ე. ი. წერითს მეტყველებაშიც უნდა მოგვეცეს ამა თუ იმ სიტყვისათვის ხაზგასმა)!

დავინახავთ, რომ არაერთარ ხაზგასმას არ ექნება ადგილი; ხელში შეგვრჩება მხოლოდ გრამატიკულად მეტ-ნაკლებად გაუმართავი წინადადებები!

ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება — სათანადო ლინგვისტურ ასპექტში განვიხილოთ ნაწყვეტი ერთი იუმორისტული მოთხრობისა, რომელსაც ჰქვია „ელექტრომატარებელში“:

⁵¹ ამგვარი თავისუფლებით სარგებლობას ხანდახან პოეტური მეტყველებაც; აქ მას უკვე პოეტური სტილისტიკის თავისებურებები შეაბირობებს და არა ინტონაცია.

⁵² გამოირჩეული არაა მსგავსი კონსტრუქციები შეგვხვდეს წერითს (პროზულ) მეტყველებაშიც. მაგრამ აქაც ხაზგასმული სიტყვის (სიტყვების) გამოცნობაში ისევ კონტექსტი ან დამაზუსტებელი კითხვები გვშეულის.

⁵³ შდრ.: „ერთი და იგივე ფრაზა წარმოთქმაში შეიძლება ათასნაირად იცვალოს; ეს ცვლილებანი შეესაბამებია გრძნობის ხელშეუხებელ მოძრაობებს. დრამატულმა აქტიორმა, რომელიც თავის როლს ასრულებს, უნდა შეძლოს ყოველი ფრაზისათვის შესაფერისი ელერადობის მინიჭება, მონახოს მართალი ნოტი: მისი ნიჭიც ყველაზე მკაფიოდ ამაში გამოვლენდება. ფრაზას, რომელიც მკვდარია ქაღალდზე და მოკლებულია გამომსახველობას, აქტიორი ასულდგმულებს თავისი ხმით, შთაბერავს რა მას სიცოცხლეს“ (Ж. Вандриес, Язык, М., 1937, გვ. 136).

საინტერესოა ვიკითხოთ: განა შესაძლებელია ამ ათასნაირ ცვლილებას, რომელსაც, როგორც ე. ვანდრიესი აღნიშნავს, მართლაც აქვს ადგილი წარმოთქმაში (resp. ზეპირ მეტყველებაში), სარჩულად ლოგიკური მახვილი ეღოს?

⁵⁴ ლ. კორობინსკაია მართებულად იმოწმებს პროფ. ვ. ბორკოვსკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ცოცხალ მეტყველებაში მთქმელს თავისი გამოთქვეამისათვის გარკვეული აზრობრივი ელფერის მისანიჭებლად შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს არამარტხ სიტყვათა რიგი, არამედ ინტონაციაც, ექსტიცი, მიმიკაც; ეს მაშინ, როცა წერითი მეტყველებაში წილად მხოლოდ სიტყვათა რიგი მოდის (იხ. Л. А. Коробчинская, К вопросу о порядке слов в древнерусском языке, канд. дисс., Львов, 1950, გვ. 3). დაახლოებით ამასვე ამბობს ი. კოტურნოვა ნაშრომში „Порядок слов в русском литературном языке XVIII—первой трети XIX в.“, М., 1969 (იხ. გვ. 60—61).

„ელექტრომატარებლის ვაგონში შემოვიდა კონტროლიორი, კარებთან გაჩერდა და ხმამაღლა თქვა:

— მოქალაქენო, მოამზადეთ ბილეთები!
შემდეგ დაიწყო ბილეთების გასინჯვა.

— თქვენი ბილეთი... გეთაყვა... თქვენი... ასე... თქვენი ბილეთი... მოითმინეთ, მოქალაქე, რას მაძლევთ?

— ბილეთს.

— რის ბილეთს?

— ფეხბურთის.

— რაში მჭირდება ის?

— როგორ თუ რაში? თქვენ ხომ ბილეთს მოითხოვთ.

— ეს ბილეთი მე არ მჭირდება.

— სხვა ბილეთი მე არა მაქვს.

— მაშასადამე, თქვენ უბილეთოდ მიემგზავრებით.

— გამარჯობათ, აბა, რა ვიჭირავთ ხელში?

— ეს ხომ ფეხბურთის ბილეთია, მე კი მოვითხოვ ელექტრომატარებლის ბილეთს.

— მაშასადამე, მე ორი ბილეთი უნდა შემეძინა?

— თქვენ უნდა შეგეძინათ ერთი ბილეთი, ელექტრომატარებელზე“.⁵⁵

მივაქციოთ ყურადღება სასვენ ნიშანს—მძიმეს—უკანასკნელ წინადადებაში.

მართებულადაა თუ არა იგი ნახმარი?

თუ სინტაქსური კანონებიდან ამოვალთ, იგი საჭირო არ არის: „ელექტრომატარებელზე“ ამ შემთხვევაში არ შეიძლება განკერძოებულ სიტყვად იქნეს მიჩნეული; არც ამ სიტყვასა და წინადადების წინა კომპონენტებს შორის იგულისხმება რომელიმე გამოტოვებული, დაქვემდებარების გამომხატველი კავშირი, რომ მძიმე მის საკომპენსაციოდ დასმულიყო. ერთი სიტყვით, გვაქვს მარტივი გავრცობილი წინადადება ყოველგვარი ჩართული თუ განკერძოებული სიტყვების გარეშე.

მაგრამ, ვფიქრობთ, მძიმე აქ მაინც სწორადაა ნახმარი⁵⁶, და, აი, რატომ:

მოთხრობაში პერსონაჟს (კონტროლიორს) დასჭირდა ხაზი ვაესვა არა საერთოდ ბილეთისათვის, არამედ—ელექტრომატარებ-

⁵⁵ გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 28 მაისი, 1968 (მოთხრობა ვადმოთარგმნილია თურნალ „იუნოსტი“-დან).

⁵⁶ ჩვენ არ გვაინტერესებს — ინტუიციით დასვა იგი ავტორმა (resp. მთარგმნელმა) თუ რაიმე კანონების გათვალისწინებით.

რებლის ბილეთისათვის, მაგრამ ამ მიზნით მან მიმართა არა რომელიმე სიტყვის გადასმას (სტილისტიკური მინიმუმიდან გადახვევას)⁸⁷, არამედ ინტონაციას, და ეს წერითს მეტყველებაში აისახა ხაზგასმული სიტყვის გამოყოფით მძიმის საშუალებით, ე. ი. დასახელებული სასვენი ნიშანი ზეპირი მეტყველების თავისებურებითაა ნაკარნახევი და არა სინტაქსური კანონებით. ეს ხაზგასმა რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც მძიმე იქნებოდა საჭირო („თქვენ უნდა შეგეძინათ ერთი ბილეთი ელექტრომატარებელზე“).

ამით იმის თქმა გვინდა, რომ ინტონაციის ექსპრესიული ანაბეჭდი წერითს მეტყველებაში (ვთქვათ, ი. რასპობოვისკულ და ს. გორგაძისკულ მგვალითებში, იუმორისტული მოთხრობის წარმოდგენილ ნაწყვეტში და სხვ.) შეიძლება გადმოიცეს კონტექსტის (ახსნა-განმარტება, კითხვა, ჩაკითხვა), სასვენი ნიშნების (იშვიათად) ანდა სპეციალური ხაზების (გაბმული, წყვეტილი, კლაკნილი) შრიფტის (კორპუსი, პეტიტი — შავი და თეთრი) საშუალებით. სიტყვათა გადაადგილებას კი სათანადო მიზნით ასეთი რამ სრულიადაც არ სჭირდება (რა თქმა უნდა, თუ რომელიმე სიტყვა იმთავითვე (გადაადგილებამდე) არ იყო განკრძობებული, ჩართული და ა. შ.).

ამგვარად:

სიტყვათა გადასმა, რომელსაც ადგილი აქვს ლოგიკური მახვილის შედეგად, გულისხმობს შესიტყვების სტილისტიკური მინიმუმიდან გარკვეულ გადახვევას (ბავშვმა წიგნი იყიდა → წიგნი იყიდა ბავშვმა (და არა რვეული) || იყიდა წიგნი ბავშვმა (იყიდა და არა გაყიდა), ხოლო ინტონაციის დროს ეს გადახრა სრულიადაც არაა აუცილებელი (ბავშვმა წიგნი იყიდა || ბავშვმა წიგნი იყიდა || ბავშვმა წიგნი იყიდა)⁸⁸. პირველ შემთხვევაში ექსპრესია ერთგვარად გამოდის სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებს გარეთ, მეორე შემთხვევაში კი იგივე მოვლენა სახიერდება სტილისტიკური მინიმუმის შიგნით, ე. ი. პირველსა და მეორე შემთხვევაში ექსპრესია მიღებულია სხვადასხვა გზით.

ცხადია, ზემოდასახელებული [ავტორები (რასპობოვი, გორგაძე) იგივეობის ხაზს ავლებენ ლოგიკურ მახვილსა (resp. სიტყვათა

⁸⁷ ვთქვათ, ასეთს: თქვენ ელექტრომატარებელზე უნდა შეგეძინათ ბილეთი!

⁸⁸ საულისხმობა აღინიშნოს, რომ ხაზგასმითა რაოდენობის ფორმულა პირველ შემთხვევაში (ლოგიკური მახვილის დროს) გვაძლევს შეფარდებას: 2:3 (წიგნი იყიდა ბავშვმა; იყიდა წიგნი ბავშვმა). მეორე შემთხვევაში (ინტონაციის დროს) კი—3:3 (ბავშვმა წიგნი იყიდა; ბავშვმა წიგნი იყიდა; ბავშვმა წიგნი იყიდა).

რიგის სტილისტიკური თვალსაზრისით გამოყენებასა) და ინტონაციას შორის. სინამდვილეში კი, როგორც ითქვა, პირველს ადგილი აქვს როგორც ზეპირ, ასევე წერითს მეტყველებაშიც, მეორეს—მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში. სხვა საკითხია, რომ ზეპირ მეტყველებაში ლოგიკურ მახვილს შეიძლება თან ახლდეს ინტონაციის გაძლიერებაც: ა ა ა ა გ ე ა ტ პეტრა აქაად (მოიტანა პეტრემ ქალაღი).



მართებულად წერს ე. კროტევიჩი: სიტყვათა რიგმა სტილისტიკური მნიშვნელობა! მხოლოდ წინადადების შემადგენლობაში შეიძლება შეიძინოსო⁵⁵.

როგორც ვიცით, აფხაზურში შესიტყვება შეიძლება იყოს: ა) სტაბილური ან შედარებით სტაბილური და ბ) ლაბილური ან შედარებით ლაბილური. სიტყვათა სტაბილური რიგი გვაქვს, მაგალითად, საზღვრულ-მსაზღვრელის ურთიერთობაში. ამიტომ აქ ვერ ხერხდება არამართო საზღვრულ-მსაზღვრელის ადგილის ცვლა სტილისტიკური მიზნით (აჭაჯჷ ციგა „კაცი ავი“, მაგრამ ვერ ვიტყვი: ციგა აჭაჯჷ), არამედ გამოირიცხელია ტმესის ისეთი შემთხვევებიც [(დაკავშირებულნი ექსპრესიის გაძლიერებასთან), როგორცაა ქართ. მწვანეს ეწველება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი (ვაჟა), რუს. Ночное настало спокойствие და სხვ.

აფხაზური ენა ამ „ღანაკლისს⁵⁶“ სათანადო ხერხის გამოყენებით ანაზღაურებს. როცა ექსპრესიის საჭიროება დგება, იგი ატრიაბუტულ

⁵⁵ იხ. Е. В. Кротевич, Словосочетания как строительный материал. Львов, 1956, გვ. 17—18.

⁵⁶ შტრ.: „ყაზახური ენაში სიტყვათა რიგის სტილისტიკური გამოყენების შესაძლებლობანი, რუსულსასთან შედარებით, ერთგვარად შეზღუდულია. ეს აიხსნება იმით, რომ ყაზახური განსაზღვრებისა და შემასმენლის ინვერსიის სტილისტიკური გამოყენება მტკიცედ განსაზღვრულია. განსაზღვრება ჩვეულებრივ დგას საზღვრულის წინ. პოსტპოზიციისას იგი კარგავს თავის სინტაქსურ ფუნქციას, იტყევა რა ან შემასმენლად ანდა გარემოებად. ამიტომ განსაზღვრებათა სტილისტიკური გამოყენება ყაზახური ენაში გვხვდება ძალზე იშვიათად — მხოლოდ იმ წინადადებებში, რომლებიც ვალდოსცემენ ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას, აგრეთვე — კითხვით წინადადებებში“ (Н. Х. Демесниова. Порядок слов в предложении русского и казахского языков, Алма-Ата, 1958, გვ. 15).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ატრიაბუტულ სინტაგმაში კომპონენტთა ესა თუ ის განლაგება ეოველთვის როდია დაკავშირებული ექსპრესიულ-გამომხატველობითი მომენტის გაძლიერებასთან. „Многие писатели. — წერს ი. სირთინინა, — сами подчеркивают бдльшую значимость препозитивных определений. Например, у Л. Толстого: „Степан Аркадьевич был не только человек честный (без ударения),

სინტაგმას, მთლიანად აღებულს, გადმოსწევს წინადადების თავში, მაგალითად: აჭაჯგ ბზია დააჯტ სასრა ათაჭად ნაპარბეჲ იყნგ „კაცი კეთილი მოვიდა სტუმრად თავად ნაპარბეისთან (შდრ. ათაჭად ნაპარბეჲ იყნგ აჭაჯგ ბზია სასრა დააჯტ „თავად ნაპარბეისთან კეთილი კაცი სტუმრად მოვიდა“).

ლოგიკური მახვილის მოქმედებას აფხაზურში უფრო ფინიტური ზმნა ემორჩილება, და ეს საესებით გასაგებია: ზმნა, რომელშიც მორფოლოგიურად (კლას-კატეგორიის მაწარმოებელთა საშუალებით) აისახება მთელი მარტივი წინადადება, თვითონაა ის ძირითადი ფენომენი, რომელიც განსაზღვრავს სიტყვათა სინტაქსურ ურთიერთობას წინადადებაში⁶². და ეს ანიჭებს მას გარკვეულ თავისუფლებას. მაგრამ სახელთა უბრუნველობის პირობებში ზმნა, ცხადია, იძულებულია მუდამ სათანადო ანგარიში გაუწიოს დანარჩენ წევრებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ წინადადებაში ისიც მხოლოდ „შეზღუდული თავისუფლებით“ სარგებლობს: ადგილს იცვლის მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში.

ამ მხრივ საგულისხმოა ერთი გარემოება.

შეიმჩნევა, რომ აფხაზურ ენაში დასახელებული თავისუფლებით (სტილისტიკური მიზნით ადგილის ცვლა წინადადებაში) განსაკუთრებით სარგებლობს ერთპირიანი (გარდაუყვალა) ზმნა: მას ხშირად სუბიექტის მიმართ პრეპოზიცია უჭირავს:

ღ ჯ ა გ ლ ტ ყ არ ა მ ა ნ (ხ. 318) „წამოღდა ყარამანი“;

ღ გ ი გ რ ლ ე ა ტ ა პ ი გ ნ თ ქ ა რ (ლ. 337) „გაიხარა ხელმწიფემ“;

но и был честный человек (с ударением)“ (О. Б. Сиротинина, Порядок слов в русском языке, Саратов, 1965, გვ. 13).

ჩვენ შევამოწმეთ სათანადო ადგილი ლ. ტოლსტოის „ანა კარენინაში“. ირკვევა, რომ მოცემულ შემთხვევაში მსაზღვრელის პრეპოზიცია არ ისახავს იმ მიზანს, რაზეც ო. სიროტინინა წერს. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ლ. ტოლსტოი, იძლევა რაკომენტარებს იმის თაობაზე, რომ გამოთქმები — *честный человек*“, *честный деятель*“, *честный писатель*“, *честное учреждение* — იმ დროის მოსკოვურ მეტყველებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებლები იყვნენ (მაგალითად, როგორც მწერალი აღნიშნავს, პეტერბურგის მეტყველებისათვის ეს უცხო იყო), თვითონ მიკვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს თავისებურ ენობრივ (resp. კოლოკაციურ) მოვლენასთან (იხ. Л. Толстой, Анна Каренина, М., 1953, გვ. გვ. 781, 784). იქედან ჩანს, რომ მსაზღვრელის პრეპოზიცია-პოსტპოზიციას საერთო არაფერი აქვს ტოლსტოისეული გამოთქმების (*человек честный*; *честный человек*) აღქმასთან.

⁶² „წინადადების მთავარ ღერძს აფხაზურ ენაში წარმოადგენს ზმნა“ (К. В. Ломтатидзе, Абхазский язык. წიგნი: „Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки“, М., 1967, გვ. 120).

იღოქილეატ ახიგჰქია (ლ. 159) „წავიდნენ (გაემართნენ) ბავშვები“;

ინეჟლაფსეატ აბჟქია (ხ. 210) „აირია (ერთმანეთში) ხმები“;

ინხონ ხუვაშცია (ლ. 250) „ცხოვრობდნენ სამნი ძმანი“;

იყალეატ ახიგლბგჩახარა (ხ. 228) „დადგა საღამო ხანი“;

დაშთან მარგჯ უბრი აპოემა მანქიოტ რეფთშო ხჯდ ღვტქ ანჟყაწაშა აამთა (ნინ. 33) „ისიც (ად.) ეძიებდა ისეთ დროს, როცა შესაძლებლობა ექნებოდა — ჩაედინა დიდი, სასახელო საქმე, როგორც იმ პოემაში იყო აღწერილი“;

ასტოლ და ხატიან ნიკიალა (საქ. 48) „მაგიდას ნიკოლოზი უჯდა“...

რითაა შეპირობებული ერთპირიან (გარდაუვალ) ზმნათა ეს შედარებითი თავისუფლება აფხაზურ წინადადებაში?

ცხადია, რომ ერთპირიანი ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა მარტივია: მასში წარმოდგენილია მხოლოდ სუბიექტის ნიშანი; ამ სახის ზმნას არ ევალება რაიმე კონტროლი გაუწიოს წინადადების დანარჩენი წევრების ადგილს⁶³ და ამ აზრით იგი ნაკლებ შებოჭილია. ვფიქრობთ, სწორედ ამან შეაპირობა ერთპირიან (გარდაუვალ) ზმნათა ის მეტი „მოქნილობა“, რაც მათ მინიჭებული აქვთ სტილისტიკური ფუნქციის შესასრულებლად შესიტყვებაში. ამაზევე მეტყველებს ორპირიან (გარდაუვალ და გარდამავალ) და სამპირიან (გარდამავალ) ზმნათა შედარებით იშვიათად გამოყენება ამავე მიზნით. ეს ზმნები, როგორც ვიცით, დატვირთულია სინტაქსური ფუნქციებით და იძულებული ხდებიან პირველ რიგში სწორედ მათს (სინტაქსურ ფუნქციათა) კარნახს დემორჩილონ:

ა) ორპირიანი გარდაუვალი ზმნა დგას რეალური სუბიექტის ან ირიბი ობიექტის წინ: ააღჯრჟანგ აჟია ითახხეატ 'ენგჯ' (საქ. 112) „უცებ სიტყვის (რალაცის) თქმა მოუნდა ენიკს“; აჟუპაზ აჟიაჟია გიჯკალა იშეგჟიპაზ საჰაჟეატ სარგჯ (ხ. 67) „მეც მესმის, რომ ეს სიტყვები სულით და გულით წარმოთქვი (შენ, მამაკ.)“; საქიშაჰათჟტბ ბკრიტიკა (ნინ. 39) „ვეთანხმები შენს (დედაკ.) კრიტიკას“;

ბ) ორპირიანი გარდამავალი ზმნა გადმოსმულია (კონტაქტურად ან დისტანციურად) პირდაპირი ობიექტის წინ: ააზარკიჟ აპარტია კანდიდატს დრჯდჯრკჯლტ ცაცი (ხ. 378) „პარტის კრებაზე კანდიდატად მიიღეს ცაცი“; აღიქან ადჟაწალოტ აჟიახბ აჟიჟ... აღამჯრ

⁶³ იგი ასეთ კონტროლს ვერ უწყევს გერც სუბიექტს; უღრ.: „ძველი ქართლის აბსოლუტურზმნიან წინადადებაში მოცემულია წინადადების ის ტაი, რომელიც ჩვეულებრივია რუსულისა და სხვა ინდოევროპული ენებისათვის“ (არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 221).

იღგეკგლონ ისასცია (საკ. 107) „ღუქანს მიშენებულ ფარდულში ადამური თავის სტუმრებს იღებდა“; ომაშია იბეატ უქე ამოჭყერ იყაზშაქია (ხ. 8) „ეუცნაურა (მას, ად.) იმ შოფრის ჩვევები...“

ზმნის წინ გაღმარწევას (resp. ლოგიკურ ხაზგასმას) შეიძლება ხელი შეუწყოს მორფოლოგიურმა ფაქტორმაც. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში სწორედ ესაა ხაზგასმის საფუძველი: (-გ² (-ც) ნაწილაკი ზმნას უბაქებს — დაღვეს სუბიექტის ან ობიექტის წინ, შედეგი კი სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება⁶⁴:

უს ეგ²ყაღწეატ ღარა (ხ. 78) „კიღეც გააკეთა მან (ად.) ასე“; იშეგრპიაზ ეღუშე ღაგ²ყალეატ ატგსქია (ხ. 147) „საქმეებიც ისე წარიმართა, როგორც აპბობდნენ“;

ღაგ²ქინაგაწიყოატ იჟსგ შითოჟ ღეჟგზარ (ხ. 289) „კიღეც შეჰყურას მას (ად.) ცოცხლად დამარხვა“.

მსგავსსავე მიღრეკილებას იჩენენ ზმნები, რომლებშიც მაინტენსივობელი -წიყა („სულ მთლად“, „სწორედ“) ნაწილაკია ჩართული, მაგალითად: ღაბარტგწიყან² ბარა ბჟაფხნა სჟეგ სგრშაპათჟეატ (ნინ. 5) „გულახდლად გემოწმები (შენ, ღედაკ.)“.

მოკემულ მაგალითებში ხაზგასმა (ზმნის წინ წამოწვევა), ცხადია, ამ ნაწილაკთა (-გ², -წიყა) სემანტიკური თავისებურებითაა შეპირობებული.

სტილისტიკური დანიშნულებით შეიძლება გადაისვას არამარტო ცალკეული სიტყვები, არამედ — სიტყვათა ჯგუფიც — განკერძოებული შესიტყვება; მაგალითად: სარა იზლაზბო ალა, არი, ალღას, ირლასნგ ჰზშოჟა ღაკიღამ (გ. II, 169) „როგორც ვხედავ, ეს, ალიასი, მალე არ გაგვიშვებს“ (შდრ.: არი, ალღას, სარა| იზლაზბო ალა, ირლასნგ ჰზშოჟა ღაკიღამ „ეს, ალიასი, როგორც ვხედავ, მალე არ გაგვიშვებს“)⁶⁵.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტილისტიკური შესაძლებლობების თვით საფუძველთა საკითხი სხვადასხვა სიბრტყეზე ღვას, ერთი მხრივ, აფხაზური ორპირიანი (გარდაუვალი, გარდამავალი) და სამპირიანი (გარდამავალი) და, მეორე მხრივ, ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნების შემცველ წინადადებებში. ამიტომ, როცა ზემოთ ვამბობთ: ზმნაში წარმოდგენილი პირისა და კლას-კატეგორიის ნიშანთა გრამატიკული ვალენტოვნობათა საფუძველი იმისა, რომ საშუალება გვეძლევა ვილაპარაკოთ სიტყვათა რიგის გარკვეულ სტილისტიკურ ფუნქციანზე აფხაზურში, მხედველობაშია რელატიური (გარდაუვალი, გარდამავალი)

⁶⁴ მორფოლოგიისა და სტილისტიკის კავშირი

⁶⁵ დაწერილებით ამის შესახებ იხ. თავში: „განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ადგილი“.

ზმნის შემცველი კონსტრუქციები. აბსოლუტურზმნაან კონსტრუქციაში კი, როგორც ვნახეთ, სულ სხვა ფაქტორი მოქმედებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში კონსტრუქციის სტილისტიკურ პოტენციას აძლიერებს ზმნაში წარმოდგენილ აფიქსთა (პირისა და კლას-კატეგორიის ნიშანთა) მრავალფეროვნება, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით — ერთფეროვნება (წარმოდგენილია ოდენ სუბიექტის ნიშანი).

როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ეს საპირისპირო მომენტები?

საქმე ისაა, რომ პირველ შემთხვევაში აფიქსთა მრავალფეროვნება ემსახურება ასევე მრავალფეროვან (resp. რთულ) სინტაქსურ ურთიერთობას (ერთ ზმნასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე სახელი: სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი), მეორე შემთხვევაში კი ზმნის მარტივი აგებულება მარტივსავე სინტაქსურ ურთიერთობას ემსახურება (ზმნას უკავშირდება ერთადერთი სახელი — სუბიექტი). ეს კი ნიშნავს: რელატიურ ზმნაში წარმოდგენილ აფიქსებს შორის მკაცრად განაწილებული ფუნქციები რომ არაა, აფხაზური ენის უბრუნველ სახელებს⁶⁶ შესაძლებლობა არ ექნებოდათ — მისწრაფება გამოეჩინათ პოზიციის ლაბილურობისაკენ და ამით კონსტრუქციის სტილისტიკური პოტენციალ ნოლს გაუთანაბრდებოდა; აბსოლუტური ზმნის შემცველ კონსტრუქციაში კი, მისი სიმარტივის გამო, ეს საერთოდ მოსალოდნელი არაა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტილისტიკური შესაძლებლობების საფუძველთა საკითხი სხვადასხვა სიბრტყეზე დგას პირველსა და მეორე შემთხვევაში.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

აფხაზურ პროზაულ მეტყველებაში სიტყვათა რიგი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელ რიგ შემთხვევებში ემყარება სინტაქსური კანონების მხრით კონტროლის ქვეშ, ასრულებს გარკვეულ სტილისტიკურ ფუნქციასაც. ამ უკანასკნელის აქტივობა განსაკუთრებით ხელშესახებია იქ, სადაც სიტყვათა სინტაქსურ ურთიერთობაში თვალსაჩინო სიმარტივე შეიგრძნობა, და ეს სავსებით ბუნებრივი ჩანს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აფხაზური ენის ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნის ადგილის შედარებით ლაბილური ხასიათი წინადადებაში.

სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია კომპლურ მხატვარებაში

როგორც ცნობილია, პოეტური მეტყველება ყველა ენაში განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება⁶⁷. მაგრამ ეს თავისებურებანი

⁶⁶ resp. თვით რელატიურ ზმნებს.

⁶⁷ შტრა.: პოეტური მეტყველებას თავისებური ადგილი უჭირავს ნორმირებული ლიტერატურული მეტყველების სისტემაში. მისი ნორმები უფრო ფართოა, ვიდრე პრო-

პრინციპში ისევ ენის შინაგან რესურსებს ეყრდნობა და ამიტომ სპონტანურობა იმთავითვე გამოირიცხულია. პოეტური მეტყველების სპეციფიკას, ისევე როგორც მხატვრული პროზისას, პოეტიკური სტილისტიკა სწავლობს. მაგრამ ენათმეცნიერული სტილისტიკა, როგორც სათანადო აღვილას აღინიშნა, პოეტურ მეტყველებაში გამოყოფს გარკვეულ ენობრივ პლასტს, რომელსაც საკუთარი თვალსაზრისით განიხილავს.

საანტერესოა, რომ აფხაზურ პოეტურ მეტყველებაში ენა გაცილებით უფრო თავისუფლად მიმართავს ყველა სახის ზმნის (გარდაუვალისა და გარდამავლის, ფინიტურისა და ინფინიტურის) გადმოსმას წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციიაში თუ სუბიექტ-ობიექტების წინ. ამ მხრივ აქ მოშლილია ის სხვაობა, რასაც, როგორც დავინახეთ, აღვილი ჰქონდა პროზაულ მეტყველებაში ზმნათა პირიანობის მიხედვით. მაგალითად, ძალზე საყურადღებოა სურათი, რომელიც ი. პაპასჭირის რომანის „ხიმურის გზისა“ (გვ. 1—441) და შ. რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ (გვ. 1—304) სტატისტიკური მონაცემების შედარების შედეგად მივიღეთ.⁸⁵ აღმოჩნდა რამ პირველში სამწვეროვან კომბინაციას (ზმნა—სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი; ზმნა—პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი; ზმნა—ირიბი ობიექტი—სუბიექტი; ზმნა—სუბიექტი—ირიბი ობიექტი; ზმნა—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი; ზმნა—პირდაპირი ობიექტი—ირიბი ობიექტი) იწყებს ზმნა (ყველა სახისა)—41-ჯერ, ორწვეროვან კომბინაციას (ზმნა—პირდაპირი ობიექტი)—86-ჯერ. მეორეში კი სამწვეროვანი და ოთხწვეროვანი (ზმნა—ირიბი ობიექტი—სუბიექტა—პირდაპირი ობიექტი; ზმნა—სუბიექტი—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი; ზმნა—სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი—ირიბი ობიექტი; ზმნა—სუბიექტი—პირდაპირი ობიექტი—ირიბი ობიექტი—სუბიექტი; ზმნა—ირიბი ობიექტი—სუბიექტი; ზმნა—ირიბი ობიექტი—სუბიექტი; ზმნა—ირიბი ობიექტი—პირდაპირი ობიექტი...) კომბინაციების პრეპოზიციიაში ზმნა დგას 105-ჯერ, ორწვეროვანისაში (ზმნა—პირდაპირი ობიექტი)—232-ჯერ.⁸⁶

ზალი მეტყველების; ის მერყეობის მეტ თავისუფლებას უშვებს. ეს განსაკუთრებით ეხება პოეტური მეტყველების სინტაქსს (ხაზი ავტორისაა—შ. ც.)... შეზღუდობა მეტყველებისა, რომელიც რიტმისა და მეტრის ვიწრო ჩარჩოებშია მოქცეული, მოითხოვს, ანაზღაურების სახით, ერთგვარ თავისუფლებას სხვა მხრივ—სინტაქსურ სტრუქტურაში, კერძოდ, სიტყვათა განლაგებაში“ (И. И. Ковтунова. Порядок слов в русском литературном языке XVIII—первой трети XIX в., М., 1969, გვ. 101).

⁸⁵ პირველის ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება მეორისას.

⁸⁶ ი. ი. პაპასჭირის „ხიმურის გზისა“ („ხმურ ლეშა“) და შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ („აბეას-ცა ზმიტ“) სტატისტიკური შესწავლის მონაცემები (შემაჯამებელი ხასიათის სტატისტიკური ტაბულები, I, VI).

ერთი გარემოებაცაა საგულისხმო.

ჩვენ მიერ სპეციალურად შესწავლილ არც ერთ პროზაულ ტექსტში აღილი არ ქონია აბსოლუტივის მოქცევას კომბინაციის პრეპოზიციით, ანდა ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების წინ. პოეტურმა ენამ აქაც დაარღვია საერთო კანონზომიერება და შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ამის რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა კიდევ⁷⁰.

სათანადო საილუსტრაციო მასალა ასეთია:

ა) ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნა წინადადების აბსოლუტურ პრეპოზიციით:

ა ა ა ც ი გ რ წ ტ ა მ ჯ ა კ ი ა ჯ ჭ ა (გ. I, 139) „გამოჩნდა გზა მბრწყინაველ“;

ს ნ ა ნ ჯ ლ ო ა ტ ა მ ჯ ა ს ა დ ი კ ნ გ ს ა რ ა (გ. I, 237) „გზას მიეყვები მე მარტოდმარტო“;

ა ა ა თ ა ნ ა თ ა ა ა მ ხ ა ქ ი ა რ ა ხ ტ ი (გ. I, 163) „მოლიოდა ხალხი მთებიდან“;

ი გ ი გ რ ლ ო ა ტ გ ი გ რ თ ი გ ლ ა უ ხ გ ქ ი ა ქ ი ზ ე ი ლ ა რ ა (ლაშ. 21) „შენს სანაპიროზე ხალხი ილხენს“.

ბ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნა დგას სუბიექტის ან ირიბი ობიექტის წინ. ასეთ შემთხვევებში ხშირად დარღვეულია სუბიექტ-ირიბი ობიექტის ნორმატიული წყობა: გვაქვს ჯერ ირიბი ობიექტი, შემდეგ — სუბიექტი (ნაცვლად: სუბიექტ-ირიბი ობიექტისა):

ი ს გ რ გ ი გ ბ ზ ჯ ლ გ ა ტ ა ბ ე ა ს ს ა რ ა , ა ხ ა ჭ ე ზ ა ზ გ ჭ ჭ ე ა თ გ ნ გ მ ხ ა ა ტ (რუსთ. 163) „მივეფერე მე ვეფხეს, მაგრამ ის არ დამშვიდდა“;

ს ჯ რ ე ა ხ გ რ ხ ტ ე ა ტ უ ბ ა რ თ ს ა რ ა (რუსთ. 85) „თავი დაუხზარე (ვეთაყვანე) მე მათ“.

სუბიექტ-ირიბი ობიექტის ჩვეულებრივი (ნორმატიული) წყობა დაცულია მაგალითში: ი ლ ჯ შ თ ა ლ ტ ა მ ა დ ა ნ ა ა პ ი შ ა - თ ჰ ა (გ. I, 15), „გამოედგენა ბატონი დადიანის დისწულს“.

ხშირად წინადადებაში წარმოდგენილია ოდენ ერთ-ერთი მათგანი (სუბიექტი ან ირიბი ობიექტი): ა ბ რ ა დ ა ა ს თ გ ლ ტ უ ბ რ ი ს ჯ ჭ ა ა თ ა მ ა ლ ა (გ. I, 101) „აქ შემომხვდა ჩემი ნათესავი ბერიკაცი“; ს ე ა - თ ა ნ ა ხ ა ტ ი ე ა ტ ს გ ს ტ ო ლ (ლაშ. 4) „კვლავ (მი)ეუჭევი ჩემს მაგიდას“.

იშვიათად ორპირიანი გარდაუვალი ზმნა ექცევა სუბიექტსა და ირიბი ობიექტს ან სუბიექტსა და მეორეხარისხოვან წევრს შორის, მაგალითად: ჭ ე გ დ ა შ ი ც გ ლ ო თ ე ჰ ა ჰ ა ქ ა ლ ა ჯ (გ. I, 107) „იგი (ად.) შეჩვეულია

⁷⁰ იხ. შემავამებული ხასიათის სტატისტიკური ტაბულა № VI.

ჩვენს ქალაქს; ტარიელ დ რ გ ზ წ ა ა ა ტ ჟ ა იღვჯლაზ იხატი ბეზშიალა (რუსთ. 287) „ტარიელი შეეკითხა იქ მდგომთ !თავის ენაზე“; ტუგა ილ-გ ი გ მ გ ა ტ ლ ფ ჰ ა ლ ხ ლ ჟ ე [(რუსთ. 296) „მან აკოცა თავისი ქალი-შვილის პირ-სახეს“.

გ) ორპირიანი გარდამავალი ზმნა შეიძლება იღვეს ორივეს (სუბიექტ-პირდაპირი ობიექტის) ან ერთ-ერთი მათგანის წინ, ანდა მოექცეს მათ შორის. რაც შეეხება თვით სუბიექტ-პირდაპირი ობიექტის რიგს, იგი ნორმატიულ წინადადებაში გატარებულ სათანადო კანონზომიერებას⁷¹ ემორჩილება მაშინ, როცა ორივე დგას ზმნის შემდეგ; თუ ზმნა მათ შორისაა მოქცეული, წესი ხან დაცულია, ხანაც—არა:

წესი დაცულია:

ბაშა ი კ ა ს გ მ თ ი ე ა ტ ს არ ა ა ლ ა ლ გ რ ძ (რუსთ. 86) „ამაოდ არ დამიღვრია მე ცრემლი“;

ბაშა ი კ ა ტ მ თ ი ე ა ტ ტ ი რ ა ა ლ ა ლ გ რ ძ (რუსთ. 87) „ამაოდ არ დავიღვრია შენ (მამაკ.) ცრემლი“;

წესი დარღვეულია:

სა ს არ გ ი გ რ ლ ე ა ტ უ ბ რ ი ა შ ი ყ ი გ (რუსთ. 71) „მე გამახარა იმ წერილმა“;

ა ბ არ თ ქ ი ა გ ი ა რ თ ე ა ტ ჰ ა რ ა ჰ ა ე ი ლ ა რ (გ. I, 73) „ესენი შენიშნა ჩვენმა ხალხმა“;

ხ შ ი რ ი ა შ ე მ თ ხ ე ვ ე ბ ი, როცა წინადადებაში ოდენ ობიექტია წარმოდგენილი; ზმნაც მის წინ დგას:

ტ უ ა ყ ა ი დ გ რ გ გ ლ ტ ა ხ ტ ი გ ტ ი ა რ თ ა (რუსთ. 216) „იქვე დაღვეს ოქროს სკამი“;

ი ზ ბ ო ა ტ არ ა ა ხ ა ც ი ა ლ ე ვ ქ ი ა (რუსთ. 256) „ვხედავ აქ მამაც კაცებს“;

უ ბ რ ა ი რ ბ ე ა ტ ა ბ ჯ არ ხ გ ქ ი ა (რუსთ. 247) „იქ ნახეს ნაირნაირი იარაღი“;

ა ა ა დ გ რ ღ ი ღ ი ე ა ტ ტ უ ა ყ ა ა ვ გ ე ი რ ა (გ. I, 176) „გაახურეს იქვე ლეინის სმა“;

ი ს ხ გ ზ გ ე ა ტ ა ბ რ ი ა ყ ა რ ა გ ი ზ რ ა (გ. I, 274) „ამდენი გაჭირვება გადავიტანე“...

დ) ერთი გარკვეული კანონზომიერება სუბიექტ-ობიექტების განლაგების თვალსაზრისით დაცული არ არის არც სამპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში. აქაც თვალსაჩინოა გადახვევები ნორმატიული წესიდან.

⁷¹ იხ. ზემოთ.

ა ტუ გ რ თ ა ძ ო მ გ ზ ტ თ ე ნ რ ა ნ ხ ა რ ა ა ჭ ა ა ც ე გ ა ქ ი ა , ჭ ი ლ ა ც ი ა (გ . I , 84) „ ა რ გ ა ძ ლ ე ვ დ ნ ე ნ (ა რ გ ა ნ ე ბ ე ბ დ ნ ე ნ) შ ე ნ ი მ ტ რ ე ბ ი მ შ შ ვ ი დ ლ ო ბ ი ა ნ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს (მ შ ვ ი დ ლ ო ბ ი ა ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს) “ ;

ა თ ა კ რ ა რ ჰ ი ე მ ტ ჰ ა რ ა ჰ ნ გ რ ფ ა რ ა ქ ი ლ ა ც ი ა უ ბ რ ი ა ზ ე (გ . I , 73) „ ჩ ე ვ ნ შ ა ო ქ ო რ ო ს ბ ი კ ე ბ მ ა ა მ ი ს გ ა მ ო პ ა ს უ ბ ი გ ა ს ც ე ს თ ა ე დ ა მ ს ნ მ ე ლ ე ბ ს “ ;

ი ნ ა ქ ი გ ს წ ე მ ტ ტ ე მ ა ე ი ა დ ღ რ (რ ო ს თ . 216) „ მ ა ს (რ ა ლ ა ც ა ს) უ ნ ა გ ი რ ი დ ა ვ ა დ გ ი “ ;

ი ს გ მ თ ა ა მ ტ ს ა რ ა ტ ე მ ა მ წ ი გ ე ჯ ა (რ ო ს თ . 235) „ მ ო მ ც ე ს მ ა ნ (ა დ .) ე გ ფ რ თ ა (ა ღ მ ა ფ რ ე ნ ა) “ ;

ტ ე მ ი რ ც ი გ მ გ ე მ ტ ა დ ა ტ ე მ გ ხ ო ტ ი ე ი ა რ ჰ ა ფ ქ ი ა ზ ე გ ო (რ ო ს თ . 179) „ მ ა ნ (ა დ .) უ გ ე რ გ ი ლ ო დ ე ვ ე ბ ს ყ ვ ე ლ ა გ ა მ ო კ ე ბ ა ბ უ ლ ი წ ა ო რ თ ა ვ ა “ ;

უ ს ა ა ჰ ე ტ ე გ რ ბ ო მ ტ ჭ ა ქ ი გ ი გ ო რ ა ტ ი გ ა ტ ე ს მ ა რ ა ა ა ბ რ ა ჰ ა რ ა (რ ო ს თ . 253) „ ა ს ე გ ვ ა ჩ ე ვ ნ ე ბ შ ე ნ (მ ა მ ა კ .) ა დ ვ ი ლ ს ა ქ მ ე ს ჩ ე ვ ნ დ ა ი მ ე ლ დ “ (= ს ა ქ მ ე ს გ ვ ი ა დ ვ ი ლ ე ბ , რ ა თ ა უ ი მ ე ლ ო დ ა რ დ ა ვ რ ჩ ე თ) “ . ;

ზ მ ნ ი ს გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ა ს ხ შ ი რ ა დ თ ა ნ ს დ ე ვ ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო კ ო ნ ს ტ რ ო უ ქ ი ც ი ა შ ი , დ ა ე ს ს ა ვ ს ე ბ ი თ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა : მ თ ა ვ ა რ ი დ რ ო ძ ი ს (ზ მ ნ ი ს) ა ხ ა ლ ი პ ო ზ ი ც ი ა ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ე რ თ ე უ ლ თ ა შ ე ს ა ბ ა მ ი ს გ ა ნ რ ი გ ს მ ო ი თ ხ ო ვ ს ; წ ა მ მ ხ რ ი ვ ა ღ ს ა ნ ი ო შ ნ ა ე ი ა ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ თ ა , წ ე ვ რ - გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა , მ ი ზ ა ნ - პ ი რ ო ბ ი თ ი კ ი ლ ო ს ფ ო რ მ ა თ ა დ ა ა . შ . უ რ ე ვ ე უ ლ ო ა დ გ ი ლ ა ს დ ა ს მ ი ს შ ე მ თ ხ ე ვ ე ბ ი , მ ა გ ა ლ ი თ ა დ : ა) ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ი მ ო კ ე ვ ე უ ლ ი ა ნ ა ც ვ ა ლ - ს ა ხ ე ლ ა დ ა ა რ ს ე ბ ი თ ს ა ხ ე ლ ს შ ო რ ი ს : უ გ ლ ო ლ ე ბ ტ ე ჭ ა რ ა ი ო შ თ ე ხ ნ ე უ ხ ე (გ . I , 162) „ დ გ ა ხ ა რ შ ე ნ (მ ა მ ა კ .) თ ა ვ ა წ ე ვ ი თ “ (შ დ რ . ტ ე რ ა უ ხ ე შ თ გ ხ ნ გ უ გ ლ ო ლ ე ბ) , ბ) ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ გ ა ს ზ მ ნ ი ს შ ე მ დ ე ვ : ა ა ა ბ ო მ ტ ა რ გ ა მ ა ჰ ტ ი გ ლ ა ჰ ე ვ ი ყ ა ლ ა ზ ტ ე ა ე ვ (გ . I , 30) „ ა ხ ლ ა ა შ კ ა რ ა დ ვ ხ ე - დ ა ვ თ მ ა ს , რ ა ც ჩ ე ვ ნ ს ქ ე ვ ყ ა ნ ა შ ი მ ო ხ ლ ა “ (შ დ რ . ჰ ტ ი გ ლ ა ჰ ე ვ ი ყ ა ლ ა ზ ტ ე ა ე ვ ა რ გ ა მ ა ა ა ა ბ ო მ ტ) , გ) ზ მ ნ ი ს მ ი ზ ა ნ - პ ი რ ო ბ ი თ ფ ო რ მ ა ს პ ი რ დ ა პ ი - რ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ პ რ ე ბ ო ზ ი ც ი ა უ ქ ი რ ა ვ ს : უ ნ ა გ ლ ე მ ტ დ კ ა ტ ე გ ც - ა რ ც ჰ ა ლ ა (გ . I , 163) „ ი დ ე ქ ი შ ე ნ (მ ა მ ა კ .) , რ ა თ ა მ ტ ე რ ი გ ა ვ ე რ ე კ ა “ (შ დ რ . ჰ ლ ა დ კ ა ტ ე გ ც ა რ ც უ ნ ა გ ლ ე მ ტ) ; ა ტ ე ს უ რ ა ა მ შ ც ლ ა ზ ა ნ ა პ ქ ი ა ... რ ჰ ე ვ ნ ა რ ხ ა მ ტ (sic) ი რ ბ ა რ ც გ რ გ მ ხ ქ ი ა (გ . I , 98) „ შ ო რ მ ა ს შ ე რ ე ვ ე უ ლ ი ხ ე ლ ე ბ ი „ გ ა ე წ ვ ა დ ნ ე ნ “ , რ ა თ ა თ ა ვ ი ს ი ყ ა ნ ე ბ ი მ ო ე ხ ი ლ ა “ (შ დ რ . ა ტ ე ს უ რ ა ა მ შ ც ლ ა ზ ა ნ ა პ ქ ი ა რ გ მ ხ ქ ი ა რ ბ ა რ ც გ რ ჰ ე ვ ნ ა რ ხ ე მ ტ) დ ა ს ხ ე .

როგორც ვხედავთ, პოეტურ მეტყველებაში სიტყვათა ნორმატიული რიგის ცვლის მრავალი შემთხვევა აღინიშნება. განსაკუთრებული თავისუფლებით სარგებლობს ყველა სახის ზმნა.

რითაა ეს შეპირობებული?

ბუნებრივია, რომ ექსპრესიის მაქსიმუმის მისაღებად ესა თუ ის სამწერლობო ენა, განსაკუთრებით, პოეტური მეტყველება, მიმართავს საკუთარ და, აგრეთვე, სხვა ლიტერატურათა ისტორიული ტრადიციით ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ საშუალებებსაც. პოეზიაში პოეტიკურ სტილისტიკას ვრცელი საასპარეზო აქვს და შესასწავლი ობიექტის ხვედრი წონის მხრივ იგი არაფრით არ ჩამოუვარდება ენათმეცნიერული სტილისტიკისას. მართალია, სიტყვათა რიგის ცვლა მას შემდეგ, რაც იგი ფაქტად იქცევა, აქაც ექსპრესიის გაძლიერებას ემსახურება, მაგრამ მას (ამ ცვლას) ხშირად ვლებულობთ არამართო სტილისტიკური მინიმუმიდან გარკვეული (პირველადი) გადახვევის შედეგად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პროზაულ მეტყველებაში, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში მას წმინდა პოეტიკური კატეგორიების (მეტრი, რიტმი, რითმა, ალიტერაცია და სხვ.) მოთხოვნები განსაზღვრავს.

ამგვარად, აფხაზური ენის წინადადებაში სიტყვათა განლაგების თვალსაზრისით ერთმანეთს დაუპირისპირდა პროზაული და პოეტური მეტყველება. ეს დაპირისპირება ფაქტია; ამის შემაპირობებელი მიზეზებიც, ვფიქრობთ, დადგენილად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ სიტყვათა რიგის ეს საგრძნობი თავისუფლება, რასაც მხატვრული ლიტერატურის პოეტურ მეტყველებაში აქვს ადგილი, შეუძლებელი იქნებოდა, აფხაზური ენის სინტაქსს საამისო შინაგანი შესაძლებლობები რომ არ ჰქონოდა. ეს კი, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს სისწორეს სათანადო ადგილას წამოყენებულ დებულებისა იმის შესახებ, რომ სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ურთიერთობას საკვლევ ენაში სახელთა უბრუნველობის პირობებში ძირითადად ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები (პირისა და კლას-კატეგორიის ნიშნები) განსაზღვრავს და არა მათი (სუბიექტ-ობიექტის) მტკიცე რიგი. ენამ შეძლო დაერღვია ეს რიგი, როცა ამის აუცილებლობა დადგა.

ყოველივე ის, რაც ზემოთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ითქვა, განზოგადებული სახით ასე წარმოგვიდგება:

საიმედოობას იმ მეთოდოლოგიური საფუძვლებისა, რომელთა მიხედვითაც ენათმეცნიერული სტილისტიკა გულისხმობს ამა თუ იმ ენის სტილისტიკური მინიმუმისა და მისგან გარკვეული (პირველადი) გადახვევის შესწავლას ყველა შემთხვევაში, ადასტურებს აფხაზური ენის სათანადო მასალის ანალიზიც. ნათელი ხდება, რომ საკითხის მხოლოდ

ამნაირად დაყენებას შეუძლია, ერთი მხრივ, ენათმეცნიერების ამ დარგს ზიუჩინოს თავისი საკვლევი ობიექტი და, მეორე მხრივ, დასუას საკითხი ლინგვისტური სტილისტიკის მიმართებისა პოეტიკურ სტილისტიკასთან, აგრეთვე, ენათმეცნიერების სხვა დარგებთან და მომიჯნავე მეცნიერებებთან. პირველის გაკეთება საწინდარია მეორის უზრუნველყოფისა.

თავი მეთხმს

ბანკროტობა და უსიტყვებობა ადგილი

ბანკროტობის რეორგანიზაციის

ცნობილია, რომ განკერძოებული სიტყვისა თუ შესიტყვების ძირითად დანიშნულებას შეადგენს რომელიმე წევრის დაზუსტება-დაკონკრეტება, მისი დახასიათება რაიმე ნიშნის მიხედვით, ანდა—მოელს წინადადებაში გამოთქმული აზრის შეფასება (დადასტურება, უარყოფა...), დამატებითი ცნობების წარმოდგენა მის შესახებ, იმის ხაზგასმა, თუ როგორია სუბიექტის დამოკიდებულება მისადმი და ა. შ.

განკერძობა მტკიცე კავშირშია წინადადებაში სიტყვათა (კონსტრუქციათა) განლაგების საკითხთან.

განკერძობა ზოგადი ხასიათის ტერმინია და გულისხმობს ორ მომენტს: ა) განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრებს და ბ) სიტყვებსა და შესიტყვებებს, რომლებიც წინადადების წევრებს არ წარმოადგენენ¹. ეს უკანასკნელნი სინტაქსურად [დაკავშირებულნი არ არიან წინადადების წევრებთან, არ შეადგენენ წინადადების ორგანულ ნაწილს. ამგვარად, განკერძობის ჯამ ორ გსახეს შორის განსხვავებას ქმნის ის, რომ პირველი ჯგუფის განკერძოებული სიტყვები წინადადების წევრებს (მეორეხარისხოვან წევრებს) წარმოადგენენ, მეორე ჯგუფისა კი — მოკლებული არიან ახეთ ფუნქციას.

წინადადებაში შეიძლება განკერძოდნენ მეორეხარისხოვანი წევრები (პირველი ჯგუფის განკერძობა): უკანასკნელება და გარემოებები (დროის, ადგილისა და ვითარების)².

¹ შდრ.: „ჩართული სიტყვა და წინადადება, როგორც განკერძოებული გამოთქმა (იშისდა მიუხედავად, რომ შექლება გამოყენებული იყოს საკავშირებელი სიტყვები — მ. ც.), არ შედის წინადადების შემადგენლობაში, არაა სინტაქსურად დაკავშირებული წინადადების წევრებთან და გამოიყოფა სათანადო ინტონაციით“ (ა. კ. ზიორია, ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში, ივე, XV, თბ., 1966, გვ. 172); „ისევე, როგორც სხვა განკერძოებული სიტყვა, ჩართული წინადადების შემადგენლობაში არ შედის“ (ივე, გვ. 176).

² თითქმის არ გვხვდება მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძობა.

მეორე ჯგუფის განკერძოებას ქმნიან: დანართი, მიმართვა, ჩართული სიტყვები და შესიტყვებები, შორისდებული, დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები.

სპეციალურ ლიტერატურაში განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაციაა წარმოდგენილი. კერძოდ, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პრინციპში გატარებულია აზრი, რომ გვაქვს ორი სახის განკერძოება: ა) განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრები (განსაზღვრება, გარემოებები) და ბ) წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები³.

მკვლევართა უმრავლესობა რუსულში მხარს უჭერს, აგრეთვე, დიფერენცირებულ მიდგომას განკერძოებული სიტყვებისადმი, მაგალითად, ა. პეშკოვსკი ცალ-ცალკე განიხილავს განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრებსა (особобленные второстепенные члены)⁴ და სიტყვებსა და შესიტყვებებს, რომლებიც არ ქმნიან არც წინადადებებს, არც მათს ნაწილებს (слова и словосочетания, не образующие ни предложений, ни их частей)⁵.

მეორეხარისხოვან წევრთა "განკერძოებისათვის ავტორი საესვებით შართებულად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ თვლის სიტყვათა რიგს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ მეორეხარისხოვან წევრთა განსაზღვრების ხელშეწყობა პირობას სიტყვათა შებრუნებული რიგი ქმნის⁶.

ა. პეშკოვსკი ყურადღებას ამახვილებს მეორეხარისხოვან წევრთა ინტონაციურ (რიტმულ და მელოდიურ) თავისებურებებზე, რომელთაც ადგილი აქვს განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრთა წარმოთქმისას წინადადებაში და ასკენის, რომ განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევ-

³ იხ. Г. С. Ахвледиани, Учебник грамматики русского языка (для грузинских школ), ТБ., 1951, გვ. 341; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 267 და შემდგ.

ა. შანიძე ქართული ენის სასკოლო გრამატიკაში თემცა ცალკე გამოყოფს განკერძოებულ განსაზღვრებასა და გარემოებებს (resp. მეორეხარისხოვან წევრებს). მაგრამ მათ მშობილურად დანარჩენ განკერძოებულ სიტყვებთან (ჩართულთან, მიმართვასთან, შორისდებულთან) ერთად. უნდა ვიფიქროთ, ავტორი ასეთ (გაუდიფერენცირებულ) კლასიფიკაციას მიმართავს მეთოდური თეალსაზრისით — შესასწავლო ობიექტის მარტივად გადმოცემისათვის, რამდენადაც დასახელებულ „გრამატიკას“ სასკოლო დანიშნულება აქვს (იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბ., 1961, გვ. 72 და შემდგ.).

ასევე იქცევა რ. შამელაშვილიც (იხ. მისი: განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1958).

⁴ იხ. А. М. Пешковский, Русский язык в научном освещении, М., 1956, გვ. 412.

⁵ იქვე, გვ. 404.

⁶ იქვე, გვ. 421.

რად ისეთი მეორეხარისხოვანი წევრი იწოდება, რომელიც მელოდიითა და რიტმით, აგრეთვე, სხვა წევრებთან სინტაქსური დაკავშირების თვალსაზრისით უდრის ცალკე აღებულ დამოკიდებულ წინადადებას⁷.

ამგვარად, როგორც ამ გამონათქვამიდან ჩანს, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრი, მიუხედავად მისი განმხოლოებული ხასიათისა, მიიწვევს წინადადების წევრს წარმოადგენს და ამდენად მას სინტაქსური კავშირი აქვს წინადადების სხვა წევრებთან. ეს კავშირი რუსულში გრამატიკულადაც გამოხატულია მართვა-შეთანხმების სახით.

მაგრამ სულ სხვა თვალსაზრისზე დგას მკვლევარი მეორე ჯგუფის განკერძოებულ სიტყვათა შეფასებისას. ასეთი სიტყვები და შესიტყვებები, — აღნიშნავს ა. პეშკოვსკი, — წინადადებისათვის ისეთსავე უცხო ელემენტებს წარმოადგენენ, როგორსაც ორგანიზმში მოხვედრილი ტყვიას⁸. ამ სიტყვათა და შესიტყვებათა რიცხვში ავტორი ასახელებს მიმართვას, ჩართულ სიტყვებსა და შესიტყვებებს, შორისდებულს და სხვ.

ა. შახმატოვის აზრით ჩართული სიტყვა არაა წინადადების ორგანული ნაწილი⁹.

მსგავს თვალსაზრისზე დგანან „აღილეური ენის გრამატიკის“ ავტორებიც: ჩართული სიტყვები და შესიტყვებები წინადადებასთან სინტაქსურად არ არიან დაკავშირებულიო¹⁰, — აღნიშნავენ ისინი. „ყაბარდოულ-ჩერქეზული ლიტერატურული ენის გრამატიკაში“ კი გკითხვლობთ: ბიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც სინტაქსურად არ უკავშირდებიან წინადადებას და გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას გამოთქმული აზრისადმი, ჩართულად იწოდებაო¹¹.

სრულიად საპირისპირო შეხედულებას ატარებს რუსი სპეციალისტი ა. რულენევი. იგი ერთ სიბრტყეზე აყენებს ყველა სახის განკერძოებულ სიტყვასა თუ შესიტყვებას (მეორეხარისხოვან წევრებს, ჩარ-

7 А. М. Пешковский, *Русский синтаксис в научном освещении*, М., 1956, გვ. 416.

აღსანიშნავია, რომ გ. ახელუდიანი თავის ზემოდასახელებულ წიგნში მთელს პარაგრაფს უძღვნას დამოკიდებულ წინადადებათა შენაცულების საკითხს წინადადების განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრებით (იხ. Г. С. Ахведиани, *Учебник грамматики русского языка*, ТБ., 1951, გვ. 378).

⁸ იხ. ა. პეშკოვსკის დასახელ. ნაშრომი, გვ. 404.

⁹ А. А. Шахматов, *Синтаксис русского языка*, I, Л., 1941, გვ. 265.

¹⁰ Г. В. Рогава, З. И. Керашева, *Грамматика адыгейского языка*, Краснодар, 1966, გვ. 389.

¹¹ *Грамматика кабардино-черкесского литературного языка*, М., 1957, გვ. 212.

თულ სიტყვებსა და შესიტყვებებს, მიმართავს), თვლის რა მათ წინადადების უშუალო შემადგენელ ნაწილად, რომელიც გრამატიკულად (სინტაქსურად) დაკავშირებულია წინადადების სხვა ნაწილთან თუ ნაწილებთან. იგი აღნიშნავს: ჩართულ წევრთა (?—მ. ც.) წინადადებაში შემოყვანა დაკავშირებულია მოცემული წინადადების ძირითად აზრთან და ანვითარებს მას სემანტიკურად, რის საფუძველზედაც იქმნება სემანტიკური და გრამატიკული (resp. სინტაქსური—მ. ც.) კავშირები ჩართულ სიტყვასა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის¹².

რუდნევის თვალსაზრისს უჭერს მხარს ალ-კადიმის მოსაზრება. ავტორი, მაგალითად, მიმართავს მიიჩნევს წინადადების განსაკუთრებულ წევრად. ერთმანეთს უპირისპირებს რა წინადადებასა და შესიტყვებას, ალ-კადიმი აღნიშნავს, რომ წინადადებაში შეთანხმების, მართვისა და მირთვის გარდა შეიძლება სინტაქსური კავშირის (მიანც: სინტაქსური კავშირის)—მ. ც.) სხვა სახეებიც გვექნდესო. ასეთად იგი თვლის ზესეგმენტურ (რიტმულ-ინტონაციურ) ფაქტორს, რომელიც თითქოს შეაპირობებს მიმართვის კავშირს წინადადების სხვა წევრებთან¹³.

აქედან კი ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ რიტმულ-ინტონაციური პირობის არსებობა ისეთ ენაში, როგორიც რუსულია, საკმარისია წინადადების წევრის (ამ შემთხვევაში: მეორეხარისხოვნის) მისაღებად!

¹² А. Г. Руднев, Синтаксис современного русского языка, М., 1963, გვ. 204.

გაუმართლებლად მიგვაჩნია, როცა ზოგიერთი ავტორი წინადადებას, რომელიც აშკარად დამოკიდებული სახისაა, განკერძოებულად მიიჩნევს. მაგალითად, ნ. ოლმინსკაის მოჰყავს ასეთი მაგალითი: „Не имея здесь возможности подробнее входить в вычислительные проблемы воздушной сейсмички, мы ограничили наше изложение этих вопросов приведенными выше иллюстрациями и ссылками“. რომელშიც ხაზგასმული შესიტყვება ავტორისათვის განკერძოებული სახისაა (об. Н. И. Ильминская, Обособленные члены предложения в современном русском языке, Автореф. канд. дисс., Саратов, 1967, გვ. 6). მაგრამ თუ დავაკვირდებით, ძნელი არაა მასში მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადება შევიცნოთ. ჩართული სიტყვები და შესიტყვებები კი, როგორც ცნობილია, მუდამ დამოუკიდებელ ხასიათს ატარებენ. „ძირითად წინადადებასთან ჩართული წინადადების მიმართება მიუთითებს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი წინადადებაა და გამომხატავს მოლაპარაკის დამოკიდებულებას ძირითად წინადადებთან გამოხატული აზრისადმი“ (ა. კ. ი. ბ. ი. ა., ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში, იკვ. XI, თბ., 1966, გვ. 180).

¹³ Т. Т. Аль-Кадими, Обращение в современном русском языке. Баку, 1968, გვ. 8.

ჩართული სიტყვებისა და წინადადებების რუდნევისეულ კვალი-ფრეკციას ეხმაურება, აგრეთვე, ლ. ხატიაშვილის¹⁴, დ. განიჩის¹⁵ და ზუგიერთი სხვა მკვლევრის შეხედულებაც.

ქვემოთ, ენობრივ ფაქტთა სათანადო ანალიზისას, დავრწმუნდებით, რომ დასაბუთებული არაა რუდნევისეული გაუდიფერენცირებელი მიდგომა განკერძოებულ სიტყვათა სხვადასხვა სახეობებისადმი. ავტორი არც ცდილობს ერთმანეთისაგან გამოიჯნოს სინტაქსისა და სტილისტიკის (ისიც: პოეტიკური სტილისტიკის!) საკითხები¹⁶.

განკერძოებული სიტყვებისა და შესიტყვებების ჩასმა წინადადებაში ან მათი ამოღება, მოუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა ისინი წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს, არ ცვლის წინადადების ტიპს. ამ მხრივ ყველა სახის განკერძოებაზე სავესებით შეიძლება განვავრცოთ ი. ბაბაქოვას სიტყვები, რომლებიც რუსული ენის ჩართული წინადადების შესახებაა ნათქვამი: წინადადების ტიპი არ იცვლება იმის მიხედვით, — ამბობს ავტორი, — წარმოდგენილია თუ არა მასში ჩართული სიტყვები; წინადადების ძირითადი შემადგენლობა თავისი გრამატიკული სტრუქტურით შეიძლება იყოს მარტივი, რთული თანწყობილი ან რთული ქვეწყობილი (ერთი ან რამდენიმე დამოკიდებულების შემცველი). ასეთ წინადადებებში ჩართულის ჩასმა, იმისდა მოუხედავად, როგორი გრამატიკული სტრუქტურისაა იგი, საქმის ვითარებას არ ცვლის: რჩება წინადადების წინანდელი ტიპი და მის განსაზღვრისას ქმნედველობაში არ მიიღება ჩართული წინადადება¹⁷. ჩართულ სიტყვათა და შესიტყვებათა ამოღება არ ცვლის სინტაქსურ დამოკიდებულებას წინადადების წევრთა შორის¹⁸.

და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ესაა სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომელიც საფუძვლად უდევს განკერძოებას, როგორც ენობრივ მოვლენას იმისდა მიუხედავად — გამოხატავს იგი სინტაქსურ კავშირს წინადადების რომელიმე წევრთან თუ არა.

¹⁴ იხ. Л. Г. Хатиашвили, Вводные предложения в современном русском литературном языке, Автореф. канд. дисс., ТБ., 1953, გვ. 13.

¹⁵ იხ. Д. И. Ганич, Модальные функции вводных слов в современном русском языке, Автореф. канд. дисс. Киев, 1953, გვ. 7.

¹⁶ იხ. Г. А. Руднев, Синтаксис современного русского языка, М., 1963, გვ. 141—142 და შემდგ.

¹⁷ И. А. Бабакова, Явления вводности в русском литературном языке, Автореф. канд. дисс., Харьков, 1955, გვ. 13.

¹⁸ იქვე, გვ. 3.

აფხაზურ წინადადებაშიც საერთო წესის მიხედვით განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ორი ჯგუფი უნდა გამოიყოს: ა) განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრები და ბ) განკერძოებული სიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც წინადადების წევრებს არ წარმოადგენენ.

ოლონდ აქ აუცილებელია ხაზი გაესვას ზოგ გარემოებას.

როცა მთელ რიგ ენებში (მაგალითად, ქართველურში, რუსულში და სხვ.) განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ზემოდანახელებულ ორ ჯგუფს გამოყოფენ, მკვლევრები უწინარეს ყოვლისა ამოდიან თვალსაზრისიდან: ასეთი სიტყვები და შესიტყვებები წინადადების დანარჩენ წევრებს (resp. ნაწილებს) უკავშირდებიან: ა) სინტაქსურად (მართვა-შეთანხმების საშუალებით) და ბ) ეს ფაქტორი მოხსნილია. ამ ენებში განკერძოებულ სიტყვათა ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველი სავსებით ნათელია (მაგალითად, ქართ. კაცო, ამ ამბის გაგონებით გახარებულ ი, ჩემკენ შემობრუნდა, შდრ.: კაცო, ამ ამბის გაგონებით გახარებულმა ასე მომმართა; რუს. Человек, высокий и красивый, стоял возле домика, შდრ. Человека, высокого и красивого, я сразу не заметил).

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით აფხაზური ენის შესახებ. სახელთა უბრუნველობის, მართვის უქონლობისა და სხვა ენობრივი თავისებურებების გამო აფხაზურში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული გავებით ვილაპარაკოთ განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა დასახელებული ორი ჯგუფის არსებობის შესახებ. და მინც ასეთი კლასიფიკაცია აქ გამართლებული ჩანს იმდენად, რამდენადაც ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეორეხარისხოვან წევრთა (განსაზღვრების, გარემოებების) განკერძოებასთან, მეორე შემთხვევაში კი—იმ სიტყვათა და შესიტყვებათა განმხოლოებასთან, რომლებიც მეორეხარისხოვან წევრებს არ წარმოადგენენ.

ხანდახან აფხაზურ ენაში განკერძოებული სიტყვები უკავშირდებიან წინადადების სხვა წევრებს შეთანხმების საშუალებით კლასსა და რიცხვში, მაგრამ ეს საკმაო პირობას არ იძლევა იმისათვის, რომ ამ ნიშნის (გრამატიკული ნიშნის!) მიხედვით მოვახდინოთ განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა კლასიფიკაცია. ამ თვალსაზრისიდან რომ ამოვიდეთ, აღმოჩნდება, რომ რომელიმე დანართი, ჩართული სიტყვები და სხვ., გრამატიკულადაა დაკავშირებული წინადადების წევრებთან, ხოლო განსაზღვრება (რომელიც მეორეხარისხოვანი წევრია) კი—არა: შდრ. ერთი მხრივ: ა) წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია დანართი: ეიავუკ-ეიავუკ რაყარა აჯუცია, არფარ ეაღყაცია ნაშოფრ, არახი აარგამოღუჯ იმაძარახტუჯ ეაღღურგაპ (გ. II, 201) (შეთანხმება

რიცხვში) „თორმეტ-თორმეტ კაცს, მკვირცხლ ვაჟებს, თუ გაგზავნის (იგი, ად.), გაარკვევენ: საქონელი ნაქურდალია თუ არა“; ბ) წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია ჩართული სიტყვები: ხგმშო-ფშგმშო რნაჯს აჟიატი აპროკურორ..., ჭგა ჭარა დჯ ჭ ზ გ მ ღ ზ რ გ რ ყ ა ლ ა პ..., ოჩამჩრა დაან, ასლედოვატელ წერეთელი იქჟღ ღჯჟან ჭქსქიაკ რწგხია-ლა (გ. II, 133) (შეთანხმება კლასში) „სანი-ოთხი ღლის შემდეგ სოხუმელი პროკურორი, შენ (მამაკ.) შეიძლება მას არ იცნობდე, ოჩემჩირეში ჩამოვიდა რა, გამოძიებელ წერეთელთან იმყოფებოდა რალაც საქმეების გამო“; და, მეორე მხრივ: ა) წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია განსაზღვრება (resp. ინფინიტური კონსტრუქცია განსაზღვრების როლში) — წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი: აშოაფჯაფქია ზეგჯ, ფასა ტყიარჩალყა იცოზ, იხგწინგ ოჩამჩგრაყა იცონგ ზბეატ (გ. II, 286) (შეთანხმებ არ გვაქვს არც კლასში, არც რიცხვში) „ყველა მცენარე, წინათ ტყვარჩელში მიზავალი, ვნახე: (თითქოს) გამობრუნდა რა, ოჩემჩირეში მიისწრაფოდა“ (შღრ.: აჟაჯ ნყიავ, ფასა ტყიარჩალყა იცოზ, დხგწინგ ოჩამჩგრაყა დცონგ დგზბეატ/ზბეატ „კაცი მოგზაური, რომელიც წინათ ტყვარჩელში მიდიოდა, ვნახე: გამობრუნდა რა, ოჩემჩირეში მიისწრაფოდა“; აჟა ნყიავცია, ფასა ტყიარჩალყა იცოზ, იხგწინგ ოჩამჩგრაყა იცონგ ზბეატ „კაცი მოგზაურნი, წინათ ტყვარჩელში რომ მიდიოდნენ, დავინახე: დაბრუნდნენ (გამობრუნდნენ) რა, ოჩემჩირეში მიისწრაფოდნენ (მიდიოდნენ)“; ბ) წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია დროის გარემოება: ზნ, შგქგმთანკ, აქალაქტი ლაშაარა იბარც დააატ შჰჰანგერი კანბა (საქ. 94) „ერთხელ, დილით, ქალაქის ელექტროგანათების სანახავად ჩამოვიდა შანგერი კანბა“ და სხვ.

**განკარძობაჟულ მძორახარისხოვან წივრთა ადგილი
წინადადებაში**

აფხაზურ წინადადებაში დიდი ადგილი უჭირავს განკარძობას. ეს პირველ რიგში იმითაა გამოწვეული, რომ აფხაზურ ენას, როგორც ცნობილია, არ გააჩნია სინტაქსურად გაფორმებული ჰიპოტაქსი (რთული დაქვემდებარებული სახის წინადადება); ამიტომ აფხაზური ენის ინფინიტური კონსტრუქციები, რომლებიც სხვა ენათა დამოკიდებული წინადადებების როლს ასრულებენ, გარკვეულ შემთხვევებში განკარძობულ სახეს იღებენ¹⁹.

¹⁹ შღრ. დამოკიდებული წინადადების შეცვლის ფაქტი (ქართულში, რუსულში) წინადადების განკარძობული მეორეხარისხოვანი წევრით (იხ. Г. С. Ахведиани, Учебник грамматики русского языка, ТБ., 1951, გვ. 378).

განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრი ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ახასიათებს წინადადების როზელიმე წევრს (იშვიათად—მთელი წინადადების აზრს, შინაარსს). მით გამოხატული ნიშან-თვისების ინტენსივობის ხარისხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, თუ რა ადგილასაა წარმოდგენილი განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრი: წინადადების თავში²⁰, შუაში თუ ბოლოში. განკერძოებული წევრები, — მართებულად აღნიშნავს. ე. კროტევიჩი, — საფუძვლიანად ცვლიან წინადადების მთელს ინტონაციურ მონახაზს; ამასთან ეს მონახაზი სხვადასხვა სახეს იღებს იმასთან დაკავშირებით, თუ სად დგას განკერძოებული წევრი (წინადადების თავში, შუაში თუ ბოლოში), მართა იგი თუ გართულებულია სხვა ამხსნელი სიტყვებით და ა. შ.²¹

აფხაზურში, როგორც დავინახეთ, სიტყვათა ადგილი წინადადებაში მთელ რიგ შემთხვევებში ერთგვარად ფიქსირებულია, რაც სათანადო ენობრივი (მორფოლოგიურ-სინტაქსური) ფაქტორებითაა შეპირობებული. ეგვევ ითქმის განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრთა შესახებაც: საერთო ვითარება—წინადადებაში სიტყვათა რიგის შედარებითი სტაბილურობა—ვრცელდება განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრებზეც, ოღონდ აქ მას სულ სხვა მიზეზი უდევს საფუძვლად²².

მეორეხარისხოვანი წევრებიდან შეიძლება განკერძოვდეს განსაზღვრების როლში წარმოდგენილი ე. წ. მიმღებური ფორმა, რომელსაც აწარმოებს ინფინიტური ზმნა (მართა ან თანშსლები სიტყვებითურთ), და გარემოებები (ღროის, ადგილისა და ვითარების).

ბანკერძოებული განსაზღვრება

განკერძოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ იძლევა წინადადების რომელიმე წევრის (სუბიექტის, რეალური ობიექტის) ახსნა-განმარტებას, დამატებით ცნობებს მის შესახებ, აზუსტებს და აკონკრეტებს მას. წინადადებაში განკერძოებულ განსაზღვრებას მუდამ შუა ან ბოლო ად-

²⁰ წინადადების თავში განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრი აფხაზურ ენაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვითარების გარემოებას (იხ. ქვემოთ), არ გვხვდება, რაც შეპირობებულია ამ ენის თავისებურებებით; იგი ძალზე იშვიათია ქართულურ ენებშიც. მაგრამ ჩვეულებრივია რუსულში (იხ. Грамматика русского языка, т. II, ч. I, М., 1954, გვ. 643 და შემდგ.).

²¹ Е. И. Кротович, Обособление второстепенных членов предложения в современном русском языке, Автореф. канд. дисс., Алма-Ата, 1941, გვ. 11.

²² იხ. ქვემოთ.

გლი უჭირავს; გამორიცხულია იდგეს იგი წინადადების თავში²³, რადგანაც ასეთი განსაზღვრება შედეგია სიტყვათა (resp. კონსტრუქციის) შებრუნებული რიგისა, მაგალითად:

ა) განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში აზუსტებს და აკონკრეტებს ქვემდებარეს, რომელსაც იგი ჩვეულებრივ კონტაქტურად მოსდევს:

ართ, აბრაყა აეგზაზ, ინეციაეიან, მკედგე ჰარიხანგე რგშ-თგეტ აღდას ივნიყა (გ. II, 10) „ამათ, აქ შეგროვილებმა²⁴, მოილაპარაკეს რა, მკიდი და ჰარიხანი ალიასის სახლში გაგზავნეს“;

უსყან ალა-ხია დეჟე, არა ამწა იტიაზ, ართ ნერცი-აარცი ექიქაურთა მანალავა, მარა აცხგრაარაგე აბრა ჯარა მათახგზ ჯნაშან, აშორა მალაგეტ (გ. II, 6) „ამ დროს ამათ (აღამიანებმა — მ. ც.) ურთიერთგადაძახება რომ დიწყეს, ქოფაკმა, კაკლის ხის ქვეშ მჯდომმა, იფიქრა: დახმარება სჭირდებათო, და ყუფა დაიწყო“;

აშთახ აწია დეჟე, ამძგრხა აგოთა ითაგელაზ, ამწან ინატიან, აშიაჰიარა, აკიაშორა მალაგეტ (გ. II, 108) „ბოლოს დიდი ვაშლის ხის, რომელიც შუა ეზოში იდგა, ძირას დასხდნენ რა, სიმღერა და ცეკვა დაიწყეს“;

თორყან მაშეაწებე ქიაბლხი, სგოგ ბზიამ ჰია აშეჟე ხიგქეჯ ზჩეგშთაზკრაცე ზთახგზ, იყალაზ აქიაბეჟ ანეაღგაკაა... (გ. II, 7) „თორყანის უმცროსმა ძმამ ქუაბლუხმა, რომელიც დილით ფიქრობდა: ცოტა შეუძლოდ ვარო, მომხდარი (ის, რაც მოხდა) ამბავი რომ გაიგო...“

ალაქიაგე, აშეჟე მათაქეჯე შეგზ ამგრხიავა რჩინათაშია იტიაზ, ჰაციაფსემთაზე მიტოვე ყალეგტ უბტოჟე, რჰიან... (გ. II, 8) „ძაღვლებმა, რომლებსაც დილის სხივები დაჰნათოდათ (და) ეძინათ, თქვეს: ხედავთ, ჩვენი ძილის დროს საოცრება მომხდარაო?...“

ანი, აძლაგარა ზშაცხეგფ იქიგრგელანგ ინგყიოზ, უს იჰიეგტ (ლ. 85) „ამან, ვინც ფეხის თითის ფრჩხილზე წისქვილის

²³ განსაზღვრების განკერძოება წინადადების თავში უცხოა არამართო აფხაზურისათვის, არამედ ქართულური ენებისათვისაც: შდრ., ერთი მხრივ, რუს.: ა) Блестный и взволнованный сотрудник вышел из кабинета, ბ) Блестный и взволнованный, сотрудник вышел из кабинета, და, მეორე მხრივ, ქართ. ა) გაფითრებული და აღელვებული ბიჭი კაბინეტში შევიდა; ბ) ?.

²⁴ აფხაზურში, როგორც ვიცით, არა გვაქვს მიმღობა მკვეთრად ჩამოყალიბებული ფორმით. მის როლს ჩვეულებრივ ზმნის ინფინიტური ფორმა ასრულებს. სათანადო ფორმების თარგმნისას თვალსაჩინოების მიზნით, სადაც ეს შესაძლებელია, ვიცავთ ქართულისათვის ნიშანდობლივ სიზუსტეს, სიტყვისიტყვითი (ზუსტი) თარგმანი კი ჩვეულებრივ გვაძლევს წინადადებას (აბრაყა აეგზაზ „ისინი, ვინც აქ შეგროვდნენ“) და არ მიმღობას („შეგროვილები / შეგროვილებმა“).

დაყენებით მოგზაურობდა (ფეხის თითის ფრჩხილზე წისკვილ-დაყენებულმა მგზავრმა) ასე თქვა“...

ბ) განუკრძალველი განსაზღვრება წინადადებაში აზუსტებს და აკონკრეტებს რეალურ ობიექტს, რომელსაც იგი, აგრეთვე, კონტაქტურად მოსდევს:

„აშთაფქაფქია ზეგ^გ, ფასა ტყიარჩალყა იცოზ, იხენჰინგ ოჩამჩგრაყა იცონგ ზბეატ (გ. II, 286) „ყველა მცენარე, წინათ ტყვარჩელში მიმავალი, ვნახე: (თითქოს) გაობრუნდა რა, ოჩემჩირეში მიისწრაფვოდა (მიდიოდა)“;

აბრი აქვთა, ხგმფადა ჭაჯჯ იხშაგჯ იზიშთრატისე იფშაძაკიაკიარაძა იყოჭ, ცასპია ინაზხარაძანგ აჭაა ირციაწიახზრც ათახტუშია აფსაბარა იყანაწიეატ (საკ^კ, 13) „ეს სოფელი, ყურადღებრს მიმპყრობად უცილობლად ლაზაზი, ბუნებამ, თითქოს აღამიანის თვალს უმაღავსო, სადღაც მივარდნილ კუთხეში მიაგდო“.

მოცემულ შემთხვევებში განუკრძალველ მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიტყვათა (resp. კონსტრუქციათა) რიგს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ, თუ წარმოდგენილ განსაზღვრებებს სუბიექტის ან ობიექტის წინ ვადმოვსვამთ, განუკრძალველ მოიშლება, მაგალითად: ა) სუბიექტის წინ: უსყან არა ამწა იტიაზ ალახა დგტ, ართ ნგრცო-არცი ეჭქიჭგართტა მანალაგა, მარა აცხვარარაგ^გ აბრა ჭარა მათახგზ ჭნაშან, აშარა მალაგეატ „მაშინ, ამათ (აღამიანებმა—მ. ც.) ურთიერთგაღაძახება რომ დაიწყეს, კაკლის ხის ქვეშ მჭდომმა დიდმა ქოფაკმა იფიქრა: დახმარება სჭირდებათო, და ყეფა დაიწყო“ (შდრ. უსყან ალა-ხაა დგტ, არა ამწა იტიაზ, ართ ნგრცო-არცი ეჭქიჭგართტა მანალაგა...); ბ) რეალური ობიექტის წინ: ფასა ტყიარჩალყა იცოზ აშთაფქაფქია ზეგ^გ იხენჰინგ ოჩამჩგრაყა იცონგ ზბეატ „წინათ ტყვარჩელში მიმავალი ყველა მცენარე დაბრუნდა რა, დავინახე, რომ ოჩემჩირეში მიისწრაფვოდა (მიდიოდა)“ (შდრ. აშთაფქაფქია ზეგ^გ, ფასა ტყიარჩალყა იცოზ, იხენჰინგ ოჩამჩგრაყა იცონგ ზბეატ).

გ ა ნ კ ა მ ო ბ ე უ ლ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა ბ ი

განუკრძალველი დროის გარემოება

განუკრძალველი დროის გარემოება აზუსტებს და რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს განუკრძალველ დროის გარემოებას; მასაც წინადადებაში შუა ან ბოლო ადგილი უჭირავს და კონტაქტურად მოსდევს პირველ (განუკრძალველ) გარემოებას. აღსანიშნავია, რომ განუკრძალველი გარემოება შედარებით დროის უფრო მცირე მონაკვეთს მოიცავს, ვიდრე განუკრძალველი დროის გარემოება; და ეს სავსებით ბუნებრივია:

აქი, ყოველი სახის განკერძოებას ამა თუ იმ ფაქტის დაზუსტება-და-კონკრეტება ევალდება.

განკერძოებული დროის გარემოება შეიძლება გამონატული იყოს დროისავე გარემოებით, თანდებულისანი რიცხვითი სახელით, არსებითი სახელით (თანდებულისანი თან უთანდებულოთი) და ზოგჯერ სიტყვათა მთელი ჯგუფით, მაგალითად:

იცავ ამშაფ ატეხა, აშაარფაზგ..., ელყან ღეშათახაზ აარეა-ჰიეატ (გ. II, 273) „გასულ აღდგომა-ლამეს, განთიადისას, ელყანი დაი-ლუპაო, — უთხრა მათ (მან, აღ.)“;

ზნგ, ხიგლფაზგკ..., ათათად ღეჟ სალბეა, ჟაეიგ ააკესკაშია ჟესკ აწეხიალა აბრაგზნგ აბრა ილალაზ, აარა იუზეცია ჯჯა აბ-რაგცია იცნგ დააჩეიწგატ აღაას იზნგ (გ. II, 44) „ერთხელ, სალა-მოს, დიდი თავადი სალბეა, ამას წინათ ერთი საქმის გამო ყაჩაღად ტყედ რომ გავარდა, ორი თავისი ყაჩაღი-მეგობრის თანხლებით აღიასის სახლში ჩამოხდა (ცხენიდან)“;

ზნგ, შგუკმთანკ, აქალაქტი ლაშაარა იბარკვ დაატ შაჰანგერი კანბა (საკ. 94) „ერთხელ, დილით, ქალაქის ელექტროგანათების სა-ნახავად (დასათვალიერებლად) ჩამოვიდა შანგერი კანბა“;

აწეხიციანგ, 1885 შგქისაზგ, ღერმიტ გულია აყიაცი იშხა-რჟაა რუშაიკოლ დაანახტეატ (გ. I, V) „ბოლოს, 1885 წელს, დიმიტრი გულია სოხუმის მთიელთა სკოლაში მიიღეს“;

ზნგ, ჯჯნჯაეია შგქისა რაფზა, აბრაყა დაატ აყიაცი იქალაქტი უსპაარა აჩინოენიკ (საკ. 14) „ერთხელ, ორმოციოდე წლის წინათ, აქ სოხუმიდან ჩამოვიდა ქალაქის სამმართველოს ჩინოენიკი“;

აჩარა ანახგწ, აწხბუონ, აპ იიართა ყარწან ღეშთარწეატ (გ. II, 293) „როცა ქორწილი დამთავრდა, შუალამისას, ბატონს საწოლი გაუ-შზადეს რა, დააწვინეს“.

იშვითად განკერძოებულ გარემოებას შეიძლება წინ უძლოდეს რომელიმე ჩართული სიტყვა, მაგალითად: ჟაეიგ, რჰიეატ, აბბაშ-რა აშთახ, ღერჯაგზ (აჟაა) რდგქეწაარა ჰალაგოატ (საკ. 33) „ახ-ლაო, ომის შემდეგ, კვლავ დავიწყებთ ხალხის გაგზავნას“.

ერთ წინადადებაში შეიძლება რამდენიმე დროის გარემოება იყოს წარმოდგენილი. ისინი, ყველა ერთად, ხსნიან ან ძირითად, განუკერ-ძობებულ, გარემოებას, იძლევიან მის შესახებ დამატებით ცნობებს, ანდა ერთმანეთს განმარტავენ და ახასიათებენ რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგა-ლითად, წინადადებაში: 1918 შგქისა აან, ჰალაცია ირგსა-კაჰიგმთანგ აფსნგ ანახგზ, ურთ ამილათქია რეაჩგრ-ჩარა ანალაგა, აჟილარ რგზაზარა იწეგ ანბუგსა აფსნგ აღკჟეშიაკ აფთა მამიქიარა ანახგლა, აშეიგვ

გიჰზას იყაფწეჯტ აეთილარ რჯესთაზაარა (1918 წელს, როცა ჩვენი მტრები ღროებით აფხაზეთში დამკვიდრდნენ, შემდეგ, როცა მათ სხვადასხვა ეროვნებათა ურთიერთ წასისიანება დაიწყეს, როცა ხალხის ყოფა-ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა, როცა აფხაზეთს შავი ღრუბელი გადაეფარა, მწერალი ძლიერ შეაწუხა ხალხის ასეთმა მდგომარეობამ) — ყველა განკერძოებული ღროის გარემოება ემსახურება ძირითადი, განუკერძოებელი, გარემოების (1918 შ ა გ ქ ი ს ა ა ა ნ) ახსნა-განმარტებას თუ შეესებას ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით.

განკერძოებული ღროის გარემოების ადგილი წინადადებაში ჩვეულებრივ ფიქსირებულია²⁵: იგი, როგორც აღინიშნა, ძირითადად, განუკერძოებელ ღროის გარემოებას მოსდევს კონტაქტურად, მაგრამ თუ განკერძოებულ და განუკერძოებელ გარემოებებს შორის არ შეიგარძნობა აშკარად გამოხატული „ღროული“ სხვაობა (ღროის მონაწვეთის მოცულობის თვალსაზრისით), შესაძლებელი ხდება წინადადებაში მათი ადგილის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში განკერძოებული ღროის გარემოება იქცევა განუკერძოებლად, და პირიქით: განუკერძოებელი — განკერძოებულად. მაგალითად, წინადადებაში: *ტაჟიგ, ახბაშრა აშთახ, ღვრვეგჯხ ატაა რდიგქიწარა პალაგოჯტ (ახლა, ომის შემდეგ, კვლავ დაეიწყებთ ხალხის გაგზავნას) — განუკერძოებელი ღროის გარემოება ტაჟიგ (ახლა) შეიძლება განკერძოებულის (ახბაშრა აშთახ „ომის შემდეგ“) შემდეგ მოვაქციოთ, და ისინი როლებს შეიცვლიან: ახბაშრა აშთახ, ტაჟიგ, ღვრვეგჯხ ატაა რდიგქიწარა პალაგოჯტ „ომის შემდეგ, ახლა, კვლავ ხალხის გაგზავნას დაეიწყებთ“. მაგრამ ასეთი ადგილგადანაცვლება უხერხულობას იწვევს მაშინ, როცა გარემოებებს შორის აშკარა „ღროული“ სხვაობა შეინიშნება. ბუნებრივია წინადადება: *ზნგ, შგჟჟმთანკ, აქალაქტი ლაშაარა იბარც დააჯტ შაჰანგერი კანბა (საკ. 94) (ერთხელ, დილით, ქალაქის ელექტროგანათების სანახავად ჩამოვიდა შანგერი კანბა), მაგრამ ეგვევ არ ითქმის კონსტრუქციაზე: შგჟჟმთანკ, ზნგ, აქალაქტი ლაშაარა იბარც დააჯტ შაჰანგერი კანბა.**

განკერძოებული ადგილის გარემოების დანიშნულებაა ძირითადი

განკერძოებული ადგილის გარემოების დანიშნულებაა ძირითადი (განუკერძოებელი) გარემოების კონკრეტიზაცია. განუკერძოებელ გარემოებებად წინადადებაში ჩვეულებრივ გამოყენებულია ზმნისართები: *არა || აბრა || არაყა || აბრაყა „აქ“, „აქვე“, არახ || აბრაახ „აქეთკენ“, ტახ || უბრაახ „იქეთკენ“, ტა || უბრა || ტაყა || უბრაყა „იქ“, „იქვე“*

²⁵ ეგვევ არ ითქმის განუკერძოებელ გარემოებაზე.

„მანდ“, ნგრცი „გალმა“, აარცი „გამოღმა“, ნაყ „იქით“, აწყაყა „ქვემოთ“, ხგზ „ზემოთ“, ჭარა „საღლაც“ და სხვ. ამათ კონტაქტურად მოსდევს განკერძოებული ადგილის გარემოება, რომელიც ჩვეულებრივ გადმოცემულია თანდებულისანი არსებითი სახელით. იგი დგას წინადადების შუაში ან ბოლოში:

ა) განკერძოებული ადგილის გარემოება გადმოცემულია თანდებულისანი არსებითი სახელით:

უბასყან აბრაყა, აციირკ აქჟგ, აგუბერნატორგჯ დგყაზაარგზ (გ. II, 114) „მშინ აქ, ცირკში, თურმე გუბერნატორიც ყოფილა“;

აბრაზ, აჯნგყა, საატეატ (გ. II, 258) „აქეთ, სახლში, მოვღევიარ“;

აალღრყანგ, ინახარანგ ჭარა, აბარდრაქჟგ, წესკ აბეგ წარგხიწიამა აშიამიარა ალაგეტ (საკ. 149) „ანაზღად, საღლაც შორს, ბარღებში, ჩიღმა გამწიფანი ხმით კიკჭიკი (სიმღერა) დაიწყო“;

ესმა... ლგტჰალ ააშთხნგ ძგ-ააგარა დცეტ რგწყაყა, აგჟაჯარახ (საკ.) „ესმამ კოკა აიღო რა, წყლის მოსატანად ქვევით, ხევში, წავიღა“;

კამა ამჯახასთა დაჰაღანჯ აყაყაპია დჯეატეატ, დააშაციხგსღოატ, ნას დგრჯეგჯზ ფზაყა, ახჟახჯ, დეახოატ (საკ. 152) „კამა ბილიჯზე სწრაფად მირბის, წაიფორხილებს რა, კვლავ წინ, მაღლობისკენ, მიიწევს“.

ბ) განკერძოებული ადგილის გარემოება გადმოცემულია ზმნისართით:

ჰყაყა, ლბაა, გეკტარკ აყნგტი ზქჯ აჩაჯრა (sic) თგრგოატ (საკ. 145) „მანდ, ქვემოთ, ერთი ჰექტარიღან ათას ფუთ მოსაველს რღებენ (იწვევენ)“.

გ) განკერძოებულ ადგილის გარემოებას გადმოსცემს არსებითი სახელი ზმნისართთან ერთად:

ჰყაყა, ახჟგ შითაარა ააგგოა, დცეიან აბბ (საკ. 59) „იქვე, კერის მახლობლად, მამამისს ეძინა“;

ნგრცი, ამხგქიან, აცჰა ანაჯს, ამაშუნაგჯ ჰყა ააანგღონ ჰყაყა ინწიონაზ ჰჯგ არეჯს (ალმნ. 50) „გალმა, მღინარის ნაპირას, ხიდის იქით, ჩერღებოდა მანქანაც, რადგანაც რეისიც იქვე თავღებოდა“.

დ) არსებით სახელს ხანდახან თან ახლავს გაზმნისართებული არსებითივე სახელი და ორივე ერთად გადმოსცემს განკერძოებულ ადგილის გარემოებას:

შაარა ჰყაყა, საკან აქგთან, აშხა შიემამზარგჯ ეგშოზრგმგზტ (საკ. 145) „თქვენ მანდ, სოფელ საკენში (საკენ-სოფლად), მთებში კიდეც რომ არ გქონოდათ, არა გიჭირდათ რა“;

არაყა, საკან აქგთან, ხეში ფუთ იყოტ აჩაჯრაქია ყალაძომ (საკ. 52) „აქ, სოფელ საკენში (საკენ-სოფლად), ხუთას ფუთიანი მოსავალი არ მოვა“.

ე) განკერძოებულ ადგილის გარემოებას ხშირად არსებით სახელთან ერთად ადგილის საგარემოებო - (ა)ხ აფიქსით ნაწარმოები ზმნის ინფინიტური ფორმა გადმოსცემს, მაგალითად: აბრაყა, ამზა ახგძსაჲ, აბაჰაქია ზბოატ იშქჯრჲა (ალმნ. მ) „აქ, სადაც არემარეს მთვარე ავარაყებს, ვხედავ მოშრიალე ბალებს“.

ბანაერძოებული ვითარების გარემოება

განკერძოებული ვითარების გარემოება თვისება-რავარობის მიხედვით ავსებს წინადადებაში გამოთქმულ ძირითად აზრს, ხაზს უსვამს ზმნით გამოხატული მოქმედების პოზიტიურობა-ნეგატიურობას. იგი შეიძლება შეუთანხმდეს კლასსა და რიცხვში წინადადების რომელიმე წევრს, მაგალითად, სუბიექტს, რეალურ ობიექტს.

წინადადებაში ვითარების გარემოებას ჩვეულებრივ შუა ან ბოლო ადგილი უჭირავს, მაგრამ, სხვა შეორეხარისხიდან წევრთაგან განსხვავებით, შეიძლება იდგეს წინადადების თავშიც²⁸.

განკერძოებულ ვითარების გარემოებას ჩვეულებრივ გადმოსცემენ არსებითი სახელები, ზმნისართები ან ზმნის ინფინიტური ფორმები, რომელთაც ერთვის თანდებული ეფშე - „ვით“, „მსგავსად“:

ა) თანდებული ეფშე ერთვის არსებით სახელს:

აჲფტოა აფსაცია, ეგჯრთ აშხარჲაა რეფშე, აბჰარკ, ყამაკ დადამხარჯგ ირყყინგმკია ჯარა იკომგზტ (გ. II, 294) „ძველად აფხაზები, მსგავსად სხვა მთიელებისა, აზსად არ წავიდოდნენ ისე, რომ იარალი არ აესხათ“;

აჲა ანგჩრო, ჰარა იფფ ფშააჲა, ილაღრძ ხაყყიალა, ღგნკღღშეფლა - ააკღღშეფლო ჰარა დგღან, აგაგა ეფშე (გ. II, 266) „როცა ხალსი იცინოდა, იგი (აღ.) გულარეუბულად, ცრემლმორეულად, აქეთ-იქით ყურებით შორს იდგა, აჩრდილივით“.

ბ) თანდებული ეფშე ერთვის ზმნისართს:

აშიაფგჰაფ ზეგ იშითკაკჰა იგლოტჰ, წგფხ აახჩანგ ეფშე (გ. II, 40) „ტყეები აყვავებული (აყვავებულად) ღვას, ისე, როგორც შარშან ამ დროს“.

გ) ეფშე ერთვის ინფინიტურ ზმნას:

ბატა, ზეგ დშეგჲიდგრჲა ეფშე, ჲაჯ... წარნგ დჲაან (გ. II, 114) „ბატა, როგორც ეს ყველამ იცით, ფიცხი კაცი იყო“;

²⁸ ამის მიზეზის შესახებ იხ. ქვემოთ.

ქესოტი, იგივე იშააანაგოზ ეფფშე, დაფნა იშთაზ ამშე მა-
რამეზტ (საქ. 41) „ქესოუს,, როგორც ამას თვითონაც ფიქრობდა,
წინ მშვიდი ღლე არ ეღო (=წინ მძიმე ღლე ელოდა)“.

ღ) ეფფშე ერთვის ზმნის ნამყო-განუსაზღვრელის ფორმას:

უბრი ყაზწო, აფნანშეა ისპიან ეფფშე, წაშვცროტპ (გ. II,
171) „ამის მიზეზი, როგორც წელანაც ვთქვი, შურია“;

ტგა აწკეს, აფნაშეა ჯაპპიან ეფფშე, დაჩაზნგ ჰაჯაპ აბრი
ატიგს აწგხაღა (გ. II, 212) „მაგას გვიჩვენია, როგორც წელანაც
ვთქვით, სხვა დროს შევიკრიბოთ ამ საქმის გამო“.

ხანდახან შეიძლება განკერძოვდეს ინსტრუმენტალისის -ლა („-ით“)
აფიქსდართული არსებითი სახელი ან ზმნის ინფინიტური ფორმა: ა) -ლა
(„-ით“) აფიქსი ერთვის არსებით სახელს: ტოლბაშს ჰია თორყან. დყარ-
წეატ იშეგაჰაზ, მიგლა „თამადად თორყანი დანიშნეს მისი სურვი-
ლის გარეშე, ძალით“ (შდრ. ტოლბაშს ჰია მიგლა თორყან დყარწეატ
იშეგაჰაზ), ბ) -ლა („-ით“) ერთვის ზმნის ინფინიტურ ფორმას: ურთ,
სარა იზლაზდგრტა ალა, დაარა ვიალა დტეს ირგმამკია იყამ
(გ. II, 194) „მათ, როგორც ვიცით, არ შეიძლება (ეს) დიდ თავსატე-
ხად (სადარდელად) არ ჰქონდეთ“.

განაპრომოვებული სიტყვები და შესიტყვებები. რომელია
წინადადების წევრებს არ წარმოადგენენ

დანართი

დანართი განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია²⁷, რომე-
ლიც ჩვეულებრივ არსებითი სახელით ან საზღვრულ-მსაზღვრელითაა
(resp. მსაზღვრულ-საზღვრულითაა) გამოხატული. იგი იძლევა დამატე-
ბით ცნობებს წინადადების რომელიმე წევრის (სუბიექტის, რეალური
ობიექტის, ირიბი ობიექტის) შესახებ. დანართი, გარდა იმ შემთხვევე-
ბისა, როცა იგი გადმოცემულია ზმნის ინფინიტური ფორმით²⁸, შეიძ-
ლება შეუთანხმდეს კლასსა და რიცხვში დასაზუსტებელ წევრს. მასაც
წინადადებაში შუა ან ბოლო ადგილი უჭირავს, მოსდევს კონტაქტურად
(იშეიათად — დისტანციურადაც) დასაზუსტებელ წევრს:

²⁷ იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბ.,
1961, გვ. 74; ლ. კვაპიაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ.,
1966, გვ. 279; Грамматика русского языка, т. II, ч. I, М., 1954, გვ. 647.

²⁸ იხ. ქვემოთ.

ა) დანართი გამოხატულია სახელით (სახელებით):

მაბ, ჭეგრეს, ნხაზ-ლარგენ (გ. I, V) „მამამისი, ურუსი, ღარიბი გლეხი იყო“;

მარგთხია იფაცია, ელყანი სოტყყარი, ატაა ციგაქიან (გ. II, 264) „მართხუას შვილები, ელყანი და სოყყარი, ავი (ავი საქმის ჩამდენი) აღამიანები იყვნენ“;

სელმა დაარკვ დანყაზ ამთაზ აგივლაცია ძივრუგ, ახაცია, აპისა უპისა, ალმას იყნ იყან (გ. II, 23) „სელმას მოსვლის დროისათვის ბევრი მეზობელი: მამაკაცები, ქალები და სხვები, (უკვე) ალიასთან იყვნენ“.

დისტანციური დანართის მაგალითია: ანკა აბრაცა ჩინოენიკ დეყან ჰია რპოამტ, ჩმანზავგკ (საკ. 28) „ამბობენ: წინათ აქ ვინმე ჩინოენიკი ცხოვრობდა, ავადმყოფი“.

ხანდახან დანართი შეიძლება დასაზუსტებელი წვერისაგან (წვერუბისაგან) გაითიშოს ჩართული სიტყვით ან სიტყვებით, მაგალითად: ხგშო - ფემშო რნაჯს აყიატი აპროკურორ, ტუგ ტარა დტუზმდღრგრ ყალაპ, ტონ კლუგენ ჰია აძიგ, ოჩამჩრა დაან, ასლედოვაცელ წერეთელი იჭივ დგყან უსქიავ რწგხიალა (გ. II, 133) „სამი-ოთხი დღის შემდეგ სოხუმელი პროკურორი, შენ (მამაკ.) შეიძლება მას არ იცნობდე, ვინმე ფონ-კლუგენი, ოჩემჩირეში ჩამოვიდა რა, გამომძიებელ წერეთელთან იმყოფებოდა რალაც საქმეების გამო“.

ბ) დანართი გადმოცემულია -ტი-ჯ აფიქსებით ნაწარმოები სახელებით:

აქტსოვეტ სნაპე იზლანაწაზ ალა იშოასპოამტ: ჯნჯაყიეყიება შიგქისა რზე ჰარა ჰხატიგ, აკოლხოტო, ელექტროსტანცია ჰამანე ჰშიგყალო (საკ. 91) „სოფლის საბჭომ დამაჯალა რა, გეუბნებით: 1949 წლისათვის ჩვენი საკუთარი, საკოლმეურნეო, ელექტროსადგური გვექნება“;

არი გვღჯ, მკცხიგ აჩხგრციაქიავ, აჩგმაზ ხიქძიკ დციაეიოშია ანგმა, ავიგია იხგა: შთა ბემშიან (იპიეტ) (გ. II, 32) „გიდიმაც, ლაპარაკის დიდმა მოყვარულმა (დრდმა მოლაპარაკემ), როცა დაინახა, რომ ავადმყოფი ოდნავ საუბრის გუნებაზე დადგა, ბოხი ხმა ამოუშვა: აწი ნუ გეშინიაო (შენ, ტედაკ.)“.

გ) დანართი გამოხატულია საზღვრულ-მსაზღვრელით (მსაზღვრელ-საზღვრულით):

ეზატბ ცაგაია, ანხაცია ფავაცია, თათლასთან იქიაფხა აკჯე იშოაფსამგზ, აკჯე შირჯლგმშოზ ანდირდღრ (გ. II, 250) „ეს-ესაა (დღესაა) ცაგუებს, ამპარტავან გლეხებს, გააგებინეს, რომ ისინი არაფერსაც არ წარმოადგენენ თათლასთანის წინაშე“;

ქვაკვ-ქვაკვ რაყარა ავგზცია, არ ფარ ელყა ცია, ნაშთიერ, არახი მარგამოტეგე იმაძარახტეგე ელდგრგამ (გ. II, 201) „თორმეტ-თორმეტ კაცს, მკვირცხლ ვაჟაკებს, თუ მისცემთ (მას, ად.), გაარკვევენ: საქონელი ნაქურდალია თუ არა“;

ძვეგორ, ალხას დაბ, აქეთან ირეღღზ ატაა რახტი ვგჯა—ბასათი ჰაჯარათი — რხააშთეგტ კამაქქე ლანი ლაბი (გ. II, 168) „ძიკურმა, ალხასის მამამ, სოფლის რჩეული ვაჟაკებიდან ორნი—ბასათი და ჰაჯარათი — გამოგზავნა კამაქიკის დედმამასთან“.

დანართს ხანდახან ინფინიტური კონსტრუქცია გადმოსცემს, მაგალითად: აფიგტი ჭაა (დაარაძა იფიგტიგზ) აბრი ათგფ ზგრგიაფხაზ, ჯარა აკვ აწაზარ ჰია იგეგ მანათეგტ (საკ. 14) „ძველმა ხალხმა (ძალიან ძველმა), რომელსაც ეს ადგილი მოეწონა, იფიქრა: იქნებ სადმე რამე იყოსო“; ართ, ზგფსგ თეგწაზ, დრგლამგზტ მაშა (ლ. 133) „ამათში, ვისაც სული ჩაუღდა (მან, ად.), მისი ძმა არ ერია“.

მიმართვა

მიმართვას სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს და ამდენად იგი არ უკავშირდება წინადადების არც ერთ წევრს²⁹.

მიმართვა „არ უკავშირდება არც ზმნას და არც სახელს... იგი წინადადების ორგანულ ქსოვილში არ შედის³⁰“.

ქართულში მიმართვას წოდებითში დასმული სახელი გამოხატავს (ამხანაგო, მოდი აქ!); იგი არ იმართვის არც ზმნის, არც სახელისა და არც თანდებულის მიერ... წოდებითის ამოღებით არ შეიცვლება არც წინადადების შინაარსი, არც წყობა; ჩანს, იგი უშუალო წევრი წინადადებისა არ არის³¹.

ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა ან. კიზირიამ. ავტორი იზიარებს იმ აზრს, რომ ქართულში მიმართვა არის განკერძოებული სიტყვა, რომელიც არ უკავშირდება წინადადების არც ერთ წევრს; იგი წოდებითში დასმული სახელია³².

²⁹ აფხაზურში იგი უთანხმდება კლასსა და რიცხვში ამა თუ იმ წევრს, მაგრამ ეს არ ჯნის სათანადო პირობას იმისათვის, რათა იგი წინადადების უშუალო წევრად მივიჩნიოთ.

³⁰ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, წიგნი: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, 1950, გვ. 036.

³¹ ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის, წიგნი: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., 1956, გვ. 46.

³² ა. კიზირია, მიმართვა ძველ ქართულში, წიგნი: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, თბ., 1963, გვ. 20.

„ადილეური ენის გრამატიკაში“ ნათქვამია, რომ მიმართვა, ისევე როგორც ჩართული სიტყვა, წინადადების შემადგენლობაში არ შედის³³.

ა. პეშკოვსკი აღნიშნავს, რომ მიმართვა წინადადების არც ერთ წევრთან არაა დაკავშირებული შეთანხმებით, მართვითა და მირთვით; იგი განმხოლოებით დგას³⁴.

ამასვე ამბობს ა. გვოზდევცი: თანამედროვე რუსულ ენაში მიმართვა არსებითი სახელით ან გასუბსტანტივებული სიტყვითაა გამოხატული და სინტაქსურად სხვა წევრებთან დაკავშირებული არ არის³⁵.

მიმართვაა სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც წინადადების გარეშე დგას ანდა შედის მის შემადგენლობაში, მაგრამ წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაკავშირებული არაა, — წერენ რუსული ენის აკადემიური გრამატიკის ავტორები³⁶.

აფხაზურ ენაში, სახელთა უბრუნველობის გამო, მიმართვითი სიტყვები წარმოდგენილია გაუფორმებლად, ფუძის სახით³⁷.

აფხაზურში მიმართვა გვხვდება წინადადების თავში, შუაში და ბოლოშიც.

მიმართვის ადგილს წინადადებაში ძირითადად სტილისტიკური ფაქტორი შეაპირობებს. თუ მიმართვა ძლიერ ემოციასთან ან განსაკუთრებულად ხაზგასმულ მოწოდებასთანაა დაკავშირებული³⁸, იგი წინადადების თავში დგას, სხვა შემთხვევებში კი შუაში ან ბოლოში:

³³ Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар, 1966, гл. 388.

³⁴ А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956, гл. 407—408.

³⁵ А. Н. Гвоздев, Современный русский литературный язык, М., 1961, гл. 195.

³⁶ Грамматика русского языка, т. II, ч. II, М., 1954, гл. 122.

³⁷ თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირის აფიქსებით გაფორმებულ სიტყვებს, მაგალითად, ხაზ „მამარემი || მამარემო“, ხან „ღვდაჩემი || ღვდაჩემო“, რომლებიც შეიძლება წინადადებაში განკუთვნიდნენ.

³⁸ ე. ვანდრიესი ამბობდა: ამა თუ იმ ენის თავისებურებათა კვლევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არამარტო საშუალება, რითაც აზრია ვადმოკუმულო, არამედ ის დამოკიდებულებაც, რომელიც არსებობს მთქმელის აზრსა და გრძობას შორისო (Ж. Вандриес, Язык, М., 1937, гл. 135).

ენობრივ ფაქტთა ანალიზისას გათვალისწინება ფრანგი ენათმეცნიერის ამ სიტყვებისა, რომლებიც უთუოდ შეიცავენ კემპარიტებას, სასარგებლო შეიძლება იყოს სათანადო ადგილას და სათანადო პირობებში (ჩვენს შემთხვევაში იგი ფასეულია).

ა) მიმართვა წინადადების თავში:

ღ რ გ ი ე ნ, უსტატია საფხვეტ, იბზიანგ იუტეგ (ალმნ. 41) „ღ რ გუნ, შენი წერილი წაეიკითხე, კარგადაა დაწერილი“;

ს ა ნ, ჰაეი მაძეგტ, საშთალოგტ (ალმნ. 73) „ღედაჩემო, ჩვენი ძროხა არ მოვიდა, წავალ საძებრად (იმის კვალს გაეყვები)“;

ს გ ხ ა ა რ ა ც ა ქ ი ა — იპიეგტ ღვრუგვჯხ... (ალმნ. 29) „ჩემო ტბილო ცაქვაი — თქვა კვლავ (მან, ად.)“.

ბ) მიმართვა წინადადების შუაში:

აჭაჰაჭოჭ, რ ა შ გ თ, ჰარა ამაძა იჰამოჭ ატეგ ჰასჰიავ უთანგზარ (საქ. 56) „გესმის, რაშით, თუ გინდა ჩვენს საიდუმლოს გაგცმხელ“;

იხიართამ, ა ვ გ ზ ა მ გ რ ბ ა, ჰიარა ათანგტეგმა, იხიართამ (საქ. 126) „ასე არ ვარგა, ამხანაგო მირბა, თქმა არ უნდა, არ ვარგა“.

აჰ, ს გ შ ი ე ი გ, ჰეგწამხან, გეგ-შამგლა უკამჰანი (გ. I, VII) „ჰე, ჩემო წიგნო, ნუ შეშინდები, გულს ნუ გაიტეხი!“

გ) მიმართვა წინადადების ბოლოში:

აქიათანქია ჰაზხომ, მ გ რ ზ ა (ალმნ. 83) გუთნები არ გეყოფნის, მირზა“;

ამთა სარგჯ ისააგტ, სთანარტეგტ, თ ა მ ა რ ი (პალ. 29) „ღ რომ მეც მაგობა, მეც დამლუბა, თამარი“

კ გ რ უხთესხვეტ, ო, სამგორი (ალმნ. 8) „ბევრი რამ გადაგხდა თავს, ჰე, სამგორო“

ჩართული სიტყვები და შესიტყვებები

ჩართული სიტყვები და გამოთქმები წინადადების წევრებს გრამატიკულად არ უკავშირდებიან³⁹. ისინი რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებენ წინადადებაში გამოთქმულ აზრს—იწონებენ ან არ იწონებენ მას, ადასტურებენ ან საეჭვოდ ხდიან მის რეალობას და ა. შ. ამგვარად, ჩართული სიტყვები და შესიტყვებები ერთგვარად ემსახურებიან წინადადების (და არა რომელიმე წევრის) ძირითადი შინაარსის დაზუსტება-დაკონკრეტებას.

³⁹ იხ. ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა. ნაწილი II, სინტაქსი, თბ., 1961, გვ. 78; ლ. კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 293; А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956, гв. 404.

აზნაურში ჩართული სიტყვები და შესიტყვებები ზოგჯერ კლასში ეთანხმებიან წინადადების რომელიმე წევრს, მაგრამ, როგორც აღნიშნული გვაქვს, ამან არ შეიძლება რაიმე ცვლილება შეიტანოს მათს წარმოდგენილ კვალიფიკაციაში.

ჩართული სიტყვები და შესიტყვებები გვხვდება როგორც წინადადების თავში, ისე შუაშიცა და ბოლოშიც. თუ სუბიექტი ჩართულ სიტყვებსა და შესიტყვებებში გატარებულ დასტურსა თუ ეჭვს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს, ისინი წინადადების თავში ექვევან, სხვა შემთხვევებში კი მათ შუა ან ბოლო ადგილი უჭირავთ⁴⁰:

ა) ჩართული სიტყვები და შესიტყვებები წინადადების თავში:

სა რ ა ი ზ ლ ა ზ ბ ო ა ლ ა, ჰარგ გ პაცუაგროტპ აკემზარ, ატა-ცია რეჰა ალაცია ჰარჰარა ჰაყოტპ (გ. II, 162) „როგორც ვხვდავ, ჩვენც უნდა ავჩქარდეთ, თორემ უფრო მტრებს შევიძინთ, ვიდრე მოყვრებს“;

ა ე ო ა კ ა ლ ა, ჭააა სარა სქეგ, ნას იყალაშა ააბაპ (საკ. 131) „ერთი სიტყვით, მოდი (შენ, მამაკ.) ჩემთან, შემდეგ ვნახოთ რა იქნება“;

ს ა ს გ ო ა ნ ა ლ ა, აბას ეაღნაპ, ატგეს ეაღკატიტგპ (საკ. 68) „ჩემი აზრით, ასე სჯობს, საქმე გასარკვევია“.

ბ) ჩართული სიტყვები და შესიტყვებები წინადადების შუაში:

იხ ზ ე ა, მ შ ი ა ნ, ხოჯანდგტპ (გ. I, 14) „რა დაემართა, ნეტავ, ხოჯანდუს?“

სარა აქობაქ სგზდგრძომ, ახა, ჩაგე, უხაწკგ სცეატ, აზატად ჩიდტქქია უმოტპ, ალადტქქია უმოტპ, ჭარა ზგხკგ უმამ ჰია კაკ გყამ, აჩქია ზეგტა აცგეგ უმოტმა? (გ. II, 147) „მე არა ვიცი რა, მაგრამ, ჩაგუ, გენაცვა, ჩიშანი ცხენები გყავს, დიდი ძაღლები გყავს, შენკვე-ლაფერი გყავს, (მაგრამ) მწყერებზე მონადირე კატა თუ გყავს?“

აბას ოტპ, ჯაქ, ო ა კ რ გ ლ ა ჯაჰჰიოზარ, საკან ათოტრგხ (საკ. 16) „ასეთია, ორიოდ სიტყვით თუ ვიტყვით, საკენის ისტორია“.

ცალკე უნდა გამოვყოთ ე. წ. „ჩასმული“ წინადადება. როგორც ტერმინი გვიჩვენებს, იგი ჩვეულებრივ წინადადების შიგნითაა ჩართული, მაგალითად: ეც აღქა, ბასაათ იფჰიეს, ტგ

⁴⁰ შდრ.: ა) „ჩართული წინადადების ადგილი არაა განსაზღვრული. ჩვეულებრივ იგი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ჩართულია წინადადებაში, მაგრამ შეიძლება შევკვლავს წინადადების თავშიც და ბოლოშიც. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რაზეა ვერაღებია გამახვილებული წინადადებაში. მთქმელი ზოგჯერ წინასწარ ევაუწყებს მის დამოკიდებულებას იმ ფაქტისადმი, რომელზედაც საუბარია. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ჩართული სიტყვა თუ გამოთქმა წინადადების თავში იქნება; მაგრამ თუ მოლაპარაკე პირი სხვათაშორის აღნიშნავს თავის დამოკიდებულებას გამოთქმულ აზრისადმი, მაშინ ჩართული წინადადება შეიძლება შიგნით ან ბოლოს მოექცეს“ (ა. კიზირია, ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში, იყ. IV, თბ., 1966, გვ. 179); ბ) ჩართულ სიტყვათა ადგილის გადანაცვლებას წინადადებაში სხვადასხვა ნულანსი (აზრობრივი, სტილისტიკური) შეაქვს (Н. Н. Стаховский, Порядок слов в современном русском литературном языке, Львов, 1960, გვ. 22—23).

შიარჯ ღმინციტემტაჰამ, — დაქიჯნ აჟიებჟ აპიარა რაჭილა, — დასგლტალან... (გ. II, 159) „გუშინ აღქია, ბასიათის ცოლი, ეგ თქვენთვისაც უცხო აღამიანი არაა, — ამბობდა რაფილა, — გვერდით მომიჯლა რა...“

ჩართული სიტყვების (შესიტყვებების) შიგნით არცთუ იშვიათად შეიძლება გვექნდეს დანართი, გარემოება და სხვ. მაგალითად, დანართი გვაქვს შემდეგს, ჩართული სახის, წინადადებაში: აბრი ედჟშე ატეს ჰანაქიშია..., ჟეჲ ჰარა, აფხაცია, ქაბზს იჰამოტჰ, ჯენჯაჟია შშეგ ჟაჟა ღჯაზაროტჰ (გ. II, 193) „რაკი ასეთი საქმე შეგვემთხვა, ჩვენ, აფხაზებს, წესად გვაქვს, ორმოციოდღე ღლე მანღ უნდა ღაყოს (მან, აღ.)“ და სხვ.

შორისდებული

განკერძობულ სიტყვათა რიგს ეკუთვნის, აგრეთვე, შორისდებულ⁴¹. იგი, როგორც ცნობილია, წინადადების ემოციურ მხარეს უსვამს ხაზს. ბუნებრივია, ამიტომ მისი აღგილიც უფრო წინადადების თავშია: აპგ, იფაქეჟ ჟილარ ირღლშაზ ზეგ ზეგ-ზეგლაი (აღმნ. 48) „ჰეი, ჩამოთვალე სათითაოდ, რაც ხალხმა შეიძლო (გაკეთა)“;

ჰაჲ, ღანაჯალბეჲტ, აძგ ღგწაზმა? (აღმნ. 32) „ჰე, დალახეროს ღმერთმა, წყალი შეუღვა (მას, ღეღაკ.)?“

ეჰ, აშარჟაზ, აძაძა ანჰიო, ჯარა აშაჟა სეღათაზნჰიტეგტ (საკ. 27) „ეჰ, გარიერაჟზე, როცა მიწას ცვარი მოველინება, მე კვლავ მასთან (არაად.) ვბრუნდები“;

უნან, აძი სჩაერა სჯგბა ითგახგტ (აღმნ. 38) „ღია, ვილაკამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამომიღო“.

მიგებითი ნაწილაკები

სპეციალურ ლიტერატურაში განკერძობულ სიტყვათა შორის ასახელებენ მიგებით ნაწილაკებსაც⁴². მიგებითი ნაწილაკები შეიძლება იყოს დადასტურებითი ან უარყოფითი. მათი აღგილი, როგორც ემოციების გამომხატველი ნაწილაკებისა, ჩვეულებრივ წინადადების თავშია:

ა) დადასტურებითი ნაწილაკები:

⁴¹ იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, გვ. 80; A. M. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956, გვ. 411.

⁴² იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, გვ. 79.

აღეჲ, აღეჲ, ჰარგ² უბრი ატჰ ზინტერეს ჰამოტ (ალმნ. 59 „ლიახ, ჩვენც ეს გვიანტერესებს“;

ააჲ, ისთახტჰ აცხგრაარა (ალმნ. 33) „ლიახ, დახმარება მინდა (მჭირდება)“;

ბ) უარყოფითი ნაწილაკები:

ნგ ხ, ჯუშთ, უსხგჩროჲტ (ალმნ. 38) „არა, ძმობილო, შენ დამცინი“;

მაჰ, ჰმაფსაძჲტ (ალმნ. 38) „არა, არ დაეღლილეართ“;

მამოტ, ჰგჲ ხ^აას იყასწა^ნგ (sic) აჲიჲამ (ალმნ. 58) „არა, ეგ კი არ მაწუხებს“...

ნარევი სახის განკარგობული შენიშვნება

შეიძლება გვეკონდეს ნარევი ტიპის წინადადება¹³, რომელშიც ერთდროულად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის განკარგობული სიტყვები და შესიტყვებები. მათი ადგილი წინადადებაში განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ზემოთ ცნობილი წესების მიხედვით.

ა) დანართი და ჩართული¹⁴ ერთად:

ხგმშ-ფშგმშ რნაჰს აყიჲტი აპროკურორ, ჰგჲ ჰარა დჰჰ-ზგმდგრჯრ ყალაჰ, ჟონ-კლუგენ ჰია აძიგ, ოჩამჩგრა დაან ასლელოვატელ წერეთელი იჰგ ღჲჲან უსქიჲკ რწხილა (გ. II, 133) „სამი-ოთხი დღის შემდეგ სოხუმელი პროკურორი, მას შეიძლება შენ (მამაკ.) არ იცნობდე, ვინმე ფონ-კლუგენი, ოჩემირეში ჩამოსულა, რა, გამოძიებელ წერეთელთან ყოფილა რალაც საქმეების გამო“;

ბ) დანართი, ჩართული და „ჩასმული“:

ეცჲ აღჰა, ბასჲათ იფჰიგს, ჰგჲ შიარგ² დშიგცი-ტიგმტაჰჰამ, — დაჰიგენ აჲიჲბჲ აჰიარა რაჰიღა, — დაასგ-ღტილან... (გ. II, 159) „გუშინ აღჰია, ბასიათის ცოლი, ეგ თქვენთვისაც უცხო აღამიანი არაა, — ამბობდა რაფიდა, — გვერდით მომიჯდა რა...“

გ) მიმართვა და ჩართული ერთად:

ზაიგზეჲ, აღჲას, ყიარჯლჲ აბეგ გოშია იჰაჰტეჲტ, აბართ ზეგ² მსაჲატ, უს აკგ აფშიმა ფჰიგს დშალოტმწარა (გ. II, 169)

¹³ ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, გვ. 82.

¹⁴ ასე ვხმარობთ სიმოკლისათვის; ნიშნავს: ჩართული სიტყვები. შესიტყვებები.

„რა არის, ალიას, რაღაც ყვერულის ყივილივით გვესმის, ესენი არ მო-
მიკედეს (=ამათ გაფიცებ), დიასახლისი რამეში (რამე საქმეში) არ გარბო!“

დ) მიმართვა, ჩართული და დანართი ერთად:

ბასაათ, სარა იზლაზბო ალა, არი, ალჟას, ირლანგ
პზგშთაჟა აკიძამ (გ. II, 169) „ბასიათ, როგორც ვხედავ, ეგ, ალიასი,
მალე არ გაგვიშვებს“.

ე) შორისდებული და მიმართვა ერთად:

აპგ, სგშოყიგ, ტეაწამხან, გიგ-შამხგლა უკამპანი (გ. I, VII)
„პეი, ჩემო წიგნო, ნუ შეშინდები (ნუ დამარცხდები), გულს ნუ გა-
იტეხ!“

ვ) შორისდებული და ჩართული ერთად:

პაჟ, ლანაჯალბეატ, აძგ ლგწაზმა? (ალმნ. 32) „ეპ, დალაგე-
როს ლმერთმა, წყალი შეუღვა (მას, ღედაკ)?“

ზ) დადასტურებითი მიგებითი ნაწილაკი და ჩართული ერთად:

ააჟ, ისგცტპ აშოყიგგჯ, უხხზგეატ (ალმნ. 30) „პო, წიგნიც თან
მაქვს, შენი (მამაკ.) კირიმე“;

თ) უარყოფითი მიგებითი ნაწილაკი და ჩართული ერთად:

ნგხ, ჯუშთ, უხგჩროატ (ალმნ. 38) „არა, ძმობილო, შენ და-
მცინი“⁴⁸.



აფხაზურ ენაში, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ენებში, განკერ-
ძობულ სიტყვათა და შესიტყვებათა ორი ჯგუფი გამოიყო: ა) მეორეხა-
რისხოვანი განკერძობული წევრები (განსაზღვრება, ზოგი სახის გარე-
მოება) და ბ) სიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც წინადადების წევ-

⁴⁸ ა. გენკო აბაზურში განკერძობულ წევრებად მიიჩნევს აბსოლუტივის ფორმებს.
ოგი წერს: „Наречия, производные от причастий, т. е. деепричастия, играют
особую роль так называемых обособленных членов предложения, под каковы-
ми понимаются слова, по ритму и интонации уподобляющиеся целому пред-
ложению не составляя его, однако, по своим формально-грамматическим
признакам“ (А. Н. Генко, Абазинский язык, М., 1955, გვ. 193).

როგორც ცნობილია, აფხაზურში (resp. აბაზურში) ერთადერთი საშუალება,
რითაც ზმნები ერთმანეთს უკავშირდებიან, აბსოლუტივის ფორმაა და ამდენად მას არ
გააჩნია არც ერთი ნიშან-თვისება (მკვეთრი ინტონაციური განმზოლოება, კონსტრუქცი-
იდან მისი ამოღების შესაძლებლობა ისე, რომ არ დაირღვეს წინადადების სინტაქსური
სტრუქტურა და სხვ.), რომლებიც საფუძვლად უდევს განკერძობას, როგორც ენობრივ
მოვლენას. ამიტომ აფხაზურ-აბაზურ აბსოლუტივთა მიჩნევა განკერძობულ წევრებად
გაუმართლებელი ჩანს.

რებს არ წარმოადგენენ (დანართი, მიმართვა, ჩართული, შორისდებული და სხვ.).

აფხაზურში დასახელებული ორი ჯგუფის გამოყოფაში, როგორც დავინახეთ, თავისებურებას ქმნის ის, რომ მასში, ბრუნების კატეგორიის მქონე ენათაგან განსხვავებით, მეორეხარისხოვანი წევრები წინადადების დანარჩენ წევრებს არ უკავშირდებიან მართვისა და შეთანხმების საშუალებით (ხანდახან გვაქვს მართა შეთანხმება კლასსა და რიცხვში). ამიტომ აქ განკერძოებულ სიტყვათა ორ ჯგუფზე ესაუბრობთ იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვს დაპირისპირებას მეორეხარისხოვან წევრებსა და იმ სიტყვებსა და შესიტყვებებს შორის, რომლებიც ასეთ წევრებს არ წარმოადგენენ, ე. ი. აფხაზურში არა გვაქვს ამ ორი ჯგუფის ფორმობლივი დაპირისპირება.

აქვე გვერდს ვერ ავუქცევთ ორ გარემოებას, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს: ა) რა იწვევს განკერძოებას? და ბ) რითაა შეპირობებული განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ადგილი?

ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევებში პასუხი ამ კითხვებზე ზემოთ უკვე გავეცით; ზოგადად კი უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ნაჩვენები იყო, რომ განკერძოებული სიტყვები და შესიტყვებები ემსახურებიან წინადადებაში გამოთქმული აზრის ანდა რომელიმე წევრის დაზუსტება-დაკონკრეტებას. ამ მიზნით ხანდახან (ზოგი სახის მეორეხარისხოვანი წევრის განკერძოებისას) ენა მიმართავს სიტყვათა შებრუნებულ რიგს, ე. ი. იყენებს სინტაქსურ ხერხს, მაგრამ ყველა შემთხვევაში განკერძოების აუცილებლობა შეპირობებულია არა სინტაქსური, არამედ სტილისტიკური⁴⁷ ფაქტორით. ამგვარად, სტილისტიკური ფაქტორის მოქმედება იწვევს გარკვეულ ცვლილებებს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში, რაც გამოიხატება სიტყვათა რიგის შეცვლაში (გარკვეულ შემთხვევებში), მთელი წინადადების თუ ცალკეულ წევრთა გართულებაში ამხსნელ-დამაზუსტებელი სიტყვებითა თუ შესიტყვებებით და სხვ. მაშასადამე: სტილისტიკური ფაქტორი, როგორც აუცილებელი პირობა. განკერძოების მისაღებად წინა-

⁴⁷ ახსიათებს რა ე. შვიცერი ზოგიერთ ნაშრომს, ვ. პიზანი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ავტორი (შვიცერი) ჩართულ სიტყვებად თელის არამართა იმთა, რაც კლასიკური სტილისტიკის მიხედვითაა მიჩნეული, არამედ ჩართულ სიტყვათაგან მიღებულ ზმნისართულ ელემენტებსაცო (იხ. В. Пизани, Общее и индоевропейское языкознание, კრებული: „Общее и индоевропейское языкознание“. М., 1956, გვ. 93.)

ვ. პიზანის ამ სიტყვებში მოცემულია მინიშნება ჩართულ სიტყვათა სტილისტიკური დანიშნულების შესახებ.

დადებამი⁴⁸. ეს კი თავის მხრივ მოასწავებს სტილისტიკის კავშირს სინტაქსთან⁴⁹.

რაც შეეხება წინადადებაში განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ადგილის შემპირობებელ მიზეზს, ცხადია, იგი უშუალო კავშირში იმყოფება განკერძოების გამომწვევ ფაქტორთან, რომლის შესახებ ეს-ესაა ვილაპარაკეთ.

რაკი დადასტურებულია, რომ განკერძოებული სიტყვები და შესიტყვებები აზუსტებენ და აკონკრეტებენ: ა) წინადადების რომელიმე წევრს, ბუნებრივია, ისინი კონტაქტურად (იშვიათად: დისტანციურად) მოსდევდნენ ამ უკანასკნელს, ე. ი. წინადადებაში ეჭიროთ შუა ან ბოლო ადგილი (დანართი, განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრთაგან — განსაზღვრება, დროისა და ადგილის გარემოებები⁵⁰) და ამგვარად უზრუნველყოფდნენ შესიტყვების (resp. წინადადების) სტილისტიკურ მინიმუმს, და ბ) თუკი ისინი მთელს წინადადებაში გამოთქმული აზრის ერთგვარ შეფასებას (დადასტურებას, საეგებიოობას) იძლევიან, მაშინ მათი ადგილი მტკიცედ ფიქსირებული არაა: საეგებით გასაგებია, რომ ის, რაც მთელი წინადადების (resp. მთელს წინადადებაში გამოთქმული აზრის) დახასიათებას ემსახურება, შეიძლება იდგეს წინადადების თავში, შუაშიცა და ბოლოშიც (უფრო კი — წინადადების თავსა და ბოლოში), ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კი ასეთ სიტყვებს შეიძლება ესა თუ ის ადგილი ეჭიროთ იმისდა მიხედვით: რა მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტი წინადადებაში მოცემულ აზრს: რაც უფრო მეტადაა ეს აზრი ხაზგასმული, განკერძოებულ სიტყვებს მით უფრო აქვთ მიღრეკილება — დალაგდნენ წინადადებაში პრეპოზიციულად, სხვა შემთხვევებში კი — ინტერპოზიციად ან პოსტპოზიციად დაიკავენ, ე. ი. გარკვეულ

⁴⁸ განკერძოება, — მართებულად წერს ა. გვოზდვი, — ინტერესს აღძრავს სტილისტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც იგი ქმნის მნიშვნელობის ამა თუ იმ ელფრს (იხ. А. Н. Гвоздев, Очерки по стилистике русского языка, М., 1952, გვ. 251).

⁴⁹ ოღონდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განკერძოება პირველ რიგში წარმოშობს პოეტურ (და არა ენათმეცნიერული) სტილისტიკის შესწავლის ობიექტს. ამიტომ, როცა ამ კონტექსტში სტილისტიკისა და სინტაქსის კავშირს ვუსვამთ ხაზს, მხედველობაშია სტილისტიკა ფართო, გაუდიფერენცირებელი (პოეტური სტილისტიკა, ენათმეცნიერული სტილისტიკა) გაგებით.

⁵⁰ რაც შეეხება განკერძოებულ ვითარების გარემოებას, აღსანიშნავია, რომ იგი სხვა მეორეხარისხოვან წევრთაგან განსხვავებით, ხაზს უსვამს და რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს არა წინადადების რომელიმე წევრს, არამედ ზნით გამოხატულ მოქმედებას (resp. მთელს წინადადებაში გამოთქმულ აზრს). ამიტომ არცთუ იშვიათად იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს წინადადების თავშიც.

შემთხვევებში ამოსავალია განკერძოების, ასე ვთქვათ, კვალიტატორი მხარე — როგორია ხაზგასმის ინტენსივობა.

ეს ნიშნავს: განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა ადგილს წინადადებაში შეაპირობებს ისევე სტილისტიკური ფაქტორი⁵¹.

ამგვარად:

დაერწმუნდით, რომ განკერძოებას გარკვეული თავისებურება შეაქვს წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაში. წინადადების აგებულების შესწავლა კი სინტაქსის საქმეა. სენაიჩიად რომ ვთქვათ, სინტაქსმა უნდა იკვლიოს ის ცვლილებები, რომლებიც წინადადებაში მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში (განკერძოებისას) შეიტანა სტილისტიკურმა ფაქტორმა, ე. ი. კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს სინტაქსის სტილისტიკასთან (პოეტიკურ სტილისტიკასთან, ენათმეცნიერულ სტილისტიკასთან) კავშირის ფაზაზე, ამ კავშირის გათვალისწინებით. ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, იმით არის საკულისხმო, რომ ჩვენს ყურადღებას ამახვილებს ენათმეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ მომენტებზე ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევებში, სახელდობრ, იმაზე, თუ სად და როდის უნდა ეფიქთ გრამატიკის ერთი დარგის დასაბუთებული კავშირი სხვა დარგთან ანუ დარგებთან (resp. ენათმეცნიერების კავშირი მომიჯნავე მეცნიერებებთან) არამართო ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის ისტორიის დადგენისას, არამედ მისი (ფაქტის) აღწერის დროსაც კი, გვაფრთხილებს — არ დავინახოთ ეს კავშირი იქ, სადაც ყოველი საამისო ცდა ამაოა და ნებისთ თუ უნებლიედ გარდუვალად იწვევს შეცდომებს, ჰომოგენურობის პრინციპის უარყოფას თუ შებღალვას საკვლევაძიებო მუშაობაში.

⁵¹ თვით აფხაზური განკერძოებული განსაზღვრების (resp. ზნის ინფინიტური ფორმის) შებრუნებული ადგილი, რომელიც თავისთავად სინტაქსურ მონაცემს წარმოადგენს, შეპირობებულია სტილისტიკური ფაქტორის მოქმედებით.

თავი მუშმიდო

თავისებურებანი სიტყვათა რიგში აფხაზურ-აბაზურ ღიალექტთა მონაცემების მიხედვით

ატრიბუტულ სინტაგმასა და წინადადებაში სიტყვათა განლაგების მხრივ აფხაზურ-აბაზური დიალექტები ძირითადად ერთმანეთს მიჰყვებიან. ეს ასეც იყო მოსალოდნელი: სიტყვათა რიგი უმთავრესად სინტაქსის საგანია; სინტაქსი კი სწავლობს სიტყვათა შეწყობას წინადადებაში, ე. ი. გრამატიკის იმ უბანს, რომელიც შედარებით ნაკლებ განიცდის დროსა და სივრცეში ცვალებადობას (ამასთან ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ აფხაზური სინტაქსის ერთ-ერთ ძირითად ფენომენს უბრუნველი სახელი წარმოადგენს). ამისდა მიუხედავად, სათანადო მასალის გამოწვლილით შესწავლა ამჟღავნებს ზოგ თავისებურებას სიტყვათა რიგში აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში.

ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ვითარებითი ზედსართავი სახელის პრეპოზიციულ განსაზღვრებად გამოყენების ცალკეული შემთხვევები აფხაზურ სალიტერატურო ენასა და პირაქეთა დიალექტებში. ეს იმდენად საგულისხმოა, რომ, ვფიქრობთ, საჭიროა აქვე აღინუსხოს ყველა შემთხვევა, რომლებიც მასალის სტატისტიკურმა შესწავლამ გამოავლინა:

ამჟან დააფფულტ ჭჷჷ-აფშჷ ჩიჷჷჷ დაქიტანჷ, ყაფშჷ მათთალა დეჷლაჷიანჷ (ლ. 180) „გზაზე შეხვდა (მას, აღ.) წითური კაცი, ოქროსფერ ცხენზე ამხედრებული, წითელი ტანსაცმლით მორთული“;

აძიჷ ეაქიჷაწიჷ მათთალა დეჷლაჷიოჷბ (ლ. 250) „ვიღაც შავი ტანსაცმლითა მორთული“;

დაჩაძიჷჷ ყაფშჷ მათთალა დეჷლაჷიანჷ, ჩიჷჷჷჷ დაქიტანჷ ახჷ ეაფშჷ დეჷლაჷაჷაჷა დააჷან (ლ. 251) „სხვა წითელი ტანსაცმლით იყო რა მორთული, ოქროსფერ ცხენზე იჯდა რა, ტყვიასავით მოდიოდა“;

აძიჷ ჩიჷხიჷაჷ დაქიტანჷ, შიჷიჷაჷიჷ მათთალა დეჷლაჷიანჷ... დშააჷაჷა... (ლ. 251) „ვიღაცა თეთრონზე იჯდა რა, თეთრი ტანსაცმლით იყო რა მორთული, რომ მოდიოდა“...

ეჭიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ... დეგრ (ლ. 251) „შეი
ტანსაქმლით მორითო რა (იგი, აღ.), წაიდა“;

ყაფუ მათხალა ირიალაჰიანჯ... დეგრ დეგრ (ლ. 252) „წი-
თელი ტანსაქმლით მორითო რა (იგი, აღ.), კვლავ სირბილით წაიდა“;

შეიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ... ახტატი ამციახჯ იგი-
გრ (ლ. 252) „თეთრი ტანსაქმლით მორითო რა (იგი, აღ.), შესამე ბე-
ქელიც გაიქაქა“;

შეიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ..., აქ დრეხნჯ დაატეგრ (ლ.
253) „თეთრი ტანსაქმლით მორითო რა, მთ ბატონი წაართვა (და)
გათავისუფლა (გაუშვა)“;

სეტიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ უმშიქიან
უბრიგ-უბრიგ აფსეგრეჰიანჯ უცანჯ... ტიატიაზარ (ლ. 343) „წამოგყვები
(შენ, მამაქ.), თუ თეთრი ტანსაქმლით მორითეები რა, არ შეშინდები
რა, ამა და ამ დეგრეჰიანჯ წახვალ (და) დებრუნდები“;

შეიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ, უცანჯ... (ლ. 343) „თეთ-
რი ტანსაქმლით მორითეები (და) წახვალ რა...“

შეიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ (ლ. 343) „თეთრი ტანსაქმ-
ლით მორითე (შენ, მამაქ.)“

შეიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ... ტეგრ დეგრეჰიანჯ...
(ლ. 344) „თეთრი ტანსაქმლით მორითეები რა..., თუ მას (აღ.) შეა-
შინებ“...

შეიქიანჭის მათხალა ირიალაჰიანჯ ახჯლჰიანჯ დნენ (ლ. 344)
„თეთრი ტანსაქმლით მორითო რა (იგი, აღ.), იქ რომ მივიდა, საცა მან
(დეგრეჰიანჯ) უთხრა“...

საყურადღებოა, რომ ერთსა და იმავე ტექსტში, რომელიც, უნდა
ვიფიქროთ, ერთ მთქმელს ეკუთვნის¹, გვხვდება საზღვრულ-მსაზღვრე-
ლის ჩვეულებრივი (ნორმატიული) წყობაც, მაგალითად: მათხა შეიქი-
ანჭის დეგრეჰიანჯ (ლ. 181) „ბეი (აღ.) თეთრი ტანსაქმლით მორითე-
ლი“; მათხა ეჭიანჭის დეგრეჰიანჯ (ლ. 181) „იგი (აღ.) შეიქი-
ანჭის ტანსაქმლით მორითელი“ და სხვ.

პრეპოზიციული მსაზღვრელის რამდენიმე მაგალითი დადასტურდა
ი. პაპასქირის „ხიმურის გზაშიც“²:

ტეგრ დეგრეჰიანჯ შეიქიანჭის მათხალა დეგრეჰიანჯ დაასხაგლან
(გვ. 254) „ლომაზი კაცი, თეთრი ტანსაქმლით მორითელი, თავზე წა-
მომადგა რა“;

¹ სამწუხაროდ, „ახსნურ ზღაპრებში“ მთქმელი არსად მითითებული არ არის.

² ი. პაპასქირი, ხმურ ლეგა. აყი, 1949.

ლექიანი კაქე მათილა დეგლაჰიანი (გვ. 338) „ლევანი მოკლე ტანსაცმლით იყო მორთული (=ლევანს მოკლე ტანსაცმელი ეცვა)“;

აყიგ ში ბგზ შია (შდრ. აბგზ შია ყიგ ში — მ. ც.) „შოლოჰოზგ 174) „გონივრულ (კვიანურ) სიტყვას რომ (როგორც) ამბობდა (იგი, დედაქ.)“;

ეთემ ძლაბქ (შდრ. აძლაბ ეთემქ — მ. ც.) დღლთგნხან, სარა დსა-აძეგტ (გვ. 99) ერთი ნათესავი ობოლი გოგო დაპრჩა (მას, დედაქ.) რა, მე აღზარდე“;

მაძა ეიაქ (შდრ. აეია მაძაქ — მ. ც.) (გვ. 111) „საიდუმლო სიტყვა“;

ხმურ... მაძა ჩჩარაქ (შდრ. აჩჩარა მაძაქ — მ. ც.) აგაგა ეფთშო იფკააჰა ლზ-ლქიგ ინანგსგატ (გვ. 175) „ხიზურს იღუმალმა ღიმღმა ჩრდილივით პირისახეზე („თაუპირზე“) გადაუარა“;

მაძა უსქ აწოჰტპ ჰია ილღზნაძეგტ ხმურ (გვ. 126) „ხიზურს მიანდა, რომ მის (რალაცის) ქვეშ რალაც საიდუმლო საქმე იმალებოდა“ (შდრ. აჰგს მაძაქია „საქმე(ნი) საიდუმლონი“ — იმავე ნაწარმოების 133-ე გვერდზე);

მაძა ჰგსქ ყააწარცგ მაქიგეკზააბ (გ. II, 112) „საიდუმლო საქმის კეთება მოუნდომებია (მას, ად.)“.

ბუნებრივია, რომ ვითარებითი მსაზღვრელის ინვერსია უცხო არაა აფხაზური პოეტური მეტყველებისათვის. აფხაზურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში“² შემდეგი შემთხვევები აღინიშნა:

ისტოხ აშოყიგ ათაკს ფაგა-ტოამბა ეია (შდრ. აეია ფაგა-ტოამბა — მ. ც.) აარგცჰატ დარა (გვ. 69) „ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილის პასუხად მათ უკადრისი სიტყვა შემო(მი)თვალეს“;

ჰგა აფჰის დცეგტ, ილგსთაზ ლგეგტ, თგჩ-ხაა აცია (შდრ. აცია თგჩ-ხაა — მ. ც.) სარა საგეგტ (გვ. 90) „ეგ ქალი წავიდა. ის, რაც მივეცი, წაიღო, მე ტკბილმა (შშვიდმა-ტკბილმა) ძილმა ჩამითრია“;

ჰა ინეღღტოალეგტ, იგოღღემაკეგტ, ინალაგეგტ, ხაა აციაეი-არა (შდრ. აციაეიარა ხაა — მ. ც.) (გვ. 199) „იქ დასხდნენ, ერთ-მანეთს გადაეხვივნენ, დაიწყეს ტკბილი მასლაათი“;

სიორ ეიაბეჰგქ (შდრ. აეიაბეჰ სიორქ, ანდა: აფჰიგზბა სიორ „ქალიშვილი საოცარი“ — იმავე ნაწარმოების 210-ე გვ.-ზე — მ. ც.) ჰასპიარცგ სარა იზგოღღტეგტ (გვ. 208) „მე ვებედავ, საოცარი ამბავი გითხრა (შენ, მაძაქ.)“;

დახგცკაკჰან ტარიელ იბარა, იგოგრვა იზგეგარც გოგრღა-ეი-აბეჰლა (შდრ. აეიაბე-გოგრღალა — მ. ც.) (გვ. 240) „იგი (ად.) ჩქა-

² შ. რუსთაველი, აბეს-ცია ზმიტე, აყია, 1953 (დ. გულიას თარგმანი).

რობდა ტარიელის ნახეას, რათა მისი (აღ.) დარდი გაეფანტა სასიხარულო ამბით“;

აბონტქარ აჯაშხა მკა (შდრ. ამჟა ააშხა — მ. ც.) ნყიფგაროტპ (გვ. 100) „ხელმწიფემ სწორი (სამართლიანი) გზა უნდა გაატაროს — სწორ გზაზე უნდა იაროს“;

ხაა ბეჯლა (შდრ. აბეჯ ხაალა — მ. ც.) აშხა იპონ (გვ. 172) „ტკბილი ხმით მღეროდა (იგი, აღ.)“;

ყიფშხ აქიალა (შდრ. აქია ყიფშხალა — მ. ც.) (გვ. 36) „ბრძნული სიტყვით“.

შედარებით იშვიათად გვხვდება პრეპოზიციული ადიექტიური განსაზღვრება ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებებში⁴. ამ თვალსაზრისით შემოწმდა დ. გულიას თხზულებათა პირველი ტომი⁵, რომელშიც თავმოყრილია მწერლის თითქმის მთელი პოეტური მემკვიდრეობა, და დადასტურდა შემდეგი შემთხვევები:

გიგთბაა ტიგლოტპ (შდრ. ატიგლა გიგთბაა — მ. ც.) სარა სტიგლა (გვ. 121) „დიდი (ღია) გულისაა სამშობლო ჩემი“;

დაპზაანაგეტ უბრი აციგგ რაზყუ (შდრ. არაზყუ ციგა — მ. ც.) (გვ. 232) „გამოგვიგზავნა ჩვენ იგი (აღ.) შავმა (ცუდმა) ბედმა“;

ისთახენ სარა აციგგ შგცრა (შდრ. აშგცრა ციგა — მ. ც.) ყამლარც (გვ. 32) „მინდოდა, რომ ავ შურს (შურიანობას) ადგილი არ ჰქონოდა“;

ტუა ზერლაშხოზ აშიახა გიახია ქიალა (შდრ. აქია გიახიალა — მ. ც.) ადიფ ფშძაქია ციამთხალა იღრციაქიატან (გვ. 264) „მანათობელი სხივები სასიხარულო (მხიარული) სიტყვით ტკბილად ვერჩეულბოდა (ტექსტშია: ალაპარაკებდა) ლამაზ მინდვრებს“.

აქვე გვხვდება პრეპოზიციული ადიექტივი აბზია, რომელიც რთული ზმნური ფუძის ერთ-ერთ კომპონენტად გამოდის: უბრი ნახგს დყალაშბტ დჩიფანჯ, დგბზია ტაჯნჯ (შდრ. დტაჯბზიანჯ — მ. ც.) (გვ. 22) „იმის შემდეგ იგი (აღ.) განკეთილდება, კარგ კაცად იქცევა“.

ადიექტივური მსაზღვრელის ინვერსიის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა ტაპანთურ და აშხარულ ტექსტებში⁶, არ აღინიშნება იგი ზოგ სხვა მასალაშიც.

⁴ ბუნებრივია, მსგავსი შემთხვევები უფრო ხშირად შეგვხვდეს ნათარგმნ პოეტურ ნაწარმოებში. ვინაიდან მთარგმნელი იძულებულია პირველ რიგში დედანს გაუწიოს ანგარიში, გარკვეული ფალსაზრისით დაემორჩილოს მის პოეტურ მოთხოვნებს.

⁵ დ. გულია, იუბილუა, აკტი ატომ, აქია, 1950.

ზემოთქმული სტატისტიკურად შეიძლება ამგვარად გამოვსახოთ:

ინვერსიულა ადიექტიური განსაზღვრება აფხაზურ-აბაზურ მასალაში

ტაბულა № 18

№№	ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი , ტ ე ქ ს ტ ი	სიხშირე
1	„აფსტა ლაქია“	13
2	შ. რუსთაველი, აბას-ცია ზშიტგ	8
3	ო. პაპასქ'გრ, ხშურ ლშმა .	6
4	დ. გულია, იუმთაქია, აკთი ატომ	5 (+1) ¹
5	დ. გულია, კამკეკ	1
6	„ტაპანთური ტექსტები“	—
7	„აშხარული ტექსტები“	—
8	„Бзыбские тексты“	—
9	„აბჟური ტექსტები“	—

როგორც ვხედავთ, ინვერსიული ადიექტივი უფრო სამწერლობო, კერძოდ, პოეტური მეტყველების, კუთვნილებაა. ის ფაქტი, რომ იგი არ დადასტურდა ტაპანთურ და აშხარულ მასალებში, აგრეთვე — ზოგ სხვა, პროზაული ხასიათის, ძეგლში თუ ტექსტში, გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი მსაზღვრელის პრეგნოზიის ის შემთხვევები, რომლებიც „აფხაზურ ზღაპრებში“ აღმოგვაჩნდა, შედეგია იმ გავლენისა, რასაც ამჟამად უთუოდ ახდენს ცოცხალ მეტყველებაზე აფხაზურ სალიტერატურო ენაში მოქმედი პოეტიკური პროცესები. ხოლო, თავის მხრივ, თვით სალიტერატურო ენისათვის მსაზღვრელის ლოკალიზაციის ეს გზა გარკვეულ შემთხვევებში, იმავე პოეტიკური მიზეზების გამო, საესებით ბუნებრივი ჩანს.

¹ „ტაპანთური ტექსტები“, წიგნი: ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი, 1944; „აშხარული ტექსტები“, წიგნი: ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954.

² ფრჩხილებში ჩასმულა ეს ერთეული აღნიშნავს ადიექტივის პრეგნოზიის იმ ერთადერთ შემთხვევას, რომელიც რთულ დგზნია ტაჯნჯ“-ში დადასტურდა (იხ. აქვე, წინა გვერდი).

საინტერესოა შემდეგი ფაქტიც.

სათანადო ადგილას აღნიშნული იყო, რომ აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში პოსტპოზიციური მსაზღვრელის როლში არცთუ იშვიათად გვევლინება რთული (ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი) ადიექტიური კომპონენტი.

მსგავსი მავალითები გვაქვს როგორც აფხაზური სალიტერატურო ენის ძეგლებში, ასევე აფხაზურ-აბაზურ დიალექტურ მასალაშიც⁸:

ლუტარსა მჯაგ ღღქინგ ახგლადრა დთაღან დააჟან, ახზაჰია იწყირაა ინეჟაზ იქიარა გიგრღა-ხიგქჷ აბჟ ხა იგიჲ იქიგჷა (ხ. 101) „ლევარსი გზას ადგა (და) დაღმართს მიჰყვებოდა რა, გულზე ეფინებოდა მოწყარუნე პატარა ლელის (ღელე მხიარულ-პატარის) ტკბილი ხმა“;

აწგხია კაკა-ხიგქჷ ნარჰიე - არჰიჷა წიტი-წიტი აჰიგტი (ხ. 267) „მიაბრუნ-მოაბრუნა რა პატარა, მაგარი კული (კული მაგარი - პატარა), ჩიტიკიკიკა (მან, რალაცამ)“;

უტანგ... აბქმანჷ რჷაკე ითათიოჲ აჰია ეჟქიაწია-ღჷჲ აგგე-აგიაწიჲ ააღრგხნგ ისზააგა (ლ. 236) „წადი რა (შენ, მამაკ), შვიდი ტლაპოდან ერთ-ერთში მჯღომ შავ, დიდ ღორს (ღორს შავ-დიდს) გულღიძლი ამოგლიჩე (და) მომიტანე“;

რეჲგბჷა იგშააზააპ წია ყაფ შ-ხიგქჷკ (ლ. 317) „უმტროსს მოუნახავს (მოუძებნია) პატარა, წითელი ვაშლი (ვაშლი წითულ-პატარა)“;

ქიგმჷიჲი კაკა-ხიგქჷკ ნეჲშიიწან... (გ. II, 112) „მოკლე, პატარა ჩოხა-ახალუხი (ჩოხა-ახალუხი მოკლე-პატარა) ჩაიკვა რა (მან, აღ.)“;

ჰარა უბრი აამთაზ დააბტ ნეხაფაჲჲკ ნგხა ყაყა-ღჷჲჲ იხი-და ჰახშნგ (გ. II, 116) „ამ დროს მოვიდა ვინმე „ხატმარჩიელი“, (რომელსაც) ყელზე ბრტყელი, დიდი ხატი (ხატი ბრტყელ-დიდი) გვიდა“;

რხზმათია ნეგანგ ჶაყა ასტოლგაჲჲ ხიგქჷკ ინგქიგრწან... (გ. II, 175) „იმათი ოქროს ნივთები მოიტანეს (და) იქვე პატარა, მრგვალ მაგიდაზე („მაგიდამრგვალა“ პატარაზე) დააწყვეს რა“;

⁸ ზემოთ (იხ. თავში: „სიტყვათა რივი ატრიბუტულ სინტაგმაში“) ჩვენ ერთმანეთსაგან განვასხვავებთ რთული ადიექტიური მსაზღვრელის ორი ტიპი: ა) როცა მახვილი საზღვრულს ეცემა და უახლოესი მსაზღვრელი მას „შეერწყმის“ (ასტოლგაჲჲ ხიგქჷკ „მაგიდამრგვალა“ პატარა“) და ბ) როცა ძირითადი მახვილი რთული მსაზღვრელის ერთ-ერთ კომპონენტს (და არა საზღვრულს) ხედება (ნგხა ყაყა-ღჷჲჲ „ხატი ბრტყელ-დიდი“). ამჭერად კი გვინტერესებს სტატისტიკური მონაცემების სრული სურათის წარმოდგენა და ამიტომ ასეთ დიფერენციაციას არ ვახდენთ.

ფჰიგსფა ფშეძა-ჰჰიგენკ დჭათფწტა დღლბა(ა)ტ (ტაპ. 13) პაწია, ლამაზი ქალიშვილი (ქალიშვილი ლამაზი-პაწია გამოვიდა (რალაციდან)*;

ამ მათარკიებ სირაცრა ასიარაცუმი-ჰჰიგენ დათაძეჰეგაცხტ ჩი-ყა-რა-ჰჰიგენ გგ დაქიწითა (ტაპ. 18) „ბატონმა მონადირე ბიჭი, შესვა რა შავ, პაწია ცხენზე (ცხენ-შავ-პაწიაზე), კვლავ სანადიროდ გაგზავნა“;

დაიღრბეგტ აფჰიგსფა ფშეძა - 'ხიგჰგ (აშხარ. 104) არეენა (მან, დედაკ.) მას (ად.) პაწია, ლამაზი ქალიშვილი (ქალიშვილი ლამაზი-პაწია)*;

ღახჰალაზ საბი ჰჰიგენ-'ხიგჰგკ დაათგახტ (აშხარ. 96) „საცა ავიდა (იგი, ად.), პაწია ბევში (ბევში-პაწია) გამოიყვანა (რალაციდან)*;

ასიაკლრა დგტ ზყაყი იქიეგზ... (ბზიფ.) „ვის ზურგზეც გკიდა („ეგლო“) დიდი ჰრელი თოფი („თოფჰრელა“ დიდი)“...

დასტურდება, რომ ამ ტიპის ატრიბუტული მსაზღვრელის გავრცელების ხეიდრი წონა ყველგან ერთნაირი არ არის. ყველაზე უფრო იგი ფეხმოკიდებული ჩანს ტაპანთური დიალექტის მასალაში*, შემდგომ მოდის აფხაზური სალიტერატურო ენისა და აშხარული, ბზიფური და აბუური დიალექტების მონაცემები. ამაზე ნათელ წარმოდგენას მოგვეცემს შემდეგი სტატისტიკური ტაბულა:

ორწვეროვანი (სამწვეროვანი) პოსტაზიციური ადიექტიური მსაზღვრელის გავრცელების ხეიდრი წონა (ტაბულა № 19)

№№	ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი , ტ ე ქ ს ტ ი	სიხშარე
1	„ტაპანთური ტექსტები“ (გვ. 1—144)	21
2	„ზშურ ლეგა“ (გვ. 1—441)	19
3	„კამაჰიჰი“ (გვ. 1—259)	14
4	„აშხარული ტექსტები“ (გვ. 1—106)	9
5	„აფსტა ლაკიჰა“ (გვ. 1—471)	8
6	„Бзыбские тексты“ (გვ. 1—92)	1
7	„აბუური ტექსტები“ (გვ. 1—159)	—

* შღრ. ადამიანთა კლასის მრავლობითი რიცხვის წარმოება ორმაგი -ცთა/ჩი-ა-ჰი-ა სუფიქსის საშუალებით ტაპანთურსავე დიალექტში (სხვაგანაც—იშვიათად).

სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია:

ა) აბაზურ დიალექტებში, პირაქეთასაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ხშირია მსაზღვრელად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელების (ოცის შემდეგ) პოსტპოზიციის შემთხვევები (აშგკის ხეზეა „წელი სამოცა (სამოციოდ)“. მაგალითად, ტაპანთური და აშხარული „ტექსტები“, რომლებიც მოცულობით (პირველი — 144, ხოლო მეორე — 106 ნაბეჭდი გვერდია) რამდენჯერმე ჩამორჩებიან „აფხაზურ ზღაპრებს“, ამ უკანასკნელთან შედარებით პოსტპოზიციური მსაზღვრელის სიხშირის მხრივ უმნიშვნელო სხვაობასლა ავლენენ: ტაპანთურში აღნუსხულია 35 შემთხვევა, აშხარულში კი—28 (შდრ. „აფხაზურ ზღაპრებში“ და-დასტურებული 36 შემთხვევა). პირიქითა დიალექტების მონაცემებთან შედარებით კიდევ უფრო დამაფიქრებელია „ხიმურის გზის“ (1—441) სათანადო მონაცემები (11 პოსტპოზიციური რაოდენობითი რიცხვითი სახელი).

სხვა მასალა ასეთ სურათს იძლევა: „აბეთურ ტექსტებში“ (1—159) რაოდენობითი რიცხვითი სახელი 10-ჯერ მოსდევს საზღვრულს, „კამაქიჭში“ (1—259)—4-ჯერ, „ბზიდურ ტექსტებში“ კი—3-ჯერ¹⁰.

სათანადო ადგილას აღნიშნული იყო, რომ რაოდენობითი რიცხვითი სახელების ამგვარი პოზიცია ჩვეულებრივ მიახლოებითობის მნიშვნელობის გადმოცემას ემსახურება¹¹, მაგალითად: არი აშგკის ხეზეა აბიგ 2 დგგზგზგზგზგზგ „ეს (ად.) დაახლოებით 60 წელიწადს არავის ენახა“, სარა შგკისა ხეზეა სგკწგგტ „მე დაახლოებით 60 წლისა ვარ“, ფჰიგს დაამგვოა-მაცარა შგკისა ჰგნგვეთა ეთჰ-აბეჰ დგნაჰგტ „ცოლი არ მოჰყავს რა (მას, ად.), მან (ასე) დაახლოებით 50 წელს მიალწია“, ხეგნგვეთა ზილთგტ „ოქრო-ორმოცამდე მისცა (მან, დედაკ., მას, ად.)“ და სხვ.¹²

ბ) ტაპანთურში დასტურდება შემთხვევები, როცა რთული (ორწევროვანი) ადიექტიური განსაზღვრების რომელიმე კომპონენტი ადგილს იცვლის ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში, მაგალითად: აფჰიგსთა-ფ შჰაჰა-ჰკიგნკ¹³ || აფჰიგსთა-ჰკიგნგ-ფ შჰაჰა¹⁴ „ქალიშვილი-ლამაზი - პაწია“ || „ქალიშვილი - პაწია - ლამაზი“.

პირაქეთა დიალექტების გაანალიზებულ მასალაში მსგავსი შემთხვევები არ შეგვხვდრია;

¹⁰ იხ. სტატისტიკური ტაბულა № 2.
¹¹ იხ. თავში: „სიტყვათა რივი ატრიბუტულ სინტაგმაში“.
¹² იხ. „აშხარული ტექსტები“, გვ. გვ. 19, 24, 31.
¹³ „ტაპანთური ტექსტები“, გვ. 13.
¹⁴ „ტაპანთური ტექსტები“, გვ. 14.

გ) აფხაზური ენის დიალექტებში „ჰია“.. ნაწილაკი სხვათა სიტყვას ბოლოში დაერთვის. მაგრამ საგულისხმოა, რომ „ტაპანთურში“ სხვა გარემოებაც იქცევს ყურადღებას. ჯერ მოცემულია „თქმა“ ზმნა ნამყო განუსაზღვრელის ფორმით, მას მოჰყვება ნათქვამი (ე. ი. რაც ითქვა) და ბოლოს შეიძლება კვლავ დაერთოს „თქვა“, მაგალითად: აფჰიფსფა ლჰიან, „სარა აჰ სგაფჰაჰ“ - ჰია ჰაჰა ლჰიანტ „ქალიშვილმა თქვა რა, „მე ბატონის ქალი ვარ-ო“, უთხრა“ და სხვ. თანამიმდევრობის ასეთი შეცვლა ადილურ ენათა გავლენას უნდა მიეწერებოდეს. მათთვის არის დამახასიათებელი ასეთი წყობა¹⁵:

დ) სტილისტიკური თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს ერთი გარემოება. აღმოჩნდა, რომ ტაპანთურ და აშხარულ მასალებში (ზღაპრებში) თხრობის დასაწყისში აყაზაარა (ყოფნა, არსებობა) ზმნა (და ზოგი სხვა) ჩვეულებრივ წინადადების აბსოლუტურ პოსტპოზიციას რჩეობს, პირაქეთა დიალექტებში კი — პრეპოზიციას (ფჰიფსჰ დჰყან „ვილაც ქალი ცხოვრობდა“, შდრ. დჰყან ფჰიფსჰ „ცხოვრობდა ვილაც ქალი“).

სათანადო სტატისტიკური მონაცემები ასეთია:

აყაზაარა (ყოფნა, არსებობა)-ს ადგილი თხრობის დასაწყისში:

ტ ა ბ უ ლ ა 20¹⁶

№ №	ტ ე ქ ს ტ ი	პ ო ზ ო ც ი ა		
		პრეპოზიცი	პოსტპოზიცი	ინტერპოზიცი
1	„ტაპანთური ტექსტები“	2	36	—
2	„აშხარული ტექსტები“	—	34	2
3	„აბუჯური ტექსტები“	18	10	5
4	„აფსტა ლაქიქია“	30	16	—

¹⁵ ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, გვ. 198.

¹⁶ ტაბულაში არ შეგვაქვს ზ. ბლაგბას „ზოგიფური ტექსტების“ მონაცემები (პრეპოზიცი—5, პოსტპოზიცი—6, ინტერპოზიცი—1), რადგანაც სტატისტიკური ანალიზის დროს ადვილად შესაძლებელია მასალის სიმცირემ შეცდომაში შეგვიყვანოს.

1. სპეციალურ ლიტერატურაში სიტყვათა რიგს განიხილავენ: ა) წინადადების ე. წ. აქტუალური დაყოფის ფონზე და ბ) როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანს.

პირველს, მეორესთან შედარებით, გაცილებით მეტი მიმდევარი ჰყავს.

ორსავე შემთხვევაში ნათელია პრინციპი საკითხის დასმისა.

პირველი თვალსაზრისი გულისხმობს სიტყვათა რიგის შესწავლას წინადადების ფუნქციურიდან (resp. აზრიდან, შინაარსიდან) ამოსვლით. ამიტომ მას წინადადების აზრობრივ დაყოფასაც უწოდებენ; იგი ცდილობს პრობლემის შესწავლას დედუქციური ანალიზის გზით, ინდექციის ელიმინაციით¹. მეორე კი, პირიქით: გამოდის რა პრინციპიდან, რომ ლინგვისტიკა არის მოძღვრება ენის სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ, იმთავითვე შესიტყვების სტრუქტურის თავისებურებებს ეყრდნობა და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავს სტრუქტურის (resp. შესიტყვების) მიმართებას ფუნქციასთან (resp. გადმოსაცემ შინაარსთან)².

აქტუალური დაყოფა, რომელსაც სათავე ჩეხი სტრუქტურალისტიკის ვ. მათეზიუსის შეხედულებებში აქვს, ითვალისწინებს ორად-ორი ელემენტის — ნაცნობისა (данное) და უცნობის (новое) — გამოყოფას, რაც არსებითად ადევკატორია ლოგიკური (resp. ფსიქოლოგიური) სუბიექტისა და ლოგიკური (resp. ფსიქოლოგიური) პრედიკატის დადგენისა წინადადებაში. ნაცნობს ჩვეულებრივ პირველი ადგილი უჭირავს, უცნობს — მეორე. სიტყვა-წევრთა განლაგებაც წინადადებაში (ამ თეორიის მიხედვით) დაკავშირებულია ამ ორი ელემენტის ადგილთან³.

2. სიტყვათა რიგის სინტაქსური და სტილისტიკური ფუნქციების განხილვა კი მოასწავებს მეთოდოლოგიური იმანენტის პოზიციებზე დგომას: იგი გამოდის პრინციპიდან — საკვლევი ობიექტი შესწავლილ იქ-

¹ შტრ.: „სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდი, როგორც ახალი ეტაპი მეცნიერების ისტორიაში ენის შესახებ, ზნაითდება, ტრადიციული ენათმეცნიერების ინდექტივიზმის საპირისპიროდ, დედუქციური ანალიზის ბატონობით“ (С. К. Шаумян. О сущности структурной лингвистики, ВЯ, № 5, 1956, გვ. 44).

² გვხვდება სიტყვათა რიგის შესწავლის ისეთი ცდაც, რომელიც ორივე ზემოხსენებული თვალსაზრისის გულგრილობით შეერთების შედეგს წარმოადგენს (მაგ., ო. სირატიჩინას შეხედულება) და ამიტომ მისი მეთოდოლოგიური საფუძვლებიც ყოველგვარ სიცხადესაა მოკლებული.

³ თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქტუალური დაყოფის მიმდევრები წინადადების წევრებზე (განსაკუთრებით, მეორეხარისხოვან წევრებზე) იშვიათად ამახვილებენ ყურადღებას.

ნეს თავის შინაყოფაში, ე. ი. ამა თუ იმ კონკრეტული ენის (თუ ენების) სინქრონიულ და დიაქრონიულ მონაცემთა სათანადო სტრუქტურული (resp. სინტაქსურ-სტილისტიკური) ანალიზის საფუძველზე. ამ ანალიზის მეშვეობითვე ჩამოაყალიბოს ზოგადი დებულებები, თავიდან ჰცილოს სხვა მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გამოყენება ენათმეცნიერულ საკითხთა შესწავლის პროცესში და ამით პრობლემას საკუთარი ადგილი მიუჩინოს სინტაქსსა და სტილისტიკაში. ეს ნიშნავს: სიტყვათა რიგის ამგვარი თვალსაზრისით განხილვა საფუძვლიანად უპირისპირდება იმ მიზნებსა და მისწრაფებებს, რომელთაც წინადადების აქტუალური დაყოფა მიიჩნევს თავის ამოცანად.

მაგრამ, თქმა არ უნდა, ყოველივე ეს არ ნიშნავს ექსტრალინგვისტური ფაქტების უგულვებელყოფას საერთოდ. როგორც კონკრეტულ საკითხთა სათანადო ანალიზი გვიჩვენებს, გარკვეულ შემთხვევებში გვერდს ვერ აუუქცევთ მომიჯნავე მეცნიერებათა მონაცემებსაც, როგორც საშუალებებს ლინგვისტიკის საკითხთა სარკვევად და არა როგორც თვითმიზანს. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ფინიტური კონსტრუქციის თხრობით (არასტილიზებულ) აფხაზურ წინადადებაში სუბიექტის პირველი ადგილის შემაპირობებელია ლოგიკური და არა გრამატიკული ფაქტორი; ამ ტიპის წინადადებაში რეალური სუბიექტი ჩვეულებრივ პირველ ადგილასაა იმისდა მიუხედავად — პირდაპირი წყობისაა ზმნა თუ ინვერსიულია (აქაჯგ ა და აქგ დგაშგატ „აკცმა დევი მოკლა“; აფხაგს ახიკგკგ დგლკგტპ „ქალს ბავშვი უჭირავს (ხელში)“...).

3. ყოველ ენას თავისებური, მეორე ენისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული, გრამატიკული სისტემა აქვს. სიტყვათა რიგის სინტაქსურ და სტილისტიკურ ფუნქციათა ხვედრი წონაც ამა თუ იმ ენაში დამოკიდებულია მისი გრამატიკული წყობის თავისებურებებზე. დასტურდება, რომ იმ ენებში, სადაც სიტყვათა შორის სინტაქსურ ურთიერთობას აფიქსები გადმოსცემენ, სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია გაცილებით უფრო ხელშესახებია, ვიდრე უაფიქსო ენებში. აფხაზურ ენაში, სადაც სიტყვათა სინტაქსურ ურთიერთობაში ერთდროულად მოქმედებს ფორმიანობა-უფორმოზა (სახელი უბრუნველია, ზმნა კი ფორმოზლივი სირთულით ხასიათდება), სიტყვათა რიგის სტილისტიკური შესაძლებლობა საშუალო კოეფიციენტურია, სინტაქსური კი — მთელ რიგ შემთხვევებში პირველხარისხოვანი.

4. გრამატიკული წყობის თავისებურებანი და აქედან გამომდინარე სინტაქსურ-სტილისტიკური შესაძლებლობანი შეაპირობებს, აგრეთვე, სიტყვათა რიგის თავისუფალ (resp. შედარებით თავისუფალ) თუ მყარ (resp. შედარებით მყარ) ხასიათს ამა თუ იმ ენაში. აფხაზური ენა, გრა-

მატიკული წყობის სპეციალურობის გამო, ცალკეული უბნებისა და მიხედვით ორივე სახის ნიშან-თვისებებს ამჟღავნებს.

5. სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქცია განსაკუთრებით იგრძნობა აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში, სადაც მსაზღვრელს პრეპოზიცია ან პოსტპოზიცია უჭირავს იმისდა მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილითაა იგი წარმოდგენილი, სიტყვათა რიგი თითქმის ერთადერთი სინტაქსური საშუალებაა ადიექტივური შესიტყვების მისაღებად (აჭაჟგ ბზია „კაცი კეთილი“), გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იგი სხვა სახის ატრიბუტულ შესიტყვებებშიც, როგორცაა: ორი არსებითი სახელის სინტაქსური კავშირი (აჭაჟგ ილამგს „ადამიანის ნამუსი“), პირის ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის კავშირი (სარა სგმგ „ჩემი ყანა“), ჩვენებითი ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის დამოკიდებულება (აბრი აფჰიგზბა „ეს ქალიშვილი“) და სხვ.

პოზიციის ლაბილურობა (ერთი და იმავე განსაზღვრების პრეპოზიციულად და პოსტპოზიციურად გამოყენება) დამახასიათებელია მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი სახელისათვის ოცის შემდეგ და კრებითი რიცხვითი სახელებისათვის (ჯგჯნაჟია ყიარდი „ორმოცი სკამი“ || აყიარდიჟია ჯგჯნაჟია „სკამები ორმოცამდე“; ახჯ ამგსთცია „სამივე აზნაური“, აჰშცია აშოჯგჯგ „ძმანი ასნიე“).

ატრიბუტულ სინტაგმაში სიტყვათა რიგის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფხაზურში განსაზღვრების (სუბსტანტივური, ადიექტივური) ადგილი ძირითადად ფიქსირებულია. ირკვევა, რომ საერთოდ განსაზღვრებებს პრეპოზიცია სჭარბობს პოსტპოზიციას. ძირითად გამონაკლისს ქმნის ზედსართავი სახელი; მისი პოსტპოზიცია შეპირობებულ ჩანს ენის შინაგანი გაწვეთარების კანონებით: ზოგიერთი აფხაზური ინფინიტური ზმნის (resp. მიმღეობის) ფართოდ გამოყენებამ პრეპოზიციულ განსაზღვრებად, უნდა ვიფიქროთ, შეაფერხა ადიექტივური მსაზღვრელის გადმოსმა საზღვრულის წინ. სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, სიტყვათა განლაგება აფხაზური ენის ატრიბუტულ სინტაგმაში ძირითადად იმეორებს ქართველური ენების რეალურად მოცემულ ვითარებას.

6. ცნობილია, რომ „აღწერითი ანალიზის სიბრტყეზე სინტაქსს, მის თავისებურებებს მორფოლოგია, მისი თავისებურებები განსაზღვრავს“⁴; სინტაქსი „ზედა სართულია“, მორფოლოგია — მისი საძირკველი და „ქვე-სართული“. სიტყვათა ურთიერთობა ამა თუ იმ სახეს იღებს იმისდა

⁴ А. С. Чикобава, Грузинский язык, წიგნი: „Языки народов СССР“. т. IV, Иберийско-кавказские языки, М., 1967, გვ. 55.

მიხედვით, თუ რა თვისება აქვს თითოეულ სიტყვას⁵. ამიტომ ბუნებრივია, ამა თუ იმ წევრის ადგილი აფხაზურ წინადადებაში მთელ რიგ შემთხვევებში შეპირობებულია მორფოლოგიური ფაქტორით (პირთა რაოდენობა ზმნაში, გარდამავლობა-გარდაუვლობა და სხვ.).

სიტყვათა რიგის სინტაქსური როლი გაცილებით შერყეულია გარდამავალი (ფინიტური) ზმნის შემცველ აფხაზურ წინადადებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის სუბიექტ-ობიექტის (ობიექტების) ურთიერთობაზე. აფხაზურ ზმნაში, რომელიც თავისი შინაარსით მთელ მარტივ წინადადებას უდრის, მოქცეულია სუბიექტ-ობიექტისა (ობიექტებისა) და სხვა გრამატიკული კატეგორიების მაწარმოებლები. ეს მაწარმოებლები (მათი ადგილმდებარეობა) ძირითადად განსაზღვრავს სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ურთიერთობას წინადადებაში. და სწორედ ესაა საფუძველი იმისა, რომ აქ არსებითად მოხსნილია სიტყვათა მტკიცე რიგის ის აუცილებლობა, რასაც ადგილი აქვს ატრიბუტულ სინტაგმაში.

მიუხედავად ამისა, აფხაზური, ისევე როგორც მონათესავე ადიღური ენა, რჩეობს რიგს: სუბიექტი პირველ ადგილას, ობიექტი — შემდგომ (ზოგ შემთხვევაში კი ეს აუცილებელიცაა). ამას კი, თავის მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აფხაზურში და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებში ერგატიული კონსტრუქციის ჩასახვისა და შემდგომი განვითარების ისტორიული გზის გასათვალისწინებლად (შდრ. ინდეფინიტური კონსტრუქცია ძველ ქართულსა და თანამედროვე აფხაზურში). დასტურდება, რომ ის ვითარება, რასაც დღეს ადგილი აქვს აფხაზური ენის წინადადებაში სუბიექტ-ობიექტის განლაგების მხრივ, მნიშვნელოვანია არა იმდენად სინქრონიულ, არამედ დიაქრონიულ ასპექტში: ქართველური ენები, რომელთაც კარგად განვითარებული ბრუნების კატეგორია აქვთ, აფხაზური ენის ვითარებას იმეორებენ⁶: ძირითადია წყობა: სუბიექტი — რეალური ობიექტი.

სიტყვათა შორის სინტაქსურ ურთიერთობას აფხაზურში ძირითადად ზმნაში წარმოდგენილი პირ-კლასის ნიშნები გამოხატავს, სუბიექტ-ობიექტის რიგი კი, რომელიც არცთუ იშვიათად შეიძლება დაირღვეს, ირელევანტურ სინტაქსურ საშუალებას წარმოადგენს, და იგი არ შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ისეთ რელევანტურ

⁵ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 126.

⁶ მხედველობაშია რეალურად (ე. ო. ტექსტებში მოცემული სურათის მიხედვით) არსებული ვითარება და არა ის შესაძლებლობა, რომელსაც ქართველური ენების გრამატიკული წყობა იძლევა. ამ უკანასკნელის მიხედვით აფხაზურს, ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენასთან შედარებით, საგრძნობლად ნაკლები პოტენცია აქვს.

ფაქტორს, როგორცაა ზმნაში წარმოდგენილი აფიქსები (მათი ადგილ-
მდებარეობა).

სიტყვათა რიგის განხილვა აფხაზურ წინადადებაში ერთხელ კიდევ
უსვამს ხაზს ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ერგატიული კონ-
სტრუქციის თავისებურებათა წყარო გარდამავალი ზმნის ბუნებაში, მის
ფორმირებაში უნდა ვეძიოთ...

ასე დგას საკითხი, თუ სუბიექტ-ობიექტის რიგს განვიხილავთ ფი-
ნიტური კონსტრუქციის წინადადებაში, რომელშიც გარდამავალი ზმნა
მონაწილეობს.

7. მაგრამ ცნობილია, რომ აფხაზური ენა განარჩევს ზმნათა ორ—
ინფინიტურ (განუსაზღვრელ) და ფინიტურ (განსაზღვრულ) — სახეობას.
თუ წინადადებაში ორივე სახის ზმნა მონაწილეობს, გამოიყოფა ორი
პრედიკატული ცენტრი: ა) დამხმარე, რომელშიც ინფინიტური ზმნა
მონაწილეობს და ბ) ძირითადი, რომელსაც ფინიტური ზმნა ქმნის.
ამ ცენტრებში სხვადასხვაგვარად დგას სუბიექტ-ობიექტის განლაგების
საკითხი. პირველში ძალზე შეზღუდულია სინტაქსური ვარიანტების მი-
ღება: მასში სუბიექტ-ობიექტის რიგი უმთავრესად განსაზღვრულია;
ამასთან ყოველ კერძო შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა
სახისაა ინფინიტური ზმნა (გარდაუვალია თუ გარდამავალი, ნაცვალსა-
ხლოვანაფიქსიანი თუ საგარემოებოაფიქსიანი და სხვ.). ამისდა მიხედ-
ვით გვაქვს ორი, ერთმანეთის საპირისპირო, წყობა: სუბიექტი — რეა-
ლური ობიექტი; რეალური ობიექტი — სუბიექტი. მტკიცე რიგის დარ-
ღვევა შეინიშნება მხოლოდ საგარემოებოაფიქსიანი ზმნის შემცველ
დამხმარე პრედიკატულ ცენტრებში.

რაც შეეხება ძირითად პრედიკატულ ცენტრს, აქ იგივე სურათი
მეორდება, რასაც ადგილი აქვს ფინიტური კონსტრუქციის (resp. ერთ-
პრედიკატულცენტრიან) წინადადებაში: ჩვეულებრივია სუბიექტ-ობიექტის
რიგი.

8. ინფინიტური კონსტრუქციის წინადადებაში პირველი ადგილი
ჩვეულებრივ უჭირავს ინფინიტურ ზმნას, შემდგომი — ფინიტურს, რაც
შეპირობებულია თვით ზმნათა ბუნებით — განუსაზღვრელობა-განსაზღვ-
რულობით: განსაზღვრული ფორმა ხმავს მთელს კონსტრუქციას (წინა-
დადებას). ეგვევ ვითარება მეორდება თვით პრედიკატულ ცენტრთა ერთ-
მანეთთან სინტაქსური მიმართების ხაზითაც: წინადადება იწყება დამხმა-
რე პრედიკატული ცენტრით (რომელიც რომელიმე წევრის მოვალეობას
ასრულებს), მას ამთავრებს ძირითადი პრედიკატული ცენტრი.

ეს ასეა ჩვეულებრივ, მაგრამ იგი წესად არაა გატარებულ. არცთუ
იშვიათია პირუკუ შემთხვევებიც (ძირითადი პრედიკატული ცენტრი—

დამხმარე პრედიკატული (ცენტრი), რაც, აგრეთვე, ბუნებრივი ჩანს აფხაზური ენისათვის. რაც შეეხება პირველის მეტ გავრცელებას, მეორესთან შედარებით, ამას თავისი ახსნა მოეპოვება⁷.

9. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ენა თავისებური გრამატიკული წყობისაა, სიტყვათა რიგს აქ გარკვეული სტილისტიკური ფუნქციის შესრულებაც უხდება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტ აქტივობას იჩენს ენის ის „უბნები“, რომლებიც ნაკლებაა შეზოკილი სინტაქსური ფუნქციებით. სამწერლობო პოეზიაში კი, პოეტიკურ კატეგორიათა მოქმედების წყალობით, ეს აქტივობა კიდევ უფრო იზრდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ელასტიურობას ამჟღავნებს ყველა სახის ფინიტური ზმნა, რასაც შედეგად მოსდევს სუბიექტ-ობიექტის ჩვეულებრივი რიგის დარღვევის შემთხვევები. ეს კი დამატებით ადასტურებს სისწორეს დებულებისა იმის შესახებ, რომ აფხაზურში სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ურთიერთობას ძირითადად განსაზღვრავს ზმნაში წარმოდგენილი პირ-კლასის ნიშნები და არა სიტყვათა მტკიცე რიგი. ენამ შეძლო დაერღვია ეს რიგი, როცა ამის აუცილებლობა დადგა.

10. აფხაზური ენის განკერძოებულ სიტყვათა და შესიტყვებათა განხილვას მივყავართ დასკვნამდე, რომ აქ ერთმანეთს ეჯახება სინტაქსური და სტილისტიკური ფაქტორების მოქმედება. განკერძოებას, რომელსაც სტილისტიკური ფაქტორი აპირობებს, გარკვეული თავისებურება შეაქვს წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაში. წინადადების აგებულების შესწავლა კი სინტაქსის საქმეა; ეს ნიშნავს: სინტაქსმა უნდა იკვლიოს ის ცვლილებები, რომლებიც წინადადებაში განკერძოებისას შეიტანა სტილისტიკურმა (ამ შემთხვევაში: პოეტიკურ-სტილისტიკურმა და ენათმეცნიერულ-სტილისტიკურმა) ფაქტორმა, ე. ი. კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს სინტაქსის სტილისტიკასთან კავშირის ფონზე, ამ კავშირის გათვალისწინებით⁸. ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, ჩვენს ყურადღებას ამახვილებს ენათმეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ მომენტებზე ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევებში, სახელდობრ, იმაზე, თუ სად და როდის უნდა ვეძიოთ გრამატიკის ერთი დარგის დასაბუთებული კავშირი სხვა დარგთან თუ დარგებთან (resp. ენათმეცნიერების კავშირი მომიჯნა-

⁷ იხ. სათანადო ადგილას.

⁸ ყურადღებას იქცევს არა მარტო სინტაქსისა და სტილისტიკის ეს ურთიერთობა (იხე, თვით ამ დისციპლინათა ბუნების გამო, მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ენაში შეიმჩნევა), არამედ აგრეთვე აფხაზური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის განსაკუთრებული კავშირიც. დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში მორფოლოგურ-სინტაქსური იზოგლოსები ისე მკაფიოდ არ იგარჩობა, როგორც ამას აფხაზურში აქვს ადგილი.

ვე მეცნიერებებთან) ანუ მართო ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის ისტორიის დადგენისას, არამედ მისი (ფაქტის) აღწერის დროსაც კი, გვაფრთხილებს — არ დავინახოთ ეს კავშირი იქ, სადაც ყოველი საამისო ცდა ამოა და ნებისთნ თუ უნებლიედ გარდღვეალად იწვევს შეცდომებს, ჰომოგენურობის პრინციპის უარყოფას თუ შებღაღვას საკვლევაძიებო მუშაობაში.

11. ატრიბუტულ სინტაგმასა და წინადაღებაში სიტყვათა განღაგების მხრივ აფხაზურ-აბაზური დღალექტები ძირითადად ერთმანუთს მიჰყვებიან. ეს ასეც იყო მოსალოდნელი: სიტყვათა რიგი უმთაერესად სინტაქსის საგანია; სინტაქსი კი სწაულობს სიტყვათა შეწყობას წინადაღებაში, ე. ი. გრამატიკის იმ უბანს, რომელიც შედარებით ნაკლებ განიცდის დროსა და სივრცეში ცვაღებაღობას (ამასთანავე ხაზგასამელია ის ფაქტიც, რომ აფხაზური სინტაქსის ერთ-ერთ ძირითად ფენომენს უბრუნველი სახელი წარღადაღენს). ამისღა მიუხედავად, სათანადო მასლის გამოწვლიღვით შესწავღა ამუთაენებს ზოგ საგულისხმო თავისებურებას სიტყვათა რიგში აფხაზურ-აბაზურ დღალექტებში.

12. აფხაზურისა და ზოგი სხვა არამონათესავე ენის სიტყვათა რიგთან დაკავშირებული ზოგი კონკრეტული ფაქტის (სიტყვათა რიგი ავტორისეულ წინადაღებაში აფხაზურ-ქართვეღურსა და ინღოვერობულ ენებში, პოსტპოზიციურად გამოყენებული რაღდენობითი რიცხვითი სახელის „მიახლოვებითური“ ფუნქცია აფხაზურსა და რუსულში და სხვ.) შეპირისპირებითი შესწავღა ერთხელ კიღვე აღმსურებს ცნობიღ აზრს იმის შესახებ, რომ ერთმანეთთან გენეტურად დაუკავშირებულ ენებში შეიძღება მივიღოთ მსგავსი ან აღეკვატური მოვღუნები, რაც ენობრივი აზროვნების საერთო, ასე ვთქვათ, უნივერსალური ტენდენციებითაა შეპირობებული. ეს კი ჩვენს ყურადღებას მიატევეს ენათა ე. წ. პარალელური განვითარების საკითხთა შესწავლის შეღდეგად მიღებული დამკვნების გათვალისწინების გარკვეულ მნიშვნეღობას ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკვლევი სფეროების განსაზღვრადღუსტების საქმეში.

13. საკითხი იბერიულ-კავკასიური ენათა წარმოშობითი ნათესაობის შესახებ „ძალზე აქტუალური საკითხია ყვეღა ენათმეცნიერისათვის, რომღებიც ყვეღაზე არსებითად ენათა შესწავღაში მიიჩნევენ ორ განზომიღებას: ენას მასზე მოღაპარაკე ხალხის ცხოვრებასთან, ამ ხალხის ისტორიასთან კავშირში, ერთი მხრივ, ენას აზროვნების კატეგორიებთან, აზრის ისტორიასთან კავშირში, მეორე მხრივ.“ შეღდეგები, რომ-

* А. С. Чикобава, Проблема родства иберийско-кавказских языков, კრებული: „Материалы первой сессии по сравнительно-историческому изучению иберийско-кавказских языков“, Махачкала, 1969, გვ. 16.

ლებსაც აფხაზური ენის სიტყვათა რიგის გამოწველილვით შესწავლა ავლენს, ფასეულია არამართო იმიტომ, რომ ისინი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავიხედოთ აფხაზური ენის გრამატიკული წყობის, კერძოდ, აფხაზური წინადადების, რთულ მექანიზმში, არამედ იმითაც, რომ მათ გაეყავათ საკვლევი ენის ფარგლებიდან და ჩვენს ყურადღებას მიაკცივენ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა რიგ კონკრეტულ და ზოგად საკითხებს როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ პერიოდში.

სტატისტიკური ცხატული
წევრთა განლაგება კონსტრუქციებში „ზურ ლევა“-ს მიხედვით (გვ. 1-44)
(შემგამგებელი ხასიათის სტატისტიკური ტაბულა, I)

შ.წ.	წევრთა თანამიმდევრობა კონსტრუქციებში	სიზომი
1	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	885
2	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ზნის ასოლუტური	787
3	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	519
4	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზნა	484
5	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ზნის ასოლუტური	248
6	სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	186
7	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზნა	163
8	პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	141
9	პირდაპირი ობიექტი — წყალსახელოვანფესიანი ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	130
10	პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა	119
11	პირდაპირი ობიექტი — კოხებითი ფორმის ორპირიანი გარდამავალი ზნა	91
12	პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზნა	91
13	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა — სუბიექტი	77
14	პირდაპირი ობიექტი — წყალსახელოვანფესიანი ორპირიანი გარდამავალი ზნა	70
15	სუბიექტი — წყალსახელოვანფესიანი ორპირიანი გარდამავალი ზნა — პირდაპირი ობიექტი	60
16	პირდაპირი ობიექტი — წყალსახელოვანფესიანი ორპირიანი გარდამავალი ზნა	58
17	პირდაპირი ობიექტი — პირანებითი ფორმის ორპირიანი გარდამავალი ზნა	58
18	ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა — პირდაპირი ობიექტი	49
19	ორი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა	46
20	პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	45
21	ორი ობიექტი — სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ზნის ასოლუტური	44
22	პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი გარდამავალი ფინიტური ზნა	42
23	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა	36

* ო. კაკაქაძე, წმინდა ლევა, ათბ., 1949.

შ. №	წ ე ვ რ თ ა თ ა ნ ა მ ი მ დ ე კ ე რ ო ბ ა კ ო ნ ს ტ რ უ ქ ო ა ა შ ი	სიხშირე
24	სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზმნა — პირდაპირი ობიექტი	35
25	სუბიექტი — ორიბი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზმნა . . .	34
26	ორიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნის აბსოლუტივი . . .	34
27	სუბიექტი — ორიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა	34
28	ორიბი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზმნა — სუბიექტი . . .	33
29	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა	33
30	სუბიექტი — ორიბი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ზმნის აბსოლუტივი . . .	25
31	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა	24
32	პირდაპირი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	23
33	ორიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზმნა . . .	21
34	კონსტრუქციის ფორმის ორპირიანი გარდამავალი ზმნა — პირდაპირი ობიექტი . . .	20
35	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზმნა . . .	18
36	სუბიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა . . .	17
37	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — კონსტრუქციის ფორმის ორპირიანი გარდამავალი ზმნა . . .	17
38	სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზმნა — ორიბი ობიექტი . . .	16
39	სუბიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა — პირდაპირი ობიექტი . . .	16
40	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — ბრძანებითი ფორმის სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	14
41	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზმნა . . .	13
42	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნის აბსოლუტივი . . .	12
43	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	12
44	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	12
45	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	11
46	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	11
47	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა . . .	11

წვეგრთათანამებმდეგრობაკონსტრუქციასუ

48	სუბიექტი — ირობი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი სამშორიანი — (გარდამავალი) ზნის აბსოლუტური .	10
49	სუბიექტი — ირობი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — პირდაპირი ობიექტი .	10
55	ირობი ობიექტი — სუბიექტი — ირობიანი გარდამავალი ინფინიტური ზნა .	9
51	ირობი ობიექტი — სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამშორიანი (კარდამავალი) ფინიტური ზნა .	8
52	პირდაპირი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზნა .	8
53	გარდამავალი ზნა .	
54	სუბიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — პირდაპირი ობიექტი .	8
55	ირობიანი გარდამავალი ფინიტური ზნა — სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი .	8
56	ირობი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამშორიანი (კარდამავალი) ფინიტური ზნა — სუბიექტი .	8
57	ბრძანებითი ფორმის ირობიანი გარდამავალი ზნა — პირდაპირი ობიექტი .	7
58	პირდაპირი ობიექტი — წყოსალსულ ოკანდოქსისი სამშორიანი (გარდამავალი) ზნა — სუბიექტი .	7
59	ირობი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — პირდაპირი ობიექტი .	7
60	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ირობი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზნა .	7
61	პირდაპირი ობიექტი — კონსუთი ფორმის ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზნა .	6
62	სუბიექტი — წყოსალსულ ოკანდოქსისი ირობიანი გარდამავალი ზნა — ირობი ობიექტი .	6
63	ირობი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — სუბიექტი .	5
64	ირობი ობიექტი — წყოსალსულ ოკანდოქსისი ირობიანი გარდამავალი ზნა — სუბიექტი .	5
65	ირობიანი გარდამავალი ფინიტური ზნა — სუბიექტი — ირობი ობიექტი .	5
66	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — ირობი ობიექტი .	5
67	პირდაპირი ობიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — სუბიექტი .	5
68	პირდაპირი ობიექტი — ირობი ობიექტი — კონსუთი ფორმის სამშორიანი (გარდამავალი) ზნა .	5
69	კონსუთი ფორმის სამშორიანი (გარდამავალი) ზნა — ირობი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი .	5
70	სუბიექტი — სამშორიანი (გარდამავალი) ფინიტური ზნა — ირობი ობიექტი .	4

წ.წ.	წვერ.თ.თ. თანამდებრეკოტბაკონსტრუქციო	სტშირე
71	პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი—ირიბი ობიექტი—სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა	4
72	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — კოხეთი ფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა	4
73	სუბიექტი — ირაბირანი გარდამავალი ინფინიტური ზენა — პირდაპირი ობიექტი	4
74	კოხეთი ფორმის რაბირანი გარდამავალი ზენა — სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი	4
75	ირიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — ნაცვალსახელოვანფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა	3
76	ირიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — კოხეთი ფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა	3
77	ირიბი ობიექტი — სუბიექტი — სამპირანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა	3
78	სამპირანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა — სუბიექტი — ირაბი ობიექტი	3
79	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ირაბი ობიექტი — სამპირანი (გარდამავალი) ზენის აბსოლუტი	3
80	ირიბი ობიექტი — სუბიექტი — ირაბირანი გარდამავალი ზენის აბსოლუტი	3
81	ირიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი — სამპირანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა	3
82	ირიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირანი (გარდამავალი) ინფინიტური ზენა	3
83	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ნაცვალსახელოვანფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენი	3
84	კოხეთი ფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა — პირდაპირი ობიექტი	3
85	პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი — სამპირანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა	3
86	პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი — სამპირანი (გარდამავალი) ინფინიტური ზენა	3
87	პირდაპირი ობიექტი — ნაცვალსახელოვანფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა	3
88	ირაბირანი გარდამავალი ინფინიტური ზენა — სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი	3
89	კოხეთი ფორმის რაბირანი გარდამავალი ზენა — პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი	3
90	პირდაპირი ობიექტი — ირაბი ობიექტი — ბრანეთი ფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა	3
91	ირიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი — ნაცვალსახელოვანფორმის სამპირანი (გარდამავალი) ზენა	3

№	წევრთა თანამიმდევრობა კონსტრუქციაში	სიწორე
114	პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი—ორიბი ობიექტი—ი ნაცვალსახელთა დანიშნულების საპირიანი (გარდამავალი) ზმნა	1
115	პირდაპირი ობიექტი—სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა—ორიბი ობიექტი—სუბიექტი	1
116	პირდაპირი ობიექტი—სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა—სუბიექტი—ორიბი ობიექტი	1
117	პირდაპირი ობიექტი—ერთიბი ობიექტი	1
118	პირდაპირი ობიექტი—ბრძანებითი ფორმის სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა—სუბიექტი—ორიბი ობიექტი	1
119	სუბიექტი—სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა — ორიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი	1
120	პირდაპირი ობიექტი — ორიბი ობიექტი — წყველსახელთა დანიშნულების სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა—სუბიექტი	1
121	ორიბი ობიექტი — სუბიექტი—სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა — პირდაპირი ობიექტი	1
122	ორიბი ობიექტი — სუბიექტი — ი ნაცვალსახელთა დანიშნულების სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა — პირდაპირი ობიექტი	1
123	სუბიექტი — ორიბი ობიექტი — ორიბიანი გარდამავალი ზმნის ანალიზით	1
124	ორპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზმნა — პირდაპირი ობიექტი	1
125	პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი—ი ნაცვალსახელთა დანიშნულების სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა	1
126	პირდაპირი ობიექტი—სუბიექტი—ბრძანებითი ფორმის სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა	1
127	სუბიექტი — ერთიბიანი ფორმის გარდამავალი ზმნა — ორიბი ობიექტი	1
128	პირდაპირი ობიექტი — ბრძანებითი ფორმის სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა — ორიბი ობიექტი	1
129	სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზმნა — ორიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი	1
130	ბრძანებითი ფორმის სამპირიანი (გარდამავალი) ზმნა — ორიბი ობიექტი — პირდაპირი ობიექტი	1

წვერთა განლაგება კონსტრუქციებში „ფსტა ლაკეია“-ს* მიხედვით (გვ. 1—471)
(შემკვებელი ხსათის სტატისტიკური ტაბულა, II)

№	წვერთა თანამიმდევრობა კონსტრუქციებში	სიმაღლე
1	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზენა	760
2	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ზენის აბსოლუტური	525
3	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზენა	285
4	პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზენა	206
5	პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა	183
6	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური	157
7	პირდაპირი ობიექტი — ბრძანებითი ფორმის ორპირიანი გარდამავალი ზენის აბსოლუტური	87
8	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — ორპირიანი გარდამავალი ინფინიტური ზენა	81
9	პირდაპირი ობიექტი — სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზენა	78
10	სუბიექტი — ორპირიანი გარდამავალი ფინიტური ზენა	77
11	პირდაპირი ობიექტი — ნაკვალსებულთან ერთად ორპირიანი გარდამავალი ზენა	69
12	პირდაპირი ობიექტი — ბრძანებითი ფორმის სამპირიანი (გარდამავალი) ზენა	66
13	პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ზენის აბსოლუტური	62
14	პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ინფინიტური ზენა	52
15	პირდაპირი ობიექტი — კითხვითი ფორმის ორპირიანი გარდამავალი ზენა	51
16	პირდაპირი ობიექტი — ნაკვალსებულთან ერთად ორპირიანი გარდამავალი ზენა	46
17	სუბიექტი — პირდაპირი ობიექტი — სამპირიანი (გარდამავალი) ფინიტური ზენა	40
